

114
1968 / 3.



ՁԵՆՈՒԹՅՈՒՆ

114/3

73

1

1968

მნათობი



ქვეყნის დემოკრატიული რესპუბლიკის
 და საზოგადოებრივი-კულტურული უწყისის

წელიწადი 44-ე

№ 1

იანვარი, 1968 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

10846

სიმონ ჩხეიძე — ზამთრის მთები	3
ლევან გომთა — მითრიდატი, რომანი	7
ალექსანდრე ქუთათელი — ლექსები	50
ჯანსუღ ჩაკვიანი — ლექსები	54
მთარ ჩხეიძე — ლექსები, რომანი	59
მრთა ნიჟინაიძე — ლექსები	101
ვ. სოლომონი — მოთხრობები, თარგმანა პ. წერეთელმა	106
სარგის მირიანაშვილი — პირადი ვადასტურება, ნაწევრი პოემიდან, თარგმანა ვ. ქ. ვახაძემ	125
კონსტანტინე პაუტოვიჩი — ოქროს ვარდი, თარგმანა ვ. ქ. ვახაძემ	129

კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

შალვა ჩხეიძე — ჩვენი ბალახები	138
იანა ცინცაძე — ბერი ეგნატაშვილის ვინაობის საკითხისათვის	152
დავით შანუაშვილი — ნიკო ნიკოლაძე და ფრანგული ლიტერატურა	160
ადილ მირიანაშვილი — გავთის „კამკაზი“ ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობის შესახებ	168

კუბლიკაცია

აკაკი წერეთლის უცხოური წიგნები — გულნარა გოჯალიშვილის და შალვა გოჯალიშვილის კომენტარებით	175
------------------------------------------------------------------------------------------	-----



ბ. ბარბაქაძე — ქართული პროზაიკოსების კრებული
რეზა ბარბაქაძე — „ორიონი“
ნიკოლოზ წამბათაძე — ქართული რომანტიზმი



შთავარი რედაქტორი ელგუჯა მადრაძე.

სარედაქციო კოლეგია:

გ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი, ბ. ულენტი
ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი (პ/მგ. მღვივანი), ს. შანშიაშვილი, ვ. წუ-
ლუციძე, ო. ქილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექნოლოგიური რ. ჩაყვბაძე

ხელმოწერა დასაბეჭდად 23/1-68 წ. ქ-
ლადის ზომა 70x108. ანაწყობის ზომა
7 1/4 x 12 1/2. ფიზიკურ ფორმათა ჩაოდენობა 12.
პირბით ფორმათა ჩაოდენობა 16.
უე 06434. ტირაჟი 10.200. შეკვ. № 4661.

რედაქციის მისამართი: თბილისი,
რუსთაველის პარკსავეტი № 12.

ბალეზონები: რედაქტორის — 8-55-11,
პ/მგ. მღვივანის — 8-55-18. განყოფილებე-
ბის — 8-55-15, 8-55-17, 8-55-20.

საქ. კ ც-ის გამომცემლობის პ/კომპინატი,
თბილისი, ლენინის ქ. № 14





სიმონ ჩიქოვანი

1968 წლის 9 იანვარს გამოტყევილ ჭარბველ პოეტს სიმონ ჩიქოვანს შეუსრულდა 65 წელი ამ თარიღთან დაკავშირებით ვაჭვეყენებთ მის დაუბეჭდავ ლექსებს.

გამოუქვეყნებელი ლექსები

• • •

ეს არის ჩემი პატარა წყარო,
შენთვის შევლობე, რა არ ვიღონე,
მადლობა მითხარ აწ, მეგობარო,
შესევი წყალი და მეც მომიგონე.

შეიმსუბუქე გრძელ გზაზე ტვირთი,
არ დაგელიოს შრომაში ღონე,
შენს ძველ ოცნებას ესვევა ფითრი,
შესევი წყალი და მე მომიგონე.

ჩამოჯექ ქვაზე კაკლის ჩეროში,
თმა გაიგრილე და დაისვენე.
მე ერთი, დაგრჩი საქართველოში,
ველი გაგიშრა და დაისვენე.

ვერ იზრდილებდი ჩეროში შარშან,
ვერ აავსებდი ამ წყლით ბადიებს
და თუ ეს წყარო გვაღვაში დაშრა,
ცოდვა შემინდე და მაპატიე!

ნუთისოფელი

არ დაღვარო სუფთა ოფლი,
თუ ჯახირთბ, არ იქნება,
და რად გინდა წუთისოფლის
გატორვა და განჭიკება.

ვის არ უყვარს ოქროს ოფლი,
არც სიბრძნე სურს, არც ხუმრობა,
სტუმარი ვართ წუთისოფლის,
არ წაგვმწარდეს ეს სტუმრობა.

თუ წუთია ეს სოფელი,
სად გსურს ფიჭვის განადღება,
ჯერ იფეთქებს ფილთა თოფი,
მერე ბადე გალადღება.

გზას მიკვლევდა გვარი ფიჭვის,
არ მყოფნიდა ღონე მუხლის,
წუთისოფლის გაგლა მიჭირს
და არ მიჭირს თრევა უღლის.

თაფლის წვეთს ჰგავს დილის წუთი,
ხშირად მწუხრზე გამწარდება
და ცხოვრების გრძნობა ხუთი
ზამთრის პირზე ამწვანდება.

ვევბ მოწყდა ცას ვარსკვლავი,
შორს გაისმის დის ვაება,
უკვდავებას მიწვდა მკლავი,
ვის რად უნდა უკვდავება.

წყაროს თვალი მსურს ვაკურთხო,
მინდა ვნახო ცისკრის ფსკერი,
შინდისფერი ეს საწუთრო
ვის ეჩვენა ბინდის ფერი.

წლებს დაისი მიბჯენია,
მინც მიყვარს უღლის თრევა,
მწუხრს ცისკარი შირჩვენია
და დღით თვლემას — ღამის თევა.



მომწყდება თვალზე კურცხალი ლუწი
თუ მტკვარმა შენი ხმა ამარიდა,
მე ვარ მწყურვალე და ღრმა მოხუცი,
შენ ხარ მთის წყარო და მარგალიტა.

მეც თუ დავბრმავდი, როგორც ფაუსტი,
სიცოცხლე ჩაღად არ ეღირება,
შენი მშვენიების ნათელს დაგუცდი,
მოსვალ და თვალი ამეხილება.

არ ჩავრეულვარ ნაადრევ რთველში,
არც აპრილის ეკამს ვარდის გაშლაში,
მე გაეჩნდი სოფლად დეკემბრის თვეში,
როცა შეენიშნე თოვლის კამეკაში.

არ მიტირია წიფლის აკვანში,
ვტკბუნე ოჩე და ცივი ცილორი.
შუბლს მიგრძობდა ცხარე გვალვაში
ჩემი ლაქვარდის მცირე მირონი.

ვგებ ჭაობის ფრინველებს ვაჭლდი,
ვერ დაშიღეწეს ადრე ლავიწი.
მოვხუცდი, მოვტყდი და დაგუტლურდი.
ხორცი შემარჩა და გული დავიწვი.

დამრჩა ყვავილი შინ აუცრელი,
მჩხვლექდა ციების მწვანე გუგები,
მაშულის ტრფიალს ვერ გაუძელი
და ვერც დაღმართის გზას ვეუბები.

მე ნაბიჯების შვეროვება მინდა ოთახში
და გადადგმული ნაბიჯები მკვარავებიან.
დავსადრე ნაბიჯებს გულმოსული, როგორც
მევახშე,
და ნაბიჯები ქრებიან და ისევ დგებიან.

მე ნაბიჯების შვეროვება მინდა ბინაში,
მაგრამ მიდიან, არ ტოვებენ თითქო
ნაკვალევს.

მერმე მეც გავწევ აღმართზე უღელს,
ნებით გავსინჯავ ვენახის ხაოს.
ფესვს გამოვტყუებ მუხრანის მუხებს,
შეეჭვიდები კოლხიდის ჭაობს.

მინდა არ დამრჩეს ოცნება ლუწი.
შრომაში მერგოს შენი ნუგეში.
შენ ხარ მთის წყარო, მე ვარ მოხუცი,
და მსურს შეგებრუნდე სიტაბუკეში.

ჩემს წმინდა სარკმელს ბევრი კილადა,
რადგან ბრჭყვიალა დაგვმე ეფენები,
ვშოფოთავდი, დამეს ვტეხდი დილაშდე,
დავილაღე და ხევემი ვეშევი.

არც გამვლელი ვარ და არც ხიზანი,
ჩემი ფუძის ჭა ვერვინ დაშრიტა,
ვიყავ მშრომელი, ერთი მისანი,
როგორ მეგონა სუსხი დამშლიდა.

მიშველე, მიხსენ აწ დაქანცული,
დამე ფიქრების ძველი ჩარჩია,
ცხოვრების ჯაგში ვარ დაკარული,
მკერდზე წვეთების ხომლი მარჩია.

არ შემიცვლია სახის ნაკვთები,
ვერ გავაყუჩე სულში ნუგეში,
ვიცი წინასწარ, ხევემი ჩაგვედები
და მკვდარი საფლავს ვერ ვეუბები.

არ ჩანს ქაერში, ოთახში და გამბალ
სილაში,
ურთოდებიან სივრცეებს და ქაერს
საყვარელს.

საკვირველ სურვილს, ნორჩი მგონის
ნატვრას უბარს,
ნაბიჯთა კრება შეუკრები მუდამ თანა
სდევს.

დაკარგულ განძებს მგოსნის გული ვერ
გვეუბნება,
თხზავს ლექსებსა და ღამეს ანაზებს.

ვიცი, ნაბიჯმა გადმოლახა მარადიული,
აქ იატაკზე უთვალავი ვინ გადახოცა,
მან მოიტანა ვარსკვლავები და დღე
მზიური,
ჩვენ მოგვიყვანა ქვეყანაზე და გაგვაოცა.

და პირველ სახეს ნაბიჯისას მუდამ
დავუძებ,

ჩემი ნაბიჯი ცალკე ვნახო მინდა
ნამდვილად.

თითქო დადიან, ხმაურობენ, უამი

და მათი ხმა და მათი რიცხვი ვუღარ
დათვლილა.

საკვირველია, უნდა გაგვცდეს, საკვირველია,
რა მოვიფიქრე, რისთვის მინდა ნაბიჯთ
კრებული,

მაგრამ რას ვიზამ, ნაბიჯები მუდამ
მელიან

და ნაბიჯებით ნაბიჯს მივსდევ
დაფიქრებული.

ზ ე რ ა ზ ე ნ ი

თუ გაგონდება ზედაზნის თხემი,
შენ მიგვიძღოდი, როგორც მითბავი.
ნუშუე თეთრი და აპრილზე მწვამი,
შენ მთის ყვავილის მსგავსი იყავი.

მხარს გიმშენებდით მთამსვლელი სამი,
შენ გვიმატებდი სიცოცხლის იერს
ვქიშობდით, წამზე მიპქროდა წამი
და უბილიკო აღმართი ვძლიეთ.

ჩრდილი დაგვხვდა თუ ხასხასა სხვენი,
ხავსმოდებული ტაძარი უნდო.
დაგვხვდა დუმილი და ზედაზენი,
დაგვხვდა ზედაზნის დუმილი მყუდრო.

ხმა გაკმენდილი ეპოვე წიფლები,
ტყის უჩინარი თვლემდა ნაშენი.
შენ გეხვეოდა ჩემი ფიქრები
და ამაღლებდა სულს ზედაზენი.

თვალს იტაცებდა მთა დაკორძილი,
მეგონა მწუხარზე უფრო ინათებს.
თითქო დასრულდა ჩხიკვათა ქორწილი
და ჩათვლიმით ამ ტყის ბინადრებს.

არსით ისმოდა ჩქამი ნადირის,
ეს უღრანი ტყე გაგდა მოკეთეს.
მოლზე მოვაწყეთ მცირე ნადიმი
და ვკითხულობდით ტყეში გოეთეს.

მოლზე დავღვარე ღვინის ზედაზე,
ვნახე ბუნების ხასხასა სხვენი,
ზედაზნის ფიქრებს ვგავდით მე და შენ,
მზე, სილამაზე და ზედაზენი.

მზემ მიწურულმა ბინდი გააკვეთა,
სხვიით აანთო ტაძრის ალაგი.
დაბლა პირისპირ აფრინდა მცხეთა,
მტკვარს დაეჯახა ისევ არაგვი.

მ ე ბ რ ი ნ ე

მეძახოდნენ ლურჯი მთები გურიასი,
მდინარეზე ჭანაობდა ბორანი.
ჩალა მქონდა გამოჩრილი ილიასი
და დამყავდა სიყრმე მოსაგონარი.

მივცურავდი, დავყურებდი მღვრიე რიონს,
ძველ მებორნეს ეპყრა მსხვილი მავთული,
სააქაოს ამბავი თუ საიქიოს
პირში მქონდა ნიგოზივით ჩართული.

მზე წედებოდა, იშლებოდა არშიები,
შრიალებდა შინდისფერი რიონი,
ძველ მებორნეს ეცვა ჭრული მამიები
და გაველო ცხოვრების გზა იოლი.


არც ქვა ვეღო, არც მაგიდა, არც სკამები,
ჩურჩულებდა შორს ლაქაში ცოცხალი,
მოეწყვიტა ცაზე მწიფე ვარსკვლავები,
და მებორნე იდგა, როგორც მოძღვარი.

ამ მთის ამბავს, ამ მთის ამბავს
გვიამბობდა,
ჭგავდა მთვარეს, თუ შავეთის მახარეს,

ღამე რიონს თითქო კვერთხით მიამობდა
თუ ყველა მგზავრს გვიმზადებდა
სიონი ჩემი

ჩალა მქონდა გამორილი ილიაში,
ღამე იყო, ჩურჩულებდა ვაკაში.
მე ამ ბორნით გადავედი გურიაში,
საიქითს გავესხლტი და გადავრჩი.

ახლა ხიდი აშენდა და გზა დამშვენდა,
მთები ჩანან აბრეშუმის კაბაში,
ბორანი და ყორანიც კი გადაშენდა
და მებორნეც ჭორებს ყველა საფლავეში.



მ ი თ რ ი ღ ა ტ ე

რ მ მ ა ნ ი

1. შავი ნაპი

იყო მხოლოდ მზე... მზე და ზღვა... და ისე ჩანდა თითქოს ზღვა აღწევდა მზემდე. აი მის გაეკრა და ქვედა კიდე მოუჭობა... ახლა მზე ოქროს მუზარადიან თავად ჩანდა, ზღვა კი სხივფერულა აბჯარში ჩამჭდარ სხეულად.

— ხილვის გამოია! ღმერთო ზღვათა და ცაათა — სპერთ სპეროზა, ბერძენთ — პოსეიდონ, კოლხთა — ჰეა!

კლდოვან ნაპირზე მადლა ამოტვლი ქვაკაცა იღვა. სხივი ზედ ჯერ კიდევ აჩენდა ტვიფრულ ასობესა და ბურცულ ნიშნებს. არა, ეს ქვაკაცა არც ღმერთის გამოსახულება იყო, თუმცა ამდაგვართ ზღვისპირეთის ქართველი და ქართველური ტომები კერაბეად რაცხდნენ, ბერძენები კი, მათი მიბაძვით — კვირბებს უწოდებდნენ, ყველას, სპერით თვისტომსა და უცხოს, სწამდა ქვაკაცათა იღუმელი ძალა და ზეგარდმო წარბოშავლობა.

ზღვამ კი სულ მალე მოანახევრა მზე. კლდის ჩრდილი ვეშაბის ყბასავით წამოიფლავრა ქვაკაცას.

— ნავი! — დაირბა ბოხი ხმა და კერპის ფერხთით ჩრდილები ამოძრავა, აბჯარ-ჩაჩქანი აახხრიალა. ქველამ ზღვას ვაძხედა. იქ თითქოს მზეზე გაყრული შავი წერტილი მკაფიოდ ჩანდა.

— ნავია, ორხოფიანი! — ახლა როდესაც თვალის მომჭრელმა სინათლემ იკლო, ერთნაირი შეუქმინდი მოღვა, კერპის ირგვლივ გამოჩნდა შემორკალულად

აღმართული ქვასავარძლები. ზედ მორთხმით თუ მორკმით მჭდარი ჭადაროსნები ახლა კი შეიარხნენ და ამეტყველდნენ:

— იქნებ ახლა მაინც? შესამე კვირაა გელით!

— იქნება! ღმერთებმა იწებონ! უკვე მეორე თვეა აქ ვარ...

— ჩვენცა! ჩვენცა! — ახშიანდნენ, ახურჩულდნენ ქვაკაცას ირგვლივ მსაღარნი.

ამ დროს ქვასავარძელას გედების გუნდმა გადაუარა...

ზოგმა, უფრო ჭარმაგოიანმა ისარზე იტაცა ხელი, მაგრამ შეგუზარადამ ხელი აუქნია...

— რა დროს ეგაა?

ყველამ ინიშნა და თვალი გააყოლა გედების გუნდს.

— ერთი შავი გელია მათ შორის!

— შავი... მეც დავინახე შეგუზარადავ, ბედან-კოლხთ! ბრძენკაცი ხარ გვიმისნე რამე... აი შავი ნავი მზის ბაღროზე და აი შავი გელი ჩვენს თავზე გადავლილი!

— არც მისანი ვარ, არც სამისნოდ მიწვევისხართ ნათესავ ტომთა უმტუცისნი!

— იქნებ უარპყოფ მისნობის ძილას? ახლა ბრძენ-ფილოსოფოსნი გაგვიმრავლდნენ ელნითაგანნი მაინც! — ხმა ოდნავ შეარინა ბრგე, შეგუზარადა ამიოიბერმა, მერმე ისევ იღინჯა და სხეებს

გადაჰხედა, გუმანში თარიღები შეაჯერა და ჩაითვალა, — მაშინ ვინ იმისნა, სწორედ ცამეტი წლის წინათ, ორბოძალა კულა ვარსკვლავი რომ გამოჩნდა — დიდი მეფე, კაცად — ღმერთი და ღმერთად — კაცი გაჩნდებო, ქართველ ნათესავთა, ყველა ჩვენებურ ტომს შეაერთებსო, ზღვასა და ზმელს ერთად მოაყენებსო!

— მე ვთქვი! მე — ბერშუმ-ხალიბმა... რამლი ვყარე და ყველას ფიქრი და სათქმელი გამომივიღა! — შავი ლაბადის სახელო მადლა ასწია. იგი უფიაროდ იყო მოსული სპერის კერპის ნაპირზე, მხოლოდ რკინის მიჯვრა ებყრა ხელთ და არც იშორებდა ქამმოჭარბებული. შეძრულ მოხუცებს კი აღმოხდათ ბელსაჩივარი:

— მერმე სად არის? თორემ სულ დაიქსაქსა ჩვენი მოღვმა! — აქეთ-იქიდან მოაძახეს, სხვა და სხვა კილოზე და კილოკავზე.

— მიგვძალა უტხო ტომმა! ენა გვეხშობის! კილო გვეცვლების... დედა-ენა ძლივს-ლა გვესმის!

— ჩვენ, ტუბალთ ნახევარი, კაბადოკს, მონობაში ვართ... ნაწილი მესხნიც ჩვენთან არიან... ხალიბნიც...

— ხალღები კი მიგვძალა მიღმა და პართმა!

დარღიანად ამეტყველდნენ მთიული ლახები და ბიძგები, მაკრონები და სანიკები... ტაოელნი, სვანნი, ჰენიოხები, აფხაზნი, აფშილნი, დრილნი და სხვანი...

ბერშუმ-ხალიბმა მიჯვრა ჩამოჰკრა ქვაკაცას და ნაბერწყლები გააყრევინა. ყველა დაღუშდა.

— მე ვთქვი, ჩვენ ვულსაოხს დამთხვეული მისნობა და ვგრეც იქნება! ეს შავი გედიც იმისა! იი შავსა ნავსა — შავი ამბავი კი მოაქვს!

ბედან-კოლხმა მუხარადი ველარ იგუა თავზე, იშორა და კვლავ ნავს გაახედა სრულ დაწაფებით... დათქმული ნიშანი მშვიდობისა და ხეივსვლისა, მართლაც არ იყო ნაეზე.

კოლხმა ნიშის სპანთლიდან ანთებული ბაზმა ამოიღო და წინასწარ შემზად-

ბულ თვის ბულულს მისცა ცეცხლი. კეპლი უმალ სვეტად აღგვიქანდა.

ნაეზე შავი ალაში აფრიალდა. შეაბჯრულმა ბეროკაცებმა თავი ჩაახარეს და ახლა ისინიც ჩამჯდარ ქვაკაცებს დაემსგავსნენ. მერმე ქვაში და კბილში გაცხრილი ჩუმი ზრუნი წამოიწყეს.

ნავი კი ჯერ შორს იყო. მხეწასულ ოქროფერ ტალღებს შავი ქავლი შეეპარა, მალე დაეუფლა კიდევაც და შევზოლა ქაფით წამოვიდა ნაპირისაკენ. ბავთის მოლოდინმა აშასაც გადააჭარბა. ყველაზე ახოვანი და ტანოვანი შახუნჯავ ტაოელი მთასავით წამოდგა, რქებდაყრილი ტყავის ფარი მიწაზე დაანარცხა და ვეება მკლავები ვაშალა...

— არსიან-ბასიანის სალოცებო!.. ამ თავშეყრასაც ავბელი დაჰყვას, თუ ლოცვა — ბაპი ვარ — დაეაშქყალობოთ შივედრალი! თუ ოშია და ომის ბაპი ვარ! ვაქვავებს მერმეც მოვასწრებთ! შერგილ ბერთავო, სთქვი თორემ მე ვიტყვი! თქვენცა ხევისბერებო, ამოსიტყვეთ, თორემ დაგვახრჩო ზრუნმა!

ზრუნმა სიტყვები დაისხა და აგორდა, მაგრამ შერგილმა არ აცალა, ძვალტყავა ხელი ასწია...

— იყურეთ ბაპებო და ხევისბერებო! ტომთუხუცესნო! შავი ნავი, ჩანს, ზარს მოგვიმატებს, მაგრამ თავხარს ვერ დაგვეცემს, ვერა! რომელ ჩვენთავანს გაავვირებებს?! მაგრამ ვიდრე ახალ საძნელებედოს წვრილად გავიგებდეთ, ახლა მაინც ვთქვათ ზოვი რამ წინასწარი... მესხთა, მოსოხთა, მოსინიკთა, მუშკთა სახელით მე — შერგილ ბერთავი ვითხოვ — რაისა მიზეზისა გამო მოგვიწოდეთ ქვასავარძელსა!

— მიზეზი? მიზეზი! — ისევ ამბიანდნენ ბაპები და ხევისბერები, წვერებზე ხელი შეივლეს რკინისა და ტყავის კაბა-აბჯრები შეარბიეს.

ბედან-კოლხმა ახლა კი ინიშნა, რომ ტომთა წარმოგზავნილთ ველარ გადაუდებდა პასუხს. აქამდე კიდევ იმედი ჰქონდა, მაგრამ აი ნავი მოდის და ზედ სულ არ არის სამეფო დროშა... არც ნიშანია რომ ზღვის სივრცეში სადმე მო-

დის მეფის ზომალდიონი. შავად არის საქმე, ზედება მწიგნობარი და ფილოსოფოსი, რომ ეს უბრალო მარცხზე უარესია ჩაღაც!

— ალბათ ისევ ახალი მძვინვარე მტერი — ფიქრი უნებურად სიტყვებში აუხმაურდა, შებღბუე ხელი გადასვა და ქვედა ბაგე ჩაიკვინტა.

მაგრამ ბერ-წვეულები აღარ დაცხრენ:

— თუ მძვინვარე მტერს ელოდით, რაღა მსცოვანთ მსცოვანები, ყაპაპები, მარტოსულები იწვიეთ ბჭობად... და არა ტომთა მეფენი, მთავარნი, მხედართბელადნი და სხვა უფალნი — ძალის მიერნი?

— ჩვენ ზოგთა ტყავ-აბჯარი იმათ გვმოსავს, რომ ძვლები არ დაგვეშალოს!

— ვისი სახელით გვიწვიე საერთაშოთ, დაუცადელად!

ბედან-კოლხიცი ახლა ქვეყანასავით იღგა და შემოსეულ მსცოვანებს თვალუხანძრამოდ უმზერდა... ყველას თვალბში შავი ნაფი ელანდებოდა...

— პონტოს მეფის — მითრიდატე ევერგეტის სახელითა და ღვალებით ვიწვიე ყველა ქართუ ტომთა, ნათესავთა უმსცოვანესნი, ბაპები და ხევისბერნი, მამასახლისნი, სწავლულნი კაცნი, ცხოვრების ბრძენნი, ფიც-ლოცვის მოქმედნი, ძველ ნაწერ-უწერის ფილოსოფოსნი, სულიერი მამანი ტომთა... დიდ საერთო საქმეთა გასაყითხავად... თავადაც უნდა მობრძანებულყო... მაგრამ შავი ნაფი გვიახლოვდება! — ბედან-კოლხს სუხოქვა შეეკრა, საკინძე მიიხალავათა და უფრო გამწარებით დასძინა, — შეყრის მიზანი კი ჩვენი ქვასავარძელას სულიერი საფუძველის გამოქტციება იყო. ჩვენ ტომთა ერთიანობის პირველბალავრად ჯერ სულიერ, წიგნიერ, ლოცვისა და ფიცის მამა-პაპა-პებრათა შეყრა გვესახებოდა; მხოლოდ შემდეგ მეფეთა, ბელადთა და ხელისუფალთა წვევა მიზნად კი, ბრძნულად ნაჭვრეტი ქართველ და ქართველურ ტომთა კავშირითიანობა ახალ, საერთო, უმძვინვარეს მტრის წინააღმდეგ...

— პროზნი! — ამოიგმინა ხალღუ-მისანმა. ამ გმინვამ ქვასავარძლებე ქაპი-იარა და რკალად შეიკრა, მხოლოდ აბიო-იბერი მხარაჩეჩილად სდუმდა. მერმე გაკვირვებით იკითხა:

— რაით არიან ასე ძლიერ და სიშისი — რომნი?.. სიმრავლოთ, მებრძოლობით, ვერავობით, სისხლოს მსმელობით თუ რითა?

ყოველ ჩამონათვალს გვინვა ელასტურებოდა და უფრო ამხვილებდა.

— ქართველ ტომთაგან — იბერნი ყველაზე ჩრდილო-აღმოსავლით ხართ, თქვენამდე ჯერ არ მოწვდენილა რომთ მსახვრალი ხელი! ჯერ ჩვენ ვიკითხოთ ხალიბებმა!

— ჩვენცა — ტუბალებმა... ხალღებმა... მოსინიკებმა!

— მთელმა პონტოს სამეფომ და შიგ შეკრულმა ქართუ-ტომებმა! — ახლა კი აბიო-იბერს შემოადგენენ და ნაწყვეტ-ნაწყვეტა თხრობა იწყეს...

— რომმა უკვე სამოლოოდ დათრგუნა და გადახნა კართაგენი, იპროკელტი-იბერი, გალთა ქვეყანა, ერთობლივ იტალიკები, ევგობტე, მთელი ელადია... მკვედონი, სამშობლო თვით აღუქსანდრესი... ყველა კუნძული და ქალაქი ეგეოსისა, პროპონტიდისა. მათ უძველესი და სახელსუიანი ტროას სანახები, პერგამ-სამეფო დიდ მხარედ — აზიად გამოაცხადეს და რომის სამფლობელოს შეუერთეს! დამარცხეს სელევკიდთა ასურასტანი... ბითინიას მორჩილება მოსთხოვეს და ავად გაგვამზობლდნენ!

— მთელი დასავლური მსოფლიო უპყრისა? — ამდენს მაინც არ მოგლოდა აბიო. ბედან-კოლხი კი ისევ ჰყვებოდა მის თვალწინ ჩაქროლილ ამბებს.

— ახლა შიდა კაბადოკიის ჯერია... ტუბალთ ტომისა! პონტოსთან გაერთიანების ნაცვლად ზოგი ვინმე ლამობს ჩვენი თიშვისა და თრგუნვას ბუდეთ გადაქციოს. ასეთია ზრახვა რომისა და ჩვენც საყოველთაქართველ ნათესავთა ოდიგარს გზრახავთ!

— ეს როგორღა გამოდის ახლა, — ისევ წამოვარდა არსიანელი მღვდელი,

მანუჩაგ ტაოელი, — რომი ხომ თქვენი მოკვეშირე და მეგობარი იყო?

— ჩვენი შველა სჭიროდა! ჩვენც ვეხმარებოდით, ვერ ჰანბალის წინააღმდეგ, მერმე ანიკენტიც ჩვენ დავემარცხეთ!.. მაგრამ მათ შთაღოდ მხედრისა და ცხენის „მეგობრობა“ სწამთ და სწადთ! რაც ხმლით დავებრუნეთ და მათი დასტურიც იყო... ქართუენა ბითვი-ნიაში, ამასტრო პათლაგონიაში და შა-ზაქა შიდა კაბადოკიაში... ახლა სხვადა-სხვა ხრიკებითა და მუქარათ უკან გვი-ლავენ... ჩვენ დავესკვენით მტკიცედ დგომა!

— მაინც, რით არიან ასე ძლიერნი? — ისევე ძველ კითხვას მოუბრუნდა იბერი.

— ლაშქრის რომაულ წყობით და იარაღით... და რაც უმთავრესია — ვერა-ვობით, უკვე დამარცხებულთა საოცარი გამოყენებით... ახლა კი, ჩვენს მიმართ, ჩვენი დაქსაქსულობით! ნუთუ არ გვეს-მის რომ ყველას გვიწვის ჩვენ-ჩვენი გულა-ნაბადი — ბედან-კოლხმა ხელები ძელზე გაყრულოვით განზე გაშალა.

ყველამ თავი ჩაჰხარა. მალე ნავიც ოდნავ განზე მოაღდა ნაპირს, მხოვე-ნებმა ინიშნეს და არ წაივინენ შესავე-ბებლად... გულსეგვიანად უწყეს ჰერე-ტა.

ახლა კარგად ჩანდა, მცირე კამარა-ნავი, ზედ ორად ორი კაცი, წყვილ-წყვილ ხოფს უჯდა, ერთი შავმუხარა-დოსანი იყო, მეორეს თაღბი ლაბადის კუშტული უფარავდა სახეს.

შავ მუხარადიანმა შავი ღროშა აიღო და ნაპირზე გადმოვიდა.

მოსული განზრახ აჩენდა სახეს, ხა-რადი აეწია. ბედან-კოლხმა უმაღ იც-ნო:

— ტარიელ უმცროსი? — გულში ფარულად მჭიღბ იკრა, — სპეროზა, მითრა, არმაზ! ზღვათა და ბჰელთა მპყრობელო და მანათობელო!

ტომთა უხუცესნი მძიმე მოლოდინში ჩასხდნენ და ფეხსაც არ მოიცილოდნენ, მაგრამ გლოვის ღროშას აუღდნენ.

ტარიელ უმცროსს კი შავი ღროშის ვარდა, თავფასკუნჯა და აღმასწყობილი

ქარჭაშიანი დაშნა ევიდა კისერზე იგი უსიტყვეოდ წარსდგა მხოვესევე ბჭუბუჩს წინაშე და ქვაკაცას ტერფფფ... წიშნა ვარცხლულ სამსხვერპლოზე შავი ღრო-შა და დაშნა დაასვენა, თავადაც მუხლო მოიყარა.

ბედან-კოლხი ხმაღანშულად შეეკი-თხა...

— გლოვის მაცნე ხარ... ვხედავთ! სხვას ველოდით და სულ სხვა მოხველ... გვაუწყე!

მოსულმა უფრო ჩაჰხარა თავი:

— ვინც უნდა მობრძანებულყო — ველარ მოვა!

— ევერგეტ — დიდი მეფე! მონ-ტოს დიდებმა? — წვიმადაკრულ ნაკ-ვერცხლებივით აშიშინდნენ მტკენი. მო-სული ახალგაზრდა იყო, მეტი ველარ მოითმინა:

— მოჰკლეს!

მობუცები გაქვავდნენ...

— რომნი? — თავზე ხელი იტაცა კოლხმა.

— არვინ უწყის...

— ანდერძი?

— არ აღმოჩნდა...

— უფლისწული — 13 წლის — მით-რიდატე ევატორი? მაგრამ თითქოს სრულწლოვანი?

— არვინ უწყის... ცოცხალია თუ...

ახლა კი სიღინჯე დაქაჩავა ყველაზე. მათ შორის ბედან-კოლხმაც.

— ჩემი გაზრდილი... ყველას იმედი? რა მოხდა მეფის კარზე სანოპეს?

— გვითხარი წერილად! ვინ გამოვი-შვა? ვისი სახელით მოხვალ?

— რა ამბავია მონტოს?

მაგრამ ტარიელ უმცროსმა ხელი იფარა ყურებზე...

— არ ვიცი, არა! ყველგან ლალატის ლანდია და პატივს ვითხოვ!

ახლა კი გაწყრნენ ქვასავარძელს ბჭუნი. ყველამ მარცხენა ხელი აღმართა, ხმა გაიკმინდა, ბედან-კოლხს ანიშნეს და აცალეს სიტყვა...

— ჰაბუკო, ვერ არც შენა ხარ სრულ-წლოვანი! ჩანს შენ არც იცი — ვის წი-ნაშე ჯგაბარ, არც ის იცი — აქ რა სწე-

რია! — კოლხმა ქვაკაცს ტეფრულზე მიუთითა. — მაგრამ ახლა არც ამის დროა, მარცხენა ხელის გულზე დაგვიხედე!

ტარიელმა ვაკვირვებით მიმოიხედა... ყველას მარცხენა ხელის ნები დალიო ნიშნული ჰქონდა.

— ეს რაღას ნიშნავს?

— ამირანის ფიცის კვალია! და არც ეგებოს საიდუმლოს ცნობად ლეხა კაცთაგან, ვიდრე ვარვარა შანოს ამ კერპიდან ზღვაზე უგმინველად არ ჩაიტანს! ახლა შენ ერთი ხარ ყრმა და უფიცი — მსოფიან ნაფიცი შორის! ყოველი იღუპალა ათქმელი განაცხადე! შენც დაგაფიცებთ მერმე!

გლოვის მაცნემ ერთხელ კიდევ სჭიდა თვალი გაგულისებულ, ხელადმართულ ბაბებს და ბეღან-კოლხს მიმართა...

— მე მხოლოდ შენ გიცნობ... აქ შენთან მოვედ, მრავალ ხიფათს გადაჩენილი... ჩამომყევ ზღვასთან, სავარაუდოდ და სათვალისწინო უთვალავია!

— წაპყე! წაპყე! — შმადაბლად ურჩია აბიო-იბერმა, — ამის ასაკში ნეტა ყველა ასეთი ფრთხილი და წინდახედული იყო!

სხვებმაც დასტური მისცეს...

—... მხოლოდ ნულარ გაუშვებ — ვასაგები უნდა გავიკოთ! — წასტურულა მახუნჯავმა... და ყველამ პირი ზღვი-

სკენ იბრუნა. ახლალა შეამჩნიეს — ნავე განშორებოდა ნაპირს და უკრძნუნე კრწი გატყორცნის შორავით ცქრაგუნს მცქნა მულ ქავლში.

— რა სისხლივით ზღვაა! — აღმოხდა ხალღე-მისანს, მერმე მისანური ჩერრული დაყოლა, — იქნება ზღვა სისხლისა და მზე სისხლიანი! მრავალ ცეცხლი და ტომი დაიშრიტება!

მაგრამ მსოფიანები არ უსმენდნენ აფორიაქებულ მისნობას. ყველა თავის ძირა ფიქრს შესჭიდებოდა, თან ჰმუნვაში გაცრილად მხედავდა — როგორ დეშვნენ თავქვე, ზღვის პირისკენ ბედან-კოლხი და გლოვის მაცნე, მერმე უეცრად აუჩქარეს სვლას. ახლა უკვე ბრძნულ სიღინჯისათვის სათაკილო სიჩქარით, წინ მიილტოდა ბედანი, ბოლო ზედ ნაპირზე, წყალშიაც შესტობა და მუხლებზე ჩაღვია. ასე ხელაწყარი დავლოდა ნავს.

როდესაც ნაპირს მოუახლოვდა, ნავში შევლბადიანი, ტანადი კაცი წამოიმართა, ლაბადა შიგ ჩასტოვა და კლდეზე მსუბუქად ამობტა, უკვე თეთრი ტალავროსანი. მერმე თითქოს უფრო ამალდა.

...მის უკან კი ზღვა შეწამულად შეტბორებულა, ოღნავ დეღავდა, ოღნავ შიშინებდა... და იყო როგორც უნაპირო საბრძოლო ველი.

2. თავგაპოვბილი და სსმვაპოვბური

პონტოს, უკვე საკმაოდ მოზრდილსა და მოძლიერებულ სამეფოს, ორი ქალაქი განსაკუთრებული შინა და გარე მნიშვნელობისა ჰქონდა.

ერთი ძველი ღებდა-ქალაქი იყო — ანასია, ქვეყნის შუაგულში, პონტოს კაბადოკიის უძველეს მკვიდრთა — ტუბაღლთა, სხვა ქართველ და ქართველურ ტომთა მიერ დასახლებული, მეორე — ახალი სატახტო — სინოპე, ზღვის პირას, ჭარბ ბერძნულ მოსახლეობითა და ცხოვრების წესით.

უბედურება სწორედ სინოპეში დატრიალდა, საქმეში ჩახედულთათვის — არც მოულოდნელად.

პონტოს სამეფოს ირგვლოვ მძიმე ვითარება შეიქმნა. ამ „დიდი ომი უნდა დაესწრო და მოეგო“ მითრიატე V — ევერგეტს... და აქი სრულფარულად ემზადებოდა კიდევაც... ან „შინაგანი ცვლილება“ უნდა მოეხერხებინათ და გამოეყენებინათ, ყველასათვის ცნობილ, მაგრამ ხელუჩინარ მტრებს. გარე დუშმანი და მჩხიბავი არაოდეს არ ჰქლებია

ქართველ ტომთა სამყაროს, მათ შორის და იქნებ მით უფროც — პონტოს.

სავეს მთვარის კვირას, ღღისით-მზისით ღარბაზობა-ზეიმის შემდეგ მეფე მითრიდატე ვეერგეტმა რჩეულთ ნადიში დიდ სასახლის საბრძოლო თავანზე ბრძანა. ნავთსადგომს, ქალაქს, ზღვას გადაჰხედა... მაგრამ ყველამ იცოდა, რომ იგი მხოლოდ თავის საამაყო ხომალდითს პხედავდა ზღვაში.

გული იჭერა და სახვალაოდ დიდი სახმელეთო აღლუმიც ბრძანა. დამატებით ცხენოსანი ლაშქარი იხმო და ორლესულად — მგლებზე რადირობა მოიმიზეზა. მეფურ ჯილდოდ განთქმული უდაბნოს იორლა დათქვა და მრავალი გააკვირვა, ქაბუკი უფლისწულიც:

— მგელში — ცხენი? ისიც უდაბნოს იორლა? მამა მეფეო!

— ძე მგელში!.. აბა ვეფხებს რას ვერჩი, ჩვენებურები და ჩვენი ბუნებისანი არიან!.. ძე მგლის ნაჭილაგარ-ნამრავლი კი ვასაწყვეტია, თორემ გადაეკვამს ყველას!

უფლისწულმა იგრძნო, რომ აქაც რაღაც ორლესულობა იყო, მაგრამ აღარ შეეკითხა, ქაბუკურ ოცნებებში გაღმერთებულ მამას. მეფე კი თავის ამალას ადრე განშორდა, ღედოფალი ლაიდიკე, ვაროზ სელეკველების შთამომავალი, სირიელ მეფის ასული, საღედოფლომდე მიაცილა... მგლები თავთავის საღვთომებში ვაუშვა, მხოლოდ უფროს ვაჟს, ცავეტი წლის უფლისწულს, მოსიყვარულე თვალი სჭიდა და შეაჩერა. იგი უკვე მამასაც უსწრებდა სიმაღლეში, ხოლო მისი ადრეული განსწავლულობა არაკად ტადიოდა პონტოს სწავლულთა და აზროვანთა შორის.

— შენ ნუ წამოხვალ ხვალ.. — ჩუმად წასჩურჩულა მამამ სიყრმის შვილს, მაგრამ წყენა და ვაკვირება შეატყო და სულ ჩაიკლო ხმა, — მე ტახტის მემკვიდრეს ვეუბნები, მითრიდატე ეკპატორს, ჩვენს საბოლოო იმელს!.. ამ „ნადირობამ“ შეიძლება სულ სხვაგან გადაინაცვლოს... და კიდევ იცოდე — ჩემი ანდერძი დედაშენს აქვს და კიდევ...

თუმცა ისინი თავად მოგნასავენ, უკეთუ... — აღარ დაამთავრა, ამალის მხრანლობა იგრძნო, ძილის სურვილი და მთქნარება მოიჩია, შვილს ლოყაზე ხელი მოუთათუნა, — დამე მშვიდობისა! ხვალ დილას გნახავ!.. — სარანგები გასინჯა და თავის საწოლში შევიდა.

დილით თვით მეფე და მისი შიდა ორი მესაწოლე მცველი თავგაპობილები აღმოჩნდნენ. ხოლო როგორც უფლისწულის ახალგაზრდა მკურნალმა თემესტემ ფარულად გამოარკვია, მცველები წინასწარ დაბანგულებიც იყვნენ.

სასახლის ციხისთავი, სინოპელი ბერძენი — დრომადე კი ვერსად ვერ იპოვნეს. იგი თავის ოჯახით ღამევე საღვთვად გადახვეწილიყო.

ეს მძიმე ამბავი, ჭერ კიდევ უთენია აცნობა უფლისწულს, მისმა უერთგულესმა მზრდელმა, ხალიბმა ოდიო-მეაბჯრემ. იგი ღამეს თეთრად უთევდა ხოლმე მითრიდატე-უფლისწულს.

თავზარდაცმული მემკვიდრე წამოვარდა და საცვლების ამარა გაიწია მამის სადგომისაკენ. ოდიო-მეაბჯრე კარში გადაუდგა... სულ გამორაზა კარი და „სამინელი სიფრთხილე“ მოსთხოვა „მამამოკლულს“.

— ახლა შენი შემხედვარეა ქვეყანა! აბჯარი მოირგე, აბჯარი!

თავად შეაბჯრა და შეადანჯა თავგზაბნეული ქაბუკი.

ზედაც თემესტე მკურნალი მოვარდა, ზარს ზარი მოუმატა.

— ვერ დაეფარავ, უფლისწულმა უნდა იცოდეს, თუნდაც ქაბუკმა, მაგრამ ადრე შევაქაცებულმა... გასრულდა წყნარი ცხოვრება და ყმაწვილობა, დიდ ზღურბლზე ხარ... იქით ან სამარეა, ან ტახტი!.. ძირის დღეი გავუსინჯე ორივე მცველს, ჭურჭელიც ვნახე... დასკვნა შეჰველია!

უფლისწული თავჩაფარდნილი უსმენდა, უხმო ცრემლი სდიოდა უღინდლო დაწვებზე, კულულებდაყრილ შებლზე კი ცივი ოფლი ეკუქრა...

— მამას? უბედურ მამას არ შეუძლო წმე?

— არ მიმიშვეს...

— მე ღედას ვეტყვი... ახლაც გავა-
სინჯინებ...

თემესტეს ფერი ეცვალა...

— მე დაგიღუბე მაშინ...

— რათა?

— ასეთი შხამი მე მაქვს მხოლოდ.
ღაზოგილი უფლისწულისთვის...

— მე რომ ციქვანა ზომით ვიღებ
ყოველ ჰამის ქაშის? — თავი ასწია ცრე-
მლიანმა.

— სწორეთ ის არის და ამის წინათ
ღედოფალმა მომთხოვა — ქალარა თვის
კვლავ აშავებსო... მას მეღდას წაპალი
ჰკონია!

— მერმე ვერ აუხსენი?

— ვერ დავარწმუნე... დარწმუნება,
ჩანს, არც სურდა... ახლა მესმის... არც
მეღდა და არც ქალარა აქ არაფერ შე-
აშია... — დაბნეულად ბუტბუტებდა
თემესტე.

უფლისწული წამოვარდა:

— რას ამბობ, გესმის?

— მესმის, უფლისწულო! ახლა შენი
დარღვი მაქვს... ფრთხილად იყავ — შხა-
მი და დამნა დადის თქვენს სასახლე-
ში... მეფეს სწავდა, ახლა მემკვიდრე უფ-
ლისწულია საფრთხეში!

— ვისაც მამაშენი არ უნდოდა, არც
შენ გინდომებს! — ახლა ოდიო-შეაბჯ-
რემ დაუქრა კვერი, — სასახლის ავი
ხმაური გესმის!?

— მესმის! — წელში გაიკრათა ქაბუ-
კი მითრიაბატე, — თემესტე, აქ იყავ —
ღედასთან წავალ... ახლა მე ვიცი რო-
გორ ვილაპარაკო... შენს შესახებ — არც
ერთი სიტყვა! შენც დაივიწყე დრომდე!
მაგრამ ახლაც არ გაუშვა მეაბჯრემ:

— თუ ღედასთან მიხვალ, სამოსი გა-
დაიცივი აბჯარზე! თვალში ნუ ეცემა! —
თვალს გადააცვა, შეუფარა შეაბჯრე-
ლობა, თვით კი იარაღასხმული გაჰყვა.
სადგომი გარედან დარაზა და ბოქლომი
დააღო.

ღერეფებში, ტალანებში, სართულე-
ბზე სასახლის მსახურნი დაბნეულად
ფუსფუსებდნენ. მანდილოანებს, მესა-

წოლებსა და მოახლეებს თავჩახრილი
ჩურჩულის კორიანტელი კაბით და
წვრივ, ვრძელ დარბაზში მამაცად
ყრილიყვნენ და შემფოთებულ საბეჭე-
ბსა და გაშლილ ხელების ბრუნვაში იყ-
ვნენ.

კუთხეებსა და გარეკონგურებზე ორ-
მაგი დარაჯა იდგა. ქაბუკის დანახვებზე
უფრო შემფოთდა ყველა. მაგრამ სად
იყო აქ ნამდვილი და მოჩვენებითი გლო-
ვა? ამ ეჭვმა უეცრად გაავერბა მოკლე-
ლის შვილი. მან შეზღუდულად გადა-
ჰხედა მოჯარულთ და მათ თვალებში
საკუთარი თავიც გააპოხილად დაინახა.
ამან უფრო გააგულისა და გაამკაცრა...
მერმე მოჯარულობაც გაიპო და მამი-
სეულ სადგომისაკენ გზა უტია ძეს.

თავგაპოხილ მამას რომ დაჰხედა, გა-
ხევედა... თვალებს არ დაუქვრა და მამის
ხელს ხელი შეახო. მერმე ლოყა აეწვია...
მეხსიერებამ შეახსენა, რომ მამის უკა-
ნასკნელი ნაალერსალი იყო... ტუჩზე
იკბინა და ტირილის ხმა საჯაროდ არ
გაიღო. პირიქით უფროსივით დასძ-
რა ჩაბოხებული ხმა:

— შურისძიება ჩემი ვალია, ვინც არ
უნდა იყოს! — მძიმედ მობრუნდა, აღა-
რავის არ შეჰხედა და საღედოფლოს
მიაშურა.

ღერეფებში იმატა ვაი-ვიშმა, მაგ-
რამ ძეს ყველგან მამის გააპოხილი თავი
ელანდებოდა.

საღედოფლოს მისავალში ორა მძიმედ
შეაბჯრული მცველი იდგა. კართან კი
ფუყად ჩასუქებული საქურისი, ღედო-
ფლის მთავარი მესაწოლე მცველი, სი-
რიელი ზარიადრე.

უფლისწულის მოსვლისას, მან თავი
დაჰხარა, მაგრამ გზა არ შესცა...

— უბრძანო არს! უფლისწულო, მო-
მიტევებდეთ!

— ჩემთვის უბრძანო არააქარა ამ
სასახლეში! მით უფრო ახლა, როდესაც
მამა-მეფე აღარ მყავს! — საქურისის ჩი-
ყვში ცერი ამოჰკრა და კარი შეაღო.

ლაოდიკე ახლაც წუხანდელ სახეიმო
სამოსში იყო, დიდ საჩუკესთან იდგა,
უძილობაც ეტყობოდა და ნამტირალო-

ბაც. გრძელი, ყარყუმა შავი თმები ლაღად გაღმრეშალა აფუებულ მკერდზე, ხოლო სარკის წინ შეხვებურდა, მცირე ბალიშზე ესვენა სამეფო გვირგვინთსაცავის ღიდი გასაღები... ქაბუჯი ალბათ ვერც შეამჩნევდა მას, მაგრამ სიყრმის შვილის შესვლისთანავე დედამ ხელი დაადო გასაღებს და გულისპირს გააფარა...

ვაჟი განცვიფრდა, მაგრამ ახლა არ შეეძლო გაბმული, დაოკებული ფიჭრი.

— დედა! მამა მოკლულა თუ მოწამლული... ბოლოს და ბოლოს?

დედოფალი შეკრთა და შემოტრიალდა... კვილის მოერია, ყელზეთვას კი ვერა...

— ბოლოს და ბოლოს... სულერთია, ჩვენთვის სულერთი აღარ არის და რა ექნათ!? — ..მერმე შეწყნარდა, — ..და მაინც ეჭვი გამოსთქვა ვინმემ?

დედა შვილს შეაჩერდა, შედარაჯებულად, თვალშეტუხილად...

— მე გამოვთქვი ეჭვი და მინდა შემამოწმებინო... — თვალი აარიდა ქემ.

— ვის?

— ვისა და... — მითრიდატე შედგა, ქაბუჯურმა გულმა უგრანო — სცდიდა დედა... საყუთარი, საყვარელი... მამის სიკვდილის შემდეგ, ერთადერთი ცოცხალი მშობელი! და ეს „საცდელიც“ სწორედ მამის სიკვდილს შეეხებოდა!.. და უეცრივ, როგორც ელვა ისე იგრძნო — გაუჩნდა პირველი ბზარი უნდობლობისა დედის მიმართ... ახლა სხვა თვალთ შეჰხედა დედას... და თითქოს გამკვირვალა დედამისი... და ებეში ხელმოფარვით შეფარული გასაღები უდევს... გასაღები მამისეულ გვირგვინთსაცავისა!.. და სარკეში გაიყო მშობლის სხეული... ცალკე დედა და ცალკე დედოფალი... და მათ შორის მარტო სარკე კი არ არის, არამედ უფსკრული!

თვლები სულ დახუჭა ყრვამ და უფრო საშინელება წარმოუდგა — მამა თავგაპობილი და დედა სახეგაბზარული ისარნაკრავივით გაახილა თვლები. დედა ისევ დაეჭვებულად უშერდა და ელოდა... უხილავი ნაბზარი კი აბლაბუ-

დას ქსელივით მაინც ჰქონდა სახეზე.

— შენ გადაგრეეს ამ წამლებან დედა და სწავლა... მაინც ვასა შევამოწმებინოთ ყოველმხრივ საიმედოს?

მაგრამ მითრიდატე ქაბუჯი უკვე მოსულიერდა და გუშანშიც მოდგა:

— ვისა და... ზარიადრესა და მისა შერჩეულ სწავლულთ...

ლაოდიკემ ჩუმად, მაგრამ აშკარა შევებით ამოისუნთქა, ცრემლებიც მოიწმინდა.

— მან უკვე შეამოწმებარა... კვალიც აიღო მკვლელობისა... მდედარიც გაუშვა...

— იქნებ აქაც არის ვინმე შემორჩენილი? — ვედარ მოითმინა ქაბუჯმა.

დედა ისევ შეაკვირდა შვილს. მერმე მუდღეურობამ სძლია, ეჭვის კილო — საუქმველოდ გაჰბადა და სურვილებს პირი ოდნავ უჩინა:

— იქნებ აქაც... მაგრამ შენ ნუ ჩაურევდი ამ მძიმე საქმეში... ტანი კი აიყარე მაგრამ ჯერ სრულწლოვანობამდე ბევრი გაცლია. მეტი რა გზაა — მე ვიურევბ ოჯახსაცა და სამეფოსაც... მამა-შენზე ნაკლებად არც წარგმართავ... და როდესაც დრო დადგება, ტახტსა და სამეფოს ბრწყინვალედ გაღმოგილოცავ პირმშოს!

ქაბუჯმა ყველაფერი გაიგო, რისი ვაგებაც აუცილებელი იყო... გარდა ერთისა:

— ასეთია ანდერძი მამა ჩემისა?

— მამა შენის ანდერძი, საუბედუროდ არ აღმოჩნდა... მაგრამ ასეთია მითრიდატეთა და სელუევიდთა ტახტთმეკვიდრობიზ წესი... არც მე დავარღვევ ამას!

აქ გაუჩნდა შვილს მეორე ბზარი დედის მიმართ, მაგრამ მიხვდა, რომ დაღუმება სჯობს. თუმცა არც დედა იყო მიუხვდარი... თითქმის დაფეთებულად შემოჰხედა... წამოსასახმის ქვეშ ჩუმი შეაბერულობა უგრძნო, სულ აკვიმატდა:

— იქნებ შენ ვითბრა მამამ რამე სხვა... ან ანდერძი საღ ინაზება? ან იყო

კია საერთოდ ანდერძი? თუ რაიმე იცი — ნუ დაფარავ, შევლა მომეცი!

...მაგრამ უფლისწული ჯიუტად სდუმდა. დროზე დეპილი კი უკვე იმარჯვა, მაგრამ ტყუილი!?... თვალთაგან უნებურად, სიმწრის ცრემლი სდიოდა... იგი ახლა ორივე მშობელს სტიროდა უკვე. დაფარულიც აქ იყო და დაუფარავიც! —
ლაოდიკეც შეუცნობლად შეაძრწუნა ამ უთქმელმა გამოტირებამ. ერთ წუთს დედამ სძლია გოროზ დედოფალს... შვილს მოეხვია და სულ ჩუმად და არც უცრემლოდ წასჩურჩულა...

— იცი შენ, რომ მთელი რომი ნადირობს ამ ანდერძზე!?... და თუ იყო, სწორედ მან იმსხვერპლა შავა შენი — ჯიუტად გმირი და უბედური!

გულჩაკლული და სულ აღწეილი გამოვიდა ახალგაზრდა მითრილატე დედის სადგომიდან. დერეფანში ისევ საწოლთუბუცესი ზარიადრე დახვდა. ჩანს ელოდა.

წელანდელზე უმდაბლესი სალაში სცა და უკან გაჰყვა.

მითრილატე არც მობრუნებულა, სველა განაგრძო.

დერეფანი და განის ტალავრები, ახლა უკვე ბონტოს დიდებულებითა და სინოპეს საპატრიო მოქალაქეებით იყო გაქედილი. მაგრამ არც ერთი მაშის ახლი პირი და მესაიდუმლე აქ არ ჩანდა. თითქოს საშაგეიროდ მძიმედ შეაბჯრული მოლაშქრენი ჯალდაყდნენ ყველას. არა, ეს არც სასახლის საჩანგნი იყვნენ, არც მაშის საყვარელი და მუღმივი დასაყრდენი „მითრულნი“.

ბოლოს, მათ ვადაძახილა მოჰკრა ყუბრი ჭაბუკმა და მიხვდა, რომ სირიული როქის სპა იყო „სადედოფლო“ წოდებული.

საუფლისწულო დარბაზთან, ვიდრე ოდიო-მეაბჯრე ბოჭლოშს აღებდა, ზარიადრემ ვიდრე გაჰკრა ერთი ქლესური:

— ტატის მემკვიდრეო და უფლისწულო! დედოფალმა აღარა ბრძანა რა, უფროოდ და ასე მიუტყეველად განაყენებულ მეფის შესახების... იქნებ

თქვენ, ალბათ ანდერძითაც ტატის მემკვიდრეც... ინებოთ რამე?...
მეგრამ ჭაბუკმა დედაზე იქცა და აღარ ენდა, ამას კი რას გაიკარებდა...

— დედაჩემს, დედოფალ-გვირგვინოსანს მიმართეთ... მე ჯერ არ გახლავართ სრულწლოვანი! ანდერძისა კი არა ვიცი რა! — მითრილატე ჭაბუკმა კარი შეაღო და ზარიადრეს ხორციან ცხვირის წინ გამოუხურა.

ზარიადრემ მაინც იყნოსა, რომ საუფლისწულოში თემესტე-მეტრნალი იყო.

სასახლეში კი იმატა და იმატა მითქმა-მითქმამ... საერთო დაბნეულობამაც მით უმეტეს, როდესაც „გლოვანი ჩამჯდარმა“ ლაოდიკე დედოფალმა, საწოლთუბუცესის პირით „მეფის ანდერძის დაუწერლობა, თუ ვერ აღმოჩენა“ გამოაცხადა. დაღუპულ მეფის ამალოსანნი და მოთათბირენი კი ახლო არ გაიკარა.

ახლა სასახლის გარეთ აშალა მღელვარება და შფოთი. დიდ-პატარა სასახლის წინა მოედანზე მოზღვავედა. ათასგვარი ქორამართალი აგორდა. „მითრულთ“ რჩეული ცხენოსნები, ასევე შეაბჯრულად და გაწყობილად მოიყვანა მეფის შადრევანთან, მოედანზე, ახალგაზრდა მწე მხედართმთავარმა დიოდანტემ.

ახლა სინოპის კონცხის ზედა-ბარისა და მთის პირის სოფლებიდან მოჯარუნენ გეარ-გვარად შეკრული ჭართველი ტომები... აქ იყვნენ ყველაზე უფრო შეშფოთებული და შურისძიებად აღზღვარი, ამაყი, ტანოვანი ტუბალები, ბონტოს მითრილატეებს დედა-ტომი... გრძელყაბალაბა და მოკლესატევიანი, სხარტი ლაზები, ხის მუზარადიანი და ლასტის ფარიანი მთიელი მოსინიკები... ენთოვანი და თმანუქუქა „რკინის ტომთაგანი“ — ხალხები... წვერნიშაბა და ცხვირკაუქა ხალხები და დრილეები...

ახლა სინოპე ქალაქიდან და ნავთსაყუდიდან დაიძრნენ ხელოსანები და მკვლევარები... ადგილობრივი და მოსულთკაცრები... შავტება ბერძნები, ქერათმი-

ანი მაკრონები და ჰენოზები, ახოვანი კოლხები... შრავალხანი და კილოსხადანსხვა ხალხი — ერთად და ერთმანდ მოითხოვდა სიმართლის თქმასა და მეფის შეიღების გამოჩენას.

თანდათან უფრო შორეული ტომების თავკაცობა და ამბის გამკვეთი შემოქმედებები. მდაბიონი და მონებიც კი გამოვიდნენ მოედანზე. ყველა გრძნობდა, რომ სასახლეში მართო მეფის მოკვლა კი არა, უფრო ღივი ამბავიც ტრიალებდა და ამ „ღივ ამბავზე“ ჯერ უხილავად, მერმე კი ალბათ „ჭაჭკვითა და უღლით“ იქნებოდა მიმპული ყოველი მათგანის ტელი.

ბოლო დროს, დიდი ომის სამზადისს ყველა, ოდნავ გარკვეული, გრძნობდა. ბეჭკა იცოდა კვდევაც, რომ მხედართმთავარი ტარეელ უფროსი, უკვე საბერძნეთის კუნძულებზე იყო წასული, ჩუმი როქის სპის გამოსაყვანად. ქვეყნის მკვიდრთ კი ფარულად ჰკრფვდა და სწურონიდა მეფე. სხვა ქართველ მეფეებთან თუ ტომთუხუცესებთან საერთო კავშირის შესამტკიცებლად დიდი მწიგნობარი და ფელისწულის აღმზარდელი — ბედან-კოლხი იყო გაგზავნილი. დრო ჯერ კიდევ თითქოს ითმენდა, რომაელები კვლადახლართულად და შენიღბულად მოქმედებდნენ, უფრო „მეგობრობით“ მოდიოდნენ, „სიმართლის მსურველად და მამიებლად“, მოდავეთა შორის „გამრიგებლად“, ხშირად „დახმარებითაც“ და „მხსნელადაც“... მისი ძღვევამოსილების ხმა კი, მის სვლას უსწრებდა და სუსტთა შორის გზას უზსნიდა. ბრძოლის უნარსა და ნებას თავიდანვე უღუნებდა.

ელნიო ქალაქების ურთიერთგათიშულობა და დაქსაქსულობა სულ ადვილად გაუღო ეგეოსის და მერმე აზიის კარი რომაელებს. ახლა ქართველ ტომებსაც იგივე დღე მოელოდათ. ამ ფარული ომის პირველი მსხვერპლი იყო პონტოს მებრძოლი მეფე.

მოედანი დღეაღდა, ბობოქრობდა. ათასჯერ მღვკავდა გადაღვივლისა და ვერ მონელებულ ამბავს. ტომთა სიჭრე-

ლე უფრო ართულებდა ისედაც ვეღვრეულ საქმეს.

სასახლეში კი ჩუმი, ნადავსმული, რჩევა-ჩოჩქოლი იყო. ტიროდნენ მხოლოდ გოგონები, უფროსი ძმა — ჩირაზულად იჭდა, იქიდან ჩამიჩუმი არ გამოდიოდა, უმცროსი, რვა წლის მითრიდატე-ქრისტი, ბეცითვალა და ფესმრედე, კარგად ვერც ერკვეოდა, რა ხდებოდა ირგვლივ და ჭირვეულად დედანს ითხოვდა.

დედოფალი თავის საწოლში, შავებს აკერვინებდა, თავის შეთოქმედულ სხეულზე იზომებდა და სინაველ თერძებს თვალუმს მკაცრად უბრალებდა. ბოლოს ყველაფერი გასრულდა, შიგ — სამზადისი და ჩუმი შეთათბირება, გარეთ — მოთმინება...

კოშკის თავანზე გადმოდგნენ — სახეშემაძელი დელოფალი, უფლისწული მითრიდატე ევპატორი, მისი მომყოლი და — სტატირა, მეორე ძმა — ქრისტი და ერთი მეორეზე მიწყობილი კიდევ სამი და.

მათ ღანახვაზე ხალხი უფრო ახიანდა. ქარაჩიხლულ ტალღასავით შებოროილდა და სასახლესთან ზევეად მოიქრა.

— მკვლელი მოგვეციო! მკვლელი ანდერძი გვაუწყეთ!

— განჩინება!.. გავეგვეზინეთ ვინ აღმართა ხელი?

— ახალი გვირგვინოსანი! ახალი გვირგვინოსანი შურისძიება!

ძახილები ურთიერთს ჩაენლართა, ბუბუნსა და იარაღის ქლარუნში გადავიდა!

კოშკის თავანის ქვედა კარიდან ზარი-ადრეს გამელოტებული, ოფლადდენილი თავი გამოეყო, თანაც ისე, რომ მოედნიდან არ დაენახათ, ნარევე ბერძულსირიულად უჩურჩულებდა ენაჩავარდნილ დელოფალს...

— ბრძანეთ რამე, ბრძანეთ!.. დელოფალ-გვირგვინოსანო! ამბოხი ყვირილითა და იარაღის ქლარუნით იწყება! ურევენ „მითრულნი“... ყველაფერი დაიღუპება!

მეგრამ ამაღლებული კოშკი სდუჟდა, მოედანი კი ჰქებდა.

ბოლოს ლაოდიკემ ძაძა იშორა სახიდან და ზელი აღმართა.

ძაძაში გაკრილად მჩენი მოედანი კიდევ არც ისეთი თვალის მოპყრელი ჩანდა, როგორც ახლა — უძაძო და უშუალო, თითქოს შავმა მზემ და ზღვამ დაპკრა თვალუმში, უცნაურად გამოაბრმავა... ყველაფერს გამობერილად, წოწოლად, აფსიორებულად ჰხედავდა... და მიინც შეგოროზდა ასურასტანის მეფის ასული და პონტოს დედოფალი, აწმეფე-გვირგვინოსანი!

— მე, მგლოვიარე დედოფალი ვბრძანებ... — მაღალი ხმით გადასძახა და ხმა როგორც სიმი ისე შეაწყდა... პირს აღება და ხმა კი არ არის... არა, ეს არც შინა ამბოხის შიშია... სელევკელების ამაყი ნაშიერი არც გულსაჩარა დედოფალია, არც თავზარდაცემული, უმწეო ქვრივი! ქვეყნად არც ერთ დედოფალ-გვირგვინოსანს ქვრივობა არ უგპიქნია! და ბოლოს არც ისე უყვარდა მკაცრი და შფოთიანი მეუღლე... ძალთასალი ვარაუდების ვერ ამლებო... თანაც, მას დაბადებით თავისი გეზი აქვს და დიდი გზა მომავლისა!.. რა უფყოთ, რომ ცხოვრებით მახლობლებიც ზიანდებიან... აქ იმდენი ჩახლართული ამბებია, რომ თავიდაც არ წააგოს გვირგვინმობოვებული თავი! აქი გაათრთილეს „ყოვლად საიდუმლოდ“ — დიდ გზაზე შემდგარი, „უკან ნულარ მოიხედავს და მთელ სელევკიას, კაბადოკია-პონტიეთურთ კვლავ მის გვირგვანს ვარგუნებთო!“ თუ არა და „მეუღლის გზას გავყოლებთო!“ ბედის აყოლა უფრო გონივრულია, ვიდრე საშინელ ჩრდილთან თამაში! მით უფრო მგლოს ქალაქის ჩრდილთან! სხვა გზა არცა ჩანს — მხოლოდ თავგაბობილთა!.. არც მორჩილებას სთხოვენ — მეგობრობა-მფარველობა-განდილებას სთავაზობენ! მხოლოდ ერთი რამ სწადთ — საიდუმლო ანდერძი რომის სენატის სასარგებლოდ! მის სიკოცხლეში ეს ანდერძი იქნება პირად ტახტის უმტკიცესი ბალავარი!.. შემდეგ

კი პონტოს სამეფო იქნება თუ მუწყერი — მას არ ენება, ისევე როგორც აღარ ენება ეს იმ თავგაბობილთა.

— ბრძანეთ რამე... ბრძანეთ! — ისმოდა ზურვის მხრიდან, — კენჭი ყრილია! ამბოხი იწყება... ამბოხი!

...ჰოდა რა ბრძანოს ახლა? ყველაფერი ესმის, სიტყვებსაც კარგად ასხვავებს დედა-დედოფალი... მეუღლე-გვირგვინოსანი! კენჭი ბოლომდე ყრილია! მოუხედავში შეტოპილია უკვე! როყიო სიტყვას რაღა მნიშვნელობა აქვს! იტყვის თუ ვერ იტყვის!

უეცრად, მოედნის ბოლოში, „მითრიაულთა“ შორის აშვა ძახილი და ერთბაშად მთელ მოედანს ზათქად მოედო...

— ანდერძი!
გოროზ დედოფალსაც მოხვდა გულში ეს როყიო სიტყვა. „ნუთუ ანდერძზე ბრუნავს ყველაფერი?“

— განსვენებულის გლოვის განაგისი ბრძანეთ!.. უჩქარეთ, თორემ ანდერძს აგვიგებენ! — ჩურჩულებდა შეჭარბებული ზარიადრე.

— ვბრძანებ... — ენა ამოიღვა ლაოდიკემ, — საერთო გლოვასა და მსხვერპლთა წირვას... საგვარეულო აკლდამია მოშაბდებს... დიდი მეფის სულთ-დალაობას კვირის ბოლოს ვდებ... განსაგებელი განავოს სრულიად და საყოველთაოდ ზარიადრემ, საწოლთ-უხუცესმა და ჩემი სახელით წვეულსა მხედართმთავრებმა, ტომისთავებმა, საპატიო მოქალაქეებმა... ღმერთები იყვენენ ჩვენი მფარველნი!

ლაოდიკემ სახეზე ძაძა ჩამოიფარა და უკან დადრკა... არსებითად ამოფარა ძაძას... მეგრამ მოედანზე უფრო აშლილი და მოჭრილი ხალხი, ახლა უფრო აფორიაქდა...

— ანდერძი გვირგვინი! გვაუწყეთ, გვაუწყეთ! ახალი მეფე! მეუკვიდრე! უფლისწული! — ერთბაშად აღრიალდა მოედანი.

ქუხილი თანდათან მატულობდა და თითქოს მთელ ქალაქს ეღებოდა. მერმე ზღვასა და ხმელს.

10844

ლაოდიკე იღვა გაქვავებული და შავ-
ძაბა.

— გამოუტხადეთ! დუშალი არ შეიძ-
ლებს გვირგვინებს კი ახლავ მოგართ-
მევთ — დიდსა და მცირეს! თქვენთვისა
და უფლისწულისთვის! — უჩუჩრუ-
ლებდა არა-ნაკლებ ზარდაცემული ზა-
რიადრე.

მითრიდატე კი თავიანძრული იღვა.
ჯერ ქაბუჯურ გონებაში ათასი გრძნობა
და ეჭვი ისახებოდა და იბრძოდა. მრავ-
ვალგზის ინანა, რომ აქ, მის გვერდით
არ არიან მამის უახლოესი და უერთგუ-
ლესი მწიგნობრები და მხედართმთავ-
რები. ბევრი მათგანი სახელდობრადაც
მოიგონა... შეწყრა კიდეცაც — „რათ არ
არიან ჩემთან!“... მერვე მიხვდა, რომ
ყველანი ჩამოაშორეს... ზოგს თვალაც
კი მოჰკრა შოედნის თავსა და ბოლოში...
აი ძმები — ახალგაზრდა მხედართმთავ-
რები — ორაზელა და ნეოპტოლომე...
მოაბერ-ფილოსოფოსი... სტვანი... აზ-
რის გაბმამ უფრო გააბრაზა და ღჯუღ
გააჩუმა.

ბანის თავანზე კი დიდხეამურად ზა-
რიადრე თავად გამოდგა, მესაწოლენი
გაპოიყოლა, საპატიო სარანგნიც... ხო-
ლო საპატიო მანდილოსნებმა ხვევრდო-
ვან ბალიშებზე დასვენებული ორი გვი-
რგვინი გამოასვენეს.

დედოფალმა სახიდან ისევ გაღიგდო
ძაბა. ხალხმა ხმა გაიკმინდა. მაგრამ ვი-
ლაცამ, მოედნის ბოლოში მდგარმა,
მკაფიო ქართულით კვლავ დაიძაბა...

— ანდერძი!

ქაბუქმა ვგონებ იცნო კიდეცაც ხმა,
იგრძნო — მისთვის იყო ნიშანი... ჩანს
სხვადასხვა რის ანდერძის ამზავი და მზა-
რის მოცემას ლაშობს. არა, ობოლი უფ-
ლისწული მარტო არ არის პონტოში!

დედოფალმა თავის შვილს მოჰხედა
და საბოლოოდ „კენჭის მყრელს“ ხმით
ხალხს გადასძაბა... აღიღებულს ბერძ-
ნული უფრო მოედვილა და ამოესი-
ტყვა:

— ანდერძი არ აღმოაჩნდა დალატით
მოკლულს! — და რომ ხალხის აღმყო-
თებისათვის დაესწრო, უმალ მიაცი-

ლა, — მაგრამ განა, ვაყები არ დარჩენია
დიდ მეფეს! მართალია სრულწლოვან
არც ერთი არ არის... ამის გსმს, ხმ-
გლოვის უამს... ვიდრე... დრომდე მე
უნდა ვეუზვო გვირგვინსა და ოჯახს...
არც ქვეშევრდომნი დამრჩებიან განუ-
კითხავნი...

დედოფალს ხმა კვლავ პლალატობდა.
თანაც ბერძნული ბევრს არ ესმოდა მო-
ედანზე. ამან მიუქმა-მოთქმა და ძახილ-
თარგმანი გამოიწვია.

ზარიადრემ ყველაფერი ინიშნა და
მანდილოსნებს ნიშანი მისცა. მათაც
წინ დაუხოქეს დედოფალს, სამეფო
გვირგვინი მიართვეს.

ლაოდიკემ თავისი ხელით დაიღვა დი-
დი გვირგვინი, მერვე მითრიდატე იხმი
და მცირე გვირგვინი ორთავ ხელით გა-
უწოდა.

უფლისწული არც დაძრულა ადგი-
ლიდან. დედამ უხერხულად შერჩა ხელ-
ში გვირგვინი. ბოლოს თავად მივიდა
შვილთან, მაგრამ მის კულულებდაყრილ
შუბლს ვერ შეეწვდა.

— მუხლი მოიყარე, უფლისწულო,
დედმა და გვირგვინოსანის წინაშე! —
წასჩურჩულა ზარიადრემ, ტანაყრილ-
მა ქაბუქმა, რბილად, მაგრამ მტკიცედ
განიშორა დედა, ყური არვის ათხოვა და
მოედანს ქართულად გადასძაბა:

— ვიდრე მამაჩემის მკვლელებს არ
მიეწვდები და არ დავსჯი — გვირგვინს —
დიდსა თუ მცირეს, შუბლის ძარღვზე არ
გავიყარებ!

ახლა ზღვისპირა სხვა ქართულ კი-
ლოკებზე და ბერძნულზე თავად სთარ-
გმნა, ხოლო შემდეგ, ლათინურადაც წა-
რკოსთქვა.

მოედანზე დიდი თანაგრძნობისა და
აღფრთოვანების ერთობლოვი ძახილი
გაერთა.

— მკვლელების ვინაობა ვაგვაგები-
ნეთ! მკვლელები მოგვეციო! სიმართლე
გვითხარით... დიდი დალატია სასან-
ლესი!

ახლა მოედნის ხმა ქუბილს უფრო
ჰგავდა, ხოლო იარაღის ეღარუნს, სასა-
ხლის დარკინულ კარიბჭეზე შეძგერე-

ბულ სათბელებსა და წალდისყუების ხმაც შეემატა და ახალი ზარი მისცა. „მითრატულიც“ წამოთამამდნენ, ჭაბუკ მითრიაბაძეს დანახვამ გაამხსნევით და იმედიც მისცათ.

დიღვეირგვინოსანი დედოფალი აშკარად დაიბნა, მცირე გვირგვინი ზარიადრეს გადასცა და ჩუმადაც შეეთათბირა. ხალხს დასაშოშმინებლად გადასძახა:

— მღვეარი გაშვებულია, ხმელეთითაც და ზღვითაც... დრომადე, სასახლის ციხისთავი გაგვისხლტა.

მაგრამ ხალხი სრულიადაც არ დაწყნარდა...

— დრომადე? სხვანი... სხვანი? მართო არ იქნებოდა! აღბათ მანდ არიან მოგვეციო! — და ბჭესთან უფრო დიდი ბაგაბუვი შეიქმნა.

ახლა ზარიადრეც დაიბნა და ერთი შეტვლომა დაუშვა, თავად გადასძახა მოედანს.

— ვარკვევო! ხელს ნუ გვიშლიო! ზოგი უკვე ხელში გვეყავს... ზოგსაც გაშვებებო.

მაგრამ ერთმა ბოხმა ხმამ ყველა დაჰტარა...

— შენ თავად ხომ არ ფარცხავ და უშლი რკვევას?

ხმაური და ძახილი უკვე აუტანელი გახდა. მინც ტუბალებსა და ხალიბების ტომი ბობოქრობდა.

— მოგვეციო! დამნაშავე მოგვეციო! ჩვენ გაუტყორღებით! ჩვენია შურსაგებელი.

ლაოდიკე ასე პირისპირ ბობოქარ ტომებს წინაშე პირველად იღვა.

მას, ბუნებით გოროხსა და ამპარტავანს, შინაგანად სძაგდა „სასახლის იქითა ქრელა-ქრულა ბრბოცა და დამატებით ბარბაროსები“, უფლებამოყვარულსა და ნებზერს ისინი მხოლოდ „სამეფოს შავ მსალად“ ვიანდა... და ახლა, როდესაც სულეკელების შარავანდომოსილმა შთამომავალმა დედოფალმა, მეფობის გვირგვინიც დაიდგა... სწორედ ახლა ეურჩება ეს ბრბო... და არა მარტო მოედანზე, არამედ აქაც, მისი ჯერ ღლა-

პი, მამით ბარბაროსი შეილიც... ღიად არაფერს ამბობს, მაგრამ მინც ეურჩება... ჩება...

ზარიადრე კი საბოლოოდ დაწმუნდა, რომ ჰაერში „ამბოხის ელდი“ ტრიალებს და ახლა თუ რაიმე „გამოსავალი“ არ მისცა ამ „ელდას“ — მოედანი სასახლეში შემოიჭრება და მათ ვერც სორიელთა როჭის სპა იხსნის და ვერც დედოფლის გარეგნული ძაძებში.

— გვირგვინოსანო! უნდა მივცეთ დამნაშავე... ერთი მინც... თორემ ხომ ჰხვდება?

— ვერაჲ ვის?.. ვის გულისხმობ? — თვალები გაუფართოვდა ლაოდიკეს.

— თქვენ რომ ბრძანეთ — ახალგაზრდა მკურნალს! — სულ ჩუმად, ისიც ასურულად, ნირშერეულ ღიმილით მოახსენა საკურისმა.

— ვისა? — ხელი პირზე იფარა ლაოდიკემ, თავის გაჭიუტებულ ძეს, თვალმობარულად მოჰხედა, გვირგვინი მოიხადა, მანდილოსანთ ჩააბარა და ისევ ქვევით გადაიხედა.

იქიდან საშინელი გრუხუნი და ყიყინი მოისმოდა. ხალხი უკვე ლეწავდა სასახლის კარიბჭეს.

დედოფალმა თანხმობის ნიშანი მისცა ზარიადრეს და თავად ისევ ბედის მორჩილების ძაძა იფარა.

ზარიადრე თავანის კიბეს გაეფარა. სულ მალე კი, ვიძრე სასახლის კარიბჭე შეტეხაზე მიიდრიკებოდა, კარი შინიდან გაიღო და შუბმალღერებულმა სარანგებმა ბორკილდაყრილი კაცი გამოიყვანეს.

— აი ერთ-ერთი მკვლელი, რომელსაც მივწვდით! — ზარიადრემ დაბორკილი კინწის კერით ვარეთ გამოაგდო და კარს გაეფარა. უმალ დაიხურა კარიბჭე. ხალხმა ერთი შეჰძრიალა და ხელღმართული მიჯგუფდა...

განცვიფრებულმა მითრიაბაძე ჭაბუკმა იცნო თავისი მკურნალი — თემესტელის სისწრაფით მიხვდა, თავანის კიდზე შევარდა, ფეხები აქეთ-იქით ქონგურებზე ვადგა და ერთი საოცარი ხმა დასცა მოედანს...

— ხელი!

ყველა გაშეშდა, ზევითაც და ქვევითაც... აღმართული ქვა თუ ხმალი, მჭირლი თუ კეტი... ზევით რომ ამოიხედდეს... ქონგურებზე, პირდაპირ გადმოსავარდნის მიღარზე, ქაბუკ უფლისწულის ტანი ბუმბერაზად ამოტვილიყო, ხელი ზეცამდე აღებყრო, წაბლისფერი კულულების ვარჯი — შარავანდედად შემოსდგომოდა... თვალებიდან კი ვგონებ ნაპერწკლებს ჰყრიდა...

— ხელი! ჩემი სიტყვაა — თემესტე მკურნალს არ მიუძღვის დანაშაული! ვინც მას ბრალსა სდებს — მე მომმართოს და მიიღებს საკადრისს პასუხს!

წინა მიმხედურნი, დადრკენენ, ხელეზი დაუშვეს.

თემესტე ძლივს წამოიღვა, ბორკილები აახხრიალა.

თავანზე, შეძაძულმა დელოფალმა შექმნა კივილი...

— არ გადაიჩნებო!

ქაბუკმა ხელი ჩამოეშვა; დედის კივილში ღვარძლიც იგროძნო...

— მე არსად არ გვდავიჩნებები, თუ ვინმემ არ წამიბიძგა! როგორც მაშაჩემს!

— მეფური სიტყვაა! მეფური! — შესძახეს ქვევიდან და მოედანი ძახილით გააყრუეს.

— ახლა მისმინეთ... როგორც დელოფალმა ბრძანა — საერთო გლოვა და მსხვერპლთა წირვა მთელ სამეფოში... საგვარეულო აკლდამის მოშხადება... სინობლებს... ყველა ტომის ბელალებს გლოვის შეყრახე ვიწვევთ... დაქრძალ-

ვა ტუბალ-ქართველთა მეფის წყაით... შესაწირავი კოცონი ყველგან — დღეიდანვე, ამ მოედნიდან დაწყებული სულთა დალაობა კვირის დამდეგს. სულეთის სვე-ბედაურზე მე თავად ვჯდები! — მერმე დაახანა და შეეკითხა, — ყველასათვის გასაგებია თუ თავად ვთარგმნო?

— გასაგებია! — სხვა და სხვა ენაზე, კილოკავზე, ხმაზე შესძახა მოედანმა.

— მაშინ ერთიც!... შუაზე გაიყავით! — და ხელი ხმალივით ჩასჭრა, — მარცხნივ და მარჯვნივ ჩაიწიეთ, გზა უტოეთ თემესტეს... იგი მივიდეს „მითრალ“ სპასთან, მათთან დარჩეს, ვიდრე არ მოვეწოდებ! იქ ბორკილი შეხანან და შეშინაზონ თვალის ჩინივით!

...და ვიდრე სიტყვას დამთავრებდა. მოედანზე შეიქმნა ჩუმი მიდგომ-მოდგომა. ხალხი გაიპო, საკმაო გზა უტოდა და თემესტე მკურნალიც ნელი, შემძიმებული ნაბიჯით გაემართა „მითრალთაკენ“.

მოედანზე სრული სიჩქმე სუფევდა. ისმოდა მხოლოდ მიმავალი თემესტეს ჯაჭვის ჩხრიალი... მერმე ისიც მიწყდა.

— აბა, ახლა კი თქვენ-თქვენ საქმეს მიჰხედეთ! „მითრალთ“ კი მოედანზე დიდი კოცონი აგისგვიზონ ღმერთების სადიდებლად, მამა-მეფის სულის აღსამაღლებლად... კეთილშრომებელთა საიმედოდ! — მითრალატემ ხელი აუქნია ხალხს და ქონგურიდან, ბავშვურ სიმსუბუქით, მოუბრუნებლად, უკან თავანზე ჩამოხტა... მერმე არც ღელას შეხებდა, არც კვლავ ამოსულ ზარბაძრეს და თავის სადგომისაკენ გაეშურა.

3. მითრას კარი

მოედანი მალე საკმაოდ შეცარიელდა და მიწყნარდა. ხოლო პირველ პიხდბუნდისთანავე დიდი კოცონის ალი ავარდა, თითქმის სასახლის კოშკის სამაღლეს დაედარა. გლოვის კოცონს ირგვლივ, ოდნავ შენელებულ, დახვეწილ რთკვით უვლიდნენ შეაბჯრული „მითრალნი“ და გვირგვინწყობილად მე-

მადლებულ, ცეცხლმოდებულ პორებს შუბებით ნაპერწკლებს აყრევენებდნენ... თანაც ძველტუბალურ „ცეცხლის საგალობელს“ გალობდნენ... შორაახლოს წვრილხერგილებზე მიბმული ცხენები ჰიხევენებდნენ.

აქვე, მოედნის ყურეებში, მცირე-მცირე კოცონებზე უკვე პირველი შე-

საწირავი კურატი და ზეარაკი ფეშხო-
ფეშხო იწებოდა და რიგდებოდა.

გობებით ქვაპარილა იღვა. აქვე ნა-
ყავდნენ და ცოტა-ცოტას ცეცხლში
ყრიდნენ. თავად სდუმდნენ — ცეცხლ-
სა და მარილს „აბაასებდნენ“...

სასახლის ყოველ დარბაზსა და ტა-
ლანში კი კვლავ ღელვა-განგაში სუ-
ფევდა. ამბობებსა ჭერჭერობით კი ვა-
დაურჩნენ, მაგრამ არა დედოფალ-
გვირგვინოსნის ან სირიელ დარაჯას
წყალობით, არამედ ქაბუკ და სულ
„უგვირგვინო“ უფლისწულის მეობე-
ბით.

ვისაც სასახლის ძალაუფლება ხელი
ეპყრო და მიზნებიც სხვაგვარი ჰქონ-
და, ეს ვერაფრად ეპრიანებოდა. და
ბოლოს ხეირიანად აღარვინ იცოდა —
ვის ხელში იყო ხელისუფლება —
„უგვირგვინოსა“ თუ „გვირგვინოსნი-
სა“... და საერთოდ ეს „გრძელ ხელ-
ფენიანი ბაღლი“ დიდ უხერხულობას
ჰქმნიდა. კარგად ჩაწყობილი და და-
წყებული ჰადრაკის ხელი, უკვე აი-
რია... მაგრამ სწორედ ეს იყო გამო-
სარკვევი „ახმაზა ბაღლი“ მხოლოდ ამ-
რევი იყო, თუ შედგარი და შეუპოვარი
ნოთამაშე? იქნებ მოედნის ამბობი
სჯობდა, უფლისწულის ამბობს? იქნებ
ეს ერთი და იგივე იყო? პონტოს მკვი-
დრნი, დიდნიც და წვრილნიც ხელად
განუდგნენ სასახლეს. კი არ მოიდრიკ-
ნენ და შეურიგდნენ მეფის, მათი ბე-
ლადის დაღუპვას არამედ გაერიდნენ...
და არც თუ შორს — მოედანზე და
ელიან, თავის ფხასა და ძალას აგროვე-
ბენ!

თავისთავად მოხდა, რომ პონტოს
სამეფო, უეცრად დიდ სასწორს დაემს-
გავსა. ერთ ჭამზე, — სასახლეა, მეო-
რზე მოედანი... ზოლო საქარბზე ერ-
თი უკვე ნამსხვერბლი, ერთიც იქნენ
სამსხვერბლო იყო!

დედოფლის სადგომში შეფარული,
თავბოლომოუბმელი ბქობა იყო. დიდ
დარბაზში კი მეფის ნეშტს აკობდნენ,
ნელსაცხებლებით უხელდნენ გაციე-

ბულსა და სისხლგაწრეტილ სხეულს
დრომდე დარბაზში არვის უშვებდნენ.
ოჯახის წევრებსაც კი.

ის რაც მკვლელებმა უმოწყალოდ
ჩეხეს, ახლა მას საგანგებოდ შერჩეუ-
ლი პირისფარეშნი ამთვლებდნენ, აყო-
წიწებდნენ.

მაღე ზარიადრემ სასახლეში გამო-
ცხადა დედოფალ-გვირგვინოსნის ბრძა-
ნება, რომ სასახლიდან არვინ გასული-
ყო „ქალაქში თუ სხვაგან, არც უფ-
ლისწულთაგანი, არცა მხლებელთა-
განი, ვიდრე არ გასრულდება მეფის
ანდერძისგება, გლოვის კვირა და
მკვლელთა ძიება“.

ქაბუკი უფლისწული კი ქალაქში,
თემესტე მკურნალის საქებრად აბი-
რებდა მეაბჭრის, ან პელოპიდე სინო-
პელის, ახალგაზრდა ფილოსოფოსის,
უფლისწულის ლათინურში მწურთნე-
ლის, გამშვბას. თავდაც ჰტიქრობდა
მოედანზე გასვლას. ახლა კი მიხვდა
რომ, ჭერ ბევრ რასმე ვერ ითვალისწი-
ნებდა და ფრიად რთულ ვითარებაში
იყო მოქცეული. სრული გარკვევის
თავი და გამპირიბობა ჭერ არ ჰქონდა.
ესლა იღონა — უფრო გაფრთხილდა.
განსაკუთრებით საქმელს ერიდებოდა.
ეს რიდი თავიდანვე ჰქონდა მაის მი-
ერ ჩაგონებული... და ყოველ ჰქაღი-
ლის დროს წინასწარ, უზომოზევე, შხამ-
საწინააღმდეგოს იღებდა. შემდეგ კი
მკირედ შხამს.. და თუმცა ამ წაბლებში
უკვე საკმაოდ ერკვეოდა, მაგრამ თე-
მესტე-მკურნალის იმედი ფრიად აკლ-
და. ზოლო ვინც თემესტე კარიბჭეს
მიღმა გასვა, ახლაც იმის ხელშია კარიბ-
ჭე და არც მარტო თემესტეს წინააღმდეგ
არის ბრძოლა! და კიდევ, ვინც პონტოს
გმირი მეფე მოჰკლა, მას არც პონტოს
გამპირიბი თავკაცები სწადს... აკი არ-
სადაც არ ჩანან... და ჩანს — ეს ყვე-
ლამ იცის გარდა მისა — მითრიდატე
უფლისწულისა, რომელმაც ახლა ყვე-
ლაფერი, ყველაზე უფრო აღრე და გ-
მოწვლილვით უნდა იცოდეს!

მაინც ერთი ფიქრი ყველაზე უფრო

„ჰკლავდა“ მამამოკლულს... „მჯერა, დედამაც გამიმხილა, ბოლოს და ბოლოს რომმა მოჰკლა მამა, ახლა მის ანდერძს დაეძებს, მაგრამ ჩემგან რატომ დაჰფარა ანდერძი დედამ? თუ შემეკიდრესაც მოელის საშიშროება, მაშინ ამას რატომ არ მეუბნება? იქნებ მამასაც დაუფარა ზოგი რამ? იქნებ სულ სხვა რამეა აქ და ამას—საკუთრივ უფლებამოყვარულობა ჰქვია? ან ყველაფერი საეჭვოდ როგორ გამიხდა? ნუთუ ჩემს ფიქრებში უფრო გულუბრყველო ვარ, ვიდრე ადლისეულ საქციელში?“

სალამოს პირას მოკლული მეფე ოქროჭედილ აბჯარ-ჩაჩქანით აღჭურვეს და სასახლის დიდ ეზოში ცალკერძ ნაშენ, მითრას კარის ტაძარში დაასვენეს.

სამოგვე შიდა კედლით სასახლესაც ემიჯნებოდა, ხოლო სიერთო გალავანში თავისი კარიბჭეც ჰქონდა.

კარის სამოგვეში, კერადიდის ქიმიან ქვასთან დიდი ცეცხლი გიზგიზებდა. მაღლა, თაღოვან ჰერზე მზე და მთვარე იყო ქვაში გამოტყიდული, აქეთიქით ოდრიკალებად, ღმერთთა ქანდაკურები... ბერძნული — მარმარილოში ნაძერწი, პონტურ-ქართული — ქვაში... და ძველ-შუმერულიდან მოყოლილი — დედაბოძად გათლილი, ჰერამდე აღმართული წმიდა კედარის — სვეტო ცხოველი.

ტაძრის ეზოშიაც კედარის მცირე კორომი იყო.

პონტოს ძველ დედა-ქალაქში — ამასიაში, პირველმა მითრიდატემ. ხალღეს მთიდან, წმიდა კედარის მოზრდილი ნერგები, თავისივე ბელტებითა და მიწანიადაგით გადმოაბრუნა და მიუხედავად ავ მისნობისა, გაახარა. ამის შემდეგ პონტოს ყოველი ახალი გვირგვინოსანი, უმატებდა კედარებს ხალღესა ან ლიბანის მთიდან.

ფარნაკემ სინოპეს აღებასა და სატასტოს გადმოტანასთან ერთად, ახალი

კორომიც გააშენა სინოპეს და მხოლოდ შემდეგ სამოგვე და ღმერთების ქანდაკებანი დადგა. ტუბალ-ქარაველნი ძველ-შუმერებს სთვლიდნენ თავის წინაპრებად და უძველეს გარდმონაწიესით—კედარი იყო მათი წმიდა ხე და მფარველი. ხოლო ღმერთების მხრავ პონტოს მეფენი საოცარ ფართორწმენიანობას იჩენდნენ ისევე, როგორც შრავალი სხვადასხვა შთამომავლობის ტომები ჰყავდათ სამეფოში, ასევე, შესაფერისად, თავის სამოგვეშიაც ძველ-შუმერულ ღმერთებთან ერთად, შესაწირავს არ აკლებდნენ არც ახალ-ელინურსა და ახალქართულ სამყაროს ღმერთებს. ხოლო სასახლის კარის ტაძარი, დამატებით მითრიდატეთა საგვარეულო ღმერთის — მითრას კარად ითვლებოდა.

მარმარილოს სვეტებზე ცხრა შავბუნია გლოვის კელაბტარი ენოო. ეს ცხრა ღმერთსაც ნიშნავდა, ცხრა თაობასაც მითრიდატეთა გვართმეფობისა ცხრა ქართველ ზღვისპირა ტომსაც, რომლებზედაც ძირითადად დაყრდნობილი იყო პონტოს სამეფო. დიდ ლორფინზე, უპირველესად შეწირული ცხენის ტყავი იყო გადაფარებული. შავი ბედაური თავ-ფაფრიანად და ძუაფლოქებიანად იყო გატყავებული. ეს მითრიდატთა კაბადოკიურ-ტუბალურ ტომობრივ სუდარად და ქვეშაგებლად ითვლებოდა.

თმაგაშლილი მტირალნი უკვე გარს უსხდნენ შეაბჯრულ ნეშტს. ჯერ ისინიც ქვაში ნაძერწებს ჰგავდნენ.

სამოგვეს კარი ღია იყო, მაგრამ გალავნის კარიბჭე იყო დახშული და ტაძარში გამეფებულ სიცარიელის გამო, მიცვალებული ვეებერთელა ჩანდა.

საკურთხეველის ცეცხლს იქით მოგვთა მოგვის — ხეარას ჩაჩი გამოსჩანდა. მისი შავსამოსიანი მწევების ჩრდილებიც უხმოდ დადიოდნენ. ჯერ ისინიც მსხვერპლთა წირვასა და გუნდრუქის კმევაში იყვნენ.

ბოლოს უდიდეს კედარზე დაკიდე-

ბელი ძელის სარეკელას პირველგზისა შემოჰკრეს. ეს საჭირისუფლე იყო.

დედოფალი თავითფესამდე შეძახული და სახეშეფარული გამობრძანდა, მას უკან შვილები მოჰყვებოდნენ. არ ჩანდა მხოლოდ უფლისწული მემკვიდრე.

— სად არის? — ჩემად იკითხა.

— ასე ბრძანა — მე მარტო გეახლებითო! — ზარიადრემ თაყვანის ცემითა და სიტყვის ოდნავი დრეკით გარეკარი გაუღო დედოფლიონს.

„ეჰ, მარტო!“ ყველაფერი ასე უბრალოდ რომ იყოს, როგორც ჩანს!“ — ჰფეთქებდა ძაძვბეჭდარებელი ფიქრი. უმაღვე ძაძვს აწყდებოდა — „მან რაღაც იცის!“... — და ფიქრს შავ, საერთო ქობად ეკვროდა, — „ესეც რომ არ იყოს — მე მას მალე ველარ მოვერევი — ცამდე წოწოლას! როგორი იყო კოშკის თავზე!“ — და დედოფლურ გორბობას, დედური სიამაყეც ფხას ურევდა. მერმე ფიქრი უფრო ღრმად და უფრო ჩემად იქსელებოდა, უმწარეს ნაშრევსა და ნალექს სტოვებდა... ვერც ძლეულსა და ვერც დაკმაყოფილებულ პატივმოყვარეობის გრძობას ჰყვებოდა...

— მოდი აქ, ქრისტი! — მეორე ვაჟს, რომელიც მას სწორედ ხეიბრობის გამო არ უყვარდა, მოუცადა, მას დაეყრდნო და ეზო განვლო.

ზარიადრე საწოლთუხუცესს არაფერი გამოჰპარვია. მან კიდევ უფრო შეაგვიანა მემკვიდრე უფლისწულის ტაძრად ხმობა... „უფრო დაეყრდნოს უმცროსს!“

მეფის ოჯახი დაკლებულად მიდიოდა. გალავანში კედარის ჩრდილები მიცვლებულებივით იწვნენ.

დედოფალმა ჰეშეცნეულად, გზა გაიგრძელა, ჩრდილებს შემოუარა და ტაძრის კარში კვლავ მოიხედა... არა. „ცამდე წოწოლა“ უფლისწული არსად ჩანდა!

უნებურად აჩურჩულდა. ვგონებ ხმაც კი შეისხა ფიქრმა.

— მეუღლე დეკარგე... ახლა ქვსაჲ ვკარგავ!.. ნეტავ რას ვპოვებ საშეგვაროს? — ტუჩებზე იკბინა და ძლევს დაახლო შეძრწუნებულად ახმიანებული ფიქრი, მიმოიხედა. ვგონებ არვის გაუგია. ამაღა შორიახლოს იდგა, შვილები დახნეულად იცრემლებოდნენ. მხოლოდ ქრისტი განცვიფრებული უმხერდა „ძვირალერსიან“ დედას და თითქოს უნებური პასუხიც გასცა:

— მამის გვირგვინს მოსგვრებენ... შენთვის, დედა!

შეძახული დედოფალი შემოტრიალდა. ტაძრის კარში თავით ფეხამდე შეძახული მანდილოსნები იდგნენ... აქნებ ტაძრის მონები... ახლა ისინი დედოფლისაგან არაფრით არ განსხვავდებოდნენ. მათ შორის მხოლოდ ხვარა მოგვთა მოგვი თავის ჩაჩითა, წალდისგვარი წვერითა და თალხზოლებიანი წანოსასხამით განირჩეოდა. მას კედარის ძელზე დებული გვირგვინი აღეშარა.

— უმთავრეს ძაძვსანა და ჭირისუფალს! მდედრს — სამეფო გვირგვინი, ტახტის მემკვიდრეობის წესის საბოლოო დადგინებამდე, მამრთა უპასუხოების გამო... გვირგვინის — მითრას კარზე მობრძანება, დაკრძალვის ქამს ეგვინის, სხვა მაგლოვარ, შეძახულ მდედრთაგან, მთავარ ჭირისუფლის გამოსარჩევად!

შეძახული დედოფალი კი თავისას ჰფიქრობდა, — „უმთავრესი ჭირისუფალი!?! მაცალოს, სხვას ვათქმევინებ: არ მოვიდა მამრი და მე რა ვქნა? ბედის გზას მივდეგ, ღმერთების ნაწევნებს! ხვარა მოგვი კი რა ბედენა!“ — ფეხი წარსდგა და გვირგვინის დადგმა ხვარა მოგვთა მოგვს თავმდაბლად დაანება.

სამეფოს ყველა დიდებული აქ უნდა ყოფილიყო წესი და რიგით, მაგრამ ჭერ ასე სჯობს, გვირგვინსა და ძალას თანდათან თავს მოუღრეკენ... მითრას კარი კი უნდა „გაილოს“ პირველ ყოვლისა!

— მითრას კარსა და მოგვთა მო-

გვის ხელს, ვერავლად განგმირულ მეფე მითრიდატე ევერგეტის სახელსამკვიდროდ — მისეული დიდი მადნეული ვერცხლისა ხალდეს!

ქარის მიღმა მდგარმა ზარიადრემ დაუფასა და გუნებაში მოუწონა „ვაე-რობა“ „ოქროს გვირგვინის დამტკიცებაში — ვერცხლის საბადო! ალბათ ღმერთებიც დაამტკიცებდნენ ამ გარეგებას!“

მოგვთა მოგვმა თავი დაბლა დახარა, მერმე ყველანი შებრუნდნენ და მიცვალებულს შემოადგნენ. მეზარეები უფრო მკვიდროდ შეჯარდნენ, მეცეცხლურებმა ცეცხლს უმატეს, მეგუნდრუქემ კედარის გუნდრუქი აკმია კოცონს.

მეუღლის ნეშტის ახლო დანახვაზე ლაოდიკემ იგრძნო, რომ მის ფიქრებში მისი მეფე — მეუღლე, როგორღაც სულ აღარც არის. აი ნეშტი არის და ფიქრი მის გამო აღარ... ამ ფიქრებში კი ის გვირგვინია, რომელიც ახლა „შეძაძულთაგან გასარჩევად“ აღვას... როგორ გაუბედა ზვარა მოგვმა?.. არც ეგ იყო „ლაოდიკეს ბანაკში“ მაგრამ, ახლა „ვერცხლის საბადო“ შემდეგ ვადმოდგება, ანა რას იზამს, მასაც და სხვასაც დაუმტკიცებს, რომ ღირსეულად ადგას გვირგვინი! და სულ ერთლანდზე სიღრმისეული ფიქრი ცეცხლივით ამოუვარდა — მოიბოვა და ადგას! არც არავის დაუთმობს! არც შინაურსა და არც გარეულს! და ვაი მას ვინც შეედაეება! დიახ, ვაი მას, ვინც არ უნდა იყოს!

მერმე ძვევ ერთლანდზე ჩაახშო სიღრმისეული ცეცხლი... ახლა, რომ ითქვას, ეს ჯერ დაუქრძალავი ბარბაროსი აბჯროსანი, ახმაი და ახირებული ხმაღულადა... მისი შეილების შამა, აქ კედარის ჩრდილივით რომ წევს, თითქოს უკვე კარგა ხანია მისი ვოროზი გულის მიერ დამარხულია. თურმე შეიძლება — შეილებს უჩენდეს და გულით კი ჰკლავდეს მამას! უჩენდეს შეილებს და არა მემკვიდრეებს! მემკვიდრეობა

კი ყველგან რომსა სწადს! ბევრგან მი-აღწია. კიდეცა... ჩანს ყველგან მხადწევს! ან აი ცხედარი!.. გზა გაცხელრეკებისა... ან პირადი კეთილდღეობა და მხოლოდ ანდერძი „სიკვდილის შექმნა — ყველაფერი რომს!“

...ხმაღულადა მეფის ახლო აღსასრული, თითქმის, ყველამ იცოდა... რავადაც! თა გასაკვირია, რომ მისი „საკრეცელის მოზიარე ყველაფერს მომზადებულად შეხვდა“ და მისი „სიკვდილის სარეცელი აღარ გაიზიარა!“ ანა, მას — ლაოდიკეს — ბრალს ვერავინ დასდებს... ისეთი დიდი და ვერაგი ძალა ჩამოვდა ბრძოლაში, მას, რაც იცოდა, ყველაფერი რომ ვახსნა, მკინე ვერაფერს შესცვლიდა! და „კენჭი ჰყარა“ — მითრიდატე-ტუბალურ გზას, ისევ სელევკურ-ბერძნულ-რომაული არჩია და აი მას გვირგვინი ადგა, ძველგვირგვინოსანი კი შავ ბედიურის ტყავზე წევს თავგაბობილი, რომთან ყოველმა მებრძოლმა ეს „შავ-ბედიურობა“ წინასწარ უნდა იცოდეს!.. ახლა ჩიუტ უფლისწულსაც, სწორედ რომში ვაგზავნის — სწავლის გასაგრძელებლად, ზოგ რამის შესაგნებად. უფრო მეტიც — იქნებ ვადასარჩენადაც! თავად კი იმეფებს, როგორც სელევკის შთამომავალს შეეფერება...

ძაძონებმა დაბალი ზრუნი წამოიწყეს, ლაოდიკემ მოიხედა.

ტაძარში უფლისწული თავდაბრილი შემოვიდა და მამის წინაშე წარსდგა მას შავი ტუბალური ტალავარ-ქულავა ეცვა. ცხედრის თავითი დადგა და თავი უფრო ჩაახარა. უძაობაში კედარის ცხოველ სვეტს დაედარა.

მოგვთა მოგვი ჩანს ელოდა, მერმე მითრას კოცონს მიეახლა, ლანგარ-საკმეველი აიღო და დედოფალს წარუდგა:

— გვირგვინოსანო, მთავარო კირისუფალო! წინასწარ ბრძანებას ინებებთ რასმე თუ მსხვერპლშეწირვა ვიწყოს?

— იწყეთ! — მოუჭრა ძაძოსანი.

ზარიადრეს ნიშანზე ტაძარში სირიელთა როქის სპა, სრულადკაზმული ჩამოდგა. მაგრამ იარაღს სიცარიელე არაოდეს არ შეუვისია... მოგვთა მოგვი ახლა უფლისწულს მიუბრუნდა:

— ღმერთებს, მით უფრო მითრას ტაძარში, მამრის სიტყვა სწადო! მით ურეტეს მემკვიდრე — მითრიდატესი. მით გვართსალოცავში!

ჭაბუკმა თავი ასწია. სწორედ მოგვთა მოგვი იყო მისი მიმრქმელი და პირველი მოძღვარი, მითრას ღვთაებრივი სიბრძნის კარისა.

ხვარას გამომქრალ და გარე აღით აკიაფებულ თვალეზში იმდენი სევდა და თანაგრძნობა დაინახა, რომ გამხნევედა და გული მოიკა.

— მოძღვარო ჩემო! გკითხავთ ყველას — ნუთუ ჩემს სახელოვან მამას, პონტოს სამეფოში ორმოციოდე მოზარესა და სირიელ დარაჯას გარდა, აღარვინ ჰყავდა მწუხარების მონაწილე, დამტირებელი?

— ჰყავდა უფლისწულო და მომავალო მეფევე ჩვენო მაგრამ ტაძრისა და ვალავნის კარი გაუგებრად ჩარაზულია... ვშიშობ ღმერთები გვრისხავენ! ცეცხლი ავად შიშინებს და რამლის ყრისას სანუგეშო არაფერია!

— მიცვალებულს ვინ ურახავს კარს? — თავი აღმართა ჭაბუკმა.

— ვერაფერს მოგახსენებთ... ეს სავრო ხელისაა! — ხელეები გულზე იყარა ხვარამ, — ჩემი ხელისას კი ვზორავ — ვინც ღმერთებს ტაძარში, მიცვალებულის წესის აგების დროს, აჩვენებს იარაღს — დიდი ხნის სიცოცხლე არ უწერია!

უფლისწულმა ხელეები გაშალა, თითქოს ყველას თავისი უიარაღობა აჩვენა ძაძამოსილიმა გვირგვინისაწამა ინიშნა. რომ ჭაბუკს ხელეებიც იმაზე გრძელი ჰქონდა, ვიდრე უჩანდა. მერმე მოისმინა შევილის, ყალიბში ამოყვანილი სიტყვა.

— მიცვალებულის სახელათ ვბრძანებთ ერთობლივ... მოგვთა მოგვმა ამ.

ენოს გარეთ თუ შინა — წყველაკრულვა ვინც დაარღვიოს, ღმერთთა წესი და ტაძარში, მიცვალებულთან იარაღსხმული შემოჰბედოს, ან შუთაი ჩამოაგდოს.

ამის შემდეგ, გაიღოს გარე-კარი ტაძრისა და ღია იყოს ვიდრე, თუნდაც ერთი ქვეშევრდომი თაყვანსა და გლოვას ისურვებს! ვინც წინააღმდეგია — ახლავე ბრძანოს, ან დაგვეტოვოს მიცვალებულთან!

ზრუნი გაწყდა. ყველა მიცვალებულივით ჩუმად იყო, გარდა მარადი ცეცხლისა მერმე „მთავარმა ჭირისუფალმა“ თავი დაჰხარა...

— თანამმა ვარ! უშფოთველობის თავდებად, ღმერთებისა და ჩემს წინაშე — უფროსი უფლისწული და მოგვთა მოგვი იყოს!

ზარიადრეს ნიშანზე უმაღ გარეთ გავიდა სირიელი დარაჯა. მით მოგვთა მოგვიც გაჰყვა, უკვე სრულ შემოსილი და მითრას ბუკალმართული. ჩირალისნებიც გაიყოლა, ვალავანზე გადგა. მოედანს ლოცვა და ფიცი-კრულვა გადასძახა.

მისი შემობრუნებისთანავე ვალავნის კარიბჭე ვააღეს და ხალხის პირველი ტალღა ტაძარს მოსწვდა, მოედნის ჩქამი და ქავლი შემოიტანა.

ტაძარში უეცრად დაცხა... მაგრამ იარაღი არავის არ შემოუტანია, შეაბჯრულ „მითრულთაც“ კი. მჭმუნვარე დუმილით მოდიოდნენ წვერქაღარა და ძვალმსხვილა მსოფლიონი.

მიცვალებულთა პატივისცემა ქართველ ტომთა საერთო წესი იყო... მით უფრო ასეთი მიცვალებულისა.

მოდიოდნენ მსოფლიანი და ახალგაზრდანი, მოდიოდნენ და ლევა არ იყო. ნეშტს ჩაუვლიდნენ, ნაბიჯს მოიოკებდნენ. ოხვრა-გმინვას სიტყვასაც ამოაბამდნენ, საერთო მოზარეებსა და ზრუნს ხმას მისცემდნენ და არც ისმოდა ცალკეული სიტყვა თუ შეძახილი.

სინოპელებმა და მოსულმა ამსელებმა მეტი ხმაური და გნისი შეიტა-

ნეს, ზღვისპირელებმა და მეზღვაურებმა მეტი ვიშ-ვიში... მაგრამ საერთოდ მსხვერპლთა წირვა და გლოვა შეუფერხებლად ვიღოდა, ვიდრე ტაძარში ჭაბუკ მითრიდატეს დედამძევე—თიამათ, ტუბალების დედაკაცების ჯგუფს არ შემოუძღვა.

მან თავიდანვე ხმაძალი ენა ამოიბა... თითქოს მოედნის სათქმელი წაშოიწყო, კარში შევიდა თუ არა ძაძა გადაიძრო, ჭაღარამორეული თმა გამოაჩინა.

— მითრიდატ — მეფევე, პირველ ენად — შენ გეტყვი, დიდო ტუბალო! არა სიკვდილი არს საშიშ — იგი ყველას ხეუდრიან... არა ბრძოლაში დაცემული არს მწარსაგლოვარ ვაჟკაცთა სვეა ოდიგარ ეამსა! სავალალოა ღალატით მოკლული თავის სარეცელზე, თავის ოჯახში და ვაი თუ, ზოგ თავისიანის სურვილის თანხლებით... ავამ დედო ტუბალო! აბჯარში ჩამჯდარხარ. მტრებზე რიხიანად მყივიანი! აღსდექ და მიეცე შიში საქვეყნოზე შემოძალებულს!

ყველა საოცრად შეირბა და მოიზიდა. მოზარეებმა უკლეს ხმას და მოენეს მისცეს მოთვლით ტირილის საშუალება.

თიამათმა კი ხმას უმატა. ახლა უფრო წინ წამოდგა, ჭაბუკ უფლისწულს შესძახა...

— ჩემი ძუძუთი გაზრდილო, შვილებში განურჩევლო! სიკვდილთან დაგნაცვლები!

ყველგან სიცოცხლის ზიარო! ჩემი დალოცვა გფარავდეს დაულოცავსა ადგილსა!

შენი საგლოვარ მიძიეა, ყველაზე ძნელ და მწარეა!

ჭერ უღვაშ ვერ შეიგრიხე, დაობლით შენ და ქვეყანა!

შემოგაცალეს ტოლკაცი, სასაბლე ვიგეს ციხედა... აღარც ტომკაცი ვახლავან ვინ შემოგველის თავზედა? არ დადგე — გამოეცალე! ჭაერი არ ვკამოთ ჭავრზედა.

ზარიადრემ კარგად ვერ გაარკვეა, ამ მოთქმის ხმაში „რაებს ჩმახავდა“ გამწარებული დედაბერი, მაგრამ სუნთქვა იკრა და უფრო ახლოს წამოადგა...

ხალხის ტალღა ტაბით მიდიოდა, მოენე თავისას სთვლიდა, ახლა უფლისწულს ჩაუარა, ოდნავ შემობრუნდა და გულზე მიდებულ ისარივით მიუჭიჭურა ლაოდოცეს:

— შენ კი ძაძებიანო გვირგვინოსანო! რაც უნდა ჭფარო სახე-პირი, რაც უნდა გვირგვინი იდგა — ბუნებით ჩემსავით დედაკაცი ხარ... ოღონდ ერთი... არცერთი შენი შვილისათვის, შენ გულისპირი არ შეგვისხნია... ერთი მე გავიზარდე, სხევებმა სხვანი... ჰოდა მე ერთი უბირი ტუბალი დედაკაცი გეტყვი — ბარემ ხელეზიც დამფარე ძაძებით, თორემ ხალხში ხმა დადის და ზედაც გიჩანს...

დედოფალმა უნებურად ხელეზიც ჩამჯარა ძაძებში.

ზარიადრემ წამოშველება სცადა, მაგრამ უფლისწულმა ხელი აუჭნია, ხალხიც ავად მოიზიდა. ყველაფერი წკაპზე იყო, ისევ უფლისწულმა გაშალა ხელეზი და ყველა გააშეშა...

— ერთსაც გეტყვი და გაგცლები...

— ენა არ დიციხრო თიამათმა, — სხეები არ გეტყვიან... ჩემი გვირგვინი — ნეუდლისა და შვილთათვის თავდადებული სიყვარულია... შენ ორივეში სტყუი — არ იქნების შენი კეთილი ზოლო! ანდერძი კი გამოაჩინე, თორემ ხალხი ამბობს — მეორე ცალიც არისო და ვერსად წაუხვალ ტყუილსა და ტომის შერისხვას!

ახლა კი შეტოცდა ძაძოსანი დედოფალი, მაგრამ ახლაც უფლისწულმა მისცა საშველი:

— თიამათ — დედილო! აკმარე დედა-დედოფალს, სამართალი მე მანდე, ჩემზეა! ყველაფერს გავარკვევ და აღარც ვისმე დაუფარავ! ახლა კი ვიგლოვით მამა და ყოვლად სიმშვიდე და წესად წესი რომ იყოს ყველგან!

და თიამათ, უტეხი დედაკაცი, დადრ-

კა, თავი დაჰხარა და ჩუმი ზარით აჰყვა ზალხის ტალღას, განის კარს გაეფარა.

მოგვთა მოგვმა ჩამორიგებით ღმერთები აღიდა, ტაძრის მონები აგალობა, სამეფო და სულეთში გადასული მეფე ამწყალობდა. მსხვერპლის წირვაც იწყო. მითრა — ცხენოსან-შუბოსანი ქანდაკება, გვართსადიდებელ გვირგვინტაბლით შეაჭერა, ხელადებითა და ორხელადებით ზედაშე ფერბთით შემოუწყო. ზეთისხილი და ხორბალი, ნელსაცხებელი და საკმელი ღმერთებს, ვით ცოცხლებს ჩამოთრიგა მიცვალებულსაც თავისი წილი დაუღო...

ერი კი დიოდა... უკვე დიდაკებიცა და თავაკებიც მოდგნენ... უფლისწულმა მრავალი იცნო, მამის თანატოლნი, ზელქვეითნი, მეომარნი, ხომალდთუხუცესნი, მეგამრიგენი, სწავლულნი და მწიგნობარნი... თვალმეტყველად უმზერდნენ, უსიტყვოდ აფრთხილებდნენ, ახვედრებდნენ, გარეთ იწვევდნენ... აღუთქვამდნენ თავის ერთგულებასა და თანადგომას...

ესმის მათი უტყვი თქმა თვალაცილი უფლისწულს... მართლები არიან, ახლა მას აქ — სასახლეში, ყოველ ნაბიჯზე დარაჯობენ, ჩასაფრებულნი არიან ყველგან... კარგად გრძნობს ამ მძინე ჰერს... მაგრამ ისიც იცის — ვიდრე მამა დაკრძალული არ არის, თავადაც არ წავა და ვერც ვერაფერს გაჰყვადევს ფარული მტრები! აი საკვირველებაც — მოკლული მამა იცავს მას ცოცხალსა და ცოტა დაბნეულს! მაგრამ მერმე — არც ერთი წუთით არ შეიძლება აქ გაჩერება, მაინც ახლა, როდესაც თითქმის „ყველა ბრალდება“ საჯაროდ ითქვა დედის წინაშე.

გვიან ღამე ისევ ჩაჰკეტეს კარიბჭე. სასახლე ისევ ციხე გახდა.

ღეღა-შეილი უბრად და ცალცალკე ვანშორდნენ ტაძარს.

ხოლო მითრას ცეცხლისა და ქანდაკების მოლოცვის დროს, მოგვთა მოგვმა ლოცვათა შორის, ჩუმიად წასაჩუჩუღლა...

— დიდი არს მითრა — ძირი შექცისა, სინათლისა, სხივთა ფენისა, რაიმე თუ ნათელ სიკეთე არს და ბოროტება ბინდის ბინდი... ფრთხილად უფლისწულს მოედანზეც ფხიზლობენ და ოუ რაიმე საფრთხე... აქ — ტაძარში შეპოასწარით... ღია იქნება... მეც აქ... ზეცთან არს მითრა — გამოუცნობი სიბრძნე სვეტი ცხოვლისა, მზით ბოძებულის!

ჭაბუკი უფლისწული იმედიანად წავიდა, გვართსამფარველოს „ლოცვით“ გამხნევებული... მამ ფხიზლობენ მოედანზეც, ტაძარშიაც... მაგრამ სხვაგანაც... და ის სხვანი დახვდნენ საუფლისწულოს კართან.

— დედოფალ-გვირგვინოსანი გიბნობთ, უფლისწულო! — კვლავ პირფერულ, ჰარბი თავაზით შემოეგება ზარიადრე, თან საგანგებოდ დაურთო, — მიუხედავად ღამისა და დაღლისა... დაუყოვნებლივ! — ჩანს სიტყვის სიმტკიცისათვის საწოლთ-უხუცესს სარანგები ახლდნენ.

— ახლავ ვეახლები დედას! — დინჯად მიუგო უფლისწულმა, მიხვდა — გადამწყვეტი წუთი დგებოდა, გადამწყვეტი, მაგრამ არა სამარცხო... თავშესაფრის ძებნა ჯერ აღრე იყო... — მარტო მთავარი ჰირსუფალი?

— არც თუ მარტო, მაგრამ არ ვუწყვი — ვით ინებებს თქვენთან საუბარს — ახალ სამეფო საბჭოზე თუ ცალკე! უფლისწულმა წესისაებრ ხელები გადაიბანა, ოდიო-მებაჯრეს პირსახოცი დაუბრუნა და მიუხედავად მვედრებელი ჩურჩულისა, არ წაიყვანა:

— თუ დამავიანდა, ხვარა მოგვს ეახელ! — ფარულად დაუბარა და ზარიადრეს გაჰყვა.

სადედოფლოს წინა დარბაზში, სამნი დახვდნენ — ბაბო-ხალიბი, ბაზუკ პერგამელი ბერძენი და როსებ ნატუბალარი, დიდხანს ტყვედ ნამყოფი კილიკისა და მერმე რომში. სამივე დედოფლის ხელის დიდ-მოხელენი, სახასიათ-მოურავნი იყვნენ, სამივე საჭურისნი.

ხოლო როდესაც ზარიადრეც მათ მიემართა, ჭაბუკმა უფლისწულმა ძლივს შეიკავა გაკვირვების ღიმილი, თუმცა არა ეღიმიებოდა რა. შედგა და ისე მოავლო თვალი თითქოს პირველად ჰხედავდა მათ.

საბჭო ფეხზე წამოუდგა უფლისწულს. დედოფალი საწოლში იყო და უმალ იქით იხმო მესაწოლემ, დედას აღარც ძაძა ჰქონდა, აღარც გვირგვინი. პარტონი იყვნენ.

— ნახე ახალი სამეფო საბჭო? რა ღვინაა ხარ?... მაინც გვეითებები როგორც პირდაპირი ხარ — ისევე მიიხარ!

— პირდაპირი? — ჭაბუკმა ველრ გაართვა თავი, ეს გამოწვევა იყო თუ გამოცდა, — სამარცხვინო და სასაცილოა... საქურისთა საბჭო!

დედოფალი მთელი ტანით შემობრუნდა, მსხვილნაკეთიანი შავგვრემანი სახე სიბრაზემ დაუტრიალა.

— მე განგებ ვირჩიე, ყოვლად სანდონი და უეჭვონი! ცილსაც ვერავინ დამწამებს ჭეროვ დედოფალს! შენ ჯერ რა გესმის ამის თქვენი ჭილაგი კი ჭიჭურ-იჭიანია! „მითრალენი“ კი სულ განუღგენ სასახლეს, მემუქრებიან კიდევაც...

— ...მაგრამ შენს მეტი არავინ იწოდებს ამით! — ერთიც შესძახა და მიხედა, რომ „ყოვლად სანდონი“ ყოვლად დაუნდობლად არიან შერჩეულნი და მისი ბრძოლა, დანგრეულ სახლში ბრძოლას უდრის, ჭეროვ ჩამონგრევა და მასაც ჩაიტანს... გაცლაა საჭირო, მაგრამ აზრიანი გაცლა!

ერთი გამჭოლი აზრიც მოებორკა, მერმე სრულიად ნათლად ჩამოეწაკათა.

— მოგვთა მოგვი მაინც გეწვია! რჯულის მოთავე! საიმედოც არის შენთვის და უეჭვოც! ბევრ ვინმესაც შეგარიგებდა... თორემ ჩემთვის ხომ სულ ერთია!

დედოფალი მალეგრძელები იყო და უმალ ჭკუაში დაუჭდა შვილის ნათქვამი.

— ვიწვევ, დავნიშნავ! მომეწონა შენი რჩევა... გერწმუნები და შენც მერწმუნე ხოლმე!.. თორემ... შენც დაწყნარდა და წყნარდა ლაოდიკე, მაგრამ ახლა სხვაზე აღელვდა, — იმ უტიფარმა დედაკაცმა, რაები მორთა ჩემზენახევარი ვერ გავარკვიე!... ესეც მამამენის ახირება იყო, ძველ-ტუბალურ წესით: შვილებს დედა-მამუძეთ გავაზრდებოდა!... და აი შენც გამოგყავა რამ მდაბიური — დედას რა იმედი უნდა ჰქონდეს შენი?

— ჭორები მუდამ ბევრია ქვეყანაზე... მით უფრო რომ, მამა მართლაც მოჰკლეს თავის სარეცელზე!... ძიძის ნატირალი მეც არ გამოვიდა ნახევარი... ან კი რაღა მნიშვნელობა აქვს! ნამდვილი მკვლელები კი უსათუოდ უნდა აღმოვაჩინოთ და ისე კი არა, რომ სხვას ესახავდეთ... მაგრამ ამას შენ უფრო გააზრდე... მე კი რაც შემძლია ხალხს გაშოშმინებ! თუ კიდევ რაიმეა საჭირო და მითხარ...

— საჭიროა, ბევრი რამ... უპირველეს ყოვლისა შენი სიღინჯე და განსწავლულობა... ჯერ კი სრული დამჯერობა, ისე როგორც ჭრისტი, როგორც სხვა შვილები.

ჭაბუკი იდგა უსიტყვოდ და თავდაზრილად... დედამ ეს თანხმობის ნიშნად ჩასთვალა და უფრო შეგორობდა, — შენ არ უნდა გავიწყლებოდეს, რომ მამაშენის ძალაუფლება ახლა ჩემს ხელთაა...

— პასუხისმგებლობაც... — დედადნილი ხმით დაუდასტურა ჭაბუკმა...

— ეგეცა!.. და ხანდახან ვალდებულს ვარ მკაცრი ვიყო... არა დედურად მკაცრი. ახლა სამეფოს ბედი ჩემ უშუალოდ გვეხება... და მე არ მომწონს ბევრი რამ და ნუ მაძულებ რომ ძალით გასწავლო...

— სწავლა მართლაც ბევრი რამისა მმართველს!

— ჰოდა გაგაგზავნი ისეთ ქვეყანაში სადაც ყველაფერს ისწავლი...

ჭაბუკმა იგრძნო — აქ იყო მოავარ-

სათქმელი... უფრო გაფაციცდა... ისიც იგრძნო, რომ მათი საუბარი მაშინაც სხვადასხვა ენაზე გამოდიოდა, როდესაც ერთ ენაზე — ქართულად ან ბერძნულად მეტყველებდნენ.

ჩანს დედოფალმაც იგრძნო ჩემი ურჩობა და სათქმელი აღარ განაგრძო.

— დანარჩენს საბჭოზე გეტყვიან... როგორა სთქვი — „საჭურისთა საბჭო“! — უამურად ჩაიხიბხითა, — შენ თუ ამდენი ღვარძლი გქონდა, აღარ მეგონა! ღმერთებმა ინებონ, ყოველივე ისე გარიგდეს—ვით განვიზრახეთ, თორემ სხვაფრივ ბევრს ჩვენგანს ვეღარაფერი იხსნის! — ეს უკვე აშაკარა მუქარა იყო.

დედოფალი წინ წარუძღვა შეილს: სატახტო დარბაზში ლაოდიკემ გვირგვინი დაიდგა და მოგვთა მოგვი იხმო. თავად ტახტზე დაბრძანდა. ახლა აქ ერთადერთი სამეფო საქლომი იყო, მეორე უკვე გაეტანათ და ზემოთ შერჩენილ მარშარალოს ბაღდახინის ქვეშ შავი კელაპტარი დაენთოთ.

დანარჩენები ფეხზე იდგნენ. არც დასხლობა შესთავაზა გვირგვინოსანიშა. შეილმა ინიშნა, რომ მოკლე გამოცხადება იყო.

ხვარა მოგვთა მოგვიც მოვიდა.

ლაოდიკემ უფლისწულსაც ზელმარცხნივ, საფეხურების ქვემოთ გაუჩინა პაღლომი და გახეპირებული სიტყვით მიპართა.

— ესე ხუთთა — სამეფო საბჭოს ღროებით წვერებად გასახეთ... ვიდრე დაკრძალვას არ მოვითავებთ... განბჭეთ და განაგისი გაუჩინეთ შემდეგ საქმეებს — ლაშქარი შეყრილი სანადიროდ თუ სხვა განზრახვით — დაითხოვეთ... მათ შორის „მითრაულნიც“. ახალი რიქის სპის გამოყვანა ელადის კუნძულებიდან შეწყდეს, ტარიელ მხედართმთავარი უკან იწვიეთ... მოემზადოს „მეგობრობისა და მუღმივი ზავის“ მოციქულობა რომის სენატთან, სადაო პათლაგონია წინდახედულად დაეთმოს. რომის მოკავშირე ბითინიას.. დამატე-

ბით შეირჩეს სათანადო ნობათ-საჩუქრები პონტოს ქვეყნიდან წარსვენუნად შესაფერისნი, უფლისწული — უფროსი ტახტის მემკვიდრე, გაემზადოს რომს წასასვლელად — სასწავლებლად, ვიდრე სრულწლოვანობითა და სრულგანსწავლულობით არ მოასაკდება და მომწიფდება ტახტის საპყრობლად!

ლაოდიკე გაჩუმდა და სმენად უქცა. იცის მან ვინ რას იტყვის, გარდა ორისა, ხვარა მოგვისა და უფლისწულისა... მაგრამ, რაღა გზა აქვთ მათაც?

ზარიადრემ მნიშვნელოვნად ჩაახველა და თავის რხევით დედოფალს კველაფერში მოედასტურა.

— სხვა გზა არც არის!... და მაინც, მეფის დაკრძალვამდე კიდევ გვაქვს ფიქრის საშუალება!...

— მეტი არც ჩანს გამოსავალი! მეტად რთული ვითარებაა! — საქურისნი, თითქმის გუნდურად ჩრიდნენ თავსა და აიტყვას, თვალებს კი ჰმაღადნენ.

მხოლოდ ხვარა მოგვთა მოგვმა აღმართა მხერა...

— ეს ჩვენი განსჯილია თუ რომის შემოთავაზებული ერთად-ერთი გზა დარიგებისა?

— ერთიცა და მეორეც! ჩათრევას— ჩაყოლა ვამჯობინეთ! მეყო—მე ერთი მიცკალებული მეყოფა სასახლეში, მეორე კი... — დედოფალი შედგა, ჩაღლართულ აზრს გამოსახსნელი დაუტრევა... უფლისწულმა უმალ დაამთავრა..

— მეორე მძევლად გირჩევნია?

— სწავლად და არა მძევლად! — გუნდად წაშველნენ საქურისნი.

დედოფალი ავად აიძირნა, ხმაშიც გესლი ჩაუვარდა..

— შენ არაოდეს არ უნდა დავიტოვო სათქმელი! თუ ბაღლი ხარ — ბაღლობაში დაეტიე... თუ უფროსობ და მაშინ მეტიც — მოგვთხოვება!... ჯერ კი სწავლა და სწავლა!

— სწავლად რომიდან — ათენს ბიდიან სხვანი! მე კი ათენში უკვე გახლდით! — შემართებით უბასუხა უფლისწულმა, მერმე მოისახრა, რომ ჩიხში

ექცეოდა და თავი მოიოჯა, — მაგრამ თუ მსხვერპლია საჭირო — მე თანახმა ვარ! ერთის პირობით — კარგად დავებნოთ, ვპოვოთ... ან აქ, ან სხვაგან — ანდერძი მაძინებინა... მკვლელებიც ნიშანდობლივ გამოვარკვიოთ, მიზეზიც... და რომში ჩემი წასვლა თუ აღმოჩნდა ერთად-ერთი გამოსავალი, როგორც აქ იოქვა — მე მზად ვიქნები!

დედოფალმა მოგვთა მოგვს შეჰხედა. მანაც თანხმობის ნიშნად, უსიტყვოდ ხელები დაისვა ჩანსა და წვერზე.

ახალგვირგვინოსანი ამას დასჯერდა და ამხვევე მოსჭრა ბჭობა.

მთელი კვირა, დილით დამემდე, კარის ტაძარში დიოდა ხალხი. შეძამული დედოფალი უკვე საგარძელში იჯდა. ისიც არა ყოველთვის... იცვლებოდნენ ნოზარენიც... იცვლებოდა ფარული დარჯაც. მოგვნი და ქურუმნი სცვლიდნენ ურთიერთს. ცეცხლი წვავდა შავ კელაბტრებს... უცვლელად იყო მხოლოდ ჭაბუკი უფლისწული. იგი მუდამ თავს დასტრიალებდა მამის ნეშტს... არა, მიცეპული პირობაც არ დაურღვევია — ერთხელაც არ გასულა სსახლის ან ტაძრის გარეთ, მოედანზე, თუ სხვაგან. არც ვინ მოსვლია საიდუმლო მოთათბირედ... აღბათ გარეთაც იცოდნენ რომ ცხრა თვალი ჰყავდა მიჩენილი „უხერხულ უფლისწულს“, ცხრა ყური გამოივებით ზარიადრესა და საერთოდ „საჭურისთა საბჭოს“. მაგრამ ამბავი და მითქმა-მოთქმა თავისთავად ეონავდა ამდენ ხალხში. ყოველ ლოცვის დროს ხვარა მოგვი რამეს წასჩურჩულებდა. ხოლო ერთხელ ბახო-საჭურისმაც გადაუჭრა მოულოდნელი სიტყვა.

— უფლისწულო! მე დაუდობელი კაცი ვარ, მაგრამ მართალი — რაიეს გირჩევ, — შავ კელაბტარს, მეორე დაუნაცვლა, მის ალზე სხვათათვის შეუქმნეველად სამაჯური აუკიაფა, — აიას ცნობ?

ჭაბუკმა იცნო მამის ოქროს ხასხასად დაფერილი, ძეწკვით ვარსკვლავმე-

კიდებული კოლხური სამაჯური, მაგრამ არ შეიმჩნია... შახომ კი ჩუმად განაჯრძო:

— დიდებულმა მეფემ ნდობით აღმჭურვა და მიწყალობა... ვაგლახ მტერს ჩვენვე ეუადვილებთ საქმეს... მაგრამ გულს ნუ გაიტებ და ყველას ნუ ჩასივლი მოღალატეთ! დედაშენი ანდერძს აღარ გამოგიჩენს, მაგრამ თვის თავზე გამოჩნდება მეორე ცალი. იქამდე კი არასგზით არ დაჰყვე რომში წასვლას ვერაგ განზრახვას! უფრთხილდი ყველაფერს და არასგზით არ შექდე შავნიკორა ბედაურზე!

უფლისწულს თითქოს არც გაუგია ჩუმად ნათქვამი. დანარჩენი შავკელაბტრები თავისი ხელით აანთო და ნეშტის თავით დადგა.

ერთხელ კიდევ ხვარა მოგვთა მოგვამაც ჩაუჩურჩულა:

— უფლისწულო! ირგვლივ დაღატია... „ამითრულნი“ და სხვანი გარეთ გელოდებიან. თავს უშველე და შერმე ჩვენცა! ან ნიშანი ვცეთ და თვით შენოგვივლენ!

— ჭერ დავკრძალოთ მამა... შერმე ვიფიქროთ! — ყრულ უბასუხა, — სამეფო საბჭოში ამიტომ მოვითხოვე მოგვთა მოგვი!

— სწორედ იმ საბჭოშია დაღატია... შენი „მოშორება“ სწადთ... განსაქუთრებით... — ხვარი შედგა...

— დედას! — ჩუმთ დაამთავრა ჭაბუკმა.

— სიმწარე აღრე აბრძენებს ჭაბუკს!.. მაგრამ ახლა რა გზაა ვეწიოთ?

— დაეთანხმე... ყველაფერზე დაეთანხმე... ექვი არ აიღონ! სულთა დაღატობის წინა დღეს გეტყვი, ან მოგწერა! თუ დაგვცალდა! ჭერ კი მტერსაც ვერიდოთ და მოყვარესაც.. ხელს ნურა ვინ შემოშლის — ჩემს საოქმელს — მე ვიტყვი თავად!

— ...თუ მომწერ — არამეული ხელით... აქ არვინ იცის, ჩემს მეტმა... თულა გახსოვს ჩემი ნასწავლი?

— მე ყველაფერი მახსოვს! ნასწავ-
ლიცა და განჭვრეტილიც!

— ჩვენთან არს ყველა ღმერთი, ძვე-
ლიცა და ახალიც! — ხვარამ ისევ
ცეცხლს მიაშურა და მის შექუფრულ
სახეს, თანდათან იმედის ნავლი გადაე-
ფარა.

პარასკევს კვლავ დედოფალმა იხმო
საუზმედ იჯდა. შეიღსაც მოუწოდა.
მაგრამ მან ზარიადრესთან დგომა არ-
ჩია.

დედოფალმა წარბები შეკრა —
„ჩანს არ მენდობა?“ და განზრახ
ტკბილცხობილი შესთავაზა. შეიღმა არ
გამოართვა:

— მაშის დაკრძალვამდე და გლოვის
გასრულებამდე — არც ტკბილ რასმე
გავტებს და არც ბნელიდან გავალ!

— ხვალ საგვარეულო აკლდამაში
დავკრძალავთ! ზევ შენ თავად დანიშნე
სულთა დალაობა და მორჩა... გლოვა
გლოვად, ხილო საქმე და სწავლა —
საქმედ და სწავლად! — დედოფალს
უკვე უყოყმანო ბრძანების კილო შეე-
ძინა და ისედაც აღრენილ შეიღს ეს
უფრო ესუსხა...

— განა მე ჩემი გლოვით რაიმეს
გეშლი... მაინც მამაჩემის მეუღლეს,
რომელსაც ალბათ აგრეთვე მართებს
დიდი გლოვა?

— მერმე ვინ გვაცლის? — უკან
შეჭირვეულდა ლაოდიკე, — რომსაც
ვეთხრათ — გლოვა გვაქვს და მოგვი-
ცადეთო! შენი ვერაფერი გამიგია, ხან
დაბრძენებული ჰაბუჯი ხარ, ხან უწურ-
თნი და უნახავი ბაღლი! — წამოდგა
და ოქროს აბზინდიანი ქოშები დააბ-
კუნა, — რომში წასასვლელი მოციქუ-
ლობა უკვე მზადდება, თავგაუბედურე-
ბულს დაეკრძალავთ და მოციქულობაც
წავა... შენც მოემზადე... როგორც
სოქვი...

— მოციქულობა წავიდეს, მე კი მო-
ვიგლოვებ და წავალ!

— არა, ერთად უნდა წახვიდეთ!

— არა და... ისინი მოვლენ და წაგაყვანენ!

— მე ვერ წამიყვანენ! — ანლა კი

პართლაც ბალღურად გაჩიურდა ჰაბუ-
ჯი, — ისევე როგორც ვერ წაიყვანეს
მამაჩემი! მოჰკლეს და ვერ კი წაიყვან-
ნეს!

— მერმე შენც თუ ეს გწადის? —
აყვირდა და აღშფოთდა დედა, მერმე
გულწრფელმა გაოცებამ მოიცივა, —
დალღიხარ! რას ამბობ უმეცარსა და
უგუნურს! დადე პირობა და წადი, დაი-
სვენე... ან დასწერე... დიახ, დასწერე!

ჰაბუჯი გულს შემოასკდა, ერთ წუთს
წონასწორობა დაჰკარგა და ლოხმად
მომდგარი სათქმელი ამოღველჯა:

— ანდერძს ხომ არ მაწერინებ?
თუმცა მერმე ალბათ მეც და ისიც და-
ვიკარგებთ! მეცა და ისიც! — სატევა-
რივით დაატრიალა სიტყვა, — არა, მე
არ დაეწერ ანდერძს, ვიდრე მამაჩემის
ანდერძს არ ვნახავ!

ლაოდიკე გაფითრდა და შეტოვდა,
მერმე ძროგამოცილილი ცეცხლი მოი-
კიდა...

— შენ გადამრევ მე!... მაგრამ ჰეკუ-
საც წააგებ! — მერმე კუშტად ჩაჭდა,
— კეთილი, ჭერ დაეკრძალოთ... მერსე
ჩაჯექ ბნელში, სკვარამში... და თუ და-
გვირდა — ისე მოიქცევი, როგორც
საპირო იქნება! შენ გაეიწყდება, რომ
მე გაგაჩინე... — სული მოითქვა და
მიხვდა, რომ მუქარა მეტად აშკარა
მოუვიდა და უმალ შეპოტარა, — ...ჩემს
ნების გარეშე ვერსად ვერ გაგიშვებ!

— მე არსად არც ვაპირებ წასვლას!
პირიქით ამაზე ვდავობ!

— ალბათ ვიღაცა გაქეზებს ჩემს წი-
ნააღმდეგ!

— ზარიადრემ და მისმა კაცებმა კარ-
გად იციან, არავის ეხვდები... არც ვე-
კარები... არც გული მაქვს, არც სურ-
ვილი!

ზარიადრემაც დრო იხელთა და ჩე-
რია:

— მართალი ბრძანებაა — დედო-
ფალ-გვირგვინოსანო! არავის არ იკა-
რებს უფლისწული... ცოტა აცალეთ და
ყველაფერზე დაგეთანხმებათ! თქვენ
მასზე ჰფიქრობთ, მას კი მამის საგლო-

ვარი აბორტებს! ეს საქმე მამაკაცებს მოგვანდეს! ახლა კი ხვალინდელი დღისა ვთქვათ... დაკრძალვის შემდეგ, სულთა დალაობაზე თქვენ მართლა ინებებთ ცხენზე შეჯდომას?! დღში გასვლას?

უფლისწულმა ასი ყური გამოიბა... კილოს თამაში იყო გასარკვევი...

— ვთქვი კია! ასეთი პირობა დადე!.. მაგრამ თუ ეს რაიმე მიზეზით უხერხულია...

ლაოდიკე გაბუტულად სდუმდა. ზარიადრე ყელგვერდულად დაჰვდა სათქმელს...

— არა, რაიმე უხერხული იყოს... არა ვგონებ... პირიქით — მეფეთა და უფლისწულთა უპირველესი მოყვასობა... სწორედ პირობის შესრულებაა... რამდენად ვიცი — ტუბალ-ქართველთა დანაწესიც ასეთია... მაგრამ არის ერთი რამ... უფლისწული თუ გავა დღში... ისიც თავის მამის სულთა დალაობისას — უნდა კიდევაც პირველი იყოს!

— მერმე და მამაჩემის საჩინბოში, აღარ დაჩხა არც ერთი ბედაური? — უფლისწული გრძნობდა ამ შეკითხვისაკენ ეწეოდა ზარიადრე, სადღაც ითრევედა და თავად მიჰყვა, ვითარების ვამოსარკვევად...

— სწორედ ეგ არის ჩვენი ყოყმანის საბაბი!.. მეტად კეთილი ბედაურია... უაქველად უპირველესი... მაგრამ ცოტა ფიცხი ცხენია და იქნებ არ ღირდეს შავ-ნიკორა ბედაურზე შეჯდომა?! არა, თქვენი ცხენოსნობა კი ყველამ ვიცით, მაგრამ...

ქაბუკი მიხვდა, რომ აქ იყო მელა დაბმული... აქეზებდნენ და უშლიდნენ ერთდროულად, თან გაახსენდა ბახო-საქურისის ვაფრთხილება. ჩაფიქრდა... „მამ აქ მიგებენ მახეს? გადაწყვეტი წუთი ყოფილა!“

ოდნავ ყოყმანი დაიტყო:

— არა, ცხენის სიფიცხისა არ მეშინია... მაგრამ, როგორც დედოფალი ბრძანებს!

ლაოდიკემ თვალმღვრიედ შეჰხვდა უცერად დამორჩილებულ შვილს.

— გაჰყვები მოციქულებს?

უფლისწულისათვის ერთი მარტყელიც გაიხსნა. სულ ღიად შეჰხვდა თავის დედას:

— განა სულთა დალაობა — სამოციქულოს გაყოლა-არგაყოლის გზაა? ლაოდიკე ისევ ამიღვრა.

— შენ ან მეტად გონიერი ხარ, ან მეტად უგუნური!

ლაოდიკე გვირგვინოსანმა პირი იბრუნა და სახე იფარა. პირი იბურნა ქაბუკმა, ახლა ზარიადრეს შეეკითხა:

— როგორია დღის გეზი?

— სინოპეში — ერთად-ერთი გზა — ზღვით განსაზღვრული — კონცხის უელამდე, მერმე კარჩხალისაკენ კლდისან და ტყიან ბილიკით, სოფელ სატუბალომდე და ისევ უკან. გზაშემოკლებით თავქვეზე... ამ გზას კი იცნობ — ძიძისეული გზა!

— კარგად ვიცნობ... დღისათვის, ძნელი გზა! თუმცა ცხენ-ბედაურზე ყველაფერი — განზრახ მოიკატუნა თავი ქაბუკმა და მიხვდა რომ ბუნებრივად გამოვიდა. ზარიადრემ თავი მონიჭლიჩა, გვერდულად დრიკა და დრიკა ყბა და სათქმელი...

— თუ, ამას კი ნულარ ჰკითხულობთ... ორი კაცი ჯაჭვით ამაგრებს! მამათქვენის შერჩეულია... რა ნახტომი, რა მუხლი? რა მონავარდე... შავ-ალმასა თვალები! ...და თუ გაჰბედავ... თან შიში მაქვს — არა სისწრაფისა და ამტანობისა — დოლი მისია! ეს არის — თუ მოკრევი ბედაურს! არ გაგიტაცოს ავთიფათიანად!

მითრიდატე ქაბუკი გრძნობდა, როგორ მოხერხებულად ხიბლავდა და „ექვიანად“ აქეზებდა ზარიადრე. ცხიდი, ყველას უნდოდა რომ იგი შეეჭდარიყო ამ ბედაურზე... ვგონებ დედოსაც. მაგრამ ისე, რომ უფლისწულის დაეინებითი მოთხოვნით, მისი ახირებული ხასიათის გამო... მაგრამ, რაი სწადდა — ნუთუ მართლაც „ცხენის იმედზე“ არიან? თუ კიდევ აქვთ რაიმე ზრახვა?

უფლისწულმა თავი შეიკავა და თითქოს შეყოყმანდა:

— ავხიფათიანი გზა? ეს აკლია ახლა ჩვენს საქმეს? უშიშარი ვარ, მაგრამ არა ხიფათის მსურველი და მამკებარი! დედასაც ვერ გავწირავ ამდენ ღელვად!

...მაგრამ ლაოდოიკემ ველარ აიტანა ამდენი თაფლიანი ღვარამლი:

— შენ მარტო ჩემთან ხარ უშიშარი!... იცი ბევრს რასმე გააბტიებ! კიდევაც — მაგრამ სიმხდალეს კი არა!.. მე ვაწესებ დოდის ჯილდოს — სტაერის სამოსელს, ოქროცურვილ აღჭურვილობას! იმ ბედაურსაც, თუ მეფის საჯინიზოდან იქნება! ან არჩევანის უფლებას მივცემ! — მერმე სულ დაასისიანა ხვა, — გარდა ამისა, თუ უფლისწულმა გაიმარჯვა, მივცემ გლოვის დროს, რომში წასვლამდე... თუ დამარცხდა და.. მოციქულებთან ერთად ვგზავნი!

უფლისწულმა, თვალები მოჭუტა, თითქოს შორეთს გაჰხედა:

— ამ ცხენ-ბედაურმა ავ გზაზე რომ გაიტაცოს მხედარი?

ლაოდოიკემ დააყოვნა და მერმე გაყინული ხმით მოსტრა:

— ცხენ-ბედაურს სიკვდილი, მხედარს კი ჰყრობა და ბორკილყრილად რომსს ვაგზავნა!

— მაშ ალარც არჩევანი, ალარც საშველი აღარ ყოფილა! — წამოძახა მითრიდატემ, — როდესაც დედა-შვილი ვერ თანხმდება, თანახმა ვარ — ცხენ-ბედაურმა ვადასწყვიტოს სადაო გზა და გლოვა!

...და როდესაც შვილი სადედოფლოს დარბაზიდან გამოდიოდა, თან მოჰყვებოდა დედის ყრუ, მაგრამ ჰირვეული შეძახილი...

— მე ვადამრევს ეს ტანაყრილი ღლაპი!

შაბათ დილას ოდიო-მეაბჯრემ, მითრიდატეს საუხმე რომ მოართვა, კვლავ გაბრუნდა და ფარიც თან წაიღო.

— რათ დაგჰირა ჯერ... ოდიო?

— ახლავ გეახლებით, უფლისწულო! ქაბუკი მემკვიდრე, მამის დანაბარებ-

სა და თემესტე-მკურნალის განრეგს ზუსტად ასრულებდა. ყოველ ჰამის წინ შხამსაწინააღმდეგოს ყლავდა. ჰამის შემდეგ შხამის ციქნას. დროთა განმავლობაში — უზუსტეს წონითა და სიფრთხილით — საწინააღმდეგოს უკლებდა და შხამს უმატებდა. ამან დიდი სიზუსტეც გამოუმუშავა და მუდმივი გულსყურიაობაც.

ახლაც ასე მოიქცა, შესვა და უმალოდ მოისაუზმა. სხვას კი არავის იკარებდა. ამ „ლალატიან სასახლეში“ თავისი მკაცრი წესით ცხოვრობდა. მით უფრო ახლა, მამის მოკვლის შემდეგ, სულ აღარავის ენდობოდა... გულში აღრეული ეჭვიანობა ზღარბივით ჩაუჭა და და ბალღური კეთილგულიანობა ჩაუწიწვანა.

მაღე ოდიო შემობრუნდა, თავისი ფარი გულალმა დაუდო და ჰალარა წარბები შეკრა. გლუვ შიდა პირზე მურის ნაცხები ჩანდა. ნაწერი იყო.

— ვინ? — ტუჩების ოდნავ რხევით შეეკითხა ახალგაზრდა.

— ბახო-ხალიბი... ყოვლად საიდუმლოდ, შემურულ თითით...

— ბახო-საჭურისი?... ხომ იცი როგორ გვზვერავენ?

— დღეს, თავად ბახო არის „საზვერავენ“... საეჭვო რომ შემენიშნა, მკლავს გადაფუსვამდი მურით ნაწერს.

ქაბუკი ფარს დაეწაფა. ბერძნულ ასოებით — ხალიბურ კილოკავზე მოქცეულად ასე ეწერა:

„შავ-ნიკორაი, ცხენ-გრიგალა კუნაპეტა ქებაში ნასუქალი ურა ულაყია... მარცხის ვარაუდი აქვთ... გზად — ძველ შუქურას მადლობზე, საუეჭველოდ სირთ-მოსისართ დაგახვედრებენ. დააბჯრულ იყავ, ლოდს ელოდე ორქვის ორწოხში. ძიძის სოფლის თავში, გულგულას წყაროსთან „მითრაულნი“-სამოყვროდ და მოუთმენლად გელოდებიან. რომი და სიკვდილი ერთია!“

რამოდენიმეჯერ ჩაიკიბით წაიკითხა გზაც წარმოიდგინა.

— ახლა წაშალე! — და როდესაც მოხუცმა მეაბჯრემ ფარისგაწმენდა და-

აპირა, ჭაბუკმა ხელი დაუჭირა, — ახლა, ვენდო კია ბახოს?

— ენდე, ხალობია! — ოდიომ თავისი ვეება მკლავი გადაატარა და მური წაშალა, თან მკლავზე შებმული ვარსკვლავიანი სამაჯური გამოაჩინა. — ესეც მან ვაახლათ, სწორედ ნდობის საწინდრად და ნიშნად... ენდე... მე ვარ თავდები!

უფლისწულმა სამაჯური გაიქეთა და სახელოს იქით ჩაშალა.

ზედაც ათასი ბოდვის მოხდითა და ღიქნით, ზარიადრე მოადგა საუფლისწულო დარბაზს. ჭაბუკი თავად გავიდა ტალანში.

— უფლისწულო, როდის ბრძანებლს უნდა დალაობას? დილით თუ საღამოთი?

— მე უკვე ნათქვამი მაქვს.. აკლამას შევმურავთ თუ არა, მაშინვე — თუ საშურია... თუ არა — გადავდოთ, დანარჩენ ვითარებას შევეუთანაბროთ: მაინცადა-მაინც — გლოვის პურადობას!

— ვერ დავფარავ — გარემოებანი გვზღუდავენ! ვჩქარობთ — მკვლელ დრომადეს კვალს მივაგენით! უნდა წავიდეთ... თქვენც თუ ინებებთ! ამიტომ საშურია!

ჭაბუკმა გული ძლივს შეაჩერა საგულეში.

— კვალს მივაგენით? უსათუოდ წამოვალ! მაშინ ნულარ ვაყოვნებთ დალაობას!

..მაგრამ მითრიდატემ ზარიადრეს ჩადარაჯებული თვალები დაუნახა და ისევე დაექვდა... „ზარიადრული ტყუილია ახლა ფიქრებს მიბოროტავს!“ ზარიადრე კი თავის ხეანჯს აწყობდა...

— მაქვს პატივი — შემურვა, გლოვის პურადობა და საღამოს პირს-დალაობა, მზის ჩასვლამდე რომ დავასრულოთ!

— იყოს! — მძიმეთ დაუდასტურა ჭაბუკმა.

ზარიადრე ხელების ფშვინებით წავიდა.

ერთხელ კიდევ დატრიალდა ოდიომეაზრის ფარი. ამჯერად ჭაბუკმა უფლისწულმა ბუხრიდან ძველი მური გამოიღო და არამეული ასობებით, ხოლო ტუბალ-ქართული ქარაგმებითა და სიტყვებით მისწერა მოგვთა მოგვს ზეარას. „ზელ მზის ჩასვლისას, ძველ შუქურას გასწვრივ, ზღვაში — ნაპირიდან რომ მხოლოდ შავ ფრინველის ოდენად ჩანდეს, კამარა ნავით დამხედვს ტარიელ „მცირე“ არც არვინ იახლოს, არც არვინ იცოდეს მეტმა...“

4. სულთა დკლაგვა

დილიდან ზღვა ხალხისა მოაწყდა ტაძარს, გალავანს, მოედანს. აღრევე დაიწყო მსხვერპლთა წირვა. ვეება კოცონები გალავნის სიმაღლეს სწვდებოდნენ.

სხვადასხვა ტომთა და გვართა მოტირალთა ზარს, ახლა შორეულ სამოგვეთა და ტაძართა მგალობელნი და მონანი დაერთვნენ.

ცეცხლაკიდებულ ხორგების ირგვლივ, ხელჩართულ რკალეზად, როკავდნენ პირქუში აბჯროსნები... მათ უკან, სათაურამოთაღებული და შავმანდილა

ქალები. თავდახრილი მდამბორნი და სულ უკან მონანი: ძველტყვეულნი და უსახსრონი.

საპატიო მოქალაქეთა და ამქრებს-ცალკე კოცონები ენთოთ. აქ უკვე ქალაქ-ქალაქ იყვნენ დაჯგუფებულნი... სინობელები, ამასიელები, ამისელნი, ტრაპეზუნდელნი, კერასუნდელნი, პრავალი სხვანი... ფერად-ფერადი დროშანიშნები, ხატულ-ალმები შეძახულად და დახრილად გაეკრათ გარედან გალავანზე, კარგებზე.

ჩანაწილებულ კოცონებზე და ცე-

ცხლიკუდებზე შიშინებდნენ ხის, ვეება-
შამფურებზე წამოცმული „გლოვის
ზვარაკნი“, ოთხში ამოდებული ყოჩები
და მოზერები.

ჭირისუფალ ტომს ჯოგი მოერეკა და
ახლა შუბლის ნიშნის მიხედვით ქურუ-
მთა მწენი, დასტურნი, სულის ზუცი, ნე-
ტარ-ქადაგანი არჩევდნენ საკლავს, ამ-
წყალობებდნენ ხალხს... სამსხვერპლო
ქვებზე და ირგვლივ სისხლის მორევი
იდგა. ჩამურებში მარლი ეყარა, სი-
ბებზე ლაპლაპა საღვთო დანები ეწყო...
ყოველ ზვარაკის დაკვლის შემდეგ, სა-
ვალდებულო იყო დანის სიბზე აღესკა
და წყაროში ამოვლება. თავფეხს ში-
ნისათვის ინახავდნენ, ფაშვს აქვე, მო-
ედნის ბოლოში ხევშრალაში ჰყრიდ-
ნენ... სადაც მთელი სინობესა და მიდა-
მოს ძაღლები შეყრილიყვნენ და
„უსურმაგ ალაბობა“ ჰქონდათ.

ფსონით მოსული საქონელიც იაე-
ლოდა ხელოსნების მიერ. მათ თავისი
დალალიცა და სალაბიც ჰყავდათ. სუფ-
რა-სუფრა ზორცს სულადობაზე ანაწი-
ლებდნენ.

წყაროს ავაზანთან მესაკრავენიც
ბლომად იდგნენ. მაგრამ საკრავისა თუ
დაფდაფის ხმა არსაით ისმოდა. ჯერ
ჭირისუფლის მიერ ჩანგი „გატეხილი“
არ იყო, გლოვის ხმად კი მხოლოდ ვა-
ლობა და ზარი ითვლებოდა. ვიდრემდე
კი სხვა ხმა და კილო ნაყრძალ, აღკვე-
თილ იყო!

მითრიდატე ჭირისუფალს მოსვენება
დაეკარგა. მით უფრო გამუდმებული,
აბეზარა ზვერვა შეამჩნია... „ავი ჩრდი-
ლები“ და „უსურმაგ მოალაპენი“ ფეხ-
დაფეხ სდევნიდნენ.

გალავნიდან გადაჰხედა ვარე მიდა-
მოს, ყველაფერი მოინიშნა, მაგრამ შე-
შინდა, თავი არაფრით ემეღვანებინა.
ისევ დარბაზში გამობრუნდა, თავის სა-
ღვომისაკენ გზად მავალმა, ჩვილთა
დარბაზს ჩაუარა, ნაჩქარევად ხეიბარ
ძმასა და დებს გადაჰხედა... ისინიც
შემკრთალნი შემოეყარნენ... არა, ვერც
აქ მოიპოვა უფლისწულმა სულის შოშ-
მინი. ისევ თავის დარბაზში შეიკეტა,

წიგნის თაროებს დაუარა... გრაგნილებ-
სა და ეტრატებს გადაუსვა ხელი...
ამოდებული ხელნაწერები ისევ თავ-
თავის ადგილზე დააბრუნა... კალამი
„ილიადასა“ და „ოდისეს“ ნაკლულ
ხელნაწერს დააყოლა და ქვის თაროზე,
ცალკე შემოსდო. მაგრამ წიგნმა წიგ-
ნი შეახსენა... ბევრი სძებნა, ბოლოს
იბოვნა ეტრატი, შუამდინარის ქვასვე-
ტებიდან გადმოწერილი, შემერული
„პილგამეშიანი“, რომელსაც ტუბალურ
და საერთოდ სპერ-ქართულ პირველ-
თქმად და ტომთ უწინაბრესად სახავდა.

ასევე დააწყო ქვის თაროზე — ჯერ
„პილგამეშიანი“, მერმე „არგონავტიკა“
პონტოსა და კოლხეთის შესახები მო-
ნათხრობი, მერმე ჰომეროსის თხზვანი.
რომელნიც მონათესავე პელაზგებსა და
პალიძონ-ხალიბებს იხსენიებს... ახ-
ლა „პრომეთეს“ ძველი წიგნიც ამათ
დაურთო. „პრომეთეც“ მას ქართულ
„ამირანის“ ტყუბად და ელინურ გამეო-
რებად ეფიქრებოდა. მერმე ის წიგნი
მოაგონდა, რომელსაც ვერ კითხულობ-
და — „მატიანე სპერისაი“, დიდხამს
ამაოდ სძებნა. თავისი მოძღვარი ბედან
კოლხი ინატრა, მერმე მოაგონდა რომ
ბოლოს მას ჰქონდა ეს ხელნაწერი:
უთხრა კიდევაც:

— ამის დროც მოვა... გასწავლი —
ჯერ კი ფრიად საიდუმლოა!”

მაგრამ „დრო“ გარედან კარში „უკა-
კუნებდა“. ოდიო-მეაბჯრე მოსულიყო.

— ოდიო-ჰაბილო! ხომ წააკითხე
„ფარის მური“? — კვლავ, ჩუმათ წა-
ჩურჩულა და მიხვდა, რომ წიგნებს
გული გადააყოლა, თორემ ლეღვა
ლეღვადვე დარჩა.

— კვლავაც მოგახსენეთ! ცაზეც
ღმერთებიაო და ზღვაზეცო!

— ლალატიც ყველგანაა!

— კვლავ მოგართვათ ფარი? დასან-
შვიდებლად და თუ ინებებთ — სიფრ-
თხილისათვის!

— არა! — უკვე შეიქმნებნა უფლის-
წული, — დასამშვიდებლად ქალაქუნებ-
თან მოიკითხებ... ფრთხილზე ფრთხილი
კი უკვე ფრთხალია!

ოდის ჩაეღიმა ქალაქებში...

— მითრიდატულს ვეცნობ!

მაგრამ უფლისწული აღარ უსმენდა. წინ წარუძღვა. მამის საბჭარეში ჩავიდა და მის საბრძოლო ჯავშან-ალკაზმულობის ჩაცმას შეუდგა.

ოდის მეაბჯრე ხელმარჯვედ შევლოდა. ისიც წასჩურჩულა, რომ კარის კრუვიდან შემოიხედა „უცხვირ-არო მეთვალემ“ და ამბავი წაიღო „გველ-აქუებთან“.

— გავლანდე.. წავიდეს... შენ ეს მი-თხარ — და მაინც დაირცხვინა, თითქოს მოიბოდიშა, — შენდა შემარჩი მწედ და მრჩევლად.. ვიბნევი... ზღვა უფრო მკაცრია თუ ისარი?

— ზღვა, უფლისწულო, ღმერთის სამყოფელი სტიქიონია, ისარი და აბჯარი კი ადამიანის ხელობაა!

— ჩავიცვა თუ არა აბჯარ-ჩაჩქანი?

— ჩაიცვი უფლისწულო, ჩაიცვი... სულთა დაღობა... მამას ემსგავსე, მისი სახელით მიხვალ... მაგრამ თუ სისწრაფე გწადს — აბჯარი მძიმეა... თუ წყალი გიწევს — მით უფრო... ჩაიცვი და მერმე გაიძვრე, სულთა ენაობის დროს! დანარჩენი კი არა ვიცი რა... ნეტა შემძლოს დანაცვლება. — მოხუც ხალიბს კურცხალი შეეპარა თვალის უბეში. უმაღლი მობალა, მაგრამ ჭაბუქს არაფერი გამოპარვია...

— კარგად მირჩევ, გულიანად!... აბა მამის ზუჩიცი დამახურე და მორჩა...

მერმე პირდაპირ ტაძარში წავიდა.

დედოფალი უკვე იქ იყო. შვილი რომ დაინახა, მთელი ტანით შეირხა, ცხედრიზაკენ მობრუნდა. არა, ცხედარი უძრავად იღო. მსგავსება-ტანადობა კი განსაცვიფრებელი იყო, შემძიმებული მიხრა-მოხრა, ხელნავიანი მკლავების გულზე კრეფა. ჩანს დედოფალმა კიდევ რაღაც „მსგავსება“ შეამჩნია ამ ორთა, იქნებ მსგავსება განწირულთა... ათროლოლებულად შეპლადადა:

— მითრიდატე... უფლისწულო! იციან ღმერთებმა, მე არ მსურდა შენი „მეგამრიგობა“ მამის სახელით, მისი

სულთა დაღობის ბედაურზე ამხედრება... მაგრამ შენ ისურვე ღმერთი! ჭველი და ახალი ღმერთები ილიცქმამთგვთა მოგვთან ერთად, მსხვერპლიც შესწირეთ შესაწირავსაც უხვად გავცემ... მერმე რამლი ჰყარეთ — იწინასწარმეტყველოს თეთრ ზვარაკის ბეჭუტე და ვნახოთ — რა ნიშნები გავგიმქლავნდება!

ჭაბუქმა თავი დაჰხარა და მოგვთა მოგვს გაჰყვა რამლის სენაქში.

არცთუ მაღალსა და ვიწრო სარკმელში, მზის სხივი საბნისივით შემოჭრილიყო. სენაკი სავსე იყო მტრედებით. მათი ლულუნი არც მაშინ შეწყვეტილა ხვარა და შეაბჯრული მეგვიდრე რომ შევიდნენ და კარი დახშეს.

— მე ნაბრძანები მაქვს — რომში წასვლა გირჩიო... ჩანს ეს არის უკანასკნელი ცდა უფლისწულის ნებაყოფლობით დათათბირებისა! ღმერთების სახელით მოგთხოვო... ასევე ვათარგმნო რამლის ნიშნებიც! საქმე ისრის პირზეა! უნდა გაუჩინარდე! — ხვარას ქვედა ყბა და ზედ შერჩენილი მეჩხერი წალდა წვერი უცახცახებდა... ირგვლივ კი ლულუნებდნენ მტრედები...

— პასუხი თუ მოვიდა გარედან... „მცირესაგან“?

— მოვიდა.. იქნება!

— მაშინ... ჩემი რამლიც ყრილია! დავიწყოთ.. სამეფოს გაბარებ... ახლა კი რაც მოგთხოვა დედოფალმა, ყველაფერი ისე წარმართე... ღმერთებიც იმოწმე და ნიშნებიც!

ხვარა მუხლებზე დაეცა და ხელნი აღაპყრო. ყბა-წვერი უფრო აუცახცახდა. მუხლი იყარა ახალგაზრდამაც... ახლა მხოლოდ მტრედების ლულუნი და ისმოდა. მერმე სულ ჩუმით ხვარამ დაძრა ბაგენი...

— ბედან-კოლხი მონახე... „კამარაში მჯდომმა“ იცის... შენი რომს წასვლან სხვა გზაზე დალუბვა — ჩვენი დალუბვა! გზა მშვიდობისა და სიმარჯვისა!

ხვარამ საკურთხეველის თავიდან მტრედები ხელფაქიზად მოიშორა და მოჭიქულ ზარდახშიდან ოქროს ძეწვე-

ზე შებმული თევზის კბილი ამოიღო. უფლისწულს გადაჰკიდა და აბჯრის ქვეშ ჩაუმალა...

— თქვენი გვარის თილისმა! ანდერძის დაწერის შემდეგ შენ დაგილოცა... აქ ინახებოდა მითრას კარზე!...

კედართ კორომში ძელს შემოჰკერეს...

— ჩქარობს დედოფალი! — წამოდგა და ერთობლივ აფორიაქდა ქაბუციც, მაგრამ ფიქრი დინჯად ვიღოდა, — გთხოვთ ვახლოთ დედოფალს, მდამლად მოახსენოთ — უფლისწული გვირგვინს ითხოვს-თქო!

ზვარა ჯერ განცვიფრდა, არ დაუჯერა სმენას:

— მცირე გვირგვინს?

— ღიანს! მცირედ დაწყნარდეს ყველა!

ზვარას ხელმოფარული ღრეჭა აუვარდა, მტრედებს მოუბრუნდა, აუქნია... სარკმელში გაფრენილთ თვალი გააყოლა და ლოცვასავით წარმოსთქვა...

— მტრედის გზა და შევარდენის შემობრუნება! — და უკანმოუხედავად დედოფალს მიაშურა.

კედელზე გლოვის შუბოსნები იდგნენ. წმიდა კორომში ძელის კვრა გრძელდებოდა. სადაღაო მსხვერპლის შეწირვა დაიწყო. თეთრი ზვარაკიც წამოაქციეს. მალე საკმელის სურნელი მოედო, ტაძარს, ვალავანს, მოედანს... ვალავანის თავზე ჰარბკვამლიანად იწოდა გუნდრუკი მოტანილი ხალდეს ან ლიბანის წმიდა კედრიანიდან.

მოკლულ მეფის ცხედარი ღია ტახტრევანზე გადმოასვენეს და მადლა ასწიეს. მოედანზე დინჯად გაიტანეს. უკან მრავალი მგალობელი და სასახლის მძიმედ აღჭურვილი დაცვა მოჰყვებოდა.

დედოფალი ტაძარში დარჩა. არ გაუშვა არც უფლისწული და არც სხვა შვილები.

— ვვატორ! — ბერძნულად და ბერძნულ ზედსახელით მიმართა. — ჩვენ აკლდამაში წავიდეთ... რამლის ყრასაც დავესწროთ, მოგვთა მოგვის ახსნას...

გული აეს მიგრძნობს.. ყველა დიად თუ ფარულად აღჭურვილა! შენც აბჯარში ჩამჯდარხარ, თითქოს ბრძოლად მიხვალ!

— სულთა დალაობის წესია!

— მე მომახსენეს, რომ სწორედ არ არის წესია ავი ნიშანიც არის!

— თუ წესთაგამრიგე, ღმერთთა და კაცთა შუამავალი, მოგვთა მოგვი მეტყვის და დედოფლის სურვილიც ასეთი იქნება — მე გაეიხიდი აბჯარს და მცირე გვირგვინს დავიდგამ.. ვანა არ გადმოგცა ზვარა მრჩეველმა?

— გადმომცა.. მაგრამ არ დავიჯერე.. ახლაც მხოლოდ ნახევარი გულით მჯერა!

დედოფალმა შვილს შეხედა, თუმცა თითქოს მასაც გადააცილა მზერა. მითრიდატემ მოიხედა და ზარიადრე შენიშნა...

— ამაში დარწმუნება ფრიად ადვილია! ზარიადრეს უბრძანეთ — გვირგვინი მოედანზე გამოასვენოს!

დედამ აღარაფერი სთქვა. ტაძარს შემოუარეს თუ არა მითრიდატეთა განსასვენებელიც აქ იყო, ვალავანთან სულ ახლოს დიდ, ოთხკუთხა, თლილ ქვებით ნაგები. მრავალსვეტიან მისავლითა და სიღრმეში წასული ფართო, მარმარილოს კიბით.

ზედ ზღურბლზე თეთრი ზვარაკი უკვე დაეკლათ და კიბეზე სისხლს კვალი გაჰქონდა. ოთხში ამოღებული, მცოდნე ზელით დასახსრული კურატი, ძვალ-რბილი აკლდამის გარე სამსხვერპლოზე ელაგა. მოგვთა მოგვი შავ-თეთრად შემოსილიყო. მწეთ და ტაძრის მონებს კელაპტრები და ლამპრები ებყრათ. ირგვლივ, ნახევარ წრედ სასახლისაანი იდგნენ.

მოედნიდან, ვალავანგამოვლით, ხმა მოდიოდა. ვალთა და მოთქმა, შორიდან ზღვის ღელვისა და ქარის ზუზუნის ხმას ედრებოდა. ცხედარს წესით ცხრაჯერ უნდა შემოეგლო მოედან-ასპარეზი. ამ დროში უნდა ჩამთავრე-

ბულიყო მოგვთა მოგვის მსხვერპლის
წირვა და მისნობა.

ქადაგები და მძაბურები იღვწენ
აყლამასთან, ვალაენზე, კოშკის თა-
ვანზედაც... ხმა-ძახილი ბერძნულად
და ქართულად, ხან კოშკიდან მოისმო-
და, ხან აყლამის მხრიდან...

— მითრიდატე ვერგეტ, მეფე პონ-
ტოსი... მოედანზე გაბრძანდა სასაბარე-
ზოდ! და მას — რომელსაც არა ერთი
ბრძოლა და სარბიელი მოუგია... ახლა...
ამ ჭერად... ამა მიწიერ და ხილულ
ცხოვრებაში უკანასკნელად — ცხრა-
ჯერ გვიღოს სასახლის წინა სარბიელ-
სა და მითრას — მთვარის ქვეყანაში
მიესვენება!

...და როდესაც ეს გრძელ-ძახილი კო-
შკის თავანიდან თარგმნილ-დამარცხ-
ლული მისწვდა მოგვთა მოგვს... მან ერ-
თი აზხედა ზევით, ხელები აპყარა და
აიძახა:

— მითრიდატე ევატორი, ჯერ
უფლისწული, მამის სახელით რამსა
პყროს... დედა მისი — ლაოდიკე გვირ-
გინოსანიც აქ ბრძანდება და ღმერთე-
ბისაგან ახალ ნიშნებსა და სვე-ბედს
ითხოვს... — და ვიდრე ძახილი ახლა
ქვევიდან ზევით ათავდებოდა და მოე-
დან-სარბიელს სწვდებოდა, ჭაბუკ მით-
რიდატეს ზუჩის მოხდა სთხოვეს და
შიგ ცხრა კამათელი ჩაპყარეს...

— ჰყარე! მზეს შეჭხედე და ჰყარე!
უფლისწულიც ასე მოიჭკა. კამათ-
ლები სამსხვერპლოს ქვაზე კალიებივით
ახტუნავდნენ... ხვარამ, ახალ, ჯერ კი-
ღვე სისხლიან ბეჭზე თითო-თითოდ
კრიფა კამათლები.

— ტაროსი ჩინებული!.. ზღვა არც
თუ ბობოქარი! მიწისძვრა სულ არა! —
კამათლების მიხედვით მკითხაობდა და
სკვრეტდა მომავალს, — მოსავალი
ზღვის მხარეში ზღვის ოდენა!... მთაში
ნაკლები!... მაგრამ გველ-ხოკერას წელი-
წადი, თეთრი ქორისა — დსავლითი სა-
ქონელი კი ბევრი! რქიანი,... მაგრამ
ჯოგი კუდალა! ზღვაზე თევზი ბევრი,
მაგრამ ალიტრიონი, უფრო მეტი, ერი-

დეთ — ნიშანია სიკვდილდასარიდალი!
დიდი ომი არ არის, არა!... მაგრამ
შფოთი კი ჩანს! თუმცა უშფოთველად
ბამ კარგა ხანია თავი გვარიდა! მტერი —
დიდი, სახელმოკლე! სულ ოთხი ასონი-
შანი ხან გამოჩნდება, ხან არა! აი ოთხი
კამათელი — ოთხივეზე კიკო დაჯდა!

ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოსთქვამდა
ხვარა მოგვი, ასევე წყვეტილად ვალაე-
ნზე გადადიოდა, მოედანს ედებოდა...
ყველა თავის კერძო და საერთო ზრა-
ხვებს უსადაგებდა ნასმენს... და უვლი-
და, უვლიდა, ნელი სვლით უვლიდა
უკანასკნელი ცხედრიონი ევერგეტი-
სა..

ხვარამ კი ბეჭის ძვალს გაჭხედა, მზეს
უბირდაპირა და სულ ნელა მაჭის ირგ-
ვლივ შემოაბრუნა...

— მზე იჭვრიტების! უფლისწულის
მომავლისა! მაგრამ ზღვა ყლაპავს
მზეს! ჰოი, ღმერთებო! გამოგვიჩინეთ
უფრო ნათლივ გვაძინეთ ჭვრეტილი!

ხვარას ხელი ჩამოუფარდა, თვალები
დაეხუჭა და უძლურად ახურჩულდა:

— თვალები ვერ უძლებენ მზის
ბრწყინვალებას — ან დიდი სიკეთეა
ჩვენს თავზე, ან დიდი სიავე! საყმელი
ღმერთებს!

მწეებმა გობის ოდენა, კუშტულიანი
საცეცხლურები მოართვეს, შიგ საყმე-
ლი იღო, ხვარამ შიშველი ხელით აიღო
ნაკვერცხლები სამსხვერპლო სახმილი-
დან და საცეცხლურებს ჩამოურიგა...
ტბილმამებელი სურნელი სწრაფად
დატრიალდა...

— თეთრი ხვარაკის ნათატრევი!
გობზე გულ-ღვიძლი და მთლიანი
ფაშვი იღო, სამსხვერპლოს მალალ ძვი-
ღეზე შემოდგეს...

— მოსხლიტე, უფლისწულო! — შე-
სძახა ხვარამ და დიდი ორბოძალა შუბი
მიართვა, მითრიდატემ ამოსდო და უკან
გადასტყორცნა... ფაშვი შორს გადავარ-
და და ნაწლავები არეულად გაიშალა.
გობი კი გაგორდა, გაგორდა და პირქვე
დაემხო.

— დაემხო! — აქაიქ შეიქნა სასო-

წარკვეთილი ძახილი.. — ვაი ჩვენ სამეფოს!

— ნუ არისხებთ ღმერთებს! — კედარის ჩრდილის მიღმა არის დამხობილი! ერთ-ერთი მეზობელი სამეფო კი დაემხო! — გაწყრა მოგვთა მოგვი..

გალავნიდან უკვე ძახილს მისდევდა ძახილი:

— მეზობლის სამეფო და არა ჩვენი! მეზობლისა.. ჩვენც რიდი გვმართებს! ახლა ნაწლავებს მიაშურა მოგვმა:

— გზა! დიდი გზა უფლისწულთა! გრძელი! ზღვაცა და ხმელეთიც!.. და წელს არცა ჩანს გამობრუნება! არა, არც მარცხი, მაგრამ არც გამობრუნება! გული დაიცხრე, გულ-ღვიძლით ახლობელს ერწმუნე! აი ნიშანი! შეწირულის გულ-ღვიძლი მოკვერცხილად დევს! აბჯარიც ვაიხადე! გლოვისა გლოვას მიეცე! სიბრძნისა სიბრძნეს! — მერმე თუნავ შეროკდა და შემღერდა, ზელებიც ადაპყრო, — დიონისეს ნიშანი! გზა მიეცით... ოღონდ თეთრი საშოსითა, შავი წამოსასხამითა..

ოქროს მცირე გვირგვინითა.. მან ვატეხოს ჩანგი გლოვისა! მან ვატეხოს პური — გლოვის პურადობისა! მან იხმოს პირველი სმური ღვინისა — ზედაშედ მამის სასულიტებილო! მერმე შესვით იგი ბედაურსა ზედა და თანა წააყოლეთ ცხენთაში, ასი და ათი რჩეული... დღე — აღმოსანნი, ღამე — ჩირალსანნი და იქნების რაიმე ნიშანი ღმერთთა ლილეო!

ვიდრე გადაძახილ-გადმოძახილი მისნობა და ფრიად ბუნდოვანი გაქადაგება დასრულდა, მეფის ნეშტიც ისევ კედარის ჩრდილში შემოასვენეს.

აკლდამაში სულ მცირედნი ჩავიდნენ. კედარის მორში ამოკვეთილ ნავსარეცელში ჩაასვენეს, ხუფით მჭიდროდ დახურეს, აღუდებულ ცვილით დაგმანეს და გაგლისეს პირი მორისა. ახლა ქვაყუთში მოათავსეს და ამოუშენეს, მცირე ნიშიც დაადგეს... ლაოდიაკემ უჩვეულო ხელუხეობით „დაასახლა“ მეუღლე-მეფე, მრავალი საშოსი,

ოქროსითი და ძვირსამკაული ჩააყოლა აკლდამაში.

მოედანზე, გალავანში, სადღეოდღელოში, ტაძრის ირგვლივ უკვე გლოვის საპურადოს შლიდნენ. ყველგან მეპურადეთა შესაფერისად... სადღეოდღელოში — უძვირფასესი ჭურჭლეული გამოეტანათ. გალავანში გრძელი სეფა აეგოთ და სინოპური თიხის ჭურჭელი გრძელ მერხებზე ჩამოერაგებინათ. ტაძრის ირგვლივ, კედართ ჩეროში იყო შლილი დაბალი სუფრა. მოედანზე კი მეგამრიგენი, პირდაპირ მიწაზევე შლიდნენ ქილობებს, ზედ ხის ხონჩებსა და სამწდევურებს გორებად დგამდნენ.

მანდილოსნებსა და საერთოდ ქალბავშვებს გზა ხსნილი ჰქონდათ გალავანში. წმიდა კედარის ჩრდილი ქალთა და ბავშვთა მფარველად ითვლებოდა. აქ ისინი ყოველთვის მოელოდნენ დედოფლის წყალობას. მყუდროში ჰქონდათ ქალთა საფეხნო.

მოედანზე მთიდან ჩამოსულ ტომებს ყველას ჰქონდა, სააღაპოდ მოხარშული გლოვის ლუდი, დიდმუცელა სპილენძის თუნგებით ჩამოტანილი.

ვენახოვან ტომებს, ორთვალა და ახა-ჩა ურმებიდან, არც ჩამოეღოთ ფსონის ღვინით საცხე რუმბები და თხიერაყები ასევე მიეგორებინათ სუფრითავებში. ქალაქელებს კი თიხის ორხელადებით მოეტანათ სასმელი. ახლა „საჭირისუფლო“ სასმელი და სანოვავე მოიტანეს და ჩამოარაგეს. სიუხვე პირველი ნიშანი იყო გლოვა-პატივისა და იგი „წინაპართა მთვარის გზაზე გამგზავრებულის“ ნუზლად ითვლებოდა.

„მთავარმა ქირისუფალმა“, ახალმა გვირგვინოსანმა თავი მოიჭანლა და მოედანსაც „დიდი კალთა“ დააბერტყა. მაინც სასმელი.. მაგრამ ბევრის შესმა და შეთრობა, დახარბება წესი არ იყო. ამ „აღაპის ხარბის“ სახელსა და სირცხვილს ყველა ერიდებოდა. ყოველ სუფრას თავისი საპატოი მეწესეც ჰყავდა. რომელიც სუფრის თავსაც კი მოუწოდებდა წესის დაცვას.

ყველაფერი რომ ჭაიწყო და ხალხიც სუფრა-სუფრა მიღვა-მოდვა, სასახლის კარიბჭეში შეაბჯრული მითრიდატე გა-მოჩნდა.

ყველა გაფაციცდა, ყურთასმენად იქცა. მთავარი საგლოვარიც, სამოქმედოც და სანახავიც ახლა დგებოდა... უფლისწული მოედანზე იყო, დედოფალ-გვირგვინოსანი უახლოეს სარკმელში გადმომდგარიყო.

ოდით-მეაბჯრემ გაწყობილი მშვილდისარი მიართვა ჭაბუკს. საწესო დანარჩენი ორი ისარიც ხელში დაიმარაგა.

მოისარნი ხელად ირგვლივ შემოუჯარდნენ პირველ მოისარს. გლოვის პური არ გატყდებოდა ვიდრე „გლოვის კვერი“ სანიშნოზე იყო. ვაქცაცობა კი, როგორც მოხუცები იტყოდნენ — „გლოვაში უფრო ჩანდა, ვიდრე ლხინში“.

სარანგებმა გალოენის კედლის მხრისაკენ, სადაც დარხოზილ ურმების მეტი არა იყო რა, სანიშნო სვეტზე, დიდი გლოვის კვერი გააქრეს.

მითრიდატემ იცოდა, „სამ-ისარა“ წესი იყო, ამასაც თავისი ნიშანთა ახსნა ჰქონდა, მაინც „დალატით მოკლულის“ წესის აგების დროს.

უფლისწულმა პირველ ტყორცნაზევე გლოვის კვერს გაუყარა ისარი.

მოედანმა შევებით ამოისუნთქა. გლოვის პურადობას კეთილად იღებდა. თავის ტომსა და შთამომავლობას არ სწყევლიდა მოკლული.

მეორეც მოარტყა და მოედანიც აახშიანა. ჩანს ლოცავდა თავის მკვიდრთ მოკლული მეფე.

მესამე შეეძლო აღარც ეტყორცნა. აქი შესძახეს კიდეცა...

— ღმერთებს მიანდე დანარჩენი! ბედს ნუღარა სცილი!

...მაგრამ უფლისწულის ბედში „ღმერთების მისანდობი“ ისედაც ბევრი რამ იყო. ხელი მოითამამა და უფრო ლაღადაცა და ძლიერადაც სტყორცნა... მოუზომელად მოუვიდა, გლოვის კვერი სულ გადმოაგდო, სვეტმაც ისარი აის-

ხლიტა და ზედ კედლის ძირში მდგარ ურმის ჩარდახს მოხვდა. შეაღწეა და ტიკს ეძებრა.

ყველსაფერავი სისხლივით ჩამოედინა ურემს.

ეს კი აღარავინ არ იცოდა რაღას ნიშნავდა.

ყველა შეკრთა, მაინც სარკმელში გადმომდგარი დედოფალი. მას ხომ ათონი თავსატეხი და გულსაჯიჯგინი სჭირდა...

...„გავხადო თუ არა აბჯარი? მიერთვა თუ არა მცირე გვირგვინი? მოვგვარო თუ არა შავ-ბედაური?.. ეს ნიშანი კი რაღას ნიშნავს?“

— განგმირულ მეფის მიწისპირის შესანდობარი! — შესძახა ხვარამ — შუარისძიება მემკვიდრემ ითავა და ნიშანია, რომ იგი სწორ კვალს ადგია! — მოგვთა მოგვი ხელეგბაფარჩხული და სახელაღწილი იდგა კარიბჭეში.

— ჩვენცა თანა! — შესძახა მოედანმა, — ვეწყობით თანა!

სარკმელში სული შეეხუთა დედოფალს. მოედანი თითქოს თავზე წამოეჭცა... მაგრამ აღარ დადრკა. გაჩიქურდა, ხმა იკრიბა და მოედანს მჭახედ გადასძახა, თითქოს მანაც ზედიზედ ისარი სტყორცნა...

— დაღვრილ ღვინის პატრონს ერთიორად მიერთვას მეფის მარნიდან!

— მიერთვას! — ერთად შესძახეს უფლისწულმა და მოედანმა.

დედოფალს ზარად მოხვდა ეს ერთად ძაბილი. მოედანს უკვე ჰყავდა თავისი მეფე. და ეს „მეფე“ არა დედა-მშვილურ გრძნობისა, მოუზომელ ბედისწერის ძალისა იყო. დედოფალმა დაკრუნჩხა ხელები და სულმოუთქმელად გადასძახა:

— ტახტის მემკვიდრეს მისი გვირგვინი მიართვით.. პირნათლად აღასრულოს ნაკისრი ვალი!... სადალაო ბედაურიც განუძადეთ, თავისი სურვილის მიხედვით... და იყოს ვით ღმერთებს სწადთ, მოგვთა მოგვის ქვრეტითა და თარგმანებით!

— იყოს ესრეთ! — უმაღ ამოსძახა უფლისწულმა და ისევ მოედნის ერიონს მიუბრუნდა... და იქნებ მხოლოდ მან და, ნაწილობრივ ზარიადრემ, იცოდა თუ არსებითად რას ნიშნავდა დედოფლის ეს ისრის მსგავსი გადმომძახილი.

გლოვის პური გატეხილი იყო, ღვინოც დაღვრილი — სუფრის გზაც ხსნილი.

ხალხი დინჯად დაიძრა და თავ-თავის სუფრას მიუხსნდა, ზოგი მორთხმით, ზოგი მუხლითაურად, ზოგი ცალფეხეცილად.

ბერძნებმა იცოდნენ წამოწოლილად შექცევა, მაგრამ გლოვის პურზე, ისიც ქართველ ტომებთან შორის, ეს არასგზით არ შეიძლებოდა.

მოგვთა მოგვმა აყურთხა გლოვის პურ-ღვინო, ერთი სამწდერი და ერთი პური, თავისი მისაქმელით, მოედნის შუაგულში მოგიზგიზე ცეცხლს შესწირა. მეორე, სულთ მოდალავეს — უფლისწულს მიართვა, მანაც უსიტყვოდ შესვა. ეს „ცეცხლთან ჩუმად შეგულისხმების“ ძველწესი იყო.

მერმე ყველამ გასტეხა პური და უფროს-უმცროსობის დაცვით შესვა „გლოვითა და დიდებით აღნიშნული“ სახსენებელი.

ახლა ჰაბუყი უფლისწული, მამის სახელით წარსდგა და მამისეული აბჯარი, რომელიც ტანთ ეცვა ქართველ და ქართველურ ტომებსა და სხვა ქვეშევრდომთაც „გლოვაში დასატირებლად, ხოლო ბრძოლაში გასამხნეებლად“ ნაწილ-ნაწილ აღუთქვა. სასახლის სარკმლის გასაგონადაც დასძინა...

— ჩემი გზა სწავლისა და ცხოვრებისა ჯერ წინ არს! როგორც მიმისნეს ბრძოლაც ბევრი მხედება და გლოვაც, მაგრამ არც ერთისა არ მეშინია... ღმერთებთან და წინაპრებთან მამამეფარველება, ხოლო თქვენთან — სულიერი შუამდგომი არა მჭირდება... დაე, ეს ბრძოლის რკინა, სვიან აბჯრის ნაწილი, თქვენთან იყოს, საწინდრად

ერთგულებისა, ვით ანდერძი — და უქარგავი!

სასახლის სარკმელი, შიგნიდან მჭკრე ტელისათვის ისე შევიწროვდა, რომ მარყუქს დაედარა. ახლა იგი შეხუნდულ სახივივით კისერზე ელო მზირალს.

ჯერ გაუხდელნი თორნი ჩამონაწილდნენ. ზუჩი მითრას კარსა და ღმერთების მსახურთ ერგო, სამკერდე აბჯარპოლოტიკი — ტუბალებს... კოლხებს, მეგრ-ქანლაზებსა და მაკრონებს — მარჯვენა სამკლავე — ხელნავი, სპერიბერ-გურ-საბირებს — მარჯვენა სამხრე, თავოდრიკალა... ხალდებსა და ხალიბებს — მარცხენა ხელნავი. მესხებს. მოსინიკებს და მათ ახლო მცხოვრებ გორდაქარდუებს მარცხენა სამხრე. სვანებს, სანიკებს, პენიოხებს და მთოს ტომთა — მარცხენა საკოჭური და მუხლისა... ტიოელთა, კლარჯებს, ჯავახებს — მარჯვენა საკოჭური და მუხლისა, დრილებს, ბიძერებს, მუშკებს — ფარა ხატულფერული, ქაშაგებსა და სხვა მთიულთა — კაპარჯი, ორბოძალა ისრებით... სინოპელთა და სხვა ზღვისპირელთ — დასახსრული, ბალთამტიკიცე ქაშარი... სხვა ქალაქებსაც არგუნეს — ვის შუბი და ვის სათხედები...

ახლა სახელგანთქმულმა მთქმელმა და მღერალმა — უთა-მეჩანგემ, თავისი ჩანგი მოართვა უფლისწულს. წინ გადაუდგა ჰაბუქს გამხდარი და მალაღლი, თავის ჩანგის პირველ სიმივით გაქიმული.

მითრიდატემ გაირიდა:

— არა, უთა-ძმობილო! შენი ჩანგი კედარის ძირისაგან არის გათლილი... იგიც წმიდაა, კვლავაც აქლერე! მე სასახლის ჩანგს მოვიტხოვ, ჩემსას... ახლა კარგა ხანს აღარ მომიწევს სიმთა შეხება! თქვენ კი ასე მგლოვიარედ ვერ დაგტოვებთ... მალე იწყება შემოდგომის ქორწილიონი... ახლა მოუხხედიო ხსნილ სუფრასა და ტაბლებს... მეც მალევე გეახლებით ჩანგითა და სადაღოდ გამზადებული.

ხალხი შეერიაშულდა და პურადობას მიჰყო ხელი. უფლისწულმა კი მზეს შეშხედა... უკვე დასაფლეთისაყენ იყო გადაძლეული, მაგრამ ბინდ-ბუნდის მოიმედეს ჯერ ფეხსათრეველი სჭიროდა. ისიც შეატყო — არც ზარიადრე ჩქარობდა, დინჯად დამყვებოდა და შეწყნარებულად ატრიალებდა ხელშეჭრილ ცერებს... კარგად მიდიოდა საქმე, დიდებული იყო მისნობა... არა, ცოტა ბნელ-კვიმატა, მაგრამ აბჯარს ახდევინებს დაუდგვარ უფლისწულს... რკინის ნიჟაროდან გამოაგდებს, შეეჭაჭზე გასვამს, ისრის კორაზე ეყოლება... და ერთ-ერთი გაჭრის მაინც! შეგვიანებული ცხენთა კი მით უმჯობესი... „ბნელში უფრო ადვილია, არც თუ სულ ნათელი ზრიკის გათამაშება!“

უფლისწულს ისევ სააბჯრეში სწადდა ჩასვლა, მაგრამ ზარიადრე სულ შეთამაშდა...

— მემკვიდრე უფლისწულო, სულთა დიდთა დალათა აღმსრულებლო! ტაძრად ინებეთ წვევა — ღმერთებთან... მათ სამყოფელში გახალათ თქვენი თეთრი, სულთა დალაობის სამოსი!... დედის ხელით შემზადებული!

— კეთილი! ოღონდ მეაბჯრეს მამისეული შესირმული ყაბალახი გამოატანოს დედამ! თან მადლობა მოახსენეთ ესოდენი ზრუნვისათვის! — თავს სრულიად დინჯად, აუღელვებლად ათქმევინა შეაბჯრულმა ჰაბუკმა და ტაძარში წავიდა. ეზო სავსე იყო საჩანგებით, მერმე აღარავინ ჩანდა.

კართან სახეშეცვლილი ბახო-საჭურისი დახედა... მისავალში წასჩურჩულა:

— იღუბებით უფლისწულო! არ გაიხადო! არც გვირგვინი დაიდგა — გასარჩევი სამიზნე ექნებათ! არც დაწინაურდენ დალაობისას!

— უნდა გავიხადო! გვირგვინსაც დავიდგამ! ღმერთებმა ვადასწყვიტონ!

— მაშინ გამოგყვები! რომელთა და თანარომავლთ მონებად და საჭურისებად სწადთ მთელი ქვეყანა!... ეს მოგვლის...

— წაღი, დაწყნარდი... თუ საჭირო იქნება — გიხმობ!

ტაძრიდან მეჩანგეთა, მუფანდურეთა და სხვა საღვთო საკრავთა ხმა გამოდიოდა. წყობილმოვანი კილო და ორპირული ვალობა, მითრას ქალწულთა და ყმაწვილთა, მაღალ ქონგურებში მრავლდებოდა და კამარებში უკვე ღულუნს ედროდა.

ხვარა მოგვთა მოგვმა ხელი შეახო უფლისწულს და იღუმალ ცეცხლის სენაკში შეიყვანა. აქ ორთა დაიჩოქეს და ილოცეს უკვე დასავლის მზეზე.

მაღე ოდიო-მეაბჯრემ ყაბალახი მოუტანა, თან ბეჭითი თხოვნა — ვიდრე სადალაოდ გავიდოდა — კიდეც ერთხელ სწვევოდა დედას, მაგრამ ყმაწვილმა ყური არ ათხოვა და მეაბჯრის დახმარებით იწყო აბჯრის გაცლა.

— იქნებ ჯობდეს, მაინც! — ფიქრიანად ურჩია ხვარამ.

— რამლიც ყრილია და კენჭიც!

გამიშვლებული ახალგაზრდა მითრიდატე იდგა იღუმალ ცეცხლის წინაშე და სურნელოვან ზეთით იხელდა სხეულს. ამ დიდ წარმართულ პატრეს, მხოლოდ მითრიდატეთა გვარისწულთაგან, ისიც ცხოვრების მძიმე მიჯნაზე, იწყნარებდა მითრას იღუმალი ცეცხლი და ძალა.

ოდიო გამშავებით ეხმარებოდა. ვანცვიფრებული ხვარა მოგვი კი უმზერდა უფლისწულის ადრეულად შემკვრივებულ კუნთებს, იოგებს და უხმო ლოცვასთან ერთად ფიქრიც ებორაკებოდა... „დასრულებისას მუქაბუკი და მდევამირანი იქნება და იქნებ გვეშველოს! ოღონდ ახლა ეშველოს რამე!“

ჰაბუკმა ჰილის ეტრატე ითხოვა, დასწერა და ოდიოს სახე შემოუბრუნა.

— დედოფალს მიართმევ, თუ მე აღარ მოვბრუნდი დალაობიდან... გატეხილ ჩანგთან ერთად... შიგ ვიპოვნეთქო! მოგვთა მოგვსაც წინასწარ შეეთათბირე!...

მერმე წერილი ხვარას წაავითხა და ოდიო-მეაბჯრეს ვადასცა...

მოგვი კი კიდეც დიდხანს თვალებს

იფშენეტლა, თითქოს წერილის იქითაც
ცეცხლი იყო... და მეხსიერებაში დაღაღ
ღარაა ბერძნულად ნაწერი...

ჩემს დედას და ქვეყნის დედოფალს.
ვერაგულად მოკლულ მეფის თანამე-
ცხედრეს — თუ შესანდობია — შე-
უნდონ ღმერთებმა! არა და სულ ერ-
თია მოეკითხება! მე კი რომს მძევლად
წასვლას, დიახაც მიჩვენია პონტს
შთავარდნა!

მერმე თეთრი სპერული ტალავარი,
ღია ცისფერი საწმართული, მსუბუქი
ნატის თეთრი მესტები ჩაიცვა და მხარ-
ზე, ძველკოლხურ წესით, ოქროსირმა,
შავი ყაბალახი გადიგდო.

ტაძრის გარეთ უკვე ელოდნენ. ზა-
რიადრემ სასახლის ჩანგი დაახვედრა.
მანდილოსნებმა, სადალაო დროშაზე
დასვენებული მცირე გვირგვინიც აქ
მოართვეს. დროშას გაცლილი, გრძელი,
ძირშუბიანი ბუნი, სამეფო საბჭოს წევ-
რებს ბაზუკ პერგამელსა და როსებ ნა-
ტუბილარს ეპყრათ.

— რადგან აღარ ინებეთ დედოფალ-
თან ზღემა, გვირგვინოსანმა საუფლის-
წულო ჯიდა და ჩანგი აქ გაახლათ! —
ზარიადრეს თვალბში ფარული ზე-
იმის ლანდები უთამაშებდნენ.

— ყველაფრის მადლობას ეწირავ!
ვეაგვიანდება! — უფლისწულმა მცირე
გვირგვინი მოუმორჩილებელ კულუ-
ლებზე დაიდგა, მარგალიტების ქვეშ
შემალულ ბალთით მტკიცედ ყელზე
ამოთმავრა და ახლა ჩანგი გამოართვა.

ხელი მოჰკიდა თუ არა, სიმებმა შეჰ-
ქმნეს ჩუმი ქლერა. ჰაბუქმა მალა ას-
წია და ვაჰხედა... მზე, ცა, სასახლე ჩან-
გის სიმებში ჩახაზულ-გაცირილად ჩანდა.

— აბით დალაი-დროშა! — მოუხე-
დავად ვადასძახა და კედარზე ჩამოკი-
დებულ ძელს თავად შემოჰკრა ხვედა...
ხმა მთელ ტაძრიონს, მოედანსა და სარ-
ბიელს მოსდო.

კარიბჭესთან, გარეთ შავტალავროსანი
მოდალავენი იდგნენ და ელოდნენ.
სრულწლოვანი აქ ვგონებ არცერთი არ
იყო. მთავარი იყო სიმსუბუქე და ჯო-

მარდობა. არცერთი ცხენი კი ჯერ არ-
სად ჩანდა.

უფლისწულმა ისევ გაჰხედა ჩაბეჭდი-
ლი მოედანზე ჩუმი პურადობა გრძელდე-
ბოდა... ტომთ ერიონი, ზღვა და ახლო
მიდრეკილი მზე ერთ ჩანგში ბრუნავდა
და საოცარ ხმაზე ქლერდა... და ეს ქლე-
რა შინაგან ძალასა და ვგონებ სიბრძნე-
საც ჰმატებდა მოზარდს. ჯერ გამოუც-
ნობ გულის ძრულებს უჩენდა.

ყმაწვილკაცობას სათითაოდ ჩამოუ-
არა, ყველას ხელი ჩამოართვა, წინას-
წარი მადლობა უთხრა.

— თქვენ ხართ ჩემი პირველი და-
ლაი-ლაშქარი და ვინძლო კეთილ და
ბედნიერ საქმეზე გნახოთ შეყრილი!
ფიცად ეს დღე დაგვრჩეს! — წარუჰ-
ღვა და მოედანზე გავიდა.

პურადობის ქამი უკვე მოჰარბებული
იყო, მზის ქამიც... ზღვაზე უკვე მზის
ბილიკი იწვა.

თეთრი უფლისწულის დანახვაზე
ხალხს აღტაცების ხმა აღმოხდა. მან კი
ჯიდა-კულულები ჩიუტად შეარხია და
სიმებს ჩამოჰკრა...

— დალაი ლაშქარი ჩამოდგა კარსა
მითრიდატეასა...

ტანკენარა ყმაწვილები მოსულან შენს
დოღში მამავ!

ტომთ სიმრავლე, სიჩაუქე — შენც
ნახე და მტერმაც ნახოს!
ცხენთა სიკარგე, მხედართ ქველობა...
ერთად ვლოვა და წყრომა...

ტაბლის გამწყობ ქალწულთა
ზელმარჯვობა და სინატიფე...

პოი, მითრიდატე — ევერგეტ —
მამავ და პონტოს მეფე!

შენი მოკვლით ზღვა მეწამულ
გამხდარა და ცა — შავბნელ...
სულეთში ამდგარა წინაპარი, აქ
ხალხი შენი...

შურისძიების ვალი და კვალი
მიწისძვრის ძალით მოდის!

ზღვისა და ხმელსა, შეიღნი შენნი
ვეტყვიო დალასა!...

— დალაი! — გრგვინვით შესძახა
ხალხმა.

— ვეტყვით დალსა... ჩავარიგებთ მისსა აბჯარ-ჩაჩქანსა...

— დალაი! — ხმიანობდა ხალხი. მანდილოსნებსა და ქალწულებს უკვე აბჯრის ნაწილები ღეჩაქებზე, კუბასტებზე, ხილაბანდებზე გადასვენებულად მოჰქონდათ.

ხალხი დაედო, ხმები აირია. უფლისწულმა აღარც ჩათაგება აცალა მამის აბჯრის ჩამორიგებას. ხმა მოირიბა; ჩანვიც უფრო ააქდერა:

— დალაი გვიტყვამს ჩვენ! ვინ დაყენებს დოღის ტაბლასა! ჯიღდოსა! მოსაკითხავსა!? — ყველას შეეკითხა და ყველაზე უფრო „ვიწრო სარკმელს“.

დოღის ტაბლა უკვე „დაყენებულ“ აღმოჩნდა, დედოფალ-გვირგვინოსნისა იყო ყველაზე უხვი და მდიდარი; ცხენბედაური, სრული აღკაზმულობა, საქონელი, სტავრა, ოქროსამკაული...

— ჩვენ მხრივ, ვთხოვ ყოველ ტომსა და ქალაქსა — თითო წყარო მოამშენოს, მოაპირკეთოს, მოკლულის სულის საოხად... თითო ზიდი აგოს — მიცვალებულის ამაგის აღსანიშნავად; თითო ნიში დადგას — მითრას სახელზე — მთავარსალოცავისა მითრიდატეთა დალაი!

— დალაი! ეგრეთცა! — დასტურობდნენ ტომის მოხუცნი.

მეფისწულს ყველაფერი ხელში ჩაათავდა და დროც იყო. მზე ზღვაში ჩაღლიდა.

ერთიც ჩამოჰკრა ძალებს... და გულმა როდესაც ზარი მისცა...

— დალაი ვთქვათ, ჩანგი გავტეხთ ქვეყანას ავხსნათ კრძალვანი... სასახლეს დაედოთ საგლოვი...

მადლობა მოდალავეთა...

დალაი ვთქვათ, ძნელად სათქმელი, ვაჟკაცურ წესზე ნატარი...

დალაი — მამის სახელით!...

დალაი-დროშა სად არის!?

ერთი მოსმით გადასტეხა ჩანგი და ახლა გატეხილ ჩანგში გაჰხედა გარემოს... გადამრეცილ ზღვასა და გადაწურულ მზეს...

— დალაი! დალაი! დალაი! — ხმიანობდა მოედანი.

უმაღ მიართევს დალაი-დროშას უფლისწულმა გატეხილი ჩანგი ოდიო-მე-აბჯრეს გადასცა და დროშა აიტაცა...

— განი! დროშის კალო! — ერთიც გადასძახა და უკან დახეული ხალხის ტალღა თვალით მოზომა. როდესაც მანძილი მოკეპარისა, დროშა გასტყორცნა, არწივის ფრთასავით ააფრიალა და ძირშუბიანი ბუნით მიწაში ჩაარქო. ეს სადალაო ცხენების გამოყვანას ნიშნავდა.

შავ-ტალავროსნებმა სხვადასხვა მხრიდან ცხენები გამოიყვანეს. ზოგს უფროსი, გვარიშვილი ან პატრონიც მოჰყვებოდა. ზოგს მისი „გამწყობი“ ქალწული მოუძღოდა. ბევრ ცხენს ძუა-ფაფარი შემკული და დაწული ჰქონდა.

შავ-ბედაური, სულთა დალაობის პირველი ცხენი კი ჯერ არსად ჩანდა.

უფლისწულმა თვალი აცეცა „ვიწრო სარკმლისაკენ“, შეკრთა კიდევაც — „ხომ არ იაზრეს რამე!?!“... მაშინ სარკმელში აღარავინ იქნებოდა... სარკმელში კი ჩრდილი ჩანდა... ფიქრ-გატეხილ ჩანგის ხმაზე ეღერდა, ვიდრე არ მოისმა ზრიალა კიხვინი. შავნიკორაც გამოიყვანეს. ორ მეჭინიბეს აქეთ-იქით მოგროო ჯაჭვები დაეკიმათ და დააქმრულ ბედაურს ძლივს აკავებდნენ.

იგიც თვალებს აბრიალებდა და ფრთხებოდა, ყალყზე დგებოდა. წელზე ერთი ციღის სიგანე არტახი ჰქონდა შემორტყმული.

— შავ-ქაჩი! სად გამონახეს! — ბევრს შიშის ზარი დაეცა.

— ბნელში ნაბაძია ფეთავს! ველარც გაუწყვიათ! სულ უხედნია!

— სამარცხოა! ეს რა, განგებ ხომ არ შეურჩევიათ!?

— თავად უკეთ არ იცის? მაგაზე არნახულ ცხენოსანს ამბობენ!

— არ შეგდე, არა! ცხენი გამოიცვალე! — აყვირდნენ ბევრნი. ხალხში დიდი ხმიანი ჩაეარდა. ცხენი კი სულ ვადარია ამან.

უფლისწულმა შეათვალიერა შავ-ბე-
დაური და ახლა უფრო დაათვასა ბახოს
გაფრთხილება... და რატომღაც გატე-
ხილი ჩანგის ხმა აეკვიატა...

— დეზები, ექვანა დიდი დეზები გა-
მიშხადე და წამიშხვე! — გასძახა თა-
ვის მეაბჯრეს. ოდიოს დეზების მთელი
ასხმა წამოიღო, იცოდა ახალგაზრდა
მხედრის ნათქვამი — „ყოველ ბედა-
ურს თავისი დეზი მოენახებო“... ხე-
ლად მიართვა. მითრიადატემ თავისი ხე-
ლით ამოიკრა დეზები და დალაი-ლაშ-
ქარს ნიშანი სცა. ყველა მოახტა ცხენს.
მეგამრიგეთ დალაი-დროშის მწკრივში
გაასწორეს ცხენოსნები... მწკრივს მხო-
ლოდ პირველი ცხენოსანი აკლდა.

— შავ-კელატრები და ანთებული
ლაშქრები! ჩირაღები! არ დაუბნელდეთ
გზაში! გასძახა ხვარა მოგვთა მოგვმა
ტაძრის მონებს.

უფლისწულმა დაუფასა ნათქვამი.

კელატრებიცა და ჩირაღებიც მზად
აღმოჩნდა. ხელად ჩამოურიგეს ყველას.
ახლა უფრო აცმუტდნენ ცხენები.

უფლისწული კი როგორც მივიდა შავ-
ბედაურთან, იგი დაფეთდა და ყალწზე
შედგა. ჯაჭვებით ძლივს დააკავეს მერე-
მეებმა.

— მხესაც და ჩრდილსაც უფრთხის
ბნელში ნაბამი! — წასჩურჩულა უფ-
ლისწულს ოდიომ. კაბუქმაც იაზრა,
ჯაჭვს გადაახტა... ექვანა დეზების ხმით
ცხენი გაღურსა... თავად უქნიდან და-
უარა და მკვირცხლად მიუხტა, ფაფარ-
ავშარაში ეცა, ყაბალაზი თვალეზზე და-
ახვია და ისევ ჩვეულ ბნელში მოაქცია.
ბედაური ისევ შემადლდა, თან აიტაცა
ყელზე ჩამოკიდებული მხედარი. იგი
აღარ მოეშვა, აპყვა და დაპყვა... მხო-
ლოდ ექვანა დეზების ზარიალი ისმო-
და...

ხალხი გაუსულად იდგა. სასახლის
ვიწრო სარკმელი კი კვილიმა გაბზარა.
ზარიადრეც უმაღლ- გაიხმეს...

ცხენისა და კაცის ჭიდილი კი წუთით
შედგა. უფლისწულმა ძალუმად ჩამოპ-
კრა ლაგამს, აღვირი მოიგდო, საბამი

ჯაჭვი თამამად გადააძრო და ვიდრე
ცხენი ამას იგრძნობდა და დაიძრებოდა,
წელის არტახში ხელი მოსდო და ჯერ-
გზე მსუბუქად მოაფრინდა.

შავ-ქაჯი კვლავ შეყალყდა, მაგრამ
მხედარი ზურგიდან ველარ დასძრა.
თუმცა წინ და უკან დატორა დალაის
კალო. მოედანი ერთბაშად შეხმიანდა და
ხმა იკმინდა.

ხედაც აქოშინებული ზარიადრე მო-
იკრა...

— დედოფალი უგრძნობლად გახ-
ლავთ... მოგიწოდებს! აი მამისეული
თავფასკუნჯა დაშნა გაახლათ! — და-
უფარავად შესძახა და დაშნა შორიდან-
ვე მიაწოდა.

უფლისწულმა დაშნა გამოართვა,
მხარზე მეფის თასმით გადიკიდა და
ცხენთან ჭიდილში გართულად შეეკი-
თხა:

— დედა ჩემს მამისეული ანდერძი
ხომ არ უბოვნიას?

— არა! ეგ არა! — შუბლის ოფლი
მოიწმინდა ზარიადრემ...

— უკვე შავ-ქაჯზე შექდა-თქო! და-
ლაობის შეფერხება უფრო ცუდი ნიშა-
ნია, ვიდრე დედოფლის გულისყრა! —
ისევ შავ-ტალავროსნებს მოუბრუნდა და
შეუძახა.

— აბა, დალაის ლაშქარო! გვიძო-
დეს მამის სახელი! — მხედრებს ხელი
აუქნია, ოდიოს მოწოდებულ დიდჩი-
რალს დასწვდა, ცხენს ყაბალაზი გააცა-
ლა და ექვანა დეზი ჰკრა.

გრიგალოვით დაიძრა ცხენთა, ახლა
ყველაფერი ღმერთებზე იყო... რა გა-
დასწყვეტდა ყრუ, მაგრამ გამოუვალ
დავას, ათას სხედასხვა ძალისს და
ვითარებისს — ცხენი, ისარი, ზღვა თუ
აღამიანი... აღარავინ იცოდა.

ჩამავალ მზით გადაწითლებულ არი-
არეზე შეკვამლებული ჩირაღები დაბ-
ნეულ ვარსკვლავებივით კრთოდნენ. ვა-
კე სარბიელზე ცხენთა კორიანტელი
ზვავად და ზვირთად მიგორავდა. მერმე
გაიქლაცნა ზვირთი, ზოგი უკან ჩამორ-
ჩა, ზოგი უკვე დაწინაურდა. ოდნავ

შელმართს შეუდგენენ და ცხენთა სრბო-
ლა მოედნიდან კარგად ჩანდა.

— თეთრა-ელვა! თეთრა-ელვა! — გა-
ვარდა ძახილი... და მართლაც „თეთრა-
ელვა“ შევკუმეტაზე მჭდარი, ისე მი-
უძღოდა კორიანტელს, რომ ყველამ
იცნო დოღის თავში ვინც იყო... კორი-
ანტლის უფალი!

ტუბალიბმა „სულთაის“ ძველ-საგა-
ლობელი წამოიწყეს, ბანგუგუნა და მო-
ძახილშეძგერებული. საერთო შეძახი-
ლებში გალობაც ფრთოსან ბედაურივით
წინაურობდა. სხვა ტომებმა, მეორე
პირად „დალაის ხმა“ გამოიღეს.

ახლა ქალეზმაც აუციდეს „ხმა შე-
წყობილი“ აღიდებდნენ „მითრას ცხე-
ნოსანს“ რომელსაც „ცხენ-მხეცი, უწ-
ურთნელი შევ-ქაჯი“ ვერც კი გაუწყვეს
„სადალაოდ და მამა-მეფის დასატირებ-
ლად“...

ცხენთა სრბოლა კი კონცხის ყელთან
ვიწრო გზაზე გაიწვართა. ახლა მარჯ-
ვნივაც ზღვა იყო და მარცხნივაც, უკან
კი კონცხი და ქალაქი... და თითქოს
ზღვაცა და ქალაქიც სრბოლაში გავარ-
დნილ ცხენთაც ეკიდა კორიანტელად
დახვეულ ძუაზე.

კონცხის იქით უეცარი აღმართი იწყე-
ბოდა... და ყველამ კარგად დაინახა —
კარგა დამანძილებით წინ იყო შევ-ქაჯი.
აღმართის თავზე, კლდე იყო — ზედ
მივიწყებული ზღვის სანიშნო კოშკი-
შუქურა, ძველი და სანახევროდ ჩამონ-
გრეული. იქით უკვე გადასავალი იწყე-
ბოდა.

ახლა მოედნიდან ისე ჩანდა, თითქოს
ზღვის ზღაპრული ლაშქარი შესეოდა
შეშინებულ მთასა და გზა-ხმელეთს.

...და უეცრად ძველ, მივიწყებულ
კოშკზე ავარდა მალალი ცეცხლი.

— ცეცხლი! ძველ შუქურაზე, ცეცხ-
ლი! — შესძახა ხალხმა. აღტიწებამ
მოიცვა ყველა.

ძველ შუქურაზე ცეცხლი ჩაქრა და
იგი დაინგრა, ფარნაქემ რომ სინოპე
აიღო და პონტოს სატახტო აქ გადმო-
იტანა. მან თავის სახელობაზე ახალი

შუქურა, ზღვის პირას, ქალაქის ჩავთ-
სადგომში ააგო, ძველი კერის სახეში და
დააწვევინა. ახლა კი იქ კვლავაც ტან-
წოწოლა ცეცხლი ენთო და კვამლს იხ-
ვევდა.

— ცეცხლის ნიშანი! მისნური ცეცხ-
ლი! მისნური! — ახლა მოედანზეც იყო
კვილი და სასახლეშიაც. ხალხმა თით-
ქოს დედოფლის ხმაც კი იცნო.

წარმართულ სიბრძნეში ნაცეცხლე-
რი ადგილი ღმერთთა ნიშნის მიმკეზად
ითვლებოდა, მით უფრო „გაღვიძებულ-
ცეცხლი“.

— გვიმისნე! გვითარგმნე! მოგვთა
მოგვო!

— დიდი ნიშანი! ფარნაქეს ცეცხ-
ლი! ევერგეტის მამისა! სამოცდასამ-
წელია ჩამქალაია ძველი შუქურა! არც-
ერთ მეზღვაურსა და მეხომალდეს
აღარ უზილავს მისი აღი! ახლა კი მთე-
ლი ქალაქი და სასახლე ვხედავთ!

— ვხედავთ! — ალბათ „ფარნაქეს-
ცეცხლსაც“ მისწვდა მოედნის ხაერთო
შეძახილი. ახლა მთელ უკვე შექმურულ
აღმართ გზაზე ეინჭილებიდა და ბოლ-
ქეების ტეხილ-გრეხილიყო.

— ან დიდი ბედისაგან გვეირს! ან
დიდი მზაკვრობისაგან! მზის სრულ-
ჩასვლამდე უნდა აღსრულდეს ვილთ-
ცოთ ყველა ღმერთი ძველი და ახალი!
მითრა, არმავ, სპერთ — სპეროზა, და
კოლხთ — ჰეა, არურუ — ადამიანის
გამჩენი და ნანა — მფარველი შვილ-
თა... მამამ და ენლილ შუქურული
ღმერთები ჩვენს წინაპართა!

ხალხი — მთელი მოედანი, მთელი-
სასახლე მუხლზე დაეცა, მხურვალე
ლოცვა აღავლინა.

ცხენთა კი მიპქროდა აღმართზე, უახ-
ლოვდებოდა ძველ შუქურას კლდეს...
ხოლო მზე კი ესვენებოდა ზღვაში. ახ-
ლა ისიც მრგვალ, ძველ, მუდამ ვარვარ-
ა ღუზას ჰგავდა.

ცოტაც და შევ-ქაჯმა და თეთრა-ელ-
ვამ მიაღწიეს ძველ შუქურას კლდეს.
აღარ ბოლავდა კლდის თავი, დანახევრ-
ცხლებულ ცეცხლის თვალი კი ენთო.

ჩირალიანი კაცი უკვე მის ძირში მიპქროდა და თითქოს საბედისწერო ზღურბლს უახლოვდებოდა. სხვა ცხენოსნები კარგა შორს იყვნენ ჩამორჩენილნი.

...და ყველაფერი სულ ერთ ლანდზე მოხდა. სწორედ შუქურას ძირში ერთი გზა პირდაპირ მიდიოდა და მერმე გადასავლით თავქვეზე ვშვებოდა, პირიქით უჩინარდებოდა... მეორე კი — ძველგზა, მოკლეზე ჩასაქრელი, მოსხლეტითა და ჩაპირდაპირებით ზღვისკენ ისწრაფოდა.

სწორედ აქ, თითქოს წუთით, ყალყზე შედგა ქაჯი და ელვა... შორს, მზის დასავალს გაჰხედა... შორეთში იქნებ დაინახა, ოქროს ნაღვარში ჩაქარგული შავი წერტილი... ჩირალი მაღლა ასწია და შავ-ქაჯი კისრის სატეხ მოკლეზე, ზღვისკენ მოსხლიტა.

— გზა იცვალა! გზა! ზღვისაკენ მიპქრის! მიგორავს! ცხენმა თუ გაიტაცა! — ერთბაშად შეპლრაილა ზღვამ, მთამ, მოედანმა, სასახლემ... ხალხმა და იქნებ ღმერთებმაც!.. ნიშანი ცხადდება! ნიშანი!

თეთრა-ელვა ისე ჩაფრინდა ქვევით, რომ დანარჩენ მოდალავეთ არც დაუნახავთ, მისწვდნენ ძველ შუქურას ძირს, პირდაპირა გზას გაჰყვნენ და გადასავლის იქით გაუჩინარდნენ.

მოედნის ხალხმა იგრიალა და კონცხს მიაშურა. როდესაც მისწვდნენ გადასახედს, თეთრა ელვა უკვე ზღვის პირას იყო... მიეჭრა ზღვას, რიყის შეთქერების ხმამ ცას უწია... და ყველამ თავის თვალთ დაინახა — მხედარმა ყაბალახი იმარჯვა, თვალეზზე მოაფარა შავ-ქაჯს და პირდაპირ ზღვაში შეახტუნა.

— ზღვა დატორა! ზღვა! პონტო!.. სპერსი — შეგნიასდა აღფრთოვანებული და შიშნაკრავი ხმა.

მზე უკვე თითქმის ჩასულიყო. ოქრო კიდევ ლოვლივებდა, თუმცა სიღრმის ჩრდილებს იკრავდა. შორი, შემტრული ტალღები იმჩნევდნენ ბინდის მოახლოებას.

...და კაშკაშა ჩირალი ენთო ზღვაში.

თეთრ ელვას მხრები და კულულები მოუჩანდა, შავ-ბედაურს მხოლოდ ფაფარი... და თითქოს ერთ სხივის კვანძში იყო შეკრული ჩირალი, ჯილა ზღვა, მზე, კაცი, ფაფარი!

მოხუცებმა და ცხოვრებით ნაცადებმა იგრძნეს, რომ დასაბრუნებლად აღარ მიცურავდა ზღვაში ჩირალისანი, თეთრი მოდალავე... ბევრი კი ელოდა სასწაულს.

— ნუთუ ზღვას გადასცურავს ცხენოსანი?

— ასეთი რამ არ უხილავს არც ზღვას, არც ცხენოსანს! ავისა და კეთილის კიდილია!

— დიდი წუთის მოწმენი ვართ დავა ჩენს! უი ჩენს!

— იქნება სასწაული იქნება! ასე იბადებიან ღმერთები! ჰეა!

— ასე იღუბებიან ჭეშმარიტი ადამიანები! ჩადიან როგორც მზე — შამშა!

აღარც მზე იყო, აღარც ცის კიდე... იქ უამრავი სისხლი ელვარა. მაგრამ სულ მალე სისხლიც ჩაშავდა... ოქროცურვილიც ბელტიფარცხელს დაემსგავსა. მწუხრის სიბნელე და მხილველთ გაოცება უფრო აშავებდა ტალღასა და ავამკაშებდა ჩირალს... ახლა თითქოს ერთიანი, ვეება შავი კელაპტარი ენთო და წინ, ზღვის შუაგულისაკენ მიისწრაფოდა... მიინც ენთო!

— ვაუჰ! დალაი! დალაი ვთქვით მუხლზე ჩოქითა! დალაი!..

ხალხი ზღვის პირას ჩასულიყო და ერთიანად მუხლზე იდგა. ახლა მთელი ხალხის სუნთქვა — ერთი პატარა ჩირალი იყო!

— ვაუჰ! დალაი! დალაი! — ჩანგის ეღერა ზღვასაც გადასწვდა, იქნებ თეთრა-ელვასაც მიუვიდა ერთად-ერთ ნუგეშად, ხმად ხმელეთისა!

უთა-მეჩანგე აღერებდა ჩანგსაც და გულსაც, აქვე სიბზავდა და „სასწაულს“ ამღერებდა, უფრო ასასწაულებდა... ღმერთებსაც ეტყოდა და ხალხსაც...

— მოართვეს თეთრსა ელვასა —
შავქაჩი არეარადა...
ხელ გაპკრა, თვალნი დაკვესა...
ზურგზე მოექცა ქარადა.
ღმერთებო შეიწყალენით ცისა და
მიწის მსახველი...
შუქურ უპყვრია თავმალა... ზღვას
გადასწვდება სანთელი!
— ანთია!... კიდევ ანთია! — შესდა-
ხა ხალხმა და ხმა უფრო აუწყო...
— დალაი ვთქვათ, დალაი ვამრავ-
ლოთ — აბჯარი ტალავარია...
...თუ შობა — რატომ ვასწირა?
რატომ არისხა გვარია?
...დაცეცხლა ძველმა შუქურამ...
ზარს დაუმატა ზარია...
...ხალხის ზარი უკვე ზღვას ედრებო-
და და ვგონებ არც ზღვა იყო უზაროდ.
— წავიდა იგი ღმერთებთან... ჩვენ
რად დაგვაგდო პირზედა...
...დალაი ვთქვათ, დალაი ვამრავლოთ,
დალაის ვასაჭირზედა!
სულ ერთ ციციქნად ჩანდა ჩირალი
ზღვაში... მერმე ისიც ჩაქრა... ზღვაზე
უკვე ღამე იყო... აღარც თეთრა-ელვას
კულულები, აღარც შავ-ქაჩის ფაფარი,
ნია-ბორიაც ამღგარიყო, ღამის შავი
კულულ-ფაფარი შეპყროდა მთელ
ზღვას. ხალხს გმინვა აღმოხდა. უნიშნო
უსასრულო მრუმი იყო ირგვლივ.
... ზღვის პირას მოსთქვამდა და და-
ლაობდა გლოვის ერიონი, კოშკის თა-
ვანზე კიოდა გვირგვინოსანი დედო-
ფალი...
საღდაც ძველ შუქურას მიღმა კიდევ
მიპჭროდნენ დანარჩენი მოდალაყენი.

ყველაფერი უკან დარჩა სასახლე,
მოედანი, გზა, ხმელეთი... ახლა ზღვის.
სპერის აბჯარი აცვია და მკერდზე გა-
დასდის... და ერთად-ერთი რაც კიდევ
აკავშირებს წარსულთან — ეს მცირე
გვირგვინა თავზე, თუ უკვე გამოღლილ
ცხენ-ბედაურს წარსულთან საკავში-
როდ აღარ ვიანგარიშებთ.

შავ-ქაჩი კი ფრუტუნებს და წინ მიი-
ლტვის. უკვე ჩაბინდა. თანაც ისე
უეცრად, გამშაგებულ სრბოლაში...

თითქოს სიღრმეში ჩაიძირა მხედარი
და არა ტალღის ზედა პირზეცა...
ტალღამაც მოიძრაველ...
რა ცხენები... ჰავლია ირგვლივ.
გრძნობს უკვე კარგა შორს არის ნაპი-
რიდან... მაინც გულს ბაგაბუფი გააქვს
და ეჩქარება... მტერმა ან მოყვარემ არ
გამოაყოლოს მდევარი... მაგრამ ვიდრე
გაარკვევენ — რა მოხდა, ვიდრე გონს
მოვლენ და მოისაზრებენ ნავების და-
დევნებას... ვიდრე გამოინახავენ ნავებს...
ახლო-მახლო კი არ იყო... ახლა მეხსიე-
რების უეუსვლით, კარგად ჰხედავს —
არ იყო, არა... ვარდა ერთი შავი წერ-
ტილისა, შორს ზღვაში... მალლიდან შე-
ნიშნა... ნეტავ იმან თუ შეამჩნია... ახლა
ბნელაში იმის ნახვაც სჭირს! ეს, მხო-
ლოდ ეს ჩირალი, მაგრამ ესეც იწვის და
სულ მალე ხელში ჩაეფერფლება.
დაქუსლა ბედაური... მაგრამ ზღვაში
ცხენს, ისევე არ ძალუძს ნავარდი ვით
ხმელეთზე გარიყულ ზვიგენს!
ნავამდე უნდა გასძლოს შავ-ბედაუ-
რით თუ მის გარეშე... მაშ რაღას იზამს
ამოაშრობს ზღვას და გასძლებს! თუ
ვერ იპოვნა? თუ ასცდა! აი ახლა
მაინც როდესაც ჩაელია ზღვაში ჩირა-
ლი!.. ზღვას გადასცურავს და მაინც
გასძლებს! ჩამწვარი ბუნიცი ჩირალისა
შორს წინ გადასცურავს, მცირე ცი-
სარტყელად გადაატარა ტალღას და
დაძაბულ ყურთასმენით გაიგო მისი
ქრობის შიშინი.
ახლა ირგვლივ სულ სიბნელეა... სვე-
ლი სიბნელე... ახლა მთავარია გეზი არ
შეცდეს... მასაც და ნავსაც, რომელიც
მისკენ მოდის... უთუოდ მოდის! დაძა-
ბებით კი მაინც არ დაიძახებს, კრიჭაში
მთელი პონტო რომ ჩაუვიდეს.
ბედაური კი ჩანს წყალნაყლაპია,
უკლო სიჩქარეს. თავგანწირული მხედი-
რი მჭიდროდ ამოტმასნულ წვივებითა
და ლაჭებით გრძნობს, როგორ გაბერი-
ლა შავ-ქაჩი და ახლა ადამიანივით გვი-
ნავს. ეს პირველი მსხვერპლი შეიწი-
რონ ზღვის ღმერთებმა — ბერძენთ
პოსეიდონმა, ტუმალთა და კოლხთა
ჰემ, სპერთ-სპეროზამ! მაგრამ ღმერ-

თებიც ეჭვიანები არიან განწირულს არ შეიწირავენ ზოლზე.

შავ-ბედაურმა უმატა ფშვინვასა და მიუძღვრებულ კუთვას. მხედარმა ისიც იგრძნო, რომ გაყრის ეამი დგებოდა... აღვირით თავი მოუწია... საღდა იყო ის უდრეკი ძალა და ჩაბეჩილი ლავამი... ახლა სულ დუნედ მოჰყვა ხელში... შე-ლონებელი მხედარი გადასწვდა, შუბლის თავში, სახიკორზე ეამბორა... გატანჯულს... უმალ იგრძნო, როგორ დაეყუდა ცხენი და ძირვა იწყო... სხეული ერთიანად აღუქანალდა შავ-ქაჩს... კანკალი მხედარსაც გადაედო, მაგრამ თავს სძლია, ხელი უშვა აღვირსაცა და არ ტანსაც... წყალში გვერდულად გაერიდა და ცურვით მიჰყვა. არა, მხნეობა არც ახლა დაჰკლებია, ოღონდ სურვილი ახალი მიხვედრისა, გულგაუტეხავ იმედისა კი მოეძალა.

...და თითქოს რაღაც ხმა აჰყვა სულ მარტო მცურავს, არა, არც ჩანგის ეღერა, არც იარაღის ქლარუნე, არც ჭაჭვის თუ ბორკილის ჩხრიალი... მიხვდა, ექვანა დეზების ხმა! პონტოა მისი მარჯაფა ბედაური და მას — მითრიდატე პონტოელს რა უჭირს ზღვაში დეზე-ბიანს, დაწმოსანს, გვირგვინოსანს! ყველაფრით შემკულსა და აღჭურვილს, რის გამოც ასე ედავებოდნენ ხმელეთზე!

მხარი გაჰკრა, ექვანა დეზის ხმას აუწყო და გაწინაურდა.

ცხენმაც შეიმსუბუქა წელი და ისევ ამოსწორდა ტალღაზე, მაგრამ მხედარი რომ ველარ იგრძნო, თავი აღმართა და ძლიერი ჰიხვინით შეეხმინა ბნელშავ ტალღებს...

— ჰეჰეი! — თითქოს საპასუხოდ, სულ სხვა მხრიდან მოვიდა ძახილი ეაციისა.

მითრიდატე შეკრთა — „ზურგის მხრიდან?“

არ გაეხმინა, მაგრამ ძახილი მალე გამეორდა, უფრო ახლოს და უფრო გარკვევით... თან წამდვრებაც ჩამოიქსოვა და წაღმა-უყუღმა ატრიალა...

— ბერძნულად — დორელაე ვარ — ჭართულად — ტარიელაო!

უფლისწულმა კიდევ ერთხელ დალოცა შავ-ქაჩი და ბედ-სასწაული ერთ

ჰიხვინში გამელავენებული! შუბლზე წამოხატებული გვირგვინი, ხელუკულმა გადაიწია, დაშნაც მოიხეღვრებოდა და სიმღერისაკენ გაჰკრა მხარულად...

მალე ხმაც აწვდინა მენავეს, ბნელში გაპლანდა კიდევაც... ცოტაცა და ბელიც ჩაჰკიდა ნავის ყურეს...

— ღმერთებს დიდება! — შესძახა მენავემ და კიჩოთი შემოაბრუნა, — კინაღამ აგცდი მობრძანდი ვაშა ზღვის მხედარს! — ხოფები მიჰყარა და ორთავ ხელი გამოუწოდა. უფლისწულმა გვირგვინიანი თავი გადამოჰყო ნავში...

— აუ! პოსეიდონ... ჰაბუკობისა ეამსა! — ახლა უფრო განცვიფრდა ტარიელი და ნავი ნებაზე მიუშვა.

— ხოფებზე იჯექ! უთანაბრე! განა ვიხრჩობი ზღვაში, ახლა გადაუტრჩი ხმელეთს მარჯვნივ დააწექ! — თავად წყალში ტანი აიძუბუქა და თითქოს ხელახლა მოახტა შავ-ბედაურს, ჯერ ცალი ფეხი, მერმე ტანი მთლიანად ნავში ტალღასავეთ გადმოიტანა... სული ხმინანდ მოითქვა და ტარიელს გადაეხვია:

— შენი იმედი მუდამ მქონდა! ტარიელი კი განცვიფრებული უმხერდა უფლისწულს და ახალგაზრდულ აღტაცებას ველარ ჰფარავდა... ბოლოს შემოესმა ტალღის რამ ჩქამი, თუ იაზრა რამ:

— მოგვდევს ვინმე?

— არა, არა ვგონებ! აზრზეც ვერ მოვიდნენ! ახლა კი ბნელა!

— მაშ ესა? — მთელი ტანით შემობრუნდა, მაგრამ აღარც დანახვა იყო საჭირო სულ ახლოს ისევ აჭიხინდა ცხენი.

— შავ-ქაჩი! არიქა! — თავადაც ხოფს მიუჭდა უფლისწული, — დაჯერათ, გაეასწოროთ, თორემ ახლა კი გვიწია მთელ-სამეფოდ ღირს ეს ცხენი — ღმერთების არჩივი!

ორთა დაჰკრეს...

— გეზი იცი?

— ვიცი უფლისწულო!

შეწყობილად მოუსვენს ხოფები, გაასწორეს შავ ლანდს... და მათ კიდევ კარგახანს სდევდათ განწირული ჰიხვინი შავი ბედაურისა.



ა ლ ი ს მ ე რ მ თ ი სოფელი

მზით გათანგული თვლემდა სოფელი
მაღალ ცაცხვების ჩრდილში ნამალი
და მდუმარების უარყოფელი
აღარ ჰყოდა არსით მამალი.

თვლემდა ზეკარის მთების გოდოლი
გაუგონარი გვალვის ამტანი.
არ ირხეოდა მჭკნარი ფოთოლი
და შებრაწული მზისგან ატამი.

ჭიჭინობელამ როს იგრძნო ძალა, —
ტვინი წაიღო მისმა ჭიჭინმა
და დარჭობილმა მარგილზე ქალამ
გიქი ცხენივით გაიჭიხენინა.

მას მოჰყვა ქალთა სიცილ-ხარხარი,
მურმე მოვარდა ბორია — ქარი
და როს გამოჩნდა მთვარე ახალი, —
დამისმთველების დაიძრა ჯარი.

ძველ ცაცხვის ძირას დასცხეს დაირა
და გააჩაღეს ცეკვა-თამაში.
ქორბუდიანი ირმის ნაირად
გოგოს უხმობდა ბიჭი ქალაში.

ელემებოდა გოგოს იღბლიანს,
ექმასნებოდა ტანზე ნიავი.

ვაეს აბრმავებდა ქალის იღლია
და თვალი გმირის განსაგმირავი.

ასე ყოფილა დასაბამიდან:
ეტანებოდა ადამი ევას
და ესწრაფოდა პაპის მამიდაც
ალბათ ღრეობას და ღამისთევას.

მთვარე კაშკაშებს, ეტლში ჩამსხდარი
ლოთი ბიჭების მესმის ღრიალი.
ჩამოიტოვეს თეთრი საყდარი
ჭრელჯუბიანი არღნის ჭრიალით.

ხელში ეჭირათ მუხის შტოები
და ფოჩიანი სიმინდის ტარო.
აქ განა გაძლებ განმარტოებით, —
ჰაერიც გიხმობს დრო გაატარო.

მე კი სარკმელთან ედგვევარ მარტოკა
ქარს მოაქვს არღნის ხმა ნალვლიანი.
იმ უბადრუკმა ჰანგმა გამოთოკა,
შემომაცხვია სვედის ხვიარი.

ცაში ნათელი, ბნელის მგმობელი,
ჩადგა და ჰყვივის სადღაც მამალი.
ნელა იღვიძებს ჩვენი სოფელი
მაღალ ცაცხვების ჩრდილში ნამალი.

მ თ ა შ ი

გვალვით გვემული და თავდახრილი
გარინდებულა ზეკარის ტვერი.
თავს დასდგომია თვალუბდათხრილი
კლდე უდაბური — ცხრათავა დვეი.

ბოლოს მოვიდა ნანატრი წვიმა,
გადაუსადა მთა და ბარს ღელა.
მიწა დამწვარი, ისე ვით წივა,
ყანაც მონათლა და გაახარა.

სმენას მიტკობობდა ტყის სიჩუმეში
წვიმისგან სველი ფოთლის შრიალი.
მეჩვენებოდა როხი, ჩუქნეში,
დიმი, ფერსათში თოხის ტრიალი.

წვიმას და თავსხმას შეხვდა სიამით
თაჭრაქინდრული ხეთა ამაღა
და აშიშვლებდა ტყეში ნიაგი
შვლის ნუკრს, ფოთლებმა რომ ვერ
დამალა.

ეს უთვალავი ხე ამოდენა
ვინღა შეჰყარა წაბლნარის ხევეში.
ხანის წყლის ტალღა ვინ ჩამოდენა
მთიდან, ვით ფარა კომბალით ხელში!

ტალღამ კალმახი ლოდს დააჯახა
და ვერ აპგლიჯა მანც ლაყურა.

ლოდებთან ბრძოლამ გაამაჯავა,
რომ ვერ აეგდო მთის კაცს აჭურადა.

ტყის სიჩუმეში სვედა ვლინდება,
დუმლიოს ღმერთმა რომ გვიწყალობა.
ნუთუ ამდენ ხეს არ მოსწყინდება
მუდამჯამ დგომა, უმოძრაობა!

ვთქვი და ზღვის ქარი — ის ქარბორია
მოვარდა, მუხის არ მოეხათრა.
ვერხვსა და ალვას, ასე მგონია,
მკერდით ეძგერა და გადაყანთრა.

თითქო მოვარდნენ ყალყზე შემდგარი,
ფაფარაყრილი მერნით მხედრები
და სიკვდილამდე მხენ და მედგარი
მშვენიერების ღმერთს ვევედრები.

ღ ა თ ვ ი

მთაში ვაგონილი

აღარ დაგვეჭირდა თოფი — ბერდანა:
ტყეში დათვები დაეაფრთხეთ დაფით,
რომ ხის ბუკიდან გამოგვეტანა
ალისმერეთის საამო თაფლი.

ჩამოვითოვეთ როხი, როკითი.
მთაში გაგვექცა დათვი მსუნაგი,
და ავაბოლეთ დამწვარ გოგირდით
ყალიონივით მისი ბუნაგი.

ჩვენ შემოგვესმა მიწის ქვეშ ხველა,
თითქო მხეცს სჭირდა ავი ხუნაგი
და გავირინდეთ შიშისგან ყველა,
როს შეწყდა მისი ჭმენა, ფურაქი.

ბოლოს გამოჩნდა ხავსისფერ ჯუბით
დათვი მომწვანო თვალის კაშკაშით.
მყის ორთავ ხელით ავღმართე შუბი
და მხეცს ჩავთხარე ღია ხასაში.

მას შუბის წვერი, ანკესის მსგავსი,
ხორხში ჩაერჭო, როგორც ხანჯალი-
ატოტებული, უნდო და თარსი
უკან იხვედა მხეცი არჯალი.

ვერ მოიშორა ანკესი თათით.
ავ ტკივილისგან დაჰკარგა გეში
და როს სრულად დასუსტდა დათვი, —
უძლურ ბაჯბაჯით გამომყვა ტყეში.

ამ გთის შვილი ხარ. ხარ აქაში

გიორგი ალექსის ძე ახვლედიანის ხსოვნას

1

არ მაგიწყებდა ახლაც ის წელი,
კლდე, ნაპრალები ელეთ-მელეთი,
როცა ავიღეთ მთა „წყავის წვერი“
და უკან დაგვრჩა ალისმერეთი.

ღარტაფ აღმართზე მოგწყედა კისერი —
შურგზე გვეკიდა გუდა-ნაბადი.
იდგა ზღვასავით ნისლი რძისფერი,
მთა — შემოდგომის ცვარში ნაბანი-
არ ჩანს ზეკარი ღამენათვევი,
არცა სვანეთის უშბა დიადი.

ცაში ნელი-ნელ ჩადგა ნათელი,
ხვეში კი ისევ იწვა წყვილიადი.

აღმოსავლეთით ღვივის ცისკარი.
მთის იქით, ბარში ჩამდგარ ნისლიდან
მზე ამოცურდა, როგორც სიზმარი,
მზე შეღებილი წითელ სისხლითა.

ცეცხლის ბორბალი მისი ვეება
კრთის, თინათინებს, თამაშობს, დაბტის.
ღამე შავბნელი თუმცა შეება, —
მაინც სინათლის დაიდგა ტახტი.

2

ჩანს „კაკასხიდი“, „ბოლოკაური“
და ბავშვის მსგავსად კვლავ მეღიმება.
„ამ მთის ღვიძლი ხარ, ხარ აჭაური“, —
იწყებს ძღრიალი ჩანგის სიმებმა.

ჩანს ძელქვის, მუხის უღრანი ტვერი,
ჯუჯა, ხიოჭი, უხამსი კვინჩხა,
ხავის ჭაღარა აბია წვერი,
ფითრი და სოკო სულ ერთი ფინჩხა...

ტყეს ქარვისფერი ჩაეცვა ჯუბა.
იდგა უძირო, გულის მკოდავი
დუმილი ტყისა და მერმე უმაღ
ხის ტოტს უშენდა ნისკარტს კოდალი.

გამოუჭროლა ალაღმა.
წაიღო მაღალ მთაზედა.
სახრე ეტყორცნე და დაღამა
სისხლი კოდაღამ ქვაზედა.

ტკიფ მახათი თავს დარტობილი.
ალაღმა ახოს შემოატარა.
ძვერს ჩიტის გული, უცხოდ შობილი,
და მიფართქალებს მუჭში პატარა.

მას გრძელ ნისკარტზე მიკროდა მატლი
და კვლავ მეწვია ფიქრი ხნიერი:
გულგრილ ბუნებას არა აქვს მაღლი,
უძღურ ქმნილებას ჯაბნის ძლიერი.

რა სათქმელია ჩიტის არჩივი,
მკვდარ ჩიტის გამო უქმი ქართული:

მინახავს მთაში ბრძოლა არწივის
და მუხის ლახვრით კლდე გაფატრული.

საშემოდგომო დღეა პირქუში.
მაოცებს ჩხიკვის — ჯაფარას ხერხი:
წიფლის წიწიბოს, წაბლს ჰყრის ხის
ღრუში,
როგორც ბელელში ჭირნახულს გლეხი.

3

უყვარდა, უყვარს მთის კაცს სტუმარი.
გვიხმობს მუგუზლის ცეცხლით ბუხარი.
მის მასპინძელი ტკბილმოუბარი
პაპა, გლეხკაცი თავისუფალი.

ჭადართან ჭრაჭუე მოჰხადა ქვეერი.
მაჭრით პირთამდე საყე, სალხინო.
არ არის ტკბილი, ვით ტკბილისკვერი
აღისმერეთის მომეყო ღვინო.

ევაჭრებიან მოსულნი მთაში
ახალციხიდან გლეხს ჩალვადრები.
თუმც სილატაკე კეტს გვემდეს თავში. —
ჩარჩების ხელში ნუ ჩავადრები!

გაბოლილ ბოძზე ჰკიდია თოფი
ამ სოფლის საბჭოს თავმჯდომარისა,
სამოქალაქო ომში ნაწრთობი
და მოტანილი მთაში ბარიდან.

„წითელი დროშა ავაფრიალეთ“... —
სევერიანემ დაიწყო თხრობა
და უბის წიგნით მოხეტიალეს
მყის მომაგონდა მეც ჩემი ყრმობა.

4

ფქვილს სცრიან ცერზე შემდგარ
მურდინით.
როკავს საცერი, როგორც დაირა.
აღისფერ ღვინოს ასხამს მერქიფე
და მოაქვთ კერძი ნაირნაირი.

მე ვუდღვერძელე გულუხვ მასპინძელს
ბაღღები. ბაღღებს ართობს დიდუღა.

დე დაიზარდონ ერის იმედად
და მიემსგავსნონ ლომგულ ასპინძლებს.

ლაღად ჩაპბუჭნეს. ტყუპებად ვიცან.
მსურს მათ ქორწილში ვიყო მაყარი.
აღისმერეთელს მუხლი მაგარი
თუ არ გამოჰყვა, რა უყოს მიწას!

დახვეული აქვს გლებს წელზე თოკი,
ბოლო მობმული რკინის პალაზე.
მთის კლდიან კალთას უტევენ თოხით
და ნაპრალებზეც ნადურს ჰგალობენ.

გლების ნაოფლარს ვჭამდი ამგვარი
ჯაფით და შრომით მოწეულს მთაში
და მაოცებდა სტუმართმოყვარე
მთიელთა სიმხნე, ჯანი და მაშინ

მივხვედი დროემმა რად ვერ აპყარა
მათი ვენახი, ყანა, სახლკარი.

5

ტლავარს შვენის ვაზი ხვიარი.
თავახდელ ქვევრზე დგას ოხშივარი.
შემომავება პაპამ ორშიმო,
რომ ტკბილ ქართულით სიტყვა
მოვშიბო.

გვასმევს თამადა ღვინოს ძალადა.
ქვევრს არ დაჰხურა სარქველი — ორგო.
ცოლიკაურით ავსებელი მომცა კალათა.
საცოლესავით მიცინოდა მასპინძლის
გოგო.

ჯანსუღ ჩარკვიანი

ბრძელი ღერუანი

ლირიკული ღლიკი

ღერ. გზა და ობოლი ბავშვები

და მოკვიწოდებს ქანოი, ძმებო, იგი სისხლშია, ქანოი, ძმებო, და ნავსადგური კაიფონისა და ნავსადგური თეთრი კამფისა წვალში კი არა, სისხლშია, ძმებო.

და ვველა ზალბებს მოუწოდებენ, ვველა ქვეყანას, ვველა შთაფრობას, ვანც კი პატყებს სცემს მშუოდობას და ღიად სამართალს, ხმა აღიმაღლონ პროტესტის და თყვიონ, რათა სამარადყეამოდ აღიკვეთოს დანაშაული.

შე რადგან იგა შეილივით მიყვარს,
რადგან დაღლილი მამა ვარ მისი,
რადგან უტყხი მივეცი სიტყვა,
ასლაც შეილივით კალთაში მიზის.

მე ვეფერები ჩემს მზეს პატარას,
იმ მზეს, რომელიც ანათებს მიწას,
უცებ იწყება სადღაც ავდარი
და მიწას ლურჯი წვეთებით წინწკლავს.

შენ ხომ არ იცი დედა სად არის? —
მეკითხება და თმაში ვაზს იწნავს.
და ეს ტყვილი მე შევედარე,
ოქროსფერ ზვინში გარტობილ ფიწალს.

სალამი დედებს, უღიადებს —
ო, ღმერთო, მალე გამიიდარე...
სალამი დედებს, უღიადებს,
სალამი ბავშვებს, ქვეყნის წმინდანებს.

შენ წაგიყვანენ ბრძელი ღერუანი

გურამ თიქანაძეს

შენ რაღა გახსოვს, აღარაფერი, არც არაფერი აღარ ახსოვს მეორე გურამს. არაგვის ტალღებს მივეყვებით და გვახაროდა გავს ლექსები, მარცხნივ ვსტოვებდით არაბულების სოფელს საბილგს, იქყო არხვატს და არლუნიაკენ მივდიოდით გრძელი ღერუანით. გრძელი ღერუანით მივდივართო, ეს შენ მითხარა...

მე „გრძელ ღერუანს“ ვარქმევ ჩემს წიგნს, ჩემს წიგნს, რომელსაც არ უწერია შენი თვალგბი.

მოგეპარება უშბადან მთვარე
და შენი ხარი დაიწყებს ბღაიღს.
გაუკვირდება დანარჩენ ხარებს
ძირსდაცემული სევანური ღამე.
დიდი ავდარი იქნება გარეთ,
შენ დაგაბნევენ ჯიბეზე ყვავილს,
გაკვირდება ნაცრისფერ ქარებს
ფრთამოტყბილი, მშოიერი ყვავი.

...
შენ წაგიყვანენ გრძელი ღერუანით.

...
ტყვიღს დაგიწყებს დაჭირილი მზარი,
ოჯახის კარი დაგრჩება ღია.
ბღაიღს დაიწყებს ჭალაში ხარი,
დაბმული ხარი დაიწყებს ღრიალს.
დაიწყებს ღრიალს და მთების იქით,
მთას გაექცევა ღამაში ღვია,
შენ წაგიყვანენ და ჩემზე ფიქრი
გაგყვება, როგორც პატარა ტყვია.

* „გრძელ ღერუანს“ მთამსკლელები ერთ-ერთ ზეობას უწოდებენ. ხევჭურთში.

...
შენ წაგიყვანენ გრძელი ღერუანით.

ორი გატარებული



სადგური, ყველა დიდი ქალაქის მაცა და კარი, სხვათა სიმღიდრეს დაათრვენ მკურტნები... ასლა
კურტნები აღარა აქვთ და თბილისელი შვიი ქურტები დაარბინებენ ლამაზ ურყევს.

სადგური...

ქალაქ თბილისში ყველაზე გვიან იკეტება აქ რესტორანი...
ზოგისთვის მატარებელი მხოლოდ დგას და სხვა არაფერი.

ცამეტ სექტემბერს,
მშვენიერ და მთვარიან ღამეს,
ვიდექ სადგურზე
და ვუსტყენდი
ჩემთვის რალაცას.
მატარებლები
ძაღლებივით უყვფდნენ მთვარეს,
მთვარე კი ეგდო
მაზუთიან, ფერად გუბეში
და ახტებოდნენ გამვლელები
ამხელა მთვარეს.
იქვე კუთხეში
ჩგუფად იდგნენ წვევანდელები
ხის ჩემოდნებით,
გარმონებით

და გიტარებით...
მატარებელი იდგა, როგორც
ბევრი წისქვილი
და ზოგ წვევანდეულს
არც ენახა მატარებელი.
და იქვე ახლოს,
მაზუთიან ფერად გუბესთან,
ბათუმელ გოგოს აცილებდნენ —
აქვე, ბათუმში.
მატარებელი იდგა, როგორც
მატარებელი
და მშურდა
ისე აცილებდნენ
აქვე, ბათუმში...
ცამეტ სექტემბერს,
მშვენიერ და მთვარიან ღამეს.

ნაღებული პოეზია

თქვენ ორპირებიც არ განახავთ ღრუბლიან ღამით და თუ გინახავთ დაიწმინებით, სიღიავე
ლაქანურისა აღმატება სიღიავეს ყველა მდინარის, ზოლო ცისკრისას ჩემს ლაქანურს დროშებივით
შოატეს ტალღები, შიღის სიმღერით და ღმერთმა იცის, რა უხარია, ის, რომ ცისკრისას დროშებივით
შოატეს ტალღები თუ ორბელისკენ აღმა წასულ კალმასს და წვევას რომ ეღობება.

ჭილეშის ჭალა ლაქანურის სარბიელია და მოალავეს ლაქანურა უკალაპიტოდ,
უბლო ცხენებს მიერვევა ავღარი მისი, და ფრუტუნებენ თეთრი ცხენები, თეთრი ცხენები,
უპატრონო თეფრა ცხენები.

ჭილეშიდან რომ აღმართია,
სურმუშის ძირში,
ჩარკვიანების გადმოსახედთან,
ეძახდნენ ზემოთს...
და ხარს მომაკვდავს
პატრონი რომ ვერ მოუსწრებდა
ალესილ დანას —
ამ ზემოთიდან გადუძახებდნენ
კლდის ძირში,
ყვავთა
და ყორანთა საულუფათ.
სწორედ ზემოთზე იკრიბებოდნენ,
საცეკვაოდ და სალაღობაოდ
გამოსული გოგო-ბიჭები.
ყანაში დაღლილი

ტლანქი ბიჭები
ატლინკავებდნენ ღონიერ ფეხებს,
ქალიშვილები კვანწაყდნენ ხელებს
და თეძოებით აკეთებდნენ
ვეება გუნდას...
დიღამდე ხელში ეჭირათ მთვარე
და ლამაზ თითებს უზალთუნებდნენ.
ორმოცდაერთში
ზემოთიდან დაეშვნენ,
მთვარე?
მთვარეც წაიღეს
ღონიერი, დიდი ხელებით,
ორმოცდაერთში,
ოცდაორ ივნისს.

ასა ვუძირობდი

მწერალთა სახლთან იწვა კუდი იმ დიდი ტანის — იმ პროცესიის, რომლის თავი ვლანტიერის დაღმარის დადგა და ზერხემალი ამ ვეება თეთრი ვეშაპის გადაწოლილი იყო რუსთველზე.

ეს აყო ერთხელ,
ასი წელი ვიცნობდი იმ კაცს,
და ახლა იგი
აღარ მახსოვს
აღარც ცოცხალი
და აღარც მკვდარი...
ის დარჩა ჩემში,
როგორც სიცოცხლე,
როგორც სიკვდილი
და ნისლი მთებას —
ოღონდ გამჭრალი,
შერთული ცისკარს
და ცას შერთული...

როდესაც იგი
მიგვეჭონდა მხრებით
ასე ვფიქრობდი,
რომ ქვეყანა
არ არის მძიმე,
რომ შეიძლება
ეს ქვეყანაც ატარო მხრებით —
მისი სიკვდილით,
მისი სიცოცხლით...
ასე ვფიქრობდი,
როდესაც იგი
მიგვეჭონდა მხრებით.

უცხო ფრინველი

მთაში, თრჯუნ მიგვიყარდა ამ ბოლო ღროს უცხო ფრინველი, უცხო ფრინველს შენ ვძახი სიკვდილს.
გმარა ცუჭა, ჩვენ საკმაოდ მივეციო სიკვდილს, არაფერი მისი არ გვმართებს.

თარიგონს მოდგა უცხო ფრინველი,
მოდგა,
ჩვენი მოგონილი, მიწის მოგონილი
მოდგა,
ბოლოწითელი, ფრთათეთრი, მოდგა...
უცხო ფრინველი ღონიერაა
უცხოოდ,
სიცოცხლის ძმია იგი ფრინველი
ღვიძლი.
იმ უცხო ფრინველს ჰქვია სახელი —
ჰქვია,
ამას მე ვამბობ შენი შვალისშვილი
შენი.
შენი ჯანსუღი, შენი სისხლის
წითელი ტოტი...
თარიგონს მოდგა უცხო ფრინველი,
მოდგა,
ოი, აბა გვეშინოდეს,
ოი...
იმ უცხო ფრინველს
გაუშალეთ ლამაზი სუფრა,
ახალი ჭური მოუბადეთ,
რადგანაც მოდგა,

გიშერა ხარი დაუკალით,
რადგანაც მოდგა,
ძროხა ცოდვია —
ხარი დაუკალით,
რადგანაც მოდგა,
მჭადი ცოდვია,
პური გამოუცხვეთ,
რადგანაც მოდგა,
ცოცხალი მოწვერი
მიმირთმიეთ, რადგანაც მოდგა...
შაშვი არ არას ის ფრინველი,
რადგანაც მოდგა,
არც ქედანია ის ფრინველი
უცხოოდ რომ მოდგა,
არც ხოხობია ის ფრინველი, რადგანაც
მოდგა.

უცხო ფრინველი ღონიერა
უცხოოდ...
სიცოცხლის ძმია ის ფრინველი
ღვიძლი,
ოი, აბა გვეშინოდეს,
ოი...
უცხო ფრინველი ფრთას დაიქნევს
და უცხოოდ წაება,



მიშით კი არა, შევებრალეებით
და ისე წავა,
შავდაყამარას მისი გზები
და ისეც წავა.

აბა, გიხაროდენ,
ეფრემ ჩარკვიანო,
ოთხმოცდახუთმეტი წლის
ეფრემ ჩარკვიანო.

რათვის და კახის აბბაჰი

ორბელელ კაცზე გამოგონია, ალი ჰყავდაო საყვარლად ტყეში, ნადირობისას ხედეზოდა თურმე, უფერებოდა, უხვეწებოდა არდაბრუნებას ეხვეწებოდა, ჩემთან დარჩიო ეხვეწებოდა, ვერც ალს მოშორდა ის ორბელელი, შავრამ ოჯახიც ვერ მიატოვა, ერთ შშვენიერ დღეს სანადიროდ გასულმა ტყეში, დათვს მოჰკრა თვალი, თვალი მოჰკრა და თვალი დაუბნელდა, ფეხი გადადგა, უმაღ გამეშვა, ალას მოგზავ- ნილმა დათვმა დატორა და დაღეწილი დასტოვა ტყეში.

ახლა, გვიან ღამით, ალის კივილი იკლებს თარიგონს, სტირის საყვარელა, დათვის დატორილს.

თარიგონიდან ჩამოყრიან წითელ ნაწნავეებს
და ნაცრისფერი აბლაბუდეებით
დაქსელილ დილას
შეულოცავენ თეთრი ჭინკები,
ავი სულეები, კუდიანები,
და ოზოპინტრეს აერჟოლებს ტანში.
გატრუნულია დილა ფოთლებში
და ულოცავენ კუდიანები:
დალის დაბნეგია მძივები,
მძივი უპოვია არჩეს,
არჩემა მოიტება რქა,
და რქა დაკარგვია არჩეს,
ის რქა უპოვია კაცს,
სახლში წაუღია რქა,
რატომ წაუღია ნეტა?
ფეხი მოსტეხია კაცს.
თარიგონიდან ჩამოჰყრიან
წითელ ნაწნავეებს,
მერე სრილით ჩამოჰყვებიან.
ცეცხლს დაანთებენ ეშმაკუნები,
თარიგონის მთას გაანათებენ,
და თარიგონი, მოთხვრილი სასხლში,
უყვირის მთვარეს...
ზარდაცემული შავი დათვები,
შავი ბუნაგის სითბოს სტოვებენ,
ამოიჩრიან ლაჯებში თავებს

და მიგორავენ არავინ უწყის...
დღეს ნუ შეხედები, შავო დათვო,
იმ ფეხმოტეხილს,
მისი ეყოფა, რქა უპოვია
არჩვის, რომელმაც
იპოვა მძივი თეთრი დალისა,
გატრუნულია დილა ფოთლებში,
კუდიანები ჰყვებიან ამბავს:
იმ ფეხმოტეხილს უთოფოს და
არჩვის, რქიანსა,
დაჯახებია შავი დათვი,
ისიც დაჭრილი...
იმ შეჩვენებულს აბურძგენია
ტანზე ბალანი
და ფეხმოტეხილს დათვის ტორი
აუცდენია.
იმ ფეხმოტეხილს რქა კეფაში
უტყერებია
და დათვი კლდიდან გადაგარდნილა...
თარიგონიდან ჩამოჰყრიან
წითელ ნაწნავეებს,
მერე სიცილით ჩამოჰყვებიან
და კუდიანი თეთრა ჭინკები
ლოცულობენ და ჰყვებიან ამბავს
დათვის და კაცის.
გატრუნულია დილა ფოთლებში
და თარიგონი უყვირის მთვარეს.

ხევსური გოგო, ოცდაათი სექტემბერი

ქანსულ ჩარკვიანი
 2024.09.10

თ. კავთიაშვილს

პოეზიის დღე; დღე ნათელი და შემოდგომის, სავსე დაღლილი პოეტებით და დაღლილი მზით.
 ოცდაათი სექტემბერი...

დღეს, ოცდაათში
 რვისნახევრიდან
 ციციშვილები
 თეთრი კორპუსით
 აწყობენ „ცისკარს“,
 მეც მერქარება ციციშვილებთან...
 შემოდგომის მზე,
 დაღლილი მზე
 და ყვითელი მზე,
 კვარავით ბჟუტავს,
 დიდი კვარავით
 და „ანტიკვარში“ იყიდება
 თეთრი ლარნაკი,
 ლარნაკს ამშვენებს ხევსური გოგო,
 რომელსაც ხელში მზე უჭირავს
 დაირასავით;
 შემოქნეული მისი ტანი

ელვას გაეს ციხას
 და ამოყრილი ძუძუები
 ჭრთლა მწყრებივით
 დაქოთქოთებენ მწიფე ყანაში..
 მე გამახსენდა ხევსური გოგო,
 რომელსაც ხელში მზე უჭირავს
 დაირასავით.
 ხევსურმა გოგომ გამახსენა
 დღე დაბადების,
 რადგან სექტემბრის ოცდაათში
 არვის ვახსოვდი,
 ამ ლამაზი ხევსურის გარდა.
 წაველ ვიყიდე „ხევსური გოგო“,
 წაველ ვიყიდე,
 და მე გაფხდი ოცდათექვსმეტის,
 დღეს, ოცდაათში.

ლ ა ნ რ ე ბ ი

კ ო მ ა ნ ი

და თუ ხიცოცხლეს რაიმე აზრი აქვს, ჩემო ძვირფასო სოკრატე,
ეს აზრი უაღრესი მშვენიერების ჳვრეტაა მხოლოდღამხოლოდ.

პ ლ ა ტ ო ნ ი

I

გულამღერეული გამოვარდება, კარს გამოიჯახუნებს და სუსხიც ეცემა, სუსხი შემოდგომის საღამოსი, კანი აებურძგლება, ყრუანტელი დაუვლის თავითფეხამდისა, დაუვლის და აუვლის, ააცახცახებს; მყისვე შებრუნდება, ეძგერება გამოჯახებულ კარსა, ეძგერება უფიქრელადა, უნებლიედა, თუმცა ან რა დაფიქრება უნდა, ყრუანტელმა რომ აიტანა, რაიმე ნაქსოვი, მოსათბუნებელი ან წამოსასხამი უნდა გამოიყოლოს და ეძგერება, ეძგერება და აისუსება, შერე უცბად გაშოსცილდება ელდანაკრავივითა. ხელისგულებით მოიფშვნეტს მკლავებს, აბურძგნულ მკლავებს, ყელკისერზეც მოისვამს ხელისგულებსა და კიბეზე დაეშვება, დაეშვება და სულმოუთქმელად ჩაირბენს სამი სართულის კიბეებსა. ჩამტვრეული ფანჯრებიდან ეცემა ქარი, ეცემა სუსხი ზურგზე, კისერზე, ხან პირსახეზე, ეცემა ალესილი, აალმასებული და კიდევ შეუყოვნდება მუხლი, თავისთავად შეუყოვნდება, კარგი იქნება წამოსასხამი ან ნაქსოვი რამეო, მაგრამ თავს გაიქნევს, გულმოსულად გაიქნევს თავსა და გავარდება ქუჩაში, — თუნდაც უარეს სუსხში, ყინვა-ყიამათში გავარდება ისე-

ვე, იმავე კაბის ამარა, იდაყვებთან სახელგადაჭრილი და ღრმად გულამოღებული კაბის ამარა; ეს კაბა შალისაა, რაც უნდა იყოს, ჩითის კაბითაც გავარდება, ოღონდ არ შებრუნდეს, ახლა არ შებრუნდეს, შერე რაც იქნება, არ ეფიქრება, არც ენაღვლება, სიბრაზე გადაივლის, დაიწვევს გულისცეცხლი, გონება დამშვიდდება, უკეთ განსჯის გონება დამშვიდებული, ხოლო ახლა დაეყინვა-ყიამათი იყოსო...

მაგრამ ქუჩაში თითქოს დამყუდროებულა, ჩალეწილი ფანჯრების ბრალი თუ იყო სუსხი საღარბაზოსი, — ჩალეწილი ფანჯრებისა და ფანჯრებში მოზუზუნე ქარისა, ქუჩაში აღარ ზუზუნებს ქარი, არცა ზუზუნებს, არცა ზრიალებს, მხოლოდ შრიალებს, შრიალებს ფოთოლი ქადრებისა, ბრტყელი ფოთოლი, გაყვითლებული, ჩამოღის ფოთოლი, მალღაცა შრიალებს, ძირსაცა შრიალებს, ფრიალებს, ტრიალებს მალღიდან დაბლამდისა შორს ვერსად მიდის და ცხადია სუსტია ქარი, იმ ძალისა როდია, საღარბაზოში რომ ბაქიბუქობდა; ან ეგება არც იქა ბაქიბუქობდა, მხოლოდ ფხა აკრა ქალის შიშველ ყელკისერსა, უბეში ჩაუსრიალდა და შეაძოძგინა, ერთი შეაძოძგინა, თავი გააცნო, შეიჩვია, დაიახლოვა და მიჰყავს ახლა ფოთოლ-

თა შრიალში, მიჰყავს, მიჰყვება, ატარებს ასე, ადარც შეაწუხებს, არც მოსცილდება; არც მოსცილდება, მარტოა ქალი, არავის დასტოვებს ქარი მარტოა, შემოდგომის ქარი, ქარი ყვითელი ფოთლებისა, თბილი ღღის შემდეგ, საღამოთი რომ ჩამოვივლოს, გათენებამდის აღარ მიყუჩდება.

ეს არის შეღამებულა და ეს არის ატეხილა, ჰო ეს არის შეღამებულა, ოღონდ ლამპიონები არ აქვთ. ზაფხულობით გვიან რომ დამდება, გვიანაც ანთებენ, ახლაც აგვიანებენ, ღრო შეცვლილა საათი არა, საათს თუ მისდევენ. აქა-ჩქა რეკლამები აბრიალებულა: „ღალიეთ ჩაი“, „იკითხეთ გაზეთები“, „დაისვენეთ სანაპიროზე“. შიგადაშიგ ასოები ჩავარდნილა, გონებას ძალა თუ არ დაატანე, ვერც გაიგებ თუ რას გირჩევენ, რას მოგიწოდებენ, ჩავარდნილა და, იქნება, ეგრე იყოს, ვითომ რა ბედუნაა, უიმისოდაცა სვამენ ჩაისა, კითხულობენ გაზეთების მეოთხე გვერდსა, მხოლოდ სანაპიროზე არავინ დადის. არავინ დადის და ეს წავა, პატარა დაღმართს ჩაათავენ, ფართო ქუჩას გაჰყვება, გამზირს ჩაივლის, ჩაუხვევს და... ხოლო მანამდე, რაც უნდა უგუნებოდ იყოს, მაინც ქალია, თვალს რომ იტაკებს, ისეთი ქალია, მიდის და მიჰყვება თვალი მრავალთა, — ყმაწვილთა, ვაჟკაცთა, მოხუცთა, თვით ქალთა თვალიც მიედევნება ხოლმე, მიმხვდარა, გრძნობს, იცის, იცის და მიდის ამაყადა, თითქოს არაფერს ამჩნევს არავის ამჩნევს, თითქოს არც არაფერი გაეგება და თუნდაც გაიგოს, არად ჩააგდებსო. ჰო მიდის ამაყადა და აუკვირდება, ჰო მიდის ხოლმე, შეჩვეულა და აღარ შეუძლიან ისე ჩაიაროს ანუ ასე ჩაიაროს, — არავის თვალი ასდევნებია, არავინა ჩერდება, არავინა ბრუნდება. ის ღროა, ქუჩებში რომ ცოტანი არიან, საქმიანობა მოთავებულა, ჩაბუდებულან, ჩაბინარებულან, გართობანი ჯერ არ დაწყებულა, ჯერ არ გამოშლილან გასართობადა; გამოიშლებინან, მხოლოდ

ჯერ როდი გამოშლილან და ლამპიონებიც თუმცა ინთება, ინთება ბუნდადა, არა ჩაჩახებებს, ინთება ისე, ყველა ყველას რომ მიემგვანოს, არავინ გამოირჩეს, არავის შეეტყოს ღირსება ბუნებისაგან მინიჭებული. ბუნება მშვენიერებას ესწრაფვის, ხალხი ჯერ ცოტაა, შექიცი ბუნდა, ვერავინ ამჩნევს გამორჩევითა და მიდის ისე, მიდის მარტოდ-მარტოა, მარტოც იქნება, ქარი რომ არ ახლდეს; მხოლოდ ქარი ამჩნევს, ქარი ახლავს, მისდევს ფოთოლთა შრიალითა, მიჰყვება, მისდევს ფეხაწყობილი.

ღილით ფოთოლიც აღარ იქნება, აკრეფენ გათენებამდისა, ახვეტენ, გადაპყრიან ნაგავთან ერთადა, ნაგავად გადაპყრიან; ღილით ფოთოლიც აღარ იქნება მოთავარ ქუჩებში, გარუბნებში ეგებ იყოს, მაგრამ იქ ზეებს ახლა რგავენ და მერე იქნება, ხოლო აქ თუ ცვივა ფოთოლი, მაინც ძნელია განცდა შემოდგომისა, — საღებავები ბევრია, ბევრი ბევრზედა, გაზაფხულის განცდაც ძნელი გამხდარა, მწვანედაც შეღებილა კედლები, ყვითლადაცა, ბევრ სხვა ფერადაც შეღებილა, ოღონდ აქ ეს ითქვას, — ითქვას მწვანე, ითქვას ყვითელი, ნიშნად გაზაფხულისა და შემოდგომისა; ჰოდა გაზაფხულს სიმწვანე ვერ შემოაქვს, შემოდგომას — სიყვითლე, არის და არის ეს ფერები, თუ გამოხუტუნდა გადაღებავენ სულ იოლადა, სულ ადვილადა, შემოირბენენ, მიასხურებენ და გაძნელებულა განცდა ღროისა.

ხალხიც ცოტაა, ფოთოლიცა ცვივა. ფართე ფოთოლი, ბრტყელი ფოთოლი, ფარფატებს და ცვივა, ხელი რომ გაიწვიდინოს დაიჭერს, — გაიწვიდინს და დაიჭერს, ყუნწით დაიჭერს, მოიმარჯვებს, მოილაშენებს ნიკაშუნდა, მოილაშენებს და მიდის, მიჰყვება ქარი, მიშრიალებს ქარი, თითქოს ის ანთებს და აქრობს, — დაისვენეთ სანაპიროზე, უსათუოდ სანაპიროზეო. რაღადროს სანაპიროა, გრილა შეაქალაქშიცა, მაგრამ ის მაინც

სანაპიროსაკენ მიემართება, იქ ხეც ბევრია, უფრო თავისუფალია ქარიცა, ფოთოლიც თავისუფლად იშრიალებს, იშრიალებს ლაღადა, შეუბორკველად მხოლოდ წამოსასხამი უნდა წამოვლო... და თავს ვაიქნევს საუბროდა, მწარედ ვაიქნევს, დაე ვაცივდეს, დაემართოს, რაც უარესია, არ ენალელება, არც ეშიინიან, არ ვაცივდება, თვითონ ბევრად უფრო ცივია, ვიდრე საღამო შემოდგომისა, ბევრად ცივია, აბა შეეხოს, ვინმე შეეხოს.

ვინ უნდა შეეხოს, — ეს ხომ არა, წინ რომ მიუძღვის, ლანდად მიუძღვის სასტუმრო „თბილისთან“ რომ დაუხვია, მაშინლა შენიშნა, ოღონდ ჯერ თავისივე ლანდი ეგონა, მხოლოდ მერე-ლა გაარჩია, ლანდი არ იყო, თავისი არ იყო, მაგრამ მაინც ლანდად მიდიოდა, ვილაცის ლანდადა, მიდიოდა და მიუძღვოდა. სანაპიროს მიახლოებისას ცოტა შეიცადა, თითქოს ესეც გააფრთხილა, არც შემობრუნებულა, არც ზე-ლი აუქნევია, კინტიც არ დაუძრავს, მაინც ანიშნა, როგორღაც ანიშნა, როგორღაც გააფრთხილა და მართლაც უეცრად მოგრიალდნენ მანქანები, მოგრიალდნენ ყველა მხრიდან, წრე შემოვლეს და გაცვივდნენ აქეთ-იქითა, თავთავიანთი გზით მოცვივდნენ, გაცვივდნენ ისეც თავთავიანთი გზითა, ხოლო აქ ერთად მოიყარეს თავი, კინალამ აირივდნენ, კინალამ შეიხლართნენ, კინალამ ამასაც შესდგნენ, მაგრამ ანიშნა ლანდმა, თითქოს იმათაც მისცა სადინარი, მერე გადასჭრა ფაფაგარდინი, თეთრად შემოხაზული წრე გადასჭრა, გაარს რო-ლი შემოვლო მანქანებივითა. ამან ვერ გადასჭრა, პირდაპირ ვერ მიჰყვა, თუმცა აქამდის ფხვდაფხვ მისდევდა, ამიტომაც მოსჩვენებოდა თავის ლანდადა. ახლა ცალკე მიდიოდა ლანდი, დამკვი-ლებოდა, დამორებოდა, მალე მიიღია, მიიწურა, მიჰქრა და შეერთა ქალი, ლანდი ნუგეში იყო, მხნეობა იყო ამ სამართკვეში; თუმცა მანქანები ჩაუ-ქროლებდნენ, — იმ ერთხელ ერთბა-

შად მოცვივდნენ, მერე კანტიკუნტად ჩაუქროლებდნენ, მოსეირნე თუ ვინმე ჩამვლელი არსაით მოსჩანდა, არც უნ-დოდა, ის ლანდი სხვა გახლდათ, სხვა არც უნდოდა, თორემ აქ არც ჩამოვი-დოდა, მალე აივსებოდა გამზირი თუ ზემო ქუჩები, მალე ან, ვინ იცის, უკვე ავსებულაყო, გამოვსწრო, გამოშორე-ბოდა, ზოლო ის ლანდი, დიდი ლანდი რახან აუძღვია, უნდოდა, აღარ მოსცი-ლებოდა; ეგება არც მოსცილებოდა? ის თუ მოსცილდა, თავისი თან ახლდა, ისიც თავისივე ეგონა, თავისივე ყოფი-ლა, ლამზიონებისაგან ყოფილა, ხან წინ რომ მოუქცევდა, ხან უკანა, ხან წაუძ-ლოლებდა, ხან მიადევნებდა, ხან ჩაუვ-ლიდა, ჩაუწრეტავდა, ფეხქვეშაც გან-ურთბობდა, ამრიალებდა, აფუტკნიდა დაცვივნილ ფოთოლითან ერთადა. კვლავაც ცვივოდა ფოთოლი, ქარს ჩამოჰ-ქონდა, სუსტ ქარსა, ზაფხულში უფრო ძლიერიც ვერას დააკლებდა, ახლა უფ-რო სუსტიც ჩამოიტანდა, ჩამოიტანდა და ჩამოჰქონდა, ფოთლებზე გადადიო-და ლანდი, გადადიოდა, მისკურავდა, ფოთლებზევე ეფინებოდა ზევიდანა, თითქოს უნდა ჩაიტანოს, ჩაფლას, ჩამარბოსო, — ეფინებოდა და ეფინე-ბოდა, მაგრამ არა, ლანდი ამოდიოდა ზევზევითა, გადადიოდა, მისკურავდა, მისრიალებდა...

უცებ გახსლტა თუ რა იყო, — ლან-დისას მოგახსენებთ, — მოშორებით მოაჯირს გადაეყუდა, მტკვარს დასაქო-რა თუ გაჰხედა იქითა სანაპიროსა; ეგე-ბა ველარც ეცნო მტკვარი, ჯებირებში გამომწყვდეული, დაარტყნებული, და-მლორებული. სხვანაირი ყოფილიყო, რიყეებს მოედებოდა, კუნძულებს შე-მოეხვევოდა, ფლატეებს შეეყალყებოდა თუ შეელამუნებოდა, აივნებსაც შეე-ყალყებოდა, წისკვილებთან აბუყბუყ-დებოდა, გაიშლებოდა, გაივანებდა, გაი-ფინებოდა, მოჯირითებდა, მოელვა-რებდა, ემუქრებოდა ან ეალერსე-ბოდა ნაირგვარ ნაპირებსა, მრავალფე-როვანსა; ეალერსებოდა ან ემუქრებო-

და უფრო ემუქრებოდა, ძალაც შესწევდა, თავსაც გამოიდებდა, ამოიკალთავებდა დიდუბისა თუ ორთაქალის ბაღებსა, წაიღებდა, ვინ იცის საით წაიღებდა ხოლმე, ეს არაფერი, ადამიანებსაც წაიღებდა, მოიტაცებდა ან თვითონვე მინებდებოდა ვინმე უბედური... გარემო მაინც გამოცვლილა, აღარ ეცნობა ან უკვე შესჩვევია ჯებირებსა, ასფალტსა, ლამპიონებსა, ბევრსართულსა სახლებსა, — ან შესჩვევია ან იგონებს თუ როგორ იყალყებოდა ტალღა, როგორ უწევდა ზედგადაკიდულ აივნებსა. შენობები დაშორებოდა, დაშორებოდა აივნები, ვეღარ უწევდა დაარტახებული, მისაწვდენიც აღარსად იყო, აივნები არ იცოდა მაღალმა სახლებშია, რაღაც მინამგვანი დაუსწავლია, მკრთალი რამ ნასახი, მტკვარი არ მოსცდება საიმიხლოდა, — ვერ მისწვდება და არ მოვცდებით, ჩაიბუტბუტებს... ამას არ ახსოვს ძველი გარემო, ამასა, აგერ დაფენილ ფოთლებს რომ მიაშრიალებს. იმას ახსოვს, აგერ იქ მოაჭირს რომ გადაჭრდნობია, ახსოვს და იგონებს, მხოლოდ იგონებს, განა მისტირის, არა, არ მისტირის, ძველი თბილისის მოტირალი ეს როდი გახლავთ, სხვა რამის მოტირალია, ის არ ატირებს, არც ეს ახარებს რაღაც სხვა რამეს ჩაუფიქრებია; ან არც არაფერს ჩაუფიქრებია, ლანდმა ფიქრისა რა უნდა იცოდეს, მხოლოდ დაუღლებულა და არის ასე, არის და შეირხევა, შეირხევა როგორც კი ეს მიუახლოვდება, შეირხევა, უამრად შერაცრაცდება, გასწევს და წავა თავაუღებულადა, უკანმოუხედავად, როგორცა სჩვევია ლანდსა.

ამისი ლანდი შეჩერებულა, როდი ირბევა, ის მიდის, ეს არ ირხევა, არ იძვრის ადგილიდანა; თუ დააფრთხობდა, შორიახლოსაც არ ჩაუვლიდა, აღარც ჩაუვლის, არ მიუახლოვდება, ივლის ხეებქვეშა, ხეთა ნაჩრდილებს გაედევნება, აღარ გამოუჩნდება, რომ გამოუჩნდება, აგერა აწრიალდა, წავიდა, მიდის, ივლის, ვიდრე მიწყდებოდეს ძებორციე-

ლი. მანქანებმა იჭროლონ, ეგ არაფერი, მანქანა ვერ შეაერთობს, მანქანა მიბმული ადამიანებიც ვერ შეაკრთობენ, ქროლვას აპყოლიან, გაპყოლიან, რა ხელი აქვთ იმის ფიქრებთანა, მხოლოდ ჩამვლენი თუ მოსეირნენი მიაჩრდებიან, თვალს მიაციცებენ, მიაშტერდებიან და აუშვრევენ ფიქრთა; არც მოიხედავს, ისევე იგრძნობს, ფიქრი ემღვრევა და იგრძნობს მას რა იქნება, შეიშმუშნება და წავა თავაწვეული, თვალთ ზეტასმიჩრებული, ივლის, ვიდრე ფიქრი დალაგდებოდეს. დალაგდება, ალბათ დალაგდება, — ეს ხეთა ნაჩრდილებში შედის, ის შეჩრდება, ხელებს გაიწყობს ზურგთუკანა, გამობრუნდება, გაბრუნდება, მიშოდის, ტრიალებს, ბოლთასა სცემს, ხან მხრებს შეიქნევს, ვეება მხრებსა, ხანაც ახველებს, ოდნავ ახველებს, ხელებს იფშენეტს, ზურგთუკანიდან რომ ჩამოიშოდის, იფშენეტს უსათუოდა, მერე ისევე გაიწყობს ზურგთუკანა. მკაფიოდ მოსჩანს, მოსჩანს კანთიელადა, ლანდი ასე როდი უნდა მოსჩანდეს, მაგრამ ლანდია, რაც უნდა იყოს, მაინც ლანდია, ასე ლანდია, ფიქრით არის ნამღვილი, ფიქრით არის რაც არის, თუ ამბობს თუ დალაგებს, დალაგებს ფიქრებსა, მაშინ ნამღვილია, ფიქრია ნამღვილი, ხოლო თუ მიდის დადუმებული, მაშინ ლანდია, მიდის ლანდადა... აგერა მიშოდის, ბოლთასაცემს, ზურგთუკან იგრუნს, იმტერევს თითებსა, მერე გადაიქნევს, მკლავებს გადაიქნევს და ტაშს შემოჰკრავს, დაბლა მდინარე ჩაიდგაფუნებს, — ჩამდორებულა, გაყუმებულა, თითქოს დამდგარა, გაქვავებულა თითქოსაო, მაგრამ მაინც ჩაიდგაფუნებს, ოდნავ, ოდნავ ჩაიდგაფუნებს ან ეგებს ამას მოუყურება, იმას არა, ისევე მიშოდის, ისევე ზურგთუკან იგრუნს თითებსა. ოდესღაც აქვე ან ცოტა ქვევით, ორბელიანთა უბნის დასწვრივ, მწარე ფიქრებს მისცემია სხვა ლანდიცა, მღუმარედ მჭლარა და ლანდადა ყოფილა, — იდაყვიდაყრდნობილ ყურს ვუვლებ მე მისსა

ჩხრიალსაო. მაშინ ჩხრიალიცა სცოდნია მტყვარსა, ლბილი მდღეობი ჰქონია ნაპირნაპირა, ლბილი და მისანდობელი, ფიქრთგასართველი, — აქ ლბილ მდღეობზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლიო; იმავე ლანდისაა, იმავე შორეულ და მახლობელი ლანდისა. ამას არ ეტყობა ცრემლი ან ასე რა უნდა შეეცყოს, ლანდმა ცრემლისა რა უნდა იცოდეს, ფიქრი რომ წამოვა, სიტყვად იქცევა, სიტყვადა, დალადადა, თუნდაც ჩუჩულადა, მაშინ შეეცყობა, იცრემლება თუ სიხარული მოჰკიდებიაო ჯერ დადუმებულა, ბოლთასაცემს და თითქოს ხმა ისმის ქუსლებისა, ჩუ, ხმა ისმის... არა სხვა იქნება, ლანდს ქუსლები როდისა ჰქონია.

უცხად მანქანა დაიხრჩიალებს. ქვემოთ, კლდის ქიმთან დაიხრჩიალებს და გაჩერდება, არა სჩანს თუ რა მანქანაა, ფერიც არ გამოჩვენდება, რაც უნდა იყოს, დაჯახებით არაფერს უნდა დასჯახებოდეს, რაღაც ფიქრმა თუ გაუელვა შოფერისა, გაუელვა და მანქანაც ალაგმა; იყო ეგრე, იყო ალაგმული, გაშეშებული, მხოლოდ წითელი შუქი ბრიალებდა, ბრიალებდა მუხრუჭების შუქი, ნელნელა ჩაიწია შუქმა, ნელნელა დაიძრა, ყოყმანსა ჰგავდა, შოფერის ყოყმანსა, — რაღაც განზრახვას წამოეკრა, ვერც გაეხედა, მანქანას ეტყობოდა, ვერ გაეხედნა, — შექანდებოდა და შეჩერდებოდა, მოიჩწეოდა და გაიყინებოდა, ამრიალდებოდა წითელი შუქი და ჩაიწეოდა, აქანქარდებოდა მოხვევის ნიშანიცა, ვერ გაღეწევიდა, ვერ გამობრუნებულყო თუ გადასწევდა, გამობრუნდებოდა; ამასობაში აქ გადაწყვეტილიყო: აღარ სჩანდა ახოვანი ლანდი, ფიქრი აღარა სჩანდა, ხრჭიალს თუ არა, გამობრუნების განზრახვას მაინც შეეკრთო და გაეფრთხო. ალბათ შეწრიალდა, მიიმტვრა-მოიმტვრა მოუსვენარი, — თვალი ვერ მიაღვენა, ერთი წუთით გაექცა თვალი, იქით, მანქანისაკენ გაექცა, ერთს მიაღვენა, მეორე გადაჭარებოდა... არ დაიკარგებოდა, არ გა-

ჰქრებოდა, ისევე აქ სადმე იქნებოდა, აქ იბორიალებდა, აქ ხომ აღამაყებინებოდა იყენენ, ჰქროდა ქარი შემოდგომისა, ცვივოდა ფოთოლი შემოდგომისა, — აქ იქნებოდა.

ის ჰო, შემოდგომამ გამოიტყუა, უკაცრიელობამ გამოიტყუა, ამას რაღა სურდა, რად მისტანებოდა ტლუ ადგილებსა? არც არაფრადა, არც მისტანებოდა, — შინიდან გამოვიარა გულამღვრეული, შინ არ უნდოდა და სულერთია თუ სად იქნებოდა; სულერთია და აგერ აქ არის, სანაპიროზეა, სადაც ბევრი ვერავინ გაუტყუებია ასობემოცენილ რეკლამებსა, შუაზაფხულშიც ვერ გაუტყუებია, ვერც ეს გაუტყუებია, შუაზაფხულშიც ვერა, სხვადროსაც ვერა, მაგრამ ახლა შინ არ უნდა და რახან სულერთია თუ სად იქნება, აგერ აქ არის, ქარში, ფოთლებში. თუმცა ქარი სუსტია, ძალიან სუსტი, კიდევაც ჩადგება, ფოთლებში მაინც იშრიალებს, ბლომად დაფენილა, ზედ ივლის, ფეხს შეურევს ფოთლებში, ივლის და ამრიალებს. ზურგსუკიანაც მოესმის შრიალი, უფრო მომეტებული, ვიდრე ერთ წყვილ ფეხს შეუძლიან, მხნეც არის ის შრიალი, ხალისიანი, ატაცებული, თითქოს დაცვენილ ფოთოლთა ხმაც აღარ არის, რაღაც სხვა ხმაა აცმუცებული, აცეტებული, ამრიალბული. არ მიიხედავს. ხმა ახლოვდება, ახლოვდება შრიალი იგი აცეცებული, გვერდით ჩაუვლის და წავა ეგრე ცეცვა-ბტუნვითა. გოგო და ბიჭია, ზელჩაკიდებულნი მიბტიან, მიცეკვავენ, მიკუნტრუშებენ. ჩვეულებრივი ქალვაჟიანაა, დასაწყისშია, ფიცის, იმედის, აღთქმის მუხლშია, მერე სხვა მუხლში გადაიხაცვლებს, მერე ზოგს როგორი დღე დაათენდება, ზოგს როგორი, ვინ იცის, ვინ უწყის, ოღონდ როგორიც უნდა იყოს, სულერთია, ასე ველარ იკუნტრუშებენ, ესენი ველარა, ჯერი დადგება სხვათა და სხვათა. ჯერ ამათი ჯერი დამდგარა, შრიალებს ფოთოლი სანაპიროსი, შრიალებს

ეშხიანადა. და მიჰქრის ეშხი, მიჰქრის ილევა.

ილევა, დაილევა დაილიოს, მაინც კარგი ყოფილა, თუნდაც ხანმოკლეც კარგი ყოფილა. ამას არ განუცდია, ამიტომ უფრო კარგად ეჩვენება, არ შეზვედრია ეს თავდავიწყების, მერე ისინიც აღარ მოიგონებენ, ამას არცა აქვს მოსაგონარი, ასე არავისთან ურბენია, თუმცა რატომაც არა, — ურბენია გოგონებთანა, ერთად ურბენიანთ, ბიჭები გუნდათ რომ შემომატებიან, მაინც ურბენიანთ, ოღონდ ასე ცალკე არა, ასე შეწყვილებულად არა, ხოლო ის ხროვა სხვა იყო, სხვა რამე ვახლდათ ხალისობანა ხროვისა, ეს სიმარტოვე სხვა რამ გამოდიოდა, სხვა აღტაცება იცოდა, სხვა განცდა ნეტარი, ტყბილი, მაშპორებელი.

იმედგაცრუება არ უნდა მისდარაჯებოდა ამ სიხარულსა, რად მისდარაჯებოდა? ძნელად აიხსნება, ძნელად გაირკვევა, ამისთვის გაირკვევა ძნელადა, თორემ იმან კარგახანია იცის, კარგადაც იცის იმა ლანდმა, აგერ ხილზე რომ გადმომდგარა; ხილზე გადმომდგარა და თითქოს ცახე გადმოკიდებულაო, ასე მოსჩანს სანაპიროდანა, — იცის იმა ლანდმა ანუ ფიქრმა, ვისი ლანდიც ის არის, — იცის, უმღერია ნეტარ წუთთათვისა, ლაღატიც დაუტირია, უთქვამს საგალობელი აღმაფრენათა, იმედგაცრუებაც აღმოუცვენესია, იცის და უთქვამს კიდევაც დარჩენია სათქმელი, დარჩენია საგალობელი დიდი ფიქრისა, ლანდიც დიდია. ლანდად გადმომდგარა ვერის ხილზედა, მაღლით გადმომდგარა თითქოს უნდა იგალობოსო. ეს შეჩერდება, შესცქერის, ელოდება, ყურადღებად გადაქცეულა, დაჰიშულა, დამაბულა, თითქოს მოესმის, ძალიან მკრთალად მოესმის უწმინდესი ხმა, მოესმის თუ მოეყურება, — შორს თუ არის, უნდა იჩქაროს, უნდა მიუახლოვდეს, თორემ დიდხანს ხომ არ იგალობებს, სიმულამოდ დაეკარგება განუშეორებელი საგალობელი. შეღმართისაყენ მირბის, ხილზე უნდა აირბინოს, ავტო გამოუტ-

ყრება, გადაუქროლებს, შეაფერხებს და ისევ რომ აესწრაფება, ველარ იხილავს ლანდსა... სხვანი მიმოდინარ, ვისინიც მაინცდამაინც მკაფიოდ ვერ გამოკვეთილან ლამაზონთა მიბნედილ შუქქვეშა, მაგრამ მაინც ნამდვილთა ჰგვანან, ასე ჰგვანან ნამდვილთა, უფრო სწრაფია იმათი ნაბიჯი, უფრო მკვეთრად აქნევენ მხრებსა, ხმასაც გამოსცემენ, ტყრიაცებენ, ჭაქანებენ თუ დულუნებენ, ნამდვილთა ჰგვანან და იქცევიან ვითარცა ნამდვილინი, — ფიქრი აქვთ ლანდადა. ის ფიქრის ლანდია, ფიქრშია ნამდვილი, ცხადი, ჭეშმარიტი და თუ ავალობდა, გაჰქრება ლანდი, სინამდვილედ გამოცხადდება. თითქოსა ვალობდა, თითქოს გამოცხადდა, შორს იყო და მაინც ვერ გამოარჩია, აეჩქარა და ვერ მიუხსრო, საით წავიდა, გაჰყვა ისევ სანაპიროსა თუ სადმე ჩაიბუღა?

ეს მაინც გაჰყვა, გაჰყვა მოჩქარებითა... ცირკთან მოთავლება სანაპიროი, აქეთა მხარეს მოთავლება, შეიძლება იქითა მხარეს გადავიდეს ან ისევ აქეთ ჩამოიაროს, ოღონდ ის რაღა იქნა? ვერ მიხვდება თუ საით წავიდა, უცებ გამოჩნდება, უცბადვე გაჰქრა, კვლავ თუ გამოჩნდება, უცბადვე გამოჩნდება ან აქვე, ან სხვაგან სადმე, უფრო სხვაგანა, აქ ამოიღლა ივლის, ამოღ დაელოდება, მაგრამ ჭერაც არ გაუვლია გულამღერეულობასა, ჭერ კიდევ არ უნდა შინ მიბრუნება, მოინდომებს თუ არა ესეც არ არის ადვილი სათქმელი, ოღონდ რაც უნდა იყოს, როდემდის იყილებს ასე უთავებოლოდა, — ღამე დაადგა თავის გზასა, ღამე შემოღვომისა, ქარი რომ ჩადგა, ეგ არაფერი, სუსხი მაინცა მატულობდა და მართლა ეგრე ცივი როგორ იქნებოდა, კიდევ გაუძლო იღაცებთან გადაჭრილი სახელოებითა, ღრმადამოლებული ველისპირითა, თუმცა კაბა შალისა იყო, — გაუჭირდებოდა, მაინც გაუჭირდებოდა. ესეც არ იყოს, სხვა რამ ფიქრები წამოეფინა: იქ ახალგაზრდები მიხტუნაობდნენ, იქ

დიდი ლანდი გადმოშდგარიყო, ამან გაუჩინა სხვა რამ ფიქრები, სხვა რამ წარმოსახვანი, ჯავრი უნდა შინელებოდა თუ არ გაუქრებოდა უნდა შინელებოდა, მიყრუებოდა მაინცა, შინ მიბრუნებაც შეიძლებოდა მიყრუებული ჯავრითა. ცირკავლის კარგა მანძილი იყო და ვინ იცის კიდევ გადაპყროლა ვინმესა, ვინ უწყის შემთხვევოდა კიდევ რაიმე, ჯავრა სულაც მიავიწყდებოდა, სხვა ფიქრები წაიღებდა ჯავრსა თუ გულამღვრეულობასა, შინ მიბრუნდებოდა და მერე რაც უნდა მომხდარიყო, ოღონდ მიბრუნებულყო, ოღონდ მიბრუნებულყო.

პო შეიძლებოდა კიდევ რაიმე შემთხვევოდაო და საცურაოსთან მართლა შეემთხვა: ავტომ ჩაუქროლა, მანავლისაც ბევრმა ჩაუქროლა, მაგრამ ის სხვა გამოდგა, ყველაზე სწრაფად ჩაუქროლა, სწრაფადაც დამხრუქდა, წელანდელი დამხრუქება არ იყო, ეს იყო, რაც იყო, უცბად გაქვავდა, გაქვავდა ისე, თითქოს აღარც დაიძვრისო, მაგრამ დაიძვრა მყისვე, უკან-უკან წამოვიდა, იქვე, იმასთან გაიყინა და კარაც გამოაღო; კარიც გამოიღო და დაბრძანდითო, მოისმა. კიდევაც ელოდა, მანქანა უკან-უკან წამოვიდა თუ არა, ივრძნო, ასე რომ მოხდებოდა. თუმცა ამას დიდი მიხვედრაც არ უნდოდა, ოღონდ საგულისხმო ისაა, იმასაც მიხვდა, მაშინვე ჩავჯდებო, მიხვდა და ეურჩა თავსა, ეურჩა, მაგრამ გადაჯერება ვერ მოასწრო, ვერ მოიშორა უნებლოე განზრახვა, ვერ მოასწრო, თორემ მოიშორებდა. წუთი ყველაფერია ან იმისთვის იქცა ყველაფრად, წუთის მერე სხვა იქნებოდა, სხვა რამ მოხდებოდა. სხვანიარად მოხდებოდა, სხვანიარად წარიმართებოდა იმისი ცხოვრება ან გაუძღვებდა გასაძღვებსა, აიტანდა ასატანსა, ან ვერ აიტანდა, ყოველ შემთხვევაში სხვა რამ იქნებოდა, მაგრამ ვერ მოასწრო და მოხდა ასე: დაბრძანდითო და დაბრძანდა... ავტომობილში უფრო თბილოდა, მაინც შეძომგინდა ჩაჯდა თუ არა. მიუხვდა სა-

ქესთან მყოფი, სარკმელს გადაწვდა იმის მხარესა, ჩახურა სარკმელი. ჩელი რომ გადმოიღო, ხელზე მოუხვდა, მოხვდა ცივნიათო, თქვა, ფრთხილად, თანაგრძნობითა თქვა, თანაგრძნობითაცა, ექვიანადაცა; ფრთხილად თქვა, ხოლო პასუხი არ მიუღია, კრინტი არ დაუძრავს ქალსა. ცივაო, მერე ესა თქვა საქესთან მჯდომმა, არც ამას მოჰყოლია პასუხი. მალე დაგვიზამთრდებო, კარგი შემოდგომა დაგვიდგავო, თბილისში კარგი შემოდგომა იცისო, — არა, მაინც არ იყო პასუხი.

II

ეს კიდევ არაფერი, საით მიბრძანებთო, ჰკითხა რამდენჯერმე, არც საამისო პასუხი მიუცია, სახეც არ შეუმრუნებია, მხოლოდ ცალი მხარი აავლო ისე, საითაც გენებოსო, ივლისსმებოდა. მაშინ შესამედ უვლიდნენ მოედნის წრესა და ვარაზის ხევისაკენ მიმართულიყვნენ. მანქანა აღარც შემობრუნებულა, ეგრე პირდაპირ ავარდა. სოლომონ შეორეც, მეფე იმერეთისა, აქედან ახალციხეს გადავარდნილა... ტორმა-სოცს მოსალაპარაკებლად მოუწვევია სოლომონ მეფე. ზურაბ წერეთელი და ექვთიმე გენათელი შესჩენიან, ჩადი, მოელაპარაკე, სიკეთეს ეწვევი შენი სამეფოსთვისო. სიკეთისა რა მოგახსენოთ ან უფრო მეტი სიკეთე რაღა უნდა იყოს, ტორმასოვი გორში შეტეგებნია საპატიო სტუმარსა, ამაღა ჩამოუციალებნია, თავისიანები შემოურტყამს გარშემო და, ლიხს მეფედ გადმოსული, თბილისში ტყვედ მოუბრძანებნია. აქედან რუსეთის გრძელი და სამინელი გზა ელოდებოდა, მაგრამ გაქცეულა, უცნობი გზისთვის ნაცნობი გზა უმჯობინებნია, ვარაზის ხევით ახალციხეს გადავარდნილა და აუშლია იმერეთი. მაშინდელი თბილისი აქედან შორსა ყოფილა უდაბური ხევხუვებიც ჩამოსდევდა გზასა, მღვეარიც ვერ მიჰყოლიყო, ველარ გაეგოთ, ცას ჩაეყლანა თუ მიწასა... ამით აიქროლეს ფართო ქუჩებითა

და ცხადია ოსმალეთში არ გადაცენი-
ლან, მხოლოდ წყნეთი მოიტოვეს და
სამადლოში ამოჰყვეს თავი. საითაც გე-
ნებოსო და აქეთ ინება საჭესთან მჯდომ-
მა.

ამან არ იცოდა საჭეს ვინ უჭდა, სახე
არ მიუბრუნებია, თვალიც არ გადაუ-
პარებია, მხოლოდ ხმა ესმოდა, ხმა
მეღერი, ვაჟაკური, ხან შემპარავი, გა-
მომცდელი, ხანაც აღსავსე თანაგრძნო-
ბითა, თუმცა შივალაშიც დამკინაობაც
გამოსჭვივოდა, ცოტა-ოდნავ გამოსჭვი-
ვოდა. სხვა ვერც შეატყობდა, ამას
არაფერი გამოეპარებოდა ან ეგებ ემ-
ვობდა, — რაც უნდა იყოს, ხმა ხომ ეს-
მოდა, ხმით მიმხედარიყო თუ როგორი
უნდა ყოფილიყო ეს ვიღაც უცნობი,
პირველად შეხვედრალი და ისე თამამი,
არც აუღია, არც დაუღია, სამადლოში
ამთაყოფინა თავი. თუმცა ჰკითხა, რამ-
დენჯერმე ჰკითხა, დუმილი თანხმობად
მიითვალა, მხარის აქნევაც მიითვალა
თანხმობადა და აი აჰაა, — რას მიირ-
თმევთო, გკითხება, ეკითხება თავაზი-
ანადა. რესტორანი გაჩახჩახებულა. ეზო
სავსეა ავტომანქანებითა. ამათი მანქა-
ნაც აქვე მიმდგარა, შევიღეს, ჩადგეს
იმათ გვერდითა თუ გზა განაგრძოს ან
შემობრუნდეს და დაუწყეს ისევ თბი-
ლისძაყენა, თუნდ ასევე წყნეთითა,
თუნდაც კოჭრის გზითა. თავაზიანი სიტ-
ყვებაც, მოჩილი, თანამგრძნობელი,
ოდონდ მკრთალად, ძალიან მკრთალად
დამკინაობაც ამოსდევს ხიწვივითა. სა-
ჭეზე დახრილა, კისერი წამოუწვიდენია,
ლამობს როგორმე ჩახედოს თვალბ-
ში, სიტყვა თუ ვერ დაუტლევინებია,
თვალბით ვგებ მიუხედეს რამესა.

ჰო, ხმით მიმხედარიყო თუ როგორი
იქნებო... მაღალი, წარმოსადგეა, ძვალ-
მსხვილი, კუნთვაგარი, წარბხმორა,
თვალბწამოწვილი, წვერმოპარული
პირწმინდადა, წითელაწვეება, მრგვალ-
ტუჩებიანი, ისეთი, ნდომის იერი რომ
აშკარად დაჰკრავს, თვალბიც ნდომით
წამოგზნებია. სხვას ეგებ უფრო მოს-
პარებია ნდომა თუ სურვილი, მაგრამ

ამას მომეტებულად უნდა ემჩნეოდეს,
ვერ უნდა ჰფარავდეს, არ უნდა ჰფარავ-
დეს, ისევე უნდა ამოსჩენილყო, დამ-
კინაობის ხიწვი რომ ამოსდევს თანაგ-
რძნობის კილოში. ასეთი იქნება ნაწილ-
ნაწილადა, ერთიანად ასეთი: კარი გა-
აღო და გადავიდა, მანქანა გამუქდა, გა-
რეთაცა ჩახჩახებდა ლამპიონებით, —
რაც წარმოისახა, ის წარმოუდგა, მხო-
ლოდ დახრილიყო, თავკისერი შიგნით
შემოეყო, ნებასა სთხოვდა, მე მაინც
დავლევ რამესაო. დალიოს, ეგება სწყუ-
რიან ან ვინ იცის წყურვილისა არაა და-
ლევის სურვილი, ბორჯომი თუ ლიმო-
ნათი როდი მონდომებია, ღვინოსა თუ
კონიაკისაკენ ეწევა სული, სწრაფად,
უცებ შესახურებლად ეწევა, უფრო
ასაგზნებლად, სითამამის მოსამატებლად
ეწევა; ჰო რაღაც ასეთი თუ განუზრ-
ახავს, ხელთუბყრია ნადავლი, გარს უე-
ლის, ეთამაშება და იკრებს სითამამესა,
სასმელით იკრებს. მერე ავტო როგორ-
და ატაროს ამ ხვეულ გზებზე, მთების
გზებზედა? თვითონ იცოდეს, ატაროს
როგორც უნდა, ოღონდ აქ დიდხანს
ალოდინებს? — ჯერ არც შესულა, ნელ-
ნელა მიდის, მოიხედავს და მიდის, შედ-
გება, ყოყმანობს და მიდის, ყოყმანობს
და შედის, — ალოდინოს, რამდენიც უნ-
და ალოდინოს.

კიდევ მოგრიალებს ავტო, იმის
გვერდით არის ადგილი, გვერდით ჩა-
მოუდგება. ხორხოკით გამოდის რამდენ-
იმე კაცი, ფხიზლები არ უნდა იყვნენ,
სადაც უკვე მიუღიათ პირისპატივი,
აქაც მოუწებებით, დასცეს ბანაკი,
ერს კიდევ გაილაღებენ, ჰიას გაიხა-
რებენ და ქალაქში ჩარგავენ თავსა;
მართლაც ჩარგავენ, ჩაყოფენ მღელ-
რეში, — ახლა არა, ზაფხულისად ით-
ქმის, მთების ნიაგიდან ტაფობის ხე-
ტისაკენ რომ მიექანებუნ ხოლმე, ფეხს
ითრევენ, გაქანებთან და შეჩერდებიან,
სათაების გზას დღეობით უნდებიან.
მიეშურებიან და აყოვნებენ, ახლა არა,
ზაფხულში-მეთქი და ზაფხულიდან მოს-
ლევთ ეს ჩვეულება, იყლებს ნელნელა.

იკლებს და იკლებს, მალე მიწყდება ქროლვა თუ ხმაური, აქაობა გამოიკეტება, ზამთარში მთლად გამოიკეტება, გამოიკეტება ვიღრე კვლავ ხვატი ამურბურღება ქალაქში. ახლა ჩვევას შეუჩერებია მეთქი, ხორხოცით გადადიან, ქალს რომ შენიშნავენ, გარს უვლიან, სიტყვას გადაუგდებენ, ერთმანეთში ჩურჩულდებენ და ხითხითებენ. ეს არც უყურებს, თავი დაუხრია, ხმებს არჩევს, ხმებითა ვარაუდობს თუ რამდენნი არიან, როგორნი არიან, აბურბებიც არ უნდა იყვნენ, მალე სცილდებიან, მაგრამ ვიღრე რესტორანში შევიდოდნენ, ერთხელ კიდევ მოუბრუნდებიან, წაიკვიმატებენ ერთხელ კიდევ, ერთობლივადაც გაიცინებენ და შთაინთქმიან სხვათა ხორხოცში. სასაცილონი... იცინიან თვითონვე სასაცილონი, — რა უნდა აცინებდეთ, რა უნდა ეთქვათ იმაზე მეტი, რაც ქალზე ითქმის, რაც უთქვამთ უთვალავჯერა, რაღა სასაცილოა უთვალავჯერ ნათქვამი, რაღა მადლი აქვთ უთვალავჯერ გამეორებულსა? მაგრამ კაცნი არიან, შემთვრალან და იმდენსაც ვერ მიმხვდარან, წავიდნენ სახლში. ეგებ ამთაც არ უნდათ სახლი? კაცს უფრო ბევრჯერ მობურხებია სახლი, ბევრჯერაც გამოქცევია, სადღაც ჩაუკლავს დარდი, ნალველი თუ მომბეზრებელი ერთფეროვნება; ვინ იცის ქალს ბევრად ბევრჯერაც მომბეზრებია, ოღონდ ვერ გაქცევია, ბევრად ამტანიც გამომდგარა, ეს ვაქცევია, ჰა? ეს ვაქცევია ჰა? „ახ...“ — ამას აღმოიტყვის და ზის ისევ თავჩაქინდრული.

და ვერც არჩევს, ვინ მოდის თუ როგორ მოდის, მაგრამ აგერ სარკმელში გადმოჰყოფს თავსა, დაილაპარაკებს და მიხვდება, ის არის, საქვს ვინც უჭდა; თუმცა ბევრი აღარაფერია იმისი მიხვედრა, ხმას უკვე იცნობს, კარგადაც იცნობს, ბევრშიც გამოარჩევს, ოღონდ ამჯერად იმასაც გაითვალისწინებს თუ რამ გამოაჩქარა: სიცილით, ტკრიაციით შესულებმა გამოაჩქარეს, ხომ არაფერი

ჰკადრეს მარტოდ დარჩენილ ქალსაო არაფერი ეტყობა, ზის ისევ ატყვირველი, თავჩალუნული, მშველი... ამ იმით არც შეუმჩნევიათ ან ამას არად ჩაუგდია; რაც არის, არის, არც გაუმხელს თუ რად გამოჩქარებულა, სამაგიეროდ სხვა რამეს გაუმხელს: ეზოში პატარა კაბინებია, ერთი მოგვიცალეს, ჩვენთვის ვიქნებით, წყნარად ვიქნებით, არავინ შეგვაწუხებსო, გაუმხელს ისე, მუდარად ითქმის, მუდარადაცა და ბრძანებადაცა, როგორღაც ასე ორმაგ კილოს გამოსცემს, ხან მესამესაცა, დამცინოვასაც ამოადევნებს ხოლმე, მხოლოდ ახლა არა, ემუდარება და უბრძანებს, ხელლებსაც იშველიებს, რატომღაც იშველიებს, უნებლიედ იშველიებს.

ქალი გადმოდის, კაცი გზას უჩვენებს, თან მიჰყვება ფაციფუციითა. ხმა გალაღებია. რასაც ეუბნება, ლალად ეუბნება, თითქოს უფლებებია შემატეზია, როდიდა სთხოვს, უკვე უბრძანებს, მხოლოდ უბრძანებს, აქეთ ნუ, აქეთ იარეო, აქ შედიო, აგერ აქ დაბრძანდიო. თვითონ გაუჩინარდება, ალბათ იქაც უნდა უბრძანოს, მუშტარი ბევრია, მე მომხვდეთ განსაუთრებულადა, საუკეთესოც გამომიჩინეთო. უნდა უბრძანოს, თანაც უნდა დააიმედოს; ისე აბა ვინ რას გამოუჩენს. იცის სტუმარმა, თავს გამოიღებს მასპინძელი, რაც არის ზომი არის, ბევრად მეტად მოაჩვენებს თავსა. რაც უნდა იყოს სასაყვედუროს ვერ გადაჩნება, აი თუნდაც, მარტო დასტოვა, ბოდში არცკი მოუხადა. ვილაყამ ფარდა გადასწია, — კარის მაგივრად ეყიდა ის ფარდაი, — გადასწია და უკაცრავადო, შეუძახა, თავისიანები იქ თუ ეგულუბოდა, ერთმანეთსა ჰგაედა, ერთრიგად გაწიკვილიყო საყნები. იმისი ხმაც გაისმა, გზარეულს შეეხმია, ცოტა შეუწყრა, ცოტა მიეფერა, გზა გაუთავაზა და შემოვიდა ბოდშიმობითა, მარტო დაატოვეთო, მომიტევეთო. აბა, მიმხვდარა, ეს შეიკლომა გამოასწორა, გამოსწორებად

ითქვას, მაინც ვერ გადაარჩება უშენიშვნოდ.

ვერ ძველებს, იგვიანებენო, გაღის გავლსებულთ: რომ შემობრუნდება, ოფიციალტს შემოიყვანს სავსე ხონჩითა, გაჩაღებულ პაპროსსაც შემოიყოლებს, ბოლით იგსება პატარა კაბინა, თვალს მიმოატარებს, საფერფლეს მიიწვეს, ყუაზე დაყვანილ პაპროსს მოსრესს და ბოლიშს მოიხდის. ოფიციალტი სუფრას გააწყობს და ვარბის, შემოატრიალებს, იქ სუკი იწვის არ დამიგვიანოო. სუფრა ისედაც სავსეა, სუკის წვადი ნეტავი ვილას უნდა? ან რა საკითხავით, რახან შეუკვეთა, კიდეც ენდომება: თუ მხოლოდ ამისი პატივსიკვირისთვის მოუწოდებია, დაე იყოს საპატივსაცემოდა. ისე კი ამას ჭიჭყინაც ეყოფა, ნეღლი თევზია სუფრის შუაგულში, იქიდან გადმოარჩევს, ოღნაე მოწიწნოს და ლომონათს მოსვას. მასპინძელი კონიაკის ჭიქას წაუწვეს, კარგია, ნაბე, „ძალიან ძველია“, გადამალული ჭქონიათ, არ მიჩენდნენ, გამოვანენინეო, კონიაკსაც მიაკარებს ტუჩს, ოღნაე მიაკარებს, ჭიქას წინ დაიდგამს, ჩაჩერდება.

იმას თავის ჭიქა აუწვევია, გააყურებს ჭიქასა, ჭიქიდან ანახდეულ სტუმარსა, რიდაცის თქმა უნდა, რაღა რიდაცისა, სადღეგრძელოს თქმა უნდა, მაგრამ ვერ მოტძებნია პირველი სიტყვავი, ასე ჰგონია, პირველ სიტყვავზე ასხმულა ყველაფერი, მარცხიცი იმას მოჰყვება, გამარჯვებაცა. ამ ორთა შუა გავლა მოუხერხებელიცა ყოფილა, ან ერთი უნდა იყოს ან მეორეო. ხოლო მეორე რომ იყოს, სასურველიც ის არის, სანატრელიცო, ოღონდ რომ იყოს, სიტყვას უნდა აწონ-დაწონა, კარგად უნდა აწონ-დაწონა. მანამდის არც აუწონია, არც არად აგებდა იმ აუწონავ სიტყვებსა, ახლა იწყებოდა, რაც იწყებოდა, ხოლო რაც იწყებოდა, ბინდებუნდალ თუ გაეგებოდა ან არც გაეგებოდა, რადგან არ იცოდა თუ ვინ იქნა იმის წინა. ასეც იფიქრა, ისეცა, დამამცირებელი აზრიც

ამოეჭრა, ცხადია, რათქმუნდა ჭქნაში შეხვედრილი, ერთი სიტყვედ დაეხვედრილი და აქ გამოდევნებულა. ქალის ვერ ასცდებოდა დამამცირებელ აზრსა, პოცხადია მეტეი, ასეც იფიქრა, ისეცა მეტეი, მაგრამ აგერ პირდაპირ რომ ჩამოუქდა, ის აზრიც გადაეკარგა, ახალიც ვერაფერი გამოიჩინა.

ქალმა კიდეც ოღნაე შეახო ტუჩი თავის ჭიქასა, მასპინძელსაც შეჰხედა, შეჰხედა და წარბი გაჰხსნა, მიუხვდა გასაჭირსა, წარბი გაჰხსნა და შეიკრა მყისვე, ჩაღუნა თავი.

კაცს ორჭოფობამ გადაუარა, უცბად გადაუარა და უცბადვე ამოიძაბა, გაცნობის სადღეგრძელო იყოსო; უცბადაც ამოიძაბა, ზეღიზედაც მიყარა, გაცნობა ეს არისო, გაცნობა ის არისო, ადამიანი სამყაროთ, ადამიანის გაცნობა ახალი სამყაროს აღმოჩენათ, სხვა რადაც ასეთებოც მიყარა და მიყარა; უცბადვე გადაჰკრა და სული რომ მოითქვა, მაშინდა მიჰხვდა, უხეიროდ გამოვიდეთო, მიჰხვდა და გული ეტკინა, უხეიროდ აეწყობა თუ რამე აეწყობათ. ძალიან უნდოდა კარგად აეწყობილიყო, მაგრამ როგორღა, — სიტყვა ვერ აეწყო, საქმე როგორღა აეწყობოდა, — ყველა რომ იტყვის, ისევე თქვა, გზად-შემხვედრი რომ იტყვის, ვალის მოსახდელადა; გზადშემხვედრიც არის, რაც არის, ეს არის, გულითადობა არ გამოდიოდა.

ქალმა არც შეჰხედა, არც ჭიქა აიღო, არც არაფრით შეეტყო, ეამა თუ არა ნათქვამი, თუმცა ან საამტრი რა იყო ან უამტრი, ათასჯერ განავონი მოისმინა. ერთ ყურში შეუშვა, გაუშვა მეორეში; ან ეგება თავის საფიქრალს გადაჰყოლოდა, არც გაეგონა თუ რასა ქადაგებდა მასპინძელი. კაცს ასე ერჩივნა, ასეც დაიჯერა, ქალმა თვალი რომ აღარ გაუსწორა; ასეც დაიჯერა და ხოტბა უთხრა: წარბი რომ გახსენი ისეთი შუქი დაგაღვა, მსგავსი არ მიწახავს, არც ვამიგონია, ვერც წარმომედგინათ. ხმა წრფელისა ჰქონდა, ვინ იცის მართლაც

დიდად წრფელი აღამიანი იყო, თუ არ იყო და, კარგა გვარიანად გამოქეპილი თვალთმაქცი იქნებოდა. ქალმა მინდობილივით ასწია თავი, წარბი არ გაუხსნია, სახე არ შეურხევია, მშვიდად მიაჩერდა, მშვიდადა, ვულდინჯადა და თვალის ოღნავი მოქარაობით ანიშნა, ვიცო, ბევრისაგან გამიგონია. ყოველთვის გამხარებია, მიეჩვეულვარ, კიდევაც მიხარიათ ხოლმე, ოღონდ ახლა მაგის გუნებაზე არა ვარო.

კაცი დაიფშალა, ჩაიხნიჭა, დაიბღვირა, ბოლოსდაბოლოს რა თავი გამოუღვია, სანაპიროზე დაიშუშებოდა ვათოშილი, წამოვიყვანე, მოვეთბილე, ჩიტის რძე არ აკლია, ისეთი სუფრა გავუშალე, საფერაოს არ ვაკლებ და ერთი სიტყვის ღირსადაც არ გამხადაო. ის იყო ოფიციალტმაც სუკის წვადი შემოიტანა და ფიქრითაც მიადევნა, — აჰა, ესღა აკლდა სუფრასა, ესეც მომირთმევიანო. ფიქრსაც არ აცდიდა ოფიციალტი, მირბოდა, ზურგთუკანიდან ვადმოიძახოდა, კიდევ რას მიბრძანებთო. მასპინძელი ტუჩებსა გრეხდა, არაფერსაო, ჯანდაბადის გზა გქონიათ შენცა და ასაკაო.

ქალმა კონიაკი მოსვა და შეჭხედა გამომცდელადა, კონიაკი ოღნავ მოსვლა იქით გადადგა, ღვინის ჭიქა აიღო, გაუწოდა, ღვინო დამისხიო, ანიშნა, თვალით არა, ხელით ანიშნა, ჭიქიანი ხელითა. ხელი მოხდენილი ჰქონდა, რხევაც მოხდენილი. არა, ჯანდაბაში არ გაისტუმრებოდა ასეთი. ქალი, — ღვინო დაუსხა და ამჯობინა, ცოტა ხანს დადუმებულიყო, მიზეზიცა ჰქონდა, ორთქლი ასდიოდა შემწვარ სუკსა, ათლა უნდოდა. ჯიბიდან ამოიღო ფხიანი დანა, ალმასა დანა, ათალა, სიფრიფანად ათალა წვადი. თეფში წინ წაუდგა, ასე შესთავაზა, მღუმარედ შესთავაზა. ქალმა აიღო, ოღნავ შეერხა ტუჩის ბოლოთ, ვეგბ მოეწონა ასეთი ოსტატობა. ტუჩის ბოლო რომ შეერხა, ისიც მოუხდა, არა, ჯანდაბაში არ გაისტუმრება ასეთი ქალიო. იმან კიდევ გადაჰკრა კონიაკი, გადაჰკრა სიტყვის უთქმელადა, სუკის სი-

ფრიფანა ნათალიც შეატანა, არ ეყო, ყლაპი იყო, ყლუპი არა, რაფდენიმე მადე ყოლა ერთბაშადა, სხვა გერმანულად დასწვდა, ვაჟაკად გამოიყურებოდა, მაღაც ექნებოდა ვაჟაკური.

კიდევ გადაჰკრა კონიაკი.

ქალი ისევე ციკქნიდა ამ ერთ სიფრიფანასა, ის ერთი ჭიქა ღვინო დაეტანა ძირამდინა...

კაცი ჭიქას შეუვსებს, თავისთვისაც ღვინოს დაისხამს, მაგრამ თვალი გაუქცევა კონიაკის ბოთლისკენა, ისევ კონიაკს წაეტანება, დაისხამს, დაღვებს, რამდენიმე მადიან ლუქმას გადააყოლებს და სალაპარაკოდ მოიმართება. რაღა თქმა უნდა: რახან არც ჯანდაბაში გაიგზავნება ეს ანაზღეული ქალი, არც აიღება ადვილადა, ალყა უნდა, ალყა სიტყვათა, ძლიერი, მგზნებარი; ცეცხლოვან სიტყვათა, იერიში უნდა სწრაფი, შმაგი, თავბრუდამხვევი, ისე შმაგი და თავბრუდამხვევი, გვიანდა გამოერკვეს, მერე, ბოლოსდა, ყველაფერი რომ მოთავსდება, გამოერკვეს და გაოცდეს, ღმერთო ჩემო ეს რა მომსვლია, რა დამმართნიაო. პო ასეთი იერიში უნდა, არ უნდა შეკრთეს, არ უნდა შედრკეს, პირველი მარცხი არაფერია ან საჭიროც არის პირველი მარცხი, ოღონდ მარცხივე არ გადაეხას, არ ჩამოისხას ჯაჭვი მარცხისა. მაშინ ბევრი ფიქრიც არ არის საჭირო. სიტყვა სიტყვაა, მთავარია გზნება, ცეცხლოვნება, ანთებაა მთავარი, შეუნთოს, შეუკეთოს და ყოველი სიტყვა გმირად იქცევა. აი თუნდაც: ფეხბურთი, კალათბურთი, წყალბურთი, ჩოგბურთი, ყველანაირი ბურთი იცის დიდებულადა, გაზაფხულიდან აქამომდე ბევრი რამეც მომხდარა, — პირველობის გათამაშებანი, თასის გათამაშებანი, საეკვიპორო, საეერორო, მსაჯები, კომენტატორები, ჟურნალისტები და ათასი დავიდარაბა, სათქმელი ბევრია, ცეცხლიც ბევრი აქვს საამისოდა, მოიმართება და გაზაღდება, ჰყვება და იცინის, ვაგულისდება და იმუქრება, გამხნევდება და გაამაყდება, იწევ იცინის და ისევ მოიღრუბლება, ყველაფერი ეს სიტყვას მოჰყვება, ასდევს

სიტყვასა, თვითონ ასდევს, იცოცხლეთ, ასდევს მთელი მგზნებარებითა, მაგრამ ვისთვისაც ეს ლაშქრობა წამოწყებულა, იმას არაფერი ეტყობა, დვას ურყევ ციხედა, მოუვალ ციხედა, ხანდახან თუ შეჭხედავს, ისე შვეიდადა, ისე გულდინჯადა; ქონგურებზე გადმომდგარი მეციხოვნენი რომ იქნებოდნენ თუ საფრთხე არსაიდან ემუქრებოდათ; ვთქვათ ნარიყალას ქონგურებიდან გადმომდგარი გულშაგები, როცა სპარსეთიდან ჩამიწუმი არ მოისმოდა, კაცს არა სჯერა, ან არ უნდა დაიჯეროს, თვითონ გიზგიზებს, განა შეიძლება არ გადაედოს იმისი გიზგიზი, — ხანძარი გადამდები ყოფილა ყოველთვისა, მოედება და ააბრიალებს. თქვენ მაინც ისეთი ტანი გაქვთ, სპორტსმენი იქნებითო.

ქალი შეჭხედავს, ძლივს შესამჩნევად შეარხევს ტუჩებსა, ღიმილის მოგვრასა ჰგავს, უარის ახსნაც არ უნდა, ოღონდ ღიმილი მაინც მრავალმნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო: წარბით დაიწყო და ტანზე გადავიდა, ერთბაშად გადავიდა; არის ერთი ხალხური სიმღერა, „სებრო, სებრო“ ჰქვიან ამ სიმღერასა, შუბლით იწყება და წარბებს ჩამოსდევს, წარბებიდან წამწამებსა, მერე თვალებსა, ცხვირსა, ტუჩებსა, ნიკაბსა, ყელსა, ჩასდევს და ჩასდევს, ოღონდ ფრთხილად, ზომიერად, შემზარავად, ღამის უარიც აღარ მოხერხდებაო; ეს არა ფრთხილობს, წათამამებულა, წარბით დაიწყო და ტანზე გადავიდა, მისჩერებია წამოწითლებული თვალებითა, პირსაც ისე ალებს, ღამის გადაყლაპოს; მისჩერებია და ალბათ ვიდევაც გაუწიშვლებია, შემოდგომის კვლობაზე ისედაც შილიფად ჩაცმული ქალი, — კაბა იქით გადაუგდია, პერანგი იქითა, დანარჩენნიც მიუყრ-მოუყრია და, რომ აყოვნებს, ჯერ ისე ტკებება, ტკებება სილამაზითა, მერე თვალებს, დახუჭავს, უფრო მეტად დაალებს პირსა და ფაფუ, გაჰქრება ქალი.

კაცი უარს არ ერწმუნება, — რასა ბრძანებთო, ამბობს, ისეთი ტანი გაქვთ, სპორტსმენი უნდა იყოთ უსათუოდა, აუცილებლად, თუ სხვა ვინმე ბრძან-

დებით, ასცდენიხართ თქვენს ჰემმარტ მოწოდებასაო; ისეთი ტანითა ქალი ცოცხალს გადასწვდება და მისთვისაგზავნებს, მისთავაზებს უთქმელადა ან რა თქმა უნდა, გადასწვდება და გაუწოდებს; ჰო უთქმელადაო, ოღონდ თქმაზე მეტია ასეთი ქალისგანა, ყოველშემთხვევაში მასპინძელს ასე მოეჩვენება, ხალისი აუწევს, არც ხმას ჩაიღებს, თევზსაც აიტაცებს, გააქანებს პირისკენა. წამიცა და ხველება აუტყდება, ფხა გაეხირება ყელში. არ იფრთხილა და დაისაჯა. ქალი იცინის, ძალიან არა, არცთუ ოდნავა, თითქოს ცოტა მოჩქარებითა სუნთქავსო — შურისძიების საამება ჰგავს, მოსწრებულ პასუხსაცა: ტანო, ტანიოო და ეგეც ტანო, ყელზე დაადგებო. კაცი ვერ მიხვდება, აღარა სცხელა საამისოდა, გარეთ გავარდება, საღლაცა ხიზინებს და ხრილებს, ახველებს და ქოშინებს, რამდენიმე წუთის მერეღა ბრუნდება, თვალებდაწითლებული თუ ცრემლებგადაწმენილი, დარცხვენილი თუ სრულიად უღარდელი, ძნელი გასარჩევია, მითუმეტეს, მყისვე განაგრძობს გაწყვეტილ სიტყვასა, ვითომდა არაფერი მომხდარაო.

სიტყვას განაგრძობს და კონიაკის ბოთლს გადასწვდება, ქალის ხელიც წაეტანება კონიაკსა, არ ანებებს, კმარაო, ამასა ნიშნავს; ქალის ხელიც წაეტანება და ხელი ხელს მოხვდება, ცივი ხელი მოხვდება თბილსა, — ასეც ითქმის გაცხელებულსაო, ჰო რაღა თბილსა, გაცხელებულსა, მაგრამ ამჯერად ბევრი არაფერი, კაცს ყურადღება არ ეყოფა საამისოდა, იმ ბოთლში მაინც იმდენი აღარაფერი ჩარჩენილა, ოფიციალტს იხმობს, სხვა ბოთლს მოატანინებს. იმსაც წაეტანება ქალის ხელი, კაცისაცა, ისეც ცივი ხელი მოხვდება ცხელსა, ცხელი შემოეჩვევა ცივსა, შეთამაშდება ცხელი თითები, თითქოს რაო, დამანებეო, ოღონდ არც უნდა მალე დაანებოს, ასე ურჩევნიან, რაღაცსა ჰგავს, რაღაც საამოსა, საიმედოსა, ნიშანია ბოთლზე მეტის, ბევრად მეტის, დიდად მეტის, შეუღარებლად მეტის დანებებისა. და

ემუკავს თითები, ცივ ზურგს ხელისას
 ესრისება ცხელი ხელის გული, ესრისე-
 ბა, ეგლისება ელაშუნება; ცხელ ხელს
 თან მოჰყოლია თვალები ამღვრეული,
 ტუჩები გაფიცებული, სახე მოღვე-
 ული, გული შეყალყული, გონებისას
 ველარას ვეტყვით, ოღონდ ყურადღება
 მაინც არა ჰყოფნიდა, მიმხვდარიყო თუ
 როგორ გაციეებულიყო ხელი, ჰყოფ-
 ნიდა და არც ეყოფოდა.

ჰო ყურადღება არ ჰყოფნიდაო ან
 ნდობა აქენჩრილიყო და აღარაფერი
 გაეგებოდა. — წელამდის ზომ წამოწე-
 ულიყო, წელმავე წამოიწია და მხურვა-
 ლე ხელი აჰყვა ცივ ხელსა, აჰყვა ჭერ
 ნელა, ნიდაყვამდის ნელა, მერე ისკუპა
 და მხარს მოეხვია, მოეხვია მეორე ხე-
 ლიცა, მხრები მოსალტა ძლიერმა
 მკლავებმა, ლამაზი მხრები, სუსტი არა,
 მაგრამ ამ ძლიერი მკლავებისათვის მა-
 ინც სუსტი; მხრები მოსალტა ძლიერმა
 მკლავებმა და ცხელმა ტუჩებმა მოქებ-
 ნა ტუჩები, ისიც ცივი, ცივი და დუნე,
 მოშვებული, მაგრამ მხურვალეებდა, ვარ-
 ვარებდა, და ერთ წუთს ვერ გაიგო,
 ვერაფერს მისვდა, მხოლოდ ერთ წუთ-
 სა, მერე წამით შეყოვნდა, ალბათ სუ-
 ლი უნდა მოეთქვა ან მეტი გაბედულე-
 ბა მოეკრიფა, წამით შეყოვნდა და
 მთლადაც შეყოვნდა, სიცივემ შეჰყინა,
 შეაკრთო, დააბნია, დააძებუნა; ჩაახერ-
 და, არ ეწინააღმდეგებოდა ქალი, მორ-
 ჩილებისაც არაფერი ეტყობოდა, გაქ-
 ცევას არა ცდილობდა, არც შიში ჰქონ-
 და არაფრისა, არც არაფერი უკვირდა,
 შეურაცხყოფილადაც არა გრძნობდა
 თავსა, არც ძალოვნებას იჩენდა, მო-
 ურეველიც იყო, იყო ცივი, უგრძნობე-
 ლი, განუცდელი, იყო ცივი და თვითონ
 არა სციოდა.

კაცი გაოგნდა, მაინც მიესწრაფა, ხე-
 ლი შეაზო და მყისვე განდგა.

ქალმა ლეინის ჭიქაში ჩაისველა თი-
 თები, მოიწმინდა ტუჩები, ნალოშნი
 ტუჩები.

კაცმა ნიკაბი აწწია, ჩაახვდა თვა-
 ლებში, სიცივეს გამოსცემდა თვალე-

ბიცა, ცივი იყო, მსუსხავი, ყინულისა.

კაცი კონიაკის ბოთლს ~~ქვეშ~~ ~~ქვეშ~~
 კვლავ წაეტანა ხელი ქალისა; ცხენსა
 ლი. კაცმა აართვა, აავლიჯა, ეგრევე
 ბოთლიანად მოიყუდა, თითქოს არტო-
 კაში მოხვედრილიყოს, თითქოს იყი-
 ნებოდა და ებრძოდა ყინვასა. მერე და-
 ბორიალდა პატარა კაბინაში, კუთხეში
 დაბორიალდა, გასაქანი რომ არა ჰქონ-
 და, მერე ფარდას ეცა, მიგრინ-მოგრი-
 ხა და მაღლა შეაგდო, იპოვნა თუ რაზე
 ამოეყარა გულისბუხარი ანა ეგებ ჰა-
 ერი აღარა ჰყოფნიდა, რაც იყო, იყო,
 ფარდა შეაგდო და კარებში გაიხირა.
 იყო ეგრე გახირული, შემდეგ შემოტ-
 რიალდა, ფარდა ჩამოაგდო, ზედ აეკრა
 და ხელმეორედ მოიყუდა ბოთლი, გა-
 მოსცალა, დააგდო, აყოლა მწვავე სი-
 ცილი, ერთბაშად ამოიტანა მთელი ის
 სააბუჩო ხიხინი აქამდის ხიწვად რომ
 ამოსდევდა იმის ხმასა; მწვავედ გაიცი-
 ნა და დასწვდა ქალსა, უბოდიშოდა,
 მოურიღლადა, დაუნდობლადა, დასწვ-
 და, ვითარცა ყინულსა, თითქოს უნ-
 და დაანარცხოსო, დაამსხვრიოსო, და-
 ფშხენას, დააღნოსო. საშიში განლ-
 დათ, უეცრად გამჭვინვარდა ან სიმ-
 თვრალემ დარია ხელი ან მხოლოდ
 აშინებდა, ხერხი თუ იყო დამამორჩი-
 ლებელი. მაგრამ ვერ გასჭრა, რაც უნ-
 და ყოფილიყო, თუმც არც ახლა გას-
 ძალიანებია მსხვერპლი, აჰყვა ისე,
 თითქოს მომზადებულიყოს ასატაცბე-
 ლად, აჰყვა და ჩაწვა მკლავებში ცივა-
 და, თვალებიც შეანათა მწვავედა, ცი-
 ვადა... გაციედა მკლავები, მოდუნდა
 მკლავები, მოეშვა, ჩამოცივიდა. დაეშ-
 ვა ქალი, ჩასრიალდა, გასწორდა, მოხ-
 დენილად ჩასრიალდა და გასწორდა,
 თითქოს ამისთვისაც მზად იყოთ, მი-
 მოხვეტილი კაბა გაისწორა ერთის ხე-
 ლის მოქნევიითა და მშვიდი ნაბიჯით
 გაიარა კარი, თითქოს არც არაფერი
 მომხდარიყოს ან ვერაფერი შეამთო-
 თებდა, რაც უნდა მომხდარიყო.

ავტომობილის უკანა კუთხეში მი-
 იკუნჭა და დაელოდა... კარგახანს გას-

ტანა ლოდინმა, ეგება ვინმეს გადაეყარა, ეგება იქვე ჩარჩა, მარტოდა ლოდინობდა, ეგება... შეიძლებოდა ბევრი რამ ეფიქრა, სასამელშა იცის, კარგი ნაცნობის ასავალ-დასავალსაც დაგაჯარგინებს, მითუმეტეს ესოდენ უცნობსა თუ შემთხვევით ვაცნობილსა; ჰო შეიძლებოდა ბევრი რამ ეფიქრა, ლოდინმაც ხომ იცის ბევრი და უცნაური ფიქრი. როგორც იყო მოვიდა, — მოვიდოდა მამ რა წყალს მიეცემოდა, მაგრამ მოვიდა აშკარად მთვრალი, უთუოდ დაუმატა ან ჰაერმა დაჰკრა ანდა ჰაერმაც დაჰკრა, კიდევაც დაუმატა, ერთი სიტყვით სიმთვრალე მორეოდა. ეგება დაპიწივებოდა თუ ვინ ახლდა თანა, — არც მიუხედავია, არც მოუკითხვია, საჭეს მიუჯდა და მანქანა დასძრა. დამერით კი დასძრა, მაგრამ ჯერ ძლივს გამოეტია სხვა ავტოთა შორისა, მერე ეზოდანაც გაჭირვებით გავიდა. გზაზე გადასვლისას საუკუნო აერია და, წინ რომ სატვირთო მანქანამ ჩაუქროლა, მამაბაბათა საფლავები ამოუტრიალეს იქიდანა. მოფერსაც არ აცდიდნენ, ძარადან გადმოსძახოდნენ ვილა-ვილა-ცანი. ამან აღბათ არად ჩააგლო ან ყურადღება ვერ მიატანა, მობრუნდა და გაეპარდა...

გაეპარდა და მიჰქროდა, მიჰქროდა კოჭრის გზითა, მიჰქროდა და გლეჯდა გზასა; ხრჭიალებდა მოსახვევები, ხრჭიალებდა და წაიფერდებოდა მანქანა, ლამის გადაბრუნებულყო. გზას არ უთმობდა შემხვედურ ავტოებსა, შუქს არ უქრობდა, უყვიროდნენ და უწიოდნენ, გადმოსძახოდნენ საგინებელსა, ეს მანაც მიჰქროდა, მიჰქროდა აწყვეტილი, თავქუდმოგლეჯილი, რაღა თქმა უნდა, მთვრალი გახლდათ და, მთვრალს რომ შეეფერებოდა, ისე იქცეოდა. ის მთვრალი იყო, მაგრამ ესა? — არცა ფრთხილბოდა, არცა წიოდა თუ ხმუკუნებდა, არაფრით ავრძნობინებდა, იქვე რომ იყო, არც ავრძნობინებდა, არცა შიშობდა, უხორცო ხომ არ იყო? ზღაპრებში ასეა: უხორცო იყო, შიში არ

იცოდაო, ჰოდა უხორცო ხომ არ იყო, აღქმა ხომ არ იყო ამ დაუფრგვებელ მოსახვევებში, ამ მთების გზებზე მტკნარსა და თუ, შემოიღოს რომ მიჰყვებოდა კრინტის დაუძვრელად? იმას არაფერი გაეგებოდა, ამას არაფერი ენაღვლებოდა, სხვა რაღა ითქმის: სხვა არაფერი, მხოლოდ ერთგან შემხვედრი მანქანაც გაუფიქრდა, ძლიერი შუქი მიანათა და გზას ააცდინა, ბევრი არაფერი, რუში ჩაცვივდნენ და ეგ იყო. შიში მანქანამ ჩაიარა გინებითა. ეს ეწვალა-ეჯახირა, ვერ ამოვიდა, სხეები წაუშველდნენ, ამოათრიეს, გზაზე დააყენეს, დაულოცეს გზაი...

აქ ქალი წინ გადმოვიდა, თავი დაუკრა მშველელებსა, მადლობისად დაუკრა თავი კაცს თითები შეახო, ცივი თითები, შეახო და მიაგლო იქითა, თითქოს დიდი რამ ძალა დაეტანებინოს. მიაგლო და თვითონ მიუჯდა საუკესა.

ახლა კაცი მიიკუნტა, კრინტი არ დაუძვრავს, აღარც განძრეულა, მოდუნდა, მიიღუშა, მიმკვდარდა... ქალი ფრთხილად მიდიოდა, ფრთხილად უქცევდა, ფრთხილად ჩაათვა მოსახვევები და თავდაღმართები, ჩაათვა და ქალაქის საბჭოსთან მიაგლო მანქანა, მიაგლო და მიატოვა პატრონიანდა.

III

სადარბაზოში ისევ წამოუსისინა ქარმა, კვლავ შეძოჭინდა და კვლავაც გაიფიქრა, თბილი რამ უნდა გადამეცეო. გაიფიქრა უნებლიედა, ბინდბუნდადა, მაგრამ როგორც უნდა ყოფილიყო, ზრუნვასა ჰვავდა, ნოლო თუ ზრუნავს ადამიანი, სულმთლად თავგზადაჯარგული არ უნდა იყოსო; ასე გაივლო გულში და არბინა კიბეები, სულმოუთქმელად აირბინა მესამე სართულამდისა, ხელი ზარს მიეტანა, მიეტანა და მოსცილდა, არ დაურკენია ზარი, ოდნავ დააკაუნა შუათითითა. კარი მამისვე გაიღო, თითქოს დააკაუნებაც არ

უნდოდან ან ჯადოქრული იყო თითი, მოხვდა თუ არა განიხვნა ცხრაკლიტურ-ნიო, ანდა თითქოს ვინმე მოდარაჯე-ბულიყო, ან კიდევ თითქოს ავტომა-ტურად მოწყობილიყო, ლანდი მიადგა თუ არა გაიღო, ჰო ასედაც ითქმის და ისედაცა, ვსაკვირიც არაფერია ამ ავ-ტომატის ეპოქაში, მაგრამ ასე არ იყო და აქედან უფრო მართალი ის იქნება თუ ვივარაუდებთ, თითქოს ვინმე მიდარა-ჯებულყოფიყო; თითქოსაო და მიდარა-ჯებულებითაცა ყოფილიყო ცამეტ-თო-თხმეტითადე წლის სუსტი გოგონა, ისე სუსტი, ისე გაღუული, თავის ასაციხად საკმაოდ უმცროსი მოსჩანდა, — კარი იმან გაუღო, გაუღო და ტუჩზე მიიღო თითი, ვითომ და რაო, კრინტი არ დას-ძრაო, მერე ფეხაკრეფით წაიბრინა, სხვა ოთახს ჩაუარა და ბოლოდან ანიშნა, აქეთ მოდი, ჩემთან მოდიო. მიჰყვა ესეცა, მორჩილად არა, არც იმიტომა თითქოს რაიმე ენიშნა და გაგების სურვილმა გაუღვიძაო, არა, მიჰყვა ისე, რომ არც არაფერი ენაღვლებოდა. არც არაფერი უნდოდა სულერთი იყო მისთვის ყველაფერი; მიჰყვა და შევი-და ბავშვის ოთახში. უკვე გვიან იყო, ასეთ დროს ჩვეულებრივ უნდა ეკითხა, რატომ არა გძინავსო. მაგრამ არაფერი უკითხავს, არც თვალით გამოუხატანია უკმაყოფილება თუ რაღაც ამგვარი, არა, არც თვალთა, არცა სახითა, იქვე, კარებთან პატარა სავარძელში ჩაჯდა, შეურხვეველ სახეზე ხელები აიფარა და გარინდდა.

— მამა გიხმობდათ, — ჩურჩულით დაიწყო გოგონამ, — ვუთხარი, აქ არის, ძინავსმეთქი. საოკრად აღელდა, ამას კიდევაცა სძინავს, დამიხედეთ ერთი, კიდევაცა სძინავსო... ვინანე, მაგრამ რაღას ვუშველიდი. რაც ენას მოჰადგა, ეთქვი და ვინანე. მას მერე ვეიჭრობ, როგორ ავობებდამეთქი. ვერაფერი მო-მიფიქრებია, ყველა უარესი გამოდის, ერთიმეორეზე უარესი. სიმართლე სჯობდა რათქმუნდა, ჩემთვის სიმარ-თლე ემჯობინებოდა, მაგრამ თქვენ-

თვის?... ვეიჭრობდი და გელოდო-ეშიშობდი, კიდევ არ იკითხევენ ვაქ-წრ შემოვიდესმეთქი, ვშიშობდა... და მთხვე-ლით... — თითქოს წამოასლოკინა თუ როგორღაც თავისებურად სიხარული გამოჰხატაო, თუმცა შიშსაც არ გა-ეგლო, კარებთანვე ატუზულიყო, ყური ეჭირა, მამა ხომ არ მოდისო, ალბათ აქამდისაც ასევე იდგა, ასევე შერჩა უნებლიედა, თორემ რაღა პქონდა სა-შიში, — აქ არისო, მოახსენა და აგერ აქ არის, სძინავსო, უთხრა და აგერა სძინავს, სავარძელში ჩამჯდარა, თვა-ლებზე აუფარებია ხელები და სძინავს, არაფერი ენშის და ალბათა სძინავს, თორემ შიშს რომ უმხეღს, რად არ თანაუგრძნობს? ეგება არა სჯერა? — შე-საძლოა, ან ეგება დაფარვა არ უნდოდა? — შესაძლოა, ან ეგება ამისაგან არ უნ-და არაფერი? — შესაძლოა, ყველაფერი შესაძლებელია, არ უყვარს და არც ენდომება ამისი მფარველობა, არც ასე საიდუმლოდ შემოსვლა ენდომებოდა; მაშ რა ენდომებოდა, რას მოინებებ-და, რა ერჩინა, — ასე გვიან დაბრუნე-ბული, ვინ იცის საიდან დაბრუნებულა პირდაპირ, კადნიერად წარუღვებოდა ქმარსა? ვინ იცის, ეგება ასეც ერჩინა, მაგრამ რატომ, რატომ ერჩინა ასე? ნუთუ ისეც პატარაა და ვერ ჩასწვდო-მია დიდთა ზრახვათა? რაც უნდა იყო, სჯერა, კეთილად მოიქცა, იცრუა, მაგრამ იცრუა სასიკეთოდ, დედობი-ლისათვის იცრუა, მამას ეცრუა, ოღონდ მამისათვისაც ასე უკეთესი უნდა ყო-ფილიყო. არც ისე პატარაა და იცის, ასე უკეთესი იქნებოდა, — მართალია გაანჩხლდა, ერთი ამას დამიხედეთ კი-დევაც დაუძინიაო, მაგრამ გაანჩხლება მამის გენახათ თუ გაიგებდა, შინ არ არისო. ვინც რა უნდა თქვას, კეთილად მოიქცა, ხოლო ამას მაინც ვერ დაანახ-ვებს ვერაფერსა; ვერ დაანახვებს და არც არად ჩაავადებს, ოღონდ მამა დამ-შვიდდეს, თითქოს ისეც უნდა შეფთავ-დეს, რაღაც ჩამიჩუმი ისმის იმისი ოთა-

ხიდანა. უნდა მიაყურადოს, ეგებ კიდევაც შევიდეს, — ეს არ აცდის:

— დაჯექი!.. — ბრძანებს.

თვალთავან ხელები არ ჩამოუღია, სახე იმისკენ არა აქვს მიქცეული, რა იცის კარებში რომ ატუზულა, თვალი და ყური იქით უჭირავს, რა იცის?! თუ არ იცის, გრძობს, კეთილი, გრძობდეს, ოღონდ ესეც იგრძნოს, ესე გაიგოს, არ მოსწონს რომ უბრძანებს, არც მოსწონს და კიდევაც აბრაზებს, რას მიქვიან „დაჯექი!..“, სხვანაირადაც ითქმის და სწორედ სხვანაირად უნდა უთხრას, სხვანაირადა და არა ასე: დაჯექი! დაჯექი! წადი! ჰამე! იმეცადინე! ჩაიცი! დაიბინე! არა, ასე არა, თორემ ისედაც თვალში არ უზის და მთლად შესძულდება; ისედაც თვალში არ უზის, მხოლოდ არ აგრძობინებს, ოღონდ ასე თუ გაგრძელდა, აღარ მოერიდება, ნათლად აგრძობინებს და ვნახოთ ერთი როგორ მოეწონება. პირველად არ იმუქრება, ეტყობა, არც უკანასკნელადა, კიდევაც ბევრჯერ დიმიუქრება, ვიდრე ასარტლებდეს ან ვერც ასარტლებს ვერაოდესა, რადაცა ბოჭავს, რადაცა ხიბლავს, ხიბლავს ეს ქალი ამის დედობილად რომ შემოვიდა ამ ოჯახში, შემოვიდა წყნარადა, მშვიდადა, აუკვირვლად, ცოტა ცივად და მიუკარებლად; ეს თავიდანვე სიძულელით შეხვდა, ჯერ არ ენახა. გაგონებითაც არაფერი გაეგონა, მაინცა სძულდა, სძულდა ვინც უნდა მოალერსებოდა დედის შავიერადა, სძულდა და ფიქრობდა თუ როგორი უქმეობით მოიცილებდა საალერსოდ გამოწვდილ ხელებსა, როგორ გაეჭყეოდა საკოცნელად გამოწვდილ ტუჩებსა, როგორ უღიერად მიეგებებოდა სასიყვარულოდ ნათქვამსა; ფიქრობდა და ცდილობდა, ქცეულიყო უქმეხადა, უღიერადა, ჩაეკლა ზრდილობა, თავაზიანობა, ყოველგვარი სიკეთე ჩაეკლა მხოლოდ იმასთანა, იმის წინაშე, ცდილობდა, ებრძოდა თავსა. ამოდ ებრძოდა თურმე, — არ ეფერებოდა, არ ანებივრებდა დედობილი,

არც ხელი წაუწვდენია საალერსოდა. არც ტუჩები საამბორებლად და არც მკერდად ექცეოდა, არც აგულსებნებლად უყენს არასა ჰკადრებდა, არაფერს მოაკლებდა, იყო ზომიერი ქცევითა თუ სიტყვა-პასუხითა, ზომიერობდა ყველასთანა, შვილობილთან განსაკუთრებულადა; თუმცა არ იმჩნევდა, შვილობის მაინც არას შეამჩნევიანებდა, მიზეზს არ მისცემდა, საბაბს არ მისცემდა საავგულოდა. ეგება ცდილობდა, ეგება ბუნებით იყო ასეთი, ყოველშემთხვევაში მიზეზი არა ჰქონდა ამ სუსტ, ამ გალეულ გოგონასა და ამასლა მიზეზობდა, რას მიქვიან დაჯექიო, სხვანაირადაც ითქმის და სწორედ სხვანაირად უნდა მითხრასო.

ცხადია ითქმოდა სხვანაირადა და კიდევაცა თქვა:

— კარგი იქნება თუ დაჯდები.

თქვა ისევე სახეზეხელებაფარებულმა, თქვა იმავე ხმითა, იმავე თავდაპირილობითა, მაგრამ სხვანაირადა თქვა და ვინ იცის რადაც აემღერა, რადაც დაირღვა იმის სიმტკიცეში. გოგონას ეამა: ალბათ ჩემს მოვალედა სძულის თავსა, ქმრის რისხვა რომ ავაცილეო, მადლობას მიძღენის და მესაიდუმლედაც გამიხდისო. — ეს პირველი წარმატება იყო ამდენი ხნის განმავლობაში და ეამა პირველი წარმატება; ეამა და თანაც ექვობდა, ძნელი გახლდათ ამ ქალის გულის მონადირება, ამ თავისებურად ამაყი, ზომიერი, თავდაპირილი ქალისა: ექვობდა, სჯეროდა, მაინც უნდოდა მოენადირებინა, სძულდა და მაინც უნდოდა მოენადირებინა ამ ქალის გული. ჰო სძულდა, თვალში არ მიზისო, — ეს მხოლოდ თავს არ უტყდებოდა ბოლომდისა, რაც დრო ვადიოდა, უფრო სძულდებოდა, სიახლოვეც უფრო მეტად უნდოდა, ნამდვილი სიახლოვე, ნამდვილი განდობა, დედაშვილური არა, მეგობრულიც არა, შეთქმულთა განდობა რომ არის, ისეთი. რა ვეყოთ თუ გალეულიყო, ხანი მაინც დასტყობოდა, ტართი თუ ხანზე პატარად

ითქმოდა, გონებით მომეტებულიყო, გონებითაცა და გრძნობითაცა. გონება უფროსებისაქენ ეწეოდა, ეწეოდა გრძნობაცა. გრძნობა ჩასძახოდა, უთანხმოება ჩამოვარდნილა შენს დედობილსა და მამაშენს შორისო, ჩასძახოდა და აქეზებდა, აქეზებდა და უნდოდა შუაგულში ჩავარდნილიყო, იმ უთანხმოების შუაგულში. ბავშვური ცნობის-მოყვარეობისაგანაც იყო, სიდიდის ენისიგანაც, შურისძიებასაცა ჰგავდა, თანაგრძნობასაცა დედობილისადმი, რა თქმა უნდა დედობილისადმი, ოღონდ შურისძიება გულმოდგინედ იმალებოდა, უფრო თანაგრძნობა, სიდიდის ენი და ცნობისმოყვარეობა ტიკტიკებდა ზემოდანა.

— ისევე დგებაარ!.. — იტყვის ქალი, ხელებს ჩამოიღებს, მხოლოდ თვალს არ გაახელს, თავს გადასწევს თვალში-ნახული.

— ყურს ვუგდებ...

— ყურისგდება უნდა?

— ეგება რამე დასჭირდეს...

— რა უნდა დასჭირდეს?

— რა ვიცო... ვერ მოუსვენია.

გოგონამ იცოდა, მეტი აღარაფერი მოჰყვებოდა, ისედაც ბევრი ითქვა, რაც უნდა იყოს, წარმატებას წარმატება მოჰყვა, უკვე მიიწვეს მოვლენათა გულისკენა. ცნობისმოყვარეობა კიდევ უფრო გაუღიზიანდებოდა, აქარდებოდა, აცეტდებოდა, ატუნცრუტდებოდა და მოიკვეთებოდა პირველი წარმატებანი, მოიკვეთებოდა ერთბაშადა, მაგრამ ეს წავლა თავდაპირილობა, ფრთხილობა, არ შეიძინია თუ როგორ გაუხარდა, არც შეიძინია, არც შეამჩნევინებდა. არც სიძულვილს აგრძნობინებდა, თუმცა ერთად თუ იყვნენ, არცა სძულდა. უცნაურია, მაგრამ არცა სძულდა თუ ვერცა სძულდა. მოიხიბლებოდა, მოსწონდა, უჭერებდა, ემორჩილებოდა, ხოლო გასცილდებოდა თუ არა, ბრაზობდა, გული მოსდიოდა, რად ვემორჩილებიო. ამხანაგები თუ ეწვეოდნენ, აღტაცებას ვერა ჰფარავდნენ, რა მშვე-

ნიერი დედობილი გყავსო შესძახებდნენ და შეჭხაროდნენ. ამყობდა ისიც, გარეგნულად როდი, ნამდვილად, მშვენიერი მარტოა, წრფელადა, ხოლო მარტო დარჩებოდა თუ არა ბრაზობდა, აფრქვევდა სიმწარის ცრემლსა, ის რომ მშვენიერი იყო, ხოლო ეს არ იქნებოდა მშვენიერი, სჭეროდა, რომ არ იქნებოდა. უფროსები, მამიდები თუ სხვა უფროსები არცა ჰფარავდნენ, ალიკვალი დედა ხარო, ბედი რომ გქონებოდა, ამისი შვილი უნდა ყოფილიყავიო. იქვე, იმათთან კიდევაც უნდოდა, მართლაც ამისი შვილი ყოფილიყო, უნდოდა ნამდვილადა, გულწრფელადა, ხოლო დამარტოვებოდა თუ არა, ცეცხლს იკიდებდა, ლამის დაკრუნჩხულიყო და სხვა რაღა შეეძლო, სძულდა ისა, ვისი შვილიც უნდა ყოფილიყო, ბედი რომ ჰქონოდა. იმასთან ისევ მოიხიბლებოდა, აედევნებოდა მოჯადოებული და იზრდებოდა ასე, გახირული ორ გრძნობას შორისა. იმ საღამოს მაინც რამდენიმე წელიწადი მოემატა, ერთბაშად მოემატა, ჩადგა მამასა და დედობილს შუა, უფროსთა შუაში ჩადგა, უთანხმოების სადავეებს წაატანა ხელი, მხოლოდ წაატანა, ოღონდ გუმანით მაინც მიმხვდარა თუ რას უნდა დაერღვია ცოლქმრული სიმშვიდე თუ სიტკბოება, მიმხვდარა და გრძნობს ბუნდოვნადა, ისიც ბუნდოვნად წარმოუდგენია თუ რა მოჰყვება იმის ჩარევასა. რას გაახერხებს, რა შეუძლიან? ეს კი ნათელია, დიდთა შუაში მოაქცია შემთხვევამ თუ პატარასიტუციამ, მოეწონა და უნდა იქ იდგეს, იდგეს მკვიდრად... იდგება. დგას, — კარი გამოუღია, ყური გაუწვდენია, გარინდულა, აცა, რა ხმა გამოდის მამაჩემის ოთახიდანაო. წელან ბოლთასა სცემდა, უფრო ითქმის, დაბორიალობდა, რაღაცას მიაწყდა, გატყდა თუ უბრალოდ დაიზრიალა იმ რაღაცაში, მუშტის დარტყმაც მოისმა, ღრენის მაგვარიც გაიგონებოდა, თითქოს ცხოველური ღრენისა, მაგრამ რა გასაკვირია, გამბრახებული თუ გამო-

როტებული ადამიანი დიდადაც აღარ გამოჩნეულა ნადირისაგანაო. ამდენი იცის, შესწრებია ასეთ შემთხვევებსა, გარეთაც შესწრებია, შინაცა. ბევრჯერ თუ არა ცოტაჯერ მაინცა, იცის და ამისი ჩაკერებება თუ გაანალიზება არც უნდა, ეგებ კიდევ თუ რას ჩაიდენს, არც ის ენალელება, მხოლოდ ასე იდგეს, შუაში იდგეს, ჰკითხონ რაიმე, ამ უთხრან, ოღონდ ბრძანებით აღარა, თანატოლს რომ ეუბნებიან ისედა უთხრან.

ასე უნდა იდგეს, ამისი უპრიანი და კიდევაც ჩამდგარა; ასეც იყო, მამასთან იმაზე წინ არც არავინ იდგა, ვერც ვერავინ იდგომებოდა, დედაც ვერა, შუაში უდგა დედ-მამასა, ასე, აი ასე, ამ ადგილასა, ახლა რომ მოუბოვებია. პო შუაში უდგა, მაგრამ მოვიდა დედის მიგვირი, ზომიერი, მშვიდი, თავდაპირველი ქალი მოვიდა და გოგონამ უკან დაიხია, შეიღმა დაიხია უკანა, დასცილდა, დაშორდა საყუთარ მამასა, რაღაც გულგრილობა ჩამოწვა მამა-შვილს შორისა თუ მამა გაგულგრილდა, აღარ ეცალა შეილისათვისა, დრო აღარა ჰყოფნიდა ან ალერსი აღარა ჰყოფნიდა, ლამაზი ქალი უმშვენიებდა მხარსა, იმას უნდოდა მთელი ალერსი, მთელი სითბო, აღტაცებაც იმას უნდოდა. მამა-შვილობა მაინც სხვა გახლდათ, მაგრამ ალერსი თუ სითბო, სინარული თუ აღტაცება უსაზღვრო და უსაწყაო არა ყოფილა, ერთი თუ ნთქავს, ნთქავს სავეებთა, მეორესთვის აღარა რჩება. ამისთვის აღარ დარჩენილიყო, არ იყო ლამაზი და აღარც დარჩენილიყო. მამა-შვილობა მაინც სხვა ყოფილა, მაგრამ სილამაზეც დიდი რამ ყოფილა, თვით შეილებსაც განასხვავებდნენ, თვით შეილებშიც გამოარჩევსო მშობელი, თვითონ მშობელიო. თუმცა მშობლები არ გამოტყდებიან, როგორაო, რა ბრძანებათ, შეილი შეილიაო, რომელი თითიც უნდა მომჭრა ყველა მეტყინებო, მაგრამ მოჭრამდის რა გვინდა, სიტყვას ბანზე რად აგვიდგებენ, ასე ყველანი

ყარგად რომ არიან, საღალამაოაო, ნუთუ არ გამოარჩევენ უკეთესსა, ნუ გამოტყდებიან, გულში ჩაახატკნან, ნურას იტყვიან, ნურას შეიმჩნევენ, ჰა, ნუთუ არა? თუმცა დავეხსნათ, მამა-შვილობა მაინც სხვა გახლავთო, მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო, გოგონა მოკლებოდა, სითბოსა, ალერსს მოკლებოდა, სხვას არაფერსა, — არ აკლდა სამოსი, მეტიცა ჰქონდა, საჭმელსა-სასმელისას ნურას ვიტყვიო, არ აკლდა გართობა ქალაქისა და აგარაკებისა ან არ აკლდა რა მოსატანია, მოსჭარბებოდა, ხოლო სითბო რომ აკლდა, ეს კი სათქმელია, გასამეორებელიც არის, აკლდა სითბო მამისა, ალერსი მამისა, ხოლო შუაში სხვა ჩამდგარიყო, ჩამდგარიყო მშვენიერი ქალი და სძულდა... თუმცა ახლა აღარა, აი დაუჭერია თავისი ადგილი: ჩამიწევი არ ისმის მამის თათხიდანა, ამას არც ეკითხება, ვადის, უნდა დაძხედოს მამასა.

ვადის და მალევე შემობრუნდება, შემობრუნდება ცქვიტადა, მკვირცხლად, თამამად, საფარველს ვადასწევს თავისი საწოლი და წამოკეცს საბანსა.

დედობილი უკვე სხვანაირადა ზის, ხელები ხომ წელანვე ჩამოიღო, თვლიც გაუხელია, ღრმად ჩაკრეფილა სავარძელში, ფეხი ფეხზე გადაუდვია.

— გაუტანე თავისი საბანი, — ამბობს დედობილი ჩვეული ზომიერებითა, სიმტკიცითა, შეუვალობითა, არცა კითხულობს თუ საბანი რად წამოკეცო, რად უნდა იკითხოს, როცა იცის. იცის და ბრძანებს, გაუტანე თავისი საბანიო; იცის, ტახტზე მიწოლილა და მისძინებია მამამისსა. გოგონა არც დაფიქრებულა, აქეთ გამოიქცა; არ დაფიქრებულა, თორემ თუ დაფიქრდებოდა, ასევე ირჩედა; კვლავაც რომ განემტკიცებინა შეტოლება, დამოუკიდებლობა. რაც უნდა ყოფილიყო, არ გამოუვიდა, — გაუტანე თავისი საბანიო, მოესმა მოზომილად, მოკვეთილად და ჩამოსცივდა ხელები, დავარდა საბანი. მორჩილად გავიდა ბრძანების

შესასრულებლად. იქიდან გავიდა მორჩილად, ხოლო დამარტოვდა თუ არა, საბანი რომ გაჰქონდა, რომ წააფარა და ამოუფო, აუჯანყდა, დიდობის წადილი, სურვილი აღერსისა, შური სილამაზისა, მთელი არსება აუჯანყდა, გაფიცდა, აენთო, შესძულდა დედობილი. თითქოს მიმკრთალებულიყო თუ მიღუულიყო სიძულველიყო, მაგრამ წამოვარდა, ამოვარდა ქარიშხალივითა: ის ერთი მბრძანებლური ნათქვამი კმაროდა, ისევ ამოვარდა ქარიშხალივითა. რა იყო, არ ეთქვა, რა იყო, შეეკავებინა თავი! ან ეს მიმხვდარიყო, თვითონვე მიმხვდარიყო, სხვისი ბრძანება თუ ახსნა არ დასჭირებოდა! რა იყო, ჰა?! ვერ მიმხვდარიყო და სხვა რა შეეძლო, სძულდა დედობილი, იქვე მამასთან, ტახტის ბოლოზე ჩამოშდარიყო, ვერაფერი აეხსნა და სიძულველით იოხებდა გულსა. როგორ ახსნიდა ან სხვას ვის აუხსნია, ყველას ყველაფერი რომ გაეგებოდეს. ყველას თანხმობისაყენ რომ ეწეოდეს სული, წინააღმდეგობანიც ხომ აღარ იქნებოდა. ამას მაინც რაღა მოენდო მებნა, — მხოლოდ არ აფოფინებულყო, არ დარწმუნებულყო, წარმატების გზაზე ვდგევარო, მხოლოდ სიღინჯე გამოვჩინა, ცოტა, სულ ცოტა, მხოლოდ... დიახაც მხოლოდ, ყოველთვის ცოტა რაღაც აკლდება, ცოტას ბრალია, ცოტას მოსდევს დიდი უბედურებაო. და დიდი უბედურებაც ეს არის, ამისათვის ეს არის — სძულს, ჯერ ცხოვრებისა არაფერი გაუგია და სიძულველი უკვე ისწავლა.

აქ იქნება, იქ აღარ გავა, აღარ შეხედება, რომ არ გადაეჩრდილოს სიძულველი. აგერ იქნება, მამას დაელოდება, გაიღვიძებს თუ არა, ეტყვის, გეცრუეო. მამა მიუტრეებს, მამა მიუხვდება, — აქამდის არ უნდა მიმეყვანა, რომ მეცრუოსო, მიუხვდება და მყისვე მიუტრეებს; ჰო მიუხვდება, ჩემი ბრალიაო, შეინანებს და მიუტრეებს. მამა ერწმუნება, გაუგებს, მიეტკობა შეილსა,

შვილი გაინაბება მამის გულზედა, ის იქ დარჩება, სადაც უნდა, იქნება იქ იყოს, იმას იქითაცა ყოფილად. მამა რაღა, რას გახირულა მამა-შვილს შუა? მხოლოდ გამოიღვიძოს, გამოიღვიძოს და იკითხოს, — შენა, ჩემო გოგონა?! მხოლოდ იკითხოს, მერე თვითონ იცის, ასევე გადაეხვობა და აქვითინდება, მომიტყევეო. გეცრუეო; თღონდ გამოვღვიძოს, ჭვითინი ყელს მოსწოლია. თღონდ გამოვღვიძოს... მაგრამ სძინავს. ძილქუში დასწოლია, ერთი გამოღვიძება ბევრ რამეს შესცვლის, თღონდ გამოიღვიძოს, თღონდ, თღონდ! გოგონას ჭვითინი აღრჩობს, გზა უნდა ჭვითინსა, მხოლოდ ცრემლით ენაშება თვალგბა, უჯობს გავარდეს, თავის ბალიშს დააყაროს ცრემლიცა და ჭვითინიცა.

უჯობსოო და გადის. დედობილს იქ როდიღა ელოდა, შეეშინდება ცრემლისა, საჩქაროდ თითებს ამოისევამს თვალეშში, ამოისევამს და გაჰკვირდება, როდი დაენაშება თითები, ცრემლი ჩაშრობოდა, ჩაშრობოდა უეცრადა, ხოლო გაკვირდება ამოჰფენოდა, — ისევ აქა ხარო, რად არ გასულხარო...

— გელოდი...

ჰმ!.. გულთამხილავია თუ რა არის, — თქმასაც არ აცდის, ასეთ რამეს ვერც იტყვის, თუნდაც ეთქმოდეს, არ დააცდის, ფიქრშივე გაუბასუხება, მოკლუნდა, მკვეთრად, მოკვეთილად. აქამდე ჰო, მაგრამ ახლა გამოეხსარჩლა. შეიფარა და რას უნდა ნიშნავდეს ეს გელოდი? — მუქარიანი, საყვედურიანი, დამრიგებლური...

— გეტყვი, დაჯექი...

გოგონას უნდა, იქვე ჩაჯდეს, კარებთან დარჩეს, შუაში დარჩეს, მაგრამ სკამი არ არის იქვე, ბოლოშია, მეტი რა ჯანია, იქით უნდა წავიდეს, იქით ჩამოჯდეს, კვლავ შუა ჩაუდგეს დღინაცვალი. ჰმ!.. შემთხვევითაა, მაგრამ შემთხვევითაც არ არის, ყველა იმის წინააღმდეგაა, ყველაფერი ეწინააღმდეგება, სკამი რა არის, სკამიც ვასჯიქვია,

ბოლოში გაქვავებულა, ჯიუტად ეწევა, აქეთ მოდიო, შენი ადგილი აქეთ არისო. ნებდება, მიდის, ჯდება მორჩილად. მოეწურება მხრები, ისედაც სუსტი, ისედაც ვიწრო, ჩაუვარდება მკერდი, ისედაც ჩია, ისედაც დაბალი, გაწლიკვეული ფეხებიც გადაეხვლანჯება ერთმანეთზედა. დედობილი წამოწეულა, გასწორებულა, შემართულა, გადაუყრია ნაჩრდილი მოღუწეებისა, ისეთ ეშხშია, რომ იტყვიან, ნეტავი თვალი მომცა, მაყურებინათ. გოგონა ისედაც ჩაქარგულა, უფრო იქარგება, იღვევა, ჰქრება.

— რატომ იცრუე?

წყრომით არ ამბობს დედობილი, მხოლოდ განმარტებას მოითხოვს, წყრომით არ ამბობს, მაგრამ შხამიანი ისარივით მოხვდება შვილობილსა, შეიმართება და გაღიზინება გამომწვევად. — კიდევაც მეკითხები, შენთვის ვიცრუეო.

— შენ იცრუე... რა გავამართლებს?

— უკვირს დედობილსა, ოღონდ გაკვირვებულვით როდი ამბობს, სახეს არ იგრებს, არც სხეულსა, ზის ურბეულად, მომზიბლავდა, თითქოს დიდებული რამ ქანდაკებაო.

რა გამართლება უნდა, — მამა დაამშვიდა, აგაცილა ვინ იცის რა აურზაური? ეს სიკეთეა და სიკეთისათვის არაფერი დაიძრახება, თავს არხეეს გოგონა, გახსნის ბაგესაცა, უნდა თქვას, მაგრამ რაღა თქვას...

— სიცრუე დიდად საძრახისია. — დედობილი ამბობს.

გოგონა არ დაპხრის თავსა, იოლად არ უთმობს, უნდა შეეპასუხოს, სიცრუეც არის და სიცრუეცაო, მაგრამ ხმის ამოღება საჭირო არ არის:

— სიცრუე სიცრუეა, — ამბობს დედობილი, — ყოველგვარი სიცრუე სიმადაბლეა.

ყოველგვარი არა. — ურჩობს თვალები გოგონასი.

— ყოველგვარი... მოსჭრის დედობილი.

თუ სიკეთე მოჰყვება, — ჯიუტობს თვალები გოგონასი.

— ტყუილს მოკლე ფეხი ამბობს... რასაც იმეორებ ყველაფერი ანდაზა როდია, ანდაზას სიბრძნეც უნდა.

— ბრძნული ანდაზაა, სიცრუე და ორპირობა აენებს სულსაო. უანდაზოდაც დაისწავლე, სიცრუეს ვერ მოვითმენ, ჩემს გვერდით სიცრუე ვერ იხარებს. — ამბობს უბრალოდა, შეუვალოდა, ამბობს და დგება, გადის უბრალოდა, უბრალოდა და ამაყიდა, გაიხურავს კარსა.

გოგონას რაღაც აღმოხდება, უსიტყვოდა, მშრალადა, მაგრამ მძაფრად აღმოხდება, ხელები დაეხვლანჯება და ეცემა კარსა, — განა გამოაღებს, განა გაედევნება, არა, ამდენი არ შეუძლიან, კარს მიაწყდება, ზედ გადაეკერის, დაფხაქნის კარსა. ფხაქნის და ცრემლს აყრის, აქამდის დაგუბებული ბოლმა იფეთქებს, დაჰქვიითინებს და ცრემლს აყრის კარსა. ისევ პატარაა, თურმე არ გაზრდილა, თურმე ის ღამეც ამით ყოფილა, თურმე არც ისე ადვილი ყოფილა, გადაუსწრო შენს შესაძლებლობასა; თურმე სიკეთეც არა ჯილდოვდება ადვილად, ადვილად არავინ არას დაგიმადლებს; თურმე შეიძლება ირჯებოდე მართებულადა და ისჯებოდე უმართებულადა; თურმე ყველაფერი შეიძლება, ყველაფერი, ხოლო მამის სიტომ რომ ერგოს, ერგოს ალერსი მშობლიური, ეს არ შეიძლება, თურმე არ შეიძლება... და ქვიითინებდა გოგონა, ცრემლებს აყრიდა კარსა, ფხოქნიდა და ცრემლებს აყრიდა, ხოლო დროდადრო მარცვლიდა დვარძლიანადა: დედინაცვალი, დედინაცვალიო, მარცვლიდა და ეხვეოდა ლანდებში ძველი ზღაპრებისა.

ესოდენ მწვავე ღამის შემდეგ, დღით გოგონას სიხარული ელოდა... მოღლილ-მოქანცულს ისედაც გვიან გა-

ელეძა, ადგომაც დაეზარა, არც ეჩქარებოდა, არც არაფრის გახსენება უნდოდა, ჩანთას თუ გადასწვდებოდა გულის გადასაყოლებლად, წიგნებს წამოშყრიდა, გადააქედევდა ვაკვეთილებსა, ჰო ისეო, გულის გადასაყოლებლად, თორემ კვირადღე იყო, ხოლო ისედაც თავს არ იკლავდა მეცადინეობითა, ადვილად სძლევდა და თავსაც არ იკლავდა, — გადასწვდებოდა საწოლიდანვე, წასჭიმავდა ხელსა, თითებსაც წასჭიმავდა, წასძაბავდა, მიუწვდენდა თუ ვერა, მიატანდა თუ ვერა ჩანთამდისა, პატატა, მისწვდომოდა და ვერც მისწვდომოდა. ბეწვისოდენად უკლდა: ბეწვისოდენავე უკლდა საწოლიდან ჩამოცურებასაცა, არ უნდა ჩამოცურებულყო, ბეწვისოდენი ეწეოდა, ბეწვისოდენივე იმაგრებდა, ბეწვისოდენშივე უნდა ებოვნა საყრდენი, ლამობდა, ცდილობდა და გადააბალისა ბეწვისოდენსა გაწამაწიამა. ამა სობაში მოესმა კაკუნი კარისა, ოდნავი კაკუნი და თბილი ნათქვამი: „გამოფენაზე მივდივარ, ლალო...“ — ეს მამა გახლდათ, ხოლო ლალო თვითონა ბრძანდებოდა, — ლალო ანუ ლეილა: თუცა აქ „ანუ“ უხერხული თუ შეუფერებელი მოსჩანს, მაგრამ შეუფერებელია თუ რაც არის, ასე არის და, რაც არის, ვერც წაუვალთ: ლალოს უწოდებდა, ლეილა ნათლობის სახელი გახლდათ, ლალო მეტი მოფერებისათვის, მეტი კინებოსათვის გამოეგონა მამასა, თუმცა ლეილას რაღა კინება უნდოდა. მაგრამ მამას ასე მოსწონდა, მოსწონდა ლეილასაცა, მითუმეტეს, ხშირად როდი უწოდებდა ლალოსა, — ამ ბოლო დროს აღარ უწოდებდა ხშირად, არც ლეილად მოიხსენიებდა, შეჭხედავდა, თვალს გაუყრიდა თვალში და ელაპარაკებოდა, არც არა ლალოთ, არც არა ლეილაო, არცა სითბოო თუ თანაგრძნობაო, ხოლო დარიგებანი, რამდენიცა გნებავთ, უამრავი, აურაცხელი, დარიგებანი თავდაჯერებული კაცისა, თავისი ყოველი სიტყვა, ყოველი წარმონათქვამი თავისი, ნაღდი სიბრძნე

რომ ჰგონია. ეგება სიბრძნეც იყო, რაც იყო, იყო, არ მოსწონდა გოგონსა, ის მოსწონდა, ის წამი მოსწონდა, ლალო, როცა მოესმოდა მამის ბავთვაგანა. „...მივდივარ, ლალო...“ აგერ მოესმა და იტვრინა გოგონამა, ისევე დარჩა, გაშეშდა, ებოვნა საყრდენი ბეწვისოდენი, ჩანთასაც უწვია ფრჩხილითა, არც ჩამოვარდნილა საწოლიდანა, ლალო რომ მოესმა, მამინ უწვია.

მოესმა და ეგრევე იტვრინა, გაისუსა, გაქეავდა, სმენა დიძაბა, ბუმბულის დაცემაც არ გამოეპარებოდა, არათუ ჩქამი დიდი ტერფებისა: საით გაემართება ის ტერფები პირდაპირ გასასვლელისაკენ თუ იმისკენაო ჰა, საითაო. იქით თუ მივა, მიუკაკუნებს იმის კარსა, ალერსით, კრთომით მიუკაკუნებს და ჩაუჩურჩულებს: „გამოფენაზე მივდივარ... ეთერო...“ „სახელს არ აღმღერებს, ოღონდ როგორღაც თავისებური მახვილით, უცხო, მეღერი მახვილით წარმოსთქვამს — „ეთერო...“ ნეტავი გაგაგონათ, ასე ძნელია მიხედვით თუ როგორ წარმოსთქვამს, კარგი იქნება სანოტო ნიშნებს თუ მოვიშველიებთ, მაგრამ რა დროს ეს არის, გოგონას ლამის ძარღვები დაუწყდეს, ლამის დაეგლიჯოს სმენის ძაფიცა, — მიუკაკუნებს თუ არა, მიუკაკუნებს თუ არაო... არა! არა და არა! გასასვლელი ჩხაკუნებს, ათანაირი საკეტი ადევს, ჩხაკუნებს საკეტები, ჭაჭვი ვარდება, ურდული გადის, იღება კარი, მალევე ერთბაშად გაჭახუნდება, რამდენიმე საკეტი ჩაიტკაცუნებს, ჩაიკეტება ერთდროულად და გოგონა ჩანთას აიტაცებს, აისვრის, დაიჭერს, აისვრის, დაიჭერს, ელურტულებს, ჭყლოპინებს, ჩანთას აპყვება, ხტუნაობს საწოლზე, ტყუილად დაღვარა იმდენი ცრემლი ან ღირდა ის ცრემლი ამ სიხარულადა, ველარაინ ჩაუღვება მამის წინა, მამამ აპას დაუბარა, მივდივარო, მამამ ლალო უწოდა, ველარაინ დაუღვება წინა.

ვერც დაუღვება და არც არავინა მდგარა... აშვერილი ხელები ეგრევე

ჩრება. ჩანთა ჩაუვარდება ხელმშუა: სხვა რამე ხომ არ იგულისხმებოდა ამ შეტყობინებაში, ამას რომ ეუბნებოდა, ხომ არ ამბობდა იმის გასაგონადა? ლალო რომ წარმოთქვა, ხომ არა გულისხმობდა იმ თავისებურ ეთერსა, ასოებით რომ არ გადამოიყვება, სანოტო ნიშნები გამხდარა მოსაშველიებელი, ჰა ხომ არა გულისხმობდა? შერიგება ხომ არ იყო, შეფარული, მიტყეების თხოვნ ხომ არ იყო, ასე ირიბადა, ასე ამაყადა, ვითომდა რაო, შენ არც მახსოვხარ, ჩემს შვილივოს ვატყობინებ ჩემს ასავალდასავალსაო, ოღონდ შენც ჩაუფიქრდი, წუხანდელ სიანჩხლეს გადაუვლია, მე ჩემდათავად, დაემშვიდებულეარ არ მომიტყევებია ყველაფერი, შენ რაღასა იქ. ყოველ-შემთხვევაში, ჩაუფიქრდიო. ჰა, ეს ხომ არ იყო? როგორ მიუხვდეს? თბილად გაისმა ლალო, თბილად, მგრძნობიარედა. შეიძლება შურისძიებაც იყო შეუღლისადმი ან მიტყეების თხოვნაც იყო, ვინ იცის? აქ ეგულებოდა, აქ მოვიდა, აქ შემოიძახა, განა თვითონვე არ მოახსენა, ჩემთანა სძინავსო? ეცრუა და ველარ გაუგია, ვის გასაგონად შემოიძახა რომ არ ეცრუა? ჰმ! მისი იქნებოდა, მისი საკუთარი: „გამოფენა“ ზე მივდივარ, ლალო...“ იმისი იქნებოდა, დაიჭერებდა, მორჩა, ჩვენს შუა აღარავინა დგასო. ბევრად ადვილად დაიჭერებდა; ხოლო ახლა რაო, სჯერა და აღარცა სჯერა, თავისად ეგულება და სხვისიცა ჰგონია, იცრუა და იმითომ, იცრუა და დაისაჯა. — ტყუილს მოკლე ფეხები აბიაო, უთხრა დედინაცვალმა, არ დაუჯერა, გაუჭიქდა და ამ დაუჯერა. მალე მოეწია, მალე აწუნებინა სინანული. მაგრამ რად უნდა დასჭილიყო, განა ისეთი რა ჩაიღინა, ამ სიამტკბილობისათვის, ამ თბილი თუ მგრძნობიარე განწყობილებისათვის ჩაიღინა თუ ჩაიღინა დანაშაული, ამათთვის ჩაიღინა და ისჯება ამათთვის: „...მივდივარ, ლალო...“ წადი, ოღონდ ნუთუ მხოლოდ ამისათვის გინდა

ლალო, ნუთუ რაც უნდა ახლოს მოვივდივს, მაინც სხვისაცენს, გიჭირავს თვალი, სხვა გაღელვებებს სხვა გიტყობს ლებს ჰქუა-გონებასა? ნუთუ?! მაგრამ შვილი?! თუ სცდება? — არ იცის, ველარ გაუგია, დგას ხელმბაყრობილი, ხოლო ჩანთა როდისაქეთია დაეარდნილა, თვითონაც ჩაიკეცება, დაეარდება ჩანთის გვერდითა. რომ არ ეცრუა, რა ადვილი გასაგები იქნებოდა, რა ადვილი... ცოტა რამ უშლიდა, ძალიან ცოტა, სინანულიც ამისი ბრალი გახლდათ.

კიდევ თუ ეტყვოდა, ვინ იცის საგულისჭიროც აღარაფერი გამხდარიყო, მაგრამ მეტი არაფერი წამოსცდენია, მხოლოდ შეიცადა, გაბასულებას თუ ელოდა, ეგებ ელოდა, გაეგონა, მეც მოუდივარო, მაგრამ ვისგან ელოდა: ეგება იმისგანა, ვისი სახელის წარმოთქმასაც სანოტო ნიშნები დასჭირებოდა, — ალბათ იმისგანა, ალბათ ძალიანაც გაეხარებოდა, მოუცდიდა, ვიდრე მოემზადებოდა, ცხადია, რა თქმა უნდა მოუცდიდა, თუნდაც დაგვიანებულიყვნენ, ასე იქნებოდა, შერიგებისას მომთმენი გახლდათ და ყოველთვისა ჯილდოვდებოდა იმისი მოთმინება. ამჯერად ვერაფერი გაიგონა, ჯილდოც აღარ იყო მოსალოდნელი, კარის საკეტები ააჩხაყუნა, ჩვეულებრივზე უფრო მეტად, მიზეზიანად ააჩხაყუნა, მეტხანსაც მოუნდა კარის გაღებასა, ფეხს ითრევედა, ელოდა, მაინც არ მოესმა სასურველი თუ საამური რამ და გავიდა, წაივდა გულმოსული, გულდაღარული, გაგულისებული.

ესეც გოგონას გუშანი გახლდათ და თუ გამოგტყდებით, სწორედ მიეტანა გუშანი. გაბუსხული გავიდა, გაბუსხული დაჰყვა პატარა თავქვესა, მალე გაიკავა და გაიკავა ფიქრმა; ხალისმავე გაიკავა, მიესალმენ ვილა-ვილაცანი და იმათთვის განგებ რომ მოიგვარა ხალისი, აღარც გადაიყარა, დღეც კარგი იყო, დღეც გადაუყრიდა ჯაერსა. დღე იყო თბილი, შემოდგომური, საამო და

ხალხუნიათ. მეტი რამეც უნდა ითქვას თბილისის შემოდგომაზე, უყვართ შემოდგომა თბილისისა, უყვართ მოხიბლულან და ცხადია მეტი რამ ითქმის; ჰო უნდა ითქვას, მაგრამ აღწერა არ მოხერხდება, — როგორ მოხერხდება, პეიზაჟი ხომ არ იცვლება, ჩამორეცხება და გადაიღებება ათასგვარად შეღებილი კედლები, ხან როდის და ხან როდის გადაიღებება, არც შემოდგომას ელოდებიან საამისოდა, არც გაზაფხულსა; ჰო რა იცვლება, — ფოთოლი თუ ცვივა, ეგეც არაფერი, ფოთოლი რა არის დიდ ქალაქში, არც არაფერი და რაც სხვა რამ გარეგნული ნიშნები მოიპოვება, მხოლოდ სითბოა თავისებური, მზეა საოცრად საალერსო და მოსალბუნე, ვინდა გარეთ იდგე, მზის გულზე იდგე, არ გინდა, ჩავიდეს მზე-სალამოს ქარი წამოუბერავს, ზოგჯერ იცის, წამოუბერავს ქარი, სუსხიც წამოვა, თითქოს მზე უნდა ჩავაშხამოსო, მაგრამ მერე რაო, თუ არ დავიშლია, ცოტა თბილად ჩაიცივი, ან შინ შედე, შედი და ხვალამდის ნულარ გამოხვალ, მზე რომ ამოვა, შენც გამოდი, გამომზიგულდი. და კარგახანს გაგრძელებდა ასე, წაიბმება თბილი დღეები, თავისებურად თბილი, თავისებურად მამებელი, მოსალბუნე, გამახალისებელი და ეგ არის, სულ ეგ არის შემოდგომა თბილისისა. თუმცა არა, დღის იერიც სხვანაირია, თითქოს რაღაც ციმციმებს ჰაერში, ციმციმებს, ციმციმებს, შენ შემოგზაბრის, მხოლოდ შენა; მაშინ მარტო რჩები, გარსაც მოგხვეოდნენ ამფსონები თუ ვინმე სხვანი, ვინც უნდა იყვნენ, მინც მარტო ხარ, გამოურჩევიხარ, შემოგციმციმებს, ვიპყრობს, გალაღებს, გავსებს სიამითა; ჰოდა ეგ არის, სულ ეგ არის შემოდგომა თბილისისა.

რაც უნდა იყოს, ამას მინც გაუქარვა ნაღველი, შინიდან გამოყოლილი ნაღველი, გაუქარვა შინ მიბრუნებამდისა, 6. „მნათობი“, № 1.

დღე გახლდათ კარგი, დღე იყო შემოდგომისა და მხატვართა საშემოდგომო გამოფენაც უნდა გახსნილიყო. იქვე შესასვლელთანვე იღვა იმისი ნაქანდაკევი — „პორტის მუშა“, აღფრთოვანებული რეცენზიები მოჰყვებოდა, განხილვებისას ხოტბას შეასხამდნენ, ახლაც ვახსნისთანავე, განსაკუთრებულად მოიხსენიებდნენ, ტაშს შემოჰკრავდნენ დამსწრენი, მერე ჩამოივლიდნენ, სათითაოდ ჩამოართმევდნენ ხელსა. კარგი დღე დამდგარიყო, კარგი ამბებიც მოჰყვებოდა, გადაივლიდა შინიდან გამოყოლილი ნაღველი, შინ მიბრუნებამდის გადაივლიდა, რა თქმა უნდა გადაივლიდა, რა გაუძლებდა ხელოვანის წარმატებასა, — ვერაფერი გაუძლებდა, ცოლქმრული კინკლაობა თუ ბუტიობა რა არის, თვით თავზარდამცემი ამბავიც ვერ ჩაუხშობდა წარმატებით გამოწვეულ სიხარულსა; ან ჩანსომა რა მოსატანია, როცა პირიქით უსაშინელეს უბედურებასაც გაუძლებდა ხელოვანის კმაყოფილება, სიხარული და აღტყინება ხელოვანისა. მხოლოდ ეს არის, მცირეს ვერ დაუკმაყოფილება ხელოვანი ან ვერ გაუტია თუ რა შეუქმნია, დიადს ესწრაფვის, მშვენიერსა და ჭეშმარიტს შეუპყრია ერთად შეუპყრია, ერთად გამოძერწვაც მოუნდომებია; ამ დიდ ნდომისას, ამ დიდ სწრაფვისას კმაყოფილება ვერ უპოვანია. ასე ყოფილა, სხვაზე თქმულა: სხვისა მოვიხსენიეთ, თორემ ამას საამისო არაფერი სჭირდა. ბევრჯერ უქიათ, ბევრჯერ აღტაცებულა და კმაყოფილებაც ბევრჯერ განუცდია, სიხარულსაც აღუტაცნია, რწმენაც მოსჭარბებია, რწმენა საკუთარი თავისა. არც სხვანი დავიწყებია, თვით აღტაცების დროსაც არ დავიწყებია სხვანი, წარსულის დიდი ხელოვანნი გაუხსენებია, უსათუოდ დიდნი, საყოველთაოდ სახელგანთქმულნი, შორეულნი დროითაცა, მანძილითაცა, არ დავიწყებია, გაუხსენებია და გაკვირვებულა, იმათ რატომღა არ იყოღნენ კმაყოფილებათ, რატომ მო-

კლებოდნენ ამ დიდებულ განცდასაო; ან რატომ იყო, ყველა რომ იბრძოდა, მეომართა თავგადასავალს დამგვანებოდა თავგადასავალი ხელოვანთა; ჰო გაკვირვებულა და ამოსტრია ასეთი კითხვანი, სწორედ ასეთი და ამნაირი, რადგან თვითონ ბრძოლა არ შეხვედრია, უცნაურია მაგრამ არ შეხვედრია, ხოლო დარწმუნებით დიდიხანია დაარწმუნეს, დიდი ხელოვანი რომ ბრძანდებოდა.

დაარწმუნეს და დაიჭერა... ახალგაზრდობას თუ გავახსენებთ, თავდაპირველი ყმაწვილი ბრძანებულა, ამპარტავანიც განლდათო, წინწასწრების სურვილიცა ჰქონია, სხვათა წუნიაობის სულიც უქოთქოთებდაო, აწვებოდა სხვა ცდუნებანიცა, მაგრამ თავდაპირველი ყმაწვილი გახლდათ, ცდუნებანი არ მოუჩანდა და შესაძლოა დამდგარიყო კეთილ ადამიანდა. თუმცა არ იფიქროთ თითქოს ბოროტი თუ ვერაგი ადამიანი დამდგარიყოს, არა, ასე არ იფიქროთ, ვერაგობის თავი არა აქვს ან არ ჩაიდენს, თუ არავინ შეაგულიანა თუ არავინ შეუჩნდა, მაინც საფრთხილოდ ითქმის, მაგრამ ეგებ არ შეუჩნდეს არავინა, არავინ შეაგულიანოს, მხოლოდ ეს არის, რახან ერთი შეაჩვიეს ქება-დიდებასა, ვეღარ მოითმენს კვლავაც თუ არ აქვს; რახან ერთი დაარწმუნეს, რომ იმისგან იწყება ნამდვილი განახლება, ჭეშმარიტი განახლება და აღმავლობა, ვეღარ აიტანს თუ ხშირად არ გაუმეორეს; რახან ერთი წასწიეს, გაიყვანეს ყველა ამოსარჩევში, ვეღარ გატკლებს, სადმე რომ გამოორჩეთ, თუნდაც ყოველად უბრალო, არაფრის მაქნის კომისიაშიც რომ გამოორჩეთ; რახან ერთი დააჩვიეს, თუნდაც სხვა ვინმეზე ეწერათ, ისიც უთუოდ მოეხსენებინათ, როგორც ნიმუში, მაგალითი საუკეთესო, აღარც დასთმობდა, კვლავაც ასევე თუ არ გაგრძელებოდა, რისხვად დაატყდებოდა მთლად იაფფასიან მეგროშე მორცეენ-ზიიებსაცა; ჰო ვერ მოითმენდა, ვერ

აიტანდა, ვერ გაუძლებდა, არ დასთმობდა, თორემ ისე არ იყო ბოროტა — თუ ვერაგი, მხოლოდ ბუზღუნებდა თუ საჭირო იყო, ბობოქრობდა, იმუქრებოდა, დასმენაც იცოდა, თუ საჭირო იყო, მხოლოდდამხოლოდ საჭირო თუ იყო და ერიდებოდნენ, უთმობდნენ ან წესად გადაქცეულ უცნაურობას ვერა დალატობდნენ ეგრე ერთბაშად. ეგებ ამიტომაც ვერ მისულიყო ბოროტება-მდისა თუ ვერაგობამდისა, ეგება მართლა თავიც არა ჰქონდა, ყოველშემთხვევაში თვითონ ბრალეული არ უნდა იყოს, თავდაპირველი ყმაწვილი გახლდათო, მაგრამ დაარწმუნეს და დაუჭერა, — ყმაწვილობიდან კარგახანი გამოვიდა. კარგახანია არწმუნებდნენ და ცხადია დაიჭერებდა. თუმცა დაიჭერებით მაშინვე დაუჭერებია, მხოლოდ ვნებანი ვერ გამოუმტყავენებია მაშინვე ან არც საჭირო ყოფილა, მერეულა გამოუმტყავენებია, უკან-უკან დახევა რომ დაუწყეს, ჰო ასეც მომხდარა, ჩუმი, შეუმჩნევლად დაუხევიათ უკანა-უკანა, თვითონ აღვილად შეუმჩნევიან, აღვილდაც აღელვებულა, ყმაწვილობაში დინჯი, თავდაპირველი, აღელვებულა და სამართლიანდაც აღელვებულა, მაშ რაო, როგორ დასთმობდა მონაპოვარსა თუ მითავაზებულსა, ფრჩხილის-ოდენადაც აღარ დასთმობდა; თუ სთავაზობდნენ, მაშინ ეფიქრათ, თავიდანვე გაფრთხილებულიყვნენ, ახლა ამოა ვეღარ დასთმობდა. ისე მართალი რომ ითქვას, ბოროტული თუ ვერაგული ჭერ არაფერი ჩაუდენია, ოღონდ რაც დააჭერეს, ვეღარ გადააჭერებენ, ვერა, ვერავინ გადააჭერებდა, ასე შთაგონებულოყო, ასე აღვსილიყო ხელოვანის სიჭიფტითა. რა ამისი ბრალი იყო, რად დააჭერეს?..

მაგრამ ეს მაინც საერთო შთაბეჭდილებაა, საექველია, ცოტოცოდ თუ გამოუმტყავენებულა, ეგ არაფერი, შესაძლოა ძლიერადაც გამოქენდეს, ეგეც არაფერი, დღეს მაინც სხვაა, დღე დღედ კარგია, საშემოდგომო გამოფენაც

იხსნება და გამოფენა ახალ დიდებას მოუტანს. წინასწარვე ეტყობა, თითქოს საზეიმოდ ესალმებიან, უამრავი ნაცნობი ხვდება, შორიდანვე ჰხრან თავსა, რუსთაველის გამზირზე მატულობენ ნაცნობნი, ეშხიცა მატულობს სალამისა თუ თავყანისცემისა, სამხატვრო გალერეასთან კიდევ იმატებენ, ლაშქარი იდგება ნაცნობ-მეგობართა და თავყანისმცემელთა, ჰეშმარიტ თავყანისმცემელთა, იქ იქნება ნაღები ხელოვანთა, ლიტერატურისა და მეცნიერების მოღვაწეთა; ხელისჩამორთმევას ვეღარ აუვა, წესიც არ არის, ლაზათიც არ არის, ყველას ჩამოუყვეს, ყველას გაუწოდოს ხელი, მაგრამ არ დაგიდევთ საამისო ლაზათიანობასა, ყველას ჩამოუვლის, ყველას ჩამოართმევს, ყველა მიეტანება და ესეც მიეტანება ყველასა, თავმდაბლობა არავის დაამცირებს, პირიქით, ღირსებადა თქმულაო: ჰო იქ ყველას ჩამოუვლის, აქ, ასე გზად მიმსალმებლებს უპასუხებს თავის დახრითა, მართლაც თავმდაბლურადა, ხელისჩამორთმევაზე მეტიც არის, ღირსნიც უნდა იყვნენ, ბევრს არცკი იცნობს, ალბათ ხელოვნების მოყვარულნი არიან, ხელოვნებისა და ამისი ან ეგება კიდევაც იცნობს, მაგრამ ახლა ვერ გამოაცალკევებს ან რაღაც ბინდი გადავლებია თვალსა თუ გონებაზე, ბინდი იისფერი, ბინდი დაბნეულობისა, ესეც არაფერი, დაბნეულობაც ხვედრი ყოფილა ხელოვანთა.

ჰო ვერ გამოაცალკევებს, ოღონდ ესალმება ღირსეულადა, კარგი დღეა, იმისი დღეა. ხეებს ფოთლები შეთხელებია, მზე თანაბრად ეფრქვევა გამზირსა, მზე ადგას სახეზე, ისედაც თეთრ, ფაფუკ სახეზე, მზე დასთამაშებს ლურჯ თვალებზე, დაჰზინავს თმებზე, ისედაც კრიალა, თეთრ, ფაფუკ თმებზე, თუმცა მოხუცად როდი ითქმის, მოხუცად არ მიიღოთ ამდენი სითეთროთა, ხანშიშესულად დაე ითქვას, ოღონდ თმის სითეთროთ როდი, თმა დიდიხანია გასთეთრებია, ახალ-

გაზრლობაშივე გასთეთრებია, გასთეთრებია და დამშვენებულა, ასაკით ითქვას. თმა წითლური ჰქონია, თავდაქერილი ყმაწვილი რომ იყო, თმაც წითლური ჰქონია, თავდაქერილობა თუ ამშვენებდა, თმა ვერ ამშვენებდა ეგრერიგადა, დროზე შეუმჩნევეა ღმერთსა თუ ბუნებასა, შეუმჩნევეა და თანაფარლობა აღუდგენია. დაუმშვენებია, განუსპეტაკებია, დაუღარბაისლებია, პატივით ხომ აღუესია და აღუესია რაღა დაჰკლებია, — თუ რამ დაჰკლებია მიუნიჭებდა იმასაცა. მიეცეს და მიემატოსო, კარგ ვარსკვლავზე გაჩენილო, — სხვაც ბევრი რამ ითქმოდა, კიდევაც გააგონებდნენ, არც იწყენდა ან საწყენი რა უნდა ყოფილიყო, გამოშწვევად ხომ არ ეტყვოდნენ, სათნოდ ეტყვოდნენ, ზოლო სათნოდ ნათქვამი ავი სიტყვაც ავად აღარ გაისმისო. დღე იდგა ისეთი, სიამეც არც მიიკარებდა და მიდიოდა გუნებაგამოკეთებული, ასეც იქნებოდა, შინ მიბრუნებამდის მაინც იქნებოდა.

ჯერ მიბრუნება სად იყო, ჯერ სამხატვრო გალერეასკენ მიემართებოდა, ჯერ არ მისულეყო, გადახალისდა, მერე რა იქნებოდა ვინ იცის ვინ უწყის, — სიამე იქნებოდა, სიხარული თუ არა, სიამე მაინც იქნებოდა, ზოლო სიამე ზოგჯერ სიხარულზეც გადამეტებული ყოფილა; ან სიამეა, რაც არის, თორემ სიხარული რა არისო, აფოფინებდა და მეტი არაფერიო; ასეა თუ ისე, საამოდ შეხვდებიან, საამოს ეტყვიან და გამობრუნდება ნასიამოვნები. თუმცა არც დამალავს, შურის თვალიც გამოერევა სიამეთა შორისა, ეგება დამცინავიც გაემოგერიოს, ბევრმა სხვაგვარმა თვალმაც გაიეღოს, მაგრამ ის შურის თვალს დაარქმევს ყველას ერთობლივად, არც არად ჩააგლებს, იმათთანაც მივა, ხელსაც ჩამოართმევს, პირდაპირაც ჩაჰხედავს და გაუღიმებს, გაუცინებს, ვითომდა რაო, ვითომ არც გამეგება თუ რას გაუხელებიხართო, თქვენს წარმატებასაც ვისურვებო.

მეტი თავმდაბლობაც აღარ შეიძლება, სითამამეც აღარ შეიძლება მეტი, შეიძლება თუ არ შეიძლება, იმას გააჩნდა და რაც გააჩნდა, არ იშურებდა არავისთვისა.

ჰო გამოერეოდით, ეგება მართლაც გამოერია, მაგრამ იმეამდ არ შეუნიშნავს, კარგი დღე გახლდათ, ექვი გაუქარწყლა კარგმა დღემა, ალბათ შური-სა თუ სხვა რამ სიავის თვალებიც იმანვე გაქარწყლა, — ისე ციმციმებდა ჰაერი, ისე ბზინავდა, ისე ხასხასებდა, გამოაკრიალა ყველას თვალი, გამოაკრიალა და გამოახალისა. როგორც ითქვა, ისევე ჩამოჰყვა, მიესალმა და ჩამოართვა ხელი... ოღონდ ყველას როდი, როგორცა ვარაუდობდა, ვარაუდობდა და განზრახულიცა ჰქონდა, ნინოშვილის ძეგლიდან რომ დაიწყო, ქაშუეთის ბოლომდის გავიდოდა, მაგრამ გალურჯის კიბეებამდის ვიდრე მიატანდა, უფროსები გამოჩნდნენ, აირბინეს ის კიბეები, სხვანი მიჰყვნენ ჭგუფ-ჭგუფად, ფაცაფუციტა, ისიც გაედევნა იმავე ფაცაფუციტა და მხოლოდ წამოჩქურღებს თუღა გაუწვდიდა ხელსა.

გაუწვდიდა და აყოვნებდა ანუ ცდილობდა შეეყოვნებინა, შეეყვანა ნელი ნაბიჯითა, მოზომილ რკალად შეეყვანა ერთი ჭგუფი მაინცა, შესასვლელთანვე შეეჩერებინა, თუნდაც ცოტა ხნითა, თუნდაც ელვავდა, მოასწრებდა, ჩაეწვეთებინა თუ რა იყო აქ ყველაზე საყურადღებო, რა უნდა აღენიშნათ განსაკუთრებითა, სად უნდა მისულიყვნენ, მორჩებოდა თუ არა გახსნის ცერემონიალი, ან ახლავე შეჩერებულოყვნენ, რას მიეშურებოდნენ, მიმსალმებელთა ხმა აქამდისაც მოაღწევდა, ხოლო სანახავი ხომ აგერ გახლდათ. ჰო ცდილობდათ და კიდევაც მოახერხა, თითქმის მოახერხა, ფართოდ მიდიოდა, ხელის ქნევითა თუ თვალის ჩაკვრითა, როგორღაც აყოვნებდა ხალხსა, ანელებდა, აყოვნებდა, ისე, ვერც შეემჩნიათ თუ ყოვნდებოდნენ, მაგრამ რომ შევიდა იმ დაყოვნებულებიანდა, — მთავარი კარი შეიარა, მერე

შეშაბანდიანი კარიც შეიარა და შედგა ამჟამად, ვითომდა რათ, აბა ერთი მიმოხედეთო; მიმოხედეს და ჩაჰყარეს, ვიღაცას ფეხებში გამოებლანდა, იმანაც მალე აუქცია მხარი, შემდეგ სხვანი მიაწვნენ, იმათაც აუარეს გვერდი, ის იღვა ელვაციემულივითა, იღვა პირდაღებული, თვალდაჭყეტილი: აქ ეგულებოდა, ეგულებოდა და აღარ დახვდა, რაც ეგულებოდა ის აღარ დახვდა, თორემ სხვა რამ იცოცხლეთ, თვალსაჩინოდ გამოეჭიმათ, გამოეჭიმათ სხვისი ნაწარმოები, ამისი ალბათ სადღაც გადაეტანათ ან სულაც გავგდოთ გამოფენიდანა... თვითონვე დაადგმევინა, აგერ აქა, მარჯვენა დარბაზის ვასასვლელთან დაადგმევინა, თავსდასტრიალებდა, ამოწმებდა შუქის დაცემასა, გუშინწინა, გუშინ დილითაც ამოწმებდა და ასწორებდა, გუშინ დილითაცა თითქმის შუადღემდისა თუ შუადღეც გადავიდა, ღამესაც აქ ზომ არ გაათენებდა?... ესმოდა ვიღაცათა ბუზლუნი თუ რჩევა, მაგისი ადგილი მანდ არ არისო, მაგრამ არ ეგონა, ამდენსაც თუ გაუბედავენ, ასე მეტიმეტად თუ გამოაშკარავდებოდნენ. თურმე ყველაფერია მოსალოდნელი, თურმე გაუბედავდნენ, თურმე ღამე იქ უნდა გაეთია, თოფით უნდა მღგარიყო და თუ ვინმე მაინც გაუქადნიერდებოდა, ძვირად დაესვა კაღნიერება. არც ახლა დაუსვამდა იაფადა, — აგერ ახლაგაზრდა მოქანდაკეთა ჭგუფში გალერიის დირექტორს შეასწრებს თვალსა, ჯერ იმისკენ მიასწორებს, იმისგან დაიწყებს და ვნახოთ მერე თუ სად მიიყვანს დანაშაულის კვალი, დიანაც დანაშაულისა, რადგან ეს პირადი შეურაცხყოფა როდია, — თუმცა პირადიც არის, მაგრამ ბევრად უფრო დაუფასებლობაა ხელოვნებისა. ამას კი არ დასთმობს, არც არავის შეიბრალებს, ვინც უნდა იყოს, ვინც უნდა გადაუდგეს, ხელოვნება უპირველესყოვლისაო, — გულში წამოსცდება და მყისვე ტუჩს ჩაიკვნეტს, არ შეიძლება, ამ აზრის მიმდევარი რომ იყოს, არც უნდა გაიმეოროს,

არც გაიმეორებს, მაგრამ ხელოვნებაც არის და ხელოვნებაცა, თავის ხელოვნებას დაიცავს...

ამასობაში ჩურჩული მიწყდა, სიმშვიდემ ჩამოიარა, გახსნის სიტყვაც უნდა თქმულიყო და მოქმელმაც დაიწყო. ამჯერად დავიდარაბა აღარ მოხერხდებოდა, თანაც სიტყვა ხომ უნდა მოესმინა, გავეცო, ეს რაღა აზრზე შემდგარიყო, ესეც ხომ არ უპირებდა ვიბიბარუბებსა, მერე ერთიმეორეს წააკეცდა, ერთბაშად შეეცხოდა, მაგრამ არა, მოესმა თავისი სახელი და გვაჩი, მოიხსენიეს და მეტი არც არაფერი უნდოდა, პირველთა შორის მოიხსენიეს, სხვა რამ საგულისხმო აღარც ითქმოდა, სჯობდა გაერკვია თავისი ნაწარმოების ბედი. და მისაწორა გალერეის დირექტორისკენა, ისიც გამოეშურა, ალბათ აქამდისაც უთვალთვალუბდა, გამოეშურა და ანიშნებდა მარცხენა დარბაზისკენა, იქ გადავიტანეთო, თავში გადავიტანეთ, პერსპექტივაც უკეთესია, დიდებულად გამოჩნდა, აქ არ ივარგებდა, თვითონაც ჩაიკარგებოდა, სხვასაც გადაეფარებოდაო. გაიხედა და თითქოს ირწმუნა, ოღონდ დირექტორი რომ წარუდგა, ისე წარუდგა ალბათ მადლობას მეტყვისო, მაგრამ არ გაჰხანდა სიტყვის ღირსადა აღარც შეჰხედა, უკეთესია თუ უარესია, რად არა მკითხაო, თუმცა იქ მართლაც უკეთესი უნდა იყოს, თანაც თავშიაო. თავს იმხნევებდა, სიამაყეს იქმყოფილებდა, თორემ ისე, მართალი რომ ითქვას, არ გაირჩევოდა, სად თავი იყო, სად ბოლო: შემოსასვლელი შუაწელზე დაუტანებიათ, იქვე პატარა დარბაზი გახლდათ, მარჯვნივ და მარცხნივ თითოთითო ვრცელი დარბაზი ვაკიმილიყო (უფრო ვრცელი ითქმის, მაგრამ დაე რაც იყოს, იყოს, ითქვას ვრცელადაც), ოღონდ თავი საით იყო, ეს მაინც ვერ ითქმოდა. ეგება შემოსასვლელის დარბაზი ყოფილიყო თავი, საზეიმოდაც ის მორთულიყო, თავისი ნაქანდაკევიც იქვე წაუშარჯვა, თავად ინიშნა და წაუშარჯვა, მაგრამ მარცხენა დარბაზის ბოლოსაკენ დაეჩოჩებინათ და თავში გა-

დივიტანეთო, არწმუნებდნენ. ასევე სჯერა თუ მხოლოდ ამას არწმუნებს? ვინ იცის, დგას და მადლობას ელის, ეს ტუჩს იყენებს, ის ვითომდაც აქ არაფერიაო. მადლობას ელის: კარგად გაჰხედე, რა დიდებულად მოჩანსო. დიახაც მოჩანს, გულში ეპასუხებოდა, ამაყად ეპასუხებოდა, მაგრამ ეს ხელოვანის ღირსებისაგანაა და არა შენი ზრუნვისგანაო. აქ კიდევ მოესმა თავისი სახელი და ცოტა დაცხრა, იყოს, სადაც არას, ხალხი იქ მიეხვევაო. ამას მაინც არ აღიარა სიტყვა, შეხედვაც აღარ აღიარა, თავიდანვე არ უნდა შემეხებოდაო, ინანა.

ცოტა დაიხია, ფრთხილად, ფეხაკრეფით დაიხია, ხალხს ჩასცილდა, დირექტორს გასცილდა. ეს პროტესტის ნიშანიც იყო, „პორტის მუშასაც“ უფრო საგულდაგულოდ გაჰხედა და მოეჩვენა, თითქოს ცალი მხრიდან ჩრდილი დასცემოდა, ჩაბინდულიყო, ცუდად მოჩანდა; მოეჩვენა ან ასე უნდოდა უნდოდა გული დათანადებოდა, თორემ დარბაზები შექით აღვსილიყო, თავსა თუ ბოლოს, ყოველ კუნჭულს უხვად ეფარქვევოდა შექი, შემოდგომის მზე ჭერს დასდგომოდა, კრიალებდა ჭერი შუშისა, კრიალებდა და ელვარებდა. დიდი შუქისათვის, სინათლისათვის, ელვარებისათვის აეგოთ ეს გალერეა; ასლა გალერეა, ხოლო თავის დროზე „დიდების ტაძარი“, რუსული იარაღის ღრუბა უნდა გამოეჩინა, გამოებრწყინებინა და შექით აღვესოთ აქაობა. კედლებიდან ამოწეულ დაფებზე კავკასიაში გამარჯვებათა ამბები ამოებეჭდათ და იმასაც ბევრი შექი უნდოდა, კარგად წაეკითხათ, კარგად დაემახსოვრებინათ. ალექსანდრე პირველის მანიფესტიდანაც გადმოეწერათ, ანგარებას როდი მოუწყვანივარ საქართველოში, სიკეთე მოგვაქვს, ბედნიერება მოგვაქვს, უნდა გავახაროთ და გავაბედნიეროთ ქართველი ხალხიო. ამასაც შექი უნდოდა, უხვად იფარქვევოდა შექი ჭერიდანა. ბზინავდა, ბრწყინავდა ოჭროვანი წარწერები. კავკასიის ერთა, თურქთა თუ სპარსთათვის წართ-

მეუღლე იარაღიცა ბზინავდა, ხოლო მეტის დიდებითა ბრწყინავდა ეს იარაღი რითიც წაერთმიათ — რუსული იარაღი, დიდებითა ბრწყინავდა დიდების ტაძარში. შუქით აღვსილიყო თბილისის ზეცა, ხოლო ეს საკრებულო შუქისა რომის საგამოყენო სასახლიდან გადმოვდოთ, დაეპატარავენინათ, დაემცირებინათ და ისე გადმოვდოთ, მაგრამ შუქი მაინც არ აკლდა არც მაშინა, არც ახლა მოისაყლისებდა თუ არ დაევიწყდებოდათ გაწმენდა შუქის ჳერისა... რაც უნდა იყოს ეს მხოლოდ საშაროდ ფიქრობა, ჩაბინდულაო, ჳავრად ინახავდა, გამოადგებოდა, ჳაჩვრად თუ არა, მერე მაინც გამოადგებოდა.

V

საბაბი მიეცემოდა, აღრე თუ გვიან მიეცემოდა... გახსნის სიტყვები თუ მისალმებანი მოთავებულიყო, მხატვრები თუ სტუმრები ერთმანეთში არეულიყვნენ. სტუმრები ულოცავდნენ მხატვრებსა, მხატვრები ულოცავდნენ ერთმანეთსა, გამარჯვებას ულოცავდნენ, რა თქმა უნდა ყველას ყველასი მოსწონდა, ყველა აღტაცებულიყო, ყველა ამბობდა დიდებულაო. ცხადია ყველა ნაწარმოები ვერ იქნებოდა დიდებული, ერთი-ორი თუ იქნებოდა, ისიც საკითხავია და საეჭველი. კარგად მოესხენებოდათ, მოესხენებოდათ მართლაც დიდებულადა, ჳევრი სუსტი ნაწარმოები რომ გამოეფინათ, მიმხედარიყვნენ, დიდებულადაც მიმხედარიყვნენ. მაგრამ აქ არას იტყოდნენ, არას იტყოდნენ მოწონებისა და აღტაცების მეტსა, სახეზეც საეჭვოს არას შეიმჩნევდნენ, ოღონდ გამობრუნდებოდნენ თუ არა, გამოსცდებოდნენ თუ არა იმ დარბაზებსა, მითქმამოთქმაც გახურდებოდა. სტუმრები მხატვრებს გასტორავდნენ, მხატვრები ერთმანეთსა და ვნებანი შეიმბოდნენ თავგანწირვითა, სამკედრო-სასიცოცხლოდა. მხოლოდ ეს მერე, ჳერ ულოცავდნენ, დიდებულაო, ესეც ულო-

ცავდა, მხურვალედაც ეუზნებოდა, დიდებულაო, ოღონდ თავისთვის, გულში დაბეგითებულად იცოდა, „ქეშმარიტად დიდებული მხოლოდამხოლოდ „პორტის მუშა“ რომ იყო. თუმცა მართალი თუ ითქმის, ვერც თვითონ იტყვოდა, ვერც ვერავინ ახსნიდა, თვით გამოჩენილი კრიტიკოსებიც ვერ ახსნიდნენ თუ რატომ იყო ეს უსათუოდ პორტის მუშა და არა ვთქვათ, მემადაროე, მეფოლაღე, თუნდაც მშენებელი ან სხვა რომელიმე მუშა? ჳო, ახსნით ვერავინ ახსნიდა, ვერც ხელოვნებათმცოდნეები, ვერც პროფავშირების მკვლევარები, ვერც სოციოლოგები თუ სხვა ჳურის მოღვაწენი, ხოლო იაფფასიანი მორეცენზიები ხელდახელ დაუწერდნენ „თემატიური მრავალფეროვნებაო“, დაუწერდნენ და დიდადაც გაახარებდნენ, სწორედ „თემატიური მრავალფეროვნებით“ ამავობდა, თემების პირველ აღმომჩენად მოჳქონდა თავი. ქართულ ჳანდაკებაში ჳღვის თემატიკა გაეხსნა „პორტის მუშითა“. თუმცა კარგახანია უკვე დაედგათ ჳღვის ნაპირებზე თაბაშირის ვოვონა და ბიჭო მოზიდულნი ჳღვაში სახტომადა, ამასაც ენახა, მაგრამ ტუჩი აებზუებინა, უიდეობაა, ფორმალიზმიაო; არც შეიძლებოდა, საწყისად ჩაეთვალათ, საწყისი ეს იქნებოდა, თვით იდეურობა გამოცხადებული: დიდი, ძლიერი, მტკიცე, შეუვალი...

და რომ ულოცავდნენ, სჯეროდა, ვულწრფელნი არიანო, ხოლო თვითონ თუ ულოცავდა, ულოცავდა თავაზიანობის გულისთვისა, არც დიდაქტიკის პრინციპები ავიწყდებოდა, რა ვუყოთ მერე, მარცხი ვის არ მოუფა, გული არ უნდა გაფუტებოთო. მეტი კეთილშობილება არც მოეთხოვებოდა ჳელოვანსა, მერე ესოდენ წარმატებულ ჳელოვანსა...

იმას არ მიულოცნია არც ამისთვისა, არც არავისთვისა, შემოვიდა, ჳერ გამხსნელს სიტყვა რომ არ დაემთავრებინა, ყურიც არ შეუბერტყია, მაშინვე ჩამოჳყვა ნახატებსა თუ ნაქანდაკეებსა. ნაცნობებს თავს უკრავდა ანუ უფრო-ტუჩებს გასტიმავდა და თავს შეაქანებ-

და რამდენჯერმე, მხრებსაც შეათამაშებდა იმავე დროსა, ეს გახლდათ საღამო, შეიძლება მილოცვაც ეს იყო, ყოველშემთხვევაში არავისთან შეჩერებულა, ნახატებთანაც არ შეჩერებულა, მთიარ-მოიარა, თვალი მიაგლ-მოავლო და გავიდა. შემოიარა და მხოლოდ მოსინჯა თუ რამე ღირდა, რამეს თუ ედო ბეჭედი ხელოვნებისა, საგულდაგულოდ მერეღა მოვიდოდა, რამდენჯერმეც მოვიდოდა, დიდხანსაც დარჩებოდა, ჩამოჯდებოდა, იქნებოდა ასე, ნახევრად თვლებმოუქუტული, თითქოს თვლემსო, იქნებოდა ასე და განიცდიდა განსაცდელსა, გაეხვეოდა ხილვებში ჭეშმარიტი ხელოვნებისა, ამოცურდებოდა მშვენიერი, წარმტაცი, აღმაფრენი, ამოცურდებოდა და გადაივიდა; პოეზიაშიც ასევე იყო, იგივე მშვენიერი ამოცურდებოდა, გადმოდგებოდა ზეცის კამარაზე, თავისკენ ეწეოდა. სული მიესწრაფოდა, სული აღიოდა, სხეული ვერ მისდევდა, ხორცი ვერ მისდევდა მიწიერებით დაძიმებულთ, ვერ მისდევდა და განეგდო, ლანდად ქცეულიყო, ლანდიც არ უნდოდა, ლანდი მიწიერებისა, მაგრამ გადაივიდა მშვენიერი, სული მიწას უნდა დაბრუნებოდა, უნდა პქონოდა თავისი სადგური, დროებითი სადგური, მშვენიერი კვლავ ამოცურდებოდა ზეცის კამარაზე. პოეზიამ იცოდა ასე, მუსიკამ იცოდა, მხატვრობამაც, ჭეშმარიტი ხელოვნების ხილვანი ერთდებოდა და ნათდებოდა მშვენიერება. პო ჩამოჯდებოდა თვალმოუქუტული, გამონაფენთა შორის თუკი რაიმეს ედო ბეჭედი ჭეშმარიტი ხელოვნებისა, თუ არა და — ესეცა კმაროდა, შემოიბრინა, შემოათვალიერა, ბეჭებისტრევეით მიესალმა თუ მიულოცა და გავიდა. თითქოს მოეჩვენათ, თითქოს ლანდმა გადაიარა ან ღრუბელი დაეფინა შუშის ჭერსა, ღრუბელი ლანდად შემოატარა დარბაზებში შვის სხივებმა, უცებ შემოატარა და უცბადვე გააქრო, გააქარწყლა ჩად შუქში, ჩად ნათელში. მაინც იქ იყო, იგრძნობოდა ლანდი მალალი მოწოდებისა. სხვა ლანდებიც დატრიალდნენ.

ამისგან განსხვავებულნი, ბევრად პატარანი, ძალიან პატარანი, მაგრამ მშვენიერი, მრისხანენი, შმაგნი, ატულაგმვენი, ლანდნი შურისანი, ლალატისანი, სიხარბისანი, მსუნჯობისანი, გამცემლობისანი, წინაპართა გმობისანი, სხვა სახისანიცა, ყოველ სიმდაბლისანი, ტრიალებდნენ, ბრუნდდნენ, ატულალოყენენ ყოველ კუნჭულში. ის დიდი ლანდი რომ შემოვიდა, მაშინ მიილიგნენ, მიპქრნენ, გადაიკარგნენ, მალე გავიდა და მალევე წამოჰყვეს თავი, აირიგნენ, აბურდნენ, შეესკვნენ ერთმანეთსა, შესაფერის წუთს დალოდებოდნენ. მძვინვარება რომ გამოეჩინათ:

— ბიბო!.. — იმ ლანდებიდან გამოსძახეს თუ მართლა ვილაკამ იხმო, უცებ ვერ გააჩნია, საღამოს გაზეთის კორესპონდენტი გადაეღობა, თქვენი შთაბეჭდილება გვიანტერესებსო, ესეც მოახსენებდა თავის შთაბეჭდილებასა. კვლავ იხმეს. კიდევ ვერ მიხვდა თუ საიდან იხმეს, ბიბო ეს გახლდათ, ავტორი „პორტის მუშისა“. ნათლობიდან ამბროსი გამოჰყოლოდა, მაგრამ როდილა მოსწონებოდა, ჯერკიდევ მაშინვე, თავდაპირილ ყმაწვილად რომ ითქმოდა, მერე მითუმეტეს — მოწინავე მოქანდაკედ რომ აღიარეს. ზოგ პოეტსაც ვერ შეეფერებინა ნათლობის სახელი, ზოგს შეეკვეცა, ზოგსაც გამოეცვალა მკლერი ბგერებითა. ზოგსაც ნაზ, მულოდიურ ხმოვანებაში გადაეტანა, ვისაც როგორ მოუხერხდებოდა თუ მოეწონებოდა, ისე მოეგლო თავისი სახელისთვისა. ამანაც წააქეზა წამწყმიდა წახედულობამო, ნათქვამია, წახედულობამ გაკეთილშობილებაც იცისო და ამბროსი ჯერ აბიბოდ, შემდეგ ბიბოდ გადაიკეთათქმცა მუსიკალური ვერ გამოვიდა, მაინც ნაზი გახლდათ, საამო იყო, თანაც დიდად არ დაშორდა ნათლობის სახელსა. — ბიბო!.. — უფრო მეტფიოდ გაისმა და კიდევაც მიხვდა, შუადარბაზიდან მიბმობენო, სწრაფად მოახსენა თავისი შთაბეჭდილებანი კორესპონდენტსა და იქით გაეშურა.

„პორტის მუშა“ რომ უნდა მდგარი-

ყო, იქ იდგნენ ორნი, „ქალის პორტრეტს“ ჩამოჰფარებოდნენ, ის რომ ვადეტანათ, ეს დაედგათ, ამის ჩამოჰფარებოდნენ, სახე გაჰსწოდათ, ილიმოდნენ, ავად და ირიბად ილიმოდნენ ორივენი; გამოფენის მოწაწილენი თუ ჩაუვლიდნენ, მყისვე მოიგვრიდნენ საიამის ღიმილს, მიულოცავდნენ, კვლავ წარმატებას უსურვებდნენ, უდიდესი ტკბობითა, უღრმესი გულწრფელობითა, თვალთ გააცილებდნენ, გადაჰხედავდნენ ერთმანეთსა და ავი ღიმილი აეკიდებოდათ. მხოლოდ ბიბოს არ შეჰხედნენ ამ თამაშითა, პირველადვე ავი ღიმილით შეეგებნენ, გადაჰქანდნენ აქეთ-იქითა, პორტრეტი გამოაჩინეს, მოაჩვენეს და უმაღლე ჩამოეფარნენ, ვითომ შემთხვევით, ვითომცა ტოკავდნენ, ისევე მოაჩვენეს, ისევე მიადგეს მზარიმზარსა, ჩამოეფარნენ.

— შენი „მუშა“ რა უყვეს? — იკითხა ერთმა, ღრმა თანაგრძნობით გამსჭვალულმა იკითხა.

ბიბოს არ ეტაშნია ეს თანაგრძნობა, არც უნდოდა ამითან გულნაკლულობა გამოეჩინა, გულნაკლულობა, წუწუნით თუ გრძნობა შეურაცხყოფისა ღირსეულობას ამ შეეფერებოდა.

— პერსპექტივისათვის... — დაიწყო ბიბომ.

— ჰა, ჰა, ჰა... — მეორემ მოუჭრა.

— შენც დაიჯერე?! — პირველი ჩაეკითხა, — ჰმ! — წაისისინა და გვერდზე გადაგა. გადაგა მეორეცა.

— დაიჯერე და დაუთმე... — დაატანა მეორემ, გასწორდა, პირველიც გასწორდა, მზარი მზარს მიადგეს, თუმცა მზარი მზარსაო პირობითად ითქმის, პირველი დაბალდაბალი კაცი ვახლდათ, მზარმდე ნიკაბითა სწედებოდა მეორესა, მაგრამ რაც უნდა იყოს, ჩამოეფარნენ ქალის პორტრეტსა, აცალეს, ბიბო რას იტყვისო.

— რატომ?! — იუარა ბიბომ, — აქეთ მოიწით, რა კარგად მოჩანს.

— მოვიწით?! — პროექტორებსაც ხომ არ ინებებ?! ჰმ... — მწვევედ ჩაახველა პირველმა, დაბალდაბალმა, ნიკა-

ბიც გამოსდო მეორის მზარსა, — ყოველისმზრიდან რად არ უნდა მოჩანდეს, შემოსვლისთანავე ეგ რად არ უნდა ეცეთ თვალში?!

— არა, რატომ... — ბიბო შეყოყმანდა, — რატომ? — გაიმეორა, ოღონდ ძნელი გამოსარკვევი იყო თუ რასა გულისხმობდა, ამათ ეურჩებოდა თუ წყრებოდა წედანდელივითა, რატომო, რატომ გადაიტანეს აქედანაო. ეგებ ორივეც გამოდიოდა ან უღელტეხილზე გადამდგარიყო, ან აქეთ დაქანდებოდა, ან იქითა.

— დიასაც რატომო, — მეორე წაეშველა. — ეს არა სჯობიან?! — გამოეცალა, პირველიც გამოიყვანა, გამოაჩინეს ქალის პორტრეტი. სხვებმა შიაქციეს ყურადღება, ახლოს მივიდნენ, სხვებიც მოემატნენ, იცვლებოდნენ, მიდიოდნენ და მოდიოდნენ, ადგილს ინაცვლებდნენ, შეჰყურებდნენ ახლოდანაცა, შორიდანაცა. ამათ გაუჭირდათ, ველარ ჩამოეფარნენ, ზოლო ისე არაფერს იტყუოდნენ, არც ამბობდნენ, მხოლოდ ზიზღით გადაჰხედავდნენ მომწონებლებსა. როგორც იყო, დრო იხელთეს, ჩამოეფარნენ, ბიბოს გაუყარეს თვალი, არც ბიბომ დაიხია, ოთხი თვალი დაებჯინა ორ თვალსა, ორი წყვილი — ერთ წყვილსა, დაებჯინა და გასდრიკა. დიდი ხანია იცნობდნენ ის თვალები ერთიმეორესა, ჩაწითლებული წერტილებიც იცოდნენ, სისხლძარღვების მუქი ზოლებიცა გუგათა მოყვანილობა არ შეეშლებოდათ, გუგათა მიღმა ჩანაფიქრსაცა სჭკრეტდნენ, ვერაფერს გამოაპარებდნენ ერთმანეთსა, არ გაუვიდოდა, ვერ ეცრუებოდა და გადრკა. წყენა ჩაჰბუდებოდათ თვალებში, სწყინდათ თავიანთი, სწყინდათ ამისიცა, ვაგულსებულებენ თავიანთთვისა, ვაგულსებულებენ ამისთვისაცა, — ეგება თავიანთთვისა, უფრო ან მხოლოდ თავიანთთვისა, მაგრამ სულერთია, წყენა ჩაჰბუდებოდათ თვალებში და კითხულობდნენ შეწუხებულნი, რატომ, რატომო. მართლაც რატომო, — ბიბოცა კითხულობს და უკვე სხვა კილოთი კითხუ-

ლობს, ჯერ მხოლოდ თვალებითა, ჯერ თვითონაც უნდა თანაუგრძნოს თავის თანამგრძნობლებსა, ჯერ აგერ ამასა, მარჯვნივ რომ დგას, პირველად რომ თქვა და პირველი შეერთება, უნდა შეწყუბდეს, დანადგლიანდეს, ოღონდ თუ უკაცრავად არ ვიყოთ, ცოტა ძნელი მისახვედრია, სიღრმე თუ განი ნალველისა: გამოსაფენად არაფერი გამოუტანია, არც არავის არაფერი უკადრებია, როგორ თანაუგრძნოს, რა თანაუგრძნოს? ან აგერ მეორეს, მარცხნივ რომ დგას, მეორედ თქვა და მეორე შეერთება: ამას უნდოდა გამოეტანა „სამხრეთ აფრიკა“, ვეებერთელა ნაქანდაკევი, ამ კარებში არ შემოეტეოდა, ვეება ზანგი, ვეება ხელებში დამსხვრეული ბორკილებითა... დიდებულობა, უთხრეს, დიდებულობა და რად აყოვნებ, რად არ შეეკითხები, სადაც ჯერ არს, უსათუოდ შეიძენს რომელიმე ქვეყანა, ერთი შეიძენს, სხვანი უამრავს შეგიკეთავენო. თუმცა ამასობაში გამოფენა გაიხსნა, მაგრამ მერე რაო, რა აქვს საწყენი თუ შესაწყუბარი? არაფერი, არც ერთს, არც მეორეს სადარდო თუ სანადგლო არაფერი აქვს და თუ ნალვლობენ, ესოდენი წყენა თუ დასტყობიათ, მამ ამისთვის შეწყუბებულან, ამას თანაუგრძნობენ, ძველს მეგობარს თანაუგრძნობენ, თანაც გაკვირვებულან, გაოცებულან, ნუთუ გადაიტანს ამ შეუტაცყოფასაო.

შენი ნებააო, ესეც ანიშნეს, პორტრეტს ჩამოეცალენ, ამოუდგენენ აქეთიქითა...

აღარას ამბობენ, „ქალს“ შეპყურებენ- თითქოს სპილოს ძვალიაო, უგრეთი ფერი გადაჰკრავს. დიდი არაა, ჩვეულებრივი ზომისაა, ბუნებრივი ზომისა, მაგრამ ამხელა ძვალი მაინც არ უნდა ჰქონდეს სპილოსა, სხვა რაღაც მასალა, ძალიან სუფთა, ფაქიზი საესე შუქითა, საესე სიცოცხლითა, თითქოს რაღაცა უნდა თქვასო, თითქოს ჩურჩულეზსო, ნამდვილად ჩურჩულეზს. აი, აჰა, — რა ხმაურია, რომ დადუმდებოდნენ, გაისმის ჩურჩული. მაგრამ ვინ დადუმდება, გამოფენის გახსნის სიხა-

რულია, თუმცა ხმამაღლა არავინა ლაპარაკობს სიხარული მაინც სიხარულია, დაბალ ხმასაც აედერებს, აფუგუნებს დაარბაზებსა, აფუგუნებს თავისებურადა. ეს კი დუდუნებს თუ დუდუნსაც მორჩაო, ამყად შემართულა ლამაზი ყელი, ბაგე გახსნილა, ოდნავ გახსნილა, პატარა, ოღონდ წამოზურცული, ფარული ვნებით აღსაესე ბაგე; ოდნავ რომ გახსნილა, იმიტომ ჰგონიათ, ჩურჩულეზს თუ მორჩა ჩურჩულსაო. ეგება ლოცულობს ხატის წინ მდგარი, მაგრამ ამისი წარმოდგენა არ შეუძლიანთ. თვალნი მინაბულან, თითქოს არავის მისჩგრებიან, არაფერს უყურებენ, მაგრამ ჰხედავენ ყველას და ყველაფერსა არც არაფერი უკვიროთ, არც გაკვირდებიან, არც არაფერი ახარებთ, ოღონდ იციან, სიხარული რაც არის. ვერ მოუხვდები თუ ვატანჯულა, ამყია, ლმობიერიც არის, ნაზია, სათუთი, სიძლიერესაც გამოსცემს, ეს სულია ძლიერი, იგრძნობა სული, სული მშვენიერი; სახება მშვენიერია, ცალცალკეც ვერ ითქმის, რა როგორია, მშვენიერია და ცოცხალია, თითქოს ცოცხალი.

დგანან, შეპყურებენ, ბიბოს გადაჰხედავენ. ბიბო არ შეპყურებს, არც ამით უსწორებს თვალსა. სხვანი ამოუდგებიან მხარში, მოიწონებენ, ჩაივლიან. მოესწრაფიან კიდევ სხვანი, იტყვიან, გაეცლებიან. დროა ესენიც გაეცალონ, მაგრამ უნდა თქვან, ზოლო თავი ვერ დაუმართობელებით. როგორც იქნება, დამართობელებიან:

— ღლაპი წამოგვასვეს... — მეორემა თქვა.

— ღლაპი წამოგასვეს... — პირველმა დაახუსტა.

და აღარც გაჩერებულან, გარეთ გავიდნენ. დღე კიდევ უფრო ჩამტკბარიყო, ცქრიალებდა ჰაერი. მზე ეფრქვია გამოსასვლელსა, იქვე შეტარტმანდნენ. სხვანი მიდიოდნენ, მოდიოდნენ, ბელს უშლიდნენ შემსვლელ-გამსვლელთა კიბეებს ჩაჰყენენ, დაადგენენ გამოზრისა: იქობას გამოზრდნენ, ოღონდ ძალიანაც ვერ გამოზრდნენ, იქვე კაფე „თბილის-

ში“ შევიდნენ, „ტიბაანი“ მოიკითხეს და ფანჯრის მახლობლად ჩამოსხდნენ. ფარდები გადაეწიათ, მზე შემოეშვათ შიგნითაცა, მზის გულზე გაეტანათ მაგილები, ისინიც მოჰყვნენ მზის გულზედა. გარეთ ხომ იყო და იყო, მთელს ვამზირს ეფინა, მზე ისე იდგა, დაკარგულიყო ჩრდილები. მზეს ეხუხებოდა ხალხი, ნელა იძვროდა, თითქოს აღარავის ეჩქარებოთ, მიზოზინობდა, მიზოზინობდა; მიზოზინობდა და სახე უცინოდა, ყველას უცინოდა, ეს მზე იცინოდა, მზე საამო, შემოდგომისა. ამათ სახეზეც იცინოდა მზეი, თუმცა მოღუშულიყვნენ, სახე მოჭმუჭნოდით, გულიც მოჭმუხნოდით, გულამდის მზე ვეღარ ჩაატანდა, მაგრამ სახეს არ ანებებდა, დასციცინებდა, დასციცლივებდა. ბიბო მაინც გამოჩრეულიყო, მხოლოდ წარბებს შუა ჩაღარულიყო თუ ჩამუქებულოყო. მეგობრებისას ნელარ იკითხავთ, არხები გაეტანათ შუბლსა თუ ლოყებზე, იმ არხებზე ციცივებდა მზეი. ბიბო ვერე არ დაიდარებოდა თუ დაიხრამებოდა, წარბებს შუა ვაჩენილი ოდნავი ნაოჭიც ჯავრის ნიშანი იყო. ოღონდ მაინც შეეძლო, ცოტა საღად ეფიქრა, მეტი სიფრთხილე გამოეჩინა, არცთუ იოლად აჰყოლოდა გაგულისებულ მეგობრებსა... ესენი გაგულისდნენ, გასაგულისებელიც აქვთ: აგერა პირველი რომ შეერქვა, ნათლობის სახელი აქვს, გენადი ეწოდება, შინაურები გედად მოიხსენიებენ, თუმცა მაინც დამაინც დიდი ვერაფერი გეღია, ჩიბა, დაბაღისერა, წვრილთავა და აღმასახიანი, ჰო ეს პირველი ანუ გენადი „ერთგვარ შემოქმედებით კრიზისს განიცდიდა“. ახალგაზრდაბაშიც დაბნეულიყო, ისე დაბნეულიყო, ფორმალისტადაცა ნათლავდნენ, თუმცა ფორმალისმიზა ბევრი არაფერი ვაეგებოდა, მაგრამ ესეც არაფერი, საგულისხმო ისაა, რომ ნათლავდნენ, ხოლო ბევრი რომ არაფერი ვაეგებოდა, კიდევაც კარგი გამოდგა, აღლო აართვა სიბუნესა, საღ გზას დაადგა, დროზე აართვა, დროზე დაადგა. დაწინაურებულთა ქან-

დაკებებსა ჰქმნიდა, ერთხანს დაწინაურებულთა, სიამაყეც ეტახლდოდ და წარმატებასაც მიადღწია. მერე კრახლაც მოხდა, რალაც აირია და აღარ იცოდა თუ რა ეღონა, აღარ იცოდა და მგეც შენი „ერთგვარი შემოქმედებითი კრიზისი“. ჯავრის გარდა სხვა რალა დარჩენოდა, ვიღერ გადაივლიდა ეგ კრიზისია თუ რალაც დარდუბალა, — ხელოვნებათმცოდნეებისათვის კრიზისი, ასე უბრალოდ დარდუბალა და უნიათობა. აგერ მეორეცა, ნესტორი, „მონუმენტური სტილის“ მოქანდაკე, — ხელოვნებათმცოდნეების მიხედვით რა თქმა უნდა, — მონუმენტურისა და მეტროპოლი სტილისა... ამას არ ეთქმოდა „ერთგვარ შემოქმედებით კრიზისში“ არისო, პირიქით „შემოქმედებით აღმავლობაშია“, ასე გამოითქმოდა, ასეც აღნიშნავდნენ მორეცენზიენი, საჯავრელი რალა უნდა ჰქონოდა? ოღონდ მაინცა ჯავრობდა და რახანა ჯავრობდა, ალბათ იყო რალაც საერთო საჯავრელი, ამასაც რომ შეეხებოდა, ისეთი საჯავრელი. თუმცა წარმატებულოყო, ვედინე მეტად მაინც წარმატებულოყო, მაგრამ ეტყობა ლანდები გამოჩენილიყო, მკრთალი ლანდები, ამათ უკვე დაენახათ, ამას ჯერ ვერა, უნდა დაკვირვებოდა, ვაფრთხილებულოყო, აეწონდა-ეწონა, არც იოლად აჰყოლოდა, არც იმდენი დაეყოფნებინა, დოყლაპია გამოსულიყო.

მაგრამ მეგობრები რილას მეგობრები იქნებოდნენ, დიდხანს რომ დაეყოფნებინათ.

— გკითხეს? — თქვა პირველმა ანუ გენადიმა ანუ გედიმა, მეტი არაფერი მოუდევნებია, ნათელი იყო, რასაცა გულისხმობდა.

— არა...

— აკი ვთქვი. — მეორეს მიუბრუნდა პირველი ანუ ნესტორს მოუბრუნდა გენადი, ანუ გედი.

— მმ.. — ასეღა გამოსთქვა ნესტორმა, ვითომდა რაო, ეს რა მესმისო. ღვინო მოართვეს. სამივემ დასცალა თავთავისი ჭიჭა. საღღვგრძელო არ უთ-

ქვამთ, ასწიეს ტიკები, გაჰხედეს ერთმანეთსა და გამოსცალეს. პო გაჰხედეს, თითქოს შეამოწმეს ერთმანეთით, — უფრო ორი ამოწმებდა ერთსა, აგვეყვება თუ არაო. ის ორნი უკვე აპყლოდნენ ერთმანეთსა, ესეც იმათი წიბოსი გახლდათ, მაგრამ იყო წუთები, გადასცდებოდნენ ხოლმე ერთიმეორესა, წუთებიც იყო, წლებიც იყო ოღონდ წუთებად ითქვას, საუკუნეთათვის წლებიც წუთებიანო; ერთისიტყვით ასცდებოდნენ ხოლმე ერთიმეორესა, აცდენა კმაყოფილებას მოსდევდა, ერთი რომელიმე კმაყოფილებასა, ახლა შეიძლება, ესა ყოფილიყო კმაყოფილი, — იყო თუ არ იყო, ჰა, იყო თუ არ იყო?

— აღარაფერი გამეგება, — ამბობს გედი, — აღარც ნიკს მიჰხედეს, არც დამსახურებას, არც იღვურ ჩანაფიქრსა?! აღარაფერი გამეგება!..

— მართალი გითხრათ მე სხვანაირად ვიფიქრე, — ნესტორი ბრძანებს, სახეს ისე იბრუნებს, შზე ამცდეს, სიციხიერე არ შემტყოსო. — ალბათ თავისი მოწადის გამოჩენა მოინდომა, ადგილი დაუთმო, თვითონ გადაინაცვლა, ამისთვის მაინც რა მნიშვნელობა აქვს ადგილსა, ყველგან გამოჩნდება ამისი ელვარე ზელოვნება-მეთქი. ასე ვიფიქრე და თურმე ნუ იტყვიან!.. ჰმ!..

— დაფიქრდით რა ხდება, — გედი მაგიდასთან ახლოს მიაჩოჩებს სკამსა. მაგიდაზე გადაიხრება, — ვიღაცა მოქმედებს, ჩუმიად, მოხერხებულადა მოქმედებს, ფორმალისტური სკოლის აღორძინება მოუნდომებია, ახალგაზრდობის აღზრდისა თუ დაწინაურების ლოშუნგებს ეფარება და პოზიციებს იპყრობს.

— რას ამბობ?! — უარობს ბიბოი, — ვის შეუძლიან ჩვენში ამის მოხერხება?

— იმას, ვინც იცის, შენ რომ ასე გგონია, — მოუტრის გედი — ამასაც ასევე გგონია, მეც ასევე და, რაცა ვართ, ჩვენა ვართ, ხოლო ჩვენ თუ არ გვესმის და არ ვეწინააღმდეგებით, იმას ხელუბი ვახსნილი აქვს.

— ვინ იმასა?! — ძალად გაიციხებს ბიბოი, — ვინ გელანდებზე?!

— მე აღარ მელანდებზე, — დაამტკიცებთ ამბობს გენადი, ამბობს თავდაპირილი მღელვარებითა, — მე უკვე ვხედავ აი ასე, — დააჩერდება ზელის გულსა. ბიბოც დააჩერდება, თითქოს შეკრთება. თითქოს პირველადა ჰხედავს, ამდენი და ასე უცნაური ზოლები რომ არის ზელის გულზედაო. მაგრამ ეგება მხოლოდ იმ ზელის გულზე იყო ამდენი და ისე უცნაური, ქირომანტია უნდა სცოდნოდა, რაიმეს მიხვდებოდა. — ასე-მეთქი!.. ხოლო შენ რომ მოგელანდებოდეს მაინცა, შენთვისვე უკეთესი იქნება, დიას, შენთვისვე, აქედანვე გაფრთხილდები, თორემ წელს რომ სადღაც ბოლოში მიგავდეს, ეგ არაფერი, ბევრი არაფერი, მერმის ცხვირსაც აღარ შეგაყოფინებენ გალერეაში.

— ეგ როგორ იქნება!.. — სიტყვას უბიბოტებს ბიბოი.

— ჩემთვის ხომ უკვე არის...

— შენ არაფერი წარმოგიდგენია.

— ამან ხომ წარმოადგინა?

— კარვადაც უტრჩიეს...

— ჰა, ჰა, ჰა... კამერუნი შეიძენს ამის ნაქანდაკეებსა!..

— არა, ახლა, აგრეც არ არის საქმე... — რაღაცას იწყენს ნესტორი.

— აბა ელოდე. — ლეინოს დაისხამს, გადაკრავს პირველი.

ბიბოს სიტყვას გადაიტანს:

— ეს როგორაო, თამადა არ გვინდა, სადღეგრძელო არ გვინდა?

— ნეტავი შენა, — გენადი უარობს, — რა მნიშვნელობა აქვს?

— კარგი ტრადიციია, მნიშვნელობა რა საერთოა? — ედავება ბიბოი.

— ყველაფერი მომაბეზრებელია, ტრადიციები ყველაზე მეტად...

— კარგი ტრადიციები...

— რომელი კარგი ტრადიციები, — წყრება გენადი, — ვიღამ იცის?! რა იქნა უფროს-უმცროსობა?

— ერთეულ შემთხვევას ნუ გავაზ-

ვიადებთ. — ნესტორი მიეშველება მწვანე ღიმილითა.

— ერთეულია ყველაფრის სათავე, ყველაფერი ერთით იწყება და ისე მრავლდება, ველარაფერს ვიგებთ. თითოთითობით შემოგვაპარეს მოდერნული ნათიხნები და უკვე ჩვენთვის იქ ადგილი აღარ არის. — აქ შეჩერდა გედი, ჭერ ერთს დააკვირდა, მერე მეორესა და მკვეთრად დაუმატა, — თქვენთვის არ არის, მე ამდენს ვერ გამიბედავენ.

— ჩემთვისაც არაფერი გაუბედაიათ. — ნესტორმა თქვა მოთამამებულად.

— ჩემთვის მით უფრო... — არ დაახანა ბიბომა.

— მამ კმაყოფილნი და ბედნიერნი ვყოფილვართ... ასე ცალკალკე დაგიმშვიდოთ თავი და წავათამამოთ. — წყრება გენადი, — შაგრამ ვინ მოგვცა ამის უფლება, ჩვენ რაო, მეწაღეები ვართ თუ დალაქები ჩვენი საქმიანობით რომ დაეკმაყოფილდეთ?! ხელოვანნი გვექვიან და ხელოვნების ბედი გვაწევს კისერზე, ჩვენ შეექმენით ფორმისა და იდეურობის ერთიანობის ქანდაკება და ჩვენვე უნდა დავიცვათ, ჩვენ უნდა შევიჩეროთ ეს გულისამრევი ფორმალისტური ძიებანი, სხვას ვერავის დაველოდებით, სხვა არავინ შეაჩერებს.

— ფორმალიზმი ეგ ერთი საფრთხეა, — ნესტორიც ასდევს რათქმუნდა, — მერე საფრთხე სხვა მხრიდან გვემუქრება. გავიგე, თურმე თამარ მეფის ქანდაკებას აკეთებს ერთი ვინმე. ერთ ვინმეს დავით აღმაშენებლის ესკიზიც წარუდგენია. რა არის ეს, რასა ნიშნავს?! ასე თუ შეიძლებოდა, ჩვენც გავაკეთებდით, ჩვენ უფრო ადრე გავაკეთებდით.

— ფარნაოზის ესკიზები აღარავის წარუდგენია?! — წაისისინებს გენადი, ეგება პიტიაშები უკვე დაუშაადებით და ჩამოარიგებენ მცხეთიდან თბილისამდისა. მერე აეტესი, აეტესიც ზომ არავის გამოუტერწნია?.. — აქ მუშ-

ტებს შეიკრავს, — რა ხდება? საით მივექანებით? ნუთუ ბრძალე მივეყვებით?!

გამომწვევ შეკითხვას არ აპყვა ნესტორი, წინა ნათქვამს გაეპასუხა:

— აეტესისა რა მოგახსენოთ, ოლონდ ერთი ვინმე თურმე ამირანზე ფიქრობს. — თქვა და გამალიზიანებელი თვალთ მიაჩერდა გენადისა.

გენადი არ გალიზიანებულა, სკამზე შესწორდა, ჩაფიქრდა, დიდხანს როდი, მცირეხანს ჩაფიქრდა, სწრაფი გააზრების უნარიცა ჰქონდა, მეგობრების შიშიცა, არაფერს მიმიხვდნენო, ჰო მცირე ხანს ჩაფიქრდა და მერე ჩქარჩქარა განაცხადა:

— ამირანი კიდევ ჰო, ამირანი კიდევაც შეიძლება, გასაგებიც არის, ხალხიდანაა, ხალხის შვილია, ხალხისაა, ხალხისთვის იბრძვის, აქ იდეა ნათელია. მაგრამ ეს მეფეები?!

— ჰოოოო... ეს მეფეები!.. — ასდევს ნესტორი.

— ამირანი გასაგებია, — გენადივე განაგრძობს, — იმუშაოს, ვინც უნდა იყოს იმუშაოს, დიდი და წარმატაცი თემაა, ბევრ სხვასაც იყოლიებს, მაგრამ იცოდნენ, მე ვიმუშაობ დიდხანია.

მოულოდნელი განცხადება გახლდათ, ბიბომაც დაალო პირი, ნესტორმაცა. მიუხედა გენადი, ექვსა ჰგავს ამათი პირის დაღებო, მიუხედა და კარგახანს ამტკიცებდა თუ როგორა მუშაობს, როდისაქეთია მუშაობს, რა განუზრახავს, რა სიძნელეები ელობება, რა შედეგი მოჰყვება; ჰო ამტკიცებდა კარგახანსა, მღელვარედ, გატაცებითა ჰყვებოდა და ირწმუნა ბიბომი, ნესტორმაც ირწმუნა, — არც არას აკეთებს, არც არაფერი გაუკეთებია, ეს აზრი აგერ ახლა ჩაესახა და ვაი იმას, წინ ვინც გადაუდგებო. თვითონ საშიში არაფერი ჰქონდათ, წინ არ გადაელობებოდნენ, ოლონდ ისე, ცოდო გამხელილი სჯობსო, მიანც შემურდათ, მართლაც იდეური ჩანაფიქრია, რატომ აქამდის ვერ მიეხვდით ან რად არ დაეასწართ, ჩვენ რატომ არ ავიტაცეთო. რათქმუნდა თავ-

თავისთვის, ცალცალკე გაიფიქრეს, მაგრამ თვალი შეაპარეს ერთმანეთსა და თავი დაჰხარეს. მხოლოდ სინანულია დარჩენილი, ის ერთი ფიქრობსო, ეს — დიდხანია მოვიფიქრე, ყმაწვილობიდან ამ აზრს ვადვივარო, დიდი ნაწილიც ვაგაკეთეო, აცხადებს დაბეჯითებითა, სხვა რალა დარჩენილია სინანულის მეტი. ცოტა ადრე თუ მიხვდებოდნენ... იცოდნენ, მითოლოგიასაც რომ შთაეგონებინა დიდი შედეგები ჭანდაკებისა, მაგრამ მაინც ვაჟყურებდნენ გაუგებარის თვალთა, დიაღია, ოღონდ რალაც აკლია, რაც აკლია ვიცით, ჩვენთვის ხელმისაწვდომიაო, ჩვენია, ჩვენეულია, იმათ ამდენი არ ვაგებოდით, ვერც ვაიგებდნენ, რადგან ჯდრეულ საუკუნეებში დაიბადნენო. ხალხი აქ იყო, აქ იყვნენ მასები, იქ მხოლოდ ღმერთები ბრძანდებოდნენ, კმ, ღმერთები და აი ხალხი იქაც გამოჩნდა, — სამივემ დააჰყიბა თვალი, ოღონდ ერთმა დაასწრო, აიტაცა და ორი მოიღუშა, მოიღუშა და მიეცა სინანულსა.

ღენო ედგათ და სვამდნენ, ვისაც როგორ მოენებებოდა, ახლა უფრო ხშირხშირალა სვამდნენ, ერთმანეთი აღარ უნდოდით, გენადის მაინც აღარც ერთი აღარ უნდოდა. სხვა განზრახვით შეიყარნენ, ყოველშემთხვევაში თვით გენადი აპილბილებულიყო სხვა განზრახვითა, ამათაც აპილბილებდა, მაგრამ უეცრად დაცხრა, დაცხრა და მიმზიდველობაც დამკარგა, ჩამოსცილდნენ, ჩამოშორდნენ, იქვე იყვნენ, ოღონდ აღარაფერი აერთებდათ, უნდა წასულიყვნენ, დაშლილიყვნენ, მხოლოდ ფრთხილად, წყენა არ ვაჰყოლოდათ, კიდევ დასჭირდებოდათ ერთმანეთი, რა ვუყოთ თუ ძალიანაც არ ეპიტნავენოდით ერთმანეთი, რა ვუყოთ მერე, მაინც არ შეეძლოთ უერთმანეთოდ.

VI

ასეც დაიშალნენ, დაშლა მაინც დაშლა, მაგრამ ხდებოდა ხოლმე, არ ეუც-

ნაურებოდათ. სამაგიეროდ თუ საკურო იქნებოდა, ერთ მუშტადაც შეიკვროდნენ, ძლიერ მუშტადა, ისე შეიკვროდა ისე სწრაფადა, დაიბნეოდა მოწინააღმდეგე, თავიანთსას გაიტანდნენ, ფონს ვავილოდნენ, უსათუოდ ვავილოდნენ. გედი ჩადგებოდა შუაში, ბიბო და ნესტორი ამოუღებოდნენ აქეთ-იქიდანა, შეიძარებოდნენ და ვაი იმასა, ვის თავზედაც შეიძარებოდნენ. მაშინ ერთი სულსანი ბრძანდებოდნენ, ისე არაფრით მიაგავდნენ ერთმანეთსა, — დაბალი, თხელი, ჩია, სწრაფი, მარად მოძრავი და მოუსვენარი გედი; თვალმიუვალი, ჯმუხი, ძვალმსხვილი, გარეგნულად რიხიანი, მაგრამ არცთუ რიხიანი, გარეგნულად მოუდრეკელი, მაგრამ ადვილად ამყოლი ნესტორი; თვალმისავალი, წარმოსადგევი, ეჭვიანი და პატივმოყვარე ბიბო, ცხადია არაფრით მიემგვანებოდნენ ერთიმეორესა, თუ არ ვიტყვით, რომ პატივმოყვარეობის დოზა არ აკლდა არც გენადისა, არცა ნესტორისა, ოღონდ თუ ითქმის საამისოდ განსაკუთრებულად, ეს იმიტომ, ისინი ჰფარავდნენ, ეს ვერა ჰფარავდა. ეგება გარეგნობის ბრალიც იყო, — ისეთი დიდებული შესახედაობისა იყო, მოხიბლებოდა ადამიანი, მოიხიბლებოდა და იტყოდა, ორჯერ მეტი ხნისა რომ ყოფილიყო აბოლონი, სწორედ ასეთი იქნებოდაო. თვითონვე მიმხედარიყო თუ რა ღირსება მიენიჭებინა ბუნებასა, ამას მიმხედარიყო და მეტიც უნდოდა, მოსურვებოდა, ყველა ღირსებით აღვაილიყო, მაგალითად, — ნიჭიერებითა ნიჭიერებითაც მოეხიბლა ხალხი; მოსურვებოდა და თითქოს ხიბლოდა ზოგჯერ მაინცა, ან ზოგსა ხიბლოდა, ცოტასა ხიბლოდა, ბევრს ვერა, ხან თითქოს ის ცოტაც არ გამოიყურებოდა საინგდოდა, მაშინ გაუღიზიანდებოდა ეჭვი, პატივმოყვარეობა გაუშიშვლდებოდა. გედი რაო, ან ნესტორი რაო, — ბევრი არაფერი, ასეთ წინააღმდეგობაში არ მოჰყვებოდნენ, არც გაშიშვლდებოდნენ ეგრე ადვილად.

და მაინც ერთად თუ იდგნენ, ერთ პეტიტად თუ შეიკვროდნენ ერთი სულითა, გარეგნულადაც ველარ გამოარჩევდით, თითქოს ერთი სახისანი იყვნენ, ასლნი ერთიმეორისა. ფერი ფერსათ... ახლა დაშლილიყვნენ, აღარ იყვნენ მსგავსნი ერთმანეთისა, თავთავიანთი სახე მიეღოთ, ჩაჰყოლოდნენ თავთავიანთ საფიქრალსა.

სხვისა რა მოგახსენოთ, ოღონდ ბიბოს საფიქრალი ძნელად როდი წაედინებოდა, ცოტა წამახალისებელი, ცოტა ამტაცებელიც იქნებოდა. არა თუ? — როგორ არა! ჯერ იყო და მსხვილი ასოებით გამოაქვეყნეს იმისი ინტერვიუ, იქვე სურათი გამოხატეს ამისიცა, ამისი ნაწარმოებისაცა, მერე მისდგნენ ხელოვნებისმცოდნეები თუ მორეცენზიენი, მიესიენ და ღმერთი აღარ მოიგონეს, — ესაო, თემატიური სიახლეო, ისაო, გადაწყვეტის თავისებურებაო, ესაო, კომპოზიციური მთლიანობაო, ეს ესაო, ის ისაო, რაც გაეგონათ, რაც ითქმოდა, ყველაფერი ზედ დაახვავეს. დიდი გაძლება უნდოდა, მაგრამ ღონიერი მხრები ჰქონდა ბიბოსა. გაუძლებდა, ვითომ რატომ ვერ გაუძლებდა ქებასა? ზოგისთვის კილება თუ ლანძღვა ამოდიოდა იმავე იდიომებში, ამოდიოდა და იმათ ედავათ, იმათთვის თავს არ გაიციხლებდა ბიბოი; ან რად უნდა ედავათ. ჭკუა მოეკრიფათ, ბიბოსგან ესწავლათ თემების შერჩევა და ოპტიმისტურ გაქანებათა გადმოცემის ხერხები. სწორეთ ამითი გამორჩეულიყო, ოპტიმიზმითა და თემატიური სიახლითა. ახლა ზღვას მჟაღგა, „პორტის მუშით“ რომ დაიწყო, უფრო ღრმადაც შეიჭრებოდა, უფრო შორსაც გაიჭრებოდა, „შორეული ცურვის კაპიტანს“ შეჰქმნიდა. ეს აზრი წამოუტეგეტივდა და აფოფინდა, გედმი ამირანს უტრიალოს, ერთი ფეხით, რა გამოვა, მე შორეული ცურვის კაპიტანს გამოეძერწავო. მაშინვე მოსძებნა მორეცენზიენი, ზოგს გამოფენაზეც შეხვდა, ზოგს დაურეკა, ზოგთანაც დააბარა, — პორტის მუშა ნაწილია დიდი ჩანაფიქრისა, მოჰყვება სე-

რია სკულპტურულ ნაწარმოებთა, ერთერთი ამათვანი იქნება „შორეული ცურვის კაპიტანი“, რასაც ამ საგზაფხულო გამოფენაზე თუ არა, მომავალ საშემოდგომო გამოფენაზე მაინც წარმოვადგენო. ესეც გამოქვეყნდა. გედმი არ დააყოვნა, დაურეკა, წარმატებას ვისურვებო. ცხადია ბიბომაც არ დაიტოვა ვალი, აღმათ ერთან წარმოსდგებიან შენი ამირანი და ჩემი შორეული ცურვის კაპიტანიო. ამ გაზაფხულზე თუ მომავალ შემოდგომაზეო, — ჩაეკითხა გედი. ყოველ ღონეს ვიხმარ გაზაფხულამდისაო, — ბიბომ მიუგო. არა, გეთაყვა, გედმი მოადევნა, მე სერიოზულადა ვმუშაობ და დრეიფობა კარგახანს გამოიხანგრძლივდებაო. ბიბომაც უსურვა წარმატებით დამთავრება დრეიფობისა, ცოტა გესლიც გამოურია ხმაში, მაშ რაო, რასა ნიშნავდა ეს გადაკრული ლაპარაკი, მე ხომ გულწრფელად ვუსურვებდიო.

ამასაც შეჩვეულიყვნენ, ასეთებსაც მიუტეგებდნენ ერთმანეთსა ან ღრმად ინახავდნენ გულის კუნჭულში, ოდესმე იფეთქებდა ან არც იფეთქებდა, იქნებოდა და იქნებოდა მიჩქმალული, მიყრუებული, ახალ-ახალი გატაცებანი თუ შეუჩნდებოდათ, ამირანიც ახალი გატაცება გახლდათ, თუმცა — ფუწი მე! — ასე იცოდნენ, უნებლიეთ თუ რამე წამოსცდებოდათ, ახლაც ასევე იციან ბავშვებმა ჩვენში, ჰოდა ფუწი მე!.. გედი ირწმუნებოდა. ძველი გატაცებაო, ირწმუნებოდა და ვერწმუნოთ, რად არ უნდა ვერწმუნოთ? ოღონდ მაშ უკვე დასასრულს მისდგომოდა, ხორცს ისხამდა დიდი ჩანაფიქრი, დასასრულის სიხარულში იქნებოდა, ნირს ვერ შეუშლიდა მცირე გესლი, ბევრიც ითქვას, შურიც ითქვას, ვერაფერი შეუშლიდა ნირსა, გამოფენას თუ ჩაუვლიდა, გედივით ჩაუვლიდა, მერე რათ ჩინა კაცი თუ გახლდათ, სხვა რამე გახლავთ სიხარული შემოქმედისა, ჩაუვლიდა გედივითა, კაფეში თუ ჩაჯდებოდა, იქაც აყვლელებოდა გედივითა.

— ამირანი ხალხია, — ღეინოსა წრუ-

პავლა და ეუბნებოდა ბიბოსა, — ამირანი გოლიათია, ხალხის გულიდან ამოვარდნილა და იმიტომაც არის გოლიათი. გოლიათს ხალხი შემოპხვევია გარშემო, ანუ ხალხი თვითონ არის გოლიათი. გოლიათს გველეშაბი აუტაციანი ხელში და ახრჩობს. გველეშაბს სასა დაუფრენია უსასოდ, კუდსაც უსასოდ ასხმარტალებს. ასეთია ჩემი ქანდაკება. რას იტყვი, მოგწონს თუ არა? ორიგინალური გადაწყვეტა არ არის?

— ორიგინალურია, — ეთანხმება ბიბო, — მეტისმეტად ორიგინალურია. თუმცა შეიძლება ვინმეს ლაოკოონი მოაგონოს, მაგრამ ეს მხოლოდ ძალიან შორეული მიმგვანება იქნება. მსგავსებას ვერავინ იპოვნის.

— ვერავინ რათქმაუნდა!.. — მტკიცედ ამბობს გედი, — სად ის, სად ესა? ლაოკოონი საცოდობაა, მამა-შვილებს ახრჩობს გველი, გველში გახლართულან ადამიანები, თავი ვერ დაუხსნიათ, აღარც იმედი აქვთ თავდახსნისა. ეს უიმედობა დაღად ამჩნევია კლასიკურ ქანდაკებას, უიმედობა, სასოწარკვეთა და ტრაგიკული მოღუშულობა. მე სხვა-სა ვქმნი: გველეშაბი სხმარტალებს ადამიანის ხელში, ხოლო ეს ადამიანი ხალხია, იღვა ხალხია... როგორ შეიძლება ლაოკოონს შეადაროს ვინმემ ჩემი ამირანი?!

— როგორ შეიძლება!.. — ბიბო ემოწმება და ცოტაარიყოს შერს. შორეული ცურვის კაპიტანიც ასევე ხალხის გულიდანაა, გარს ახვევია ხალხი, მგზღვაურები ახვევია, მგზღვაურებიდან ამოტაცებულა, ასე იქნება, ასე გამოვა, მაგრამ ეს გველეშაბი მაინც კარგი მიგნებაა; კარგი თუა, მით უკეთესი, შორეული ცურვის კაპიტანს ბევრად უფრო ბუნებრივად მოერგება გველეშაბი. მხოლოდ უხერხულია, იგივე კომპოზიციას ხომ არ გაიმეორებს? თუმცა მოიკათ: გველეშაბი ძირს გაწერთხმობა, პიდესტალი იქნება შორეული ცურვის კაპიტანისა. მეტი ორიგინალობა აღარც შეიძლება, არც ამის ამირანს მოგვაგონებს, არც ლაოკოონსა,

არც არავისა და არაფერსა. იმან ჯერ კიდევ ბევრჯერ უნდა ამტკიცოს, სცილდება თუ არა ლაოკოონსა, ამტკიცება არ მოუხდება.

— თუ იქნება ვინმე, ისევ ლესინგი, ჰა, ჰა, ჰა... — ღვინოსა წრუბავს და იცინის გელი.

— ჰა, ჰა, ჰა... — აპყვება ბიბოცა, ამას თავისი მონაფიქრი ახარებს.

ამ განწყობილებისას მიუხსრო ნესტორმა, ისე განაწყენებულოყო თუ გაკვირვებულოყო, სალამიც დაავიწყდა; ან ისე ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთსა, სალამიც არეოდათ თუ აღარც ახსოვდათ. ყოველ შემთხვევაში იმწუთს ნაწყენობა უფრო ემჩნეოდა. ამათ თვალეში ასცილებოდათ, ის შემოვიდა კოპებშეკრული.

— „ქალის პორტრეტს“ არ შორდებიან, ვერ გამივია, რამ გადარია ხალხი, — წაიბუზღუნებს კოპშეკრული ნესტორი, — საოცარია, ზოგჯერ როგორ დაიბნევიან ხოლმე!..

— ზოგჯერ უცნაურობა ჩაივლის ხოლმე, სენივით ჩაივლის, და ყველას ერთბაშად მოედება. — გედიმ თქვა თითქოს დამამშვიდებლად.

— ეს უგემოვნობა უფროა, — აზუსტებს ნესტორი.

— უგემოვნობა იყოს, — არ უხირდება გედი, — სენი ყველაფრისაა, უგემოვნობის სენიც არის. მთავარია ჩვენ არ მოგვედოს ეგ სენი.

— ჩვენ?! — ნესტორს უკვირს, — ეგლა გეაკლია!..

— ხალხსაც გაუფლის. გემოვნებას ჩვენ განესაზღვრავთ.

— როდემდის?! — ცოტაარიყოს დამიცინავად იკითხავს ნესტორი, — მაღე ჩვენი მოწაფეები დაგვიდგენენ გემოვნებასა. — აქ თვალს ჩაუკრავს გედისა, ვითომდა რაო, შენ რას მეკამათებო, ვნახოთ ერთი, ეს კაუბატონი რასა ბრძანებსო.

— ჩვენი მოწაფეები ჩვენს გზას განაგრძობენ, — გედივე მიუგებს, არად ჩაუგდებს თვალის ჩაყვრასა.

— შენი, რათქმაუნდა, ჩემიც რათქმა-

უნდა, სხვა გზა არც ექნებათ, მაგრამ ამისი? — უკვე მოუკიბმოუკიბავად იკითხავს ნესტორი.

— ამისიცა... — გედივე გაეპასუხება.

— „ქალის პორტრეტი“ როგორღაც სხვას მოასწავებს...

— მერე და ვინა სთქვა, ვითომც ჩემი მოწაფე იყოს?! — უკვირს ბიბოსა, — მხარს ეუჭერდი, ვენმარებოდი, სულ ეს იყო, მხარდაჭერა სხვა რამე გახლავთ, მასწავლებლობა კიდევ სხვა რამეა; არც იმას დავმალავ, მინდოდა აღმეზარა, მაგრამ თავიდანვე შეეატყე, რაღაც აკლდა... არ ითქმის, თითქოს უნიჭო იყოს, მაგრამ, რაღაც აკლია, ხოლო ნაკლოვანი მე მოწაფედ არ გამომაღგებოდა.

— რათქმაუნდა!.. — წაუშველება გედი, — ჩვენი სტილი სხვაა, ჩვენ ჰეროიკული სტილი დავამკვიდრეთ და ჩვენი მოწაფეც ის იქნება, ვინც ამ სტილს განაგრძობს. მაგრამ ვინ განაგრძობს?! როგორღაც შეეჭვებს ჩვენი ახალგაზრდობა.

— რატომ?! არიან... — არ ეთანხმება ნესტორი.

— თითოოროლა... თითოოროლა, — მიუგებს გედი, ისინიც მუხლმოუმაგრებელნი და უდიდამონი. ისევ ჩვენ გვაწევს მთელი სიმძიმე და კიდევაც აეიტანთ. მოდიეთ, დავლიოთ სადღეგრძელო ჩვენი ამტანობისა.

დავლიოთო და დალიეს, მხოლოდ ნესტორს არ დაუღევია, არც მოუწრუბნია, ჭიქა ასწია, ეჭირა ხელში, გაპყურებდა ჭიქასა, თითქოს ღვინის სიწმინდეს ამოწმებსო, მაგრამ ეტყობოდა, მეგობრებს უფრო ამოწმებდა, ღვინოში თუ უნდა გამოერჩია ლექი მეგობართა ფიქრებისა. მაგრამ ღვინო არ იყო ბუნებრივი, ლექი არ მოუჩანდა, ათასნაირი საშუალებებით დაეწმინდათ, ლექი ეგრე იოლადაც არ დაუფარდებოდა; ვინ იცის წმინდა არ იყო იმათი ფიქრებიცა, ლექი მაინც არ შეეტყობოდათ, იკრიალებდა, ვითარცა ეს ღვინო, ვითომ ბუნებრივი, ვითომ თავნკარი; კე-

თილი, არც ეს გამოირეგს ლექსა, ესეც იკრიალებს. წარბს გაპხსნის, თველებს ააციმციმებს, ააღლვარებს კბილებსაცა; ოღონდ ფრთხილად, ცოტა ერიდეთ, თქვენვე არ გაგკრათ, ერიდეთ და მეტი გულწრფელობა გამოიჩინეთ, რის ამტანობაო, რა ამტანობაო, ვითომ რაღა შეგიძლიანთ, თუკი ოდესმე მაინც შეგიძლოთ. ე ბიბო კიდევ ჰო, დაე იყოს კმაყოფილი, კმაყოფილი თუა, მაგრამ შენა, პატივცემულო გედი, ბატონო გენადი, შენ ვითომ რაღამ გაგაბრყველა ასე, ამირანმა?! ჰა, ჰა, ჰა... ჭირჭილებს ნესტორი, ჭირჭილებს და გაპყურებს ჭიქასა, თუნდაც ათასს კიდევ მოგაწვდის ეგეთ თემასა, ათასერთი გამოგივია, ზღაპრული ათასერთი, თავსაც არ აიტკივებს, გაიფონებს და მოგირბენინებს...

— რა გაქირჭილებს? — იკითხავს გედი.

— არაფერი, — უბრალოდ მიუგებს ნესტორი, — იქ ვილაც-ვილაცანი ამბობდნენ, ვენერას მოგვაფონებსო...

— „ქალი“?..

— „ქალი“...

— ეგება მართლაც...

— სხვებიც ამბობდნენ...

— ვენერასო... — ბიბოც ჩაერევა.

— ერთ ვინმე ნაცნობს, ვინმეს მახლობელს, ძალიან მახლობელსაო.

— ვისა?.. — ბიბო იკითხავს.

— ძალიან მახლობელსაო...

— მაინც?... — თვალს გაუყრის გედი.

— რაც უთქვამთ, იმას გავიმეორებ, მე არაფერ შუაში ვარ და მე ჩემდათავად ძალიანაც არა მკერა, მაგრამ გამეორებით კი გავიმეორებ, მხოლოდ თქვენთანა, სხვაგან არსად, ცხადია არსადა.

— მაინც ვისაო?..

— ამ ჩვენ მეგობარს... ამ ჩვენი მეგობრის... ერთსიტყვით, ბიბოს მეუღლესაო.

— ჰა?! — ბიბო შეიცხადებს.

— ხალხი უცნაურია... არა, სასაცილოა...

— უცნაური. — გედი შეუხსოვრებს.

— უცნაურობაცაა და უცნაურობაცა, მაგრამ ეს უცნაურზე უცნაურია, განა ჩემი მიუღწევე იმას დაუდგებოდა ნიმუშად?! რა მოსაფიქრებელია ან რა გასამეორებელი?

— არც ვენერა დაუდგებოდა ნიმუშად, — უმოწყობს გედი, — მაგრამ სილამაზე ერთნაირია, ცოტაცაა მიახლოება იმ ერთნაირს, იმ ერთს გვაგონებს, რაც უფრო მეტია მიახლოება, მით უფრო ერთნაირად აღიარებენ.

— ოოო... ნეტავი ეგ სიტყვები იმ ყმაწვილს ესმოდეს, ცას ეწევა სიხარულითა. — ისევ ქიჩილებს ნესტორი.

— ის ყმაწვილი რა შუაშია, — გედის უკვირს, — ნიმუშზე ვამბობ... ვენერასა და ეთერს ვამგვანებ.

— მაგრამ ვენერა მხოლოდ ქანდაკებით ვიცით...

— ცხადია იმ ნიმუშს ჩვენ ვერ მოგვესწრებოდით...

— არც ამას, — ცხარობს ბიბო, — არც ამასა ჰყოლია ნიმუში და ვენერას თუ ჰგავს, ვენერას იმეორებს, პლაგიატია, ამას რა დიდი გამოცანა უნდა?!

— ახალგაზრდისაგან მეტს რას უნდა მოელოდე...

— ახალგაზრდა უნდა ჰბაძევდეს, მაგრამ მინაბაძი არ უნდა გამოჰქონდეს გამოფენაზე.

— არ უნდა გამოატანინონ. — მოსკრის ბიბო.

— კომისიაში შენა ხარ, — თვალს მოჰუტავს გედი.

— მე გავეცალე... გასაგებია... ჩემიც იყო.

— შენცა ხარ.

— მაწყენინეს და... — მხრებს აიჩეჩს ნესტორი, — შენა?

— ავად ვიყავი. — ცრუობს გედი. ბიბოცა ხედება, ნესტორიცა, არ შენიშნავენ, პირში არა სწვდებიან, ყოველ სიტყვისას რომ ეცნენ, დრო აღარ დარჩებათ აღარაფრისათვისა. ჰო იცრუა, თვითონ რომ აღარაფერი გააჩნდა, აღარც აღარავისა თუ აღარაფერს ეკარებოდა, აღარაფერი მოსწონდა, ყველას ცხვირს უბზუებდა, რალაც აწ-

ვებოდა ყელში, რაღა რალაცა, ბოლმა აწვებოდა, სხვათა ნაწარმოებებს რომ დაინახავდა, ბოლმა აწვებოდა და გარბოდა, არ დავიღრწოთ. მეგობრებისათვის გასაგები იყო, ამიტომაც თუ არა სწვდებოდნენ პირში, — ამიტომაცა და იმიტომაცა, ერთსიტყვით არ უხიროდებოდნენ და იმასაც ვაჰქონდა თვისი. — მე ავად ვიყავი, თქვენ მოერიდებით და აი რა მოხდა!.. ვიღას ვაბრალებით? ჩვენი ბრალია და ჩვენვე უნდა გამოვასწოროთ. კიდევაც გამოვასწორებთ, სიტყვით კი არა, საქმით გამოვასწორებთ. მალე გამოფენაზე „ამირანს“ გამოვიტან, შენ „შორეული ცურვის კაპიტანს“ წარმოადგენ, შენ „აფრიკას“...

— მე არაფერს... — იბუსხება ნესტორი.

— გამოიტან!.. — ბრძანებს გედი, — და მეტიც რომ არაფერი იყოს, მეტიც იქნება, არ დაგავიწყდეთ, ოღონდ მეტიც რომ არაფერი იყოსმეთქი, მაინც აღარაფრად გამოჩნდება ეგ მინაზუბული შტრიხები. ყველაზე დიდი განცდა ჰეროიკაა, ჰეროიკა ჩვენი სტიქიაა. — და თითქოს განდიდდება ამას რომ იტყვის, კიდევ კარგი პატარა გახლდათ, უფრო დიდი უფრო დიდადაც აზრდებოდა, ავიდოდა, ამაღლდებოდა, ეგებ ველარ დატეულიყო იმ დარბაზში, ჰერი აეხადა თუ აენგრიო: უბედურება მოხდებოდა. ჰეროიკის წინაშე ყველა ქელს იხრის. ეგენი... ვინ არიან ეგენი?! პიგმეი... — მოსკრის სუფთა რუსული აქცენტითა.

— მე არ გამოვიტან!.. — მაინცა ურჩობს ნესტორი.

— მაგას შეიძენენ, — ამშვიდებს გედი, — რათქმაუნდა, წაიღებენ, სათაური პირობითადა ვთქვი, სხვასაც შეჰქმნი, ცხადია ამავე სტილში, ამიტომაცა ვთქვი „აფრიკა“ მეთქი. არ გამოიგო, თითქოს...

— არ გამოვიტან, მორჩა და გათავდა! — არა სთმობს ნესტორი.

— გამოიტან, — ბიბოც ჩაერევა, — მანამდის ბევრი დროა, ბევრი რამეც

ნესტორი და რალაც სიქლესის იერი ას-
დევს ლოყებზე, თუმცა აქ იმდენი სიქ-
ლესე არა სჭირდება, მაგრამ რაზან ჩამ-
კვიდრებია, არცა შორდება.

— თუმცა ვისი რა საქმეა, — უცებ
გაწყურება გედი, — მითხარით ერთი,
ვისი რა საქმეა?!

— არც არავისი! — უდასტურებს ნეს-
ტორი.

— მაგრამ მეგობრობა სხვა რალა
არის?!

— არც არაფერი! — მიაღვენებს
ნესტორი.

— ჰოდა სხვა არც არაფერი რომ არ
არის, გეინდა, იცოდე... რაზან ჩვენ ვი-
ციოთ, შენც იცოდე... ვითომ ჩვენა
გეცოდნია და ვითომ შენა გეცოდნია...
მუშაობის შემდეგ, სახელოსნოს მტვე-
რის ჩამოსაბერტყად კარგი არის გა-
სეირნება ქალაქს გარეთა და ცხადია
მარტო არა... — მოსწყვიტა გედიმ, ან
რალა მოსწყვიტა, მოათავა და თვალები
დახარა, ვითომ და რაო, ეს რა წარმოს-
თქვა ჩემმა ბაგემაო, დაე დადუმდეს
ამიერიდანაო.

ნესტორსაც დაეხარა თვალი, ჭოქებს
ავსებდა, თითქოს არც არაფერი გამი-
გონიაო.

— გინდა თქვა, რომ... — კრინტი დას-
ძრა ბიბომა, თავშეკავებულადა, დინ-
ჯადა, ღრმადდაჭერებუღვითა.

— გეინდა ვთქვათ... — გედიმ შეუს-
წორა, — მე ნესტორისაგან ვიცი...

— თუ მე გავიგე შენგანა?!

— ახლა ეს რა სადაოა?!

— ბევრი არაფერი, მაგრამ...

— მაგრამ რა?!

— არაფერი, არაფერი, როგორც გე-
ნებს.

— შენ თუ გადაიფიქრე, მე რალა
მრჯის? არაფერი იყოს, თქვით სად-
ლეგრძელო! — ჭიქას აიტაცებს გაბუს-
ხული გედი.

— სადლეგრძელოც ითქვას და ყველა-
ფერი ითქვას, — ლბება ნესტორი, —
მე განა უარსა ვარ...

— მე უკან დახევა არცა მიგეცია, —
იტყვის გაბუსხული გედი, — გამოფენის

ვახსნის წინა ღამეს, კვირაძალზე, მაგა-
ლითად ამბობენ, მრავალთაგან ერთ მა-
გალითადა, სამადლოში ყოფილან, აღ-
მათ „ქალის“ წარმატება დალოცეს.
რათქმაუნდა ეს არავისი საქმეა, არც
არავის ეხმის ცუდადა, ჩვენ ყოველშემ-
თხვევაში არა...

— ცხადია არა! — შესძახებს ნეს-
ტორი.

— მაგრამ იმიტომ მოვახსენებთ, ასე
რომ უარობ, არამცდარამც ნიმუშად
არ დაუდგებოდათ, მხოლოდ ამიტომა,
სხვა აზრით არა, რათქმაუნდა, არა!
ჩვენთვის, ხელოვანთათვის აქ გასაკვირი
რა უნდა იყოს, რამდენ მხატვარს გა-
მოუყენებია ნიმუშად თავისი მეუღლე
და მერე რამდენი საუკეთესო ნაწარ-
მოები შექმნილა.. რამდენს სატრფო!..
ამაში ცუდი არაფერია, პირიქით, კარ-
გია!.. შენ რას იტყვი?

— კარგია!.. — უდასტურებს ნესტო-
რი, — რალა თქმა უნდა, სტუდენტები
ხომ არა ვართ ლექციას გეციოთხე, ის-
და გეკვლია, მაგალითები ჩამოგვითვის-
ლო!

— ჰოდა ყველაფერი გასაგებია, —
უბრალოდ განაგრძობს გედი, ვითომ-
დაც აქ არაფერიაო, — ოღონდ კარ-
გია, როცა კარგი ნაწარმოების ნიმუში
ხარ, ხოლო რალაც ძიებების ნიმუშად
თუ იქეცი...

— თქვენ ამბობთ, გამოფენის ვახსნის
წინაო... — თითქოს შორიდან, თითქოს
გულჯრილად გამოიძახებს ბიბოი.

— დიახ!

— კვირაძალსაო...

— დიახ!

— წუხელის კი არა, იმის წინა ღა-
მეს...

— დიახ!

ბიბო ოდნავ ახველებს, ჭიქას აიღებს,
ჭიქებს მოუჭახუნებს, დალევს, აღარა-
ფერს ამბობს, არც არაფერი ეხატება
სახეზე. საეჭვო არაფერი აქვს, თუ უეჭ-
ვოდ არ შეუძლიან, ამათი ნათქვამია
დასაბუთებელი: იმ ღამეს განაწყენდა ღა-
ლალოსთან გავიდა, იქ დაჰყო, ბავშვთან
მოიოხა გული. ეს ჭეშმარიტებაა, ბავ-

შემა უთხრა, ხოლო ბავშვის პირით
ქეშმარიტება დალადებსო. რაღაც მოგ-
ლანდებით ანდა სცრუობთ, აშკარადა
სცრუობთ, მარცხს გაუხელებიხართ,
შური მოგრევიათ და იგესლებით, მე-
გობარიც აღარ დაგინდვით, იგესლე-
ბით შხამმორეულნი. იგესლეთ, ამას ვე-
რას დააკლებთ, ამისთვის ნაცნობია
გესლი თქვენი, არც თვითონაა ნაკლებ
გესლიანი; იგესლეთ და დაიმედდით, მა-
ლე გავაოცებთ ხალხსაო. დაიმედდით,
ხო დაიმედდით და ჩვენც შევესწრებით
თქვენთა იმედთა აღსრულებასა. ვნახოთ
რა გამოვა, ვნახოთ თუ რა იქნება შენი
ამირანი ან შენი აფრიკა თუ სხვა რო-
შელიმე მატერიკი, ვნახოთ თუ როგორ
დაახრჩობს კაცი გველუშაპსა თუ მახრ-
ჩობელა გველსა, როგორი იქნება ლაო-
კოონი ოპტიმისტური; შევესწრებით თუ
რა აუარებელი შეკვეთა მოვა შენი ძეგ-

ლისა, უამრავი სახელმწიფო ჩნდება,
უამრავი, აქამდის უცნობი, ვველა სხვა-
ბოლოდ დაიდგამს შენს ნაქანდაკვესა,
განსაკუთრებული ქარხანა უნდა აგიგონ,
ისე შეკვეთებს ვერ აუხვალ ამ საუკუ-
ნეში, მამა გიცხონდა! შენც გიცხონდა!
გიცხონდათ!.. ჰო თქვით, კიდევ რა მოგ-
ფიქრებით ან მოგლანდებით, იგეს-
ლეთ, შური საშინელი ბოლშაა, არ
დაიხრჩოთ, გესლად გამოიტანეთ, ბოლ-
მა მოინელეთ და მოითქვით სული. მე-
გობარია და გირჩევთ მეგობრულადა,
თქვენც ხომ მეგობრობით გამოუტყ-
დით, ესეც გირჩევთ მეგობრულადა,
სხვას არავის ურჩევდა, სხვა დაე დაიხ-
რჩოს, თქვენ არა, თქვენ ჭვარი გწე-
რიით, მეგობრობაზეც რომ აიღოს ხე-
ლი, მაინც არ გაიმეტებდით, დასჭირდე-
ბით, კიდევ გამოადგებით, ანთხით გეს-
ლი, ბოლმა მოინელეთ...

ქართული „ავრორა“

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საიუბილეო ზე-
იმში კრებისერ „ავრორაზე“ მონაწილეობა მიიღო მისმა ძველმა გა-
მაჟმა.

I

ცაში ვარსკვლავი სკდება ასობით
და შუშუნებით ცა იმტყვენება.
იფიქრებ: ცა და მიწა აზროვნებს
სროლით, ფერებით
და ანტენებით.
დგანან ბებერი მესღვაურები
და შეპყრუბენ ბებერ კაპიტანს,
მოგონებათა წყება უღვევი
შუქივით დგება ზღვათა ქაფიდან.
ჰა, ჯაფნოსანზე ლენინი დგება,
ჰა, მოლოდინში მიწა ცახცახებს.
ლენინის სიტყვა და ხალხის ნება
კარებს შეუმტყრევს ზამთრის სასახლეს.
დგანან ბებერი მესღვაურები
და შეპყრუბენ ბებერ კაპიტანს,
მეც მათ სინარულს ვეზმარუბენ,
მეც მათეზური ერჟოლა ამიტანს.
მათ ხომ ილიჩის სიტყვა ნაქები,

რევოლუციის გზა და არჩივი,
სამოქალაქო ომის სანგრები
ტანზე ეხვიათ პატრონტაშვიით.
მოგონებათა ტყერი უღვევი
მირაქებივით დგება ქაფიდან,
უკვე ბებერი მესღვაურები
თვალს უსწორებენ ბებერ კაპიტანს...

II

რეიდზე დგება
კრებისერი მზის დროშოვანი —
რევოლუციის დარაჯი და მაცნე მომავლის.
მიდის, მიცურავს,
წინ მიუძღვის ოქტომბრის შუქი,
მიდის და ზეგრავს გზას შეუცდომელს.
მოვა დრო,
როცა „ავრორას“ ქუხილს
მთელი სამყაროს ქვეშეხები ხმას
შეუწყობენ.



როგორც ტანმორჩილი სახედარი
თბილისს გადმოადგა ოქროყანა.
აპრილმა ნუსის ნაფერთალი
პირდაპირ სახეში მოგვაყარა...

ეზოში თამაშობენ ომობანას...

ხეებზე ჩიტები წრიალებენ,
ხეებქვეშ დედები ფუსფუსებენ.
აკვნებს და ბუდეებს ნება-ნება
ეყრებათ ყვავილის ბუსუსები...

ბავშვები თამაშობენ ომობანას...

აგერ რტოზე დახტის შრომანივით
პირველი ვლდაა თუ სტრიქონია

ოთახში ზღვის ფსკერი შარიშურობს,
ამოდის... ნათლება სიმფონია.

გარეთ კი თამაშობენ ომობანას...

და, როგორც შემოქმედმა ბიბლიაში
სამყარო გააჩინა ქაოსიდან,
სწავლულმა რიცხვების მირაქიდან
ზუსტი განტოლება ამოზიდა.

ბავშვები თამაშობენ ომობანას.

გლეხი კი ხნულზე დაბარბაცებს;
ომში წასულები აგონდება
და ხნულში მუჭით ყრის განა მარცვლებს—
შემოქმედის ფიქრსა და შთაგონებას.

ბავშვები თამაშობენ ომობანას.

სინამდვილა და ზღაპარს უძრის



ტყეში შევდივარ და ხედ ვიქცევი,
 ხეში შევდივარ და ხის სული ვარ,
 ზღვაში შესული ტალღად ვიქცევი,
 მთაში ბილიკად გახიზნული ვარ.
 მსურს, ყველა ბონდი გადავიარო,
 გადავიწვიმო მეტყვეის ქოხში,
 გადავიარო ის მთა ფრიალო
 და სიჩუმისგან დავიხსნა კოშკი.
 აიზღაზნება ლევენდა ციხით,
 როგორც დამფრთხალი ბებური ძერა
 და სივრცის იქით
 და დროის იქით
 რაღაც ახტრალურ სივრცეებს ზვევრავს.
 მსხვილ-მსხვილ, ჟანგისფერ ტიანტველებად
 ქვებზე მიცოცავს ჯაჭვის პერანგი,
 თითქოს ხილვავ ან გახსენება
 ძველი სიკვდილის და ფათერაკის.
 მინდა ვაზივით წამოვაცუნო
 ქვაზე მტირალი ეპიტაფია,
 ვკრიფო ყურძენი ქვაზე ნამყენი,
 როგორც შაირი ანდა კაფია...
 აი გვირაბიც —
 ღამის სახელო
 გარედ ხელივით ყოფს მატარებელს
 და მოლოდინში დევლავს ამხელენ
 გზები,
 ხიდები
 და პატარები.
 ზოგი სადგური წითელქუდა,

ტყე კი მგელივით უპირებს შეჭმას,
 სინამდვილა და ზღაპარს უძრის
 და მირაჟივით ცისკიდურს შერნა.
 სადგურებს

თითო მუჭა ბაზარი
 კალათებივით უდევთ მუხლებზე.
 მზე ჩამავალი ტყვეს აზანზარებს,
 ჩრდილის საბურტყად გადის მუხებზე.
 ხოლო მუხლუსო

მუხის ფოთლებთან
 გააზრებული მეტაფორულად,
 დრომ თავის თავში ვერ გამოჰკვტა,
 როგორც მარტივი რაღაც ფორმულა;
 იგი ფერს იცვლის, როგორც მირაჟი
 და, როგორც აზრი,

სრულყოფას ეძებს, —
 გადადის უფრო რთულ ფორმულაში
 და მატარებლად მიჰყვება რელსებს.
 ეს მზე,
 ეს მითი
 დამსურეთ ქუდად,
 მიწისქვეშ პაპის სული მიცხონეთ,
 სინამდვილა და ზღაპარს უძრის
 და აქ სიკვდილი უძრის სიკვცხლეს
 და მაინც ეტვი, როგორც კოშმარი
 არავინ მკითხოს, რატომ მდევნიდა.

თითონ სიკვდილმაც ვერ ამომშალოს
 სამყაროს ამ დიდ განტოლებიდან...

იპაიეთი... გიორგობისთვა

I

გიორგობის თვეში
 ნუნუა წვიმს ჩვენში,
 გაღმეილი ოჩოკოჩი დაჩინდრიკობს ტყეში.
 გარბიან და გამორბიან გზები ალთა-ბალთას
 და ღლაბუცობს ოჩოკოჩი ოქროსთმიან ალთან.

რა ხანია, არღნის ხმები აღარ ესმის იმერეთს,
 დოლ-გარმონით აფიცებენ მაჭახელა სიმღერებს.

ეპ, არღანო ჩემო „კუკლა“, ვინ ოხერმა გიყვლა,
 მო, შურთხივით ამიფრინე მოკრიახე სიმღერა.



თქვენი ძველი პატრონები, თითქო არაფერია,
გადიდებულ სურათიდან ჩემად გადმოგვეცქერიან.

მაშ, არღანო, ძველებური ქანგი დასხლიტე,
გაიხსენე სახლიკაცთა ომში წასვლის დღე...

გიორგობის თვეში
გულს გაუდის რეჩხი,
გინდ ყოფილხარ იმერეთში, გინდა სამოთხეში.

II

იმ დღეს ღვინო მოიწყურა ნალვლიანმა გლეხკაცმა,
მერე არღანს ეკურგურა და ცხენივით შევაჯამა.

გადავარდა... სოფელ-სოფელ დაიარა მოყვრები,
იქეიფა, მოითხა გული მოსაოხები.

არ დაღლილა არც სიმღერით, არც ხუმრობა-ხარხარით,
აჭახჭახა, აზღუქუნა, აღრიალა არღანი.

(სანამ ტყვია დაცხრილავდეს ჯარისკაცის ფარაჯას...)
თავის წილი სიხარული იმ ორ დღეში დახარჯა.

ჭკოცნიდა და ესვეოდა ვაზის რქას თუ ხარის რქას,
სიმიინდს ფეხზე აყენებდა წამოქოჩრილს ქარისგან.

მალღარსა და გულა-ლეღვებს შეჭხაროდა ქვემოდან...
ალბათ ტანი თუ უგრძნობდა, რომ ვერ დაბრუნდებოდა

ეჰ, არღანო, ახლა ვხვდები, თურმე რანაირი ხარ,
ეს რა მოგდის, შე ბებერო, მღერისხარ თუ ტირისხარ?

გიორგობის თვეში
გულს გაუდის რეჩხი,
გინდ ჩასულხარ იმერეთში, გინდა სამოთხეში...

ბებეკი მუხლან

ეს ორი დღეა, მეტების უკან
უფრო მატულობს ხალხის ყაყანი.
კლდეზე ყანწივით ჰკიდია შუკა
და ხიდისთავში ტირის არღანი.
ჩამწინილებულა შიგ ძველი ხმები,
ბაზრის ტიჰყინი, კინტოს ქადილი
და ახალ დროში ძველ ამბებს ჰყვება
გამორიყული კიდობანივით.
გუნდად ესხვევა არღანს ბავშვები
და შეყოვნებას ლამობს მზის ჩასვლაც.
ეს შეღამება და მირაეები

ალბათ არღნიდან ამოიზღაზნა,
ერთი შეხედეთ, რა საღამოა,
რა სიწყნარება მაღლით ამგებია.
ორთაჭალაში ბადე ამოაქეთ
აფართქალბულ მუხამბაზებით.
იღვრება ძველი დარდი არღნიდან,
იღვრება, როგორც ღვინო ტიკიდან,
რაც ახარებდა ერთდროს მიკიტანს
და რაც ახარებს ახლაც დახლიდარს.
არღანია თუ ბაზრის დახლია,
ძველი სურნელით სულის ამგებია?

ზედ კალმახივით კუდებს ასლიან
გაცოცხლებული მუხამაზები.

შელამდა... კაცი შეუყვია აღმართს,

გაბრუებული ხმების თილისმით.

მიდის, მიათრევს დანჯღრეულ არღანს

თითქო მიქონდეს ძველი თბილისი..

• • •

მინდორში წევს ლაბა ხარი

ბებური და რქანაყარი.

რქებზე ადგას ჯილასავით, რაც ბიბლიურ

დროს გადმოცდა:

გლების ლოცვა,

ლეგენდები

და გალობა ანგელოსთა.

მინდორში წევს ლაბა ხარი

ბებური და რქანაყარი.

კუდს აიჭნევს და მოწყენას ჭინჭლასავით იგერიებს

და სიზმრებში ხარის ქედით მოაბოტებს იბერია...

აგონდება, ესინმრება რაც ოდესღაც უხაროდა:

ბოჩოლობა, მოხვერობა.. ბუბუნი და ბუღრაობა.

• • •

მინდა სისხამზე წამოვბტე დილით
და სანადიროდ წავიდე მარტო

და ძაღლთან ერთად თოფიან ჩრდილით

მინდვრად გიგანტი კალია ვხატო.

მხარზე შევისვა მზე კაბუეტი,

ღამით კარავზე დაგბერტყო ზეცა,

ცეცხლთან ქალაქის ჭორი გავბუტო

და ხის შამფურზე მწყერივით შევწვა.

აი, ეს თქორი, ჯორა ბეოლები,

აი, ეს მიწა, ეს ყანა მზრდიდა —

ეს მწვანე ფიქრი და გაურთოლება,

რომ ამოზრდილა წინაპრის ძვლიდან.

მუზა და ძელქვა!

ორი ტიტანი,

ორი ქართული ბიბლიური ხე,

მათ ჩემი ფიქრი ბავშვობიდანვე

მწვანე ფოთლებად ჩამოვურიგე.

ვზივარ და ასე დაღლამდე ვუჭვრეტ,

მათი ძალ-ღონე სულში შევეუმი.

ასე წვეთ-წვეთად და უკრედ-უკრედ

გადავიზრდები მათ ბრგე სხეულში.

შეჩერდი, წუთო...

ასეთ წყალობას

ბუნება განა ყველას ანიჭებს,

გადიდდი, წუთო...

წარმავალობას

მე შენი მადლით გადავაბიჯე...

მელოდია გოგონა შაბაძეაშვილი



მაჩაბლის ქუჩაზე კვლავ შევხვდით
ერთმანეთს,
ცოტა კი შევცბუნდი და წაგხდი,
ღმერთმანი
მე ის სიცხადეში უთქმელად მიყვარდა,
უთქმელი, ალალი და თან მიაპიტე.

— ბატონო გიორგი, 'ო, რა გამიხარდა,
ცოცხალი ყოფილხარ-მეთქი და...
ავტირდი...

რას აღარ ვუყვები... თანაც მეეჭვება —
იქნება სხვა არი, მეშლება-მეთქი...
არა, არაფრით არ შემეშლება
ხარის თვალეზი და ხარის ქელი.

შენი სიტყვა და საქმენი გეახსოვს
სადმე ჭირია ან თუ ლხინია,
ჩვენო უთქმელო, კეთილო კაცო,
გადაჩუბილო ჩვენო ღვინია.

ვიცი, მწარეა ამო გარჯა,
ვიცი, ცეცხლისგან დარჩა ნაცარი,
ვაითუ ისევ ურჯულოდ დარჩა —
ბაბოს განათვლა ვერ მოასწარი...

შენ ახლა წლები არ გემატება
ეს მე მტკიერთავენ წლები-ზოდები.
დრო გადის, მაგრამ კი არ გშორდები,
უფრო და უფრო გიახლოვდები.

მკვდრის მზე პორიზონტს


მუჭაში იმწყვდევს...

უკვე ნელდება ქალაქის სიციხე...
ქუჩას კი არა
თავის ბწკარს გააყვია,
გაეიდა ყოფის... სიკვდილის გაღმა.
ხნულივით დარჩა კვალი ნაცნობი,
კვალი კი არა, შარა ნამდვილი,
და მკვდრის მზე,

როგორც ნათელკაცობა,

მხრებზე დაადგა შარაგანღვივით.

და ეს სიზმარი,
როგორც სურვილი,
დღემდე რომ ველარ მომითოკია,
გამიფრინდება მოლალურივით
და ატირდება:
„ბიჭო გოგია“ —
„ბიჭო გოგია...“



3. სოლოხინი

პარპრა ივანოვი

სუფრას ვუსხედით და ვსაუბრობდით. ყველაფერი რაც შესაქმელი იყო — შევქაშეთ და რაც დასალევი — დავლიეთ. ახლა მიაგიღაზე იდგა მხოლოდ ცარიელი ჭიქები, ასეთივე ცარიელი ნაერბოკვერცხალი ტაფა და ორი თევში: ერთზე ახალი ხახვის ნარჩენები იდო, მეორეზე კი პური. ჩემს ვარდა აქ იყვნენ კუდრიაშოვი, რომელიც რაიონების გამსახვილებამდე ჩვენი რაიკომის მდივანი იყო, ახლა კი ოლქში მუშაობდა, რაიკომის (ახლებურად პარტკომის) ახალი მდივანი გრიგორიევი, სოფსაბჭოს თავმჯდომარე ზორისოვი და სარემონტო სატრაქტორო სადგურის დირექტორი ლეონიდ კონსტანტინეს ძე კოროვინი.

გულახდილად უნდა გითხრათ, პირველი სამი გვარი გამოვიგონე, არ მინდოდა ეთქვათ: ერბოკვერცხს ზედმეტი ას-ასი გრამი დააყოლესო, ლეონიდ კონსტანტინეს ძე კიროვიანის დაფარვა კი არ შემეძლო, რადგან სწორედ ის მოგვიყვა პატარა, მაგრამ მეტად ღირსშესანიშნავ ავზავს, რომელიც მინდა ხალხს ეუამბო.

მერედა როგორ გვიამბო? თითქოს პროფესიული ლიტერატორი ყოფილიყოს. ზედმეტს არაფერს ჰყვებოდა. მხოლოდ მთავარ დეტალებს გადმოგვცემდა, კაცი იფიქრებდა, თავის უკვე დაწერილი მოთხრობის შინაარსს გვიამბობსო.

მერე რა რომ ერბოკვერცხს ას-ასი გრამი დაეყოლეთ, მანამდე ხომ მთელი დღე ორი პატარა მანქანით დაეჩაქჩა-

ჭებდით საკოლმეურნეო მინდვრებსა და ბრიგადებში, ნათესების მდგომარეობას ვამოწმებდით: საღ ამოწვერა და საღ არა. წლელუს ხომ უჩვეულო გაზაფხული იყო: შუა აპრილიდან ზაფხულივით ოცდაათ გრადუსიანი სიცხე დაიჭირა. ახლა კიდევ აღმინისტრაციული თავგამოდებით გატაცებულმა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ (თავმჯდომარედ 1937 წელში დაბადებული ახალგაზრდა ზოტაქნიკოსი დააყენეს) ყველაფერი აურდაურია. დისციპლინის განმტკიცების მიზნით კოლმეურნეობის გამგეობამ გადაწყვიტა ჩამოეჭრათ საკარმიდამო ნაკვეთები მათთვის, ვინც კოლმეურნეობაში არ მუშაობდა, კარგი იყო ასეთი გადაწყვეტილება მიეღოთ: გამოუსწორებელ ზარმაცებსა ანდა სხვაგან მომუშავე აღამიანების მიმართ, მაგრამ, როგორც ჩვენში ხშირად ხდება ხოლმე, ზედმეტი მოუვიდათ. მაგალითად, ერთი მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობს გვერდზე მოქცეულ ქონში. ვიდრე შეეძლოთ საკოლმეურნეო სამუშაოებს ასრულებდნენ, ახლა კი აღარ შეუძლიათ. ოთხმოც-ოთხმოც წელს გადააცილეს. ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი? ახლა ისინი დაბალ სკამზე უნდა ისხდნენ და თავის ბოსტანს ჩიჩქნიდნენ. სულ პატარა ადგილი ჰქონდათ, რომელიც მათში უძოვარათი, ივნისში კი დვალურათი და გვირილებით ყვაოდა, მის გვერდით კი ცოტაოდენ კარტოფილს თესდნენ. მართალია, ოთხმოც წელს გადააცილეს, ისიც მართალია, რომ აგერაგერ უნდა მოკვდნენ, მაგრამ ორი წე-

ლოწადიც რომ იცხოვრონ ჭამა ხომ უნდათ. ეზოც ჭირდებათ, კარტოფილით დათესილი ადგილიცა და ბალ-ბოსტანიც. მით უმეტეს, რომ კოლმეურნეებს პენსიას არ აძლევენ.

და უცხად გამოაქვთ დაღვენილება — ნახევარი საკარმიდამო ჩამოერთვითო.

ასეთი რამ ვის გაუგონია? მიწა რომ არა გექონდა, ბოსტანს იქით, სულ ბოლოში ერთ ციცქნა ადგილზე ცოტაოდენი შვრია დავთესეთ ქათმების საკენკალო.

რას ამბობ ვინ დაუგდო ყური, დამუშავებული და დათესილი ადგილი ჩამოაჭრეს. ისიც კი არ მოიფიქრეს დაბარჯულა თესლი დაებრუნებიათ. აი რას ნიშნავს ახალგაზრდობა და გამოუცდელიობა.

ანდა მეორე შემთხვევა ავიღოთ. კაცმა მთელი თავისი ცხოვრება მოსკოვში გაატარა, ჯერ კიდევ რევოლუციამდე გადასახლდა იქ, კოლმეურნეობას კი არ გაქცა — გადასახლდა. ქარხანაში მუშაობდა, ასე ვთქვათ, მთელ თავის ცოდნასა და ძალ-ღონეს ხალხს ახმარდა. შვებულების დროს კი ყოველწლიურად შინ ბრუნდებოდა — სოფელში, სადაც წყლის პირას სახლი ედგა, სახლს უკან კი ბალი ჰქონდა გაშენებული.

პენსიაში რომ გავიდა, სულაც სოფელში ვადმოსახლდა, სუფთა ჰაერზე. ამასობაში ბალი დაშვენდა, გალაპხდა, თანაც წესიერად მოვლილი იყო. ხილს არ ჰყიდდა, თვითონ მიირთმევდა და სიამოვნებდა. პენსიონერისათვის თვითონ ღმერთს უბრძანებია მიწა ჩიჩქნე და ბაღს მოუარეო.

და ამ დროს მოკლოდნელად გამოდის დაღვენილება: მოსკოველ პენსიონერს ჩამოერთვას მისი კარმიდამო და მისივე გაშენებული ბაღიო. ესე იგი მხოლოდ ის მიწა დარჩეს, რაზედაც სახლი დგასო.

კოლმეურნეობის თავ მჭდომ არეურევს, რაიონის ბელმძღვანელობამ კი უნდა ირკვიოს და თავი იმტეროს. პოდა აბა რაღა გასაკვირველია, რომ ამ სიციხეში, ასეთ მტვრიან გზებზე მთელი დღე ჯაგჯაგით დაქანცულებს ზუთი სა-

ათისათვის ძალზე მოგვეშვიდა და დროის ქონზე შემწვარმა ერბოკვერცხვს სწორედ სულზე მოგვეწრო.

საუბარი თანდათან ფილოსოფიურ თემაზე გადავიდა. სახელდობრ, არ ვიცი რასთან დაკავშირებით, ვიხილავდით საკითხს სად არის საზღვარი ადამიანის, ვთქვათ, ძალისა თუ ამტანობისა და შეუძლია თუ არა კაცს თვითონ იცოდეს ეს თავისი შესაძლებლობა. თუ არსებობს რაღაც დაფარული რეზერვები, რომელთა არსებობა წარმოუდგენელია, მაგრამ რომლებიც უეცრად ჩაერგვიან საქმეში და ამ საქმეს თავს დაადგამენ.

დავიწყეთ სხვადასხვა ჰაგალითების მოყვანა.

ერთხელ ომის დროს, — თქვა ერთმა. — მტრის გარემოცვიდან გამოვდიოდიოთ. ძალიან დაღლილები ვიყავით, ვფიქრობდით: კიდევ ერთი კილომეტრი რომ გავიაროთ, იქვე გავთავადებით, სული ამოგვძვრება, ფეხის გადადგმა აღარ შეგვეძლო. ორგანიზმის რეზერვები დაილია, მაგრამ ამ დროს გერმანელმა რაც ძალი და ღონე ჰქონდა შემოგვიტია და კიდევ ორმოცი კილომეტრი თითქმის სირბილით გავიარეთ. აბა თუ ბიჭი ხართ ამისხენით ეს საოცარი ამოცანა.

— მეც ერთი შემთხვევა ვიცი, — თქვა მეორემ. — ერთმა მეომარმა გაყინულ დნებარში ყინულის ნაწიბურზე ჩამოკიდებულმა ყელამდე წყალში რვა საათი გასძლო, რადგან სხვა გზა არ ჰქონდა, თავი რომ ამოეყო მაშინვე ავტომატებით დაცხრილავდნენ. წარმოიდგინეთ, რვა საათი გაყინულ წყალში იჯდა და სურდოც კი არ შეჰყრია, რას იტყვიო?

მეც გამახსენდა საოცარი და ამ შემთხვევისათვის სანაიქუშო ამბავი, რომელიც ყოფილმა მეზღვაურმა მიშა გოდენკომ მიაწვო.

მათი საესკადრო ნაღმოსანის გემბანზე, უეცრად სიღრმისეული ნაღმის ასაფეთქებელი მექანიზმი ამუშავდა. ორმა მეზღვაურმა ტაკიანი გაიგონეს, და რადგან კარვად იცოდნენ, რამდენიმე წამის შემდეგ ნაღმი აფეთქდებოდა,

ხელი სტაცეს მას, ლეერებზე გადააგორეს და ზღვაში გადაუშვეს. ნალში მხოლოდ მას შემდეგ აფეთქდა, რაც ნალმოსანმა გვერდით ჩაუქროლა. მაგრამ საქმე ის არის, რომ იმავე მეზღვაურებმა შშვიდ ატმოსფეროში ლერებზე გადააფორეს კი არა, ერთი სანტიმეტრითაც ვერ აავლიჯეს გემბანს ისეთივე ნალში. ნეტავ საიდან გაუჩნდათ ესოდენი ძალა ამ საბედისწერო წამებში?

— ეგ რა არის! — აღაპარაკდა უცრად კოროვინი. ყველა ეგ ამბავი უბრალო რამ არის იმ შემთხვევათან შედარებით, რომელიც მე ვიცი...

და შან შემდეგი გვიამბო.

— ერთ სოფელში (მან დაასახელა სოფელი, რომელიც ოცი კილომეტრით იყო ჩვენგან დაშორებული) კოლმეურნეობის მუშაობას გამოწმენდით. მუშაობისაგან დაღლილ-დაქანცულები, ბრიგადირთან წავედით დასანაჯრებლად.

ბრიგადირი ორმოციოდე წლის ქალი ტატიანა სერგეევნა იყო. კარგი სახლი ჰქონდა. სახლის ოთხივე ფანჯარა ქუჩაში იცქირებოდა, ფანჯრების წინ ყვავილებით სავსე კალათსავეთ ესმინი ყვაოდა, თუმცა ჩანდა, რომ ამ ყვავილების მოსავლელად დრო არ ყოფილათ. თვითონაც იცით — ან ერთი უნდა გააკეთო ან მეორე — ან ბრიგადირად იმუშაო ან ყვავილებს მოუარო.

ბრიგადირი კი ქვრივი იყო. შარშან დაემარბა ქმარი. სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცი რითი მოჰკვდამოდა, ესე იგი რა სწეულებას გადაეტანა. მგონი, კუჭის წყლულს. ან იქნებ კუჭის წყლულსაც ზრავ ვერ მოგატყუებთ, თანაც ამას მნიშვნელობა არა აქვს. ფაქტი ის არის, რომ ქვრივი იყო.

წინა ოთახში ყველაფერი წკრიანობდა, იატაკზე სხვადასხვა მიმართულებით საფენები ეფინა, ქოთანებში ყვავილები ხარობდა, ფანჯრებზე ჩითის ფარდები ეკიდა. ხატებზე მოჭარბული პირსახოცი იყო ჩამოფარებული, მათ წინ კი წითელი კანდელები ენათ.

ეს რა ამბავია? — მივესრუეთ ქალს. —

გამგეობის წევრი ხარ, პარტიის წევრი. როგორ არა გრცხვენია?

ტატიანა სერგეევნამ თვალთ ფიცრის ტიხარზე გვიანშნა და თითქმის ჩურჩულით გვითხრა:

— დედა მიკვდება, მითხოვა ხატების წინ კანდელები დაანთეთ. გუშინ ვაზი-არეთ.

ტიხარს უკან შევიხედე და საწოლზე გამოტილი დედაკაცი დავინახე. მაგიდაზე დადებულ მიცვალებულსა ჰგავდა. ცხედარდით გულხელდაკრეფილიც იყო. სახეც მკვდარს მიუგავდა. სახის კანი გაყვითლებოდა, ლოყები ჩაცვენოდა, ტუჩებს სილურჯე გადაჰკვროდა, ცხვირი წაწვეტოდა, წარბსზედა რკალები წამოშვეროდა და გახსნოდა, ხელებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, სანთელივით გაყვითლებოდა. სახეზედაც ნაცრისფერი დასდებოდა. ერთი სიტყვით დღეს თუ არა ხვალ მოკვდებოდა. ტყუილად არ უთხოვნია, მაზიარეთო.

— ჰო, თავისი ყანა მოუქვია, — ვთქვი მე, როცა ტიხარს უკნიდან გამოვედი და სუფრასთან მივედი. — რაღენი ხნის არის? ალბათ ოთხმოცს — გადაცილებული იქნება?

— ოთხმოცდა მეექვსეშია, — დამიდასტურა ტატიანა სერგეევნამ. — რათქმა უნდა, თავისი ამქვეყნიური მოვალეობა შეასრულა. შვიდი სული ვაზარდა. ორი ქალი სხვაგანა ჰყავს გათხოვილი. ოთხი შვილი გერმანელებთან ომში დაეღუპა. ერთი ახლახანს მოუკვდა (ეს თავის ქმარზე თქვა). მოკლულ შვილების შემდეგ შვილიშვილები დარჩა. ისინიც ხომ უნდა ვაზარდა. ახლა აღარც ერთი არ არის აქ. აქეთ-იქით გაიფანტნენ. ერთი ვლადიმერშია სატრაქტორო ქარბანაში, მეორე მოსკოვში (ინჟინრად მუშაობს), გაიზარდნენ და თვალთ აღარ გვინახავს, ოჯახს მოწყდნენ.

როგორ გგონიათ, ეს ჩვენი სახლი რომ ასე წკრიანობს, ჩემი წყალობაა? სადა მაქვს მე, კოლმეურნეობის ბრიგადირს ამისი დრო. დილიდან საღამომდე ფეხზე ვდგავარ და ძარღვებდაკიპული ვშრომობ. ასე რომ, ეს ყველაფერი მაგისი

წყალობით არის. გარდა ამისა ჩემ სამ ბავშვსაც ეგ უვლიდა. პატარა ორი წლინახევრისა მყავს, უფროსი ექვსისა. რა გაეწყობა — ასეთია ცხოვრება.

მეოთხე დღეა რაც წევს. უცბად მოტყდა. სამი დღე და — მორჩა. სანთელივით ქრება. აი თქვენ შლანძღავთ კანდელები რატომ ანათე და რატომ აზიარეთ? მერედა სხვაგვარად როგორ შემეძლო? მთელი ოთხმოცობა ჩუთი წლის განმავლობაში ეს არის მისი ერთად ერთი და უკანასკნელი თხოვნა, უკანასკნელი ნაშლელი (გულითადი) სურვილი ამ ქვეყნად. არა, ჩვენ სხვანი ვართ, მოხუცები კი სხვანი. დაე ისე წავიდნენ, როგორც მათ ურჩევნიათ, როგორც მათი ბნელი თვალსაზრისით ადამიანურად, კაცურად ეჩვენებათ.

ამ ლაპარაკში რომ ვიყავით, მოგვაგონდა, რომ ვარვარა ივანოვნაზე როგორც მკვდარზე ისე ვლაპარაკობდით, ის კი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და, ვინ იცის, იქნებ ჩვენი ხმაბლად ლაპარაკი ესმოდა კიდევ, მხოლოდ არაფრის თქმა არ შეეძლო. გოშს მოვედი, ხმას დავუწიეთ, შემდეგ კი ლაპარაკის თემა შევცვალეთ.

ვიღრე ერბოკვერცხსა გვამდით ოთახში ტატიანა სერგეევას სამი ბავშვი შემოვიდა. უფროსმა რუსთვალემა, ქერა ბიჭუნამ სეროიკამ უკვე უცხოებთან მისალმება იცოდა. ოთხი წლის ჩაპუტყუნებული, ლოყებდაჟდა მასა, რომელსაც ვანიერი პერანგი ეცვა მოცხარის ფაფაში ამოსვრილიყო, ორწლიანბევრის ვოვოჩკა კი მაშინვე დედას ეცა, მუხლებზე აუტოცდა და თითით საქმელზე ანიშნა. ყველანი ფეხშიშველები, მაგრამ მოვლილები იყვნენ, შხრუნველი ქალის ხელი ემჩნეოდით და თუ ცოტაოდენი უსუფთაობა ეტყობოდათ ეს ალბათ დიდედას ავადყოფობის ბრალი იყო და ამ ოთხ დღეში მომხდარიყო.

ბრიგადირი რაიონში უნდა დაგვებარებინა თათბირზე, მაგრამ რაკი ვნახეთ, რომ სახლში ნახევრად მიცვალებული ჰყავდა, ვუთხარით, ნუ ჩამოხვალ-თქო. ბევრი საქმე ელოდა: კუბო უნდა გაე-

კეთებინა, სამარე გაეთხრევირებინა, ქელეხის თადარიგიც დაეჭირა, სოფლის ჩვეულების მიხედვით, გარდა ამისა გულაც ხომ დამწუხრებელი ექნებოდა. თუმცა დედამისი მოხუცი იყო, მაგრამ დედის სიკვდილი რამდენი წლისაც არ უნდა იყოს, საწყენია და გულსატენი.

მეორე დღეს თათბირი გვექონდა რაიკოში. შუა თათბირის დროს მღვიანმა ქალმა ტელეფონთან დამიძაბა. იმ კოლმეურნეობიდან გვირეკავდნენ, სადაც წუხელ ერბოკვერცხი გვამეთ: გუშინ სალამოს სასილოსე მანქანის მოვარდნილმა ნაწილმა მოჰკლა ბრიგადირი ტატიანა სერგეევანაო. მაშინვე უნდა წაესულიყავი, საქმე გამერკვია. და ან როგორ არ უნდა წაესულიყავი? თავხარი დამცა დაუჭერებელმა ამხავმა, რომ ჩვენი ტატიანა სერგეევანა ორმოცი წლის წარმოსადეგი, ღონიერი და ცხენივით გამძლე ქალი მომკვდარიყო. იმაზე უკეთესი ბრიგადირი არ იყო მთელს ჩვენს ზონაში.

ექიმი წავიყვანე და კოლმეურნეობა „აზბედაში“ წავედი. სასილოსე ორმოცივე, სოფლის დასაწყისშივე ჰქონდათ, ასე რომ მაშინვე ვნახეთ მომხდარი უბედურება. თუმცა რა ვნახეთ? სასილოსედ დაჭრილ სიშინელს ზემოდ იწვა ჩვენი ტატიანა სერგეევანა. დალიანდაგებული ქუროთუკი ეცვა და მამაკაცის ტყავის ჩექმები. პირდაღმა იწვა, სახე გვერდზე ჰქონდა მიბრუნებული. რკინის ნაქერს საფეთქელი შეემტვრია. ხელები მიწით ჰქონდა მოსვრილი, როგორც ბრიგადირს სჩვევია. სანახავიც აღარაფერი იყო. უკვე მთელი ღამე აქ. ამ სილოსზე წოლილა. მანქანის ძარაში ჩავდევი, რომ საავადმყოფოში წაეღოთ გასაკვეთად. მეც რაიონში უნდა დაებრუნებულიყავი, მაგრამ თვალწინ გუშინდელი სურათი წარმომიდგა თითქმის გარდაცვლილი მოხუცი დედაკაცი და სამი პატარა ბავშვი.

იმათ რალა ეშველებათ? რა დავმართათ? ერთბაშად გამიელვა თავში. ცარიელი სახლი, მიცვალებული დედაკაცი და სამი ბავშვი, რომლებიც მკვდარს,

გარს ახვევიან. ან ვინ იცის, გარს კი არ ახვევიან, შიშით სკამქვეშ ან მაგილის ქვეშ შეშქვრალან და არ გამოდიან.

მანქანა ავამუშავე და მესამე სიჩქარით სოფლის მეორე მხარეს გავქანდი, სადაც ოთხფანჯრიანი ყვითელი სახლი იდგა, რომლის წინაც ბაღში გადაჯიშებული ეასმინი ყვავდა.

მანქანა დავამუხრუჭე, გადმოვბტი, კიბეზე ავირბინე და შიშით კინალამ გული არ ვამისკდა, როცა ფეხზე ამდგარი ვარვარა ივანოვნა დავინახე ვედროთი ხელში.

— ცოცხალი ხარ? არ მომკვდარხარ? — უნებურად წამოვიძახე მე. სხვა რა უნდა მეკითხა? იმდენად ვიყავი და-

რწმუნებული, რომ დედაცაი უკვე მკვდარი იყო.

— მერე ამათ რა ვუყო? — სკამქვეშადა გადააქნია თავი ვარვარა ივანოვნამ ოთახისკენ, სადაც შვილიშვილები ეგულეობდა. — ვთქვათ, მოგვედი, მერე ამ ობლებს ვინ მოუვლის? როგორც ჩანს, ჩემი დრო არ მოსულა. სიკვდილისთვის დრო არა მაქვს. სახლში შემობრძანდი...

ვინდ დამიჯერეთ ვინდ არა, მას შემდეგ სამა წელმა განვლო, ის კი ისევ ცოცხალია, ნახევრად გარდაცვლილი რუსი დედაცაი ვარვარა ივანოვნა ცოცხალია და სიკვდილისათვის ვერ მოუცულია. საოცარია საიდანა აქვს ამდენი ძალა?

ს ე რ ა უ ი მ ა

უბრალო რესტორანში ვახშობის შემდეგ ჩვენ, სამმა მეგობარმა გადაწყვიტეთ ამ ძველი, მაგრამ ზოგ ადგილას ჯერ კიდევ მყუდრო ქალაქის მიჩუმებულ ქუჩებში გაგვესიერნა.

ისე კი, კაცმა რომ თქვას, მთელი დღე ქალაქში სეირნობის მეტი არაფერი გავვიყეთებია, მაგრამ ამ ჩვენს სიარულს მიზანი ჰქონდა: ყველა ძველებური შენობა გვიჩინდა გვენახა, ყოველი არქიტექტორული ძეგლი დაგვეთვალიერებინა, ყველა ძველი კუნძული მოგვევლო და არ გამოგვრჩენოდა არც ერთი ნამსხვრევი იმ ძველი, ჩვენთვის ახლა უკვე მრავალმხრივ გაუგებარი ცივილიზაციისა, რომელიც ოდესღაც აქ ყვავდა. ჩემი მეგობრები ფიქრობდნენ, რომ მე მათი მეგობარი და ექსკურსიის მძღოლი ვიქნებოდი, რადგან ამ ქალაქში გავატარე ჩემი სიკვამლე. მაგრამ სამწუხაროდ პირიქით გამოვიდა. თურმე მე, რომელმაც აქ, ამ ადგილებში თოთხმეტიდან თვრამეტ წლამდე ვიცხოვრე, სრულიად არ ვაქცევდი ყურადღებას არავითარ სიძველეებს, არც ეკლესიებსა და მონასტრებს, და ახალა მოსკოველი მხატვრები

მიჩვენებდნენ ყველაფერს რაც უკვე დიდხანია წიგნებსა და მრავალრიცხოვან გამოკვლევებში წაეკითხათ და ალბომებში ენახათ.

მე მორცხვად ვახამხამებდი თვალებს და მხოლოდ ვუჩვენებდი გზას მიძინების ტაძრისაკენ, ხან კი კოზლოვის მიწაყრილსა და კენიხას მონასტრისაკენ. გზები, რა თქმა უნდა, ვიცოდი, რადგან ოდესღაც მთელი ქალაქი მქონდა შემოვლილი, განსაკუთრებით კი ყრუ შუკები, სადაც ქალაქელი ცქვიტი ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ ხოლმე.

ახლა, დამით, მიჩუმებულ, ნახევრად განათებულ ქუჩაში მივამიჯებდი და ვსდუმდით, თუმცა მე კი გულმა არ ვსდუმდი. ჯერ კიდევ დღისით ამეკვიტა, არ ვიცი საიდან და როდის გონებაში ჩარჩენილი ლექსის სტრიქონები. საოცარია, რომ ყოველთვის, როგორც კი ამ ქალაქში ჩამოვიდოდი (თუნდაც ერთი დღით) ისინი საიდუმლოებით მოცული სიბნელიდან ამოტივტივდებოდნენ ხოლმე.

ჩემი ცისფერი დრამების სცენად იქცა ქალაქი ძველი ესოდენ. — აქ სურნელოვან ლეგენდების დავაბა სუფევა...

ჭარბა ქრინ...
ველია და თავისუფლება!

სიმართლე რომ ვთქვა, მხოლოდ პირველ ორ სტრიქონს ვიმეორებდი, დანარჩენს კი ვგულისხმობდი. მიდიხარ, მიდიხარ, ფიქრებში წახვალ, მეგობრებს დაუწყებ ლაპარაკს და ისევ რაღაც ტყვილითა და სიტყვობებით გულში ჩაიმღერებ:

ჩემი ცისფერი დაშვების სცენაღ
იქცა ქალაქი ძველი ესოდენ...

— აი აქ კი ვსწავლობდი, — ვუჩვენებ მეგობრებს დაბალი, წითელი აგურით ნაგები შენობა. მაგრამ არც შენობა და არც იმან, რომ აქ ვსწავლობდი არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა მათზე. მართლაც და ყოველ მოგონებას მაშინვე ახალი, ცოცხალი გრძნობებით უნდა ვუპასუხოთ. თუ ამ გრძნობებს დღესვე არ დახარჯავ, არც ხვალ, არც ზევ და არც ერთი წლის შემდეგ, აღარც კი მოიგონებ.

ჩვენ სრულიად გულგრილად ჩაუვლით ხოლმე მრავალ სახლს, თითოეულ მათგანში კი ვინმესათვის ნათელი, კარგი ან ცუდი მოგონება იფარება. მახსოვს, ერთხელ მოსკოვის ერთ-ერთ ქუჩაზე კინალამ ვლადიმერ ლევოვსკოის არ დავეჯახე (ჩქარა მივდიოდი). შუა ქვაფენილზე დამდგარ, ჯოხზე დაყრდნობილ მხცოვან პოეტს უკან გადავგდო ქალარა ჯიშინი თავი.

უფლება მქონდა გვერდზე მოვდგო-პოდი და დამენახა ასე რამ დაინტერესა. სახლს ანგრევდნენ. დანით მოჭრილივით მიწაზე იდო ქვიშის, სხვადასხვა ფერი ბათქაშის და ხის ტყეხების გროვა. მოჩანდა შიდა კედელი მრავალრიცხოვანი ოთახების უჯრედებით, კარი ერთ-ერთ ოთახში რომ გადიოდა, კედელზე კი გამოხუნებული ლაქა იყო, ალბათ ამ ადგილას წინათ სურათი ეკიდა ანდა ვინმეს ფოტოგრაფია.

მარჯვნივ როიალი იდგა, დამიწყო ახსნა ლუგოვსკოიმ, რომელმაც ცალი თვალით ვადმომხედა, — დიასახლისი

ჩინებულად უკრავდა შუბერტის „ტყის მეფეს“ — გესმით ეს რას ნიშნავს! — იქ კი, სადაც გამოხუნებული ლაქა მოჩანს ჩემი ფოტოსურათი ეკიდა. ზოგჯერ იმ კარებში შევიდოდი და ვიტყოდი: „გამარჯობათ“. წამოდით, წამოდით, ისევ მინდა ის კარები გავაღო და ზღურბლზე შევჩერდე.

მაგრამ ახლა ხომ ზღურბლი უფსკრულის პირას არის, მესამე სართულია. ამ კარებით აღარსად შეისვლება. მას სიცარიელეში მივყავართ.

პოეტმა ოდნავ გაიღიმა, შემომხედა და მითხრა:

— იყავ გულუხვი, ჩემო ბიჭო.

ათასობით გამგულ-გამომგული გულგრილად მისჩერებოდა ნანგრევებს, მაგრამ ერთი კაცისათვის კი ისინი გრძნობების ნამსხვრევებს წარმოადგენდნენ.

ჰოდა გულგრილად ჩაუვარეთ შენობას სადაც მე ოდესღაც ვსწავლობდი და ასევე გულგრილად, მექანიკურად ვაყვავით ქუჩას, რომელიც იმაზე უფრო ბნელი მოჩანდა, ვიდრე აქამდე იყო.

ერთბაშად მომეჩვენა თითქოს ღამით ენახე სიზმარი, რომლის მხოლოდ ნაწყვეტები მახსოვდა. არა, სრულებითაც არაფერი მახსოვდა. მაგრამ დღისით კი იმ ნახევრად დავიწყებულ გარემოში აღმოვჩნდი და დავინახე, რომ სინამდვილის ყოველი ნაწილი ემთხვევა იმ ბუნდოვან და დავიწყებული სიზმრის ნაფლეთებს.

ჰო, რა თქმა უნდა, იგივე ქუჩა. რა ერქვა? ძერჟინსკისა. ამას? სახლთან მივედი და ბაღის სიმწვანეში სახლზე მიკრულ პატარა ფიცრულზე წავეკითხე: „ძერჟინსკის ქუჩა“. ამ წერილმანმა და დღევანდელი სიანამდვილის იმ ძველ სიზმართან ზუსტმა დამთხვევამ, სავსებით ნათლად და გარკვევით გამახსენა იმ სიზმრის ყოველი წერილმანი: სუნამოს სურნელება, შპალიერის ფერი და ფარდებიც კი, რომლებიც თავიდან ბოლომდე ფარავდნენ ფანჯ-

1 თარგმ. მ. ფოტინიშვილისა.

რებს, იატაკიდან რომ იწყებდნენ და ჰერს ებჭინებოდნენ. სიზმრის მოქმედება ხომ მეზონინში ხდებოდა.

მოსკოველ მეგობრებს არაფრის ახსნა არ დაეუწყე, მხოლოდ ვთხოვე, რამდენიმე წუთს ქუჩაში დამიკადფოთქო. მთავარი კარი ძველებურად ღია დამხვდა. იქვე კარებს უკან, მარტვიე ქვედა სართულში შესასვლელი იყო, პირდაპირ კი ძალიან ვიწრო კიბე აღიოდა ზემოთ. შემდეგ პაწაწინა ბაქანი, ნუთუ წინადაც ნავთის ასეთი სუნი იდგა? აქვე მეორე კარია, მის უკან კი ნავთქურებით და ტაშტებით საესე პატარა სმზარეულო, სადაც ყველაფერი კრიალებს. სამზარეულოს რომ გაივლი იმ დაბალ, ორ ფანჯრიან ოთახში შეხვალ, ახლა გამახსენდა, რომ ოთახიც კი არა, არამედ რაღაც საოცრად საყვარელი, მყუდრო, თბილი და სუფთა კოშკი — ამქვეყნიური სამოთხის კუთხე იყო.

დავაკუნე და სამზარეულოს კარი შევალე. მომეჩვენა, რომ სამზარეულო მერისმეტად ჩვეულებრივი და ბინძურიც კი იყო — წინანდელს არ ჰგავდა. თუმცა, წინად ალბათ აქეთ-იქით არ ვიციქრებოდი და პირდაპირ იმ მთავარ კარისკენ მივისწრაფოდი, რომელიც ისევე როგორც ახლა, ცისფერი, ნავთქურებისაგან შექვეარტლული მუშაობით იყო აკრული. კარში რომ შევდიოდი წელში საკმაოდ მოხრა დამქირდა. ქალმა, რომელმაც შინ შემიშვა კითხვის თვალით შემომხვდა: ვინა ხარ ან რა გინდაო?

ღმერთო ჩემო, ეს ხომ გვერდზე მოქცეული, სულის შემხუთველი საქმეა. შპალერი ახორკილია. შიგ სტუდენტური ყაიდის ორი ვიწრო ტაბტი დგას და ქალაღმისუფრაგადაფარებული მაგიდა.

— ვინ გნებავთ? — მესამედ შემეკითხა ქალი.

— პო, ღიახ, მე მინდა სერაფიმა დობროხოტოვა.

— აქ სერაფიმა დობროხოტოვა არ ცხოვრობს.

— ნუთუ? ამ ოთახს ქირაობდა ახანავთან ერთად ცხოვრობდა. ამანავს კლავა ერთქვეა.

— რას ბრძანებთ, მოქალაქე, გვლებათ, უკვე თვრამეტი წელიწადია აქ ვცხოვრობ.

— ნუთუ? ეს კი ოცდა სამი წლის წინად იყო.

— თქვენი ნებაა, მაგრამ ახლა აქ არავითარი სერაფიმა არ არის.

— კარგი. მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ; არ გამოიკავრდეთ, აღარ მოვალ.

ჩემი მეგობარი მხატვრები ხუმრობით შემხვდნენ: ალბათ... ისაო და ესაო... არა? ნუ ღელავ, სასტუმროს უშენოდაც მივაგნებთ. აი რატომ არ ვუამბე მათ ბუნდოვანი სიზმარი და მარტოდ მარტო დავრჩი ამ ჩემ ზმანე-ბასთან. მე გვონია, მისი მოყოლა შეუძლებელია. რომ მოჰყვე უბრალო რამ გამოვა, ჩემი სიკაბუკისდროინდელი უმნიშვნელო ეპიზოდი, აი, თვითონ ჯანსაჯეთ.

მათემატიკისა და მხაზველობითი გეომეტრიის შორის შესვენების დროს ჩემთან მოვიდა კოლიო რიაბოვი და მითხრა:

— გამიგონე, მოდი, საცეკვაო სკოლაში ჩავეწეროთ. გავიგე რკინიგზელთა სახლში იხსნება ასეთი სკოლა, ფასი ოცი მანეთია. დღე გამოშვებით უნდა ვიაროთ, საღამ-საღამოობით. პროგრამაშია: ფოქსტოტი, ტანგო, ნელი ვალსი და რუმბა. ცეკვებს დრამატული თეატრის მსახიობი ასწავლის. საერთო საცხოვრებელში უსაქმოდ აქეთ-იქით ყიალს ეს არ სჯობია?

— ჯობნით კი ჯობია... მაგრამ უცნაურია... მაინც ვერ ვისწავლით.

— ყოველთვის ყოყმანობ. ისწავლი, გარანტიას იძლევიან, პროგრამაში სწერია — სრულ გარანტიას ვიძლევიოთ. სკოლას რომ დაეამთავრებთ ცეკვა გვეცოდინება. მხოლოდ ორი თვე უნდა ვიაროთ, დღე გამოშვებით, აბა ისა სჯობს, რომ ყოველ საცეკვაო საღამოზე ყვეგნებივით კედელთან ვდგავართ, სხვა ბიჭები კი გოგონებთან ცეკვავენ?

პო, რა თქმა უნდა, ეს არ ვარგოდა. ტექნიკუმის მიერ გამართულ საღამოებზე რომ კედელთან ვიდექი ხოლმე. ოც მანეთს კი არა რას არ მივცემდი, რომ უცხად, როგორც ზღაპარში, ცეკვა შესწავლა, გაბედულად მივსულიყავი რომელიმე გოგონასთან და საცეკვაოდ მიწებატიენა, მას კი ხელი ჩემ მხარზე ჩამოვდო... ამის იქით ჩემი ყველაზე დიდი ფანტაზიაც კი ვერ ბედავდა ქროლვას. შემდეგ იწყებოდა რაღაც წარმოუდგენელი, თითქოს მიწის ავტოდროდი, ჰაერში ვიწყებდი ფრენას, ჩემს გარშემო კი ნელა და სასიამოვნოდ დაცურავდნენ ვარსკვლავები. სინამდვილეში ამის ნაცვლად, ჩვეულებრივად კედელთან ვიდექი ჩემსავით ცეკვის უცოდინარ ყვეჩქ ბიჭებს შორის. ჩვენ ვცდილობდით სხვებისათვის დაგვენახებინა, თითქოს მხარულ გუნებაზე ვიყავით, ზომავზე მეტად ხმამაღლა ვლაპარაკობდით, უხეიროდ და შეუსაბამოდ ვხუმრობდით, — და სულ ამოდ, რადგან გვეგონა ყველა ჩვენ გვიყურებდა, ნამდვილად კი ყველანი ცეკვავდნენ და არავითარ ყურადღებას არ გვაქცევდნენ.

სულ იმის ცდაში ვიყავით, მომღიძვარე სახე მიგვედო, სინამდვილეში კი სულელურად ვიღრვიებოდით და საღამოს დასასრულს სიხის კუნთები გვტკივოდა, მარტობისა და არასრულფასოვნების გულისმომკვლევი გრძნობა გვეუფლებოდა.

მაშასადამე კოლეა რიბოფი ჩემზე უფრო თავმოყვარე, გამბედავი ანდა საქმიანი ბიჭი ყოფილა. მე აზრადაც არ მომივიდოდა რკინიგზელთა საცეკვაო სკოლაში მევლო. არც კი დამესიზმრებოდა.

მოლარემ ფული გამოგვართვა, ქვეთარი გამოგვიწერა და გვითხრა: ხუთშაბათს საღამოს შეიდი საათისათვის მოდი, სავარეო კოსტუმები ჩაიცვით, წვერი გაიპარსეთ და პალსტუხები გაიკეთეთო. წვერის გაპარსვაზე ტყუილა შეიწუხა თავი. მახსოვს, მაშინ ჭერ კონს. „მნათობი“, № 1.

დევ არ ვიპარსავდი წვერს, თექვსმეტი წლის ბიჭები უმეტეს შემთხვევაში წვერს არ იპარსავენ.

აქვე უნდა შევნიშნო, რომ სიმაღლითა და მოყვანილობით ჩემ პასაკზე უფროსად გამოვიყურებოდი (თვითონაც კარგად ვიცოდი, რომ ეს ასე იყო).

დანიშნულ დღეს ძლივს დავალამეთ. ფეხსაცმელი გავიწმინდეთ, ფართო შარვლებს (ომის წინა წლებში ფართო შარვლებს ატარებდნენ) ჩამოქმინილი ტოტები შემოვკარიყეთ, პალსტუხები, როგორც წესი და რიგია, ფართოდ გამოვენსაკვეთ და სრულ შვად საათზე დიდი ყვითელი სვეტები გავიარეთ და რკინიგზელთა კლუბში შევადგით ფეხი. წინათ აქ თავადაზნაურთა საკრებულო იყო. მაშასადამე იყო გაბრიალებული პარკეტით მოფენილი საცეკვაო დარბაზი, იატაკიდან ჰერამდე აზიდულ სარკეებს შორის კედლებზე მიმაგრებული სასანთლები, ჰერს კი ამშვენებდა ნაძერწი სამკაულები, რომლებიც დარბაზის შუაგულისაკენ, სადაც უზარმაზარი, გამჭვირვალე შუშებით მოციმციმე ქალი ეკიდა, სულ უფრო და უფრო საოცარი ხდებოდა.

ჩვენი სტუდენტური საერთო საცხოვრებლისა და სახარატო და საზეინკლო სახელოსნოებისა და კინოთეატრ „სამხატვროს“ დალაქავებულ კედლებიან გაცვეთილი დარბაზის შემდეგ, რომელიც საოცრებად მიგვაჩნდა, ყოფილ თავადაზნაურთა საკრებულოს დიდი დარბაზი ზღაპრულად მოგვეჩვენა. წარმოდგენაც არ მქონდა, რომ ასეთი ბრწყინვალე დარბაზები არსებობდა, ისიც ვერ წარმოვმდგინა, რომ ასეთ კრიალა იატაკებზე სიარული, ასეთ სარკეებში ყურება და ასეთი ქალების ცქერით დატკობა შეიძლებოდა. ამას დაუვმატოთ მძიმე ფარდები, რომლებიც ფანჯრებზე იყო ჩამოფარებული, უზარმაზარი კარები და მათი მწვანე შუშის სახელოები..

სწორედ ამ დარბაზში უნდა დაუფ-

ლებოლით ფოქსტროტებსა და რუმბებს.

თითქოს თხელ ყინულზე შეედგი ფენიო, პირველად ისე ვაგიარე ვაპრიალებულ პარკეტზე, დამსწრეთ გვერდი ავუარე და მოშორებულ კუნძულში დავდექი, იქ თითქოს ცოტა არ იყოს ბნელოდა და ხელსაც არავის შევუშლიდი. დანარჩენებიც დარბაზის კედლებთან და მის კუთხეებში დალაგდნენ, დარბაზის ვრცელი შუაგული კი ცარიელი დასტოვეს.

მაღალი, მოქნილი დრამატული მსახიობი სეროვალაზოვი, რომელიც შესანიშნავად ფლობდა თავის ტანს (აბა ჩვენისთანა ჭირკებს კი არა ჰგავდა) დარბაზის სწორედ ამ ვრცელ შუაგულში გამოვიდა (მას კარგად შეეერილი შოკოლადისფერი კოსტუმი ეცვა). მსუბუქად შეტრიალ-შემოტრიალდა, ყველას გადმოგვხედა და მხიარულად შეჰოჭრა ტაში.

აბა, დავიწყეთ. ახლა ყველას თქვენთქვენ ადგილას დაგაყენებთ. ვთხოვთ, ყველამ დაინახსოვროთ ეს თქვენი ადგილი და როცა მეკადინეობას დავიწყებ ჩემს ტაშზე (აი ასე) იმ თქვენ ადგილებს დაიკავენთ.

ამის შემდეგ ჩვენმა მანქანამ თითქმის ხელით მიგვათრია ჩვენ ჩვენ ადგილას და აღმოჩნდა, რომ ორ მწკრივად ვიდგებით დარბაზის გრძელ კედლებთან, თანაც ერთმანეთის პირისპირ. ერთ მწკრივში — მამაკაცები (ჰოდა, ქაბულებიც) მეორეში კი — ქალები. დარბაზის შუაგული ისევ ცარიელი იყო, მხოლოდ მანქანა, რომელსაც ღია შოკოლადისფერი კოსტუმი ეცვა, მსუბუქი ნაბიჯით დააბიჯებდა პარკეტზე და მეტისმეტად მოხდენილად, შეუღმჩნევლად ბრუნავდა ხან ჩვენსკენ, მამაკაცებისკენ, ხან კი პირიქით.

ახალი ამბავი უნდა მოგახსენოთ, — გვეუბნებოდა ამასობაში მანქანა, — თქვენ არა თუ ცეკვა, სწორად სიარულ-

იც კი არ იცით. აი ახლა მე თქვენ გიჩვენებთ როგორ დადისართულებული

წელში გამართული, კობტა-მაქსტროს უცბად მოეშვა. მხრები ჩამოუვარდა და მოუდუნდა, ზურგში მოიხარა, ხელები დაუგრძელდა და თითქმის მუხლქვეშ მოდ ჩამოეშვა. შემდეგ მან ხელფეხის შეუხამებელი მოძრაობით სასაცილოდ ჩამოიარა მთელი დარბაზი. ნიჭიერი მსახიობისათვის ძნელი არ იყო სასაცილოდ წარმოედგინა ჩვენი, შეიძლება და მართლაც, უხერხოდ სიარული. ვანა ოდესმე ვინმეს უთქვამს ჩვენთვის, რომ სიარულსაც თავისი წესები აქვს? ათი თვისა რომ ფეხზე დავდექით და სიარული დავიწყეთ, მის შემდეგ ასე დავდივართ ვინ თქვენსმეტს, ვინ ოცსა და ვინ კიდევ მეტ წელიწადს.

— თქვენ, რა თქმა უნდა, დადინხართ, — განაგრძობდა მანქანა, — ასრულებთ ამ ადამიანურ ფუნქციას — იართოთ ორი ფეხით, მაგრამ ამის გარდა შეიძლება იართოთ ლამაზად. ნამდვილი ადამიანი დადის აი ასე, — მსახიობი ისევ წელში გასწორდა (მაგრამ კი არ გაიბღინდა, ღმერთმა დაიფაროს!) და იატაკზე ისე გაიარა, რომ... ეშმაკმა დალაზეროს, როგორ გაიარა! მართლაც ლამაზი სანახავი იყო.

— ესე იგი, ჯერ სიარულს ვისწავლით. ტანის ლაზათიანად დაქერას. ლამაზი სიარული ცეკვის საფუძველია. ახლა დოინჯს შემოიყრით და მუსიკის ხმაზე გააკეთებთ შემდეგს: მარცხენა ფეხს წინ წასდგამთ და ამავე დროს მარჯვენა მხარსაც (არ დაგვიწყდეთ, მარჯვენა მხარსაც) მკვეთრად ასევე წინ წასწევთ. შემდეგ მარჯვენა ფეხსა და მარცხენა მხარს. ზურგში დაუღმქით ერთმანეთს. მუსიკა! აბა..

მუსიკის ხმას ავყოლოთ ფეხი, მაგრამ ყოველი ფეხის გადაადგილება თითქოს სახსრებში ვიშლებოლით და ხან ფეხს ვურეველით, ხან კი მუსიკის რიტმს ვერ ვყვებოლით.

— აგრე, აგრე! ეს ერთსა და იმავე დროს მუსიკის ყურის გდებასა და მისთვის თქვენი ტანის მოძრაობის და-

მორჩილებას მიგაჩვენო. თავისუფლად! უფრო ლაზათიანად! გაბედულად! პლასტიკას ვერა ვხედავ, სდექ!

ორი თუ სამი მეცადინეობა ისე ჩავატარეთ, რომ მხოლოდ ასე დავდიოდით, მუსიკას ვაყოლებდით ფეხს. მახსოვს, რომ ახლა ჭუნაშიაცა და ჩვენი ტექნიკუმის გრძელ დერეფნებში სიარულის დროსაც, ვცდილობდი ისე მევლო, რომ არ გამომპარვოდა რა მდგომარეობაში იყო ჩემი მარცხენა მხარი, როცა მარჯვენა ფეხს წინ ვდგამდი. მახსენდება, რომ ერთბაშად რაღაცით დანაზრჩენ ჩემ თანაეურსელებზე უფრო გამდიდრებულად ვიგრძენი თავი.

გარდა ამისა გული საერთო საცხოვრებლის მყუდროებას მოკლებულ ერთფეროვან ოთახებიდან სულ სხვა სამყაროში მეწყოდა, იქ სადაც პარკეტი, სარკეები, რითმული მუსიკა, მსუბუქი და ლამაზი, ასევე რითმული მოძრაობა მელოდებოდა. მაგრამ ყველაფერი ჯერ კიდევ წინ იყო.

ერთხელ მავსტრომ, როცა ჩვეულებისამებრ ორ მწკრივად დაგვაყენა (ერთმანეთის პირისპირ), საზეიმო შრომ წარმომთქვა:

— დღევანდელი დღე თქვენ სწავლებაში საზეიმო და დიადია. დღეს თვითული თქვენთაგანი აირჩევს თავის პარტნიორ ქალს. ყოველი თქვენთაგანი კი (მიუბრუნდა იგი ქალებს) პარტნიორს. ეს დაწყვილება სწავლის დამთავრებამდე ასევე დარჩება, რათა ასეთ საუკეთესო საკითხში ზედმეტ მდღეობას ავადდინოთ, გეტყვი, რომ არჩევანი უკვე დიდხანია მომხდარია. ახლა ორივე მწკრივი ერთმანეთისკენ დაიძვრება... უკაცრავად, ესე იგი ვაჟები შივლენ ქალების მწკრივთან და თითოეული მამაკაცი მიიპატივებს საცუკვიაოდ ქალს, რომელიც სწორედ მის წინ იდგება. რადგან ქალთა და ვაჟთა რიცხვი სწორია, გულდაწყვეტილი არავინ დარჩება.

არ მახსოვს ფეხი როგორ გადავდგი. თვალს აქეთ-იქით ვაცეცებდი, ვეძ-

ებდი მას ვისთანაც უნდა მივსულყავი. როგორც სჩანს, მწკრივები სწორად არ იდგნენ და ხაზები ცოტა არ იყოს გამარულდა, ამის გამო მცირეოდენი არეულობა მოხდა, თვალები ამიჭრელდა, როგორც კალეიდოსკოპში ყურების დროს, როცა მას აქეთ-იქით ატრიალებ ხოლმე. შემდეგ ყველაფერი რაღაც უცნაურად დამშვიდდა.

მე აღმოვჩნდი შავ კაბიანი ქალის პირდაპირ. დიახ, პირველ წამში (ან შეიძლება წამის მცირეოდენ ნაწილში) მე შავი ხავერდის კაბის მეტს ვერაფერს ვხედავდი. არა სამეჯლისო კაბას, რომლის გრძელ კუდს ქალი იატაკზე მიათრევს ხოლმე, არამედ ჩვეულებრივ ქამარშემორტყმულ და თეთრი ბაფთის საყელოიან კაბას.

მეორე წამმა გაურკვეველად მაგრძობინა, რომ ქალი ულამაზო და ჩემზე ბევრად უფროსი იყო. სადაც შორს, ძალიან შორს, როგორც უხმო ციალმა გამიელვა აზრმა, რომ ჩემ მწკრივში უბედო (ეუდი) ადგილი შემხვდა, მაგრამ ეს ციალი ჩააქრო იმის სიხარულმა, რომ ყველაფერი დამთავრდა, არჩევანი მოხდა. გარდა ამისა ვანა სულ ერთი არ არის ვისთან ისწავლი ცეკვას? ეს ხომ დროებითი და არა სამუდამო კავშირია.

ქალი მომჩერებოდა (მე მეგონა ზემოდან დამიკეროდა, მაშინ როდესაც ჩემზე დაბალი იყო) და ჩემ შეკრთობას რომ ხედავდა, მშვიდად იღიმებოდა.

— გაიციანთ ერთმანეთი, — თითქოს საიდანდაც, რომელიაღაც ლეთაებრივ ღრუბლიდან მოისმა მავსტროს მგრავინაი ხმა. — ხელი გაუწოდეთ და თქვენ თქვენი სახელი უთხარით.

— სერაფიმა, — მითხრა ქალმა.

მეც ჩემი სახელი ჩავილულულდე და ხელი გაუწოდეთ ერთმანეთს.

მე მეგონია აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ მე, თექვსმეტი წლის ბიჭი, ამ საღამოს გარდა არასოდეს, არავითარი საბაბით არც შემთხვევით, არც განგებ, არც ხუმრობითა და არც სერიოზულად არც ერთ ქალს არ მივკარებდებარ.

— ახლა ჩვენ შევისწავლით მოკვეყვევთა ძირითად მდგომარეობას. პირისპირ დადგეით.

ჩვენ უიმისოდაც პირისპირ ვიდგეთ. მაგრამ, თურმე უფრო ახლოს უნდა მივსულიყავით ერთმანეთთან.

ვაქმა თავისი მარჯვენა ხელი უნდა დაადოს ქალს ზურგზე, დაახლოებით იმ ადგილას სადაც ბეჭი თავდება. გეყოფათ სიცილი. ვისაც სწავლის გაგრძელება არ სურს შეუძლია დასტოვოს დარბაზი. ეცადეთ ხელისგული მტკიცედ ეკვროდეს ქალის ზურგს, იდაყვი კი ჩამოვარდნილი არ გქონდეთ. ხელისგული სწორად და ფრთხილად უნდა გეჭიროთ, აქეთ-იქით არ უნდა ცურავდეს. მხოლოდ სწრაფ, თავბრუდამხვევ ვალსის დროს შეიძლება ხელისგული ზურგიდან ქალის წელზე ჩამოაცუროთ. მაგრამ ჭერჭერობით ეს თქვენ არ გეხებათ... ქალმა თავისი მარცხენა ხელი მხარზე უნდა ჩამოადოს ვაჟს. მისი მარჯვენა ხელი კი ამ დროს მარცხენა ხელში უნდა ეჭიროს პარტნიორს. ხელი განზე არ გასწიოთ, თორემ ვიღაცის ცხვირს წამოედებით, ეს კი უზრდელობაა. ცეკვის დროს სახეში უნდა უეჭიროთ ქალს. უეჭველად უნდა ესაუბროთ და უღიმოდეთ. ქალს რომ თვალი მოაშოროთ და გვერდზე დაიწყოთ ყურება, ეს დიდი სირცხვილი და თავლაფდასხმაა. ამაზედ მეტი სირცხვილია ცეკვის დროს საკუთარ ფეხებზე ცქერა. ბოლიში, მინდოდა მეტქვა საკუთარ დონდლო ფეხებზე მეტქი. მაესტრომ განგებ გადამეტებული პრანქვა-გრეხით გვიწვენა, როგორ არ უნდა გვჭეროდა ქალის ზურგზე ხელი, ცეკვის დროს სახე არ შეგვებრუნებია და ფეხებზე არ გვეცქირა. ყველაფერი ეს ძალზე სასაცილო იყო, და ვიღრე ვიციხოდი დამორცხვებამ ცოტა არ იყოს გამიარა. ამაში, რა თქმა უნდა, სერაფიმაც დამეხმარა.

როგორც შემდეგში ვაგივე იგი ოცდამეშვიდე წელში გადამდგარიყო.

ექთანი ყოფილა. მუჭი, სქედნი თმა ჰქონდა, ოდესღაც ექვსთვიანი ვარ-

ცხნილობა გაეკეთებინა, მაგრამ, როგორც სჩანდა, ვარცხნილობას ვადა-გაუღიოდა და პატარ-პატარა კულტულუნდა და რგოლებად ჩამოშლოდა და ახლა ხვეული კი არა ზომიერად ხუჭუჭი ჰქონდა. წარბები მალლა ასწეოდა თითქმის რაღაცამ გააოცაო. ტუჩები ფუნჩულა და კეთილი ჰქონდა, რადგან ზელ ყოველთვის მსუბუჭი ღიმილი უქრთოდა.

თუ ჩემი პარტნიორი ქალის სახე პირველი შეხვედრისას ულამაზოდ მომეჩვენა ეს პირველყოფლისა მისი თვალების ბრალი იყო. მის ფართო, დიდ სახესთან შედარებით ისინი პატარანი იყვნენ. ოდნავ ჰაჭუა და მოკლე ცხვირიც არ ამშვენებდა ქალს.

კაცი იფიქრებს, რომ მაშინვე აი ასე დაეშალე და დაეანაწილე, სერაფიმას სახე. ეს ახლა, როცა უკვე დიდმა დრომ განვლო. ოცი წლის შემდეგ ვიგონებ როგორი სახე ჰქონდა. და ალბად ამოდ, მსოფლიოს ყველა მწერლის წიგნებში წამიციტხავს მათი გმირების სახის აღწერილობა, მაგრამ, მიუხედავად თუნდაც ყოველი წვრილმანის ზუსტად აღწერასა, ვერასოდეს ვერ შეეძელა-მათი წარმოდგენა. პირიქით, კითხვის დროს უეცრად წარმომიდგება გმირების ჩემს მიერ წარმოსახული სახეები და მაშინ ჩემთვის სულ ერთია ავტორის თვალსაზრისით მოკლე აქვს მის მაერ აღწერილ ქალს ცხვირი თუ გრძელი. მხოლოდ ამას ვიტყვი, რომ სერაფიმას სახეს რაღაც თათრული იერი დაჰკრავდა. მაგრამ იმდენად ფერმკრთალი, რომ იქნებ ორმოცი ან ორმოცდაათი რუსულა სახე გადაეფარა რომელიღაც შორეულ წმინდა თათრულ სახეს და ყველაფერი წაშალა, დაფარა, დარჩა მხოლოდ ბუნდოვანი ვარაუდი, გამონაკრთომი, მირაჟი.

საუბარს გადავხუციე იმ ადგილას, რომ ალბათ თვით სერაფიმა დამეხმარა მოვრეოდი მორცხვობას იმ პირველ, ჩემთვის უჩვეულო წუთებში. თუმცა მაესტრომ ბეგრჯერ აგვიხსნა, რომ ხელის გულით, რომელიც ვაჟს ქალის მარჯვენა ბეჭზე უღევს, მან უნდა წარ-

მართოს ქალის მოძრაობა და ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ ატრიალოს იგი მაინც ასე გამოვიდა, რომ სერაფიმა ზემოვის სრულიად შეუმჩნევლად აწესრიგებდა ჩემს მოძრაობას.

მალე მისი წყალობით სრულიად თავისუფლად ვიგრძენი თავი. შავი სავერდის კაბა და ოდნავ მომღიმარი სახე, რომელიც უკვე უღამაზოდ არ მეჩვენებოდა აფრქვევდა სიკეთით საგსე რაღაც სითბოს, და ეს სითბო გარს მებევოდა და უცნაურად შათობდა.

საერთო საცხოვრებელში რომ მივედი და საბანი თავზე წავიხურე, ვიგრძენი, რომ ჩემს ხელებს ასდიოდა სუნამოს უმსუბუქესი სუნი და ნახევრად სიბნელეში მეჩვენებოდა თითქოს ისევ რაღაც რბილსა, კეთილსა და თბილს ვეზნობოდა და რომ ამ მუქი ხავერდოვანი სითბოსაგან სასიამოვნოდ და ტკბილად ვგრძნობდი თავს.

შემდეგში ერთი დიდი აღმოჩენა გავაკეთე. საკმარისი იყო გულში მეფიქრა და ჩემი მარჯვნივ ხელის გულსათვის გადაამეცა სურვილი მარცხნივ მოვტრიალებულიყავით, რომ ჩემი პარტნიორი ქალი ზუსტად ასრულებდა ამ ჩემს სურვილს. სერაფიმას აღქმის საოცარი უნარი ჰქონდა. სამწუხარო მხოლოდ ის იყო, რომ ამ პირველ ხანებში ჯერ არ ვიცოდი სხვადასხვა მხარეს შეტრიალების არც ერთი ილეთი და ამიტომ, რა თქმა უნდა, ვერ შევძლებდი სერაფიმა ჩემს ნებაზე ისე მომეტრიალებინა, რომ მაშინვე ფეხი არ შემშლოდა, არ დამერცხვინა და ადგილზევე არ გავმქრალიყავი. ამიტომ იყო, რომ ჩვენს ცეკვაში ყველაფერი სერაფიმაზე იყო დამოკიდებული. ცხადი იყო, რომ იგი ქალური სინაზით აღსაგსე გულისხმიერ მფარველობას მიწევდა.

— ყურადღება — მუსიკა! — ბრძანებდა მანეტროს სეროგლაზოვი. ერთი—ორი — სამი... ფეხაკრებით ნუ მიფრატუნებთ. ფართო ნაბიჯი გადადგით. ქუსლებს თითქმის ნუ მოაშორებთ იატაკს. წელში ნუ იხრებით. ქალებო, სამი ვერსით ნუ დაშორდებით თქვენს კა-

ვალრებს (მამაკაცებს) არ შეგჭამენ. ერთი-ორი-სამი! ერთი-ორი-სამი!

სერაფიმა უკან არ იხედა და თავის კავალერს არ შორდებოდა.

ახლა მეცადინეობის დღეს (ჩვენ სამშაბათობითა და შაბათობით ვმეცადინეობდით) სწორედ იმიტომაც ველოდი ხოლმე (დიახ, სწორედ იმიტომ), რომ მსურდა რაც შეიძლება მალე აღმოჩენილიყავი სიმას გვერდით (თვითონ მიბრძანა კინობითი სახელი — სიმა დამიძახე ხოლმე).

პირველ საათს ყოველთვის ცეკვის ელემენტების შესწავლას ვანდომებდით. ორ მწკრივად დაყოფილები ვიდექით ხოლმე, როგორც თავდაპირველად ბაწრულად ვუვლიდით დარბაზს. მანეტრო ხან ერთსა და ხან მეორე მოსწავლეს იძახებდა შუა დარბაზში და სხვადასხვა რთულ ილეთებს აკეთებინებდა.

ერთხელ როცა ორ მწკრივად დავლაგდით, შევამჩნიე, რომ სიმა არსად იყო. იმ დღეს რატომღაც ჩვეულებრივზე უფრო ძლიერად, მოუთმენლად მივილტვოდი ცეკვის გაკვეთილზე. გული სინარულით მიცემდა, როცა წარბოვიდგენდი, რომ მის გვერდით ვიდგებოდი, მის სუნამოს სურნელებას ვიყნოსებდი, მის ხმას გავაგონებდი და მისი ზავერდის კაბის სითბოს შევიგრძნობდი. საერთოდ ახლა იგი პურივით მჭირდებოდა, მიკვირდა კიდევ, რომ ოდესღაც ისე ვცხოვრობდი, რომ მასთან შეხედრაზე არ ვფიქრობდი. ამაზე უფრო კი ის მიაოცებდა, რომ პირველად ძალზე უღამაზოდ მომეჩვენა.

ჰოდა, მამასაღამე დარბაზში არ იყო. არ დავიჯერე და რამდენჯერმე ქალების მწკრივი შევათვალიერე. მთვარეულივით ყველასთან ერთად ვვარჯიშობდი. მანეტროს ბრძანებას ვისმენდი და მექანიკურად უფრო ვუგდებდი მუსიკას. გული გამიცვივდა, მთელი სხეული მომიღუნდა არ ვიცოდი რა მოხდებოდა. რატომღაც მეგონა, რომ სიმა არასოდეს აღარ მოვიდოდა.

— დაწყვილდით.

უიმედოდ შეხებდე იმ ადგილს, სადაც

ყოველთვის სიმა იდგა ხოლმე და უც-
რად უზარმაზარი დარბაზის სიკარიელე-
ში თვალში მეცა შავი ხავერდის კაბა.
ამის შემდეგ ჩემს ირგვლივ აღარაფერი
და აღარავინ აღარ სუფევდა, იყო მხო-
ლოდლა შავი ხავერდის კაბა, თეთრი
მაქმანის საყულო და სიმას ოდნავ მომ-
ლიმარი ტუჩები.

ჩვეულებრივზე უფრო შეხმატებილე-
ბულად ვცეკვავდი.

— დღეს არ მინდოდა მოსვლა, —
მიჩურჩულებდა სიმა. — გადაწყვიტე
აღარასოდეს აღარ მოვსულიყავი, მაგ-
რამ უკანასკნელ წუთში მაინც წამოვე-
დი, თვითონაც არ ვიცი რატომ. ხუთ
წუთში მოვემზადე და გამოვქანდი...
ფეხებზე ნუ მიდგამ ფეხს. მუსიკას და-
უგდე ყური.

სუნამო ჩვეულებრივზე მეტი შეეპყუ-
რებინა, ალბათ ძალიან ჩქარობდა.

— დღეს სახლამდე მიმაცილებ, —
მითხრა სიმამ, როცა მესტრომ სამჯერ
შემოპკრა ტაში და ამით გაგვაგებინა
გაკვეთილი დამთავრდა.

ქუჩაში, რომ გავედით, არ ვიცოდი
როგორ მოვქცეულიყავი. დარბაზში
ყველაფერი წინასწარ გადაწყვეტილი
და მოგვარებული იყო: მარჯვენა ხელი
ქალის ზურგზე უნდა მდებოდა, სიმას
კი ხელი ჩემ მხარზე ჩამოედო. ახლა
კი ამის ნაცვლად სულ სხვაგვარად უნ-
და მოვქცეულიყავი. მაინც გაზედუ და
მკლავი მკლავში გავუყარე. ციყვის ქურ-
ქი ეცვა. ვგრძნობდი როგორ ხალვათად
იყო სიმას თბილი ხელი ქურქის განიერ
სახელოსნოში. მეზონინიან სახლთან მი-
ვიდით.

— იმ ორ განათებულ ფანჯარას
ხედავ? იქ ვცხოვრობ ჩემ ამხანაგ კლა-
ვასთან ერთად. ახლა, ნახვამდის, შაბა-
თამდე!

შაბათს, იმავე დროს ისევ იმ სახლის
წინ აღმოვჩნდით. ფანჯრები ჩამომბე-
ლებული იყო.

— ცოტა გავიაროთ, — შემომთავაზა
სიმამ. კარგი და სასიამოვნო საღამოა.

ორმოციოდე წუთი ვისეირნეთ. სულ
იმის ფიქრში ვიყავი, სწორედ კი ვიქ-

ცვი, სიმას მკლავში რომ მკლავი მაქვს
გაყრილი მეთქი? სწორად მიტოვავს? ამ
მხარიდან ქალი ასე უნდა დაიჭიროს? სი-
მა კი სულ უფრო და უფრო ეხვეოდა
თავის ციყვის ქურქში. ზოგჯერ გვე-
რდელად შემომხედავდა და უცნაურად
იციწიოდა.

— ახლა კი შევიდეთ შინ. ალბათ
შეგცივდა მაგ შენ საცეკვაო ფესხაცმე-
ლში (თვითონ თეთრი ფეტრის ბოტები
ეცვა). თითო ფინჯანი მაგარი ჩაი დაე-
ლიოთ.

მეზონინის ფანჯრები სტუმართმოყვა-
რედ ანათებდნენ.

არ ვიცი მაშინ ცხოვრება ცოტა არ
იყოს წარმტაცად მეჩვენებოდა, თუ გი-
რეთ რომ ყინავდა იმიტომ, სახლში
ყველაფერი არაჩვეულებრივად მყუდ-
როდ, აღერსიანად და საყვარლად მო-
მეჩენა: ვიწრო დანჯღრეული კიბეც,
პატარა ბაქანიც, პაწაწინა სამზარე-
ულოც, ცისფერი კარიცა და ბოლოს
თვით დაბალქერიანი თთახიც, რომლის
ფარდებჩამოფარებული ფანჯრები ზედ
იატაკთან იწყებოდა და ქერს ებჯინე-
ბოდა. თთახში ორი საწოლი და ქა-
ლალის სუფრაგადაფარებული მაგი-
და იდგა.

შინ სერაფიმას ფერმკრთალი, თმა-
დახუჭუქებული ამხანაგი კლავა (ქალი
საწოლზე იყო ნახევრად წამოწოლილი)
და მიიორი დაგვხდნენ. მიიორი სკამზე
იჯდა მაგიდასთან.

ვცდილობ გავიხსენო, ის ოფიცერი
მართლა მიიორი იყო თუ არა. რატომღაც
დამამახსოვრდა, ნამდვილად მიიორი
იყო. ეჭვი იმიტომ მეპარება, რომ ოფი-
ცერი ახალგაზრდა, ლოყებლადღაჟი,
მზიარულ ყმაწვილად მაგონდება. მი-
ორები ყოველთვის უფრო ხნიერ და
დარბაისელ ადამიანებად გამოიყურე-
ბიან, მაგრამ კარგად მახსოვს, რომ სწო-
რედ მიიორი იყო.

გამაცნეს. სამხედრომ მითხრა, სერგეი
მჭვიანო. მცდელი თვალით შემომხედა
და სახლში წასვლა დააპირა. კლავა სა-
წოლიდან წამოდგა, ქურქი ჩაიცვა (და
მიიორს გაჰყვა. სიმა აჩქარებით ალაგე-

ბდა მაგიდას, რომელზედაც ორი ცარიელი ქიქა, ღვინის ცარიელი ბოთლი, პურის ნამცეცები და შოკოლადის ნახევრი ქალაღი იღო.

უნდა მეფიქრა, რომ ჯერ კიდევ თხუთმეტი წუთის წინ მეზონინში სინათლე არ ენთო და მამ როდისღა მოასწრეს ერთი ბოთლი ღვინის დაცლა! მაგრამ ასეთი დაკვირვების თავი საღ მქონდა!

დიდიხანია მეგობრობენ, — თქვა სიმამ, მაგიდას ქალაღის ახალი სუფრა გადააფარა და საწოლზე ჩამოჯდა. — ჩაიღანი ნახევარ საათში აღუღდება.

აი ასეთი მღვდობარეობა ან თუ გნებავთ განლაგება დიდი ხნით დამკვიდრდა ამ ოთახში: სიმამ საწოლზე იჯდა ხოლმე, ბალიშზე ნახევრად მიყრდნობილი, მე კი იქვე მაგიდასთან ვიყავი მაგარ ვენურ სკამზე ჩამომჯდარი. ზოგჯერ მომხდარა, რომ მე და სიმამ ვიჯექით ოთახში. შემდეგ კლავა მოვიდოდა, მას მალე სერგეიც მოჰყვებოდა, როგორც კი მათორი მოვიდოდა, სიმამ შემომთავაზებდა: მოდი, ქუჩაში გავისეირნოთ.

ასეც მოხდებოდა, ჩვენ რომ მოვდიოდით კლავა და მათორი შინ დაგვხვდებოდნენ. ისინი სწრაფად ჩაიციმევდნენ, წავიდოდნენ და მარტო დავტოვებდნენ.

მაგრამ ყოველგვარ გარემოებაში, როგორც კი მარტო ვრჩებოდით ჩვენ ჩვენ ჩვეულებრივ ადგილებს ვიკავებდით: სიმამ საწოლზე, ბალიშის ახლოს, მე კი სკამზე მაგიდასთან. ჩვენ შორის ორ მეტრამდე მანძილი რჩებოდა.

ახლა როცა თექვსმეტის კი არა ოცდაცხრამეტი წლისა ვარ და ჩემი სიჭაბუკის დღეებს ვიგონებ, ხშირად ვეკითხები ჩემს თავს ვინ იყო დამნაშავე, არა დამნაშავე კი არა, რა თქმა უნდა, არა დამნაშავე, არამედ უფრო რბილად რომ ვთქვათ — ვისზე იყო მაშინ დამოკიდებული, რომ ეს მანძილი გადაულახავი რჩებოდა და არც ერთმა ჩვენთაგანმა არ გაუწოდა მეორეს ხელი

ხელს მამაკაცი გაწვდის ხოლმე. მე კი მაშინ მამაკაცი არ ვიყავი. ვთქვათ, მაგრამ თუ ქალისკენ პირველად მამაკაცი

იწვდის ხელს, თავდაპირველად იგი მაინც აუცილებლად და ჩამდვილად გრძნობს, როგორ შეხედებთან მის მიერ გაწვდილ ხელს.

და აი მე ვგრძნობდი, რომ ხელის გაწვდა არ შეიძლებოდა. ან იქნებ შეშინოდა, ეკრთოდი და ამ ფიქრისაგან მაკანკალებდა! დიახ, შეშინოდა და ეკანკალებდი! მაგრამ ნუთუ მას რომ ეს ნდომოდა არ გამამხნევებდა? არ მასწავლიდა როგორ გამეწოდა ხელი? მხოლოდ ერთი რამ შემიძლია ვიფიქრო — არ სურდა, რომ ხელი გამეწოდა. ეს ცოტაა, ახლა ნამდვილად ვიცი, რომ ყოველ საღამოს თავის თავს ებრძოდა.

კვირები კი უკან იხევდნენ, როგორც იხვეს ხოლმე ნაპირები მდინარეზე მიმავალ გემისაგან.

ერთხელ ქალაქის თეატრში წავედი, ახლა აღარ მახსოვს რა წარმოდგენა ენახეთ. მგონი, ლოპე დე ვეგას რომელიღაც პიესა იდგმებოდა. ჩვენი მანსტროც თამაშობდა, მაგრამ მეორესარისხოვან როლს. ჩვენ გვწყინდა, რომ ასე იშვიათად ვხედავდით მას სცენაზე.

ჰო, მართლა, დამავიწყდა შეთქვა. ჩვენი კურსები უკვე დიდიხანია რაც დამთავრდა (დასრულდა). ახლა მე და სიმამ რკინიგზის კლუბში აღარ ვხვდებოდით ერთმანეთს. მე თითქმის ყოველ საღამოს ფართელ გავიკრავდი ჩემს პალსტუხს და თითქოს მორიგეობაზე მიმეჩქარებო, მეზონიან სახლისკენ გავრბოდი.

ვხედავდი, რომ ჩვენი ურთიერთობა არასასიკეთო ხასიათს იღებდა. როგორც სჩანს, დინამიკურობის გრძნობა მაშინაც ცოცხლობდა ჩემში. ჩვენი დამოკიდებულება ერთ ადგილას და მასთან თითქოს ფუქად დატრიალდანი ამას ვხედავდი და რადგან არაფრის გაკეთება არ შემეძლო, თანდათანობით შევეჩვიე ამ არასასიკეთო მღვდობარეობის გრძნობას.

აი ასე ჩუმად და მშვიდად ვბრუნდე-

ბოლოთ თეატრიდან. უცბად სიმამ მითხრა:

— გადაწყვიტე, აღარ შეგხვდეს. რა საჭიროა! ოდესმე მიხვდები ყველაფერს. მხოლოდ ნუ გამიჯავრდები, კარგი?

და მაშინვე მარტოდ მარტო დავრჩი ამ გაყინულ თოვლის ნაშქერებით დაფარულ ქუჩაზე.

ძველებურ რომანებში სწერდნენ, ვაჟი თავზარდაცემული გაშეშდა ერთ ადგილასო. თავზარი რა მოსატანიია რომანტიული თავზარის ნაცვლად, რომ ვინმეს ჩემთვის ჩვეულებრივი პროზაული აგური ჩაერთვა თავში, ისე არ გავოცდებოდი, როგორც ვამოცა სიმამს მოულოდნელმა და გულქვა სიტყვებმა.

რა უნდა მექნა. სრულიად უძლური ვიყავი. ახლა ვერც ძალა, ვერც ვაჟაკობა, ვერც გულადობ, ვერც, ვთქვათ, თავხედობა — ერთი სიტყვით ვერაფერი ვერ მიშველიდა, როგორც ჩვეულებრივ არაფერი არ შველის ხოლმე, როცა ქალი გადაწყვეტს დაშორდეს მამაკაცს და მიდის კიდევ. ძალა, ვაჟაკობა და გულადობა უნდა გამოიწიონა მანამდე — ვიდრე ქალს არ გადაეწყვიტა, არ წასულა. ახლა კი ყველაფერი გვიან იყო, კარი მიიხურა, წვრილი, სუსხიანი ქარახვეტი კი აციებდა, შლიდა მის ნაკვალევს, მერე და რა ნაკვალევი უნდა დარჩენილიყო ქალაქის დატყეპნილ ქუჩაზე.

ისეთი გრძნობა მქონდა თითქოს მარცხენა მხარეს მკრეს რაღაც საშინელი დაჭილული იარაღი, რომლის ამოღება შეუძლებელი იყო. სასიკვდილოდ არ დამკრეს, მაგრამ საშინელი ტკივილი კი მომაცუნეს. აი ასე უნდა ვათრიო ამას იქით ეს, ყოველ ჩემ ნაბიჯზე მოქანავე და საშინელი ტკივილის გამოწვევები (თათრის ისრის ნატეხის მსგავსად), იარაღი.

არ მახსოვს საერთო საცხოვრებლამდე როგორ მივედი, როგორც სჩანს, მეყო ვაჟაკობა. თავი შემეკავებინა, რა-

დგან ბიჭებმა ვერაფერი შემამჩნიეს, კოლკა რიაბოვმა მისთვის ჩვეულებრივითომ თავაზიანობით ხუმრობდაც ცხადმოდამიწყო.

— რაო, ყმაწვილო? ალბათ მთელი საღამო ტუჩებს ემთხვეოდი. ტუბილია არა გოგოს ტუჩების მოხვევა? ეჰ, ნეტავი მეც მკოცნიდეს ვინმე, მაგრამ მაგას ვინ მოესწრება?

თავზე ხაოიანი მაულის საბანი წავიხურე. როგორც ყოველთვის სიმამსთან შეხვედრის შემდეგ საბანქვეშა სულშემხუთავი სივრცე სუნამოს ბუნდოვანი სურნელებით გაიფლენოდა. მაგრამ დღეს გულის წამლები სისუსტის ნაცვლად მან აუტანელი ტკივილი აღმიძრა, თითქოს ისრის ის ნატეხი მარჯვნივ და მარცხნივ გადაატრიალეს.

უფრო მაგრად გავეხვიე საბანში და უხმოდ ავტირდი. ტირილი მიჭირდა თანაც უხერხულად ვგრძნობდი თავს, რადგან უნდა ვცდილიყავი, ბიჭებს არც არაფერი დაენახათ და არც არაფერი შემამჩნიათ; არც ქვითინი და არც კანკალი.

დღეები ძილ-მღვიძრებაში ვადიოდა. მაშინააღურად ისევ იმას ვაკეთებდი რაც მეველებოდა და რასაც წინადაც ვაკეთებდი: პირს ვიბანდი, ლეჭივებს ვისმენდი, ნახაზებს ჩავკირკიტებდი, ბიჭებს კინოში დავყვებოდი. მხოლოდ ძველებურად სტუდენტურ საღამოებზე აღარ ვცეკვავდი, თუმც შემეძლო — ტყუილა ხომ არ დავხარჯე ჩემი სტუდენტური სტიპენდიიდან ოცი მანეთი!

ცეკვების ყოველი გახსენება, ყოველი ფიჭვი მათზე ტკივილსა მგვრიდა. ვახსენდება, ერთხელ ძმასთან ვიყავი სტუმრად. უცებ რადიომ გამოაცხადა: „გადმოგვებთ საცეკვაო მუსიკას. „ფოქსტროტი“. მერედა რა იყო აქ ისეთი? მე კი მუსიკის პირველსავე ხმაზე თითქოს მდღუარე ვადამახსენსო მინდოდა ფეხზე წამოვმხტარიყავი და გარეთ გავარდნილიყავი, მაგრამ რა თქმა უნდა, თავი შევიკავე, ადგლიდან

არ დავძრულვარ. ვერაგინ ვერაფერი შემამჩნია.

ერთხელ საღამოს ცვლაში ვმუშაობდი სახელოსნოში. საჩარხავ დაზგავზე, ფოლადის მსხვილი ჯოხისაგან მსუბუქ წვრილ რგოლებს ვჩარხავდი. სამუშაო ჩემთვის, პრაქტიკანტისათვისაც კი ადვილი იყო. გამტანი საჭრისით შემოჩარხავ გარედან ზოდს, შემოთლი, ქანგთან ერთად შემოაცილი ზედა ფენას, პოდა ზორკლებს, უსწორ მასწორ ადგილებსა და ნარვალებს. ზოგჯერ სამქედლოდან მრგვალის ნაცვლად გაჭყლეტილი ზოდი მოჭონდათ და ისიც გასასწორებელი იყო. თუმცა ჩარხმა კარგად იცის თავისი საქმე — შენ მხოლოდ სახელური ატრიალევ.

შემდეგ, როცა ზოდს შემოვჩარხავდი, შიგსაჩარხი საჭრისით გამოვცილდი გულს და თითქოს მილად ვაქცევდი. ახლა სულ უბრალო საქმე მჩრებოდა გასაკეთებელი—ვიწრო საკვეთი საჭრისით ჩამოშეთალა მილიდან რგოლები, რომლებიც ერთმანეთის მიყოლებით სპანის ემულსიით დაფარულ დვანის სიბრტყეზე ცვივოდნენ.

განსაკუთრებით მალეღებდა პირველი ოპერაცია, პირველი შეხება, ფოლადის პირველი შეჭრა ფოლადში. დაქანგული ზოდი სწრაფად და თანაბრად ბრუნავს. სულ უფრო და უფრო ვუახლოვებ მას საჭრისს. ასე მგონია, აი სადაც არის, როგორც კი საჭრისის ბასრი წვერი მბრუნავ ფოლადს შეეხება, ყველაფერი დაიღუპება. დარტყმა, დაკაკუნება და საჭრისი შუაზე გადატყდება, როგორც ზდება ყოველთვის როცა ცული ქვეს მოხედება ხოლმე. მაგრამ მე მტკიცე ხელით (და ეს წამი ყველაზე მეტად სასიამოვნოა ჩემთვის). უკანასკნელად ნახევრად შემოვატრიალებ სახელურს და აი საჭრისის ღარაკიდან ხვეულ ნაკადად მოედინება ფოლადის ლურჯი ნახერხი, რომელსაც ბოლი ასდის, ხენჯის სუნი მცემს და ჩარხის დაძაბულ ძიგძიგს ვგრძნობ. ვმუშაობ, მტკიცე ლითონსა ვჭრი. რაც

კი მომესურვება იმას ვაკეთებ მისგან. რგოლს, ცილინდრს, ქანჩს, ქანჭიკს, რგვალ ბურთულას... წვრილი ნაკადი მოდის და მოდის. დრო და დრო ის მსუბუქად ტკაცუნობს და ტყდება. დაუსრულებელ ცისფერ ნახერხს ვუჭერ და ცოტა ხნით მაეიწყდება ჩემი ტკივილი. თუმცა ამ ტკივილს შევეჩვიე. ერთხელად და ხმაამოუღებლევ ვატარებ გულში, კარგად მესმის, რომ სიყვარული ტკივილია და მისი წამალი მხოლოდ დროა.

სწორედ ამ დროს თამბაქოს მოსაწვევი ოთახიდან დაღმეკილი სახით შემოდის კოლცა რიბოვი:

— ტელეფონთან გეძახიან, სასიამოვნო ხმა აქვს. მიდი!

დიდი ხნის ღუმლის შემდეგ (სამი თუ ოთხი წამის განმავლობაში ხმის ამოდებას ვერ ბედავს), გაისმა სიმასხმა:

— ხუთშაბათს საღამოს მოდი, ყველაფერს ავიხსნი. მეტი აღარ შემიძლია. მოდი.

მაგრამ ხუთშაბათს კი არა (მანამდე სამი დღე რჩებოდა), მეორე დღესვე შევხვდით ერთმანეთს, სრულიად შემთხვევით.

აბრილში ყოველთვის რაღაც გამოუცნობი გრძნობა მალეღებებს ხოლმე, ამ გრძნობის გამო ერთ ადგილას ვერ ვჩერდები და საათობით დავბორიალობ ფაფუკ, ნახევრად დამდნარ თოვლში. ნესტიანი, გაზაფხულის რბილი ჰაერი კიდევ უფრო მიტრიალებს ხოლმე გულს.

ამ დროს ქალაქის ქუჩები განსაკუთრებით არასასიამოვნო სანახავია. ტუტყუანიც არიან, დაუსუფთავებელიცა და მოსაწყენიც, მაგრამ ყოველივე ამას ყურადღებას არ აქცევ, ხედავ მხოლოდ რომ გაზაფხულდა, თოვლი დნება და ტუტყუანი იმიტომ კი არ არის, რომ მარილი მოაყარეს, არამედ იმიტომ რომ გაზაფხულდა და ნესტიანი ნაზი ქარი ჰჭრის, გაზაფხულის ქარი.

ქარი ყოველი კუთხიდან ქრის, უტევს, ქალაქის წაწვეტილი კუთხე-

ბით, სახურავებით, რკინის ბოძებით, ძველულებით და სატვირთო მანქანებით დაფლული იგი ყოველი მხრიდან და ყოველი ჭიშკრიდან ქრის, აქეთ-იქით ეხეთქება და კედლებს ეჯახება.

მაგრამ მე ვიცი, რომ ქალაქში იყო ერთი ადგილი, სადაც იგი სრულიად გაუქარავი, ლაღი და ნათელი პორიზონტიდან პორიზონტამდე თავისუფლად ეფინება მიწას. ეს არის ამაღლებული ადგილი კრემლის თეთრ კედელთან, რომლის ძირშიაც მდინარე მოედინება, მის გაღმა კი გაშლილი დაბლობი იშლება.

და აი სიმაც მოვიდა კრემლის ამ თეთრ კედელთან, მდინარესთან, ხრამთან და მხოლოდ ორნი ვიდექით აქ: ისა და მე. სიმაც პირველმა გაიყარა მკლავში მკლავი.

— იცი, დიდხანს ვიტანჯებოდი. მინდოდა დამერეკა და ვერ ვებედავდი; მერე კი ვიგრძენი, რომ მეტი აღარ შემეძლო. მაგრამ, მოდი, ამას ნუ გავიხსენებთ. რა თბილი დღეა. დღეს ღამის ცვლაში ვმუშაობ, თერთმეტი საათიდან. მაშასადამე მთელი დღე თავისუფალი ვარ. უცნაურია არა, რომ აქ შევხვდით. ხუთშაბათი იმიტომ დაგინიშნე, რომ... თუმცა ეს სისულელეა... გინდა, წავიდეთ ფრანგული ჭიდაობა ვნახოთ?

მე ხმაამოუღებლივ დავემორჩილე სერაფიმას.

ციკკის შემდეგ (დღის წარმოდგენაზე ვიყავით) — სიმაც შემატყო, რომ დიდი ხნის ნაშიმშილარი ვიყავი. ეს მართალი იყო. სტიპენდია კარგა ხანია გამითავდა და გუშინდელს აქეთ არაფერი მექაშა. მასთან ციკკში გრილოდა და ცოტა არ იყოს შემეცოდა. მაშასადამე კიდევ უფრო მეტად ფერწასული, ტუჩგალურკებული და საცოდავად გამოვიყურებოდი. პირველად სიმაც გადაწყვიტა რესტორანში წავეყვანე, მაგრამ რესტორანში რომ შევდგით ფეხი, გაახსენდა, სათანადოდ ჩაცმული არ იყო და მაშინვე შესცვალა გეგმა. გასტრონომში შევიარეთ, ვიყიდეთ ძეხვი, თევზის კონსერვი და ერთი ბოთლი პორტვინი.

დღეს ჩვენ შევხვდით ერთმანეთს, დაე აგრე იყოს, — მიხსნიდა, თუ გოდამს იხდიდა რალაცაზე სიმა. დღეოდანს ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს. ახლა ჩემთან წამოხვალ, ვისადილებთ, გავთბებით. დღეს მეორე ცვლაში ვმუშაობ, ღამის თერთმეტიდან.

მეზონინი, სადაც უკვე დიდი ხანია ფეხი აღარ შემიდგამს, უფრო მყუდროდ მომეჩვენა. ღვინომ გამათბო და დამათრო კიდევ. ასე მეგონა, ამ პატარა ოთახიდან აღარასოდეს ფეხს აღარსად გავდგამდი. თვალეზზე მსუბუქი ნისლი ჩამომეფარა. მივჩერებოდი სერაფიმას და უეცრად მომაგონდა, რომ უკვე რამდენი ხანია არ განმიცდია ის, რასაც განვიცდიდი ცეკვის გაკვეთილებზე, როცა მისი ხელი ჩემ მხარზე იყო ჩამოდებული, სახე სულ ახლოს ჰქონდა მოტანილი და მუქი ხავერდის სითბო ჩემ ლოყებს ელამუნებოდა.

ძალიან მომიხდა, რომ ყველაფერი ისევ ისე ყოფილიყო, უფრო მეტიც, მსურდა ხელი წამეგლო, მოვხვეოდი, გულში ჩამეკრა და ასე ყოფილიყო. მუდამ. მინდოდა, ციბრუტყვიით დაეტრიალებულიყავი, სადღაც გადავშვებულიყავი და ამ ტრიალისა და ბედნიერებისაგან სული შემეხუთვოდა.

სერაფიმა კი ისევ საწოლზე იჯდა. მეც წინანდებურად სკამზე ვიჯექი მაგიდასთან.

ეტყობოდა ნერვიულობდა, ღელავდა, თითქოს რალაცის გადაწყვეტა სურდა და ვერ გაებედნა. ის ხან სწრაფად და დაეინებით შემომხედავდა, ხან კი თვალს დახრიდა. ისიც შევამჩნიე, რომ სიმას ხელი, რომლითაც საწოლის ზურგს ჩასჭიდებოდა დამბვისაგან გაფითრებოდა.

მახსოვს, ქალის მღელვარება მეც გადმომედო. რალაც გვიახლოვდებოდა, რასაც სიტყვაშეუბრუნებლად უნდა დავმორჩილებულიყავით.

სერაფიმას ხანგრძლივ, თითქმის ჰიპნოზური გამოხედვის გავლენით, ფეხზე წამოვდექი და მძინარესავით ფეხი

წინ წავდგი. იმავე წუთს სერაფიმა წამოხტა და ოთახიდან გავარდა.

იგი მალე დაბრუნდა, მაგრამ სულ სხვანაირი, გამოცვლილი. სულ სხვა რამეზე დაიწყო აჩქარებით ლაპარაკი. ჩემს პირდაპირ მაგიდასთან დაჯდა და უცბად გრძლად დაიწყო იმის მოყოლა თუ როგორ მუშაობდა საობლოში, პირველად რა ცუდი სახლი იყო, შემდეგ კი მათ, აღმზრდელმა ქალებმა, როგორ გამოსცვლეს. არაფერს არ ივიწყებდა: არც ფიკუსებს დერეფნებში რომ იდგნენ, არც ფარდაებს, არც თეთრ ზეწრებსა და არც პიონერთა წითელ ჰალსტუხებს.

მე არ მიცქეროდა, სწრაფად ყვებოდა ამ ამბავს, შეჩერებისა ეშინოდა. ასე გაუთავებლად ილაპარაკა დაბინდებამდე. ამბის მოყოლის დამთავრება ვერ მოასწრო, რომ მოვიდა ჩემი ძველი ნაცნობი მაიორი სერგეი.

მაიორმა ნახევარ საათს უკადა კლარას, შემდეგ რაკი ქალი არ მოვიდა, წასვლა დააპირა. მეც წამოვედი, მე და მაიორი პირველად გამოვედით სახლიდან ერთად.

კიბის ბაქანზე სერაფიმამ ორთავე, რატომღაც ყინულივით გაციებული, ხელი ჩამკიდა ხელში და წამჩურჩულა:

— იცი, ნულარ მოხვალ, ღრ გინდა... მე და მაიორმა უხმოდ ჩამოვიარეთ კიბე, ქუჩაში რომ გამოვედით ერთბაშად ვერ მოვახერხეთ საუბრის აწყობა, რა თქმა უნდა, პირველმა მაიორმა დაიწყო ლაპარაკი.

— გამიგონე, აი გიყურებ და ვერ გამიგია, რისთვის ჯახირობ? ის ხომ ათწლით შენზე უფროსია. გარდა ამისა მის წლოვანებასაც რომ თავი დავანებოთ, შენ ჯერ პატარა ბიჭი ხარ, ის კი — ძუ მგელია.

მაიორის საუბრის კილო ცოტა არ იყოს არ მესიამოვნა, მაგრამ არ შევაწყვეტინე.

შენი ტოლი, ახალგაზრდა გოგონა მოსტებნე და ისიამოვნე რამდენიც ვსურდეს. მართალია, გამოცდილებაც ბევრ

რამეს ნიშნავს. ასეთი სკოლის გავლა... მე მესმის, რომ...

მე კი არ მესმის რაზე მგელაპარაკებოდა. მე და სერაფიმას სრულიად მეგობრული, სავსებით შეუბღალავი დამოკიდებულება გვაქვს.

თვითონაც ვგრძნობდი, რომ სულელური, უაზრო სიტყვა წარმოვეტყვი, მაიორმა გადაიხარხარა.

— შეუბღალავი? ეგ რა თქვი? სიცილით არ მომკლა! იქნებ ისიც მითხრა, რომ მთელი ზამთარი მხოლოდ მეგობრული გრძნობით დადიოდი აქ?

— დიახ, მაშ სხვა რისთვის უნდა მეელო?

სერგეის კიდევ უფრო მეტად გაეცინა.

— იქნებ მითხრა, რომ კოცნაც კი არ უსწავლებია შენთვის?

— დიახ, ერთხელაც არ გვიკოცნია ერთმანეთისათვის, მტკიცედ მივუხე მგ. მაიორმა სიცილი შეწყვიტა და დადინჯდა:

— მერე და იცი ვისთან დადიოდ... მთელ ზამთარს?

— სერაფიმასთან, და თქვენ ეს მშვენიერად იცით.

— ვიცი. მე კი ვიცი, რომ ჩემ კლავდიასთან დავდივარ. მაგრამ მე ჩემს თავს ანგარიშს ვაძლევ ვისთან დავდივარ და, რაც მთავარია, რისთვის დავდივარ.

— არ მესმის.

— ისინი ხომ ორთავენი... უმაღლესი ხარისხისა, გაიგე? დამიჯერე, წმინდა წყლის უმაღლესი ხარისხის...

— სტრუობო! — სტრუობო! — შეეჩერდი მე და მაიორიც შევაჩერე. — განგებ სტრუობო, მაგრამ რისთვის?

— ოპო! კიდევ ხუთი წუთი და დღეული გარდუვალაია, რითი შევებრძოლოთ ერთმანეთს, დამბახით, დაშნებით? მე, რა თქმა უნდა, სულელი და არამზადა ვარ. რა საჭირო იყო რომ თავით ცივ წყალში ჩაგაყურყუმალიყე. მაგრამ როგორ წარმოვიდგენდი, რომ თქვენ მხოლოდ... ვარდ ყვავილებზე ლაპარა-

კობდიო. გარდა ამისა ეს სიმკვას არა ჰგავს, რა გაეწყობა, ნათქვამ სიტყვას გაჰქენებული ცხენითაც კი ველარ დაეწყვი. იქნებ ასე სჯობდეს, მე კი მეგონა, რომ შენ საცეკვაო სკოლიდან პირდაპირ მეორე სკოლაში მოხვდი. სიმკვას გაგიყვებით უყვარს გაუფუჭებული ბიჭები.

მცდელი თვალთ შემომხედა.

— ხომ არ სტრუობ? თავს ხომ არ იკატუნებ?

— რატომ უნდა ვიცტრუო? რისთვის?

— საოცარიო. პირდაპირ წარმოუდგენელი, როგორც იტყვიან, უიშვიათესი შემთხვევა მედიცინაში. ნახვამდის... აი აქეთ უხდა წავიდე... და იგი აბრელის სქელმა ნისლმა შთანთქა.

აი ეს არის მთელი ამბავი. ჩემი სიჭაბუკის დროინდელი უმნიშვნელო ეპიზოდი, სრულიად უბრალო რამ, დიდხანია უნდა დამეფიწყნოდა, დამეფიწყა კოდეც, მაგრამ აი, ყოველთვის, როგორც კი ამ ქალაქში ჩამოვალ, თუნდაც ერთი დღით, მეხსიერება მომავონებს ხოლმე არ ვიცი საიდან და როდის ვონებაში ჩარჩენილი სხვისი ლექსის სტრიქონებს.

დავდივარ და ვიმეორებ მათ.

სხვა რამეს გადააყოლებ გულს, დავიწყდება, მეგობრებთან საუბარში გაერთობი და უცბად რაღაც ტკივილითა და სიტუბობით გულდამწველად შენთვის ჩაილიდინებ:

ჩემი ცისფერი დრამების სცენად

იმეა ქალაქი ჰველი ესოდენ...

ზოგჯერ ვფიქრობ ხოლმე, სწორედ კი მოიქცა სერგეი. ან იქნებ თავის კლავას უჯავრდებოდა რამეზე? ან იქნებ... (თუმცა ეს სრულიად წარმოუდგენელი აზრია) მაგრამ საიდანაც წამოიჭრება ხოლმე სულელური ფიქრი: იქნებ სერაფიმამ დაარჩია შაიორი?

თუ სერგეი მართალია, მამ რატომ აქამდე ვერ წარმომიდგენია, რომ სერაფიმა იყო... ერთი სიტყვით... რაც არ უნდა ყოფილიყო... მე კი რაღაც მეტად კეთილი და ნათელი მაგონდება. ნაზი ზავერდოვანი სითბო და ლუგოვსკოის სიტყვები მისი სიჭაბუკის ნამსხვრევებთან ნათქვამი: „იყავი გულუხვი, ჩემო ბიჭო“.

თუმცა არ ვიცი, არაფერი არ ვიცი, მახსოვს, რომ მალე გერმანელები დაგვესხნენ თავს და როგორც მოთხრეს, ექთანს სერაფიმა დობროხოტოვა მოჰყვდ არმიამი წავიდა.

თარგმნა ვ. წარბთელაძე



პირად პარსუჩებ

შესავალი

პოეტო,

იქნებ არც არას კარგი,
საკუთარ თავზე მოგვართვა არზა,
მაგრამ

რაკილა აგიკრავს შარგი,
არ უღალატო სიმართლეს არსად.

შენ შემოდგომა გიდგას მდიდარი,
თუმცა ყანა არ გაგიმარგლია.

არ შეგაცდინოს

არავითარმა

მორვეუნიტომა შრომის მაგია.

შენი პოემა

წავა უშენოდ,

ვანავარდებსა შორით ინებებს,

იქნება ყველამ არც დაუჯეროს

სტრიქონებს —

გაუთვალისწინებულს.

* * *

აქ ფრონტის სუნთქვა იგრძნობა მძაფრი,

ოცდაოთხ საათს ვმუშაობთ დღეში,

ქარხნიდან სახლში არავინ გარბის,

ვემორჩილებით ყაზარმულ რეჟიმს.

უერმიტულ ცეცხლის კვამლში და ნისლში

შიშის შეგრძნება გაქრა,

წავიდა.

ჩვენ განგამის დროს სასწრაფოდ ვისვრით

ცეცხლგამჩენ ბომბებს სახურავიდან.

პოეტი ვ. ჯავახიძე თარგმნის ს. სმირნო-
ვის პოემას „პირად ვადასტურებ“, რომე-
ლაც დაბეჭდილია ჟურნალ „მოსკეს“ 1967
წლის მეათე ნომერში. ვაქვეყნებთ ნაწყვეტებს
პოემიდან.

და როცა ციდან ცვივა ბომბები,

მიღებისა და ანძების გვერდით

ღამეებს ვათევთ

და ველოდებით —

როდის დაცხრება ომების ღმერთი.

გვჯერა, რომ კრემლში ამხანაგ სტალინს
არ სძინავს, ბრძნულად დაჰყურებს რუკებს,
მამასადამე —

იმედი არის,

რომ მოსკოვს აღარ დავტოვებთ უკვე...

მაგრამ მუშები სადღა არიან?

ხმაური რად არ ისმის ქარხნისა? —

თურმე თავდაცვის კომისარიატს

უბრძანებია ზურგში გახიზვნა.

გაჯავრებული მთელი არსებით,

მთელი თავისი ფიქრით და აზრით,

კბილს კბილზე აჭერს,

მიაჭებს დაზგები

და მიდის ჩემი მუშათა კლასი.

მიემგზავრება,

ვერ მალავს ნაღველს,

დამწუხრებული არის საოცრად,

და თავის დროშებს ნელნელა ახვევს,

როგორც წმიდათა წმიდა სალოცავს.

საღამოს,

როცა დაბნულდა ზეცა,

უფროსმა მისმო, ითვლიდა წუთებს,

დიავონალის შარვალი ეცვა

და მოუჩანდა ქამართან ბუდე.

მანქანებისკენ წამიძღვა მწყრალი,
 ჰგავდა გრიგალში დაღლილ შევარდენს.
 — ეს მანქანები, —

მანიშნა თვალით, —
 წასაყვანია ქალაქ N-ამდე.

მიგ არ აწყვია უბრალო ტარა,
 აწყვია ქარხნის დოკუმენტები,
 მოემზადე და წავიდეთ ჩქარა,
 ერთად წავიდეთ,
 რაღას ჩერდები?!

მოულოდნელად ავლელდა ისე,
 თითქოს წინ მედგა მტერი ვერაგი,
 და ვუპასუხე მკაცრად და მტკიცედ,
 რომ ვერ დაგტოვებ მოსკოვს ვერასგზით.

გადავიქეცი უცებ ამბოხად,
 ვყვიროდი,

ბოლმით ამევსო ყელი:
 — მე არ წამოვალ!
 — არა, წამოხვალ! —
 და თან ბუღისკენ წაიღო ხელი.

იმ დამით, როცა ქარა კენესოდა,
 ჩვენ მოსკოვიდან ფრთხილად გავედით
 და გაემართა ჩვენი ესკორტი
 ქალაქ N-ისკენ — აღმოსავლეთით.

• • •

ვიგონებ პირველ რიცხვებს მაისის,
 აღრიან დილის სანატრელ სურათს:
 რედაქტორის ხმა უცებ გაისმა,
 იყვირა:
 — მტერი დაგვებდა!.. ურა!!

ნახევრად თვლემდა ჩვენი ამაღა,
 ვიღაც იწმინდდა თვალებს ტილოთი,
 ვიღაც დარბოდა საცვლის ამარა,
 ერთურთს ვკოცნიდით და თან ვტიროდით.

ეს გამარჯვების დილა მოვადა,
 რომელსაც გულისცემით ველოდით,
 სალუტებს მოჰყვა იგი ფრონტიდან,
 გვეწვია

მრავალ სადღეგრძელოთი.

სადღეგრძელოებს ყველამ შეჰფიცა,
 დალოცეს

კრემლის ვარსკვლავთ ფირუზი
 და გენერალი გენერლებისა
 პირადად გენერალისიმუსი.

ხოლო სტალინმა პასუხად მაშინ.
 სთქვა

სადღეგრძელო რუსი ხალხისა,
 ამ სადღეგრძელომ მოგვტაცა ტაში
 და სიხარულის ცრემლი გვაღირსა.

ამ სადღეგრძელომ შესძრა მეღვესე
 და,

კრემლის კედლებს გასცდა თუ არა,
 მადლიერ დედა-მიწის მეექვსედს
 ოცაყებით გადაურა.

• • •

მადა ეზრდება მგოსანს დაგეშილს,
 ძალასთან ერთად აქებს სინაზეს.
 ვინ ავიკრძალავს,
 ან ვინ დაგევილის,
 რაზედაც გვინდა — ვწეროთ იმაზე?!

დაწერე, როგორც ითხოვს მამული,
 ნუ შეშინდები.
 სიტყვას შეები,
 კარგად ამბობენ.
 რომ აკრძალული
 არ არსებობენ ჩვენში თემები.

მძულს ჩემად ჯდომა და დამისოვეა.
 ვერ დადუმდება ჩემი საყვირი.
 სტალინის სახე —
 ეს არის თემა,
 ჩემში წარსულის გამოძახილი.

ყოველ წელიწადს.
 გითხრათ მართალი
 ორჯერ ვხვდებოდით ცოცხალს ცოცხლები,
 და იდგა იგი ხელამართული,
 როგორც ნამდვილი მეხისმტყორცნელი.

განა ტყუილად ვეძახდით იმედს
 და ვადიდებდით კაპიტანივით?!

საკომანდირო საჭესთან მძიმე
 წლებში
 ყოველთვის იდგა სტალინი.

მან გვაგრძნობინა
 ყველაზე მეტად
 ჩვენი ძალა და გულისწადილი.
 ცოცხალი კაცის ვიწამეთ ღმერთად
 და ვლოცულობდით მასზე ხატივით.

ბოლო, როდესაც სიკვდილმა თვითონ
 წააქცია და მთასავით მიწვა,
 სამართლიანად ჩვევონა.
 თითქოს
 გამოგვეცალა ფეხებქვეშ მიწა.

სტალინს სტიროდა ყველა თაობა,
 ჩვენი სამშობლოს ყველა ვერი და
 ყველას ეგონა, რომ ის დაობლდა
 სამარადისოდ —
 ამიერიდან.

იქ, სვეტებიან დარბაზში იგი
 იწვა და
 ხალხი დაძრა იქით.

გზაზე ყველაფერს სპობდა და სწვავდა
 და მოდიოდა
 უამინდობით
 აცრემლებული მამული,
 რათა
 უკანასკნელად ეთქვა „შვიდობით!“

მაშინ
 მივიდა ყველას გულებთან
 და მართო აღარ წასულა იგი:
 გააფვილ თანამემამულეთა
 ასეულებმა ჩაეწნა გვირგვინს...

• • •

შემდეგ
 მიგვიხმეს
 კრემლში პატივით.
 ჩვენ პიროვნების ვახსენეთ კულტი,
 რომ პიროვნება იყო ნამდვილად,
 არ დაგვიმალავს
 არცერთი
 წუთით...

დიანს!
 ასეთ კაცს —
 ლოდივით მაგარს,
 ერთბაშად ვინც არ ასულა ცამდას,

ნუ დავეუშავთ შეცდომებს,
 მაგრამ
ნურც დავეუარვავთ ღირსებებს ნანდვრის.

ეს სახე სულში ცოცხლობს,
 მეძახის,
 ხან მწვავს.
 ხან ახალ ვარაშს მიპირდება...
 ჯერაც არ ვიცი იმის შესახებ
 ობიექტური ჭეშმარიტება.

• • •

ჩვენ,
 მდაბიოებს,
 ბედმა გვალირსა,
 რომ იძულებით ვიყოთ მდუმარედ,
 ხელმწიფეთათვის
 თქმა სიმართლისა
 ძალუძთო მხოლოდ კარის ხუმარებს.

მაგრამ ახალი დრო და ცხოვრება
 უარყოფს ასეთ დუმილს უცოდველს.
 რევანშს მოითხოვს ახლა გონება
 და მდუმარებას
 ბრძოლას უცხადებს.

სად წამიკითხავს,
 არ მახსოვს კარგად,
 მაგრამ სიმართლეს ღალადებს წიგნი:
 კაცს მოკრძალება ამშვენებს მარად,
 თუმცა ჯერ მრავალს აკლია იგი.

ზოგჯერ უჩინოს იღბალი უწევს,
 მოკრძალებული კაცი მანამდი —
 ძალა-უფლებას ჩაიგდებს უიება
 ხდება

ხალიფი
ერთი საათით:

წარბებს შეიკრავს,
 ყველას ემდურის
 და თავზე თავის სურვილებს ასვევს, —
 რომ დაამსგავსონ არქიტექტურის
 სახე
 ტაბიურ უსახო სახეს...

ვინ დათვლის მრავალ შორეულ ვიზიტს,
ყალბი ამაღლის ბატალიონებს! —

რა ძვირი დაჯდა,
ხაზინამ იცის,
არც გაჭარბებ და არც ვაიოლებ...

გაუნაწყენდა ვილაცას ბედი,
ვინც არ იცავდა რეგლამენტს მკაცრად,
პრემიერთაგან ყველაზე ყბედი —
ისე წავიდა,
სიტყვაც ვერ დასძრა..

... ვაცხადებ,
როგორც პოეტი ერთი,
რომელმაც თვითონ ზარალი ნახა:
ალარ მწამს ახლა არცერთი ღმერთი,
არცერთი ხატი ალარ მწამს ახლა...

• • •

მეამაყება ყველაზე მეტად,
მოწინავეთა რომა ვარ მწყობრში,
რომ მივაბიჯებ მეც სხვებთან ერთად
დიდი ლენინის წითელი დროშით.

სამშობლოვ,
გულწრფელ მადლობას გიხდით,
შენა ხარ ჩემი მეორე დედა,
დიდი ნდობისთვის და კიდევ დიდი
დაგალებისთვის —
მადლობა შენდა.

გმადლობთ,
რომ მძიმე საქმე გარდამხდა
და ისევ მძიმე საქმეებს ჰანდობ,
და რომ პირადად შენთა ქადაგთა
წრეში ჩაშწერე,
ამისთვის გმადლობთ.

განიკითხავდე,
სამშობლოვ,
პოეტს,
მეორე დედა მე შენში ვპოვე.
გზაც ავირჩიე,
სხვა გზას არ ვეძებ:
ეს არის ჩემი სიმღერა შენზე.

მ ქ რ მ ს ვ ა რ ღ ი

მწერლობა არ ემორჩილება ხრწნის
კანონებს. ის ერთია ქვეყნად, სიკვდილს
რომ არა სცნობს.

ხალტიკოვ-შენდრინი
წინადაც საჭიროა ტრადიციულ მწვენიერებას.
ონორე ბაღვაჯი

ამ წიგნში ბევრი რამ გამოხატულია ნაწყვეტ-
ნაწყვეტად და, შესაძლოა, არცთუ სასეხებით
ნათლად.

ბევრი რამ სადავოც ვიხდებოდა.
ეს წიგნი არ არის თეორიული გამოკვლევა,
არც, მით უმეტეს, სახელმძღვანელო. ეს უბრა-
ლოდ შენიშვნებია მწერლობის ჩემუელ ვაგებზე
და ჩემს გამოცდილებაზე.

ამ წიგნში არ ვეხები ზვენი მწერალური მუ-
შაობის იდეური დასაბუთების მნიშვნელოვან

საკითხებს, ეინადან ამ დარგში არავითარი სა-
გულისხმო უთანხობეა არა გვაქვს. მწერლობის
საგმირო და აღმზრდელუბითი მნიშვნელობა
ყველასათვის ნათელია.

წიგნში მოთხრობილია მხოლოდ ის მცირედი
რამ, რის თქმაც მოვასწარი.

მაგრამ თუკი რამდენადმე მაინც წარმოვაღ-
გენინე მკითხველს საამო არსი მწერალური მუ-
შაობისა, ჩემს თავს ვალმობდილად ჩავთვლი
ლტერატურის წინაშე.

კვირვასი მხვერი

ვიხსენებ და ველარ გამიხსენებია, ვინ მოამბო
პირველად პარიზელი შენაგვის ეან შამეტის
თავგადასავალი. შამეტი ოსტატ ხალხს ემსახუ-
რებოდა თავის უბანში, სახელისნოებს ჰგვიდა
და ლექსმეტრს ამით შოულობდა.

ქალაქის განაპირას ერთ ფარდალა ქოხში
ცხოვრობდა შამეტი. რასაკვირველია შეიძლე-
ბოდა დაწერილებით ამეწერა ეს განაპირა მხა-
რე და მოთხრობის ძირითადი ლარიდან განზე
გამეყვანა მკითხველი... მაგრამ, მგონი, უმჯობე-
სია მხოლოდ ის მოვიხსენიო, რომ პარიზის გა-
რღებნებში დღემდე შემოტანულია ძველთაძვე-
ლი ზღუდე-ბურჯები. იმ ზანად, როცა ამ მოთხ-
რობით ამბავი ხდებოდა, ის ზღუდე-ბურჯები
ქერ კიდევ დაფარული იყო კენელისა და ცხრა-
ტყვას ბუტქნარით, სადაც ათასნაირი ფრინველი
ბუღობდა.

შენაგვის ქოხი ჩრდილო ბურჯის ძირას იყო
შეუფუძელო. მეთუნეუების, ხარაზებისა და სხვა
ღარაბ-ღატაკი ზალხის ქოხმხების გვერდით.

ამ ქოხმხებში მაცხოვრებელთა ბედ-იღბლით
რომ დაინტერესებულყო, მოპასაჩა აღმათ კი-
დეც რამდენიმე შესანიშნავ მოთხრობას დამერ-
9. „მნათობი“ № 1.

და, რითაც უთუოდ ახალ ბრწყინვალეებს შეს-
ძენდა თავის სხივგატუნარ სახელს.

სამწუხაროდ, მანებართა გარდა, იშვიათად
თუ ვინმე ეწეოდა ამ ადგილებს. ისინიც მხო-
ლოდ მაშინ გამოჩნდებოდნენ ხოლმე, როცა
რამე ნაჭურდალს ეჭებდნენ.

რაკი მებობლები შამეტს მეტსახელად „კო-
დალას“ ეძახდნენ, ის აღმათ ერთი კაქაროტი,
ცხვირისიკარტა კაცი იყო და ანეჩილი თმაც ზი-
ტის ქოხობს მიუგავდა.

ერთ დროს ეან შამეტიც კაცურკაცობდა. მექ-
სიაეა რომ ომი ატუდა, მაშინ ის „პატარა ნა-
პოლეონის“ არმიის ჯარისკაცი იყო.

შამეტს ბელმა ვაეღობა. ვერა-კრესში მიძე
რამ სენი შეეყარა, ცოტახელებსნაირი. აედმ-
უოდ ჯარისკაცს, ქერ რაგანად თოფის წამლის
სუნეი რომ არა ჰქონდა ნაყნოსი, ხელდახელ
სამშობლოსაკენ უკრეს თავი. ლეგონის მეთი-
ურმა, რაკი საფრანგეთში მომავალი კაცი ნახა,
ისარგებლა ამ ამბით და თავისი რვა წლის გო-
გონა სოუზანე თან გაეყოლა.

მეთაური ქერივი კაცი იყო და სხვა რა ვხა
ჰქონდა, სადაც წავიდოდა, პატარა გოგოც თან

დაჰყავდა. მაგრამ ახლა განმორება ამჟამინა და გელაწყვიტა თავის დასთან რუანში ვაგვზავა შვილი. მექსიკის ჰავა მოამკედონებელ დაღს ასე-ეზდა ევროპადან ჩასულ ბავშვებს. თანაც არ-ვეღდაიერებ პარტიზანულ ომში, ვინ იცის, რა ფაქტურას გადაეყრებოდნენ.

შემეტი საფრანგეთში რომ ბრუნდებოდა, ატ-ლანტიკის ოკეანე აღმურში იყო გახვეული. პატარა გოგო კრანტს არა სჩაყვდა. დღენიადაგ ჩუმად იჯდა თავისთვის. ზეთივით სქელი წყლი-დ თევზები რომ ამოხტებოდნენ ხოლმე, იმა-თაც ლიმონპურგვლად გასცქეროდა.

რაც შეეძლო, შამეტი ზრუნვას არ აკლებდა სოუზანას. მაგრამ ისიც იცოდა, რომ მარტო ზრუნვა ეს არა, აღიერაც უნდოდა პატარა გო-გოს. რა ექნა, საალერსო რა მოგონა კოლონი-ური ლეგიონის ქარისკაცს? რით გაერთო? ზა-რის თამაშით? თუ ტლანჭი ვახარამელი სიმღე-რებით?

მაგრამ დიდხანს წყურებდა მანც აღარ შეიძ-ლებოდა. შამეტი სულ უფრო ზნორად ამწევედა, რომ ვოგონა ვაგვნიბულ თვალებს მივაყრებდა ხოლმე. მაშინ კი, როგორც, იქნა, გაებდა ყო-ფელმა ქარისკაცმა და თავისი ცხოვრების უთავ-ბილო მოყოლა დაიწყო, იქნებ ამით მანც შე-ეიქციო საგონებელში ჩავარდნილი ბავშვით. ყველაფერს დაწვრილებით ჰყვებოდა. მთავონა ლამაშის პირას შეფენილი მეთევზეთა პატარა სოფელი, იქაური ზღრინი ქვიშა და კამკამა გუ-ბებები, ძველი სამლოცველო სადაც გაბზარული ზარი ეკიდა, თავისი დედა, გულის წვით დაავა-ლებულ მებზობებს რომ კერძავდა.

მოგონებებში შამეტი ვერაფერს პოულობდა სასაცილოს, სოუზანას ვასამზაირულებელს. მაგ-რამ პატარა გოგო მანც ყურებდაექვატილი უს-მენდა, ხან რას ჰკითხავდა, ხან რას, ყოველ წერილმანს ჩაქიჩიკებდა.

შამეტი თავს ძალას იტანდა, ნელ-ნელა იგო-ნებდა თავისი ცხოვრების ათასნაირ წგებლმან ამბავს და პოლოს თავად აღარ იცოდა, მარ-თალს ჰყვებოდა თუ ტყუილს. მეხსიერებაში უფრო მუტად მოგონებდათ მკრთალი აზრდილე-ბი უკროლიდენ, ვიდრე თავითონ მოგონებდა. ის აზრდილები ნისლას ნაფლეთებოვით დნებოდნენ. მართალი რომ ითქვას, შამეტს აღრე არასოდეს არც უფიქრია, ოდესმე თუ დასტირდებოდა თავ-ვისი ცხოვრების გარდასულ დრო-ეამის მეხსიე-რებაში აღდგენა.

ერთხელ ბინდუნდად ოქროს ვარდი წამოა-გონდა შამეტს ვარვად აღარც ახსოვდა, თე-თონ ნახა ეს ჩამავებელი ოქროსაგან გამოკე-თილი ვარდი, მოხტეცა მეთევზე ქალის ქოხში ჭვარტის ქვეშ რომ ეკიდა, თუ ვინმემ უამბო ამ ვარდის ამბავი.

არა, ერთხელ აცა თავისი თვალთი ნახა ეს ვარდი და ახლაც ახსოვს, როგორ კაშკაშებდა, თუმცა ვარდით მზე როდი იდგა, სრუტეს შავი ჭარბოტი დასტყდომოდა. შამეტი თანდათან

სულ უფრო ნათლად იგონებდა ამ კაშკაშს — დაბალ ჰერკვეშ ჩამდენიმე ჩახჩახა მნათობს.

სოფელში ვეღას უკვირდა, ზეტაჲ დედაბები იმ ჭვირღას ნივთს რატომ არა ჰყდიოდა, რომ ვეღვიდა, ნამდვილად დიდ ფულს აიღებდა. ერთადერთი მხოლოდ შამეტის დედა იყო, ვინც ამბობდა, ოქროს ვარდის გაყიდვა დიდი ცოდ-ვაა, იმიტომ, რომ ეგ ვარდი დედაბერს გულის სწორმა „საბედნიეროდ“ აჩუქა, როცა ჯერ კი-დეგ აბტაყანა გოგო იყო და ოდიერშიმე სარღე-ნის ფაბრიკაში მუშაობდა.

— უნეით ოქროს ვარდი ცოტაა დენიაზე, — იტყუდა ხოლმე შამეტის დედა. — მაგრამ, ვი-საც ევა აქვს, უმჯველად ბედნიერი იქნება ცხოვრებაში. ქონაც არ ვინდა, მარტო ხელი-თაც რომ შევბო, მანც ბედნიერი იქნები.

ბავს ერთი სული ჰქონდა, დედაბერი ბედნი-ერი როდის გახდებოდა. მაგრამ არავითარ ბედ-ნიერებას არ უჩანდა პირი. დედაბრის ქოხს ქა-რი წაქცივდა ემუქრებოდა, საღამოობით, კი შე-ქი რომ შექცია, ისიც სანატრელი ჰქონდა სე-ცოდავს.

ესე წამოვიდა შამეტი სოფლიდან. დედაბრის ბედ-ილბაღს რაიმე სიყუთის ნიშანწყალიც არ დასტყობია. უკვე წელიწადი იყო გასული, რომ ერთმა ნაცნობმა საფოსტო გემის ცეცხლფა-რშია უამბო, დედაბერს მოულოდნელად მარ-ზადან მხატვარი შვილი ჩამოუვიდა, მხაირელი ვინმე იყო, წვერი უნაზურად დაეყენებინაო. წააქცივდა ვადაზნგილ ქოხს ხელად იერი უცვლია, გრიამულითა და დოვლათით აესებუ-ლა. როგორც ამბობენ, მხატვრების თავიანთი ნაქლამნი დიდძალ ფულად უსაღებათო, ვაოცე-ბული ამბობდა თურმე ცეცხლფარში.

ერთხელ, შამეტი თავისი რკინის საუარესლით ქარისაგან აწეწული თმას რომ ვარცხნიდა, პატარა გოგომ უცაბედად ჰკითხა:

— ვინ, მე მარტებს ვინმე ოქროს ვარდს?
— რა იცი, — უპასუხა შამეტმა, — იქნებ შენმა იღბალმაც ჩამოიაროს, სუბა. ასეულში ერთი წელადვერა ქარისკაცი ვყავდა, ქუდბე-ლიანიო, რომ იტყვენა, ის იყო ბრძოლის ველ-ზე ჩამტვრეული ოქროს ყბა იპოვნა. ვაგვლეთ-და მთელმა ასეულმა ვიქვიფეთ. ეს ამბავი, ან-მის ომი რომ იყო, მამან მოხდა. მთვრალმა არ-ტილერისტებმა გამართობად მოკლულულია ქვეშები გაოსროლეს, ჰერევი ჩამტრალ ვულკანს ყელში ვაგებინაო, იფუქტა, და უცებ, რას ებე-დავთ, ვულკანმა თხოთობა და ამოტრქევა დაიწყო. ვარვად აღარც მახსოვს, ეშმაკმა უწყის, რა ერქვა იმ ვულკანს! მგონი, კრაკა-ტაკა. ამოფრქვა, მაგრამ რა ამოიფრქვა! ორმოციო კი-ცი იმსხვერბლა იფურტი, ვინც ახლო-მასლუ ესახლა, არ რა უბედურება მოხდა, ერთი ნათ-რევი უბის ვულკანისთვის ამოდენა ხალხს ვაიფი-ტა! მერე ვამოიჩკვა, ის ყბა თურმე ჩვენს პოლკონენს დაქარვყოდა. საქმე, რასევირე-ლია, ჩავფარცხეთ, — არმის პრესტიჟი მთავა-

რა რამ არის. მაგრამ გალუწვით კი მართლა მაგრა გავიღუწვით მაშინ.

— სად მოხდა ეგ ამბავი? — ეკვიანად იცოხბა სუზნი.

— აი ვითხარი, ანაშა-შეთქი. ინდოხინეთში. იქ ოკეანეს, თითქოს წოჯოხეთითაა, ცეცხლი უვლიდა, შედუღებუნი ბაღურინის მამქანთან ქვედა ბოლოს ჰკვანან. შერე თან იეთი სინესტვა იმ ოხერში, რომ დილაობით ჩექმები ქამა საყოთი გექონდა ხოლმე სახე. შინ ცოცხალი არ მივიდა. თუ გატყუებდე.

შამეტს ბევრი რამ ჭოსატყუილური ჰქონდა ჯარში ვაგონილი, მაგრამ წინათ არასოდეს არავფერი არ უშამნიდა. გინა ამიტომ, რომ ტყვიას ვერ იტყოდა, ენახე ქალი წამოედგომდა, არა, არ დასქარვებია და ეგ იყო. ახლა კი თავის უწმინდეს ვალდ მიანდა როგორმე გაერთო სიუზნან.

შამეტს გოგონა რუანში ჩაიყვანა და ხელიდან ხელში ჩააბარა მადლ პარქუშ დედაკაცს— სიუზნანს მოხუც შამიდას. დედაბერს შავი მინის მძივი ჰქონდა ერთიანად აჩონჩხალი, იტყოდო, ცირკის გველიაო, იმნარად ბზინავდა.

შამიდას თვალი მოჰკრა თუ არა, გოგონა შამეტის გაბუნებულ ფარაფას აეკრა.

— არა უშავს რა! — ზურჩილთი უთხრა შამეტმა და სიუზნანს მხარში ხელი წაქრა. — რას იზამ, ასეულის შეთურებებს არც ჩვენ გვარჩენენებენ, რაგით ჯარისკაცებს. მოთამინე, სუზნი!

შამეტი წაიღო. რამდენჯერმე უყან მოხივდა, თვალ შევალა მოწყენილი სახლის ფარჯრებს. არა, ქრია ოდნავად არ არჩევდა ფარჯრებს. ნელ-ნელა მიჰყვებოდა ვიწრო ქუჩებს და დღუნებოდან საითების გაბმულ წიწვიის ხმა ესმოდა. შამეტს ჯარისკაცის ამგით მიჰქონდა სუზნის სახსოვარია— რაფტერი დამუკუნული ბაბთა. დმერთმა უწყის ციხეში, მაგრამ ბაბთას ისეთი ნახე სურნელი ეფრქვია, თითქოს ძალიან დიდხანს იებიან კალათში იყო.

შექსეურმა ციხე-ცხელუბამ ჯანი გაუნახვრა შამეტს. ჯაროდან იგი გამოისტუმრეს, სერჯანტის წინად არ აღარესს. სამოქალაქო ცხოვრებას კვლავ ჩვეულებრივ რაგით დამიანდა დამუბრუნდა.

წელიწადი წელიწადს მისდევდა, სილატაყის კი დასასრული არ უჩანდა. შამეტმა ათას რამ საქმეს მოჰკიდა ხელი და ბოლის მიანც პარიზში მენახვე გახდა. იმ დღიდან მტერისა და ქურდის ნარეცხის სუნი ველარ მოიშორა. ამ სუნს გრძნობდა სენის მხრიდან მონაქროლ ნიავშიც და იმ ყვავილებშიც, სუფთად ჩაქმულ დედაბრებს ქუჩა-ქუჩა რომ დაჰქონდათ ვასაყიდად.

დღეები ქაობისფერ დღერდოსაგით აიღუფხნენ. მაგრამ ხანდახან, თვალებს გულში რომ ჩაინბრუნებდა ხოლმე, შამეტი ამ დღერდოს მიღმა მკაფიოდ ხედავდა დარაია ვარდისფერ ღრუბელს— სიუზნანს დაცრეცილ კახს, რომელსაც

გაზაფხულს სუნთქვისნარი რამ სუნი ჰქონდა, თითქოს ისიც იებიან კალათში იყო, ძალიან დიდხანს.

სად არის ახლა სიუზნან? როგორ არის სეტყე? შამეტმა იცოდა, რომ იგი უკვე ქალიშვილი იყო, მამამისი კი ჭრილობებმა გადაიყოლეს.

პარიზელი მენახვე სულ ამარებდა, წაიღო რუანში, სიუზნანს ვახავო. მაგრამ რამდენჯერაც დააბირა, იმდენჯერ ვადაღო წასვლა, გადადებულ სექსე კი, როგორც ნათქვამია, ეშმაკისაა. ბოლოს მიხვდა, რომ წასვლა აღარ ღირდა — იმდენი დროა გასული, სიუზნანს აღბათ აღარც ვახსოვართ.

ღირსი ვარ, ღირსი, თავისთვის უბრაზდებოდა შამეტს, როცა გოგონასთან გამოთხოვების დღეს მოიგონებდა. ამის შავიერად, რომ ეკოცნა, მხარში ხელი წაქრა და, მოთმინეო, უთხრა.

ცნობილია, რომ მენახვენი ღამით მუშაობენ, ამ ამბავს თავისი ორი მიზეზი აქვს: აღმამინის მჩქეფარე და არა ყოველთვის სასარგებლო საქმიანობისგან ყველაზე მეტი ნაჯავ დღის ბოლოსათვის გროვდება და, ვარდა ამისა, არ შეიძლება შეურაცხყო პარიზელთა თვალი და უნარი ყნოსესა. ღამით კი მართო ვირთაგვები თუ ამჩნევენ, რა უცოდუდეში არიან მენახვენი.

შამეტი შეჩვენი ღამით მუშაობდა და, ცოტა არ იყოს, შეუფერადა კიდევ. ვანსაკუთრებით შესტრფოდა იმ წუთებს, როცა პარიზი რიყრაგში ეხვეოდა ხოლმე. ამ დროის სენს ბოლივით ეფუნებოდა ნისლი, მაგრამ ხიდეზის მოაჯირებს მიანც ვერ პფარავდა, იქამდე ველარ აღწევდა.

ერთხელ, სწორედ ნისლიანი ვანთადის ეშს, ხეიბართა ხიდეზე მომავალში შამეტმა თვალი მოკრა ახალგაზრდა ქალს, რომელსაც შვეშაქმანიანი ბაიკი იასამნისფერი კაბა ეცვა. ქალი ხილის მოაჯირთან იდგა და სენს ვადასცქეროდა.

შამეტი შეჩერდა, მტერთან ქული მოიშვლია და უთხრა:

— ქალბატონო, სენა ამ დროს ძალზე ცივია. მოდი, სახლამდე მივაკილებ.

ზედმეწევიანთ ზუსტიად ამ თარიღის გამოკვეთვა ამჟამად არ ხერხდება, მაგრამ დაახლოებით ამ მინაწერის გაკეთების დროის განსაზღვრა შეიძლება. ერთ მინაწერში თინათინ თავის შვილს, არსენის, თბილელ მიტროპოლიტად მოიხსენიებს: «ქ. ღთის წინაშე ეს სიგელი ასე იყო, მე ტფილელ მიტროპოლიტის არსენის დედა, თინათინ, ვემოწმებ. ეს ჩემი ბელია». საქართველოს ცენტრარქივის ძველი ქართული საბუთების განყოფილებაში დატულია საბუთი № 2043, იგი არსენ ტფილელ მიტროპოლიტის მიერ არის გაკეთებული 1796 წელს. აქ აღნიშნულია: «როდესაც ჩვენ ტფილელთა გვერდზე, მოხველ და შემოგვეყვდრე და ვეთხოვე ჩვენის ეკლესიის მამული კონის ხეცს, ხევის პირზედ, და ნეტარ ხსენებულთ ჩვენ მოსაყდრეთა ტფილელ მიტროპოლიტთ, გერმანე და დოსითეოსისაგან მოცემული წიგნიც მოგვითხენე თქვენითვის ნაბოძებისა და დღეს აჟამდე არ მოსულიყვე და ახლა მოხველ და დასდგე და ჩვენც ასე განვაგვიკეთა, ის მიწა ვაგზოზედ, შუახვედ ვაგვიკეთე, ნახევარს ზევით თქვენ პეტრეს და ქიტასს... და ნახევარს ქვევით შაშუსა შეილსა ბერუსასა... ვიხდინებოდას ღმერთმა ჩვენსა და ჩვენის ეკლესიის სამსახურში და ერთგულობაში მოგახმაროს ღმერთმა... აღიწერა ოკლობისაჲს ჴეს უბდ (ხეულად) არსენი».

მაშასადამე, არსენ თბილელის ზეობის თარიღი 1796 წელი ყოფილა. ჩვენ ისევე დანაშდევილებით შეგვიძლია არსენის თბილელობიდან გადაყენების თარიღის განსაზღვრა. არსენ თბილელი, ქართლის შავრატონთა ა-

1. იხ. საქ. ცენტრარქივის № 226 ფონდი. საბუთი № 2043.. არსენ თბილელის შესახებ ცნობები მოცემული აქვს პლატონ იოსელიანს. იხ. Описание древностей города Тифлиса. Тифлис, 1868, გვ. 200. აქ ზოგიერთი ცნობა ბუნდოვანია, მაგრამ არსენის ზეობის თარიღი სწორად არის.

1. იხ. ცინცაძე. კაბიტან ოთარ თუმანიძის მოხსენებითი პარათები საქართველოდან (1754-1756). იხ. თბილისის უნივერსიტეტის შრომები, 1946, XXVII, გვ. 26.

2. იხ. ცინცაძე. რამდენიმე ახალი ცნობა XVIII საუკუნის ქართლის ისტორიისათვის. იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, აკად. ფილიალი, IV, 1942 წ., გვ. 14.

შეირი, გარდა იმისა, რომ თბილელი მიტროპოლიტია, სხვა პრეტენზიების მქონე პირაფენიაც ვიფიქს. მაგრამ ბატონიშვილის თავისი თხოვნების ერთ-ერთი პარაგრაფის ქვეშ არსენ თბილელის შესახებ ასეთი ამბავი იქნა მოხსენიებული: „წელსა 1810, თბილელს არსენის ნაბიბს ქეს და კათალიკოსს ანტონის (ერეკლე II ძეა, ო. ც.) შუა შფოთი ჩამოაგდო ერისთავის შვილმა ვარლამ არხივისკომოზმა, რომელიცა იყო ახალი გარდასრული რუსიით, და იყო ესე ვარლამ სინოდის მწვერცხა. ენება მიზეზითა ამით, რათა თვით შეიქმნა კათალიკოსი. მაშინ არა მჭერქმან საქმისა ამისმან ანტონი კათალიკოსმან ჰყო ტფალისს კრება სრულიად სამღვდლოთა, რამეთუ ესე არსენი იყო ამპარტყანი და ურჩი კათალიკოსისა. რომელიცა განდიდებულ იყო რუსთაგან, აქნდა ბარტყელა თეთრი და შუბლისა ვარსი და კვალურიაცა იმასი. ესე აღარა რაცხდა კათალიკოსსა. ამისთვის შეკრიბნა (ანტონი კათალიკოსმან, ო. ც.) მიტროპოლიტებისკომოზისნი და ჰყო კრება, რამეთუ ტფილელსა არსენის გელანა დეკანოზი აღექსი (რუსთა პრეტორი) რეპტორი სკოლისა, აზნაურის კახეთისა პეტრიაშვილი, სიონის გულესისა შინა საკურთხეველსა მღვდომი, ოდეს კათალიკოსი სწირვედა... და გალანდაცა არქაერი ვარლამ, ესეცა ზედა დაურთვეს დღის მის შეურაცხება და კათალიკოსის წინ სამღვდლოთა ცემა და განება, ზოლო სხვანი მიზეზნიცა მრავალნი დაურთვეს. ამისთვის კრებამ განკვეთეს იგი მღვდლობისაგან და განუწერეს კანონად, რათა იყოს ეამ რაოდენმე მონასტერისა შინა, და მიუღეს ტფილელიცა, რამეთუ სერდა ვარლამს, რათა დაეპყრა თვით ყოველივე სამღვდლოთ ნაწილი საქართველოსა...“ როგორც პლ. იოსელიანის ცნობიდან ჩანს, 1812 წელს არსენი გარდაცვლილა 56 წლისა.¹

არსენ თბილელის ზეობისა და თბილელიდან მისი გადაყენების თარიღების გამოჩვენების შემდეგ, ჩვენ შევკვილია თინათინ თავთქირიძის მიერ ბერი ეგნატაშვილის სიკვლის პირზე გაკეთებული მინაწერების დროის დასაბუთებით განსაზღვრა. თინათინი აქ თავისთავს გვაცნობს არსენი თბილელის დედად. არსენი ვი თბილელად არის 1796-1810 წლებს შორის. თინათინს სიკვლიც ამ წლებს შორის უნდა დაემოწმებინა. მაგრამ ბუნებურ წლებში ეგნატაშვილი ბერი, რა თქმა უნდა, ცოცხალი აღარ უნდა იყოს და კითხვა იმალება,

ვისთვის ცდილობს თინათინ თავთქირიძის ქალი. 1756 წელს ბოძებული სიგლის ნაწილები დაიმტკიცება?

ეგნატაშვილი ბერი 1756 წელს, როცა მას დავით ბატონიშვილი წყალობის სიგელს უბოძებს, ხნაერი კაცი უნდა იყოს. მას დავით ბატონიშვილი თავის სამფლობელო აღგებებაში მნიშვნელოვან საქმეებს ანდობს, მისთვის „უბოძებია მრთლად დაღეთის მორათობა და თხუთმეტი თუმანი ჯამაგირი წელიწადში“. ეს წყალობა მის არ უნდა მოეწალოს, „არცა თვით დავით ბატონიშვილისაგან და არცა სახლისა მისისა ჩამომავალთა შვილთაგან, ერთგულებასა და სამსახურსა შინა“, ამის გარდა, ბერი ეგნატაშვილის დავით ბატონიშვილმა შთუბოძა თავის მამის აბდულა-ბეგ ბაგრატიონის მიერ „დაღეთში ნასყიდ საღამობაჲოს შვილის კამელის სასახლეთა და თორმეტი კვამლი კაცი თავის მამულთა, წყალობა, წისქვილთა, მიითა და ბართა, ნასყიდეთა და უსყიდეთა, შესავალითა და გასავალითა, სახნავითა და უხნავითა, საყდრითა და სასაფლაოთი, ყოვლითურთ სამართლიანის სამზღვრითა“. ყოველივე მსგავრ საზომებათ არ არის, ბერი ეგნატაშვილს მნიშვნელოვანი დამსახურება ექნა, როგორც თინათინ თავთქირიძის ოჯახის წინაშე, ისე დავით ბატონიშვილიან. ეს ადამიანი ხანში შესული უნდა იყოს 1756 წელს და, როცა თინათინი 1796-1810 წლებში ეგნატაშვილის სატელე ვაჭრულ სახურის პირის სისწორეს ადასტურებდა, ბერი ეგნატაშვილს კარგა ხნის ვარაუდობდა. თინათინის მინაწერში, მართალია, პირდაპირ ამის შესახებ არაფერი ნათქვამი არ არის, მაგრამ იგულისხმება ის წერს: „ამუროთა ვეციც და ჩემს სარწმუნოებას, მე თავთქირიძის ქალი თინათინ, თბილელის დედა, ჩემი ქელმწიფის შვილისაგან ნაბოძებნი წიგნი ასე ჰქონდა იმ ჩემს მზითვის აზნაური-წილსაო“. მაშასადამე, სიგლის პირის ნამდვილობის დადასტურება ბერი ეგნატაშვილს არ სჭირდება, მაგრამ ვიღაც მისი შემეკიდრე ვადარჩენილა და, არსენის თბილელიანის წლებში (1796-1810), სურს იმ მამულსა და გლეხებს კვლავ დაეფულოს, რომელიც 1756 წელს დავით ბატონიშვილმა ბერი ეგნატაშვილს მიუბოძა. გლეხების შესახებ, რომ რაღაც დავა არის აღებული, ეს სიგელზე თინათინის მინაწერიდანაც კარგად მოჩანს. იქ ვკითხულობთ: „კაცი თორმეტი კვამლიამ იმ მახლობს: ორი კვამლი მღვდნაშვილები, ორი კვამლი იოსებაშვილები, ერთი კვამლი ქაბუჯაშვილი მამუკა, ერთი კვამლი თორელიშვილი. სხვა გლეხების საკელები აღარ მახსოვსო“. ვის ეახება სადავოდ ამ თორმეტ კვამლ გლეხებზე ბატონობა, სიგლის მინაწერებიდან არ ჩანს, ეს კაცი თინათინს არ დაუხსნებია, მაგრამ მის შესახებ ზოგადად საუბარი არის მინაწერ-

¹ დავით ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, მაგრამ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა. თამარ ლომოურის გამოცემა, 1941 წ., გვ. 105-110.

² Платон Иоселиани. Описание древностей города Тифлиса, 1868, г. 200.

ში: „ეს ყმაწვილი მანამ წავხედებოდი მეფის ირავლისაგან, მანამ ეს თბოლი იყო და ჩვენ რომ წავხედო, იმ ეჰად ჩემს მოხალეს ამ ობოლის მტრები შესდგომოდნენ და მომპარა ის წიგნი და დაეწეა ღის წინაშე ეს ასე იყო-ო“.

ამ „ობოლ ყმაწვილს“, როგორც ჩანს, ბერი ეგნატაშვილის ქონებაზე ხელი შემკვიდრებოდა მიუწვდებოდა, მაგრამ, საფიქრებელია, ეს უფლება მას ვარკვეულ დრომდე არ ჰქონდა და შემდეგ დაშლარა დრო, როცა ეგნატაშვილის საბუთით მამულისა და ვლახების მიღება ამ შემკვიდრეს შეეძლო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ასეთი დრო ამ „ობოლ ყმაწვილს“ მამინ დაუდგო, როცა ვრკველ II გარდაიცვალა, ან როცა თვითმპყრობელთა დაგმობისა დაქარტუვლის. თინათინის შვილი არსენ თბილელიც ვრკველ მეფის შთამომავლობას, როგორც აღენიშნეთ, აღარ ებუება. შესაძლებელია ეს „ობოლი ყმაწვილი“ ბერი ეგნატაშვილის შვილი ან შვილიშვილიც იყოს. ის 1765 წლამდე დაობლებულა და თინათინის მზრუნველობის ხელშეწყვეთ ცხოვრობდა. ეს უკანასკნელი იხანავე მის წერილობით საბუთებს, კერძოდ, ბერი ეგნატაშვილის სახელზე გაცემული საბუთით თინათინის მოხალეს მტრების შეჩენით მოსტაცეს და დაუწვეს კიდევ. რატომ მინც არ ასახებდა თინათინი ამ „ობოლს?“ ერთადერთი ახანა ამ ვითარებისა იმით შეიძლება, რომ იმ დროს, როცა ბერი ეგნატაშვილის ქონების შემკვიდრების საკითხი იჩნეოდა, იმ „ობოლ ყმაწვილს“ ყველა იცნობდა და თინათინის ეს გულმთავიყობა ხელს არ უშლდა. მის სხვა საბუთებზე უნდა ჰქონოდა ეგნატაშვილის შემკვიდრების დამადასტურებელი. ამ საკითხების გარშემო, შესაძლებელია მასალები ცენტრალური არქივის რომელიმე ფონდის საქმეებში დაცული იყოს კიდევ.

მაშასადამე, დავით ბატონიშვილის მიერ 1756 წელს ბოძებული სიგლის პირისა და მისი მინაწერების შესწავლისა და განხილვის შედეგად ჩვენ ასეთ დასკვნამდე მივდივართ. ერთი ეგნატაშვილი ბერი, მე-18 საუკუნის პირველ ნახევარში მცხოვრებია, ქართული აზნაური მოილია. 1756 წლისათვის ის ხნიერა კაცია, რომელსაც დავით აბლუაშვილის ძე დიდ საპასუხისმგებლო საქმეებს ანდობს და მნიშვნელოვან გასამრჯელოსაც უნიშნავს. ეს ეგნატაშვილი ბერი დავით ბატონიშვილის ოჯახში თავისი კაცია. მის ერთადერთ ვაჟიშვილს, ალექსანდრეს, ანთვლინებს დავით ბატონიშვილი.

1765 წლამდე, ე. ი. სანამ პაატა ბატონიშვილისა და დავით ბატონიშვილის მიერ მოწყობილი შეთქმულბა გამოაშკარავდებოდა და შეთქმულთ სიკვდილით დასჯიდნენ, ბერი ეგნატაშვილი 1756-1765 წლებს შორის გარდაცვლილი უნდა იყოს. მაგრამ მის შთამომავლო-

ბა დარჩენია, სიგლის მინაწერიდან ჩანს, რომ ეგნატაშვილის შთამომავლობა (შვილი ან შვილიშვილი) 1765 წლის ხსოვს ნიშნით მცირეწლოვანი უნდა ყოფილიყო. ეგნატაშვილებს მტრები ჰყოლიათ და დავით ბატონიშვილის მიერ 1756 წელს ბოძებული სიგლის დედანი განზრახ მოუპარავთ და დაუწვევთ 1765 წლის შემდეგ, როცა დავით ბატონიშვილის ოჯახი ღალატისათვის დაპირბის ვრკველ მეფის განკარგულებით.

მე-18 საუკუნის ბოლოს, თუ უფრო მე-19 საუკუნის პირველ წლებში, ბერი ეგნატაშვილის შთამომავალი შემკვიდრე იმ ქონების რაღაც ნაწილის კვლავ დამატრონებას ცდილობს, რომელიც ეგნატაშვილებს დაუკარგავთ დავით ბატონიშვილის ოჯახის დარბივის შემდეგ. ბერი ეგნატაშვილის შემკვიდრეს, სათანადო დაწესებულებაში, თინათინ თავთბირის ხელისმომწერი დადასტურებელი, 1756 წელს ბოძებული წყალობის სიგლის პირი წარუდგენია. ეს სიგლის პირი დღეს საქართველოს ცენტრალური არქივის ძველი საბუთების განყოფილებაშია დაცული.

მაგრამ ხომ არ უნდა დაეასკენათ უქლანი, რომ ამ საბუთში მოხსენებული ბერი ეგნატაშვილი და „ახალი ქართლის ცხოვრების“ შენადგენად ვახტანგ VI ბრძანებით შემდგარ „სწავლულ კაცთა“ კომისიაში მომწევი, ისტორიული დაქტების განზრახ „შერით და მტრობით“ დამშახინებელი და გამუაღობებელი ბერი ეგნატაშვილი ერთი და იგივე პიროვნებაა?

ამ პირობა ერთდიაგივეობის დამამტკიცებელი პირდაპირი ცნობა არ მოგვეპოვება. ლამაფიქრებელია, მაგრამ არ არის საკმარისი იგივეობის დამამტკიცებლად მარტო სახელისა და გვარის დამთხვევა. არც ეს არის საკმარისი, რომ ვარაუდით ერთსა და იმავე ებოქაში ცხოვრობენ ერთი და იმავე სახელის მქონე ეგნატაშვილები. არც ეს ვარაუდობაა საკმარისი, რომ სიგლის ეგნატაშვილი და „ახალი ქართლის ცხოვრების“ ხელნაწრის მინაწერმა მოხსენებული ეგნატაშვილი ქართლელი ბავრატონების სამსახურში არიან.

მართალია, ასეთი დამთხვევების უკუაღღებოდ მიტოვებაც მართებული არ იქნებოდა, მაგრამ ჩვენ მინც იმ ვარაუდობას გვიხანაზი ვაფუსვით, რომ საჭირო იქნება კიდევ დამატებით სხვა მასალის მოშველოებაც ჩვენი ვარაუდის შესამაგრებლად.

საქართველოს ისტორიის ძველ ხელნაწერთა არქივზე გავთვებულ მინაწერებში, წიგნების ავტორთა მისამართით შენიშვნები და ზოგჯერ საუვედღურიც არაერთხელ არის გამოთქმული. ასეთ საუვედღურს ვახუშტ ბავრატონის მისამართითაც ვხვდებით მისი თხზულების არქივებზე. ერთგან მიწერია: „შენიშნულ-

ბა დომიტრი ორბელიანისა: „მივიერს შენის გონიერებისაგან ამ ამბის მწერალთა და ესამართლოდ მივიყენებლო ბიძისა, შენვე იტყვი ფრად მიქცეულ იყო მამამიანთ რჯულზედაო და რომელ თათარს უნათესავე ბიბა ბეზიის ძმისწული და დედის ბიძის ცოლი და ოთხმოცდაათის წლის ქორეების ნაცოლარი, თთხმეტის წლის ქალი, წარჰკითხებო განსაგებ“¹. აქ ეს შენიშვნა ეხება იმვე მეფის წესაზე ვახუშტისეულ კრიტიკას. იმავე დომიტრი ორბელიანს უნდა ეკუთვნოდეს ვახუშტ ბაგრატიონის თხზულების ხელნაწერის არსაზე მეორე მინაწერიც: „რომელი უფლისწული ყოფილა მეფობის გამოცდილი, რომ ერეკლე ყოფილიყო მეფობადინ ბესეთს აღზრდილი და სპარსეთში მყოფი? დომიტრი“². ეს შენიშვნა ეხება ვახუშტ ბაგრატიონის შიგრ ერეკლე I დახასიათებას. ვახუშტი წერს: „ესე ერეკლე ყენისაგან წოდებულ ნაზარაღიან, მოვიდა ტფილისს შეუდ... არამედ იყო ქართლისა და წესთა საქართველოსთა უცნობელი და მეფობისა გამოუცდელი, ღირწითა და უშვერთა მოუპარი, სმისა და შეუბა ლხინთა მოყვარე“³.

ვახუშტ ბაგრატიონს საყვედურობს იოანე ბატონიშვილიც, ვახუშტ ბაგრატიონთა ნაშვარი. იგი თავის კალმასობაში ვახუშტის შესახებ წერს: „ვახუშტი ბუმისათვის ბაგრატიონისა. ვახუშტი ბუმი ბაგრატიონთა, აღზარდა ვახტანგ მეფემან მოსოვესა შინა, და იყო კარგი მეციერი. ამან განავრცელა ქართლის ისტორია და აღწერა კარგად, აგრეთვე შეფეთა მთამომელთანიცა; გარნა ვინადგან გამოძებულ იქმნა კახთა მეფეთაგან, ამისთვის ისტორიასა შინა თვისსა მიერ ქმნილსა, შუ რითა მთუთ ბ რ თ ბ ს ს ა ქ მ ე თ ა მ ა თ თ ა შეწვენითა ცხვირ მოჭრილსა, ორგულთასა ზედა მეფეთსა, ამოღახვირვილილსა და ამისთვის ზ რ ა ხ ვ ე ნ ქ ა რ თ ე დ ლ ი და ა რ ა ქ ე შ მ ა რ ი ტ ს ის ტ ო რ თ ა დ რ ა ც ხ ვ ე ნ, ე ი ნ ა დ გ ა ნ შ უ რ ი თ ა მ ე ფ ე თ ა და მ რ ი ვ ა ლ თ ა თ ა ვ ა დ თ ა ა უ გ ნ ი დ ი წ ე რ ა“⁴.

ვახუშტი ბაგრატიონი ზოგჯერ რომ კახელების მიმართ ტენდენციური შეიძლება იყოს, ეს შეგვიძლია ერთი მაგალითით ვივარაუდოთ. ქრონოლოგიურ ნუსხაში ერთგან მას აღნიშნული აქვს: „1755 უშგ. შეუთქვეს კახთ ანტონ კათალიკოსს ფრანგობა მტერობით და განა-

ძეს, ცვალდ რომის ბერნი კათლინინი ქართლიდამ“¹. თეიმურაზსა და ერეკლე მეფეებს ვახუშტ ბაგრატიონი აბრალდებს ანტონ I-საშეშობლოდან გაქვეებას, თითქოს მის მტერობისა გაკათოლიკება მოუგონეს. ახლა, ანტონის გაკათოლიკება რომ ფაქტი იყო, სიმტიკებელი აღარ უნდა იყო არაგისთვის, ზვენ დოკუმენტურად დამტკიცებულად მივაგანიო ეს ფაქტი. არ შეიძლება ვახუშტს ეს არ ცოდნოდა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, სიმართლეს განზრახ უნდა ფარავდეს.

კახეთის მფლობელ ბაგრატიონებს შერთლაც, აუგით იხსენიებს თავის თხზულებაში ვახუშტი. შესაძლებელია მის ხელთ ასეთი მსჯელობის დამატკიცებელი წყაროებიც იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, მწიგნობარი ვახუშტ ბაგრატიონები მაინც ვახუშტს, ვითარცა ქართლელი ბაგრატიონების წარმომადგენელ მეცნიერს, ტენდენციურობაში დებენ ბრალს.

კახელების შესახებ ვახუშტი ერთგან წერს: „არამედ სლეთთა ყინილბაშთა შინა კახთა ისწავეს წესნი მათნი, სმა, ქამა, ვანქროსთა და უშვერი კველუობა, ტანთოსა მათი, ამოთ დაუტევებდნენ მცირედ მცირედ ზნეთა საქართველოსათა და შემოიღებდნენ სპარსთასა, გორნა უფრისად აღექსანდრეს და თეიმურაზის ყამთა შინა“².

ზვენ უტუტური ცნობა მოგვებოება იმის შესახებ თუ სპარსელები როგორ აძებლებდნენ, თეიმურაზ I დროს, მეფეს და მის ამჟღას სპარსულად მოთვლას.

ტანსაცმლის შეცვლაში სპარსელი დამპყრობლები პოლიტიკურ შინაარსს სდებდნენ. 1640-42 წლებში თეიმურაზ I-თან გამოგზავნილი რუსეთის ელჩი თავადი მიშეცია თავის საანგარიშო მოხსენებით ბარათში აღნიშნავს, მისი კახეთში ყოფნისას, ერთ დღეს, თეიმურაზ მეფესთან აღდიეიდაზე ყოფნის დროს, მეფეს მოულოდნელად ცნობა მოუვიდა, რომ აღაჯერდის ტაძრის გაღავანში ირანიდან წარმოგზავნილი ელჩი მას ელოდებოდა. თეიმურაზს და მის ამალას სასწრაფოდ ქართული ტანსაცმელი გაუზღდიოთ, სპარსულ ყიდიანზე მორთულან და ასე შეგებებიან სპარსულ ელჩს.

რუსეთის ელჩს, მიშეციას, გაკვირვება ქართველი მეფისა და მისი ამალის შიგრ მოულოდნელად ტანსაცმლის შეცვლა და თეიმურაზის კარისკაცისათვის, ვინმე რევაზისათვის, ამისი მიზეზი უკითხავს: „...боярину Реваз бего горюил: для чего Теймураз царь“

¹. იხ. საქართველოს ცხოვრება 1469-1800 წ-მდე, ვახუშტი ბატონიშვილის მიერ, თბილისი, 1913 წ., გამოც. ზ. კვიციანიძისა, გვ. 120.

². იქვე, გვ. 92.

³. იქვე, გვ. 92.

⁴ იოანე ბატონიშვილი, კალმასობა. ტომი II, კ. კველიძისა და ალ. ბარამიძის რედ., 1948 წ.

¹ ვახუშტ ბატონიშვილი. საქართველოს ცხოვრება 1469-1800 წ-მდე, II გამოც. ზ. კვიციანიძისა, 1913 წ., გვ. 392.

² ვახუშტ ბატონიშვილი, საქართველოს ცხოვრება 1469-1800 წ-მდე, II გამოც. ზ. კვიციანიძისა, 1913 წ., გვ. 166.

царевич Давид и вы Теймураза царя-ближние люди встречали шахова посла в чалмах и в озямах по князлбассии? и боярин Реваз бей... говорил: сами де вы то видите, что мы у князлбасских людей живем в неволе. Только де нам так не делать, и нам от князлбасских людей и часу не жить»...¹

კახელი მფლობელების აუცილ მოხსენიების ბავალითების მოტანა აქ კიდევ შეიძლება, რომ საჭირო იყოს, მაგრამ, ფიქრობთ, მოტანილი მასალა საკმარისია იმის დასამტკიცებლად, რომ მე-18 საუკუნის საქართველოში დავა და უმეყოფილება ქართლსა და კახელ მწიგნობარ ისტორიკოსებს შორის ისტორიული ფაქტების ტენდენციურად თხრობაშია დასაბუთებული.

როგორ იქცევა ქართლელი ისტორიკოსი ეგნატაშვილი ბერი? მის თხზულებაში მიჩნეულ „ახალი ქართლის ცხოვრების“ „B“ ხელნაწერში 404 ფურცლის ორივე მხარეს არსებებზე უცნობი პირის მიერ ვაკეთებულ მინაწერებში ავტორის მისამართით შენიშვნებია ხელნაწერის ხატვებელი ფურცლის ძირითად ტექსტში ერთგან ასე მსჯელობს ავტორი: „ხოლო ესე ეგრა ვსცანთ, თუ ბატონი იმერეთისა და კახეთისა რომლისა თესლითაგან არიან, და ანუ ვითარ უპყრისთ ქუეყანანი იგი. აქ, „A“ ხელნაწერისაგან განსხვავებით, ჩამატებულია: „რომელნიმე იტყვიან: ძეთაგანი ნარინ დავითისანი არიან“².

შემდეგ კითხვა დასმული კახელი მფლობელების ენაობის დასადგენად, ტექსტში აღნიშნულია: „ხოლო კახეთისა მეზატონეთა მამა იყო დავით, და ამა დავითის მამა, არა უწყით, თუ ვინ იყო, ესე დავით დიდოეთამდე ჩამოიყუანეს და კახთა ვიზატონეს. მოკლდა დავით და დაჯდა ძე მისი ლევან, და შემდგომად ლევანისა ძე მისი ალექსანდრე. „B“ ხელნაწერში დამატებულია კახთა მფლობელების შესახებ: „რომელთამეთაგან თქმულ არს: ძენი აღსართანისანი არიან“³. სწორედ ამ გვერდის მარჯვენა არსიაზე უცნობი პირის შენიშვნაა: „ეგნა-

¹ М. Полиевктов, Посольство кн. Мышечного и князя Ключарева в Кахетию, Тбилиси, 1928 წ., გვ. 147.

² ეგნატაშვილი ბერი, ახალი ქართლის ცხოვრება, დვ. ქავახიშვილის რედ. 1940, თბილისი, გვ. 46.

³ იქვე, გვ. 47.

ტაშვილი მტრობა უმგარი სიცრუე ამას რომ იმართა და კახთა...“ (შემდეგ აღნიშნულია ეგნატაშვილის მინაწერი). როგორც ჩანს, ცხატაშვილმა ბაგრატიონთა გვარიდან შთამომავლობას საეკლესიო აღწევებს შეითხველს „ახალი ქართლის ცხოვრების“ ავტორი თუ რედაქტორი ეგნატაშვილი. ყოველივე ასეთი მსჯელობა თეიმურაზ II და მისი შვილის ერეკლე II ქართლში ეგნატონების წინააღმდეგ არის მიმართული. „ახალი ქართლის ცხოვრების“ ავტორის თუ რედაქტორის ასეთი „ანტიკახური“ განწყობა იქნება საეკლესიო შეესაბამება სიგელში მოხსენიებულ ეგნატაშვილ ბერის განწყობილებას, რომელიც მთელი თავისი არსებით ქართლელი ბაგრატიონების წრეში ტრიალებდა.

ქართლის სამეფოდან თავის დროზე რუსეთში ეგნატაშვილს შეეძლო გადახვეწილი ერთი ეგნატაშვილის შთამომავლობას, სიმონ ეგნატაშვილს, რუსული ენა ისე შეუსწავლია, რომ თავის ახალი პატრონის („რუსთ ხელმწიფის“) სამსახურში შესული, რუსეთის სიგარეო საქმეთა მინისტრის კოლეგიაში საიდუმლო აგენტად დამდგარა და ქართლში კაბატონებელი კახელი ბაგრატიონის ერეკლე II წინაშე მდგომარეობაში, ვარსკვლავი ქვეყანაში, საიდუმლო მიმოწერას ეპარავდა, რუსულ ენაზე თარგმნიდა და თვითმპყრობელობის ამ გზით ერთგულად ემსახურებოდა.¹

მართალია, სიმონ ეგნატაშვილის („ეგნატაშვილ“ მოხსენიებული რუსულ საბუთებში) საქმიანობას არაფერი საერთო არა იქნება საქართველოში ეგნატაშვილი ბერის მოღვაწეობასთან, და სიგელში მოხსენიებულ ეგნატაშვილის ენაობის დასადგენად არაფერში გვეყვების, მაგრამ სიტყვამ მოიტანა და ახალი საკითხი წამოგვეჭრა; ერეკლე II რომ „შფარველობითი ტრაქტატი“ ვააფორმა 1783 წელს და სიგანგებო შეთანხმების საფუძველზე, აღმოსავლეთ საქართველოში არსებული თავდაზნაურთა გვარების დამტკიცებული სია წარუდგინა „რუსთ ხელმწიფეს“, აი ამ სიაში, ეგნატაშვილის გვარი არ შეუტანია, მეფე ერეკლეს, ბუნებრივად კითხვა წამოიჭრება: ჩვენს სიგელში მოხსენიებული ეგნატაშვილი ბერის შთამომავლობა, საქართველოში რუსთა ბატონობის დამყარების შემდეგ, ერეკლეს დროს დაკარგულ აზნაურობას ხომ არ ეძიებდა საქართველოს ახალი პატრონისაგან?

¹ იხილეთ ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, 1960 წ., თბილისი, გვ. 145-152.

ნიკო ნიკოლაძე და ფრანგული ლიტერატურა

ნიკო ნიკოლაძე კარგად იცნობდა დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას, განსაკუთრებით საფრანგეთისას, ის რამდენჯერმე იყო საფრანგეთში და დიდხანს რჩებოდა ხოლმე იქ, მას აბოლო ურთიერთობა ჰქონდა იმ დროის გამოჩენილ ფრანგ საზოგადო მოღვაწეებთან და მწერლებთან: ლუი ბლანთან, ეიქტორ ჰიუგოსთან, ალფონს დოდესთან, ანრი როსფორთან, ლეონ გამბეტასთან და სხვებთან.

ნიკო ნიკოლაძეს ღრმად ღია საფუძვლიანად ჰქონდა ათვისებული დიდი ფრანგი განმანათლებლების ნაბრევი, ფრანგ ისტორიკოსთა შეხედულებანი, ფრანგი უტოპისტების იდეები.

უმატებულო იქნებოდა იმის თქმა, რომ ნიკო ნიკოლაძეს დასავლეთ ევროპის, კერძოდ, ფრანგული კულტურისა და ლიტერატურისადმი ინტერესი აღეპრა მისი საფრანგეთში ჩასვლის შემდეგ. ნ. ნიკოლაძე სამოციანელთა სახელოვან პლეადას ეკუთვნის, მისი მსოფლმხედველობა და ესტეტიკური მარწმისი ჩამოყალიბდა 60-იანი წლების შიგნით ჩვენში (საქართველოსა და რუსეთში) და, მაშინააღამე, მის შეხედულებებს ძირითადად აქ ჩაეყარა საფუძველი. საფრანგეთის გაცნობამ და იქ მოღვაწეობამ კიდევ უფრო გააფართოვა ნიკო ნიკოლაძის საფუძვლიანი ინტერესის წრე.

ნიკო ნიკოლაძე ისეთი დიდი სიყვარულითა და სითხოთა წერს საფრანგეთში მიღებულ შთაბეჭდილებებზე, რომ ადამიანი შეუწინაღებელი ინტერესით კითხულობს მათ. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი წერილების მთელი სერია „სხვათა შორის“ (ნაგერძობი და განავონი), რომლის მეთვე წერაღს ნიკო ნიკოლაძე იწყებს გამოჩენილ ფრანგი რომანტიკოსი მწერლის ალფრედ დე ვინის სიტყვებით: „ხელი მომიკიდე, მეზავრო, ავიდეთ მაღლა კოშკზე“.¹

ამ წერილის სათაურია „პარიზი“ — „აღიღონი იგი ამოვიღა, — წერს ნ. ნიკოლაძე, — ისე გათენდა, რომ ჩემს თვალს ჰილა არ მიქარებია. პარიზის მიახლოებება თან და თან უფრო და

უფრო მაღლდება. ასა, თუ ასრომიცდაათი ვერსის ბოძი კი დავითვალე ამ დილას და თითო ბოძის დანახვაზე ნიდაღ ის ჰქონდა თავში—გხლა ამდენი და ამდენი ვერსი კიდევ დარჩა თქო. არც ერთხელ არც ერთი საყვარელი ქმნილების მოცდას, მის ლოდინს და დავეციანებას არ უმოქმედია ასე ჩემზე. და ღმერთმა ხომ იცის, რომ ეს ლოდინი მძიმეა, რომ ამ დავეციანების დროს ერთი წუთი მთელ საუკუნედ მჩვენებია ხოლმე. შუე მაღლა იღვა, პარიზში რომ შეველით“.¹

ნიკო ნიკოლაძეს პარიზი შორიდან წარმოედგებოდა ზან „მშვენიერა და კველუცი ქალის სახით, რომელიც თავისი ეშხითა და მზიარულებით თითქოს ამბობდა: „ქვეყნიური სამოთხე ამ ქვეყანაზეა, ეს სამოთხე მე ვარო“. უფრო ხშირად კი ის პარიზს ხედავდა, როგორც „ახალგაზრდა, გამზდარ, დაქანტული, მაგრამ მზინც ქლიერსა და დუღალავ ვეკაცს, რომლის სხეულს ათასი ქრილობა აინდა და გულის ფიცარი ხიშტით და ტყუიით ჰქონდა დახერცერილი“. ამ გმირის თვალზეში ახალგაზრდა ქართველმა დაინახა „ყოვლას მიმტოვებელი, ყოვლის აშტანი, ყოვლის გამბედავი რწმუნების დამილი“.²

მაგრამ როგორი იყო საერთო შთაბეჭდილება, რომელიც დარჩა ნიკო ნიკოლაძეს პარიზის გაცნობის შემდეგ? მოფუსმინით თვითონ მას: „ამ მშვენიერი და გასაყვირელი ქალაქის მთელი წარსული ცხოვრება და მოქმედება დაახატა ჩემს გონებაში, როგორც ერთი შეუწყვეტავი და ნიდაღი შრომა კაცობრიობის ცხოვრების გაუმოძებისხათვის, გონების გახსნისათვის და ხასიათის გათავისუფლებისათვის. არც ერთს სხვა ქალაქს და არც ერთ სხვა ქვეყანას არ უზრუნვია იმდენი კაცობრიობის მდგომარეობაზე და ბედზე, როგორც აი ამ პარიზს. ამ ქალაქის ხასიათმა აქაურ შეცნიერებს ტვიწში ჩაუნერგა, რომ კაცი ამ ქვეყნიოთვე ბედნიერი უნდა იყო სო, რომ ეს ბედნიერება მარტო სასურველი კი

¹ ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, პროფ. დ. გამეზარდაშვილის რედაქციით, ტ. 3, თბილისი, 1963 წ., გვ. 129.

¹ იქვე.
² იქვე, გვ. 130.

აზა, შესაძლებელი საქმეც არისო და იმ გზაზე დააყენა, რომლითაც მართლა ადვილი თუ არა, შესაძლებელი შიინც არის კაცობრობის ბედის გაწეობა და ბედნიერების დაარსება. აქ გამოიკვლიეს და გაიკენეს კაცის ბუნება და თვისება, მისი ხასიათი და საქართვება, მისი სურვილი და ლტოლილება. აქ შეათანხმეს და შეადარეს ერთი პარტის სხვადასხვაგვარი მიდრეკილება და სარგებლობა, და მათი საყოველთაო დამყარების საშუალება და გზა აქვე გამოთქმნეს. აქ დაარსდა, გაეცთა და აუყვავდა „სახოვადობრივი ცხოვრების“ მეცნიერება. აქ გამოითქვა პირველად ის ტერმინები, რომ კაცის ვრძობის, გონების და ხასიათის ცხოვრებაც სწორეთ იმავე კანონებს ემორჩილება და იმავე კანონებით იმპარტივისო, რომლითაც მთელი დანარჩენი ქვეყნიერება — მცენარეები იყოს, ვინდ მზე და მნათობები — იმპარტივისო. აქ დანიერა პირველთ საზოგადოების უკეთესი, გონიერი, ბედნიერი ცხოვრების და გაწეობილებას იღვალის. აქედამ გავრცელდა ეს მომავლის რწმუნება და სწავლა დანარჩენ ქვეყნიერებაზე. აქ იმრომეს, იტანჯეს, ეწვაღენ და მოკვდენ კაცობრობის სიკეთის, თავისუფლების და მშობის შომახრნი, რომ სიკვდილთ და წამებით უფრო გაძლიერებინათ თავიანთი რწმუნების და სწავლის ვაღუენო... ერთი სიტყვით, ეს ქალაქი ჩემ ვონებას იმ მშრომელ ძალთ გამოებადა, რომელთა სწავების ბედნიერების გულისათვის ნიდაგ მზათა თავის თავს თანსაირი უბედურება და წვალება აუტეხოს და აიტანოს...“¹

აი, როგორი შთაბეჭდილებებით აღვისო თავიანთვე ნიკო ნიკოლაძის მკვირცხლი ვონება საფრანგეთისა და მისი დღეაღალაქის გაცნობის შედეგად. მას ძლიერ შეუყვარდა პარიზი „ეს საყვარელი, ნიჭიერებით სავსე, ვასაოცარი სიკვარელისა და ძალის ქალაქი“. შეუყვარდა „მშვენიერი ქალაქი მისა ჩინებული ხალხით“.

ნიკო ნიკოლაძის კალამს ეუთუნის დიდი თუ მცირე მოცულობის უმარავი შრომები საფრანგეთსა და მის ლიტერატურაზე. შემთხვევითი არ იყო, რომ მან თავისი დავიერებისა და კვლევის ერთ-ერთ მთავარ ობიექტად საფრანგეთი აირჩია.

თითქმის ყოველთვის, განსაკუთრებით კი მე-19 საუკუნეში, საფრანგეთი ევროპის მიზიდულობის ცენტრს წარმოადგენდა. ჩვენს სამოციანელებს სწორედ ის საკითხები იტაცებდა, რომლებიც ასე აღიწერება და აღიჭრება დრანგ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს. ამ საკითხებს შორის მთავარი იყო სოციალური და ეროვნული საკითხი, ამ ქვეყნად თავსუფლების, მშობისა და ერთობის დამყარების საკითხი, ამიტომ იყო რომ ასინი (ნიკო ნიკოლაძე, სერგეი მესხე და სხვები, დ. დ.) ევროპე-

ლი დემოკრატის მექისაყენ — პარიზისკენ მიისწრაფოდნენ. მეშათა ვარუებებში ევლისის და თებერელის ბარაკებებს რეფორმებზე ეძებდნენ. პერ ლაშეზის სასაფლაოზე კრებულნი მენარების სისხლის ლაქებს ხედავდნენ, ხოლო პანთეონში ვოლტერისა და რუსოს სარკოფაგების წინ იხოქებდნენ!²

დიდი რეზონანსი, გამოიწვია საფრანგეთში ნიკო ნიკოლაძის ბროშურამ „დეკადანსის პრესის“ იგი 1875 წელს ფრანგულ ენაზე დიბეჭდა პარიზში.

ამ შრომაში ნიკო ნიკოლაძე მწვავე სატირით გამოდის მესამე რესპუბლიკის ეურნალისტების წინააღმდეგ: ის ამტკიცებს, რომ ფრანგული პრესა დეკრადაციის გზაზე დამდგარი და თანდათან კარგავს ავტორიტეტს. ნიკო ნიკოლაძის მართებული აზრით, ცივილიზებულ ქვეყნებში პრესა ხალხს უნდა ანათლებდეს, აეთარებდეს, ეულტურებდეს დონეს უმაღლესს. ის სწორად და ობიექტურად უნდა სწავლობდეს და ამუქებდეს საზოგადობრივი ცხოვრების მტკიცეულ საკითხებს და სხვა, და აი, საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის პრესა ისე დაეცა და დაენინდა, რომ იგი ვახდა ვახატონებული წრეების ხელში ბრმა იარაღი.

ჩვენი მკვლევარი იმ აზრს აეთარებს, რომ ფრანგული პრესის ეს არანორმალური მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოისწორდეს, ის უნდა განთავისუფლდეს მონური მდგომარეობისაგან, ის უნდა ვახდეს მიუდგომელი, ობიექტიური მიმომხილველი და მქადაგებელი მშებისა და მოვლენებისა, მან მთელი ძალიანე უნდა მოიკრიფოს, გულწრფელად და პირდაპირ ილაპარაკოს. ასე აყენებს საკითხს თვით საფრანგეთის ინტერესებსა და მომავალი.

ნიკო ნიკოლაძის ამ ფრად საყვარადლო შრომას ინტერესით შეხვდნენ ფრანგი საზოგადო მოღვაწეები. მისი რამდენიმე გვერდი ემილ ეიარდენმა გამოაქვეყნა თავის ვახუთში, ლეი ბლანმა ნიკო ნიკოლაძის სპეციალური ბაროი ვაუგზავნი, რომელშიც ის რამდენადმე მკაცრად მიიჩნევს ავტორის მიერ გამოთქმულ აზრებს, ამვე დროს აღნიშნავს, რომ ამ შრომაში გამოთქმულ შეხედულებებს ღრმად უნდა ჩაუფიქრდეს ფრანგი მკრთველი საზოგადოებრიობა.

რაც შეეხება ფრანგ პუბლიცისტს ივ გიოს, ის ნიკო ნიკოლაძისადმი ვაუგზავნილ წერილში შემდეგს წერს: „მეორეთსო ბატონო და თანამომე, ძალიან მაღლობელი ვარ თქვენი უაღრესად საინტერესო ბროშურის „დეკადანსის პრესის“ გამოგზავნისათვის.“

არასწავით არ შეიძლება წარმოიდგინოთ, რომ იგი არის დამერილი „ეცხოული ეურნალისტის“ მიერ, ძალიან ეოტა ფრანგი ეურნალისტი შეს-

¹ ნიკო ნიკოლაძე, თხზულებანი, ტ. 3. თბილისი, 1963 წ., გვ. 131.
² „მნათობი“, № 1.

¹ . გერონტი ქიქოძე, „მოგონებები, თბილისი, 1956 წ., გვ. 75.



ძლებდა ამის დაწერას ასეთი ენით, ასეთი სიძლიერით და ჩასწორებით*.

ცნობილია ის დიდი ინტერესი და გამოხმაურება, რომელიც გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში პარიზის კომუნამ. ნიკო ნიკოლაძეზე ძლიერ განიცადა და ვაიხრა პარიზის კომუნა, როგორც დიდი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა. ის თავის შრომებში ბევრგან ეხება პარიზის კომუნას.

პარიზის კომუნის გამოცხადებამ დიდად აღავსო ნიკო ნიკოლაძე. მან მასში პროგრესული მოძრაობა დაინახა. პარიზის კომუნით ვაზარებულა ჩვენი ნიჭიერი პებლიცისტი ასე მოხდენილად წერდა: „გახადებული ამისთანა უნდა, რა შეენიერო დილა-ღვთისდელი დილა, რა გაცხოველებული სიბოთ უქდება ყაცს სხეულში, რა სიჩქარით სცემს ზამთრის სესხით გავრილებული გული. მეკრდი ისეთი სიხარბით დელაეს, თითქო ეშურება რაც შეიძლება უფრო მაღე და უფრო ბლომად შთანთქას ძალი — მისეველი, სელის ჩამდებულა გახადხელის ჰაერი, მთელი არე-მარტე, სადღესასწაულოდ ამწვანებული და გაბრწყინებული ლიმილით, კასკათო შეხარებს ადამიანის მოძრაობას, თითქო ეტხნება: „გახადებული, ვერ ხედავ, იცოცხლოთ“. ნეტო ამ ბედნიერ დღეებულ დროს რა უფერად თვალმოუკვრილად სვლის ის ყაცის აზრს და ხეობბოე ცხოვრებას. გეშინ არ იყო, ბნელი მარტის დაუდგრომელი ტარასი, შეუბრალებლად ჰეფედა ყაცე უოველ ნათელ აზრს და მდომარე იმელს და ბნელი ღრუბელით ჟროგავდა მის, უმილითე დაქცვილს, ცხოვრებას? სად იყო მამინ იმელი, სინათლს, მოძრაობა, სად იყო მხატვ, ნოყიერი, ყუთათის მომგვრელი ჰაერი? დაღონებულად უცემდა მამინ ყაცს გული“.¹

მხატვრულად, ქარაგმით გამოთქვამს პარიზის კომუნის გამარჯვებით გამოწვეულ თავის აღტაცებას ნიკო ნიკოლაძე. ის მრავალგან აღწერს პარიზის კომუნის გამარჯვებებსა და დამარცხების ამბებს. პარიზის კომუნის დამარჯვებას ნიკო ნიკოლაძე ადარებს კაცობრიობის განთიადს, ბუნების გამოღვივებას.

პარიზის კომუნის დამარცხებამ დაამწუხრა ნიკო ნიკოლაძე. შეგრამ ის მაინც არ მისულა იმედაცრუებამდე, ნათელი მომავლისადმი არწმენის დაკარგვამდე. მიუხედავად ცალკეული შეცდომებისა, რომელიც დღემდე ნიკო ნიკოლაძემ პარიზის კომუნის შეფასების დროს, მან პარიზის კომუნის გამარჯვება კაცობრიობის დიდ პროგრესულ მოვლენად ჩააჯალა და სამარცხენო პოძზე გააკრა მისი ჩამხშობნა. მან სინახული გამოთქვა იმის გამო, რომ პარიზის მშრომელმა მასებმა სამედამოდ ვერ მოაპოვეს სანატრული ხილი—პარიზის კომუნა, რომ მათ

აღარ დასცალდათ ამ გემრავლი წაყოფით დატკობმა.

ნიკო ნიკოლაძის თხზულებებში დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებიდან უფრო ღრმად და ვრცელად საფრანგეთის ისტორიის საკითხებია გამოქმებული და გარკვეული. თითქმის ასევე შეგვიძლია ვთქვათ ნიკო ნიკოლაძის დამოუკლებლების შესახებ ფრანგული ლიტერატურისადმი.

ნიკო ნიკოლაძე დიდად აფასებდა თავისუფლებისმოყვარე ფრანგი ხალხის რევოლუციურ წარსულს, მის ელტერასა და ლიტერატურას. ის იყო ღირსეული მტოდნე და დამფასებელი შესანიშნავი ფრანგული მწერლობისა. საზოგადოდ, ნიკო ნიკოლაძე საპატიო როლს აუთონებდა ლიტერატურას საზოგადოებრივი ცხოვრების წინასღისა და განვითარების საქმეში. მისი აზრით „ლიტერატურას, საზოგადოთო მწერლობის დანაშნულება იმაში მდგომარეობს, რომ ნამდვილად, სწორეთ და გონიერათ გამოხატოს ხალხს ყოფა-ცხოვრება, ხასიათი, ზნე, მოთხოვნილება და აზრი“.¹ ცხოვრების ასეთი ასახვა გელისხმობს არა უბრალო ფიქსაციის, ფორტოგრაფულ გაღატებას, არამედ სინამდვილის მაღალმხატვრული სურათების შექმნას. ნიკო ნიკოლაძე წინამდგევა ცხოვრების შიშველი, ნატურალისტურა ასახვისა, ის მოითხოვს სინამდვილის მხატვრულ ასახვას, ტრაპიერა სურათების დახატვას, ძლიერი ტიპიერი სახეების ჩვენებას, ყრბო მავალთებამდ, ზოგადის შექმნას, რომელსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა ექნება.

ნიკო ნიკოლაძე მაღალი წარმოდგენის იყო ლიტერატურის კრიტიკაზე. მისი აზრით, სწორ, ობიექტურ კრიტიკას ბევრი რამის გაკეთება ძალუქს. მას შეუძლია გზა გაუნთოს და გვიხ მისცეს ლიტერატურას, მოითხოვოს მწერლობასგან მთელი არსებით ემსახუროს ხალხს. „კრიტიკის დანიშნულება იმაში ეო არ მდგომარეობს, — წერს ნიკო ნიკოლაძე, — რომ მწერლებს და პოეტებისთვის წერის იარაღი აშხადოს, ან მათ სურათების ხატვა ასწავლოს. არტიკი მწერალს ეობნება: იხმარე ის საშუალება, რომელიც ნიქს შენთვის მოუცია, დაადგე იმ გზას, რომელიც შენს გონებას და ხასიათს მოუხდება. სთქვი, როგორც გინდა და რაც გინდა, ოღონდ შენი ნათქვამი ნათლათ ვასაგები და დამამასხოვრებელი იყოს, და შენი გრძნობა და აზრი შემცდარი და ხალხისთვის საინებელი არ იქნეს. დანარჩენს თითოეული მწერლობის საქმეა. მისი ნიქის და შიშველდრობის, და კრიტიკაზე ამ მხრით მარტო ის მოვალეობა ძვეს, რომ ვასინჯოს, ეის როგორა ნიქი უხმარია და როგორა

1. ნიკო ნიკოლაძე, თხზ. ტ. 2, თბილისი, 1960 წ., გვ. 300.

1. ნიკო ნიკოლაძე, თხზ. ტ. 2, თბილისი, 1960 წ., გვ. 411.

მიმხედურობა გამოუჩენია თავისი გრძნობის გამოთქმის დროს.¹

აი ძირითადი კრიტერიუმი, რომლითაც ნიკო ნიკოლაძე აჩვენებს მწერლის შემოქმედებას საერთოდ, ყერძოდ კი ფრანგ მწერალთა ნაწარმოებებს. ნიკო ნიკოლაძის მდიდარ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მისი ძვირფასი ესთეტიკური შეხედულებანი შემონახული მასში უხვადაა ნ. ნიკოლაძის მიერ ისტატურადა გამოყენებული რაბლეს, მოლიერის, მონტესკიეს, ვოლტერის, დიდროს, ეან-ჟაკ რუსოს, ბოპარშეს, ლაფონტეს, ლამარტინის, ეორჟ სანდის, ბენეამენ კონსტანის, ექტორ პიუკოს, ბერანსეს, ოიგეი, ოეოფილ გოტეს, ოუტავ ბარბიეს, ალექსანდრ დიუმა-შვილის, ევენ სიუს, ეფულ ვალესის, ექტორიენ სარდეს, ერკმან-შატრიანის, პიერ ლოტის, გუსტავ ფლობერის, ფრანსუა კოპეს და სხვა ფრანგ მწერალთა შეხედულებანი და გამოხატულებები.

ნიკო ნიკოლაძე არამც თუ საფუძვლიანად იცნობდა ფრანგ მწერალთა შემოქმედებას, არამედ ის თავის საკუთარ აზრებსაც გამოთქვამდა მათ შესახებ. აღსანიშნავია, რომ ნიკო ნიკოლაძის ძალან პეჯარებაი მონტესკიეს ეპისტოლარული რომანი „სპარსული წერილები“, რომლის გავლენითაა დაწერილი მისი ამავე სათაურის მქონე ღრმად შინაარსიანი ნარკვევი.

ნ. ნიკოლაძე მონტესკიეს მსგავსად სარკუმით, მწვევე ირონიით ლაპარაკობს დისაღვთებულობაში არსებულ ადამიანთა მონობაზე; ის სპარსეთს აფარებს ევროპის და ბევრი რამით პირველს აყენებს უფრო მაღლა. ნ. ნიკოლაძე ლაპარაკობს, რომ ევროპაში პირველი მოგზაურობის დროს მას გული შეეკუმში იქაური ტექნიკის, წესრიგისა და სისუფთაის დანახვისა და კონკრეტულად ევროპის მათ წინაშე, მაგრამ შემდგომ უფრო ახლოს რომ გაიყნო ევროპული ცივილიზაცია, უფრო ღრმად რომ ჩაიხედა დასავლეთ ევროპის, ყერძოდ საფრანგეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და თავის სამშობლოს შეადარა, ვწვლავერი შეიკვალა. მონტესკიეს „სპარსული წერილები“ მსგავსად ნ. ნიკოლაძე უხბეეს ასე აღაპარაკებს: „ჩვენ არ უნდა დავეყნო სულთ. არ უნდა დავმცირდეთ და დავმდაბლდეთ, ჩვენ არც ისე ვეღურნი და სულსნი ვართ, არც ისე ჩამოგრჩენილვართ“, როგორც უსიულებს ჰგონით.² აქვე ჩვენი ავტორი განავრამობს: „აქაური მონობა არა თუ რამეთი უყეთესია სპარსულზე, არამედ მასზე მძიმეცაა, რადგან ბევრად ისტატურადაა მოწყობილი. აქ თითოეული რამის ან ეინწეს მონაი, ერთი — ქარიერის მონაი, მეორე — წინასწარ აყვიატებული აზრისა, მესამე — ქონებისა, მე-

ოთხე — სამსახურისა, მეხუთე — რჯისისა, მაგრამ ვეღა გამოუყლებლათ, მონებუ არიან სისულელისა და რუტინისა.“³

ნ. ნიკოლაძე თავისი ნარკვევის მოქმედი გმირის უხბეეს საშუალებით ვეღა ირონიულად და ქარაგმულად აღნიშნავს, რომ „ეს მონობა არაფრით არაა ჩვენი მონობაზე უყეთესი, მეოთხე უფრო უარესიცაა, თუ მხედველობაში მივიღებთ მოოქრულ ბორჯილებს.“⁴ ევროპულ „თავისუფლებას“ ნიკო ნიკოლაძე ცრუ და უაღბ თავისუფლებას უწოდებს. მისა აზრით, „ევროპული მოსახლეობის მთელი ცხოვრება საზოგადო მონობაში მიმდინარეობს.“⁵

ამ საინტერესო მხატვრულ ნარკვევში, რომელზეც ჩვენ საგანგებოდ შეგებრდით, ნ. ნიკოლაძე ნათლ სურათს გვიხატავს ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ცხოვრების მთელი მნიერებებისა და გამოთქვამს რწმენას, რომ დიდხანს ვერ იარსებებს ასეთი „ცივილიზებული“ ევროპა.

ნ. ნიკოლაძე კარგად იცნობდა აგრეთვე ბოპარშეს შემოქმედებას. ასე, მგალოთად, წერისლ „გაკერა-გამოყერა“ ნ. ნიკოლაძემ წაუშვლერა ბოპარშეს შესანიშნავი სიტყვები: „ზოგისკან ნაქები, სხეებისკან ნალანდი, მე სულელებს მასხარად ვივადებ, ბორჯებს ვებრძვი და ცვლილად უწვლავერზე ვაციწო, რომ ტრალი არ მომეროს.“⁶

ჩვენს ავტორს მარჯვედ აქვს გამოყენებული ეს ღრმა აზრის შემცველი სიტყვები, რომელაც, როგორც შედარებამ დავგარწმუნა, ნ. ნიკოლაძეს ამოუღია ბოპარშეს ცნობილი „სევილიელი დლაქის“ მთავარი მოქმედი გმირის ფიგაროს მონოლოგიდან.

ნიკო ნიკოლაძე მთელ რიგ სტატოებს აქვეყნებდა ფრანგი მწერლების ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ. რომელოვან აღსანიშნავია: „მებრძოლი პიუზიი საფრანგეთში 1871 წლის შემდეგ“, „გუსტავ ფლობერის“, „დღესასწაულზე“ და სხვა.

როგორც ყოველთვის, ისე აქც ნ. ნიკოლაძე საქმის ცოდნით განიზილავს საფრანგეთ-პრუსიის ომისადმი მიძღვნილ ზოგიერთ მხატვრულ ნაწარმოებს. სტატოაში „მებრძოლი პიუზიი საფრანგეთში 1871 წლის შემდეგ“ ნ. ნიკოლაძე ეხება ცნობილი ფრანგი მწერლის ფრანსუა კოპეს ღრამას „გავსულა“, რომელიც წარმატებით იღვმებოდა ფრანგულ სცენაზე და მოწონებით ლაპარაკობს მისი დალოგების შესახებ, მაგრამ სასტიკად აკრტიკებს ფრანსუა კოპეს ხუმომქმედებანი ღრამას „ას წლიანი ომი“,

¹ ნიკო ნიკოლაძე, თხზ. ტ. 3, თბილისი, 1963 წ., გვ. 263-264.

² ნიკო ნიკოლაძე, თხზ. ტ. 3, თბილისი, 1963 წ., გვ. 354.

¹ იქვე, გვ. 354.

² იქვე, გვ. 355.

³ იქვე, გვ. 356.

⁴ ნიკო ნიკოლაძე, თხზ. ტ. 3, თბილისი, 1963 წ., გვ. 345.

რომელიც არმან დარტუსთან ერთად დაწერილი.

ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, როგორც სამწუხარო ფაქტს, რომ ფრანგმა მწერლებმა საფრანგეთის პრესის ომის თემზე თავშეუკავებლად დაწერეს ისეთი ნაწარმოებები, რომლებშიც მშრალი და მძლავრი დეკლარაციები უფროა, ვინემ სინამდვილის სწორად გადმოცემა და სრულიადი არ ვაუწყებს ანკარიში იმას, რომ საფრანგეთი ამ ომში სამარცხვინოდ დამარცხდა.

ნიკო ნიკოლაძის აზრით, დრამის „საწლიანი ომი“ მყვირალა სათაური აქვს, რომელიც თითქოს შიღვრის ან შექსპირის ვრცელ ეპოპეას გვაგონებს, მაგრამ არსებითად მასში მხოლოდ მცირე სასიყვარულო ინტრაგედიამოცემული და ისიც სუსტად და უინტერესოდ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ნ. ნიკოლაძის სტატია „გუსტავ ფლობერა“,¹ რომელიც ავტორი ღრმად ლიტერატურულ-კრიტიკულ ანალიზს უკეთებს დიდი ფრანგი რომანისტი მხატვრულ ნაწარმოებებს. მის ფლობაში მიაჩნია ფრანგული მხატვრული სიტუაციის ჩინებულ ოსტატად, რომელსაც შესწევს ძალა და უნარი თამამად გამოსატოს ესა თუ ის აზრი იშვიათი მხატვრული ფორმით.

ნიკო ნიკოლაძე არჩევს ფლობერის ოთხ რომანს: „მადამ ბოვარის“, „სალამბოს“, „სანტიმენტალური აღზრდა“, „წმინდა ანტუანის ცდუნება“. ის მალაღ შეფასებას აძლევს რომანს „მადამ ბოვარი“ როგორც შინაარსში, ისე ფორმის მხრივ და აღნიშნავს, რომ ეს ნაწარმოები ისეთივე როლს ასრულებს ფრანგულ ლიტერატურაში, როგორც გოგოლის „მეკადრი სულები“ რუსულ ლიტერატურაში. ფლობერი ღრმად იხედება აღმართის სულში და იშვიათი მხატვრული სრულყოფით გვიჩვენებს მის გრძობებებს და განცდებს. ნიკო ნიკოლაძის აზრით, ფლობერი თავისი სოციალური და ფილოსოფიური ანალიზით მოგვაგონებს შესანიშნავ ფრანგ მწერლებს — აბატ ბრევის მისი განთქმული „მანონ ლესკოთი“ და ეოზე სანდს მისი გახმაურებული, მაღალმხატვრული რომანებით.

თავის სანიტერებსა მსჯელობაში ნიკო ნიკოლაძე იმ აზრს გამოთქვამს, რომ „მადამ ბოვარის“, როგორც ძლიერ მხატვრულ ნაწარმოებს, დიდი როლის შესრულება შეუძლია ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში, ვინაიდან ამ ფრანგულ დიდოსტატის წერის მანერადან ბევრი ჯამის სწავლა შეუძლიათ ახალგაზრდა ქართველ მწერლებს.

ნიკო ნიკოლაძეს აკვირებდა გუსტავ ფლობერის ძლიერი ტალანტი და მისი იშვიათი შრომისმოყვარეობა. ამ მხრივ მის სამაგალითოდ მიიჩნია რომანი „სალამბო“, რომელსაც ფლობერი ათი წლის განმავლობაში წერდა. ზედმო-

წევნით ხანგრძლივი დაკვირებისა და ძიების შედეგად ფლობერმა ბრწყინვალედ „შესწავლა“ მთელი ისტორია და ამბები, რომლებსაც რაიმე კავშირი ჰქონდათ ძველ კართაგენთან. მან თავის ფეხით მოიარა ეს მხარე, თავისი თვალით ნახა ყოველივე. ფლობერი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პირველ წყაროებს და ამიტომ, რომ ის არქეოლოგიური სიზუსტით გვიჩვენებს იმ ეპოქის სურათებს, გვაგონობინებს ვარდასულ დროთა სურნელებს და მკითხველს აყენებს ისეთ მდგომარეობაში, როცა მას ჰგონია თითქოს ის იმ დროს ცხოვრობდა.

ფლობერის „სალამბოს“ ასეთი ღრმა, მეცნიერული და მხატვრული გარჩევის დროს ნიკო ნიკოლაძე გამოთქვამს ფრიალ საურაღღებო აზრს: ფრანგი მწერლის მიერ ასეთი ზუსტი და ყოველის მომცველი შესწავლა წარსულის შეიძლება ფრანგებისათვის მეორეხარისხოვანი იყოს. მაგრამ ჩვენთვის, ქართველებისათვის მის აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა. ნიკო ნიკოლაძის სიტყვით მართებული აზრით, ქართველ მწერლებს, რომ ფლობენ მეთოდისა და ნაქის მსგავსად შეესწავლონ საქართველოს ისტორია და შეეცნონ ღრმად იდეური და მალაღ-მხატვრული ნაწარმოებები ქართველი ხალხის ისტორიული წარსულის შესახებ, ისინი დიდად შეუწყობდნენ ხელს ქართული ლიტერატურის წინსვლას და განვითარების საქმეს.

ნიკო ნიკოლაძე იქვე დასძენს — სასურველია რომ ჩვენი ცრუისტორიული მოთხრობებისა და დრამების მრავალრიცხოვანი ავტორებიდან მომავალში არცერთს არ შეეციოდოს ხელი ამ საქმისათვის ისე, თუ დაწვრილებით არ შეისწავლოს ფლობერის „სალამბოს“ და მის მეოთხეს.

ასევე მოსწონდა ნიკო ნიკოლაძეს ფლობერის „სანტიმენტალური აღზრდა“ და „წმინდა ანტუანის ცდუნება“ და აძლევდა მათ მალაღ შეფასებას, მაგრამ უპირატესობას მიანიჭებდა „მადამ ბოვარის“ და „სალამბოს“.

• • •

1872 წელს გამოვიდა წიგნი: „თარგმანი საამო საკითხავთა თხზულებათა, გამოცემული ქართველი ქალებისისგან“. ნიკო ნიკოლაძე დიდად ინტერესით და ყურადღებით გამოეხმაურა ამ კეთილშობილურ საქმეს და იმავე წლის ყურნალ „კრებულის“ მეათე, მეათერთმეტე და მეორემეტე ნომრებში გამოაქვეყნა ვრცელი წერილი სათაურით „ჩვენი მწერლობა“.

ნიკო ნიკოლაძე მიესალმა თარგმანთა ზემოაღნიშნული კრებულის გამოცემას და ასეთი სიტყვებით დაიწყო თავისი მიმოხილვა: „ქართველ ქალებს“ შრომა სწორედ საამო და ბედნიერად მოვლენა ჩვენს ბედ-შე მწერლობაში, თუკი კაცი მის დაფასებისთვის, უფრო ამ შრომის მიზანს, მის სახელს და მშრომელებს

¹ Н. Николадзе, Густав Флобер «Обзор» от 15 мая 1880, № 502.

გულკეთილობას იქონიებს მხედველობაში, ვინემ შრომის ნაყოფს".¹

დიდ მოვლენად ჩათვალა ნიკო ნიკოლაძემ „ქართული ქალების“ უმთავრესი მიზანი, ქართველი მკითხველისათვის მოტრანსა საჩვენებლობა. „მართლაც, — წერს ნ. ნიკოლაძე, — როგორც მთელ მწიგნობრობას, ისე იმის ნაწილს, რომელსაც საამო საკითხავი წიგნები შეადგენენ, მიუცილებლათ ის უნდა ჰქონდეს მხედველობაში, რომ საზოგადოებას საჩვენებლობა მოუტანოს, ხალხის სიყვით ეპიოს და ღონისდაგვირად დეხმაროს საზოგადოების გონების ვახსნას და მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს დედა-ახრი მუდამ ზომად უნდა ჰქონდეს მწერალს და მთარგმნელს, როცა ის მწერლობის ნაყოფს სჯის ან არჩევს".²

თი ძირითადი საზომი, რომელიც მომარჯვებულ ნიკო ნიკოლაძემ „ქართული ქალების“ მიერ თარგმნილ თხზულებათა ავტორიანობის შესამოწმებლად, მან დიდი მოთხოვნილება წაუყენა მთარგმნელებს როგორც სათარგმნელი მასალის შერჩევაში, ასევე თარგმანის ხარისხიანობაში. მან მტკიცედ მოითხოვა მხოლოდ ისეთი მხატვრული ნაწარმოებები შეერჩიათ სათარგმნელად, რომელთა შინაარსი და მიზანდასახულება უფრო ახლოს და უფრო მეტად შეესაბამებოდა ქართველი ხალხის სულიერი მოთხოვნილებას, მისი განვრბოვი პოზიზონტის გაფართოებას, მის წინსვლასა და განვითარებას.

ფრანგული ლიტერატურადან ქართულად თარგმნილ ნაწარმოებებს შორის ნიკო ნიკოლაძემ საგანგებო მსჯელობის საგნად გამოიწერა ნაწიყვეტი ვიქტორ ჰიუგოს დიდი რომანეპიდიან „საბრალონი“ — „გაეროში“, რომელსაც ქართულ თარგმანში უწოდეს „პარიზელი ბიჭი“. ამ თარგმანს (მთარგმნელი ე. ვაბაშვილი) ნიკო ნიკოლაძემ კარგი შეფასება მისცა, ვინაიდან ვიქტორ ჰიუგოს ნაწარმოებთა თარგმნა სხვა ენაზე ძნელი საქმეა და მიუხედავად ამისა „პარიზელი ბიჭი“ ზეირიანად გამოიყურება.

შემდეგ ნ. ნიკოლაძე იწყებს მსჯელობას სათარგმნელი მასალის შერჩევის შესახებ. ის ამბობს — ეს ნაწიყვეტი, მარათალია, ჩინებული რომ არის და ის ვიქტორ ჰიუგოს რომანში „საბრალონი“ მარგალიტივით ბრწყინავს, მაგრამ მისი თარგმნი არც ისე აუცილებელი იყო და მიზანშეწონილი, ამას ნ. ნიკოლაძე იმით ასახულებს, რომ ქართული მკითხველისათვის „გაეროში“ არავითარი საჩვენებლობის მოტანა არ შეუძლია. თუ მაინც და მაინც ვიქტორ ჰიუგოს ნაწარმოებებიდან აუცილებლად უნდა თარგმ-

ნილიყო რაიმე, ამბობს ნ. ნიკოლაძე, მაშინ ვიცლებით უკეთესი იქნებოდა „გაეროში“ ვიქტორ ჰიუგოს ლექსი „პარიკადაზი“, რომელიც მოთავსებულია მის ლექსთა კრებულში „სამინელი წელი“.

აქ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ საგულისხმო ფაქტი, რომ ნ. ნიკოლაძე მთელი პასუხისმგებლობით და სერიოზულობით უდგება სათარგმნელი მასალის შერჩევისა და თარგმანის ხარისხის საკითხს. ქართული სალიტერატურო კრიტიკისათვის მკიცრე მნიშვნელობა როდი ჰქონდა იმას, რომ ნ. ნიკოლაძემ სანიმუშოდ თვითონვე თარგმნა პროზად ვ. ჰიუგოს ზემოაღნიშნული ლექსი, რათა ქართული მკითხველისათვის გაეცხიზნებინა მისი შინაარსი.

თი მისი ნიკო ნიკოლაძისული თარგმანი პროზად, რომელშიც ლექსის ბოლო ნაწილი რატომღაც არაა თარგმნილი: „უწმინდერა სისხლით შესერილს და წმინდა სისხლით გაბანის ქვეს შუა, ბარკიადზე, ვიკაცებს გვერდით თორმეტი წლის ყმაწვილი დაიჭირეს — შენც ამათავანი ხარ, შენა? ბავშვი ვუნებნა, „გახლავარო“. — მამ კარგი, უთხრა აფიციერმა, შენც ეხლაც დაგზერტენ, შენი რიგაც მოვაო. ბავშვს თვალწინ უელავს თოფის ცეცხლი და ყველა მისი ამხანაგები კედლის ძირში ჰკედებინან. ის კითხავს აფიციერს „ნებას მომცემო, თი ეს საათი შენ დედაჩემს წაუღო? — გაქცევა განდა? „ისეც დაეპრუნდებო“. — „ამ მაწინაწალებს შიში გადგომიო! სად დგახარ? „აქვე, შადრევანთან. შე დაებრუნდებო, უფ. კაპიტანო“. — წაიდ სულელი. ბავშვი მიდის. — რა მთიერტყვაო, იციროდენენ სალდათები თავეითი აფიციერო და მომავლეების ხროტინი ამ სოცის ბანს აძლედა. მაგრამ სიცილი მალე შესწყუდა, რადგან პირმკრათლი ბავშვი უცერათ დაბრუნდა, კედელს ამაყო მიეყუდა და თქვა — „ო, მოვეღო“.

„უსულელიო სიკვდილს შერცხვა — და აფიციერმა ბავშვს აპატია.

„ჰაბუგო, ამ სამინელი ქარიშხლის დროს, რომელიც ჰქრის და ერთმანეთში ურტვს ყველაფერს, ვესა და კარგს, გვირსა და ავაზარს, არ ვიცი, რამ გაგრაა შენ ამ ბრძოლაში, მაგრამ იმას კი ვამბობ, რომ შენი მარტული სული წარჩინებული სულია. ეკთილო და მამაყო. უფსკრულის სიღრმეში შენ ორ ნაბიჯ ადგამ: ერთს დედისკენ, მეორეს სიკვდილისკენ. ყმაწვილს გულს სიწმინდე აქვს და კაცს — სინაწელი, მაგრამ შენ პასუხი არ მოგვახოვებო იმაში, რაც სტვის წყალობით მოიქმნება. დიდებულთა ის ყმაწვილი, რომელმაც გაქცევას, სიცილებს, განთიადს, თამაშს და გახაფხულს ბნელი კვდლი ამჯობინა, სადაც დაეცნენ მისი ამხანაგები“.³

1. ნიკო ნიკოლაძე თხზ. ტ. 3, თბილისი, 1963 წ., გვ. 36.
2 იქვე, გვ. 39.
3 იქვე, გვ. 41.

1. ნიკო ნიკოლაძე, თხზ. ტ. 3, თბილისი, 1963 წ., გვ. 43.

რთვარც უკვე აღვნიშნეთ, ნ. ნიკოლაძემ ეს ლექსი იზნაოსთვის თარგმნა, რომ ეჩვენებინა, თუ რა საუბრო სურათითა დახატული პაროზელი ბიქისა და დაუმტყიცებინა რომ იღვერდაც და მხატვრულად „ბარიკადაზე“ უფრო ძლიერია, ვინამ „გაერთო“.

პირველი, რაც ამ თვალში ხვდება იდამიანს, ისაა, რომ „გაერთო“ მოთხრობაა და „ბარიკადაზე“ ლექსია. პირველში ბავშვი წარმოდგენილია მისი მრავალმხრივი საქმიანობით, ის უზარმაზარი ეპოპეის მოქმედ გმირთა სერთთა ჯაჭვში ერთ-ერთი საუბრო რგოლია, რომელთანაც ბევრი რამაა დაკავშირებული. ლექსში „ბარიკადაზე“ კი, თუმცა ძლიერად, და ისიც სანტიმენტალურ ასპექტში, მაგრამ მაინც ბავშვის მოქმედების მხოლოდ ერთი მომენტია გამოხატული, გარდა ამისა, სხვადასხვა ენარის ნაწარმოებთა ერთმანეთთან შედარება და რომელიმესათვის უპირატესობას მიცემა ძველი საქმეა.

აღსანიშნავია, რომ ნიკო ნიკოლაძის მოღვაწეობის დროსაც და შემდეგაც „გაერთოში“ საინტერესო და საამო საკითხავ ნაწარმოებად ითვლებოდა და ითვლება, მით უმეტეს ახალგაზრდობისათვის. როდესაც ვიქტორ ჰიუგოს ბავშვებისადმი დამოკიდებულებას ეხებთან, ანდა ბავშვებზე დაწერილი მის ნაწარმოებებს არჩევნ, პირველდვე „გაერთოში“ შესახებ იწყებენ მსჯელობას. რადგან მისი სახე განსაყუთრებით ორიგინალურია და თავისებური ვიქტორ ჰიუგოს მიერ დახატული ბავშვების სახეთა გალერეაში.

მორის ტორეზი თავის წიგნში „ახლის შევილი“, გულბილად იგონებს რა ვიქტორ ჰიუგოს რომანს „საბრალონი“, წერს: „ამ ალტერატიული ვიუჯი უღმობელი ბედის მსხვერპლის ვან ვალეისის გულუბილობით, მაგრამ „საბრალონი“ შე განსაყუთრებით მშობლავდა გაეცროსი, ეს განსაოცარი გამართობი, ბარაკადებიდან რომ დასკინოდა მთავრობის ქარისკაცებს, გაეცროსი, რომლის სიმღერას ვერ დახვობდა თოდების გრიადი“.

ამგვარად, მართლაც ძლიერია ვ. ჰიუგოს ლექსი „ბარიკადაზე“, რომელსაც გარკვეული გავლენის მიზნად შეეძლოა ნორმ მეთხველებზე, მაგრამ მაინც მისი დაყენება „გაერთოზე“ მთლიან გადაჭარბებულად მიგვაჩნია.

ნიკო ნიკოლაძე, ჩვენი აზრით, საკვებით მართებულად მოიქცა, როდესაც ზედმეტად ჩათვალა „ნათანელ რომელს უკანასკნელი დღე უტრებს“ და „ეთელ ტაროს“ ქართულად თარგმნა და გამოქვეყნება, მით უმეტეს, რომ პირველი უკვე დაბეჭდილი იყო „შოაბესა“ და „მნათობში“. აქართველ ქალებს მართლაც თავისუფლად შეეძლოა უკეთესი სათარგმნელი მასალა შეერჩიათ მდიდარი ფრანგული მწერლობიდან.

ფრანგული ლატერატურის ისეთი მცოდნე და დამფასებელი, როგორც იყო სერგეი მესხი,

გამოკვამათა ნიკო ნიკოლაძეს და შეედრებად ჩათვალა ზემოაღნიშნული თარგმნების წინააღმდეგ გამოსულა. მან სწორედ ამ თარგმნილ ლიტერატურა მოაწონა, რომელიც ნიკო ნიკოლაძემ აბორუნა.

ჩვენი აზრით, სერგეი მესხი მართებულად მოიქცა, როდესაც მთლიან შეფასება მისცა „გაერთოში“ და დადებით მოკლენად ჩათვალა ქართულად თარგმნა და გამოცემა, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვიით ს. მესხის მოსაზრებაზე, რომელიც მან გამოთქვა „ნათანელ რომელს უკანასკნელი დღე უტრებს“ და „ეთელ ტაროს“ შესახებ.

ზოგს ნიკო ნიკოლაძის კრიტიკა მერტსმეტად მკაცრად ეჩვენება და იფიქრებს იმას, რომ უფლადფერი ეს ხდებოდა მშობლიური ხალხისა და მისა ლიტერატურის წინსვლისა და განვითარების ინტერესებისათვის. სწორედ ეს ქმონდა მწვედვლობაში ნიკო ნიკოლაძეს, როდესაც წერდა „საზოგადოთ უნდა თქვას კაცმა, რომ დიდათ სასარგებლო იქნებოდა ჭეშია მოკითხველი საზოგადოებისთვის უფრო მზარათ რომ ითარგმნებოდეს იმისთანა თხზულებანი, რომელნიც ან ხასიათის გაუმჯობესებაში გამოადგება ჩვენს საზოგადოებას ან ურგო ჩვეულებების მიტოვებისათვის, ახალი, კაცობრივი წესის შემოღებისათვის, ან და გულსნიან იმას ვინებმა, და ამვევენ უკეთესის სურვილს, სიმორატის სიტულის, და ამრავად ნელ-ნელა ცოტა ცოტა დამხადებენ ჩვენი ხალხისათვის უკეთეს მომავალს“¹.

ნიკო ნიკოლაძე დიდ უფრადლებას ამცევდა ულსიერია მუქვედრობის ათვისების საქმეს. ის ერთგან იბრწუნულად შენიშნავს, რომ ზოგიერთს ჰგონია, თითქმის „პროგრესი მოითხოვს ადრინდელი მწერლების მიეფყებას და მხოლოდ იმით შესწავლას, რომელთა თხზულებებში ჩაქსოვილია ვითომ „მეცნიერების უკანასკნელი სიტყვა“².

ნ. ნიკოლაძის მართებულ აზრით, აღმნიშნები დანიტერესებულ უნდა იყენენ როგორც თვითნათი თანამედროვე ლიტერატურით, ასევე „საუკეთესო დღეების“ ადრინდელი ლიტერატურის დიდი ძველებით და მოაქვდა დასავლელი ევროპის მავლობით. ის წერს: „თერთველი ახალი თაობა ფრანგებისა, გერმანელებისა, ინგლისელებისა, იტალიელებისა და ესპანელებისა როგორი გატაცებულია თავიანთი ადრინდელი ლიტერატურის ძველებით. შექსპირისა და შელის, გოთესისა და შილერს, დანტესა და პეტრარკის, სერვანტესისა და კალდერონს, რაბლეს, მოლერს, ვოლტერსა და ასეულ სხვას თითქმის ზეპირად სწავლობს თვითთული მოზარდი თაობა.

¹ ნიკო ნიკოლაძე, თხზ. ტ. 3, თბილისი, 1963 წ., გვ. 45-46.

² ნიკო ნიკოლაძე, თხზ. ტ. 4, თბილისი, 1964 წ., გვ. 184.

ეს მათთან თითქმის კელტსა და გალმერთებს აღწევს, და ასე ამრიგად, გონებრივი აელადიდება ძველი დროისა შთამომავლობით გადაეცემა ახალ თაობებს და, უერთებენ რა მას თანამედროვე ლიტერატურულ სიმდიდრეს, წარმატებით მიჰყავთ წინ მშობლიური ლიტერატურის შემდგომი განვითარება¹.

როდესაც ნიკო ნიკოლაძე ფრანგული საზოგადოების სამშვიდობო განწყობილებაზე მსჯე-

ლობს, ის ხშირად იმოწმებს ერკმან-შატრიანის ნაწარმოებებს, განსაკუთრებით მათ განთქმულ „გლუხეკაცის ისტორიას“. როგორც ქართულში თარგმანმა (მოთარგ. ივ. მაჭავარიანი) დიდად გაახარა ქართველი მკითხველი.

ნიკო ნიკოლაძის ნაყოფიერმა საზოგადოებრივმა მოღვაწეობამ საქართველოსა და საფრანგეთში, მისმა მდიდარმა პებლიცისტურ-კრიტიკულმა თხზულებებმა დიდად შეუწვეს ხელი ქართულ-ფრანგულ ლიტერატურული ურთიერთობის შემდგომი გაფართოებისა და განვითარების კეთილშობილურ საქმეს.

¹ ნიკო ნიკოლაძე თხზ. ტ. 4, თბილისი, 1964 წ., გვ. 183-184.

პირი მიხიპი

გაზეთი „კავკაზი“ ქართულ-აზერბაიჯანული ლიტერატურული ურთიერთობის შესახებ

ქართულ-აზერბაიჯანული საზოგადოებრივ-ლიტერატურული კავშირ-ურთიერთობას ისტორიას ფესვები საუკუნეთა სიღრმეში აქვს გადგმული.

აზერბაიჯანულ და ქართულ მწერლობათა უკეთილშობილეს თვისებებს — მაღალ ჰუმანიზმს და ხალხთა შორის სოლიდარობის და მეგობრობის დაშვიდრებისაკენ მისწრაფებას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ნიჰამი გაჯელისა და შოთა რუსთაველის ქმნილებებში — იმ მწერალთა და მოაზროვნეთა ნაწარმოებებში, რომლებიც ხალხის ინტერესებით ცოცხლობდნენ.¹

მაგრამ ამ კავშირ-ურთიერთობამ განსაკუთრებული ძალით და ინტენსივობით განვითარება დაიწყო მე-19 საუკუნის დამდეგს, რუსეთთან ამიერკავკასიის შეერთების შემდეგ, რაც უდიდეს პროგრესულ აქტს წარმოადგენდა, მიუხედავად ცარიზმის რეაქციული პოლიტიკისა და იმ სასტიკი ექსპლოატაციისა, რომელსაც მეფის თვითმპყრობელობა უწყევდა რუსეთის იმპერიის ფარგლებში შემავალ ხალხებს. „ქართულ-აზერბაიჯანულ ლიტე-

რატურულ კავშირ-ურთიერთობის ისტორია, — წერს ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი დ. ალიევა, — ეს არის ქართველი და აზერბაიჯანული ხალხების ურთიერთობისათვის, დიდ რუს ხალხთან მათი მეგობრობისათვის პროგრესულ აზერბაიჯანულ და ქართველ საზოგადოებრივ-კულტურულ მოღვაწეთა ერთობლივი ბრძოლის ისტორია“.

მე-19 საუკუნის დამდეგს და შემდგომ ათეულ წლებში თბილისში მჩქეფარედ ვითარდებოდა ქართული და აზერბაიჯანული ლიტერატურა და ხელოვნება. აზერბაიჯანის მეცნიერების და ხელოვნების მოღვაწეები, რომლებიც ცხოვლად დაინტერესდნენ რუსული, ქართული, აღმოსავლეთის და ევროპის ხალხთა კულტურით, დიდი სიყვარულით და გულითადობით ეხმარებოდნენ სხვადასხვა ხალხების მწერალთა ნაწარმოებებს და საუკეთესოებს მათ შორის თარგმნიდნენ თავის მშობლიურ ენაზე.

თავის მხრავ აზერბაიჯანელმა ხალხურმა შემოქმედებამ და დამწერლობითმა ლიტერატურამ რუსი და ამიერკავკასიის ხალხების პროგრესული მოღვაწეების ყურადღება მიიქცევს.

გაზეთ „კავკაზში“ გამოქვეყნდა ქართველი ისტორიკოსების და ლიტერატურათმცოდნეთა შრომები. გ. ბარათაშვილმა „ქართველ-მეგრელთა ტომის ხალხთა რელიგიური ყოფის მოკლე მიმოხილვა მსოფლიო წარმართო-

1. უფრო სრული ცნობებისათვის იხ. ალ. ზარამიძე „ნიჰამი და ქართული მწერლობა“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 32, 1947, კ. კეკელიძე, „საქართველო და ნიჰამი განველი“, გაზ. „სახალხო განათლება“ 1947 წ. 25 სექტ.; გ. არასო „ხალხთა მეგობრობის იდეა ნიჰამის შემოქმედებაში“, ჟურნალი „ლიტერატურული აზერბაიჯანი“, 1953 წ. № 6.

ბის ეპოქაში.¹ ნ. გამრეკლოვმა (გამრეკლოვმა) — „საქართველოს წარმართული რელიგიის მიმოხილვა... ზორასტრას მოძღვრება საქართველოში“², ივერი-შვილმა — „როგორი იყო ცეცხლის რელიგია საქართველოში“³, გ. წერეთელმა — „კავკასიური მითები ქართულ ნიჟადაზე“⁴ გაზეთ „კავკასი“ ფურცლებზე მკითხველებს გააცნეს „ავესტას“ წიგნი. აღმოსავლური მწერლობის ნიმუში, რომელსაც ფეხლევურ ენაზე შექმნილი ლიტერატურაში დიდი ადგილი ექირა, და რომელიც, გარდა სასულიერო და სალიტერატურო მასალებისა, შეიცავდა ცნობებს პრაქტიკული იურისპრუდენციიდან, კოსმოგონიიდან, და აზერბაიჯანულ და ირანულ ლეგენდებს. ზემოხსენებული სტატიების ავტორებმა მკითხველს მისცეს ზორასტრას მოძღვრების, მისი ფილოსოფიის ძირითადი იდეების და კანონების სრული ანალიზი.

ქართული და აზერბაიჯანული ხალხური ზეპირსიტყვიერების, აშუღური პოეზიის ჩინებულმა მკოდნებ ი. ევლახოვმა (ევლახიშვილმა) შეკრიბა რა დიდძალი მასალა სახალხო გმირებზე, არსენასა და ქოროლიზე, ამ მასალის საფუძველზე დაწერა ვრცელი მოთხრობა „მამლიბელის ველი“, რომელიც 1849 წელს გაზეთ „კავკასკი ვესტნიკში“ მოათავსა, ხოლო ერთი წლის შემდეგ „კავკასში“ გამოაქვეყნა სტატია „ქართული სიმღერები და მომღერლები საქართველოში“⁵.

თბილისში მცხოვრებ აშუღებზე და მომღერლებზე, რომლებიც ხალხს აცნობდნენ ქართული და აზერბაიჯანული ჟოკლორული შემოქმედების საუკეთესო ნიმუშებს, ი. ევლახიშვილი ასე წერდა: „მესტირეები აღფრთოვანებით უმღერენ თანამემამულეთა საგმირო

საქმეებს, რომლებიც მათ გადმოცემით იციან, და მწუხარებით უმხრობენ თავის ქვეყნის ავებდობას. აღმაშენებლის შემოსევის დროს, ისინი უმღერაინ ახლო წარსულში ყანადად გავირდნილ არსენას და ჩვენი გმირების სიმამაცეს... აშუღის სიმღერა — მოჭარბებული გრძნობებით აღსავსე სულის მჩქეფარე ალტკინებაა. აშუღების უსაყვარლესი სიმღერები — ეს არის სიმღერები სახელმძღვანელო მხედრის ქოროლის გმირულ თავგადასავალზე, და რამდენადაც მეტი აქვს აშუღს მათი მარაგი, იმდენად უფრო მეტად ფასობს მისი ნიჭიერება“¹.

ამიერკავკასიელი მომღერლების ხალხების საერთო სასიცოცხლო ინტერესებმა, საერთო მტრების წინააღმდეგ მათი ერთობლივმა ბრძოლამ აზერბაიჯანული სახალხო გმირი ქოროლი პოპულარული გახადეს ქართველთა შორისაც.

ხალხური ზეპირსიტყვიერების მოყვარული ქრისტეფორე ჯალილოვი ამასთან დაკავშირებით წერდა „კავკასში“:

„აზიაში ისტორიკოსების როლში გამოდიან სახალხო მომღერლები და მგოსნები. ისინი სახელსა და საყოველთაო პატივისცემას იხვეჭენ. ასეთ მგოსანთა სიმღერებს შორის პირველი ადგილი უკავია ქოროლის. მის შესახებ გამოთქმულ ლექსებს, გულის სითბოთი აღსავსე და მაღალი აზრებით აღბეჭდილ ლექსებს, ამ ეამად ყველა მღერის.“

ქოროლის ცხოვრებაზე ხალხურ ეპიკურ სიუჟეტებსა ზღაპრული გადმოცემა ვრცელდება, და მისი საგმირო საქმენი მოხეტიალე ქართველი მესაზნდრეების უსაყვარლეს საგანს წარმოადგენს“².

ქოროლის ეპოსი იმდენად ფართოდ იყო ცნობილი საქართველოში, რომ ქართველმა დრამატურგმა და მსახიობ-

¹ გაზ. „კავკასი“, 1847, № 33.

² იგივე გაზეთი, 1872, № 48.

³ იქვე 1888, № 264.

⁴ იქვე, 1892, №№ 73, 74.

⁵ გაზ. „კავკასი“ 1850, №№ 64, 65.

¹ გაზ. „კავკასი“ 1850, №№ 64, 65.

² გაზ. „კავკასი“, 1847, № 22.

მა ზურაბ ანტონოვიმა 1853 წელს დაწერა პიესა „ქოროლი“. პიესა ხშირად იდგმებოდა ქართული თეატრის სცენაზე და დიდი პოპულარობით სარგებლობდა თბილისში.

გაზეთი „კავკაზი“ ასე ახასიათებდა ამ პიესის მნიშვნელობას ქართული ლიტერატურისათვის: „როგორც არ უნდა იყოს ტრაგედიის („ქოროლის“, — ა. მ.) შინაარსი, საიდანაც არ უნდა იყოს იგი წამოღებული, მისი გამოჩენა შესანიშნავია, როგორც პირველი ტრაგედიისა ქართულ ენაზე“¹.

უნდა აღინიშნოს, რომ რუსმა მწერლებმა — მოსკოველმა პოეტმა ბერგმა² და თბილისელმა დრამატურგმა, ეურნალისტმა და პოეტმა პ. ა. ოპოჩინინმა³ ქოროლის უძღვენეს თავისი მხატვრული ნაწარმოებნი.

მაგრამ მაშინ, როცა ზ. ანტონოვის პიესაში ქოროლი გამოყვანილია, როგორც ჩაგრულთა და ღარიბთა მოსარჩლე-ქომაგი, რაც ხალხური ეპოსიდან მომდინარეობს, შემოხსენებული პოეტების პოემების სიუჟეტი ფოლკლორული ზეპირსიტყვიერებიდან არ არის აღებული, ამიტომაც ბერგის პოემა „ქოროლი“ საფუძვლიანად და სამართლიანადაც გააკრიტიკა პროგრესულმა რუსმა ეურნალისტმა ი. სალივიციმ ჯერ კიდევ 1850 წელს გაზეთ „კავკაზის“ მე-13 ნომერში.

ზ. ანტონოვის პიესა „ქოროლი“ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში აზერბაიჯანულად თარგმნა თეატრის მოყვარულმა ისმაილოვმა; დაიდგა იგი თბილისის ზანკის თეატრის სცენაზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ სპექტაკლს, რომლის შემოსავალი დანიშნული იყო აზერბაიჯანული თეატრალური ფონდის შესაქმნელად, წარმატება ხედა⁴.

აზერბაიჯანული ფოლკლორის ქარ-

თველმა მოყვარულებმა მე-19 საუკუნის 90-იან წლებში შეაგროვეს ნაშრომ-ნაშარდინის⁵ ანგლოტებმა⁶ „გაქანაჩი“ მნეს მშობლიურ ენაზე და 1893 წ. ცალკე წიგნად გამოსცეს მოკლე ბილგრაფიული ცნობითურთ მათ ავტორზე⁷.

გაზეთმა „კავკაზმა“ 1900 წლის პირველ დეკემბრის ნომერში გამოაქვეყნა ილარიონ ჯაშის მიერ შეკრებილი და მის მიერვე რუსულად თარგმნილი აზერბაიჯანული ფოლკლორული ნაწარმოები „შახვერდი-ხანი“. ეს მოთხრობა მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ ზუსტ ცნობებს შეიცავს მე-18 საუკუნის განჯის სახანოს 50-იანი წლების პერიოდზე, ე. ი. პერიოდზე, როცა საქართველოში მეფობდა ერეკლე მეორე.

საინტერესოა, რომ მოთხრობის მთავარი გმირი, ღარიბი ოჯახიდან გამოაყული შახვერდი, მეფე ერეკლე მეორის ხელშეწყობით და დახმარებით განჯის სახანოს ხანი გახდა. ი. ჯაშს ასე აქვს გადმოცემული შახვერდის და ერეკლე მეფის ურთიერთობა. „შახვერდი თანამედროვე იყო ქართველთა მეფის ერეკლე მეორისა, რომელსაც იგი ყოველწლიურად 10 ათას თუმან ხარკს უხდიდა იმ დახმარებისათვის, რომელიც ერეკლემ 1750 წელს შახვერდის აღმოუჩინა, როცა ეს უკანასკნელი ეომებოდა აღამამედ-ხანს, რომელმაც განჯის სახანო დაიპრდა პენეხ-ხანს“⁸.

დიდი სიყვარულით წერდნენ აზერბაიჯანულ ლიტერატურაზე ქართველი ისტორიკოსები, ლიტერატურისმცოდნენი და კრიტიკოსები: გ. ბარათაშვილი, გ. წერეთელი, დ. ბაქრაძე, მ. თუმანიშვილი.

ქართველი ისტორიკოსი გიორგი ბარათაშვილი 1849 წლის გაზეთ „კავკაზის“ 26-ე ნომერში დაბეჭდილ სტატი-აში „საქართველოს დამწერლობის ჰეგ-ლები“ აღნიშნავს, რომ მე-12 საუკუნე-

¹ გაზ. „კავკაზი“, 1853, № 42.

² იხ. ეურნალი „მოსკვიტიანი“, 1850, გვ. 153-157.

³ გაზ. „კავკაზი“, 1906, № 24.

⁴ იხ. გაზ. „კავკაზი“, 1889, № 149.

⁵ იგივე გაზეთი 1893, № 54.

⁶ გაზეთი „კავკაზი“, 1900, № 3.

ში, როცა აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის ვითარდებოდა და მკვიდრდებოდა მეგობრული ურთიერთობა, თამარ მეფემ გასცა ბრძანება, სხვა წიგნებთან ერთად ქართულ ენაზე ნიზამი განჯელის სატრფიალო პოემა „ლეილა და მეჯნუნიც“ ეთარგმნათ. ამრიგად, პოემა „ლეილა და მეჯნუნიც“ ქართულად ითარგმნა ჯერ კიდევ ამ პოემის ავტორის სიცოცხლეში.

ამ ფაქტს ადასტურებს მე-19 საუკუნის ცნობილი ლიტერატურათმცოდნე ა. გრენინიც სტატიის „თამარ მეფის ეპოქა“¹.

ეს პოემა ქართულ ენაზე ხელმოკრედ ითარგმნა მე-17 საუკუნეში. ამჟერად თარგმანის ავტორი გახლდათ მეფე თეიმურაზ პირველი, რომელიც ჩინებულიად ფლობდა სპარსულს და აზერბაიჯანულ ენებს.

ნიზამის „ლეილა და მეჯნუნიც“ თეიმურაზისეული თარგმანი პირველად მოიხსენია ქართული მწერლობის კლასიკოსმა — პროზაიკოსმა, კრიტიკოსმა და ჟურნალისტმა ვიორგი წერეთელმა სტატიის „ნიზამი და რუსთაველი“² რომელიც გამოქვეყნდა 1890 წელს გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეს“ 2084-ე, 2086-ე და 2091-ე ნომერებში. „ქართულ ენაზე არსებობს პოემა „ლეილა და მეჯნუნიც“ თეიმურაზისეული თარგმანის რამდენიმე ხელნაწერი ვაზემპლიარი, — შესრულებული რუსთაველური შაირით — წერდა გ. წერეთელი.² მისი აზრით, ეს თარგმანი ფართოდ

იყო ცნობილი საქართველოში მე-19 საუკუნის დამდეგსაც კი.

მელანია ბაქრაძე, რამდენიმე წელი მწერალი ქალის“ ფსევდონიმით წერდა, თავის მემუარებში იგონებს, — დადი სიყვარულით და გულმხურვალეობით წაფიქრებულ ზემს მშობლიურ ენაზე ნიზამის პოემა „ლეილა და მეჯნუნიც“. სიტყვა-სიტყვით მ. ბაქრაძეს ასე აქვს ნათქვამი: „როცა ვეფხისტყაოსანის კითხვას მოგრჩი, ვიშოვე თათრულიდან (აზერბაიჯანულიდან) ქართულ ენაზე თარგმნილი თხზულება სათაურით „ლეილა და მეჯნუნიც“. ეს იყო ბიძაშვილების — ქალისა და ვაჟის ურთიერთ სიყვარულის ამბავი. ეს ახალგაზრდები ერთად სწავლობდნენ ერთ მოლასთან. შეუყვარდათ ერთმანეთი და დაიხოცნენ, როცა მშობლები წინ აღუდგნენ მათ შეერთებას. პასოსეს, მე სულით და გულით ვიზიარებდი მათ გრძნობას და აღტაცებული ვიყავი მათი წმინდა სიყვარულით“³.

ცნობილია, რომ ორმოციანი წლების თბილისში ცხოვრობდა და შემოქმედებით მუშაობდა ეწეოდა აზერბაიჯანელი ხალხური მომღერალი მირზა სათარი.

გულითადი სიყვარულით ეკიდებოდა სათარის ნიჭიერებას დიდი ქართველი რომანტიკოსი, ბრწყინვალე ლირიკოსი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ბარათაშვილის ოჯახში ჰქონდათ სხვადასხვა მუსიკალური საკრავები — დაირა, დიპლოპიტო, თარი, სალამური, ტიანური, — წერდა გაზეთი „კავკაზი“. ნიკო თვითონ არ უყრავდა, მაგრამ ძალიან უყვარდა მუსიკა და სიმღერებზე მუდამ მხიარული ჩანდა და მალაუდა თავის სევდას. ლხინში და ნადიმში თან მიყავდა სათარი. სათარი აზერბაიჯანელი მომღერლის სახელია; მას შეიძლება მოვესმინოთ აგრეთვე ქართულ და სამხურ ქორწილებზე².

როცა მე-19 საუკუნის ქართულ-

¹ ვაზ. „კავკაზი“, 1894, №№ 191-192.

² გ. წერეთელი იყო მირზა ფაქალი ახუნდოვის ერთ-ერთი თბილისელი ნაცნობი. გაზეთი „კავკაზი“ იწყებოდა, 70-იან წლებში გ. წერეთელს უნდოდა აზერბაიჯანულ ენაზე გამოცემულიყო სასოფლო-სამეურნეო გაზეთი და ასეთი წინადადებით გამოვიდა სოფლის მეურნეობის კავკასიური საზოგადოების წევრთა 1871 წლის 19 ნოემბრის სხდომაზე. ამ მებრძოლმა ჟურნალისტმა სთხოვა საზოგადოებას გაზეთის გამოცემისათვის მიეცათ მისთვის 900 მან, მაგრამ უარი უთხრეს. იხ. ვაზ. „კავკაზი“, 1871 წ. № 140.

¹ „ზურნა“, ამიერკავკასიური აღმწახი, ე. ა. ვერდერეესკის გამოცემა. 1855, გვ. 277.

² ვაზ. „კავკაზი“ 1850, № 21.

აზერბაიჯანულ ლიტერატურულ კავშირ-ურთიერთობაზე ვლადარაკობთ, საჭიროა რამდენიმე სიტყვა ითქვას ქართული დრამატურგიის ფუძემდებლებთან — გიორგი ერისთავთან და ზურაბ ანტონოვთან მირზა-ფატალი ახუნდოვის კავშირზე და მეგობრობაზე.

აღნიშნავდა რა ადგილობრივი ინტელიგენციის, კერძოდ, გ. ერისთავის და მ. ფ. ახუნდოვის მისწრაფებას განათლებისაკენ, გახმაურებული მოთხოვნის „ტრანტასის“ ავტორი ვ. ა. სოლოგობი ვაზეთ „კავკაზში“ წერდა: „აქ (თბილისში, — ა. მ.) უკვე იგრძნობა განათლების აუცილებელი საჭიროება: ადგილობრივი მკვიდრნი ბეჭდავენ თავის კავკასიურ გაზეთებში სტატიებს. ამზადებენ დიდძალ მასალას ყოველთვიური ქართული ქურნალის გამოსაცემად. თავადი გიორგი ერისთავი შეუდგა კომედიის წერას ქართულ ენაზე, მირზა ფატალი ახუნდოვი კი — თათრულ (აზერბაიჯანულ) ენაზე“¹

ამ დროიდან გაზეთმა „კავკაზმა“ თავის ფურცლებზე არა თუ შოთავესა გ. ერისთავის და მ. ფ. ახუნდოვის კომედიები, არამედ მაღალი შეფასება მისცა ამ კომედიებს ღრმა რეალზმისა, დემოკრატიული იდეებისა და მაღალ-მხატვრულობისათვის².

ქართული კრიტიკოსი მ. თუმანი-შვილი მ. ლივენცევის ნაწარმოებზე „მიხაკო და ნინოზე“ დაწერილ თავის რეცენზიაში ამბობდა „...ჩვენს დროში პოეზია იქ არის, სადაც ჭეშმარიტებაა, ჩვენს დროში ოცნებათა პოეზიამ ადგილი დაუთმო სადა, მაგრამ თავის სისადავით მაღალს და შთაგონებულს არსებითობას.

ღრო და ღრო ქვეყნდება ბელეტრი-სტული თხზულებები, რომლებიც მიზნად ისახავენ ასახონ კავკასიის, ამიერ-კავკასიის, განსაკუთრებით, საქართველოს ყოფაცხოვრება და ზნეჩვეულება.

ჩვენ უკვე გვაქვს სამი კომედია, ერთი თუ ორი რომანი, ისტორიული დრამა. მოთხრობები; ეს მოვლენა თავისთავად სასიხარულო და საყურადღებოა; ბელეტრისტიკას შეუძლია ფასდაუდებელი სარგებლობა მოიტანოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერც ერთი დღემდე გამოქვეყნებული ასეთი ნაწარმოები, ახუნდოვის კომედიის გამოკლებით, ვერ უპასუხებდა თავის დანიშნულებას... მთელი რუსეთი ამჟამად დიდი ინტერესით უყურებს კავკასიას; ეს მზარე მნიშვნელოვანი კუთხეა, მის შესწავლას ხელი მოკიდა სამეცნიერო ლიტერატურამ, მისკენა მიპყრობილი მისი თვალი. ისეთი ნაწარმოებები, როგორც არის აღმოსავლური რომანი (იგულისხმება ახუნდოვის პიესები), და ქართული იდილია („მიხაკო და ნინო“), არა მარტო აგებენ მეცნიერების დონისძიებებს, არამედ იზიარებენ მის ღვაწლს ამ კუთხის შესწავლის და გაცნობის საქმეში“³!

ყიომის ომის პერიოდში (1853-1854 წ.წ.) საქართველოს და აზერბაიჯანის მოწინავე წრეებში მოუწოდებდნენ ხალხს — მხარი დაეკირათ რუსეთისათვის. ვაზ. „კავკაზმა“ გამოაცხადა კონკურსი ნაწარმოებზე⁴, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავდა რუს ქარისკაცთა და კავკასიის მკვიდრთა გმირობას საერთო მტრებთან ბრძოლაში. მ. ფ. ახუნდოვმა და მისმა ქართველმა მეგობრებმა უმაღლეს დაწერეს და გამოაქვეყნეს ლექსები, რაც „კავკაზმა“-მამინვე აცნობა თავის მკითხველებს. „ამ დღეებში მივიღეთ ადგილობრივი პოეტების ორი ორიგინალური ლექსი, ორივე ფრად შესანიშნავია თავისი ვორმით და შინაარსის თანადროული-ბით. ერთი მათგანი თათრულ ენაზეა, მეორე ქართულ ენაზე“⁵.

საინტერესოა ის, რომ დაიბეჭდა

¹ ვაზ. „კავკაზმა“, 1851 № 9.

² ვაზეთი „კავკაზმა“ 1853, № 61.

³ ვაზ. „კავკაზმა“, 1852, № 41.

⁴ ვაზ. „კავკაზმა“, 1853, № 92.

⁵ ვაზ. „კავკაზმა“, 1854, № 29.

ორივე ლექსის დედნები რუსული პუკარედით.

1907 წლის პრესაში გამოქვეყნებული მასალები მკვერბეტყველურად გვიჩვენებენ, რომ დიდი ქართველი პოეტის ილია ჭავჭავაძის ტრაგიკულმა სიკვდილმა დიდი მწუხარება გამოიწვია როგორც ქართველ, ასევე აზერბაიჯანელ ხალხში, 9 სექტემბერს, ილია ჭავჭავაძის დაკრძალვის დღეს, ცნობილმა აზერბაიჯანელმა ჟურნალისტმა ჰუსეინ მინასაზოვმა გაზეთ „ზაკავაზიში“ მოათავსა სტატია, სადაც ნათქვამია:

„მსოფლიო — ეს არის სარკე, რომელთან ადამიანი მიდის, რათა შეხედოს თავის სახეს და შემდეგ გადავიდეს მარადისობაში“.

ეს სიტყვები ეკუთვნის აღმოსავლეთის უდიდეს პოეტს — სახელგანთქმულ საადის.

ღიბს, ეს ასეა! მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც გადადიან რა მარადისობაში, ამ სარკეზე — ე. ი. მსოფლიოზე — სტოვებენ მარად წარუქლელ სახეს — ან საშინლად უმსგავსოს, ან მომზიბველად მშვენიერს. შთამომავლობა შეაჩვენებს პირველთ, ხოლო მეორენი — აღძრავენ წმინდა-მოწიწების გრძნობას მათი უკვდავი სახეების სიდიადის წინაშე.

განსვენებული ილია ვრიგოლისძე ჭავჭავაძე ქართველი ხალხისათვის იყო სწორედ ასეთი ადამიანი, რომელმაც უკვდავყო თავისი სახელი პოეტური ნიჭის დიდებული ნაყოფით.

მაგრამ განა მართო ქართველი ხალხისათვის? ნიჭიერება თვისებაა ადამიანისა, და იმით უფლება აქვს იამაყოს ყველამ.

კავკასიის შვილი, მშობლიური ველების და მთების მომდრალი, რომელსაც თავდავიწყებით უყვარდა ოდესღაც აყვავებული თავისი სამშობლო, კავკასიის პოეზიის ბაიანი, რომელმაც სიყვარულის, იმედისა და კაცთმოყვარობის უფაქიზესი ძაფებისაგან მოქსოვა გულწარმტაცი მელიოდები, განა

ასეთი ადამიანი ძვირფასი არ არის ჩვენთვისაც — მუსულმანებისთვისაც და განა უღმობელი ხელმძღვანელობა რული ამ მგოსნის ქმნილებაში ჩვენ არ ვხედავთ უსაზღვროდ სევდიანი ჩვენი ფიქრების და ჩვენთა უმძიმეს ტანჯვათა გამოხატულებას? განა ეს ქმნილებანი, წმინდა აღმოსავლური კავშირის ბინდით მოსილნი, ჩვენ იმასვე არ გვეუბნებიან, რაც ჩვეული ვართ ვისმინოთ ხალხის ჭირ-ვარამის გამომხატველი ჩვენი პოეტებისაგან?

დასასრულ, ამ მომზიბველი მუხის გამამხნევებელი ჰანგები განა არ ასაზრდოებენ ჩვენს სევდიან გულში უკეთესი მერმისის ნათელ იმედებს?

დაილუბა ჭავჭავაძე, ხოლო მასთან ერთად დაილუბა ადამიანი იმ ადამიანთა სახელოვანი პლეადიდან, ვინც მთელი თავისი სიცოცხლე მოუწოდებდა ხალხებს იღვწენ პროგრესის და ერთობის გზაზე¹.

ქართული ლიტერატურის გამოჩენილი კლასიკოსი აკაკი წერეთელი დიდ ყურადღებას უთმობდა აზერბაიჯანსა და მის კულტურას. იგი არაერთხელ ყოფილა ბაქოში, გასცნობია ქალაქის ცხოვრებას და ადგილობრივ მოსახლეობას.

1905 წლის რევოლუციის წლებში, ცარიზმის სატრაპები აღვივებდნენ ერთნულ შუღლს ამიერკავკასიაში იმ მიზნით, რომ დაეჩლუნგებიათ მუშების და გლეხების კლასობრივი შეგნება, და გამოეთიშათ ისინი რევოლუციური ბრძოლისაგან.

ამიერკავკასიის პროგრესული-მოღვაწეები, — ცნობილი აზერბაიჯანელი სწავლული და პუბლიცისტი მამედ-ალი შახტახტინსკი,² და გამოჩენილი ქართველი

¹ გაზ. „ზაკავაზი“, 1907. № 184.

² ეს სწორედ ის მ. შახტახტინსკია, რომელთანაც ნ. ნიკოლაძეს ჰქონდა მოლაპარაკება მის შესახებ, რომ აზერბაიჯანულ ენაზე გამოცემულიყო დემოკრატიულ-პროგრესული მემართულების გაზეთი, მაგრამ ეს საქმე ვერ მოგვარდა სახსრებისა და მატერიალური პაზის უქონლობის გამო.

ლი პოეტი აკაკი წერეთელი სასტიკად ილაშქრებდნენ თვით მეფის მთავრობის ორგანოში — გაზეთ „კავკაზში“ ცარისტული პოლიტიკის წინააღმდეგ წაესისინებია ერთმანეთზე კავკასიის ხალხები.

აკაკი წერეთელი ისტორიული ფაქტებით ამტკიცებდა, რომ არ ყოფილა და არც არის არავითარი ანტაგონიზმი ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის. აი, რას წერდა პოეტი ჩვენი ხალხების ურღვევ მეგობრობაზე: „1795 წელს, როცა ალა მამედხანმა ალყა შემოარტყა თბილისს, ქართველთა მეფე ერეკლე, ახლობელი მხედართმთავრების დახმარებით, იძულებული გახდა სპარსელთა უზარმაზარი ლაშქრის წინააღმდეგ გამოსულიყო იხოლოდ მათასი მეომრით; ქართველ მეომართა რიგებში იყვნენ ბორჩალოელი ყაზახები. ქართულ მიწა-წყალზე აღზრდილი ეს თათრები თავის თავს მამამდიანური რჯულის ქართველებად მიიჩნევდნენ და მზად იყვნენ თავი დაედოთ საქართველოსათვის, როგორც საკუთარი სამშობლოსათვის, თვით თავის ერთმორწმუნეთა წინააღმდეგ ბრძოლაშიც კი. თბილისიდან გაქცეულ დედოფალს დამცველად ახლდნენ შეიარაღებული თათრის ქალები (აზერბაიჯანელები), ედიგაროვის სახლიდან გამოსული ქალის მეთაურობით.

ისტორიამ და ჩვენი დღეების ფაქტებმაც არ შეიძლება არ დაგვარწმუნოს, რომ არ შეიძლება და ქართველებსა და მუსულმანებმა შორის რაიმე ანტაგონიზმი აღძრულიყო იმ შემთხვევაშიც კი, რომ რომელიმე პარტიას ანუ ჯგუფს მოენდომებოდა გაუგებრობის გამოგდება მათ შორის¹.

1908 წლის დეკემბერში, როცა საქართველო დღესასწაულზედ იმერეთის (აკაკი წერეთლის) მოღვაწეობის 100-წლისთავს, აზერბაიჯანის დელეგაციამ იუბილარს მისალმების წერილი გაუგზავნა. გაზეთ — „დროებაში“ გამოქვეყნებულ ამ წერილში ნათქვამია: „საუკუნეების მანძილზე ურთიერთთან ჰეგობრულად ცხოვრობს სამი მოძმე ხალხი: ქართველები, აზერბაიჯანელები და სომხები. ბედმა ისინი მიწა-წყლით ერთმანეთს დაახლოვა, და ისინი უნდა ცდილობდნენ ერთმანეთთან სულიერად და მორალურადაც დაახლოვდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ხანდახან მათ შორის გაუგებრობაც ჩამოვარდება. ჩვენ ამას ეინსენებთ მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ კიდევ დავიწყებას არ მისცემია სომეხთათართა შეტაკების სისხლიანი დღეები და მისი არასასურველი შედეგები სამივე ხალხისათვის. ახლა კი ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ეს მწარე დღეები დავიწყებულია და აღარასოდეს განმეორდება, ამ ხალხებისათვის ბევრად უფრო სასარგებლოა შემქმნარდნენ და ხელისხელჩაკიდებული წავიდნენ წინ კულტურისა და განათლები-საყენ.

ამ წმინდა მოვალეობით ჩავთვალე ჩვენი აზერბაიჯანელები თავის წარმომადგენლების სახით მხურვალედ მიესალმებთან თქვენს დიდად პატივცემულ პოეტს, საუკეთესო მებრძოლს თავისი ხალხის ბედნიერებისათვის.

დადგება სანატრელი დღე, როცა ამ სამი ხალხის საუკეთესო წარმომადგენელი, რუსეთის სხვა ხალხების პროგრესულ წარმომადგენლებთან ერთად, შესძახებენ: გაუმარჯოს პოეზიას! გაუმარჯოს განათლებას! გაუმარჯოს პროგრესს! გაუმარჯოს ერთობას!“

¹ იხ. „კავკაზი“ 1906, № 22.

¹ გაზ. „დროება“, 1908, № 10.

აპაკი წერეთლის უსნოგი წერილები

ქართული ლიტერატურის კლასიკოსის აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობის შეაწავლისათვის დიდი მუშაობა გაწეული. დამთავრდა მწერლისა და პოეტის თხზულებათა სრული კრებულის თხუთმეტ ტომად გამოცემა. მეთხუთმეტე ტომში შევიდა აკაკის ეპისტოლარული მემკვიდრეობა და რუსულ ენაზე დაწერილი თხზულებები. ამჟამად საბჭოთა საზოგადოებრიობის განქარგულებაშია ჩვენი სასიკეთლო მწერლის ლიტერატურული მემკვიდრეობის სრული გამოცემა. იღებთ ხელში თხზულებათა ამ ტომსაც და სიამოვნების უდიდესი გრძნობა გეუფლებათ.

„ტომის პირველ ნაწილში, — ეკითხულობთ წინასიტყვაობაში, — წარმოდგენილია აბსოლუტური უმრავლესობა პოეტის პირადი წერილებისა, თავმოყრილია უველა არსებითი და ძირითადი მასალა“. მიუხედავად ამისა, ტომში მაინც გამოჩნენილია რიგი წერილები, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია პოეტის ცხოვრების, საზოგადოებრივი მოღვაწეობისა და შემოქმედების სრულყოფილად შესწავლისათვის.

ასეთი წერილები უყვარს ქართველ ხალხს, როგორც საყვარელი მწერლის სპეტაკი სულის, ფაქიზი გრძნობისა და გონების გამოხატუქი. გავუვით აკაკის წერილებისა და ბარათების კვალს, გონების თვალთ გავხედოთ, გავარჩიოთ, მოვიყვანოთ მკვლევარები და ჩავიხედოთ ხალხს ბედის მოზიარე დიდი ადამიანის სულის სიღრმეში.

აკაკის წერალ ბარათები და წერილები, რომლებიც გამოჩნენილია პოეტის თხზულებათა XV ტომში, ამოკერბებთ საქართველოს, ცენტრალური სახელმწიფო არქივის, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტისა და სხვათა ფონდებიდან. ამ წერილების ადრესატებია ქართველი საზოგადო მოღვაწეები: იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ნიკოლაძე, იონა მუენარჯია, იმერეთის ეპისკოპოსი ვახტანგ ჭიჭიკე, გიორგი ალაღშვილი (იმერეთის ეპისკოპოსი), აბილ ჭორჯაძე, იოსებ ჩო-

ჯააძე, თეოდ კორდანი, მიხეილ შინაბელა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა, მოსე ჭანაშვილი, გიორგი ეფრელი და სხვები.

აკაკი წერეთელი — დიდი მოღვაწე, ადამიანი, მოქალაქე და პოეტი ცხოვრების უკუღმართობისთან ბრძოლაში ყოველთვის შემართებული მოიხანს პირად მიმოწერაშიც. „არავისი მემონია, გარდა ერთის ჩემის სინდისისა და ჩემის თავისაო“, — წერდა იგი ერთგან ანტონ ფურცელაძეს, და ათათასჯერ მართალია იყო. კუშმარტი სხალხო საყვარელით გატყვისილი მწერალი და მოქალაქე ბოლშევიკის გაუტყველი დარჩა თავის მრწამსსა და ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

აპაკის წერილი იაკობ გოგებაშვილისადმი

აკაკისა და იაკობის მიმოწერაში, რომელიც ცნობილია მკითხველი საზოგადოებისათვის, აღძრულია მთელი რიგი საზოგადოებრივი საკითხებისა. ამ წერილებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ქართული კულტურისა და აზროვნების ისტორიისათვის, ეს წერილები ნათელს მდენენ ამ ორი სახელოვანი ქართველი მოღვაწის ურთიერთობას და მათს დიად, უანგარო მეგობრობას.

ამ მკითხველ საზოგადოებას გვიანდა გვიწოდოთ XV ტომში გამოჩნენილი აკაკის ერთი მეტად საყურადღებო, უთაროდო წერილი, რომლიდანაც ერთბაშად კიდევ ჩანს, თუ რა დიდად აფსკადია იგი იაკობ გოგებაშვილს (იხ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ი. გოგებაშვილის ფონდი № 18). აი ეს წერილიც, რომელიც თარიღდება 1898 წლით:

„ძვირფასო მშა ბატონო იაკობ

მეტად ცუდ გუნებაზედ ვარ და მიტომაყ მინდა გამოვალაპარაკო, რასაკერაველია, იტყვი: ამ სიშორეს რომ მეპოტინება, იქვე იმერეთში, უფრო ახლოს არ არიან სხვები, რომ იმათ ვაუზიაროს თავისი ნაღველიო?

მართალია, როგორც თვითონვე გვიწმენებენ, ბევრნი არიან ჩვენში „საქართველოს მთი-

ებო“, მაგრამ მათი სხივი არც თვალსა და არც გულს ჩემსას არ ჰხვდება. ჩემს ნაღველს ისიც ვერ გაიგებენ და მეც მათი შარბათი ვერ გამიგია... და „ობოლ სულად“ დარჩენილი თავს შეეპოვებენ: „ალარტ ნატერა და ალარტ იმედია“ მეთქი“ გამიძრუდა წინანდელი ოცნება და რამღა მანუღღგმულოს? სული ბორბოტი შვი უორანოვით ჩამხზავს ყურში: „შენის პოლონიას!... საღდა საქართველო და ქართველობა?... ამერყვი, არ ვარგა სულით დაცემო. ბრძოლა... ბრძოლა საქირო? მაგრამ განა ცოტა გვიბრძოლა ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში და რა გამოვიდა? „ახა უღაბნისა შინა...“ ერთადერთი საიმედო, დღემდის შენი სახელმძღვანელოები იყო, მაგრამ დღეს კი ვხედავ, რომ იმასაც ბორბოტი ძალა ეღობება წინ და ჩვენ კი გულგრილად შევეურებთა „ეს ლევიკიათ“ „მუნდერი მეთოდო“, გიწაზიის განზახვ-დანიშნული, უციკი მასწავლებლებით და სხვანი... ოჯახიც რომ მისკითხური ხიბლავს ჩვენში... ქართველობაში? დავიარე ჩვენი მხარე და ის ვეღარ ენახე, რაც შენა. საქანებზე ვდგავართ და მივისწრაფით უფსკრულისაკენ და ჩვენი თურნალ-გაზეთები კი თვალ-დამღვარ მენახირესავით „ბუხანჯალს გაიძახიან“. ამისთანა დროს, ყოფნას არყოფნა სჯობს. ეპ, რაღა თავი გაწყვინო? მე თუ ამ სამთელითა და ამ გუნებაზე კიდევ დღისნის დავრჩი, ვგონებ, ერთმანეთი ვეღარც კი ვნახათ და ვისურვებ მხოლოდ შენს ხანგრძლივობას, რომ შენ, როგორც იმედდებულ კარგე კაცს, კიდევ ბევრი გეშრომოს და გებრძოლოს... ვინ იცის? ვეებ-მართლაც რამე გამოვიდეს... ნათქვამია: „სასწაული მორწყუნეთათვისო“.

[1898 წ.] შენი მარად აკაცი.

**აპაჩი წაჩაბთლის უცხოგი წაჩაბთლი
გაბრიელ ჯიჟქისადმი**

აკაცი ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან საინტერესოა საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი წერტილი ქართველი სასულიერო მოღვაწისადმი. წერილის შვი (ავტოგრაფი) დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტის აკაციის პირად ფონდში. იგი მიმართულია ცნობილ სასულიერო პირსა და საზოგადო მოღვაწე-ქველმოქმედის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისადმი. გაბრიელ ეპისკოპოსი—ერისკაცობაში გერასიმე ქიქოძე იმერეთის კათედრანზე დაინიშნა 1860 წლის 2 ივლისიდან. იგი იყო ფრად განათლებული. 1849 წელს პირველი ხარისხით დაამთავრა პეტერბურგის სასულიერო აკადემია.

გაბრიელ ქიქოძე საზოგადოებრივი მოღვაწეობითა და ქველმოქმედებით ქართველ ხალხში კარგი სახელით სარგებლობდა. იგი დიდ წინააღმდეგობას უწევდა რუსიჟეიტორული პოლიტიკის ვატარებას სწავლა-განათლების საქმეში.

მას განსაკუთრებული პატივისცემით ემყარობოდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაცი წერეთელი და გოგებაშვილი და სხვები.

გაბრიელ ქიქოძის იმერეთში მოღვაწეობის პერიოდში ქუთაისის გუბერნატორად მუშაობდა გრაფი ელ. ლევაშოვი (1864-1874 წწ.). ამ გათქვრა გუბერნატორის მეთაურობით მოხდა ქუთაისის გუბერნიის ეკლესია-მონასტრების (ველათის და სხვ.) განქველობის გამარცხვა, რამაც გამოიწვია საზოგადოებრივი გულისწყრომა.

გაბრიელ ქიქოძესაც შეხვდა უსამოვნება. მისი მისამართიად გაისმოდა უკმაყოფილება და მიოქმა-მოქმე. ამის შედეგად სწორედ აკაციის მიერ გაგზავნილი წერილი გაბრიელ ქიქოძისადმი:

„თქვენო ყოვლად უსამღვდელოესობა! თქვენგან რედამტკაში გამოგზავნილმა წერილმა საზოგადოთ ურთობრა სიცილი ასტება. მაგრამ კერძოთ მე კი ნაღვლიანად ჩამაფიქრავ: ძლიერი ყოფილა და ბევრის შემძლე ის წრე, რომელშიდაც თქვენა ბრძანდებით დღეს, თორემ როგორ მოხდა, რომ თქვენისთანა მომზადებული და საქველ-მოქმედოთ გამომდგარი კაცი, მოიხილა და მათგან მოწაფებული დღითი დღე უფრო და უფრო, სწორ-გზის შემქცევი, ხალთაბანდრობით მოღვაწეობს? თქვენის წერილის, ვითომ უმანკო კილოდამ სჩანს რომ თქვენ ყოველივე თქვენი და თქვენი კარის კაცების ნამოქმედარი, ავი იყოს თუ კარგი, მაინც შეუცდომელად მივიჩნიათ. — ამგვარი დანაშაულობა საზოგადოთ მოსდის ვაქვს ან კერპობითა და ან თვალახვეულობით. პირველი თქვენ ვერ შეკადრებთ, მაგრამ მეორე კი თავის თავათ არა გციოდებთ! თორემ ნუ თუ მართლა კიდევ შეიძლება იმ ცულ-საქმეების დაფარვკ, რომელნიც ამდენიხანი თქვენის სახელით, რასაკვირველია, თქვენდა უნებურად, ფხს იდგმენ უმისოთაც ზნეობით დაჩაგრულს ხალხში.

ნაცულად მისა, რომ თქვენ ისინი გამოაწყარათ და მით გამოისყიდოთ ურიგო მაგ შემთხვევა, თქვენ კიდევ ხელს აფარებთ და მით აორკაცებთ? რა მიზეზია, რომ თქვენ არც ერთის დანახვა არ ვინდათ, მაშინ როდესაც, როგორც ხალხს, ისე ჩვენი, ათასობით გვეჭირავს ხელში სხვა და სხვა კაცობრიობის დამნიკებელი ფაქტები, ზოგიერთის თქვენის კარის კაცების ნამოქმედარი?!

მაგრამ დავანებოთ ამაებს ყველას თავი დრომდე და ვადავიდეთ პირდაპირ „ტპარების გაცარკეზებლ“: რა განზრახვით აფარებთ ხელს ამ საქმეს, მაშინ როდესაც ცხადია? — გაზეთში აცხადებთ უარის ყუფით და თანაც „ღარებმას“ უსინდისობას სწამებთ მაშინ, როდესაც წინათ-

1 აქამდე მთელი აბზაცი ხაზებგამსულია ავტორის მიერ.

ვე იცით, რომ წინააღმდეგის პასუხის გაცემის ნებას არ მოგვეცემენ ჩვენ, და თქვენ ამ შემთხვევილს სარგებლობთ? ეს არ არის არა თუ ქრისტიანული, არამედ არც რაინდული საქმე. — აბა ნება გვქონდეს პასუხის გაცემისა და მაშინ ნახავდით, თუ ვერ დაემტკიცებდით!.. აბა, ერთი გამოძიება დაინიშნოს თქვენს ეპარხიაში, ჩვენი თანდასწრებით კი, რომ ველაზაფერი ვადაფუხვრონ და მაშინ ენახათ, თუ არ ბრძანათ: „არ ვიცოდით და სხ“. რათ მიიღეთ თქვენს თავზედ ლევაშოვის შესახებში საქმე? ან რათ ჩამოგვართვით ეგ საქმე პირადობათ, მაშინ როდესაც ეგ საზოგადო საქმეა? და საზოგადო საქმეს ჩვენ ვერ შევსწორებთ ვერც პირის ხათრს, ვინც უნდა იყოს!.. რა ლოდივით დაინახეთ ჩემს სტატიაში და რა ოსი? — რადგანაც პირდაპირობის ნება არ მქონდა, ილუგორიულად მე გამოვამცხადე ვაზეთში ეგ საქმე, მაგრამ თქვენმა მომხრე ცენზურამ აღკრძალა. — თუ ნება მოგვცათ, ის იქნებოდა საქვეყნოთ და საშვილიშვილოთ გამოცხადებული. მაშინ ის სტატია ყველას ჩაუვარდებოდა ხელში, პირველად, მგონი, თქვენ, და თუ ახლა მხოლოდ რამოდენიმე პირთ ჩაუვადით ხელში და მათს რიცხვიში პროკურორსა, — რა ჩემი ბრალია? — ნუ თუ თქვენ ეს გგონიათ დანოსი? და ვიზედ? — თქვენზედ? და რა მატეს მე თქვენთან საპირდაპირო? ახლა თქვენზედაც ვიკითხოთ: თქვენი სტატია დროების შესახებ დანოსი არ იყო? ორჯერ რომ იქნადაც ახალ-გაზრდობის შესახებ, დანოსი [არ] იყო? — და თუ კი თქვენი შემდგარი პაზი არ არის დანოსი, ამ შემთხვევაში ჩვენი დაურღვეველი ტეშმარიტება რატან არის დანოსი? მაგრამ მრისანებას ატანიახართ, რომ საზოგადო საქმეზედ და საზოგადო ინტერესზედ თქვენ უფრო ძვირფასად არ მიგვაჩინებართ. — არა, თქვენი ყოვლადუსამღდელოესობავე მართალია, იყო დრო, როდესაც თქვენ მიგვაჩინდით საზოგადო სახებათ და ბერის დათმობდით მაშინ. მაგრამ დღეს კი ვისურვებთ თქვენთვის ან საუკეთესოდ გზის გამოცვლას და ან თქვენთვის საპირადო ვაგლენის სუტუნოდ მოსპობას ჩვენს ხალხში.

დავთვებთ პირადად მარად [ეთილისპსურველი]

ა. წერეთელი.

აკაკი წერეთელი, მიუხედავად თავისი პირადი ღრმა პატივისცემისა, გაბრეულ ქიქოძეს, როგორც ხედავთ, არ ერიდება და პირდაპირ უთითებს მისდაუნებურად გამოწვეულ უნებლო დანაშაულზე. აქაც, როგორც ყოველთვის, პოეტრი ეროვნული კულტურის დაცვის პრინციპულ სიმძალეზე დგას და საზოგადო ინტერესი ყოველთვის ჩრდილავს ყოველგვარ პირადულს.

აკაკის აღნიშნული წერილი უთარილოა. დაწერილია 1875 წლის აპრილ-მაისში. ამას გვიდას-
12. „მნათობი“, № 1.

ტრებებს სერგეი მესხის 1875 წლის 7 აპრილისა და სხვა მომდევნო წერილები ეკატერინე მელიქიშვილისადმი (საეკლესიაში). დასასრულზედ პირველ წერილში ს. მესხი ეკატერინეს, მსგავსად შორის, სწერდა: „ლევაშოვის, როგორც ამბობენ, აჯაკიზე უჩივლია, რომ გელათის მონასტრის გაეარცეას მწამებსო და, ამბობენ, ამის თაობაზე საქმე შესდგებოთ. ნეტავი მართლა, რა კარგი იქნება, რომ აიცილდ...“

ს. მესხის წერილებიდან ჩანს, რომ გაბრეულ ეპისკოპოსმა „ეკავაში“ დაბეჭდა წერილი, რომელშიც წერდა: რაც „დროებამ“ გამოაქვეყნა იმერეთის მონასტრებში თვალმარჯალიტისა და ძვირფასი ქვების დაკარგვის შესახებ, სულ ტყუილია და არაფერი არ დაკარგულა.

მოწინავე ქართული საზოგადოება აღმოუთხულებო იყო ქრეთაისს მაშინდელი გუბერნატორის ლევაშოვის ბოროტმოქმედებით. ამ ეროვნული განძეულის ბედით დიდად იყვნენ დაინტერესებულნი ჩვენი დიდი მოღვაწეები ალია, აჯაკი, იაკობ გოგებაშვილი, სერგეი მესხი და სხვები. ისინი, სიტყვით თუ საქმით, დღეინებთ მოითხოვდნენ ამ განძის თავის ადგილზე დაბრუნებას. ამ საკითხზე წერას მაშინდელი ცენზურა სასტიკად კრძალავდა. მიუხედავად ამისა, ს. მესხმა მაინც შესწლო პეტერბურგის ვაზეთ „გოლოსში“ (1875 წ. №№ 112, 159) გამოქვეყნებინა დღემდე უცნობი ორი წერილი ლევაშოვის მიერ ეკლესიებიდან გატაცებული ძვირფასი ისტორიული ნივთების შესახებ. ამან უფრო კიდევ ააყუბელა აქაურობა და ნამესტნიკს პეტერბურგის რედაქციებში ბრძანება გაუგზავნია, რომ აქაურობაზე ნუთაფერს დაბეჭდავით, — სწერდა ს. მესხი ე. მელიქიშვილს.

აკაკის მიერ გაბრეულ ქიქოძისადმი გაგზავნილი წერილიდან ვეგებულობთ, აგრეთვე, რომ მას სტატია დაუწერია ვაზეთ „დროებისათვის“, მაგრამ მისი დაბეჭდვა ცენზურას აუკრძალავს. აკაკის ეს სტატია, რომელიც დღემდე არა ჩანს, მაინც ცნობილი გამხდარა.

ასეთი ისტორია აკაკის დღემდე უცნობი წერილისა გაბრეულ ქიქოძისადმი. გაბრეულ ეპისკოპოსის მიმართ საზოგადო საკითხებში ასეთი ურთიერთობის მიუხედავად, ამ შემთხვევაშიც დიდი პოეტი, ყოველგვარი პირადულის გარეშე, განსაკუთრებულ ობიექტურობას იჩენს. აკაკი ბოლომდის გულწრფელი პატივისმცემელი იყო გაბრეულ ქიქოძისა. მისი გარდაცვალების წლისთავე აკაკი წერდა, რომ გაბრეულ ქიქოძემ „სიკვდილით სიცოცხლე გაიორკვეა სიცოცხლე მისი სიხარული იყო ქვეყნისათვის და სიკვდილი სიჭაღულად გადაქცა. როგორც მნათობი, რაც უფრო დიდ სიმძალეზეა, უფრო თვალსაჩინოა ყველასათვის და უფრო შორსაც აწვდენს სხივებს, ისე ეს დაუვიწყარი მოძღვარიც, დღეს სიკვდილით ამაღლებული, ყველასათვის საერ-

თოდ სათვალავად და ყოველ მხრით თანასწორად ფენს სხივებს, რომლითაც გვიანთებს ბნელს აწმყოში და იმავე დროს ჩვენს წარსულს მოპაველთან აკავშირებს... (იხ. თხ. ტ. 13, გვ. 246).

პაპის ორი უცნობი წერილი ნიკო ნიკოლაძისადმი

აკაის თხზულებათა XV ტომში გამორჩენილია ორი წერილი ნ. ნიკოლაძისადმი. ერთი ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმშია დაიდული (იხ. № 921, ავტოგრაფი, უთარილო), ხოლო მეორე — საქართველოს რესპუბლიკური ბიბლიოთეკის ნ. ნიკოლაძის ფონდში (იხ. № 13/367), რომელსაც მცირე კუბურებით ვაქვეყნებთ. აი ეს წერილები:

1. „შაო ნიკო! მე სხვადასხვა შემთხვევების გამო ხუთშაბათამდე ველა მოვდივარ... შენ ისეთი ხათაბლა ამიტვებ, რომ მეტი აღარ შეიძლება, ხომ იცი, რა ხალხი არის ეს ბაიყუშების ამჟარი. სხვაგან, რომ ველაა გაართვის რა, აპყლაციით მიმართეს გემნაზის და ბავშვებს უჭიდავეს, რომ ნ. ნ. კასს გაჭურდა და დ. მენაგორსკოი. ეს ორი ღირსება ქურდობა და შიშინობა სწორედ მართალი...“

ავ. წერ. რომ ცუდი კაცია, ეს მითიც დამტკიცდება, რომ კირილე ლორთქიფანიძე აბაგებდა და, როდესაც, ის კირილე ს. მიქელაძესთან იღვა, აკაი არ მიიღო კირილემო. ფურცელამის და ჩიკოლიკის არ იყოს, თუ ისინი ხეირიანები არიან, რატომ ავტორიტეტები თავის ლაგერიდან არ მიჰყავთ და ჩვენს წრეს ეპოტიენებან?

ეს, ღმერთმა ნუ მოგიშალს მათგან ძაგება და აგაშორის მათი ქებას... მართლა, ვერ წარმოიდგენ, რა გაბრაზებული არიან... მაგრამ შენ რა გიქვარს. შენ მანდ მიიმაღე და მე დავრჩი. მეორე გამოსვლა კიდე უკეთესი იყო. იბღავლა თურმე საყოღავათ.

შენი აკაი“.

2. შაო ნიკო! ფიცი მრწამს და ბოლო შეკვირვებას! — ნათქვამია. ასეა მგონია, მე და შენი საქმეც. მთელი ქვეყანა იძახის, შეგობრები არიანო, მაწუხებენ და საქმით კი ბოლოკი გამოდის, მაშინ როდესაც სხვებისათვის ნესვენსაც კი გააჩენ ხოლმე. შევედრება კი არ გვეგონოს, რომ ასე გწერ და ან გულ-დაწყვეტა. მე არც მყვანან შეგობრები ჩვენ ხბოს თავებში და არც მინდა, რომ მყავდეს.

შენ თუ სხვა თვალთ გავურებდი და გიყურებ. ეს კიდეც არ არის არც შენის მხრით და არც ჩემის მხრით გულის საქმე. სიამართლეს თაერც აღიარებს უგულოთ. ამას წინეთ შეგეწვეწე, რომ თუ გიორგი წერეთლი არ ჩამოშობოვ, დიდი უსიამოვნობა მოხდებათქო და, მართლაც, გუშინ მეტად უსიამოვნო საქმე მოხ-

დებოდა, რომ თავი არ შემეკავებია. როგორც შეგობარს ისე კი არა გწერ, რაგორც ველს, აღამიანს. რაგორც ნიკო ნიკოლაძეს, რომ ველსაც შემოიღია გულით ეუთხრა, მით უფრო, რომ როდუნ შენ კი იცოდე, როგორც საბუთი, ჩემი ვადაწყვეტილება, და სხვებმა, რაც უნდა, ის იფიქრონ. ვაძლეე პატიოსან სიტყვას, რომ თუ კიდე საზოგადოებაში შემხვდა გიორგი და დამიწყო თავისებურათ ლაპარაკი, შე ი უსრკედლით არ ვადავარჩინო... დეე, იმან ვანაგრძოს მისი ინტრიგები და ქორები, ზურგს უკან, მხოლოდ პირში ნუ მელაპარაკება და აგრეთვე როდესაც სულელურ რამეებსა და საძაგელ საქმეებს ზაღის, კნიაზ წერეთლის სახელით ნუ მოქმედობს და ვანაგრძობი ბრალს ნუ მდებს. თორემ, მკონი, შენც იცი, თუ რა ბოლო მოაკება ხოლმე.

აი ამ წერილს გწერ, როგორც საბუთს, რომ მართალი იცოდენ, თუ ვინცობაა, ჩვენში რამ მოხდეს.

შენი აკაი“.

წერილში აკაის მხოლოდ წუთიერი გაბრაზების ტონი ისმის გიორგი წერეთლისადმი. სინამდვილეში კი აკაი და გიორგი წერეთელი ბოლომდის ერთგული მეგობრები იყვნენ და ერთმანეთის მოღვაწეობას დიდად აფასებდნენ. ეს ნათლად ჩანს მათი პირადი წერილებიდანაც.

გიორგი წერეთლის უღროოდ გარდაცვალება აკაიმ მწუხვედ განიცადა. აღსანიშნავია აკაის მგანობიერი სიტყვა, გიორგი წერეთლის დაკრძალვაზე წარმოთქმული (იხ. თხ. ტ. XIII, გვ. 524). მან აღნიშნა, რომ გიორგი წერეთლის გარდაცვალებით საზოგადოებამ ბევრი დაკარგა, რადგან „გამაყვანებული ერთი უკეთეს მოღვაწეთაგანი იყო ამ ჩვენს დროში“.

პაპის წერილი თედო შორაღანიასადმი

აკაი წერეთლის მიერ 1903 წლის „ივერიაში“ (№ 186) გამოქვეყნებულ ფელეტონში „მუნჯერი მეთლი“ (იხ. თხ. ტ. XIV, გვ. 179), იკვებ აღმზრდელის სახით ავტორი გელისხმობდა იკვებ ვოგებაშვილს. ამასთან ერთად, ფელეტონში თედორე გამტელოძის სახით, ვადაკურით იგულისხმებოდა ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე თედო ყორღანია.

აკაის მიერ თ. ყორღანიას ასე აუგად მოხსენიება ემყარებოდა იმ დროს საზოგადოებაში გავრცელებულ არასწორ ცნობებს, რომ თ. ყორღანია თითქმის ეროვნულ ინტერესებს დღატობდა და ქართულ სკოლაში სწავლებას მუნჯური მეთოდის შემოღების მომხრე ყოფილიყო.

ამით გულნატკენმა თ. ყორღანიამ 1903 წლის 17 სექტემბრის თარიღით აკაის დაუწერა ღია წერილი და გუგზავნა ვახ. „ივერიის“, ხოლო შემდეგ „ცნობის ფურცლის“ რედაქციას.

გამოსაქვეყნებლად. თ. ჟორდანიას ეს წერილი გაზეთში არ დაბეჭდილა.

ამ წერილის გამო აკაიმი თ. ჟორდანიას ვაუ-
გზანა საპასუხო წერილი, რომლის ავტორგრაფი
ხელწერითა ინსტიტუტშია დაცული (იხ. თ.
ჟორდანიას ფონდი № 436). წერილში, რომელ-
საც მთლიანად ვაქვეყნებთ, აკაი თ. ჟორდანიას
წერდა:

ბატონო თედორა ღვინთისძე

ჩემ სახელობაზე რედაქციაში თქვენგან გამო-
გზავნილი წერილი მივიღე და არ მიამა. შიტომ
კი არა, რომ ვითომც იმას ჩემთვის გული ეტვი-
ნოს, არა. მე ის მეწყინა, რომ თქვენ ადელდე-
ბულბარით, რაიცა მე მხედველობაში არა მჭონია,
როცა გამოცემლითებზე საზოგადოდ ვხუმრობდი.
მერწმუნეთ, რომ მე უფრო პატივისმცემელი
ვარ პირადად თქვენი, ვიდრე თქვენ თქვენის თა-
ვის და სიკეთეც უფრო შეგნებულად მსურს.
მაგრამ რა ვაყოთ, რომ თქვენი სულ სხვანაირად
გვსმით სიკეთეცა და ბედნიერებაც. გინდა დაპ-
კარგით ის ღირსება, რომელიც როგორც მამუ-
ლიშვილს, ხელში გვიტარეთ და სამაგიეროდ
მოიბოვოთ ის, რაც ექვს იქით ერთ ჩირადაც
არა ღირს.

ერთსა და იმავე დროს ღმერთს რომ სათელი
უნოთ და ეშმაკს დაუდგეთ, ორივე ფუქია!
ამ აზრის არიან დღეს თქვენზე ყველა. ეს მე
მაწუხებს და მინდა, რომ თავი გაიმართლოთ
და შიტომც განზრახ დაესწერე ის მუნჯური
ოხუნჯობა. ღიბ, საჭიროა თქვენთვის, რომ გუ-
მართლოთ თავი სავით და არა გაბრაზებულ
წიკითი, რომელიც თქვენ გასამართლებელს
არას ამბობს და პირიქით დასაყლავ — დანასა-
ვით ყელში გიყრებათ.

შემცდარი ხართ ვოგებაშიელის შესახებაც.
დამერწმუნეთ, რომ იმან პირველმა მისაყვედუ-
რა: „ჟორდანია მუნჯურ მეთოდის მომხრე კი
არა, წინააღმდეგია და ცალს რათა სწამებო?“
მაგრამ თქვენ გაბრაზებულხართ მასზე უსამართ-
ლოდ, და წამითი სიკეთე ხომ ბრალია?!
გირჩევთ, როგორც მოკეთე, ამ წერილს ნუ და-
ბეჭდავთ, კარგათ მოიფიქრეთ დამწვიდების
დროს, თვარა შეპტოპავთ და ვეღარ გამობრუნ-
დებით. გამობრუნება კი საჭიროა, რომ ღმერთი
ახუნოთ და ეშმაკს მიაფუროხით.

პეტრემ ნამდვილ უარპყო მაცხოვარი, მაგ-
რამ შეინანა და ისევ დიდებულ მოციქული
გახდა და თქვენ მით უფრო... თუ მართალი
ხართ და მტრები კი ვეწყამებან.

ზურაბ წერეთლის ჩამომავლობა, იმ ზურაბ
წერეთლის, რომელიც ჩემი არა ყოფილა რა,
თქვენ ასე საზიზღრად მიგაჩნიათ, მამ რაღა უნ-
და იქნეთ თქვენ თქვენის შვილებისა და შვი-
ლიშვილებისათვის, თუ თავგამართლებელი, რა-

შიც მე ეჭვი არა მაქვს, არ გაეთვალისწინებათ
მომავალ დემას?

არა, ბატონო თედორე, გაიხსენეთ ესაღმწესი
წინასწარმეტყველისა: „გული წმინდა დაბადე
ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიხალე
გვამსა ჩემსათ“ და მაშინ თქვენც დინახავთ,
რომ მტერი კი არა, მოყვარეა თქვენი

აკაიკო

აკაიკის ეს წერილი უთავილოა. დაწერილი
უნდა იყოს 1903 წლის 17 სექტემბრის მომ-
დევნო დღეებში. მას შემდეგ სრულმა ათმა
წელმა გაიწიო. დრომ თავისი გაიტანა, ყველა-
ფერი გაიარევა და თედო ჟორდანიას მოღვაწეო-
ბასაც ნათელი მოეფინა. აკაი აღფრთოვანებულ
შეხვდა 1913 წლის ეტრნად „განთიადში“ თ.
ჟორდანიას მეცნიერული შრომის — „ბიჭვინ-
ტის სიველგუჯრების“ გამოქვეყნებას.

ამ ფაქტის აღსანიშნავად აკაიმი იმავე წლის
გაზეთ „თეში“ (№ 130) გამოაქვეყნა ფელეტო-
ნი „ქუტუცა და ბუწუცა (ბ. თედო ჟორდანიას).“

დღესსლოვანმა მოტემა პირველმა აღიარა
თავისი შეცდომა დეაწლმოსილი ისტორიკოსისა
და საზოგადო მოღვაწის თედო ჟორდანიას წი-
ნაშე. აღნიშნულ ფელეტონში აკაი სწერდა:
„ძმარ თედო! მოხარული ვარ, რომ შემთხვევა
მეძლევა მამდ გიწოდო. ამის მიზეზი შენი სტა-
ტიაა „განთიადში“ დაბეჭდილი: „ბიჭვინტის სი-
ველგუჯრები“.

იყო დრო, როცა მე შენ თედორე გამოცემლით
დაგიბძე და ახლა კი ამ შენმა სტატიაში დამარ-
წმუნა, რომ მე შემცდარი ვყოფილვარ... რადი
გული გამეხსნა, ბევრი მაქვს შენთან სათქმელი,
მაგრამ რა უნდა ვითხრა ჩემზე უფრო შრომის
ამტანს და ჩემზე უფრო შეგნებულად გრძობა-
გონებით დატვირთულს, მის მტერ, რაც რუსთა-
ველმა არ სთქვა: „აკაიას შინა რაცა სდგას,
იგივე წარმოსდინდების“-ო (იხ. თხზ. ტ. XIV,
გვ. 557).

აკაიკისა და თედო ჟორდანიას ურთიერთო-
ბასთან დაკავშირებით საზოგადო მოღვაწე თე-
დო სახოკია გამოუთქვეყნებელ მოკონებაში
„თედორე ჟორდანია — ადამიანი და მოქალა-
ქე“ — წერდა:

... 1904 წელს თ. ჟორდანიას შეხვდა აკაიკო
თ. ჟორდანია ძალზე დაღონებული იყო. აკაიკიმ
მოთითხა და დაღონების მიზეზი ჰკითხა. —
როგორ არ დაღონებულვარ ჩემო ბატონო...
ჩემი დღენი ჩემის ქვეყნისა და ხალხისათვის
მომსახურნია, ჩემს ისტორიას და ანტიფილ-
ტას შევლიე: ჩემი ჟანი და სხვა სარბული,
თვინიერ ჩემის ქვეყნის სხარტლისა, ჩემთვის
არ არსებულა და მაინც მეუბნებიან, — არა
ხარ მამულის კარგი შვილიო...

— კუიან კაცად გთვლიდი, ჩემო თედო, —

უბაძე პოეტმა, — მიხედვე ჩვენს გულს: სი-
ქონელზე ძვირფასი არაფერი ჰყავს. როცა
ასვენებს ამ საქონელს, ულოლიავენს, ზოლო
როცა უღელში შევაბამს, ავინებს, ათრევს, შე
სეთ-სეთოვო.

შემდეგ იმავე აკავიმ საჯაროდ მოიხადა ბო-
ლიში ჩვენის ისტორიკოსის წინაშე 1912 თუ
1913 წელს, შენობა სოხოვა უსამართლოდ
მისის უჯრის თქმისათვის“... (იხ. ხელნაწერთა
ინსტიტუტის თ. ეორდნაის ფონდში).

ამასთან დაეკავებოდა აღსანიშნავია, რომ გან-
სვენებული კრიტიკოსი ი. ვართავა თაგის წე-
რალში—“განისკვნა (ძვირფას მსწველებელ—
თედო ეორდნაის ხსოვნას)“ — აღნიშნავს:
“დიდმა აკავიმ ყველაზე აღკე შესანიშნავის
გულხანდილობით შეინანი თვის უნებლიეთი
შეცოდება თედოს წინაშე. საქვეყნოდ აღიარა
მისი უდანაშაულობა და ღირსეულად დაიფასა
მისი შრომა, მისი მოღვაწეობა, მისი ნიჭი“ (იხ.
იმავე ფონდში).

**ბაბაის ერთი უცნობი ბარათი ილია
ბაგვაშაძის შესახებ**

სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნებში მო-
წაწოდების მისაღებად, სხვა ამომრჩეველებთან
ერთად, მიხეილ მაჩაბელი 1909 წლის 26 სექ-
ტემბერს თბილისიდან პეტერბურგს გაემგზავრა.
არჩევნებისას, სახელმწიფო საბჭოს წევრთა
რეაქციულმა ნაწილმა ვაილაშქრა ილია ქავჭა-
ვაძის წინააღმდეგ და აღნიშნა, წარსულ არ-
ჩევნებში თანადანაწირობა შეეცა როცა ი. გ.
ქავჭავაძე აირჩიათ.

ამის წინააღმდეგ სახელმწიფო საბჭოს ამო-
წარველების წინაშე სიტყვით გამოვიდა მის.
მაჩაბელი და დაიცვა ილია ქავჭავაძე, როგორც
ღირსეული წარმომადგენელი საქართველოდან
სახელმწიფო საბჭოში.

მის. მაჩაბლის აღნიშნული სიტყვის პრესაში
გამოქვეყნებამ დიდი თანაგრძნობა გამოიწვია
და მოწინავე საზოგადოების მოწონება დაიმსა-
ზურა. იმ დროს პარიზში მყოფმა აკავი წერე-
თელმა, როცა წაიკითხა მის. მაჩაბლის მიერ
ილიას დასაცავად წარმოთქმული სიტყვა, დი-
დად გაიხარა. აღფრთოვანებული პოეტი მის.
მაჩაბელს სწერდა:

„მხო მიშო!

ჩემ ხანგრძლივ სიციცხლეში ბევრჯელ არ
დამტკბარარ სიმოვნებით და ერთი იმ წამთა-
განი შერგო, როცა წვეიითხე შენი სიტყვა
„სახელმწიფო რჩევაში“ წარმოთქმული; რომ
სიტყვა აღარ გაეაგრძელო, გადაგვხვევი და გი-
დაგაკოცნი სიყვარულით.

შენი აკავი.“

ამასთან დაეკავებოდა, ჩვენს ზელო არის ავ-
რთვე ცნობილი საზოგადო მოღვაწის ვალე-

რიან გუნიას მიერ 1909 წლის 31 ოქტომბერს
ქუთაისიდან მის. მაჩაბლისადმი გაგზავნილი
უცნობი წერილი. ამ წერილში, რომელიც და-
ცულა ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში,
ვალ. გუნია მის. მაჩაბელს სწერდა:

„პატივემულო და ძვირფასო მიშა!

თავდაპირველად მიიღე ჩემი სალაში და მი-
ლოცვა იმ ღირსშესანიშნავი სიტყვისათვის,
რომელიც აგრე მიღგარდ წარმოგიტყვემს სა-
ხელმწიფო საბჭოში ილიას ხსოვნის დასაცვე-
ლად. ვაშა შენს გამბედაობას ვაშა შენს ქართ-
ველურ რაინდობას!“

აკავის აღნიშნული ბარათი უთარილოა. გა-
მოგზავნილია პარიზიდან და კონვერტზე
აღნიშნული ფოსტის ბუკდის მიხედვით (ე. გუ-
ნიას წერილის მიხედვით), დაწერილი უნდა
იყოს 1909 წლის ნოემბერ-დეკემბერში (და-
ცულა ხელნაწერთა ინსტიტუტის მის. მაჩაბ-
ლის ფონდში).

ეს ბარათი შარავანდელით მოსავს დიდი
ილიასა და აკავის ურთიერთობას, მათს ღიალ შე-
გობრობას!

ბაბაის წერილი ახილ ჯორჯაძისადმი

აკავი წერეთელი განსაკუთრებული შრუნ-
ველობითა და თანაგრძნობით ეკიდებოდა ქართ-
ველ მოწინავე ახალგაზრდობას. დიდი პოეტი
გულწრფელი სიხარულით მიეცება ახალგაზრ-
და პეტლიცისტსა და ქართულად. კულტურის
დაუღალავ მკვლევარს ახილ ჯორჯაძეს, რომ
ღესაც იგი საზოგადო ასპარეზე სამოღვაწერდ
პირველად გამოვიდა.

ამს ნათელყოფს აკავი წერეთლის ერთი
უცნობი წერილი ახილ ჯორჯაძისადმი. წე-
რილში, რომლის შავი დაცულა პოეტის სახ-
მუზეუმში (სტეტიორში), აკავი ახილ ჯორჯა-
ძეს სწერდა:

„ბატონო ახილ!

პატარობისას გხედავდი ზოლმე თქვენი
ღელ-შამის სახლში. ახლა შემთხვევით დაგინა-
ხეთ წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარია-
ში. ველარ გიკანით, გული აღარ მომიტყვნდა,
რომ არ გამოგლაპარაკებოდი. თქვენც რო-
გორადე თვლა ამარიღეთ და გვერდი ამიარეთ.
შეიძლება, მეორეთ ველარსად შეგხვედეთ და
მიტომ გწერთ წერილს. „მართლის მოქმელს
ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო“. — ამბობ-
დენ ჩვენი ძველები. ჩვენ კი ასე უნდა გადავი-
კეთოთ: „მართლის მოქმელი გოლოგოთისკენ მი-
შავალი მგზავრიაო“. და რადგანაც სიმართლედ
საზოგადო მოღვაწეობასთან შენისხლორცე-
ბულია, ესევე უნდა ვიფიქროთ ნამდვილ სა-
ზოგადო მოღვაწეებზეც. ეს კარგად ესმის ჩვენს
ახალგაზრდობას უცხოეთში და სამსხვერპლოდ
ბრუნდებინ საშობლოში, მაგრამ რომ ველარ

უძღებენ ჯერის სიმამის, შუაგზიდან უხვევენ და მოკლე ხნის მოწოდებას გეთსამინის ბლით ათავებენ.

ამან გამაფანტა ნათელი ოცნება და სიბერის დროს გულში ბნელი ჩამოყენა... მოულოდნელად ამ ბოლო დროს, ორიოდესთან ერთად, შენც სხვადა ჩამეშვექე და გაზაფხულს მერცხლად დაიჭიკაქი...

ოცნება ხელახლად „მკედრის—მხესავით“ მომადგა კარზე და შიბოტლებს, რომ ჩემი გულში ნადები ვაგონიართ: ვისაც ჩვენი საბარლო ძველათ... და დღეს თავი წამებულ სამშობლოს მოსამსახურედ უნდათ გამოსვლა, უნდა მისი თავგადასავალი წარსული და აწ გათვალისწინებული და აწყვიოს შესასწავლად ადგილობრივ იველედეს, როგორც ადგილს. მღებარებობით, ისე თვით მაცხოვრებლებითაც, ფერად-ფერად (სხვა რამ იცოდეს, რა როგორც დროს სოქვენ და სწერონ) კეთხეებს საქართველოსას.

უამსოთ მათი შრომა და უწყალო ქება ისე, როგორც სხვები, იმ მოღვაწეებსა და კაცკაცებს ჰგვანან...

უამსოლო, თქვენც მოგვსენებთ, რომ თოხვი შესანიშნავ სადგურს იკეთებს მღინარეში, ასე რომ შიგ წყალი ვერ შეუღის, მაგრამ იგივე თოხვი სამრეკლოზე აყვანილი, აქ დამწყვედული, აქაც იმისთანავე სადგურს იკეთებს და კაცკაცებვით მხოლოდ სხვების ნათქვამს იმორებს. და სწორედ ამის ბრალია, რომ უსაფრთხოებას არსად ასე არა აქვს გადგმული ფესვები, როგორც ჩვენს საზოგადოებაში, ბევრი მინახავს უსაფრთხოოდ ყბადღებულა ჩვენში, და უფრო მეტი მოწონებული უღარისი. ნამდვილი კი ჩვენში ისე იშვიათია, როგორც შარვაკოტი. ძნელია იმის თაღლითობა გამოჩნება ნამდვილი მოღვაწის, იმ ზემო დასახლებულ ღირსებასთან ერთად, აი რა უნდა ჰქონდეს კიდევ თითქმის რჩულად გადაქცეული: მოციქულბერძენი გულწრფელობა... (ბოლო აკლია).

აქაის ეს წერილი არჩილ ჯორჯაძისადმი ბოლონაკლული (შავი) და არსებულია წერილის სრული ტექსტი არა ჩანს. აქაი და წერილს იხსენებს 1913 წელს არჩილ ჯორჯაძისადმი მიმართულ წერილში (იხ. თხზ. ტ. 14, გვ. 519). რომელშიც სწერდა: „როდესაც თქვენ პირველად ფეხი გადმოადგიით სამწერლო საქარბილისკენ, თუ გაგონდებთ, მე, თქვენ მიერ საიმედო მოძალოთ გამსჭვალულს, ჩვეულებრივად გულში ამიძგერდა და აღფრთოვანებით მოვამართე წერილით და რჩევასაც ვამცვლელი, თუ რა გზას უნდა დადგომოდით“.

ა. ჯორჯაძის უღრთოდ გარდაცვალების გამო, აქაი გამოსათხოვარ სიტუაციაში სწერდა: „კერძოხეულ იყოს ის ქვეყანა, რომელიც შენსთანა საზოგადო მოღვაწეებს წარმოშობს ხოლმე... ახალგაზრდა შენ დიდ იმედებს იძლევიანებო-

დი მომავლისათვის... მაგრამ სამწუხაროდ აღარ დაგვიკალდა, რომ მოგვთავებენა დაწვებული საქმე.

შე კი, მოხუცი, როგორც შამა, საიმედოდ და სანუგეშო შეილოს დამკარგავი, ესდგევარ შენ წინ და პირი მიშრება. სატყვა ველარ მომიხერხებია, მაგრამ ამ დღემდე შეტი თანაგრძობა იხატება, ვიდრე მრავალ-მეტყველებაში. მშვიდობით, შეილო საშარადისოდ იყოს შენი სახსენებელი!“ (თხზ. ტ. 14, გვ. 538).

აპაქის წერილი იოსებ ჩიჯავაძისადმი

აქაის წერილი იოსებ ჩიჯავაძისადმი, რომელიც დაეცლია ზენაწერათა ინსტიტუტში (იხ. კირიონის ფონდი № 1535), ეხება საზოგადო მოღვაწეს, ისტორიკოს კირიონს — გიორგი იერემიას ძე საძალოშვილს.

სასულიერო მოღვაწე, საქართველოს კათალიკონ-პატრიარქი კირიონი 1901 წლიდან დღემდე განიცდიდა მეფის რუსეთისაგან. იგი 1902 წლიდან გადაყავით რუსეთში. კირიონის ბედით შეწყუბებული ავჯი იოსებ ჩიჯავაძეს სწერდა:

ჩემ მიერ შეჩვენებული იოსებ!

„თვით არ იყო ძმართ და მიემატა წყალო“, — სწორედ ასე მომივიდა: კირიონის ამბავმა გულში ღახვარი გამიყარა... რაც იმედები მქონდა, სულ გამიყარწყულდა, მაგრამ ამაზედ გლოვის დრო აღარ არის. კაცმა უნდა წამხლარი საქმე კიდევ უკეთ გამოავაროს. შიგ საქმის გამოვარება სასიკეთოდ ადვილად შეიძლება, მხოლოდ ცდა უნდა და ცოტაოდენი გამჭირვებობა. ვადავიდეს დროებით არაფერია და ისევ მალე ვაღმოვა აქეთ. თავს არ დავხოვა, წყაღ პეტერბურგში და თუ ჩემი არ ვაერთაწე, ცოცხალი აღარ დავბრუნდები და მტრებს კი აღარ ვაჯახებ. შე ვიცი როგორც გამოტრიალება საქმის. აქაც საჭიროა მარჯვე კაცი და თუ მომიბრუნებს გულს შენზე კირიონის საქმე. მაგრამ ცალიერი ღაპარაკი კი არ უნდა საქმე ბალთას ნახევნები, მაგრამ ალთას ვაყეთებელი კი. მეტი რაღა მოვწეროს, შენ კი მიხატებდი.

საჭიროა შენი ნახევი და კირიონისაც, მაგრამ ვაი თუ კირიონს ველარ ჩამოვუსწრო. უჩივი რომ ნაღდგამევაშლე ნუ წავა: თუ შიღის, შიანიც როდის, შემატყობინე. წერილი საჩხერეს მიმწერე.

შენი შომღერავი ავჯი.

აქაის ეს წერილი უთარბილია. 1908 წლის 18 მარტს პეტერბურგიდან კირიონის მიერ ა. ჩიჯავაძისადმი გამოგზავნილ უცნობ წერილიდან და აქაის მიერ ნ. ნ. დურნთვისადმი მიმღენილი ლექსიდან ჩანს, რომ აღნიშნული წერილიც დაწერილი უნდა იყოს 1908 წლის იანვარ-თებერვალში.

ანასტასია თუშინიშვილ-წამითლისადმი

ბატონო ანასტასიო!

რამდენადაც უფრო მეტს წუნსა სდებენ ჩემ წაწერს ჩვენი კრიტიკოსები, იმდენათ უფრო ფასი ემატება ჩემს თვალში ჩემს ლექსებს და იმდენადაც ვაგვიხიადობ, რომ ას მანეთ ნაკლებ არც ერთ ლექსს არა ვყვიდი. — და ამის კვალობაზე რამდენიც გინდათ მიირთვიეთ, — იმედი მაქვს არ ვებეჭვრებათ ეს ფასი, რადგანაც ეს რიცხა ათი წელიწადი სულ მაგ ფასად ვყვიდელი ჩემ წამითლს.

მარად პატივისცემული აკაკი.

გიორგი ალადაშვილისადმი

(იმერეთის ეპისკოპოსი)

თქვენო ყოვლადსამღვდელოესობა!

თქვენს სულითა და გულით პატივის მცემელსა და მოყვარულს, მეტად მაწუხებს ის გარემოება, რომ ამდენი ხანია ვაწუხებთ ერთისა და იმავეს თხოვნით... ამ საწყალა ნაღირაძის მდგომარეობამ დღეს ნამეტანი თანავგრძნობა გამოიწვია: საბარალოს ცოლი ჰყავს მძიმე ავად და რომ რამე დაემართოს, შერე სულ დაიღუპება. თუ სხვა მძიმე მიზეზი რამ არ არის, იმედი მაქვს, რომ ანსტრულებთ თქვენს დამირებას და უბოძებთ ან „ვარდის-უბნის“ და სხვა რომელიმე ეკლესიის მღვდლობას და, თუ ჭერ არსად არის, მაშინ ჩემი ეკლესიის სახელზე აყურთხეთ და შერე გადიყვანეთ იქიდან, რადგან საქმე საჭარაა.

მარად თქვენი ლოცვა-კურთხევის მოსურნე და გულითადი აკაკი.

ზემოთ მოტანილი ბარათები ა. თუმანიშვილ-წერეთელთან და გ. ალადაშვილთან დაკუთვალა ზენაწერთა ინსტიტუტში.

დათიკო წამითლისადმი

ჩემო დათიკო! ვისაც თვისი საწმობლო არ უყვარს, არ შეუხწყვლია და არ თვალისწინებს, ის კაცი არ არის.

შენი ბიძა აკაკი.

დათიკო წერეთელი შეიღია აკაკის მახლობლების — ანიცა და ბეჟან წერეთლებისა. როგორც ჩანს, აკაკის დ. წერეთლისათვის სასოკორად მიუცია წიგნი: „კონსტანტინე პაქარტელის ისტორიიდან. შედგენილი ა. ქუთათელაძისგან. რვეული I, ტფილისი, 1900.“ ამ წიგნის თავდურცელზე აკაკის მიერ მიწერილი აღნიშნული სამახსოვრო ავტოგრაფი.

ბატონ წამითლისადმი

ძმო, ბატონო ბეჟანი შენი საშუალებით რომ განთქმულია და კაცობათუც ხმარობ, ჰქვეყანამ იცის. იმხარე, როგორც შენს გუნებას უნდოდეს, დიდხანს და დიდხანს. ჩემი კი აღარ მუ-

შობს და სამაგიეროდ, რომ გული გადავიყოლო არსმე, ეენახის საშუალების მანდა მოვხკილო ხელი და, თუ მოცლილი ვაქვს, რამდენიმე საათით მათხოვე.

შენი [მარად] აკაკი.

კოტე აბაშაშვილისადმი

(აკაკის მოურავი)

ძმო კოტე! ჩემები დიდი ხანია ჩამოვიდნენ და „პალუ-როიალიში“ ვდგევართ „ღვარცთვიობზე.“ ბანკს მოველაპარაკე და მხოლოდ შენი ჩამოსვლაა საჭირო და ქაღალდის მიცემა. თუ შენ არ ჩამოხვედი, არა იქნება რა!.. უმჯობესად ამორ დღეში ველი, თორემ ვაუშუტდება გონჯათხევის საქმე. სადღენიშვილების საქმეც შენ უნდა მოავგარო. მე რაღა მისი მცხელა? თუ შენ ვერ ჩამოხვალ, მე ტყუილად რაღად ვეცადო? ხარჯის მეტი არა არის რა. მოახერხე რომ ერთი დღით ჩამოხვიდე. თუ ვერა და ტელეგრაფით მაღწნობ, რომ მე აღარ დაეგრე ტყუილად. შენი ჩამოსვლა ძალიან საჭიროა.

შენი აკაკი.

აკაკის ზემოთ აღნიშნული უთაროლო ბარათები ბ. წერეთლისა და კოტე აბაშაშვილისადმი დაკუთვალა პეტრიძის სახლ-მუზეუმში, სხვიტორში.

კირილე ლორთქიფანიძისადმი

„ძმო კირილე! იმ დღეს დებეშა გამოვიგზავნე და შემდეგ ბარათი ფოტოტით, მაგრამ პასუხი არა მაქვს და არ ვიცი, რა მივაწერო ეს ანაბეი. ის კაცი დამეთანხმა და მითხრა, ჩამომიტანოს ვინმემ და ხელს მოეაწერო, და რა მხელა, აღარ ვიცი. პასუხი შემეატყობინე.“

შენი აკაკი.

იონა მუხანარიაშადმი

„ძმო იონა! უნებურად და ჩემდა საწუხიაროდ დღესაც ვეღარ მოვდივარ იკუალას და უპირობათ არ ჩამოშართვა; შენ რომ იცოდეთ თუ რა მიზეზია, თვითონვე დამიშლიდი წასვლას. დღეს საღამოს ტიატრში მიდი უთუოდ და იქ შეიტყობ.“

შენი აკაკი.

დიმიტრისადმი

(გვარი არ ჩანს)

„ძმო დიმიტრი! ღმერთმა შეგიწუხოს მტერი, მე ვსწუხდე, მაგრამ რა ექნა. იმდენი მაწვალეს, სანამ ზამრეშენია არ დამიძვეს და სახლადუთოდ გამიხდა საქმე. როგორც ვათავდებო საქმე, მზათა ვარ.“

შენი აკაკი.

უცნობისადმი

(წერილის ბოლო ნაწივებით)

„... გაიღიქმებდეს, დილაზედ მავის ამქრები მზათ დაახვედრებენ ბლომათ საქებს. 7) „ჩემი

კალში ბევრს მართალ ისტორიას დასწერს.“
გვამინებს! დედობრულია და არა ფილოსოფიუ-
რი ეგ მუქარა და ეგ ხელობაც და მ) ათავებს
ამგვართ: „7-დი პუნჯი შვიდ საიდუმლოს ნიშ-
ნავს“. სტყუა ეგ ბევრს რამეს ნიშნავს: 1) რომ
მავას შვიდი პარასკევი აქვს კვირაში 2) შავ სა-
კვებს შეშვიდე ცაში აუფრენია! (შვიდ საიდუმ-
ლოს უთუოდ იქ ისწავლიდა მეშვიდე ცაზედ) და
3) რომ შვიდათ ეუბრებთ მაგის მრავალშტო-
ვანს უბრებს ერთი სიტყვა.

თქვენი უმორჩილესი აკაი წერეთელი.“
ზემოთ მოტანილი ბარათები კ. ლორთქიფ-
ნიძესთან, ი. მუხრანავისთან, დიმიტრისთან და
უცნობთან დაცულია ქუთაისის ისტ.-ეთნო-
გრაფიული მუზეუმის ფონდში (იხ. № 929,
531, 927, 908).

**წარა-კითხვის გამავრცელებელს
საზოგადოებას**

წარმოვადგენ ამასთანავე მინიატურულს სახა-
რებას, რომელსაც, ვგონებ, არა მცირედი მნიშ-
ვნელობა აქვს ისტორიისა და არხეოლოგიისათ-
ვის, და ეთხოვ მმართველობას შეიძინოს იგი,
რადგანაც მე არ ვიცი წ. კ. საზოგადოების შეძ-
ლება, ფასსაც არ ვარჩევ ამ სახარებას.

აკაი წერეთელი

წერილი დაცულია საქართველოს ცენტრა-
ლური არქივის წერა-კითხვის გამავრცელებ-
ელი საზოგადოების ფონდში (№ 481, საქ. № 27,
ფურ. 39). წერილის თავზე მიწერილია თარიღი:
27. IX. 1884 წელი; ტექსტი დაწერილი უნდა
იყოს გრ. ყიფშიძის ხელთ, ხელმოწერა აკაის
ავტოგრაფია.

**წერილი — წარა-კითხვის გამავრცელებელს
საზოგადოების მდივნის**

[ნიკო მთვარელიშვილისადმი]

უკაცრავთ ვარ, რომ თვითონ ვერ გვახელი;
ბატ. მდივან-ბუგო! მაგრამ იმედია, მომიტყვებთ
და წერილსაც შეიწყნარებთ: ორი ან ერთი
წიგნი მიზოქეთ ჩაიღია და დამანასო, რომ
სამეგრელოში ჩაივინათ, იქ გაეცნო და მსურ-
ველებს გამოვაწერით. მაგის ფულსაც ჩამოსე-
ლისთანავე წარმოვადგენ.

თქვენი პატივისმცემელი აკაი.

წერილი უთარიღია. წერილის მიღებისთანა-
ვე ნ. მთვარელიშვილს (საზოგადოების მდივანს)
თავში მიუწერია მიღების თარიღი: „9 თებერ-
ვალს 1886 წ.“; ბოლოში მიუწერია: „გუგუზაე-
ნი ორა წიგნი. ნ. მთვარელიშვილი.“

დაცულია საქართველოს ცენტრალური არქი-
ვის ფონდში (№ 481, საქ. 6725, ფურ. 1).

**ძაკთხელთა შორის წარა-კითხვის
გამავრცელებელი საზოგადოების
გამავრცელებელი**

9 ოქტომბერს 1889 წ.

ტფილისი

წერა-კითხვის საზოგადოების გამგებობის მდი-
ვნისაგან მივიღე კიდევ, თანაჰმად გამგებობის
გარდაწყვეტილებისა, ოთხი თუშანი (40 მან)
რვა იავა-არაკში (8 წ.), რომელიც იმავე პირო-
ბით დავეთვე, რა პირობითაც წინათ ნოტაროუ-
ლად შემოწმებულ ქალაქშია ნათქვამი.

თ. აკაი წერეთელი.

საქ. ცენტრალური არქივი, ფონდი 481, საქმე
№ 6930, ფ. 1, ავტოგრაფი.

**მისე ჯანაშვილისადმი (წ. ა. ბ. ს. საქმის-
მწარმოებელი)**

ძმო მისე!

მე ამჟამათ პეტერბურგში ვარ ლოცინათ ჩა-
ვარდნილი და დიდი ავითყოფი. დოქტორებს
ვერ ავუღივარ. მანდ ჩემი წიგნები იყო ვასა-
ყიდი და თუ რამე მოგროვებულყოფს, მომწე-
დინე, მგებდ მიჭირს. რაკი მაქვს, წამალში არა
მყოფის. რამდენიც იყოს, მომამწველე ამ ადრე-
სით:

7-я Рождественская улица дом
№ 27, кв. 22.

ყოველ შემთხვევაში წერილს ევლი შენგან,
რითაც დიდათ მასიამოყენებ.

შენი მარად მოყვარული აკაი.

წერილის თავზე მ. ჯანაშვილის მიერ მიწე-
რილია მიღების თარიღი: 20. VI. 1891.

(საქ. ცსა, ფონდი 481, საქმე № 317, ფ. 36).

გიორგი შარულისადმი.

**ბატონ ცანფორს გიორგი დარმონიანის ძან
შარულს**

რომელიც თქვენთან არის ნება დასართავად
წარმოდგენილი ჩემი ლექსები: „ი. ვოცელო-
ვის“ ფორმისათვის პაპიროსის ქალაქზე და-
საბეჭდათ, ჩემგანაც ნებადართული არის ეგ ლექ-
სები და ვთხოვთ ვადაცეთ ბ. იოსებ მერკვი-
ლაძეს.

თ-დი აკაი როსტომის ძე წერეთელი
მარტის 9 დღესა და 1901 წელს
თბილისი

ტექსტი დაწერილია ს. მერკვილაძის ხელით.
ბოლოში ხელმოწერა აკაის ავტოგრაფია.
ლექსები არ არის საქმეში.

(სტსა, ფონდი 480, ანაწერი 1, საქმე № 1750,
ფურ. 101).

სარბი შორაპისადმი

ძმო სერგო!

გაიგე, რომ ჩემ თავ-გადასავლას ფული
ოცი მანეთი მივლია და ვთხოვ, როგორც კო-
მიტეტის წევრს, ფული მე გადმომცეთ, რადგა-

ნაც ის თავ-გადასავლის საფასურია და შედგენს ჩემს საკუთრებას და არა ფონდისას. შეგიძლია შეატყობინო წ. კ. გ. საზოგადოებასაც.

პატივისმცემელი აკაკი.

ბარათის ბოლოში აკაკის მიერ მიწერილია: „მივიღე ოცი მანეთი, აკაკი“, უთარილო! დიწერილია [1909 წლის ივნისში]. თარიღდება აკაკის ფონდის გამაძლიერებელ ქუთაისის კომიტეტის თავმჯდომარის ს. საყვარელიძისა და კომიტეტის წევრის ს. ბახტაძის ხელისმომწერით ს. ფარცხალავას სახელზე გაგზავნილი წერილით. ამ წერილთან ერთად მათ აკაკის წერილიც გუგუზავნიათ, როგორც საბუთი, რომ ფული (20 მან.) აკაკის გადასცეს.

(სესია, ფონდი 481, საქმე № 3015, ფურც. 63, ავტოგრაფი).

ბ. შ. წ. კ. გამაგრცელაშელ საზოგადოების გამგეობას.

ანგარიშში გამგეობას უწერია ვითომც ჩემ მაგიერ შეეტანოს სახანაურო ბანკში ჩემ მაგიერ ოცი თუმანი და თხუთმეტი მანეთი, მაგრამ ეს შეცდომა არის. მართალია, მე ვთხოვე 1904 წ. რომ შეეტანა, და ჩემ თხოვნაზე მაშინდელმა თავმჯდომარემ შესაძლებლად იცნო გადახდა, მაგრამ სისრულეში არავის მოუყვანია ის თხოვნა, და გადასახადი მეც გადაიხდა. მიუხედავად ამისა გამგეობამ მაინც დამიყვია და ანგარიშის დროს გამომოიტყუა ის ქაში მოსაყებ ფულეებიდან, თითქოს იმას მართლა ჩემ მაგიერ შეეტანოს ბანკში ჩემი გადასახადი. ეს რომ მართალი იყოს, მაშინ როგორც დასამტკიცებელი საბუთი, ხელში გვირებათ ან ბანკს კვიტანციაში, ან ჩემგან ჩამოანართმევი ჩამ საბუთი და რაღ-

ვანაც ეს შეუძლებელია, ვთხოვ რომ ჩემ წილხედური დაკავებული ფული დამიბრუნდეს!

თ-ლი აკაკი წყარეთლისა

აკაკის ავტოგრაფის ბოლოში მიწერილია: „რადგანაც ამ განცხადებაში არ არის მოხსენებული, რომელ წელიწადში იყო შესატანი ბანკში 215 მან., შეუძლებელია გამოირკვიოს საქმე. ვთხოვოს ბ. აკაკის დაუმატოს ეს ნაკლი და საქმე დღესვე გაირჩიოს გამგეობის კრებაში.“

28/11 [1913 წ.].

გ. გ. ყაზბეგი.

თანხმად გამგეობის დეკლარაცია, გავსინჯე ბანკის წიგნები და ორდერები. აღმოჩნდა, რომ 8868 ნომრის ორდენით 20 დეკემბერს 1904 წ. წერა-კითხვის საზოგადოებისაგან ბანკს მიუღია ა. წყარეთლის მამულის 5000 მან. სესხის ანგარიშით 215 მან. 25 კაპ.

გ. რეხილაძე.

(საქ. ცენტრ. არქივი, ფ. 481, საქმე № 4016, გვ. 111).

ცხადია, ამითაც არ ამოიწურება დიდი პოეტის ლიტერატურული შემკვიდრეობა. ჩვენს სიძველეთსაცავებში მომავალი კვლევებიც, შესაძლებელია, კიდევ ბევრი რამ გამოვლინდეს, მწერლის როგორც ეპისტოლარული, ისევე შემოქმედებითი თუ პუბლიცისტური შემკვიდრეობიდან. ამ მხრივ გაგრძელებული ძიება შეაქვებს და უფრო სრულყოფილ გახდის დიდი მწერლის თხზულებათა მომავალ ახალ გამოცემას.

გულნარა გოჯალიშვილი
შალვა გოჯალიშვილი

ქართული პროზაიკოსების კრებული

„საბჭოთა საქართველომ“ შარშან გამოსცა ქართული მწერლების მოთხრობების კრებული — „ხელეწი“. წიგნში შესული მოთხრობები პირველად იბეჭდება — ამიტომ ვსაყვიბია მეთხველის განსაჯოთრებელი ინტერესი კრებულსადმი.

კრებული იხსნება გიორგი შატერიაშვილის „შამალხინეს სიკვდილით“; მისი წაქთხვისას სევდა და სიამაყე — ორივე, ერთად გვეუფლებათ. — სევდა იმიტომ, რომ კაცი, რომელიც ასე ბევრს, ასე ღრმად და წარმტაცად სწერდა სიკვდილზე, თვითონაც უდროოდ წაიქდა ამ ქვეყნიდან; — სიამაყე კი იმიტომ, რომ თქვენს თვალწინ ჩაიქლის ადამიანის სიყვარულით განათებული დიდი სიცოცხლე, დიდი სიბრძნით დამშვენიებელი.

„შამალხინეს სიკვდილი“ არის ერთი ნაწილი ამბავისა „შამალხინე“. ამ მოთხრობა-პოემაში გახსნილია ქართული გლეხების მრავალფეროვანი ბუნება, გლეხებისა, რომლის ხსენებაზე უმალ თვალწინ დაგადგება ეენახი, ბარი, ახლად ამოყრილი პურის სურნელი, დოქით დგანო, მრავალბაროვანი ღამილი — ღამილი, რომელშიც თითქოს იმალება ერთმანეთის საწინააღმდეგო მოკლენები, სოფლის წარმავლობა და ამქვეყნიური ზეიმი, „ო, რა ტკბილი იყო შამალხინე, რა ჯადო ჰქონდა მის სიტყვას, რა მართლი, რა თავებრუდამხვევი ეშხი, ვინ იყო მისი დედა, ვინ ჩამდგრა უტრში ეს ქართული, სიიდან ეონავდა მისი ენის ზღძუ?“ შამალხინე მოკვდა, ასაფლავებენ, ასაფლავებენ ისე ეშხიანად თითქოს თვითონ შამალხინე იძლეოდეს განკარგულებებს, თითქოს მისი თაოსნობით მიდიოდეს ეს სამქტაკლი.

შამალხინეს სიცოცხლეში უამრავი პატივისმცემელი ჰყავდა. — მგზობლებში თუ ახლომახლო სოფლებში, მგარამ კარგ კაცს მტერი არ გამოეღევა და შამალხინესაც ჰყავდა მტერი. ეს მტერი და დუშმანი ახლა მის ვასყვენებაში მოსულა. ხალხი ჯავრობს — იქ რამ მოიყვანა გმიწის მგელიო, მგარამ შამალხინეს დაუბარე-ბია, — თუ მოვიდეს ნუ ვააგდებთ, მგარამ ნურც ვირის სუფრახზე წამოსავთ, სადმე კუთხეში და-უღვით ღვინოც და საღაფავიციო.

შამალხინეს ასაფლავებენ, აღრიანი გაზაფხულაა. სულ მალე იფთქებენ ატმები. „ისეე და-იხახებს სიცოცხლე, ისეე ატირდება ვახი, მაგ-რამ შამალხინე აღარ გამოჩნდება“ სასხლავით ხელში. იგრონობს ეენახი? — იგრონობს. იგრო-ნობს შამალხულე რქა“.

დაიბ, შამალხინე მოკვდა, მაგრამ ცოცხლობს მისი ღამილი, ირონია, რომლის ძალითაც იგრო სიცოცხლეში თავს იხახავდა. ამ ირონიის წყალობით არ ექცეოდა შამალხინე მოკლენების, საენების გაუღენაში. პირიქით, იგი მათ თავის გემოზე იყენებდა, თავის კუთხზე ატირებდა. მიუხედავად თავისი ადამიანურ-ვაყვაცური სრულყოფილებისა შამალხინე თავისი თავისად-მიც თემოროთაა ვანწყობილი, ოღონდ ისე, რომ ბზარი არ გავჩნდეს მის კაცურ-კაცობას.

„შამალხინეში“, ისევე, როგორც „მკვდრის მზეში“. ბვერი რამ არის ავტობიოგრაფიული. სწორედ ამიტომაც ასე ძალდაუტანებლად გამო-ძეარწილი ეს სახე, რომელსაც ქართული ნაცი-ონალური ხასიათების ვალერეაში ერთი თვალ-საჩინო ადგოდა უყავია.

სერგო კლიამშვილის შემოქმედების თავისე-ბურება დიდ ტრანტთან ერთად მწერლის გან-საკეთებულმა ლიტერატურულმა კულტურამ განაბირობა. სწორედ ამიტომ „ხელეწიში“ დ-ბეჭდილი მოთხრობა მეთხველს ხიბლავს არა როგორც მხოლოდ ფანტაზიის ნაყოფი, არამედ, როგორც ამ ფანტაზიისა და ლიტერატურულ-პროფესიული კულტურის ერთობლივი შედეგი (ამ მხრივ ჩვენმა ახალგაზრდა მწერლებმა ბვერია რამ უნდა ისყავიონ სერგო კლიამშვილისაგან). „იენიდან თემქდომარემ გადმოსახხა: — შენ გვიწინეს თუ პატიმარს დაჯავბო? რას უციდი მანდ?

ჩრდილში ჩამოქდარი მილიციული მძიმე-წამოღვა და შეუხანის შამაკის საყვედურით მი-მართა:

— ზომ გავიგონე, შენი გულისთვის შენიშენა მივიღე. წამოდი ბიძიქემო, მეტი აღარ შეიქლი-ბა!

პანტელომ უნდობლად გადადგა ნაბიქი, მაგ-რამ უმალე შეჩერდა და მოიხედა.

— არ გვეურება, ადამიანო? — ვაჯავრდა მი-ლიციელი, — თავის ღროზე ვერ მოატანიე?! პატიმარმა უკანასკნელად თვალა შეავლო შა-რას და უცერად გამოცოცხლდა:

— ჰე, მოაჭეს აგერ!

შარაზე ბიჭი გამოხრდა, მოიბრინა პანტელოსთან და გადასცა დაგრებილი თუთუნის კონა. გახეთის ნახევი და ჭიბის დანა.

— ღელაშენს უთხარი, თუ ვინცობაა ამალამ ვერ დაებრუნდი, ხელად ადრანად მოვალ,— არ დამშვიდობებია ბიჭს და გზას ვაუღდა“.

ასე იწყება ს. კლდიაშვილის „ხელო დღე“ — მოთხრობა უნდობლობის მსხვერპლზე.

მილიციელი და პანტელო რაიონის ცენტრისაკენ მიდიან. მილიციელი დაბალია და სქელი. სიციხე აწუხებს, თოფის კონდახი წელს-ქვეშით ურტყამს და სიარულს უშლის. სოფელს რომ გასცდნენ დაიწყო დაღმართი, ციციბო და ვიწრობისას გულელებიანი. პანტელო ჩქარობს, უნდა, დროზე ჩავიდეს რაიონის ცენტრში, დროზე მოათავოს ყველაფერი და შინ დაბრუნდეს, სადაც, გლეხკაცს ათასი საქმე ელის. მილიციელს სიციხე და დაღმართი ერთიმეორეზე უფრო აწუხებს. მსუქანია, სქელი და გზადაგზა იღვენთება. — ნუ ჩქარობთ, — ეუბნება პანტელოს დროცა გაიგებს, რომ პანტელო ღღესეუ აძირებს უკან გამობრუნებას, დამინავალ ჰკითხავს — შენ რა, ღღესეუ აძირებ დაბრუნებას? მაგრამ თავის ფიქრებში გაართულ პანტელოს დაცინვა არ უგრძნობია.

— რაზე ხარ ახლა შენ დამატომბრებული?

— რა მოგახსენია...

— კაცი შემოგაკედა?

— არა, აა — თავი გააქნია პანტელომ.

— ამა რა, რას ვაბრალებენ?

— არ ვიცი.

— შე რას მიმაღე, შე კაი კაცო მამ ტყუილად რად გამოიმძებნდნენ შენს წასაყვანად..

— რაც არ ვიცი, არ ვიცი... ჭერ იყოლა, წახსულ კვირამი იორჯერ დამიბარეს... დამკითხეს... ვუშინ დილასაც დამკითხეს... საღამომდე გამაბრუნეს, მერე გამიშვეს... ამ დილით ისევ გამოიმძებნეს და ასე მითხერეს, რახან არ დავვიდისტრე, პატიმარი ხარო...

— მაინც რატომო, რაზეო?

— ანტონის მომხრე ხარ და დავვიდასტრეო... მისი ბრმა იარაღი იყავიო...

— ვინაა, კაცო, ანტონი?

— მამწავლებელი იყო ჩვენს სოფელში... ანტონ ფერაზე... კაი პატროსანი კაცი... ვნათესაობდით კიდევაც... მირონები ვართ... ჩემი უფროსი ბიჭი მისი მონათლულია.

— სად არის ახლა?

— არაიენ იცის... ერთი თვის წინათ რომ წაიყვანეს, მერე მისი ამბავი არაფერი მოსულა...“ მილიციელმა რატომღაც ხმას აუწია — უხილავი თვალის თუ შეეშინდა.

— ვიტიო ხალხი ხართ, ყველა იმას გაიძახით, არაფერი ვიცითო და თავს იღუპავთ. ამას წინათ სოფელ როკიანეთიდან ამოვიყვანეთ ათი კაცი და ისინიც იმას გაიძახოდნენ არაფერი

ვიციოთ. მილიციელი ამყავდ უკეთხებადა პანტელოს შორასს, პანტელო კი იმაზე ფიქრობდა, იმას ანგარიშობდა, რომ დაბრუნებისას შთავარის ჩასვლამდე ამოველო აღმართი.

უკებ პანტელოს გუგუნს მოკრეს ყური და მოსახვევიდან მანქანაც გამოჩნდა. დაქანული მილიციელი დაფაცურდა და ახლა წინ თვითონ მიზნობდა, უკან კი პანტელო მისდევდა ბუნძულით.

ასე მთავრდება ეს შვენიერი მოთხრობა, რომელიც, ჩვენი აზრით, ერთ-ერთი საუკეთესოა კრებულშიც და ს. კლდიაშვილის შემოქმედებაში. პანტელოსა და მილიციელის ერთად მახსოვრობას შემორჩება თავმჯდომარე — რომელიც წამით გამოჩნდება და თუმცა ავტორი მას აღარსად ასტენებს, იტყობა, რომ ის არის პანტელოს ბედი — მღვეარი; მახსოვრობას შემორჩება პანტელოს ხუთი წლის ბიჭი, მისი ორი ვაჟიკი, მისი ცოლი და ანტონ ფერაძე, სოფლის მასწავლებელი, რომლის ამბავაც სულ რამდენიმე სტრიქონში ვკითხულობთ, მაგრამ რბილის სახეც თითქმის ფიზიკური სისასხითაა ხორცშესხმული.

მიუხედავად იმისა, რომ ეს პატარა მოთხრობა შემოაჩვენებელ, შიშისმოგვრულ ამბავებზე დაწერილი, მკითხველი მაინც გრძნობს რაღაც იმედს — ხედავს სინათლის შუქს და საქვარს, რომ ეს ვიწრო რაიონი ფერის ზოლი მალე ზეცის მთელ წრებას დაფარავს.

აღმაიანს ხშირად უსამართლოდ უცხადებენ უნდობლობას. — ასეთი დამოუკიდებლობისაღმა მიმდევნილი კრებულში დაბეჭდილი ორი მოთხრობა — ლეანა ვითუას „იმედის სანერგე“ და რევაზ ჯაფარიძის „ღმერთო, მომიავნე“. თუ ლ. ვითუას ნაწარმოებები ავტობიოგრაფიული ხასიათისაა და ფაქტობრივ მასალაზე აგებულ სიუჟეტს ემყარება, რ. ჯაფარიძის მოთხრობა წმინდა ფსიქოლოგიური ძალის ნაწარმოებებია. რ. ჯაფარიძის მოთხრობაში სოციალი, აბსტრაქციული სურათები, საოცარი მოქნილობის წყალობით, ჰქმნიან დამაფრთხილებელ, რეალისტურ ატმოსფეროს. ნაწარმოებში მოქმედ გმირებს მხოლოდ პირობითი აქტე სახელები, გვარები, პროფესია და, მიუხედავად იმისა, რომ სიმბოლურად გამოხატავენ, — ხორცშესხმულ, დამაფრთხილებელ სახეებზე წარმოგვიდგებიან. მოთხრობაში უხეში ძალის მსხვერპლი გამხდარა ინტელექტი და ჩვენ მოწმენი ვხედებით ადამიანური საღი აზროვნების დევნილი, გვეშული არსებობისა და ზეციალისა.

აი, კაცი, — მოთხრობის მთავარი გმირი, უკუნიკამოდო დაშინებული და დამფრთხალი, გასაოცრებულად ტბაში შეცურავს, ნახევრად უღობინოს პირობებში ტბის ლურჯი სივრცე და სივრცე თვისუფლებების მომწმენი ხელია და მასაც ავიწყდება ყველაფერი. და... გრავს ლაღ და მხოლოდ რომელიღაც მშვენიერ კვლავ და-

აფეთებენ შემადრწუნებელი ასოციაციები. იგი ცდილობს გამოსვლას, მაგრამ რატომღაც შუაგულსკენ მიჰყვარს. იზიწება, ეჩვენება, რომ ფეხებში რაღაც ეზღანდება — ღელის ფესვები და ჩაბალი ღეროები თუ?!.. იგი გამწარებული იქნევეს ხელ-ფეხს და როცა გაჭირვებით მიღწევს ნაპირს, წყლიდან გიჟივით ამოვარდება.

„ღმერთო, მომავონე“ თამამად შეგვიძლია ვამბობდით, როგორც სიახლე ავტორის შემოქმედებაში.

საინტერესოა მიხეილ მრეველიშვილის „წვეთი იმედისა და ორი ქილა კაცის მურაბა“. მართალია მოთხრობაში არაა წამოჭრილი რაიმე თვალშისაცემი პრიონები, მაგრამ იქ საქმე ეხება ისეთ სიტუაციას და ისეთ ადამიანებს, როდესაც სულ მცირეც წარმოშობს დიდ განცდებს და ეს განცდები იმსახურებენ აღწერას, ვადმოკცმას, მოთხრობა უფრადლებას იქცევეს ფორმის მხრივაც.

ალექსანდრე კამიაშვილის „მთის ბალადა“ დოკუმენტური მოთხრობაა. პოეტი გვიცნობს თავისი მოგზაურობის ჩანახატს, გვიყვება ხე-სურეთში გატარებულ დღეებზე. — ესაა პოეტური და ემოციური ამბავი და უნდა ვიდებოდეთ, რომ იგი იქ არ თავდება, სადაც ავტორი სვამს წერტილს.

კამათს იწვევდა და ახლაც იწვევს ოთარ ჩხეიძის წერის მანერა. მაგრამ ვინც „ხელეუბნი“ დაბეჭდილ „მანდილს“ წაიკითხავს, ასეთ კამათს აღარ ვაუშარბავს მწერალს და ეს იმიტომ კი არა, რომ თითქოს მწერალი გამტყდარიყოს და იმ გზას დასდგამოდეს, რომელიც სხვებს მიანდობთ უფრო კვიანურად, არამედ იმიტომ, რომ მწერლის წერის მანერას, სტილს ამ მოთხრობაში თავისი სტიქისათვის მიუგნია. აქ უკვე მოგწონს მწერლისათვის დამახასიათებელი გამოკრებები, ერთმანეთს წაღწევილი ანები. აქ არაფერი არ ხვდება ყურს (ან იქნებ მწერალმა გაიტანა თავისი და, პირიქით, შეითხველს ტირივეულობას დაედო ბოლო?).

ვისთვის არ არის ნაცნობი იმ კაცის ამბავი, რომელიც ახალგაზრდობაში დაქანდებული წასულა სოფლიდან, — იმ ფიქრით, რომ შემდეგ დიდებულ შეადგებდა მის კარს. მაგრამ ასე არ მომხდარა და უძღებ შვილს გაჭირვებით მოუტანია სოფლის კარბიქუსთან თავისი გვემულ ტანი, გატანჯული სული. — ესაა ოთარ ჩხეიძის მოთხრობის თემა. უნდა ითქვას, რომ ძნელია „უძღები შვილის“ უფრო ერთგული სიხის წამოშვება.

„უტკლი ჩანთა თუთის ძირას მისდო, თვითონაც თუთას მიეყუდა, გულხელი დაიჭრიფა და გარინდდა... თუთას იქით ყორე გასდევდა, ყორეს იქით ხმაური იდგა. ტანოვნილ არ ითქმოდა, მაგრამ ცხუნე რომ შეუძგარიყო, ყორეს ვადაიღო...“ ვალსა, დაინახავდა თუ ვინა ხმაურობდა, დაინახავდა და ჩაეშველებოდა,

მაშ რაო, უბრალო ხმაური როდი იყო: დროდნენ, იფინებოდნენ, იმტყებოდნენ, ერთიმეორაზე მიიწვედნენ.“ — ასე გვეცნობის უძღებ შვილს, სოფლის ყორესთან მიმდგარს ჩამხელსაე ნაცნობი ხმები ესმის ყორას იქიდან. ცერებზე რომ აიწიოს და ვადაიხედოს, დაინახავს თუ ვინ არიან, მაგრამ „იქით არც იხედებოდა, ზურგიც შეეკცო, თავიც ჩაეღუნა, თვალაც მიიღუნა და მირინებულყო. ისე უქობდა, ხმები ეცნაურა და უქეთესად განიცდიდა მირინებულყო. ხმები ეცნაურა და თვითონაც შემოეფცქენა მოხუცის კანი, იფივე ვაბეკად იქცა: იქ რომ ტრიალებდა, ხან ლბინსა თუ ჭირწილს შეეცნებოდა, ხან ჩხუბსა თუ დეიადარბასს.“

ასე აღწერს ადამიანები, ბეჭეჭერი ჩაგარდნია ყურში ნაცნობი ხმები, სხვათა შორის მყოფს, სხვათა სოფელ-ქალაქში, სხვათა ვარემოში მოხვედრის. სოფლიდან ქდილით და მუქართი წასულს ქდილი სინანულით შენაცვლება. მერედა, როგორ ოცნებობდა სიყმაწვილემ: „წლის თავზე ჩამოვარდნილი ერთი-ორი კვირითო, ხურჩინს ვაღმოვარჩავებ და წამოყვრი საჩუჭრებსა, მშობლებსისთვისა, დაძმებისთვისა, ბიძაშვილებისთვისა, ნათლიაშვილებისთვისა, კარის მეზობლებისთვისა. იხველებენ, შემომეხეებენ ყველანი, ვადაიკოცნიან და ვაღმომოკნიანო, კისერზე ჩამომეკლებიან, აღარც ჩამომხსნებიან, აღარცაო, ვიდეგები იმით შორის გოლოათივითა, გამარჯვებთს სიამაყე ხომ გოლოათად აქეცეს ადამიანსო. ასე და ამგვარად ფიქრობდა, ნაცნობი ხმებიც არ ასვენებდა, წეიწიანად ამოთავებდა ეჩქარებოდა, მაგრამ წეიწიანად უფრო ჩაქარობდა და მოთავდა თუ ორა, იმას აღარაფერი აღმოჩნდა სასახუქროდა. სხე რა ჩარა ქქონდა, მეორე წლისად ვადასდო სოფლად ჩამობრუნება, მეორე წლისად, ოლონდ ბეკად ძვირფასი საჩუჭრებითა. ეჩქარებოდა, მალე გასულიყო ის წელიწადი. არც იმან უღალატა, პირველზე მალე გავიდა, პირველზე უფრო ხელეარიელი დასეა. სხე რა გზა ქქონდა, მესამე წლისად ვადასდო იმედებო, მესამემაე ვერ ვაუშარიოლა, მეოთხეზე ვადაიტანა ვარბილი სურვილი სიამაყისა და ქდილის აღსურვლებისა. მხოლოდ იფრთხილა, მშობლებმა ცოტა მოიციადონ, არა უჭირთ რაო, მაინც ვერ ვასწავდა; მომდევნო წლისათვის ნათლიაშვილებიც გამოიყალა, — მაინც ვერ ვასწავდა; შემდეგ ბიძაშვილებიც ჩამოიტოვა, ვერ შერჩევიოთა, მერე ერთბაშად, — მაინც ვერ ეყო; მერე ძმები მიიყოლა, მერე ღმები ვამიტეა, მშობლებიდა მოიტოვა.“ მაგრამ აქ არ თავდება უძღები შვილის ბიოგრაფია. იგი ერთადერთი მანდილით ბრუნდება სოფელში (ღედისთვის მოაქვს თავის ფიქრით ის მანდილი). ეს მანდილიც და ჩანთაც ნამუსის მოსაწმენდად უნდა, თორემ აღარც თავისი ქდილი ახსოვს და აღარც სიამაყე აწუხებს... და ახლა, ყორესთან მიმდგარს გულას

საუბარი ვალებს თავის ყმაწვილუკობის ხმებთან, ისინიც, თითქოს განგებ, ყორის იქით გუგუნობენ, ბზუიან, წრიბინებენ.

მოთხრობაში ყოველ და ეს ხმებიც — მშობლების, ძმების, მეზობლების, ნათესავების — პირობითობას წარმოადგენს. ამ პირობითობაში მგლავნდება ადამიანის ისეთი მგლომარება, როდესაც მას წინწარის შეაზე გატეხვაც არ შეუძლია და ასევერ აღმატებული ძალები კი თავს დასცემიან.

ო. ჩხეიძის „ჩემი სოფლის ვტიუდების“ ციკლში, სადაც „მანდილიც“ შედის, ბევრია ღრმად ნაციონალური, დამამახსოვრებელი სახე, მაგრამ „მანდილიც“ მხატვრული განხოვადების მხრივ ერთი საუკეთესოა.

ნიკო ფიროსმანის თავისებურმა ცხოვრებამ და შემოქმედებამ ამ ბოლო წლებში ქართულ მწერლებს განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ქრებულში დაბეჭდილია პოეტ შალვა ამისულაშვილის ვრცელი მოთხრობა „შავი მუშაბა“. ამ მოთხრობაში შ. ამისულაშვილი ჩვეულებრივ „ცხოვრების აღმწერად“ როდა გვევლინება: არა, იგი აქ, პირველ რიგში, პოეტია, რომელიც ხმაბალა ფიქრობს დიდი შემოქმედის ბურუსით მოცულ ცხოვრებაზე, მის პიროვნებაზე. „შავი მუშაბის“ ავტორი პოეტია თავისი პათოსით, — როდესაც ღვაძლიანად ლაბარაკობს სოციალურ ეკულმართობაზე — ასე ღრმად რომ ატყვია ფიროსმანის ცხოვრებას; იგი პოეტია მაშინაც, როდესაც საყვარულით აღწერს ფიროსმანის მეგობრებს, აბლოლებს — მაშინდელი საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს: დაბოლოს, „შავი მუშაბის“ ავტორი პოეტია თავისი წერის შანერთაც.

მოთხრობა თავებად არის დაყოფილი. ამ თავებში ავტორი ჩერდება იმ მთავარ, დამამახსოვებელ მომენტებზე, რომელთაშიც შედარდება ფიროსმანის პიროვნება, მისი ტემპერამენტი, დამოკიდებულება შემოქმედსა და საზოგადოებას შორის.

თუ „დიდი პულა“ მერმან ლებანიძის, როგორც პირობაქოსის დებულტა, მაშინ ეს პირველი ნაბიჯი, ჩვენი აზრით, საკმაოდ ეფექტური და დამაჭვრებელია.

ხუთი ტყე მისხლომა მევიდას და პოეტი თამაშობს — და სწორად აქ, ბანქოს თამაშის დროს, საოცარი სისაესით იხენს თავს ადამიანური თვისებები, ფარდა ეხდება კაცის ბუნებას. სხვადასხვა ხელობის, სხვადასხვა ჭურის ხალხია და მხოლოდ შემდეგ, როდესაც ჩვენი სიმპატები და ანტიპატები დანაწილებულია, როდესაც გამომედგენდება მოგებულნი და წაგებულნი, ხვენ ეთებო რომ იმათ, ვინც ჩვენზე კარგი შობაქულილება მოახდინეს — წაგეს. თი იმ ორის დილოგი (ისინი ტერაში გამოსულან და ტაქსი ებებენ):

— მოიცა — უთხრა თერთმა ტაბმა. — ვაბის ფული თუ გაქვს?!

— მაქვს! — მოვლო ახალგაზრდამ.

— საბაბლწლო რას იზამ? ბიბლიოტეკა

— ეიშოენი!

— გვრგება რამე?

— ცოტა!

— ვალო რამდენი გაქვს.

— ბევრი!

— აბა, შენ, ასი თემანი! სათამაშოდ არ გაძლევ! ხვალ დაგურკეავ შენს მეუღლეს და გამოგარკვევს.

— მადლობელი ვაბ!

— მადლობელი ხარ, მაგრამ როგორც კი ფული იშოენი, სათამაშოდ ვარბიხარ!

9 9 9

— ფუქს მე ვილას ვეუბნები!

„ხელუტრში“ დაბეჭდილია აკაკი გეჭაბის „გვირილა“ — მოთხრობა კარგად იციხება, ამ ნაწარმოებით მწერალი ომის მოვონებებს უბრუნდება.

ე. ურჭუმელაშვილის „ნაღი“ მამიხლებლო მოთხრობაა. მწერალი შესანიშნავად იცნობს იმ პროვინციულ ვარემოს, რომელიც, საერთოდ, დასაბამია დანაშაულის. ოსრასთლიან, რკინისჭიქვრებიან მოართულ-მოკამულ სახლებში ხშირად პრიმიტიული, ჩამორჩენილი ადამიანები ცხოვრობენ. ისინი ძველი ქართული გლეხისაგანაც შორს ღვანან და ვერც თანამედროვე სოფლის ეკლტრამდე ამაღლებულან.

საინტერესოა ვალერაან ჩეკერიშვილის „უმამისისახლო ბიჭები“. ამ მოთხრობით მუტად რეალისტრია და სიმპატური სახეები შემოგეცქერიან. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ე. ჩეკერიშვილი ერთი იმ ახალგაზრდა მწერალია-განია რომლებსთვისაც ორგანულია და აბლობელი ქართული ეროვნული სტიქია, მისი თავისებურება და კოლორტი.

თამაზ ნატროშვილის „ჩიხში“ ვადმოკემულია რამდენიმე ებიზოლი ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდების ცხოვრებიდან. მწერალს კარგად აქვს შერჩეული ეს ებიზოლები — ისინი ხელმწიგნოთ ხუსტიად ავლენენ გმირების სულური და ვონებრივ შესაბლებლობებს, მათ მისწრაფებებს.

თენგიზ ბუბიძის „ფარცაულაში“. ომიდან სოფელში ერთ კვირიანი შეებულებით ჩამოსულ კაცს საბლშიც არაფელი საქმეები ხვდება. ზამთარია, დიდთოვლობა. თეიმურაზს შინ ავადმყოფი და უწევს, ფარცაულას მოიძინე კი კარტოფილი აქვს ჩამოსატანი. მაგრამ კაცო იმის კაცია, რომ მოულოდნელი შემოხვევებისათვის მუდამ უნდა ჰქონდეს ენერგია შემონახული და ნათბარი კაცი ამ ძნელ საქმესაც აუღის. მის დის ფარცაულას მოაზე და მხოქვს კარტოფილი. მწერალს კარგად აქვს აღწერილი თეიმურ-

რახის ჭიდილი ბუნების სტიქიასთან. — მკითხველს ადვილად შეეძლება წარმოიდგინოს, თუ როგორი ერთგული და თავდადებული იქნება თეიმურაზი ფრანტუხ.

„ხელუროს“ გამოცემით კარგი საქმე გაკეთდა. ხოლო თუ გამოცემლობა „საბჭოთა საქარ-

თველო“ იზრუნებს და შეიმუშავებს „მკვლარი კრებულის პერიოდული გამოცემის გეგმას“, ეს, ჩვენი აზრით, თავისებური სტიქიული იქნებოდა წართველი პროზაიკოსებისათვის.

ბ. ხარანაული

„ო რ ი თ ნ ი“

გასული წლის 12 მაისს ქართულმა საზოგადოებამ იხილა სახელგანთქანი მეცნიერისა და ენციკლოპედიკოსის ერთ-ერთი დამამარსებლის აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისთავი.

მართებულად შეინიშნავს პროფ. აკ. გაწერელია, „რომ არიან სახელები, რომელთა მოღვაწეობა ბოლოსდაბოლოს სცილდება ცალკეული დისციპლინების ფარგლებს. ამ ბედნიერ სახელთა რიცხვს ეკუთვნის აკაკი შანიძე“.

აკაკი შანიძის ცოდნისა და ინტერესთა მრავალფეროვნებამ განაპირობა მისი მოღვაწეობის მრავალმხრივობა.

იგი არის სწავლული, რომელმაც თავისი კაპიტალური შრომებით გაამდიდრა მეცნიერების მრავალი დარგი: ქართული ენების სტრუქტურა და ისტორია, დიალექტოლოგია, ლექსიკოლოგია, სალიტერატურო ენის ნორმალიზაცია, ტექსტოლოგია. ესაა ის უმთავრესი დარგები, რომელთა განვითარებაში ჩვენმა სახელოვანმა მეცნიერმა წარუშლელი კვალი გააყვია.

აკაკი შანიძის ყოველი შრომა ახალ სხვისთვის საყურადღებო საკითხს და მკითხველს ხიბლავს ცოდნის სიღრმითა და დამარწმუნებლობით.

იუბილარისადმი მადლიერების გრძნობის ერთ-ერთი გამოხატულებაა მის მოწვევითა და თანამოღვაწეთა მიერ შედგენილი კრებული — „ორიონი“.

ამ სვეტნიან კრებულში წერილები წარმოდგენილია მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან; როგორც ენათმეცნიერებიდან, ისე ფილოლოგიებიდან, ხელოვნებათმცოდნეობიდან, ისტორიიდან, ლიტერატურათმცოდნეობიდან, რუსთველოლოგიიდან. პრობლემათა ისეთი მრავალსახეობა სიმბოლიურად გამოხატავს თვით აკაკი შანიძის ინტერესთა მრავალფეროვნებას.

კრებულს წამმდგარებელი აქვს ივანე იმნაიშვილისა და შოთა ძიძიგურის წიერი, რომელშიაც ნათლადაა ნარჩენები, თუ როგორ ყალიბდებოდა დიდ მეცნიერად აკაკი შანიძე. მკითხველი ღრმა დაინტერესებით აღიწევს თვალყურს გამოჩენილი მეცნიერის

ცხოვრების გზას; ჩვენს თვალწინ იშლება აკაკი შანიძის, როგორც პირადი, კერძო ცხოვრება, ისე მისი მეცნიერული წარმატებები და მიღწევები.

აკად. გ. ჭიბლაძის ხატოვანი მკითხი, აკაკი შანიძემ „მშობლიური ფილოლოგიის არა ერთ დარგში ყამირი გადახნა“, და ეს დიდი დამსახურება ნათლად აქვს დასაბუთებული გ. ახვლედიანს, კ. ვაშაბურდიას, აკ. გაწერელიას, კ. კეკელიძეს, გ. მაჭავარიანს, გ. ჭიბლაძეს, ს. ჯორბენაძეს, შ. ძიძიგურსა და ქს. სიხარულიძეს კრებულში მოთავსებული წერილებით.

კრებულში აკად. აკ. შანიძისადმი მიძღვნილ წერილებთან ერთად მოთავსებულია მეცნიერული გამოკვლევები ხელოვნებათმცოდნეობის, ფილოლოგიის, ისტორიისა და ლიტერატურათმცოდნეობის სფეროში, მაგრამ როგორც მისალოდნელი იყო, განსაკუთრებით მდიდარადაა წარმოდგენილი ლინგვისტოლოგიის ნაშრომები.

ენათმეცნიერული შრომების საქმოდ მრავალლექსიკოლოგიურ დაკვირვებებს ავტორებსა გარკვეული აქვთ დღემდე გაუგებარი ან საცილობელ სიტყვათა მნიშვნელობები.

პროფ. ილია აბულაძეს საინტერესო დაკვირვებები აქვს წარმოდგენილი „ქორიკოსის“ და „ქორებისკომოსის“ მნიშვნელობის გასაგებად. დღემდე საცილობლად იყო მიჩნეული ვეფხისტყაოსანში ხმარებული „სეფდის მუფარაზი“. აკად. გ. წერეთელი მდიდარი მასალის მოშველიებით ამუშავებს ამ გამოთქმის მნიშვნელობას, ხოლო პროფ. აკ. ურუშაძე ბერძნულ წყაროებზე დაყრდნობით ასწორებს ს. ს. ორბელიანის მიერ მცდარი ფორმით ხმარებულ „დანიას“.

საინტერესო ლექსიკოლოგიური დაკვირვებები აქვთ წარმოდგენილი ივ. იმნაიშვილს, კ. დანიელსა, დ. მგვლიანს, შ. შანიძეს, ლ. კინჭარაულსა და ე. ჩეიჩანაშვილს, ავრთვემ, ჩვენს ისტორიკოსებს კ. გრიგოლიას, შ. მესხიასა და ე. დონდუას.

ქართული ფილოლოგიის თ. გამყრელიძის, ტ. გულაყის, ფ. ერთელიშვილის, ლ. კვაჭაძის, დ. კობიძის, ზ. სარჯველიძის, ალ. ლორთქიძის,

„ორიონი“, აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბუ, 1967.

ს. ყუბნიშვილის, მ. შანიძის, ზ. ჭუმბურიძისა და ს. ჩიქის გამოკვლევები ნათელს ჰფენენ მრავალ საენათმეცნიერო პრობლემას და კრებულს ამდიდრებენ საკითხთა მრავალფეროვნებით, მათი გადამწყვეტის სიღრმითა და სიზუსტით.

კრებულში მდიდარი და ნაირსახოვანი მასალთა მონაწილეობენ ქართული ხელოვნებათმცოდნეები: აკად. შალვა ამირანაშვილი არკვევს ბერძნის ოთხთავის მინიატურებისა და მხატვრული მორთულობის დათარიღებას, აკად. გ. ჩუბინაშვილს კი გამოვლინებული აქვს ქართული ჰერალდიკის ხელოვნების კიდევ ერთი უცნობი ძეგლი; ხოლო პროფ. ვ. ბერიძე გვაწვდის ფრად საინტერესო მასალას XVI-XVII საუკუნეთა ქართული ხელოვნების მემკვიდრეების ისტორიას. კერძოდ შევლევარი გვაცნობს, თუ როგორი იყო მშენებლობის პირობები და ორგანიზაცია, თუ რა საყოფაცხოვრებო ვითარებაში შენდებოდა სახლები, ციხეები, ეკლესიები, ხალები, რა პირობები ჰქონდათ თვით მშენებლებს.

ჩვენი ისტორიის საინტერესო ფურცლებია განაწილები პროფესორების ა. აფაქიძის, ლ. შენაბდის, თ. ყუბნიშვილის შრომებში. აფაქიძე არკვევს მოსახლეობის ერთეულების აღმნიშვნელ ტერმინებს ძველ ქართულში, ხოლო ლევან შენაბდის წარმოდგენილი აქვს ქართული ეპოქის კიდევ ერთი დიდი კერის პალატის ისტორია, თინათინ ყუბნიშვილი კი გვაწვდის ბერძენი ისტორიკოსის პოლიბიოსის თხზულებაში დაკულ უაღრესად საინტერესო ცნობებს საქართველოს შესახებ. ქართული ეპოქის ისტორიის საკითხებია გარკვეული პროფ. ალ. ბარამიძის წერილში, კერძოდ, ის აზუსტებს ქართული სტამბის დაარსების საკითხებს, რომელთა გარკვევაში ვირჯილ მონინის ერთგვარი შევლომა მოუვლია.

პროფ. ივ. ლომაშვილის შრომაში განხილულია ორი დიდი ქართველი მთარგმნის ფერემ მცირისა და იოანე პეტრიწის ურთიერთობის საკითხები. ავტორის მტკიცებით, იოანე პეტრიწი ყოფილა ფერემ მცირის მოწვევი, ხოლო როდესაც იოანეს ცნობილი ფილოსოფოსის სახელი მოუხვეჭია, ის გამხდარა მოხუცებული მოძღვრის მოძღვარი.

წლებს მანძილზე პროფ. ს. ყუბანიშვილი სწავლობს დ. ატრამიშვილის ბიოგრაფიას, ამჟამად ახალ მასალებზე დაყრდნობით ამდიდრებს სახელგანთქანი პოეტის ბიოგრაფიულ მონაცემებს, კერძოდ, ირკვევს დავით გურამიშვილის მოღვაწეობას უკრაინაში, მის სამეცნიერო გამოგონებლობით მხარეზე ამხვილებს მკითხ-

ველის ყურადღებას. დ. ატრამიშვილის მიღწეულ დიდი ავტორიტეტი მოუპოვებდა უკრაინულთა და იქაურ ქართველთა შორის, რომელთა შორის ლეონაძე მიუღია ახალი საკანონმდებლო კომისიის დეპუტატის არჩევანი. გამოკვლევას დართული აქვს დღემდე უცნობი საინტერესო დოკუმენტი პრესაზე ქართველების დასახლების შესახებ.

რუსთაველის ვეფხისტყაოსნის ადრეულ მკვლევართა შორის სამატიო ადგილი უკავია თეიმურაზ ბაგრატიონს, რომელიც იყო პირველი ქართველი აკადემიკოსი, პირველი ქართველი მეცნიერი, რომელიც აირჩიეს სრულიად რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, უცხოეთის სამეცნიერო საზოგადოების, კერძოდ, კომუნისტების ანტიკვარული საზოგადოების წევრად. დიდად მნიშვნელოვანია ამ ქართველი სწავლულის რუსთაველოლოგიური დაკვირვებები, და სწორედ ამ კუთხით აქვს შესწავლილი პროფ. ი. შვეტალიძის თეიმურაზ ბაგრატიონის მოღვაწეობა.

კრებულში წარმოდგენილია პროფ. ს. ხელიშვილის საინტერესო გამოკვლევა — „შოთა რუსთაველი და მისი პოემა იაკობ გოგებაშვილის ნაზრევში“. სადაც გარკვეულია თუ როგორ იყენებდა დიდი ქართველი მედაგოგი ვეფხისტყაოსნის აღმზრდელითის იდეებს.

როგორც ვხედავთ უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ კრებულში 46 მკვლევარის მიერ წარმოდგენილია ჩვენი ჰუმანიტარული მეცნიერების თითქმის ყველა დარგი, ორიონი თანავარსკვლათა ერთ ჯგუფს ნიშნავს და სასურველი იყო, ეს თანავარსკვლავედი გაეზარდათ: იმ უცხოელ ქართველოლოგ სწავლულთა ჩართვითაც, რომელთაცან ბევრი აკაცი შანიძის, მოწვეფნი ან თანამოკალმენი არიან და დიდი წარმატებით მოღვაწეობენ ქართველოლოგიურ პრობლემებზე ეფრომის თუ ამერიკის სხვადასხვა ქვეყნებში.

„ორაონი“ დიდი შენაძენია ჩვენი მეცნიერებისა და მასში გამოქვეყნებული გამოკვლევაებით აღძრული თუ გადამწყვეტილი პრობლემები ყურადღებას იქცევენ როგორც მაღალი მეცნიერული, ისე ავტორთა გულწრფელი პატივისცემით იუბილარისადმი. ეს გრძნობა გაპირობებულია იმით, რომ აკად. აკაცი შანიძე თვით არის მისაბამი მაგალითი ანა მრატო დიდი მეცნიერისა, არამედ უნაკრო, თვავანწირული, მზრუნველი და უკეთილშობილესი პარკუნებისა.

ქართული რომანტიზმი

საქართველო

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვა-
მომცემლობამ ახლახან გამოსცა პროფესორ
აპოლონ მახარაძის მონოგრაფია, რომელშიც
წარმოდგენილია ქართული რომანტიზმის წარ-
მოშობისა და განვითარების ისტორია, მისი
იდეურ-თემატური სფერო.

წიგნში განხილულია ქართული რომანტიზ-
მის ყველა მნიშვნელოვანი წარმომადგენლის
ცხოვრება და შემოქმედება. სასიამოვნო მოვ-
ლენად უნდა იქნას მიჩნეული, რომ წიგნში
ერყდად არის გაანალიზებული ცხოვრება და
შემოქმედება ნიკოლოზ ბარათაშვილს, რომელ-
საც მადლიერი ქართველი ერთ და საბჭოთა სა-
ზოგადოებრიობა მიმიდნარე წელს დაბადების
150 წლისთავს უხდნა.

აპოლონ მახარაძის წიგნის ღირსება ისაა,
რომ მასში მეცნიერული პოზიციებიდან არის
ახსნილი ქართული რომანტიზმის პროგრესული
ხასიათი და რომანტიკოს მწერალთა სოციალურ-
ი და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართ-
ული საქმიანობა.

ცნობილია, ქართული რომანტიზმის პროგ-
რესული ხასიათი, უპირველეს ყოვლისა,
იმამი მდგომარეობდა, რომ იგი მეცხრამეტე
საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში
ყველაზე უფრო ცხოველყოფილი იდგის —
ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეის ვა-
მომხატულება იყო და ამ მხრივ ქართველ რომ-
ანტიკოსთა ეს თაობა უშუალო წინამორბედი
იყო იმ სკოლისა, რომელმაც, აღია ჭავჭავაძის
მეთაურობით ამ მოძრაობას, ჩამოყალიბებულ
ბრძოლის ხასიათი მისცა.

ახსიათებდა რა კონსერვატიული და პროგ-
რესული რომანტიზმის ურთიერთ საწინააღ-
მდეგო ბუნებას, ავტორი მართებულად აღნიშ-
ნაეს, რომ ქართულ ლიტერატურაში რეაქცი-
ულ რომანტიზმი არ ყოფილა და არც ჰქონია
ადგილი კონსერვატიულ და პროგრესულ რომ-
ანტიზმის ისეთ დამარისპირებას, როგორც ეს
სხვა ქვეყნების ლიტერატურაში აღნიშნება.
ჩვენი რომანტიკოსი მწერლების შემოქმედებაში
გამოხატულებას პოულობდა ქართველი ხალხის
ბრძოლა მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნა-
ხევრის სოციალური და ეროვნული ჩაგვრის
წინააღმდეგ. ამასთანავე, ავტორის მტკიცებით,
მათი შემოქმედება არ ყოფილა მოკლებული
სოციალურ-კლასობრივ მტკიცებას.

მონოგრაფიის ავტორი ქართველი რომანტი-
კოსების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად აღი-
არებს რა წარსულისადმი რომანტიკულ ტრფი-
ილებას და მომავლის წინაშე შიშს, იმავე დროს

მათ შემოქმედებაში პოულობს [ქვეყნის] მოწინავე-
მებს, რომლებშიც მეგრბოლი განწყობილებანი-
და მომავლის რწმენა იგრძნობა. ასეთი სულის-
კვეთება განმსჭვდინის ალექსანდრე ჭავჭავაძის,
გრიგოლ ორბელიანის, სოლომონ რაზმაძის და
სხვების ნაწარმოებებში. რაც შეეხება ნიკოლოზ
ბარათაშვილს, იგი „თავგაწირული ბრძოლისა-
და მზიანი მომავლის“ ურყევი რწმენის შთამ-
ნერგავად და მოანდერძედ არის წარმოდგენილი.
წ. ბარათაშვილის პროგრესულ შეხედულებათა-
დამადასტურებლად ავტორს მიაჩნია პეტრე
მიერ საქართველოს რუსეთთან შეერთების,
როგორც ისტორიულად აუცილებელი მოვლე-
ნის ცნობა და აღიარება. ამის ნათელ ილუსტ-
რაციას ავტორი საპართლიანად ხელაეს ნიკო-
ლოზ ბარათაშვილის ლექსში „საფლავი მეფის
ირაკლისა“, რომელშიც პეტრე მართლაცა და გა-
დაჭრით აღიარა ერეკლე მეორის მიერ გადად-
გმული პოლიტიკური ნაბიჯის სისწორე. მაგრამ
ეს ამას როდი ნიშნაეს, თითქოს ბარათაშვილი-
ამით მეფის რუსეთის პოლიტიკურ რევიმსაც
შეურთივდა, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიის
განმსაზღვრელ ლიტერატურად მონოგრაფიაში
მინიშნებულა მისა დროის საზოგადოებრივი
მდგომარეობა და მშობლიური ქვეყნის კონ-
კრეტული რეალური ვითარება, რომლიდანაც
იგი საერთო საყაყობრიო დიდ მოწოდებათა
სიმაღლემდე აღიმართა და ღირსეულად შევიდა
მსოფლიოს პროგრესულად მოახროვერ რომან-
ტიკოსთა თანავარსკვლავედში.

მონოგრაფია იხსნება ქართული მეგრბოლა
რომანტიზმის ერთ-ერთი მთავარი წარმომად-
გენლის ალექსანდრე ჭავჭავაძის ცხოვრებისა
და შემოქმედების განხილვით; ალ. ჭავჭავაძე
უარყოფითად აფასებდა იმდროინდელ ცხოვრე-
ბას, ვგობდა იმ საზოგადოებრივ და პოლიტი-
კურ რევიმს, სამარცხვინო ბოძე აკრავდა
„მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვევით“,
გამიღრმებულ ადამიანებს, მაგრამ, ამასთანავე,
გამოსთქვამდა ღრმა რწმენას ბოროტებაზე ავე-
ბული მამონდელი სამყაროს დამზობისა და მის
ნანგრევებზე კაცთა შორის თანასწორობის და
სათნოების აღმოცენების შესახებ (ლექსი „ეპი-
სოფელსა ამას“).

თანამედვერულად, ერთნაირი სიძლიერით
არის წიგნში წარმოდგენილი ქართული რომან-
ტიკული სკოლის სხვა წარმომადგენელთა ცხოვ-
რებისა. და შემოქმედების ძირითადი მომენტე-
ბი: სოლომონ რაზმაძის — როგორც პეტრეს,
დღი პეტრის შესანიშნავი მთარგმნელის და
ადამ მიცეკვიჩის პირველი გადმოქართულე-
ლის, ალექსანდრე ორბელიანის — როგორც თა-
ვისებური მკონის, პროზაიკოსის და ღრამა-
ტურვის, გრიგოლ ორბელიანისა — პატრო-

ოტიზმის წრფელი გრძობით - ამღერებელი დიდი პოეტის, სოლომონ დოდაშვილის, ეხტანგ ორბელიანის, დავით შაბაძის, მიხეილ თუმანიშვილის, გრიგოლ რჩეულიშვილის და სხვების, მათ შორის მამია გურიელისაც, ვინც მხატვრული კითხვის უბადლო ასტატადაც იყო მიზნეული და, სხვას რომ თავი დაეანებოთ, რომლის უკვდავი ლექსის „ადამიანის“ შთამაგონებელ სტროფებს დღესაც, არ დაუკარგავს თავისი ბრწყინვალეობა და აქტიურობა, როცა პოეტი ამაღლებულად მოუწოდებდა:

ცხოვრების მიზნად სიმართლე გქონდეს, და
სიყვარული მომშენა ეალად:
სამშობლო შენი მარად ვახსოვდეს, თუკი
გსურს გაბღე იდამიანად.

წიგნის ბოლო თავში წარმოდგენილია საინტერესო მასალა გენიალური რუსთაველისა და მისი უკვდავი პოემის „ვეფხისტყაოსნისადმი“ ქართული რომანტიკოსთა დამოკიდებულების საკითხებზე.

მკითხველი არ შეიძლება არ დააინტერესოს მონოგრაფიის ავტორის მტკიცებათა სისწორემ და თხრობის სისადაემ.

პროფ. აპლონ მახარაძის ხსენებული ნაშრომი ამდიდრებს ქართული წიგნის თაროს და ეჭვი არ გვებადება, იგი დააინტერესებს ქართული ლიტერატურის ყველა მკითხველსა და მკვლევარს.

ნიკოლოზ წაჩთხელი



0360 80 553.

ИНДЕКС
76128

«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО «ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА»



გეამბეა, უფმური გაგივლის, კიდევ თუ
განაწყენდები, კიდევაც გაგივლის, ხა-
ლისზე მოხვალ და გამოიტან. მთავარია
ხალისი, ყველაფერი ხალისია, ცხოვრე-
ბის საუკეთესო ნაწილი ხალისის შექ-
მნილია, ხალისი თუ გაქვს...

— არა მაქვს, არა მაქვს, არა!.. —
ხელებს იჭნევს, წელში იმტვრევა, სა-
ხეც ისე მოჰქცევიან, თითქოს ეგ არის,
გათავდა კაცი, გარეთ გაეარდება და ხა-
ლაში მიიცივს რევოლვერის ლულასო.
მაგრამ იცნობენ ამასაც, სხვისა რა მო-
გახსენოთ, მეგობრები მაინც კარგად
იცნობენ და აღარ ედავებიან. სწყინს
რომ აღარ ედავებიან, — ღვინო მაინც
დამალწვივინეთ... → ამბობს გამწყარალი.

— დალიე, რა ნებართვას ითხოვ... —
უბრალოდ ამბობს გელი.

— ეგებ ხალისის სადღეგრძელო და-
მალწვივინო... — ცივად იცინის ნესტო-
რი.

— დიახაც, დავლიოთ, — ბიბო დაა-
ტანს, — დავლიოთ, ხალისი დიდი რამ
არის!..

— ბავშვობაში...

— დიდობაშიცა და ყოველთვისა.

— ხალისზე იდავონ ფსიქოლოგებმა
ან ფილოსოფოსებმა, — გელი დაა-
ტანს, — ხალისი რა ჩვენი საქმეა, ხა-
ლისს ვერ გამოაქანდაკებ. ქვა ხალისს
ვერ აიტანს, ვერც ბრინჯაო აიტანს ხა-
ლისსა, ვერც თაბაშირი.

— მარმარილო? — ბიბო იკითხავს.

— მარმარილო სევდის მასალაა.

— ის მარმარილოა? — ცალ წარბს
ასწევს ნესტორი, ბიბოს მიაჩერდება.

— რა?! — ბიბო იშმუშნება.

— „ქალი“?..

— არ ვიცი...

— მაშ რა არის?..

— რას ჩამაცვიდი?! — აიწევს, ბი-
ბო, თითქოს უნდა წამოხტესო, — მე
საიდან უნდა ვიცოდე?! ეტყობა, შენ
აკვირდები და შენვე გეცოდინება, მე
არც შემიხედავს...

— მაშ რად ამბობ, არა ჰკავსო? —
არ უთმობს ნესტორი.

— მე ვამბობ, არ ემგვანებამეთქი!..

— ეგ იგივეა...

— არ არის იგივე.

— ყოველშემთხვევაში ნიშნუში...

— არამეთქი!.. — და ბიბო წამოხტე-
ბა. ფერფური აერევა სახეზე, მერე ნაც-
რისფერი ჩაუმკერივდება, ტუჩები ეგრე
მოუჩანს, თითქოს კბილებში მოუყო-
ლებიაო, ხოლო ცოტა კიდევ თუ გაა-
ხელეს, ეგრევე ჩაიკბენს და მერე ვაი
იშასა, ვისაც ეკვეთებაო. იქ მაინც არა-
ვინ შეშინებულა, ნესტორი ღვინოსა
წრუპავს, ხალისის სადღეგრძელო იყო-
სო, დუღუნებს და წრუპავს, გელი ხელს
გაავლებს, დაქეჩიო, ჯდება ისიცა,
ოლონდ მზად არის წამოსახტომადა.

— გვჭერა, — ამბობს გელი, ისე ამ-
ბობს, გრძნობად იღვრება, ხმა თბილი
აქვს, ტკბილი, საამო ან უფრო ზედმი-
ტანებულად რომ ითქვას, მოთბო, მოტ-
კბო, მოსაამო, წელანდელი რიბი, სიზ-
ვიადისა და სიდიადის იერი გადაჰკრე-
ფია, მთლად სათნობადა და სიკეთედ
გადაქცეულა, — ყველაფერი გვჭერა,
რაც უნდა გვითხრა, შენი უერთგულე-
სი მეგობრები ვართ და შენი სიკეთის
მეტე არც არაფერი გვინდა. ჩვენი მე-
გობრობა უკვე ათეულწობით წლებს
ითვლის და არ მეგულება ისეთი ძალა,
ჩვენ რომ ვავითიშოს. შენი სიკეთე, ჩე-
მი სიკეთეა, შენი სიკეთეც ჩემი სიკე-
თეა, შენი სიავე ჩემი სიავეა, შენი სია-
ვეც ჩემი სიავეა, ჩვენ ამისი მტკიცე-
ბა არც უნდა გვჭირდებოდეს, არცა
გვჭირდება. ასე არ უნდა შევიცხადოთ
ერთიმეორის წარმონათქვამი, არც არა-
სოდეს შეგვიცხადებია, ხოლო თუ რა-
მეს გეუბნებით... აგერ ნესტორი რომ
გეუბნება, ჩვენივე სატყვიარს გეუბნე-
ბით... თუ ეგრე განრისხდები, ვეღარას
გატყვიო, ვერც ეს გატყვის, ვერც მე
გატყვი, სხვას ვის შესტყვია გული?!
შენი ტყვილი ტყვილად დარჩება და
მერე რატომაო, ვინ იცის არც არაფე-
რია, ვინ იცის ერთი სიტყვაც მალამოდ
მოგეცხოს, რად არ უნდა ვითხრაო, რა-
ტომამეთქი, ჩვენს შორის რა ყოფილა
დაფარული?!

— არც არაფერი! — უდასტურებს